საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC-2016
ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ

THE FOURTH INTERNATIONAL ECONOMIC CONFERENCE - IEC 2016
MODELS OF NATIONAL ECONOMY DEVELOPMENT: YESTERDAY, TODAY, TOMORROW

3
2016

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

უაკ (**UDC**) 338.22+62
ბ-666

№ 3. 2016 წელი

ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ა. ქუთათელაძე (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია: ნ. აბესაძე, გ. აბაშიძე (ბათუმი), გ. აბრამიშვილი, ე. ბარათაშვილი, თ. ბაციკაძე, ვ. ბოჯარი (პოლონეთი), ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, ც. დურული (გორი), მ. ეფიმჩენკო (რუსეთი), რ. ვინთერი (შვეიცარია), დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, კ. ისაევა (ყაზახეთი), რ. შენგელია, ი. კაკუბავა, ი. კვესელავა, ლ. კლიმიაშვილი, პ. კოღუაშვილი, ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი (ქუთაისი), ი. ლომიძე, გ. მალაშხია, ვ. მინასიანი (რუსეთი), რ. ოთინაშვილი, მ. ოსინსკა (პოლონეთი), მ. პისანიუკი (მოლდოვა), მ. რაუდიარვუ (ესტონეთი), გ. სალუქვაძე, დ. სეხნიაშვილი, რ. სტურუა, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ღავთაძე (ქუთაისი), მ. ჩიქავა, ნ. ჩიხლაძე (ქუთაისი), გ. ძიძიგური, დ. ჯაფარიძე, გ. ჯოლია.

EDITOR : A. Sichinava
DEPUTY OF CHIEF EDITOR: Sh. Veshapidze
TECHNICAL EDITOR: A. Kutateladze
DEPUTY EDITOR: T. Lominadze

EDITOR STAFF: N. Abesadze, G. Abramishvili, G. Abashidze (Batumi), E. Baratashvili, T. Batsikadze, V. Bojari (Poland), M. Chikava, N. Chikhladze (Kutaisi), C. Duruli (Gori), G. Dzidziguri, M. Efimchenko (Russia),P. Ioni (Germany), A. Frangishvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, Z. Gasitashvili, G. Gavtadze (Kutaisi), A. Glushetsky (Russia), Iv. Gorgidze, I. Gujabidze, L. Imnaishvili, K. Isaeva (Kazakhistan), J. Janashia, D. Japaridze, G. Jolia, I. Kakubava, L. Klimiashvili, P. Koguashvili, I. Kveselava, E. Lobanova (Russia), I. Lomidze, Sh. Lominashvili (Kutaisi), G. Malashkhia, V. Minasian (Russia), M. Osinska (Poland), R. Otinashvili, M. Pisaniuk (Moldova), L. Qarchava, R. Qutateladze, M. Raudiarv (Estonia), G. Saluqvadze, R. Shengelia, R. Sturua, D. Tavkhelidze, R. Winter (Sweden),O. Zumburidze.

პასუხისმგებელი რედაქტორი: დალი სეხნიაშვილი
RESPONSIBLE EDITOR: Dali Sekhniashvili

გარეკანის დიზაინის ავტორი: დალი სეხნიაშვილი
ტექნიკური რედაქტორები: თეა მაისურაძე, თამარ აბუაშვილი, ნატო გეგენავა

COVER DISIGN BY : Dali Sekhniashvili
TECHNICAL EDITORS: Tea Maisuradze, Tamar Abuashvili, Nato Gegenava

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

The editorial staff opinion may not coincide with the authors' point of views. Authors of published materials are responsible for the accuracy of facts.

მისამართი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 615ბ.
ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391.
www.Business-Engineering. bpengi.com
ელ-ფოსტა: info@bpengi.com

Editorial office address:
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 615 b.
Tel.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391;
www. Business-Engineering. bpengi.com
E-mail: info@bpengi.com

ISSN 1512-0538

ISSN 1512-0538

ს ა რ ჩ ე ვ ი

მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC-2016
ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ

The 4th International Economic Conference – IEC 2016
National Economic Development Models: Yesterday, Today, Tomorrow

პლენარული მოხსენებები:
Plenary Presentations:

Nicholas Kathijotes
Water Management in Archaeological Sites and Sustainable Tourism 9

Matti Raudjärv
Фискальная система Эстонии и направления ее развития 12

გურამ ჯოლია
უმაღლესი განათლება ინტერნეტ-ტექნოლოგიების პირობებში 20

სექცია 1. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები
Section 1. The Main Directions of the National Economy Development

Майборода Алина
Теоретические основы организации и управления системой финансовой безопасности предприятия 29

შოთა ლომინაშვილი, ზვიად ბეშკენაძე
ეკონომიკური უსაფრთხოების სოციალური ასპექტები 32

მერაბ გველესიანი
მიდგომები საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელისადმი 35

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია
შემოქმედი ადამიანი - თვითმზარდი ღირებულება 39

მერაბ გველესიანი, შოთა ვეშაპიძე
ღირებულებათა წინააღმდეგობები და ეკონომიკური განვითარების ორიენტირები 42

დემნა კვარაცხელია, დიანა კვარაცხელია
ეკონომიკური ზრდის არითმეტიკა 47

Merab Vanishvili
Theoretical-Methodological Basis of the Time Value of Money in Developing Countries 50

რუსუდან ქუთათელაძე, მაია ყიფიანი, მედეა ჭელიძე
ეკონომიკური ზრდის გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე 52

ზვიად ბეშკენაძე, შოთა ლომინაშვილი, მირანდა კავაძე
კონკურენტუნარიანობა — ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველი 55

რატი აბულაძე
ციფრული საფრთხეების ეკონომიკური გავლენა 58

რამაზ ოთინაშვილი, შალვა კუტუბიძე
ქართული საადგილმამულო ბანკის ფუნქციები და მიზანი 63

თეიმურაზ გოგნაძე
ელექტრონული ტენდერების ჩატარების მეთოდის სრულყოფის საკითხისათვის 67

გუგული ყურაშვილი, არტურ დავითიან
ეკონომიკური უსაფრთხოება რეგიონებში 73

თინათინ გუგეშაშვილი
საქართველოში 2014-2016 წლების სავალუტო კრიზისის გამომწვევი ზოგიერთი საკითხისათვის 77

მერაბ ახობაძე, ნინო ვარძიაშვილი
ევოლუციური ეკონომიკური პროცესები და საინვესტიციო პოლიტიკა 80

ციცინო ძოწენიძე
შორის კონკურენტული უპირატესობის საკითხი ევროპის განვითარებული ქვეყნების მაგალითზე 87

მარინა ბაღათურია, მანანა ბერუაშვილი
გლობალიზაცია და ბიზნეს-გარემო საქართველოში 90

ხათუნა თოდუა
ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში 94

თამარ ჩიქავა
დარგის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის მეთოდები 97

გია ზოიძე
ინსტიტუციონალური რესურსების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე 100

დავით მახვილაძე
უცხოური ინვესტიციების რეგულირება საქართველოში 103

დავითი პიტიურიშვილი
საერთაშორისო სალიზინგო მომსახურების და ქართულ სალიზინგო ბაზარის შედარებითი ანალიზი 106

ეკატერინა ზაქარაძე
საქართველოს ერთიანი სატრანზიტო სივრცე და აბრეშუმის გზის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში 110

ნაზი ჭიკაიძე, ნატო თუშიშვილი
საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა და მისი თავსებადობა ევროპულ მოდელთანი 113

ლუარა გვაჯაია, ჯემალ კვინიკაძე
ინოვაციურ პროცესებში გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები 117

მადონა გელაშვილი
ინვესტიციათა ფორმირების წყაროები 121

Maia Chania
The Main Directions Of Economic Development In Georgia 124

ნატო ჩიკვილაძე, ლაშა კაკულია
საქართველოს საქმიანი კულტურის თავისებურებები და მათი გავლენა მართვის სამამულო სისტემაზე 127

ელენე მენაბდე-ჯობაძე, სიმონ ბურჭულაძე
სოციალური უთანასწორობის პრობლემების რეტროსპექტული ანალიზი 130

ნაზი ჭიკაიძე, შოთა გურული
ფისკალური პოლიტიკა და დისციპლინა საქართველოში 134

ნონა ახვლედიანი
იმერეთის რეგიონის ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ინტეგრირებულ მაჩვენებელთა სისტემა 137

მეგი ანანიძე, რევაზ შენგელია
ინვესტიციები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები 141

დიანა უგლავა
საპენსიო სისტემის რეფორმირების საკითხები საქართველოში 143

კახაბერ კუპატაძე
საერთაშორისო სავალუტო ფონდში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები
და მათი მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნებისთვის 146

ირაკლი ჯანგავაძე
ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემები 149

თენგიზ გოგოლაძე
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის გამომწვევი მიზეზები და შედეგები 153

ნინო ქიტუაშვილი
სახელმწიფო შეკვეთები უახლეს ტექნოლოგიებზე - ქვეყნის ინოვაციური აქტიურობის ინსტრუმენტი 156

ქეთევან კრავეიშილი
საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა 159

ელენე მენაბდე-ჯობაძე, მედეა ლაპარტყავა
უმუშევრობის დინამიკა საქართველოში 164

კობა აბლოთია
ნეოკეინსური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ძირითადი გზები საქართველოში 168

სექცია 2. ეკონომიკის სექტორების განვითარების თანამედროვე პრობლემები
Section 2. The Modern Problems of the Economic Sectors Development

ალექსანდრე სიჭინავა
ბასაია სიჭინავა პირველი ევროპული ორიენტაციის ქართველი კაპიტალისტი 171

Yılmaz Akguney
A Study forIm proving the Performance of SavoniusWind Blades 174

Бексеитов Токтар Карибаевич, Кайниденов Нурсултан Нурланович
Влияние генотипа гена каппа-казеина на технологические свойства молока
коров симментальской породы 178

ალექსანდრე სიჭინავა, დალი სეხნიაშვილი
ექსპერიმენტული ეკონომიკა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის 181

ირინა გოგორიშვილი
კომპანიის მისსიის განსაზღვრა ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგში 186

გუგული ყურაშვილი, ლაშა ვაშაკიძე
თანამედროვე ტრანსნაციონალური კომპანიები 191

ხათუნა შალამბერიძე
კომერციული ბანკების სადეპოზიტო პოლიტიკის ანალიზი 195

ევგენი ბარათაშვილი, თამარ ლაგვილავა
ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთპარტნიორობის პერსპექტივები 200

Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia
An Evaluation of the Business and Financial Performance of the Company 204

ირინა მამალაძე
დამატებული ეკონომიკური ღირებულების უპირატესობა 207

აკაკი გვარუციძე, ლევან ტატიშვილი
რისკების მართვა ეკონომიკაში 211

ნელი სესაძე, ვალიდა სესაძე
ეკონომიკის კლასტერული განვითარება სინერგეტიკის თეორიის კონტექსტში 215

გენადი იაშვილი, ბესიკ შერაზადიშვილი
შრომის შედეგების შეფასების თავისებურებები საჯარო სფეროს ორგანიზაციებში 219

დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე
შიგა აუდიტის როლი და სარგებლიანობა სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი ხარჯვისათვის 223

ქეთევან კიწმარიშვილი
ახალი პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მართვა 227

ელგუჯა კონჯარია
ბუღალტრული აღრიცხვის როლი, მნიშვნელობა და ბუღალტერიის წარმოება კომპანიებში 231

ნაზი გვარამია
ბალანსის შედგენის თვალსაზრისები და საბალანსო თეორიები 234

ნინო ფაილოძე, იაშა მურვანიძე
აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია და მათი შემცირების მექანიზმები 236

ვალერიან ხარიტონაშვილი, ლევან ბუბუტეიშვილი
საავტომობილო ტრანსპორტის რაციონალური ფორმირების შესახებ 239

ვალერიან ხარიტონაშვილი, ნინო ჭიჭინაძე
საავტომობილო ტრანსპორტის ექსტერნალის ანალიზი 241

ნატო თუშიშვილი
ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენების კონცეფციის თეორიული ასპექტები 244

გიორგი მაისაშვილი
სადაზღვევო საქმის საინფორმაციო სისტემების აგების ძირითადი პრინციპები 247

მიხეილ ჩაკაბერია
სადაზღვევო ორგანიზაციის რისკ-მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძვლები 249

ზვიად ვეკუა
რისკების გათანაბრების პერსპექტივები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში 252

დავით კბილაძე, შორენა მეტრეველი
სტატისტიკური მეთოდის 6 (ექვსი სიგმა) გამოყენება თბილისის საავტობუსო ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების ხარისხის შესაფასებლად 255

ნანი მამფორია
პიარისა და რეკლამის როლი ბიზნესის განვითარებაში 258

Natia Beridze, Gela Mamuladze
Internet Marketing – Company and Customer Perspectives 262

თორნიკე გურული
მომხმარებლებთან ურთიერთობის სტანდარტები და პერსონალის ქოუჩინგი, როგორც მარკეტინგული კომპანიების ეფექტიანობის ძირითადი კომპონენტი 265

ნინო დგვეფაძე
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების პარადიგმის განვითარების წინაპირობა 268

ნინო მამულაძე
მარკეტინგის ევოლუცია: მარკეტინგ 1.0-დან მარკეტინგ 3.0-მდე 271

Zurab Mushkudiani
Importance of the Team in a Workplace 275

თამაზ შამათავა
მიწისქვეშა ნაგებობების შეფასების აუცილებლობა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის 279

მაია გრძელიძე
დაგეგმვის მეთოდების თავისებურებები საბიუჯეტო დაგეგმვის სისტემაში 282

პარმენ ლემონჯავა, ნატო გეგენავა
ეკონომიკური განვითარების საწარმოთა პარტნიორული მოდელის არსი 285

გიორგი სულაშვილი, ჟანა გაბარაევი
ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი აუდიტორულ საქმიანობაში 287

დალი სეხნიაშვილი, თამარ აბუაშვილი, დავით სიჭინავა
გადაწყვეტილების მიღების თავისებურებები ბიზნეს-პროცესების მართვის სფეროში 290

ტარიელ კიკვაძე, დავით გეგია
ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება ეკონომიკური სწავლების პროცესში 294

მალხაზ სულაშვილი, იაშა მურვანიძე
ინფორმაციული სისტემების როლი ფინანსურ აღრიცხვასა დაკონტროლში 297

კონსტანტინე კამკამიძე, ალექსანდრე მელაძე
ხმის ამომცნობი სისტემების აგების მაგალითები 301

დავით ბაქანიძე, გურამ ამყოლაძე
ახალი ენერგო სიმძლავრეების ეფექტიანობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში 303

გელა ჭიკაძე, ვლადიმერ კეკენაძე, ირმა კუცია
არაწრფივი დინამიკა ეკოლოგიურ პროცესებში 307

თამარ ჩაჩანიძე
საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი გარდამავალ პერიოდში 310

ბექა ბიბილური
ინვესტიციების როლი იმერეთის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში 313

რუსუდან ქუთათელაძე, ლევან ბუაძე
ლიდერობის როლი ინოვაციის წახალისებაში 316

შოთა ქვაჩაკიძე
ევროკავშირის კიბერ-უსაფრთხოების სტრატეგია ღია, უსაფრთხო და დაცული კიბერ-სივრცისათვის 318

რუსუდან ქინქლაძე
ექსპერიმენტული ეკონომიკის წარმოშობის წინაპირობები და მისი სამეცნიერო მიმართულებად აღიარება 322

დავით ჯაფარიძე, ნინო გიორგიშვილი, ირაკლი ბიჭიაშვილი
მსოფლიოში ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და საშუალოვადიან პერიოდში ენერგორესურსების წარმოების პროგნოზირება 326

დალი სეხნიაშვილი, ზაზა სიჭინავა
მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის ინსტრუმენტულ-ტექნოლოგიური ასპექტები ... 334

ნაირა ვირსალაძე
საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხისათვის 339

სექცია 3. აგრობიზნესისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიები
Section 3. Agribusiness and tourism development strategies

მანანა ვასაძე, ნინო ლეთანძე
გლობალური და კონცეპტუალური ცვლილებები ტურიზმის უსაფრთხოების 343

სექცია 4. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი, პოლიტიკური და ისტორიულ-ფილოსოფიური ასპექტები

Section 4. Legal, Political, Historical and Philosophical Aspects of the National Economy Development

ჯემალ გახოკიძე,სოფო მიდელაშვილი
ჩინეთ-ბრიტანეთის მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის განსაკუთრებული როლი ჰონკონგის საკითხის გადაწყვეტაში 346

პლენარული მოხსენებები:
Plenary Presentations:

Water Management in Archaeological Sites and Sustainable Tourism

Nicholas Kathijotes,
International Ocean Institute, Cyprus University of Technology

Summary

The value of the archaeological sites is a huge asset for every country. They can boost tourism and eventually the economy if presented in an organized and scientific way. As an example to this the evolution of urban sewerage and storm water drainage systems in ancient Cyprus as well as water management systems is reviewed, based on the results of archeological studies of the 20th century. Cyprus, located at the crossroad of three continents, has assimilated various civilizations throughout its history. The effects of these influences are also present in the drainage systems. Particular attention is given to the systems from the Hellenistic and Roman periods (310BC - 330 AD) The technological advances and environmental consciousness exhibited in dealing with the hygienic and functional requirements of cities were so sophisticated that can only be compared to modern urban water systems and practices developed in the second half of the 19th century in Europe and North America. Such sustainable water management practices are relevant and their potential applications are evaluated.

Keywords: Wastewater management; sewer systems; ancient Cyprus; ancient water technologies; urban sanitation

INTRODUCTION

Throughout the years and since antiquity, Cyprus developed maintaining its own civilization, but assimilating various influences to which it has been exposed. Being in a strategic position at the crossroad between three Continents-Europe, Asia and Africa, Cyprus was exposed to their culture throughout the centuries. These influences can not only be detected in buildings and temples but also in the drainage systems found at various archaeological sites.

Archaeological studies have established that the basis for many modern technological achievements in water resources was established in ancient Greece with the most advanced cultural developments taking place in semiarid areas with the lowest rainfall and the most limited water resources (Angelakis et al., 2005; Angelakis et al., 2013). Studies of climatic conditions in the Mediterranean carried out in the last 5000 years showed unstable conditions but there was never an abundance of water resources (Lionello, 2012; Angelakis et al., 2005). This applies to Cyprus as well. Since ancient times, Cypriots have disposed of their excreta and other wastes on site where wastes were generated. This paper outlines examples of water resources management throughout the ages, in Cyprus and the Hellenic Civilization on different aspects of the use and management of water, investigates technical issues and gives suggestions, thus promoting a new approach to archaeological heritage and sustainable tourism.

A BRIEF HISTORY OD PREHISTORIC CYPRUS

Archaeological evidence indicates that the first Cypriot settlers arrived on the island as early as the 9th or 10th millennium BC during the Neolithic Age (ca.8500 3900 BC). They traveled in primitive boats, probably coming from Anatolia to the northern part of the island, and from the Syrian shore to the east. They carried with them a wide variety of mainland plants and animals. Their daily life included farming, hunting, and animal husbandry.

The Chalcolithic Age (ca. 3900 – 2500 BC), although shorter in period, is known as the period of rapid population growth, the development of sophisticated art, and the advancement of religious beliefs and symbolisms, initiated some relations with neighboring countries. In the last phase of the Chalcolithic period small metal objects made of natural copper are introduced (Karageorghis, 2012). Storm water was collected in every house, carried through terracotta conduits (Fig. 1a) and stored in cisterns found in the house yard (Griva, 2008).A detailed section of one of these terracotta pipes is shown in Fig. 1b.

(a) (b)

Figure 1: (a) Round terracotta pipe installed under the floor possibly carrying storm-water and (b) Terracotta pipe with inspection aperture from Amathus.

HISTORICAL TIMES

In Amathus, a very important finding discovered was the underground Nymphaeum, an ancient tunnel of at least 120 m long together with a water spring. After the destruction of the Nymphaeum by the earthquakes of 15 BC and 76/77 AD, a reservoir and a fountain were constructed. Further excavations in Amathus have revealed a well preserved stone conduit (pipeline sculptured in stone) which was most probably used for the supply of freshwater from the water reservoir (Fig. 2a and b). It consists of carved stone pieces of variable length but consistent internal and external diameter. The variable length is probably a result of the stone pieces they had available to carve the conduits. The gradient is steady and relative to the ground elevation. Square stone pieces are present at given distances of about 2 m in order to support the conduits by preventing settlement (Fig. 2b). Apertures also exist on every piece of pipe covered by a flat stone and sealed with lime mortar for access in case of blockage or when ventilation was required.

(a) (b)

Figure 2: (a) Stone conduit (sculptured stone water pipeline), with equally spaced small apertures used as inspection holes and (b) Detailed stone conduit connection point found in Amathus.

During the Hellenistic Period (ca. 323-67 BC), and following the death of Alexander the Great, the Ptolemaic rule brought peace and prosperity to Cyprus. Culturally Cyprus is considered as part of the Greek world and is embellished with various public buildings (Karageorghis, 2012).

In Amathus excavations of the agora in the 1980s have revealed a public bath building (balaneion) consisting of an enclosed circular space and adjacent rooms and hallways (Figure 5a and b). A hall realized as a roofed palaestra (exercise room) or as a dromos (race course) is present. Patrons could come to this area for exercise and then proceed to the circular bathing area. In the center of the bathing area one can observe the foundations for the furnace and of the hot water reservoir (Fig. 5a). Two groups of eight little baths (pueloi), which are narrow and lacking drain holes, are aligned against the east and west walls in the southern area (Fig. 5b). Here servants (parachytai) with buckets could rinse the patrons with cold or warm water. As no drains were found in the balaneion (baths), it can be assumed that grey water was removed by the servants possibly disposing it to the large drain system which runs westwards under the street collecting storm water and the runoff from the Nymphaeum and reservoir.

This circular room was partially remodeled in the second century BC when five of the little baths were replaced by larger plunge baths (Fig. 5c) in which the user could be submerged (Aupert, P., 2000).

(a) (b) (c)

Figure 5: (a) View of the Hellenistic Baths and (b) a detailed view of the 'Pueloi' (little baths) inside the Hellenistic Baths-in Amathus. On the right (c), plunge baths in Hellenistic Baths (balaneion) in Amathus.

SUSTAINABLE TOURISM

UNEP and UNWTO organisations defines 'sustainable tourism' as "Tourism that takes full account of its current and future economic, social and environmental impacts, addressing the needs of visitors, the industry, the environment and host communities". Thus, we should (i) make optimal use of environmental resources that constitute a key element in tourism development, maintaining essential ecological processes and helping to conserve natural heritage and biodiversity, (ii) respect the socio-cultural authenticity of host communities, conserve their built and living cultural heritage and traditional values, and contribute to inter-cultural understanding and tolerance., and (iii), Ensure viable, long-term economic operations, providing socio-economic benefits to all stakeholders that are fairly distributed, including stable employment and income-earning opportunities and social services to host communities, and contributing to poverty alleviation.

It is then expected that we maintain a high level of tourist satisfaction and ensure a meaningful experience to the tourists, raising their awareness about sustainability issues and promoting sustainable tourism practices amongst them. Our natural and cultural heritage then have a key role in achieving the above goals.

Suggested measures may include further studies on the state of the art for different aspects of the use of water in the past, thus promoting a new approach to archaeological heritage. The archaeological sites are there, but little is still known about their functional and technical issues regarding the management of water resources.

An effort in integrating new and existing knowledge and know-how in regional and national policy frameworks

can lead to developing instruments for water management inspired by archaeology of water, establishing networks that would pool different expertise to foster the definition of best practice for sustainable tourism and respectful use of water resources.

The development of efficient mechanism for transfer of knowledge to local operators, will empower stakeholders with new tools to orient the tourist offer, and promote the creation of new qualified jobs,

Participation of private sector (SMEs) and civil society by means of identifying thematic programmes and pilot activities for the selected areas, ensures an effective use of research outcomes.

Promoting the adoption by tourism operators of standards for a sustainable water use that would be inspired by our past should be a necessity.

Let us then design a replicable comprehensive strategy for facing the challenges of the present and of the future relying upon the extraordinary heritage of the shared Balkan and Mediterranean past.

EPILOGUE

It is evident that since antiquity various water management methods have been practised not only for rainwater harvesting but also for the sustainable use of grey water for cleaning latrines and other sewage fixtures proving that people had a working knowledge of basic hydraulics. This is further supported by the fact that later Greek and particularly Roman civilizations have used and perfected the existing technologies on a larger scale. Ancient people realised the benefits of mixed sewer system with stones at the bottom not only for economic reasons or easier completion, but also for reducing water flows and providing higher infiltration for groundwater recharge.

Mediterranean area in general will continue to have low water availability not only due to population growth but also due to climatic changes. The development of a sustainable water resource management system then is crucial, and will assist in the conservation and protection our precious resource from pollution and extinction.

The need of integrating the 'water issue' in the development of innovative strategies for reducing the impact of tourism on environmental and cultural heritage and to ease the pressure on water resources, suggests further capitalising existing knowledge and building upon the extraordinary archaeological heritage, that would release various interventions at different levels.

REFERENCES

1. Angelakis A.N., Koutsoyiannis D., and Tchobanoglous G. (2005). Urban wastewater and storm water technologies in ancient Greece. Water Research 39, 210-220.
2. Angelakis A.N. and Spyridakis S.V. (2013). Major urban water and wastewater systems in Minoan Crete, Greece. Water Sci. Technol.: Water Supply 13.3
3. Aupert P. (2000). Guide to Amathus. The Bank of Cyprus Cultural Foundation in collaboration with the Department of Antiquities. Nicosia, Cyprus.
4. Griva, E. (2008). Powered database ancient hydraulic works. Interdisciplinary Interdepartmental Postgraduate Studies (IIPS) 'Environment and Development, NTUA, Athens, Greece (in Hellenic).
5. Karageorghis V. (2012). Ancient Cyprus. 9000 years of Culture. Ministry of Foreign Affairs, Nicosia, Cyprus.
6. Lionello P. (2012). 'The Climate of the Mediterranean Region-From Past to the Future'.
7. Elsevier Publications (book).

Фискальная система эстонии и направления ее развития

М. Раудярв, University of Tartu,
Doctor of Economics, Estonia

Summary

The following taxes are applied in Estonia: state taxes and local taxes. State taxes, such as: income tax, social security tax, land tax, gambling tax, value added tax, customs duty, excise taxes and heavy good vehicles tax. Local taxes: imposed by the local government, e.g. for the use of the infrastructure or other resources of a certain area. Taxes are either direct or indirect taxes: the direct tax burden is imposed on enterprises as legal persons (e.g. income tax, land tax and heavy goods vehicles tax) and individuals (e.g. income tax, land tax). Indirect tax is paid by the final consumer, the tax is added to the price of goods or services (value added tax, excise taxes and customs duty).

Резюме: Действующие налоги в Эстонии: государственные и местные. Государственные налоги и сборы, как например: налог на доходы, социальный и земельный налоги, налог на азартные игры, налог с оборота, таможенные сборы, акцизные сборы и налог на тяжеловесные транспортные средства. Местные устанавливаются местным самоуправлением, например, на использование местной инфраструктуры или иных местных ресурсов. Налоги делятся на прямые и косвенные. Прямые налоги взимаются с предприятия как юридического лица (например, налог на доходы, земельный налог и налог на тяжеловесные транспортные средства), а также с физического лица (например, налог на доходы, земельный налог). Косвенный налог выплачивается конечным потребителем, т.е. налог добавляется к цене товара или услуги (налог с оборота, акцизный и таможенный сборы).

Введение

Работа по развитию и совершенствованию фискальной системы Эстонии активно ведется на протяжении всего периода, начавшегося со времени восстановления независимости страны. Эта область деятельности не теряет своей актуальности, поскольку задачей каждой страны является формирование сбалансированного и прозрачного бюджета, чрезвычайно важную составляющую которого составляют поступления, обеспечиваемые фискальной системой. Это в полной мере относится и к местным самоуправлениям. Одинаково важно и то, какими налогами облагаются предприятия - юридические лица, и то, какие налоги и налоговые ставки применяются по отношению к физическим лицам.

В Эстонии существуют и государственные, и местные налоги. К государственным налогам относятся на доходы налог, социальный налог, земельный налог, налог на азартные игры, налог с оборота, таможенные и акцизные сборы, а также налог на тяжелые транспортные средства. Местные налоги могут быть установлены местным самоуправлением, например, на использование местной инфраструктуры или иных местных ресурсов. Налоги могут быть прямыми или косвенными. В первом случае налоги взимаются с предприятия (например, налог на доходы, земельный налог, налог на тяжеловесные транспортные средства) и физического лица (например, налог на доходы, земельный налог). Косвенный налог выплачивается конечным потребителем, т.е. налог добавляется к цене товара или услуги (налог с оборота, акцизный и таможенный сборы).

Целью настоящей статьи является дать обзор существующей ныне в Эстонии фискальной системы. Для достижения этой цели поставлены следующие исследовательские задачи:

- показать, какие налоги установлены в Эстонии для предприятий (и физических лиц);
- описать порядок сбора налогови налогового надзора в Эстонии;
- охарактеризовать основные налоги (налог на доходы, налог с оборота, социальный налог);
- сделать обзор таможенной системы Эстонии, специальных льгот и экологических сборов, установленных в стране;
- раскрыть содержание так называемых прочих налогов и сборов;
- исследовать сущность местных налогов и связанных с ними проблем;
- описать налогообложение в условиях трансграничной хозяйственной деятельности (в т.ч. социальный налог и налог с оборота).

Фискальная система Эстонии не свободна от ряда проблем, решение которых предполагает использование, наряду с экономическими и социальными, определенных политических аргументов.

1.Обзор фискальной системы в Эстонии: какие налоги установлены для предприятий (и физических лиц)

Предпринимательская деятельность облагается в Эстонии налогами в соответствии с действующим налоговым законодательством. Налогами облагается собственность, доход или благо. Согласно общему правилу все предприятия облагаются налогами в равной мере и на одинаковых по существу условиях. Налоги, взимаемые в Эстонии, можно подразделить на государственные и местные.

К государственным налогам относятся налогна

доходы, социальный налог, земельный налог, налог на азартные игры, налог с оборота, таможенные и акцизные сборы, налог на тяжеловесные транспортные средства.

- Местные налоги могут быть установлены местным самоуправлением, например, на использование местной инфраструктуры или иных местных ресурсов.

Кроме того, налоги подразделяют на прямые и косвенные:

- Прямые налоги взимаются с предприятия (например, налог на доходы, земельный налог, налог на тяжеловесные транспортные средства).
- Косвенные налоги выплачиваются конечным потребителем, т.е. налоги добавляются к цене товара или услуги (налог с оборота, акцизный и таможенный сборы).

Общий перечень налогов следующий:

- Налог на доходы (для предприятий и физических лиц)
- Налог с оборота
- Социальный налог
- Таможенные сборы
- Акцизные сборы:

1) акциз на алкоголь: спирт и прочие алкогольные напитки; вино; пиво,
2) акцизна табачные изделия,
3) акциз на моторное топливо,
4) акциз на топливо,
5) акциз на упаковку,
6) акциз на электричество.

- Прочие налоги и сборы (земельный налог, налог на азартные игры, налог на тяжеловесные транспортные средства, обязательные взносы в накопительный пенсионный фонд)

В дополнение следует назвать еще ряд налогов:

- взносы на страхование по безработице,
- налог на специальные льготы,
- экологические налоги,
- налоги на трансграничные сделки.

Какими именно налогами предприятие облагается, и каковы налоговые ставки, зависит от объема и области деятельности и иных особенностей этого предприятия.

2. Порядок сбора налогови налоговый надзор

Учетом, сбором, проверкой поступления государственных налогов, а также взысканием задолженностей по этим налогам в Эстонии занимается Налогово-Таможенный Департамент. Вся эта деятельность по местным налогам производится местными самоуправлениями. В случае неуплаты налогов, задержек их поступления или некорректного учета налогов к предприятиям могут быть применены штрафы, начислены проценты или взысканы пени. Предприятия обязаны вести соответствующий требованиям бухгалтерский учет и учет налогов, предоставлять налоговые декларации. Налогово-таможенный департамент и местное самоуправление должны в разумные сроки получать обзор сделок предприятия и для них информацию о существенных для него аспектах этих сделок (доходы, расходы, имущество и обязательства).

Если начинают сотрудничество с новым партнером, полезно проверить, все ли налоги уплачены им государству (для этого следует сделать запрос на сайте Налогово-таможенного департамента). Сайт http://www.krediidiinfo.ee/ акционерного общества Krediidiinfo предлагает рапорты о кредитном рейтинге и кредитном лимите предприятий, а также по налоговым задолженностям. Там же можно ознакомиться с годовыми отчетами их хозяйственной деятельности. Услуги сайта платные. Сроки перечисления предприятиями налогов приведены в составленном Налогово-таможенным департаментом налоговом календаре. Он помогает руководству и работникам финансовых служб предприятий вовремя предоставлять налоговые декларации и своевременно производить перечисления налогов.

3. Налогна доходы

Налог на доходы подразделяется на две категории: налог на доходы физического лица и

налог на доходы предприятия, или юридического лица (налогом на доходы юридического лица облагаются, в том числе, стационарные места деятельности нерезидентов, а также все работодатели, производящие специальные льготные выплаты). Кроме учета и перечисления налога на доходы предприятия, работодатель обязан удерживать и перечислять Налогово-таможенному департаменту налоги с заработной платы работников, т.е. налог на доходы физических лиц.

Обложение налогом доходов юридического лица. Особенность налогообложения доходов юридического лица в Эстонии состоит в том, что налогом облагается только распределенная прибыль. Если прибыль инвестируется в развитие предприятия, она налогом не облагается.

Предприятие облагается налогом со следующих расходов и выплат:

- распределенная прибыль,
- расходы и выплаты, не связанные с предпринимательством,
- подарки, пожертвования и расходы на приемы, а также
- предоставленные работникам специальные льготы.

Кроме того налогом на доходы облагаются:

- уменьшение уставного капитала,
- выкуп акций или паев,
- ликвидационные выплаты в части, которая превышает денежные и не денежные взносы

в акционерный или паевой капитал частного предприятия.

Ставка налога на доходы и сроки его уплаты: в2016 году ставка подоходного налога в Эстонии составляет 20%. Периодом налогообложения является календарный месяц, налоговую декларацию следует предоставитьНалогово-таможенному департаменту к 10 числу следующего за отчетным месяца. Это делается в электронной среде на портале Налогово-таможенного департамента или на бумажном носителе, обращаясь в региональный центр Налогово-таможенного департамента.

Налог на доходы работников

Доходы физического лица также облагаются налогом, и производя выплаты физическим лицам предприятию следует удерживать налог с заработной платы-брутто, дополнительной заработной платы, премий, отпускных и прочих выплат, которые считаются оплатой его труда. В случае, если работник подал работодателю заявление об учете при начислении налогов необлагаемого налогом минимального дохода, то налог ежемесячно рассчитывается с соответственно меньшей суммы дохода работника.

Ставка подоходного налога физического лица в Эстонии составляет в 2016 году 20%. Не облагаемый налогом минимальный доход составляет 170 евро в месяц (основанием освобождения от начисления является личное заявление получателя дохода). Кроме налога с дохода работника, работодатель обязан удерживать с его доходов обязательный взнос в накопительный пенсионный фонд и взнос на страхование по безработице. Работодатель облагается также социальным налогом с заработной платы-брутто, выплаченной работнику.

Дополнительный не облагаемый налогом доход пенсионеров составляет в 2016 году 225 евро в месяц (освобождаются только получатели трудовых пенсий). Дополнительный необлагаемый налогом доход в 2016 году сумме 64 евро в месяцприменяется также к доходам от компенсации производственных травм и профессиональных заболеваний (на основании личного заявления получателя).

4. Налог с оборота

Налогом с оборота облагается конечный потребитель товаров и услуг, произведенных в ходе предпринимательской деятельности, а также товары, импортируемые из стран, не входящих в состав Евросоюза и товары, приобретенные в Евросоюзе. Налог с оборота представляет собой налог на прибавочную стоимость и оплачивается конечным потребителем.

Регистрация налогообязанного

Если подлежащий обложению годовой оборот предприятия превышает 16 тысяч евро, то предприятие следует зарегистрировать как налогообязанное в Налогово-таможенном департаменте. Если оборот предприятия меньше этой суммы, то регистрация не обязательна

Обязательства, связанные с налогом с оборота: как налогообязанному в отношении налога с оборота предприниматель обязан:

- прибавлять к продажной цене при продаже товара или услуги сумму налога оборота;
- вести учет налога с оборота;
- рассчитывать и оплачивать сумму налога,
- сохранять бухгалтерские документы, связанные со сделками, и составлять счета в соответствии с установленными требованиями.

Из облагаемого налогом оборота можно вычитать налог с оборота, уплаченный при приобретении товаров и услуг, необходимых для получения этого оборота (входящий налог с оборота).

Ставки налога с оборота

Общая ставка налога с оборота в Эстонии составляет по состоянию на 2016 год 20% от стоимости облагаемого налогом товара или услуги. Для части товаров и услуг действует ставка 9%, например, по состоянию на 2016 год это книги; тетради, которые используют в учебной работе; периодические издания; услуги размещения, а также некоторые лекарства, санитарно-гигиенические средства, медицинские средства для личного пользования людей с ограниченными возможностями, перечень которых устанавливается Министерством социальных дел. На ряд товаров установлена ставка налога с оборота 0%, в том числе экспортируемые товары; на консультационные услуги, оказываемые в других странах Евросоюза; также на летательные и водные средства транспорта, которые используются для международных рейсов.

Ставка налога с оборота 0% установлена на такие услуги, которые оказывают за пределами Эстонии, например, связанные с воздушным и водным транспортом, а также услуги по перевозке товаров.

Оборот ряда товаров и услуг социального назначения налогом с оборота не облагается, например, почтовые услуги, услуги страхования, здравоохранения и социальные услуги. Полный перечень особых ставок налога с оборота и освобождений от него приведен в законе о налоге с оборота.

Декларирование и оплата налога с оборота

Периодом налогообложения налога с оборота является календарный месяц. Декларацию об обороте

следует представлять в Налогово-таможенный департамент к 20 числу следующего за отчетным месяца.

Декларацию можно отправить в электронном виде в электронной среде Налогово-таможенного департамента или обращаясь в региональный центр этого департамента. Когда с момента возникновения обязательства начисления и оплаты налога с оборота проходит 12 месяцев, предоставление электронной налоговой декларации становится обязательным.

5. Социальный налог

Доходы от поступлений социального налога используются для пенсионного страхования и государственного страхования здоровья. Социальный налог оплачивается работодателем. Предприниматель обязан платить социальный налог с заработной платы, а также со специальных льгот. В некоторых особых случаях социальный налог оплачивается Эстонским государством, например, за лиц, получающих вспомоществование на услугу по уходу, и за многодетные семьи. Государство оплачивает социальный налог также за работников частных предприятий, потеря трудоспособности которых составляет 40% или более.

Ставка социального налога и сроки его оплаты

Ставка социального налога в Эстонии по состоянию на 2016 год составляет 33% от брутто-заработной платы работника (например, при заработной плате в 1000 евро в месяц социальный налог на работника составляет 330 евро). Размер месячной заработной платы для минимального налогового обязательства составляет в 2016 году 390 евро в (в 2015 году 355 евро), т.е. минимальное обязательство по социальному налогу за одного работника составляет 128,7 евро в месяц.

Периодом налогообложения является календарный месяц, и к 10 числу следующего месяца предприниматель обязан декларировать социальный налог Налогово-таможенному департаменту. Декларации можно предоставлять в электронной форме в электронной среде или обращаясь в региональный центр департамента.

6. Обзор таможенной системы Эстонии

С таможней предприниматели сталкиваются в случае, если они экспортируют товары в третьи страны (за пределы Евросоюза) или же импортируют товары из-за пределов этого объединения. В Эстонии применением таможенных предписаний и обеспечением их выполнения занимается Налогово-таможенный департамент. При применении таможенных предписаний и их выполнении предприятие должно досконально знать формальности и руководства по их выполнению.

Таможенное пространство Евросоюза

Таможенные предписания применяются только к торговым сделкам между странами объединения и третьими странами. Например, при товарообмене с Германией, Италией или Финляндией эстонские предприниматели не должны декларировать товары, а при обмене товарами, например, с Россией, странами Азии, Африки и т.п. они обязаны это делать.

Таможенные и прочие сборы при импорте товаров

В ходе формальных таможенных процедур для допуска ввозимых товаров в свободный товарооборот предприятия должны оплатить таможенный сбор на эти товары. Размер таможенного сбора зависит от вида товара, его происхождения и количества. Кроме таможенного сбора предпринимателю следует оплатить и налог с оборота на ввозимый товар, а также, в зависимости от вида товара, акцизный сбор (если товар подлежит обложению акцизом: алкоголь, табачные изделия, моторное топливо и др.).

7. Взносы на страхование по безработице

Целью взносов на страхование по безработице является страхование работника на случай потери работы, завершения коллективных договоров или неплатежеспособности работодателя.

Страховку по безработице работника нужно оплачивать на основании его заработной платы, а физическому лицу на основании выплаченной ему за работу суммы. Обязательства подразделяются на страховую плату, вносимую работником (страховой взнос работника), и страховую плату, вносимую работодателем (страховой взнос работодателя). Взнос на страхование по безработице не взимается с пенсионеров по старости и членов органов управления и контроля предприятий. Работодатель обязан уплачивать взнос по страхованию по безработице за всех работников.

Ставка взноса по страхованию по безработице и сроки его оплаты

В 2016 году работодатель обязан рассчитывать и уплачивать взнос по страхованию по безработице по ставке 0,8% от брутто-заработной платы работника (взнос работодателяпо страхованию по безработице. (Ранее эта ставка составляла 1,0%). Кроме того, работодатель должен удержать и оплатить взнос работникапо страхованию по безработице, ставка которого в 2016 году составляла 1,6%от брутто-

заработной платы работника. (Ранее эта ставка составляла 2,0%).

Обязательство работодателя по расчету и уплате страхового взноса по безработице за работника (1,6%) заканчивается с последнего дня календарного месяца, в котором работник достиг пенсионного возраста или вышел на досрочную пенсию. При этом сохраняется обязанность работодателя, и уплачивать взнос по страхованию по безработице по ставке 0,8% от брутто-заработной платы работника, вышедшего на досрочную пенсию.

Сумму страховых взносов следует рассчитывать, декларировать и оплачивать с выплат, произведенных в календарном месяце. Срок оплаты и представления деклараций в Налогово-таможенный департамент – 10 число следующего за отчетным месяца. Декларации можно предоставлять в электронной форме в электронной среде или обращаясь в региональный центр Налогово-таможенного департамента.

8. Специальные льготы

Специальными льготами считаются товары, услуги или подарки, которые могут быть оценены в денежном выражении, которые работодатель дает работникам, состоя с ними в трудовых отношениях. По существу, специальные льготы представляют собой дополнительную заработную плату – дополнительный доход работника, на который следует начислять налог на доходы и социальный налог.

Облагаемые налогом специальные льготы

Обязательство облагать налогом на специальные льготы делятся на четыре группы.

1. Трудовое здравоохранение

Обязательство уплаты налога на специальные льготы может возникнуть при приобретении средств первой медицинской помощи и лекарств, вакцинации работников и приобретения для них очков, спецодежды, улучшения бытовой среды на работе, а также еще в некоторых случаях.

2. Легковой автомобиль

Обязательство уплаты налога на специальные льготы возникает в случае, если предприятие предоставляет работнику в бесплатное или частично оплачиваемое пользование легковой автомобиль. Налог на специальные льготысследует уплачивать и в случае, если работнику компенсируются расходы на пользование его личным автомобилем в сумме, превышающей установленные ограничения.

Если легковой автомобиль предоставляется работнику только для поездок, необходимых для выполнения работы, и ведется путевой дневник, налог на специальные льготы платить не надо. Если же пользователь имеет право совершать на автомобиле и частные поездки, то следует уплачивать налог на специальные льготы в соответствии с объемом поездок, но не более 256 евро в месяц.

Если работник использует для выполнения трудовых заданий личный автомобиль, то компенсация за его пользование в сумме 64 евро в месяц освобождена от налога на специальные льготы. Если же работнику выплачивается в качестве компенсации сумма, превышающая 64 евро в месяц, то нужно платить налог на специальные льготы в соответствии с объемом поездок, но не более 256 евро в месяц.

3. Командировки

Специальные льготы могут возникнуть и в случае, когда работнику выплачивается компенсация за расходы во время командировки в пределах Эстонии или за рубежом. Компенсация расходов в связи с командировкой и выплата суточных в размере, превышающем установленные ограничения, подлежат обложению налогом с дохода. Налогообложению не подлежат суточные на время зарубежных командировок в пределах 32 евро. Суточные на время командировки в пределах Эстонии не выплачиваются.

4. Прочие специальные льготы

Кроме перечисленных выше предприятие обязано дополнительноплатить налоги в том случае, если компенсируются жилищные и транспортные расходы работников, на очень выгодных льготных условиях работникам дается кредит, безвозмездно или по ценам значительно ниже рыночных работникам передаются во владение ценные бумаги илиоплачивается учеба работников.

Цена специальных льгот и уплата налогов

Основой расчета цены специальных льгот обычно является рыночная цена товаров или услуг, представляющих собой льготу. Предоставляя специальные льготы, предприятие обязано оплачивать за них налог на доходы и социальный налог. С товара или услуги, приобретенного для предоставления специальной льготы, не возвращается уплаченный налог с оборота. Периодом налогообложения специальных льгот является календарный месяц. Срок оплаты и представления деклараций в Налогово-таможенный департамент – 10 число следующего за отчетным месяца.

9. Экологический сбор

Экологический сбор взимается за ущерб, причиняемый за использование природных ресурсов и за ущерб, причиненный загрязнением окружающей среды. С экологическим сбором сталкиваются с большой вероятностью предприниматели, действующие в

области деятельности, в которой действуют особые требования. Экологические сборы подразделяются на две большие группы: сбор за загрязнение окружающей среды и сборы за право использования природных ресурсов.

Плата за загрязнение окружающей среды

К этой группе сборов относятся платы за выброс в атмосферу, водную среду, грунтовые воды и почву загрязняющих веществ, а также сборы за утилизацию отходов и акциз на упаковку.

Плата взимается в пользу субъекта, выдающего разрешение на загрязнение окружающей среды, обычно это Департамент окружающей среды. Ежеквартально следует представлять отчет о выбросе в окружающую среду загрязняющих веществ за предыдущий квартал. Периодом налогообложения является квартал, и оплату за предыдущий квартал следует вносить в Департамент окружающей среды к 10 числу месяца, следующего за отчетным кварталом.

Плата за право использования природных ресурсов

Плата за право использования природных ресурсов включают плату за право разработки природных ресурсов, за особое право пользования водой, за право ловли рыбы, за вырубку растущего леса и за использование охотничьих угодий. Предприятие обязано представлять отчеты об использовании природных ресурсов. Периодом налогообложения является квартал, и оплату за предыдущий квартал следует вносить в Департамент окружающей среды к 10 числу месяца, следующего за отчетным кварталом.

Ставки платы за использование природных ресурсов

Ставки платы за использование природных ресурсов зафиксированы в правовых актах по защите окружающей среды, ставки пересматриваются ежегодно.

Повышенные ставки платы за использование природных ресурсов

В некоторых случаях применяются повышенные ставки платы за использование природных ресурсов. Это делается в трех случаях;

- природные ресурсы используются большемв объеме, чем предусмотрено разрешением, или без разрешения;
- загрязняющие вещества выбрасываются в большемв объеме, чем предусмотрено разрешением, или без разрешения;
- при транспортировке отходов окружающая среда загрязняется химикатами, и таким образом, они утилизируются в объеме большем, чем предусмотрено разрешением.

Экологический сбор используется в Эстонии с 1991 года. В силу сложившейся традиции экологический сбор считается в Эстонии экологическим налогом, который облагается право использования природных ресурсов, а также выброс разного вида отходов в почву, водоемы и атмосферу. Экологический сбор по своей природе не является налогами, поскольку налог предполагает, что собранные в виде сбора средства возвращаются плательщику в форме какого-либо товара или услуги. Например, оплачивая право на разработку какого-либо полезного ископаемого, плательщик это право получает. Налог не предполагает такого, так называемого возмещения.

10. Прочие налоги

Кроме охарактеризованных выше важнейших налогов, в зависимости от области и места

деятельности предприятия нужно иметь в виду еще некоторые налоги.

Налог на азартные игры

Налог на азартные игры необходимо платить в том случае, если предприятие занимается организацией азартных игр. К азартным играм относятся, например, лотереи, торговые лотереи, лото, игры на ловкость и азартные игры, а также турниры.

Земельный налог

В качестве собственника земли или землепользователя предприятие обязано платить земельный налог. Величина налога зависит от действующей ставки и стоимости земли.

Ставка земельного налога колеблется в пределах 0,1-2,5% в год от облагаемой налогом стоимости земли. Ставка налога на землю, используемую для производства сельскохозяйственных культур и на природные луга, колеблется в пределах 0,1-2,0%.

Величину земельного налога рассчитывает Налогово-таможенный департамент, он высылает налогоплательщику соответствующее извещение, в котором сообщает также срок оплаты налога. Если начисленная сумма земельного налога не превышает 64 евро в год, налог следует уплатить к 31 марта следующего года. Если сумма больше 64 евро в год, к 31 марта можно оплатить половину, но не меньше 64 евро, а остальную часть внести не позже 1 октября.

Налог на тяжеловесные транспортные средства

Налог на тяжеловесные транспортные средства нужно платить в случае, если предприятием зарегистрировано в дорожно-транспортный регистре грузовой автомобиль или автопоезд, состоящий из грузового автомобиля и прицепа, зарегистрированная (или максимальная) масса которого составляет более 12 тонн. Основанием для расчета налог на тяжеловесное транспортное средство является зарегистрированная максимальная масса, количество осей, тип ведущей оси и тип рессорной подвески автомобиля.

Периодом обложения налогом на тяжеловесные транспортные средства является квартал, налог следует уплатить к 15 числу следующего за отчетным кварталом месяца.

Обязательный взнос в накопительный пенсионный фонд

Обязательный взнос в накопительный пенсионный фонд – это плата, взимаемая из дохода работника, которая направляется на финансирование второй ступени накопительной пенсии. В качестве работодателя предприятие обязано удержать этот взнос из заработной платы работника и уплатить его Налогово-таможенному департаменту. Поскольку не все работники примкнули к накопительному пенсионному фонду, работодателю следует проверять наличие у работника договора накопительной пенсии а Пенсионном центре.

Ставка обязательного взноса в накопительный пенсионный фонд составляет 2% от облагаемого налогом заработка. Взысканную с работника ежемесячно сумму взноса работодатель оплачивает к 10 числу следующего месяца.

11.Местные налоги

Помимо государственных налогов каждое местное самоуправление имеет право устанавливать местные налоги. Местное самоуправление принимает решение и о ставках местных налогов, а также, как правило, занимается их сбором.

Местные самоуправления могут установить следующие налоги:

- налог на продажи,
- налог на плавающее средство,
- налог на рекламу,
- налог на транспортное средство (автомобиль),
- налог на содержание животных,
- налог на увеселительные мероприятия,
- плата за парковку.

Информацию о местных налогах можно получить, познакомившись с налоговыми указами волостного собрания: местные налоги в различных самоуправлениях отличаются друг от друга.

12. Налоги в случаетрансграничной деятельности

В случае, если деятельность предприятия происходит в нескольких странах, предприятию

следует оплачивать часть налогов по сделкам и часть налогов, связанных с работниками, в зарубежных странах. Налоговое законодательство в разных странах разное, поэтому следует ознакомиться с ним еще до расширения деятельности в новые страны.

Налог на доходы

У предприятия возникает обязательство по уплате налогов вне Эстонии, чаще всего, в двух случаях:

- если предприятие предлагает услуги или продает товары,налог на доходы от которых следуетвыплачивать в стране, где эти сделки состоялись;
- если коммерческая деятельность предприятия такова, что в зарубежной стране возникает

постоянное место деятельности. Постоянным местом деятельности называют местоположение, посредством которого осуществляется вся деятельность или часть постоянной хозяйственной деятельности предприятия.

С продажи каких именно услуг и товаров и в каких именно случаях предприятие должно платить налог на доходы в зарубежной стране, можно установить, познакомившись с налоговым законодательством конкретной страны.

Чтобы избежать двойного налогообложения, а также уклонения от уплаты налогов, Эстония заключила соответствующие договоры со многими зарубежными странами. В соответствии с ними доход, получаемый предприятием, как правило, облагается налогом лишь в том случае, если у предприятия возникает в этой стране постоянное место деятельности.

В целях освобождения от уплаты налога с доходов или установления его льготной ставкипредприятие должно доказать, что оно является резидентом страны-партнера, т.е. эстонским предприятием. Справку о резидентности выдает Налогово-таможенный департамент, она действительна в течение трех лет. В то же время, существуют страны, в которых для получения освобождения от уплаты налогов действуют особые регуляции, в таком случае одной справки о резидентности для освобождения от налогов недостаточно.

Налог на доход работника в случае трансграничной деятельности

Уплата налога на доход работника в случае работы в зарубежной стране зависит от условий трудового договора, особенностей деятельности предприятия, а также от того, имеется ли у предприятия в этой стране постоянное место деятельности. Если работник пребывает и работает в зарубежной стране более 183 дней в течение 12 непрерывных календарных месяцев, он обязан уплатить налог с заработанных доходов в стране, в которой он работает.

12.1 Социальный налог

Обычно при оплате социального налога исходят из принципа, согласно которому страна, в которой человек работает, несет ответственность за страхование его здоровья и обеспечивает пенсионное страхование. Если работник предприятия постоянно находится в зарубежной стране, то и социальный налог следует

платить в этой стране.

Если предприятие командирует работника в зарубежную страну, социальный налог надо платить в Эстонии, и у работника должна быть справка, удостоверяющая оплату этого налога. В случае, если справка об уплате социального налога не взята, может оказаться, что социальный налог нужно будет оплатить в зарубежной стране – в соответствии с законодательством этой страны.

Если работник предприятия не находится в зарубежной командировке, но работает одновременно в нескольких странах, в вопросах оплаты социального налога он подчиняется законам той страны, в которой он живет и работает.

12.2 Налог с оборота

Обложение налогом с оборота производится в стране, в которой возникает оборот от продажи товаров или услуг. Как правило, услуги облагаются налогом в стране, где услуга получена, в случае, если ее получает налогообязанное в этой стране лицо или лицо из страны, не входящей в состав Евросоюза, занимающееся предпринимательством. Таким образом, получатель услуги оплачивает налог с оборота в своей стране, т.е. к нему применяется взаимообратное налоговое обязательство. Только в отдельных случаях, например, при оказании услуг, связанных с недвижимостью, за место возникновения оборота принимается физическое местоположение оказания услуги. В различных странах Евросоюза существуют различные ставки на налог с оборота.

В заключение

Налоговая система Эстонии находится в постоянном развитии, вокруг нее ведется непрерывная дискуссия. Так, предметом дискуссии уже долгое время является налог на доходы: следует ли продолжать взимать с дохода так называемый пропорциональный налог или разумнее перейти на так называемый ступенчатый налог. Ступенчатый налог применяется в большинстве стран Евросоюза вследствие того, что его считают более справедливым (кто больше зарабатывает, должен платить и больший налог).

Время от времени злободневной становится тема налога с оборота, особенно часто звучит требование значительно уменьшить ставку этого налога для продовольственных продуктов (как это сделано в большинстве стран Евросоюза). По мнению автора настоящей статьи, так следовало бы поступить еще тогда, когда была восстановлена независимость Эстонии. Теперь изменения в этом направлении вносить уже поздно, поскольку желаемого эффекта, по всей вероятности, достигнуть не удастся (рассчитывают, что произойдет понижение цен на продукты питания), поскольку эффект будет снижен за счет повышения прибыли предприятий торговли. На короткое время цены могут понизиться, но торговые предприятия повысят через некоторое время, доведя до прежнего уровня, и население в длительной перспективе понижения цен не увидит.

По поводу социального налога вносились предложения понизить ставку, причем не на 1-2%, а даже в два раза. Если так, то возникнут проблемы в выплате пенсий и покрытие расходов на здравоохранение. В то же время необходимо учитывать, что в будущем пенсии могут вообще быть упразднены, и людям придется работать дольше, в зависимости от своих возможностей, состояния здоровья, интересов и т.п. В преклонном возрасте не обязательно будет нужно работать не с полной, а с частичной нагрузкой (0,25 … 0,5 …. 0,75 и т.п.). Это привело бы к тому, что уже в молодом возрасте люди стали бы задумываться, как инвестировать или делать накопления таким образом, чтобы в старости, уже не работая, обеспечить себе качество жизни, которое позволяло бы ей радоваться.

Дискуссии ведутся и в части других налогов (имущественный налог, налог на тяжеловесные транспортные средства и др.), и, безусловно, они будут продолжаться.

Литература

1. Eesti ettevõtetele kehtivad maksud. [http://www.qkurvet.ee/eesti-ettevotetele-kehtivad-maksud] 27.03.2016.

2. Maksumäärad 2016. aastal. Raamatupidamisuudised. [http://rup.ee/uudised/maksud-ja-raamatupidamine/maksumaarad-2016-aastal] 27.03.2016.

უმაღლესი განათლება ინტერნეტ-ტექნოლოგიების პირობებში

გურამ ჯოლია
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

განათლების მიღების აუცილებლობა კაცობრიობის განვითარების ყველა ეპოქას ახასიათებდა. ასეა დღესაც, – პოსტინდუსტრიულ, საყოველთაო ცოდნის საზოგადოებაში. თუმცა, მისი მიღების პირობები არსებითად შეიცვალა, რადგან ყოფა-ცხოვრებაში მრავალფეროვანი გაჯეტები აქტიურად გამოიყენება.

არსებული რეალობა განათლების სისტემისადმი სრულიად სხვა მოთხოვნებს აყენებს: იცვლება განათლების მიღების ფუნდამენტური პარადიგმა (ინფორმაციის ფლობა). წინა პლანზე გამოდის ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების გააქტიურება და უნარები, ანუ „უმწიფრობიდან გამოსვლა“.

თავის მხრივ, ყოველდღიურად ძლიერდება ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებიც. მრავალ სფეროში ადამიანს რობოტი ჩაანაცვლებს. შეიცვლება თვით დასაქმების სფეროებიც.

ტრანსფორმირდება უმაღლესი სასწავლებლები და მათი აქტიორების (პროფესორი, სტუდენტი) პრიორიტეტები. უნივერსიტეტები ვირტუალურ სტრუქტურებად გარდაიქმნება, ხოლო პროფესორი ცოდნის შეფასების პროცესიდან გამოეთიშება და ცოდნის მიმწოდებლად, კონსულტანტ/მრჩევლად დარჩება. გააქტიურდება სტუდენტის ძალისხმევა თვითგანათლების მიღების მიმართულებით, საკუთარი განათლების დაგეგმვასა და კონსტრუირებაში.

საკვანძო სიტყვები: ალტერნატივა, ადაპტაცია, აუგმენტაცია, გაჯეტი, გენერაცია, ევრისტიკა, ექსპონენციალური, ინტელექტი, ინტერნეტ-ტექნოლოგიები, ინფორმაცია, კორელაცია, კრიზისი, მაიევ-ტიკა, მოდერნიზაცია, ნანოტექნოლოგიები, პარადოქსი, პილარი, პროგრესი, პანოპტიკუმი, რობოტი.

Higher Education in the Age of Internet Technologies

Guram Jolia
Professor at GTU

Summary

The need to acquire education has characterized every stage in the development of humankind. This interest has never dwindled, - even in the post-industrial society of universal knowledge. However, the means of getting this education have changed substantially with the advent of modern gadgets and increasingly innovative technologies.

This existing reality poses new requirements for educational systems around the globe: the fundamental paradigm (possessing information) of getting an education is being altered, and mental and intellectual capacities and skills of an individual are activated. Therefore, a long-awaited “exodus from immaturity” is taking place.

On the other hand, capabilities of Artificial Intelligence are becoming more diverse and powerful on a daily basis. In many spheres, robots are becoming more compatible with tasks performed by humans and are replacing them on labor markets. Fields of self-employment are being reinvented too.

Institutions of higher education and the priorities of all parties involved are being transformed as well. Universities will turn into virtual structures and professors will move away from the assessment and evaluation process, opting instead for their roles as providers of knowledge, as consultants, as advisors, counselors, and creators of tools that can create new knowledge. Students will increase their efforts in acquiring, structuring, and planning their education independently.

Keywords: alternative, adaptation, augmentation, gadget, generation, heuristics, exponential, involution, intellect, internet technologies, information, correlation, crisis, modernization, nanotechnologies, paradox, pillar, progress, panopticon, robot.

შესავალი

საზოგადოების წევრთა განათლება ყველა ეპოქაში აქტუალური იყო. ჯერ კიდევ საკაცობრიო კულტურის უბადლო შემოქმედის – ანტიკური საბერძნეთის გამორჩეული გონების დიდი მოაზროვნეების: სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს მეცნიერული კვლევის სფერო ადამიანის შესაძლებლობების შეცნობა და განვითარება გახლდათ. ისინი პროგრესის გზაზე მიმართულების მაჩვენებლებს წარმოადგენენ. მათი მოღვაწეობის შინაარსს რაც უფრო ვწვდებით, მით უფრო ემატება სიღრმე და ბრწყინვალება. რაც დრო გადის, მით უფრო ნათლად ჩანს მათი ფასდაუდებელი ღვაწლი კაცობრიობის განვითარებაში. კერძოდ, სოკრატეს აზრით, რომელიც კაცთა სიკეთისაკენ მიდრეკის დიდი უნარით იყო დაჯილდოებული, უზენაესი სიკეთე, სათნოება თვითშეგნებაა. ამიტომ საკუთარი თავის შეცნობა უმაღლეს მორალურ კანონად მიაჩნდა. მისი შეგონება დღესაც უკვდავია: **„შეიცან თავი შენი, თუ გინდა სრულყოფილი პიროვნება გახდე“.** მან დაამკვიდრა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების კვლევის ორიგინალური მეთოდი (მაიევტიკა[1]), როცა მოსაუბრეს, უსასყიდლოდ, დიალოგის რეჟიმში, ბებიაქალივით ცოდნას აბადებინებდა;[2] იდეების მოძღვრების ფუძემდებელ პლატონს ხიბლავდა ინდივიდის სწრაფვა შემეცნებისაკენ, **„სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ“**;[3] არისტოტელეს კი, როგორც „ყველაზე უნივერსალური აზროვნების მქონე ადამიანს“ (ენგელსი), რომლის შეხედულებები დღესაც ღირებულია, ინდივიდის ნიჭითა და უნარიანობით გამორჩეულობა აინტერესებდა. იგი ხალხს არ თვლიდა ერთფეროვან მასად, არამედ მასში ამჩნევდა დიფერენციაციას ბუნებრივი მონაცემების, უნარის, ენერგიის, ნიჭიერების მიხედვით და ფიქრობდა, რომ **„ასეთი ადამიანი, როგორც ღმერთი, ისე არსებობს ადამიანთა შორის“**. დიდი მოაზროვნე თვლიდა, რომ **„ბუნებრივად ადამიანის იარაღს წარმოადგენს გონიერება“**.[4] ამიტომ არსებითად მიიჩნევდა ინდივიდის აზროვნების გაძლიერებას, აქტიურ გონებრივ ქმედებას და მის მარადიულ ლტოლვას ცოდნის დასაუფლებლად.

კაცობრიობის ცივილურ განვითარებაში რევოლუციური იყო ევროპელი პირველი მესტამბის იოჰან გუტენბერგის მიერ XV საუკუნეში, ბისოციაციის პრინციპით, საბეჭდი დაზგის გამოგონება. წიგნის გამოგონებამ ადამიანის აზროვნება რადიკალურად შეცვალა. მახსოვრობას ჩინებული „ყავარჯნები“ გამოუჩნდა. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც წიგნისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ. ისინი წიგნს საშიშად თვლიდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მას არ შეუძლია მკითხველის არჩევა და უცნობია თუ ვის ხელში აღმოჩნდება მასში მოცემული ცოდნა.

მოგვიანებით, „გონების ხანის“ ეპოქაში (XVIII ს.), განათლებისადმი მზრუნველობა ევროპაში დიდი ჰუმანისტ-განმანათლებლების, კერძოდ, ვოლტერის, დიდროს, რუსოს, მონტესკიეს, ჰოლბახის, დ'ალამბერისა და სხვათა, პროგრესული იდეებისა და მეტად სარისკო ძალისხმევის გამო, არსებითად გაძლიერდა. ისინი ებრძოდნენ იმ პერიოდში საყოველთაოდ გამეფებული არცოდნის სიბნელეს,[5] სამყაროს ცენტრში ადამიანს აყენებდნენ, ადამიანში კი, ყველაზე ფასეულად გონებას თვლიდნენ.

შემთხვევითი არც ისაა, რომ ქრისტიანები პირჯვრის გამოსახვას შუბლიდან ანუ გონებიდან იწყებენ, რამეთუ გონებაა ადამიანში ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი. განათლება კი ადამიანის გონებას აძლიერებს და ცვლის კიდეც, მეტწილად აკეთილშობილებს.

კლასიკური გერმანული ფილოსოფიის ფუძემდებელი იმანუელ კანტი ადამიანად შეფასების მთავარ კრიტერიუმად განათლებას თვლიდა: **„ადამიანები ვხდებით მხოლოდ განათლებით“**[6] და განმარტავდა, რომ **„განმანათლებლობა ესაა ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია. უმწიფრობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმარო“.** [7]

დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის განათლებულობის დანიშნულება საოცარი სიზუსტით განსაზღვრა „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ავტორმა თომას ჯეფერსონმა: **„ერი, რომელსაც სურს იყოს თავისუფალი და უცოდინარი, არასდროს იქნება თავისუფალი“**.

განათლებულობისადმი ყურადღება აზიურ სივრცეშიც უძველესი დროიდან მეტად ძლიერი იყო, რაზეც კარგად მეტყველებს ძველი ჩინური ანდაზა: **„თუ გეგმავ ერთი წლით, დათესე ბრინჯი; თუ გეგმავ ათი წლით, დარგე ხე; თუ გეგმავ მთელი სიცოცხლე, ასწავლე ხალხს“**.

II მსოფლიო ომის შედეგად ეკონომიკურ-პოლიტიკურად განადგურებულ-დაკნინებული იაპონია განათლების სისტემაში განხორციელებულმა კარდინალურმა რეფორმებმა გამოიყვანა კრიზისიდან და თანამედროვე მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ აქცია.

განათლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ

1 შეკითხვების დასმის გზით ადამიანის ფარული ცოდნის გამომჟღავნების პედაგოგიური მეთოდი. „ნადიმში“ სოკრატე ამტკიცებს, რომ მოწაფე არ არის ცარიელი ჭურჭელი, რომელიც მასწავლებელმა ცოდნით უნდა აავსოს: „კარგი იქნებოდა, რომ სიბრძნე იყოს წყალივით, რომელიც ყოველთვის გადადინდება სავსე თასიდან ცარიელში, როდესაც მას ტყავის ძაფზე გაატარებენ“.

2 ქსენოფონტი. (1973). მოგონებები სოკრატეზე. სოკრატეს აპოლოგია. თბ., „თსუ“, გვ. 13.

3 პლატონი. სახელმწიფო. წიგნი VII. გვ. 50.

4 არისტოტელე (1995). პოლიტიკა. ნაწილი პირველი. თბ., „სამშობლო“, გვ. 13.

5 ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე არსებობდა თეორია, რომელიც მიიჩნევდა, რომ ბევრი სწავლა მავნებელია.

6 თევზაძე გ. (1974). იმანუელ კანტი. „თსუ“, გვ. 19.

7 კანტი ი. (2014). პასუხი შეკითხვაზე: რა არის განმანათლებლობა?//შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. წიგნი II. თბ., „ილიაუნი“, გვ. 60.

მაგალითებისა და ანალოგიების ჩამოთვლა კიდევ მრავლად შეიძლება. თუმცა ესეც საკმარისია.

დღეს სხვა დროა. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ ჩვენი ცხოვრება არსებითად შეცვალა, რამაც საგანმანათლებლო სისტემის ღრმა კრიზისი გამოიწვია, შესაბამისი პარადოქსები წარმოშვა და განათლების წინაშე ახალი და მნიშვნელოვანი ამოცანებიც დააყენა, რაზეც ადრე ვრცლად ვისაუბრეთ.[8]

ახალი სასიცოცხლო გარემო განსხვავებული მიდგომების განათლებას საჭიროებს.

უნდა ვიზრუნოთ მომავალზე და არა ვიტიროთ წარსული, რომელიც არასდროს დაბრუნდება.

მომავალზე ზრუნვა ნიშნავს განათლების სწორი მიმართულებით წარმართვას.

ძირითადი ნაწილი
განათლების მოდერნიზაცია და მომავლის საგანმანათლებლო სისტემა

წინანდელთან შედარებით განათლების მიღების დღევანდელი პირობები არსებითად შეცვლილია, რაც განაპირობა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, რომელთა შესაძლებლობები ექსპონენციალურად იზრდება, ჩვენი ინტელექტუალური უნარები უმნიშვნელოდ დიდდება (ზოგჯერ მცირდება კიდეც), ბიოლოგიური კი, – უცვლელი რჩება.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ, ასეთ ვითარებაში განვითარებულ სამყაროში ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება ყალიბდება.

საქმე იმაშია, რომ ცოდნის არსი არსებითად იცვლება.

სამწუხაროდ, ადამიანი ბუნებით მიდრეკილია განცხრომისა და სიზარმაცისაკენ. ამიტომ დასაბამიდან ცდილობს ცხოვრება როგორმე შეიმსუბუქოს, რისთვისაც იგონებს ახალ-ახალ იარაღებს, მოწყობილობებს (დღევანდელი ტერმინით, – გაჯეტებს) და ამით, იგი, თანდათან, უტყვი ტექნიკის შესაძლებლობებზე დამოკიდებული, მისი მონა-ტუსაღი ხდება.

ეს ობიექტური პროცესი, რომელსაც ორი ვექტორი აქვს – ტექნიკის განვითარება და ადამიანის ცხოვრების შემსუბუქება – მომავალში არათუ შეჩერდება ან შენელდება, პირიქით, მეტად განვითარდება, რადგან ინტერნეტ-ტექნოლოგიების სამერმისო შესაძლებლობები უფრო გაძლიერდება.

არსებითია ის ფაქტიც, რომ საძიებო სისტემის მსოფლიო გიგანტმა, კომპანია ჩოოგლე-მა ახლებურად „გააცოცხლა“ XVIII საუკუნის ინგლისელი სოციოლოგისა და ფილოსოფოსის, „მასობრივი კეთილდღეობის“ თეორიის ავტორის, იერემია ბენტამის პანოპტიკუმის[9] შექმნის იდეა, – ოიკუმენი (მსოფლიო) გამჭვირვალე გლობალურ-ვირტუალურ უსაზღვრო სივრცედ გადააქცია.

2016 წლის ივლისში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოიწონა რეზოლუცია ინტერნეტში ადამიანის შეღწევის უფლებისა და მისი დაცვის მექანიზმების შესახებ (ქსელში ადამიანის უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა, მომხმარებლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, დაშორებული განათლების მიღების მნიშვნელობა და სხვ.).

ინფორმაციულ ტექნოლოგიებს კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზე გადაჰყავს. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, ადამიანთა გონებრივი განვითარების საშუალო დონე (IQ-ინტელექტუალობის კოეფიციენტი) კლებულობს, განსაკუთრებით მამაკაცებში.[10]

ბუნების კანონია: ქმედება იწვევს უკუქმედებას.

ხელოვნური ინტელექტის ევოლუცია ხომ არ იწვევს ადამიანთა ინვოლუციას?

ასეთ ვითარებაში როგორი იქნება მერმისში საგანმანათლებლო სისტემა?

ცნობილი პედაგოგი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი, მითიო კაკუ თვლის, რომ მალე განათლება ისეთ ინტერნეტ-ტექნოლოგიებსა და გაჯეტებს დაეყრდნობა, როგორიცაა „გუგლის სათვალეები“ (Google Glasses), რაც დიამეტრულად შეცვლის განათლების სფეროს და მისი მთავარი აქტიორების (სტუდენტი, პროფესორი) პრიორიტეტებს.

ბრძენი პლატონი საყოველთაო, უწყვეტ განათლებას ანუ სიბრძნისაკენ აღმასვლით სწრაფვას არსებითად თვლიდა: **„სული უნდა შევაბრუნოთ ბინდისფერი დღიდან ჭეშმარიტებით გაბრწყინებული დღისაკენ“,**[11] ხოლო იმის მიმართ, რომელიც ჭეშმარიტ ცოდნას უკვე ეზიარა, მიიჩნევდა: **„ვინც ამ სიმაღლეს მიაღწია, უკვე აღარ შეუძლია ხელი მიჰყოს კაცთა ჩვეულებრივ საქმიანობას, რადგან მისი სული გამუდმებით მიელტვის მხოლოდ სიმაღლეს“**.[12]

საყურადღებო მოწოდებების მიუხედავად, სამწუხაროდ, **განათლების თანამედროვე მოქმედი სისტემა ახალ გამოწვევებს ვერ პასუხობს, რადგან მისივე ბუნებაში არსებული ინერტულ-კონსერვატიულობის გამო ტექნოლოგიურ პროგრესს დიდად ჩამორჩება.**

განათლების სისტემის ინერტულობას განაპირობებს თვით ადამიანთა მსოფლმხედველობითი ბუნება. ბრძენთაბრძენი ლაო-ძის აზრით, მათ **„განახლება არ სურთ, ისინი კმაყოფილდებიან ძველით“,**

8 ჯოლია გ. თანამედროვე განათლების მიღების აუცილებლობა და მსოფლიო კრიზისი. მე-3 საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. თბილისი, ქუთაისი, სტუ, აწსუ, 2015, 17-18 ოქტომბერი. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2015. №3; ჯოლია გ. SMART-კიბერუნივერსიტეტი – ინდუსტრიული რევოლუცია-4.0-ის შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო მოდელი. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. თბ., 2016. №1-2; ჯოლია გ. კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება. მონოგრაფია. თბ., 2016. გვ. 91-98.

9 ბერძ. pan ყველაფერი და optikos მხედველობითი.

10 IQ-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ამერიკელ მწერალს, ქალბატონს მერილენ ვოს სავანტს (228 ერთეული). იგი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი.

11 პლატონი. სახელმწიფო. წიგნი VII. გვ. 56.

12 პლატონი. სახელმწიფო. წიგნი VII. გვ. 51.

რადგან წარსულ გარემოში უფრო მშვიდად და კომ-ფორტულად გრძნობენ თავს.

საერთაშორისო კვლევებით დასტურდება, რომ ადამიანთა, დაახლოებით, 65% სტერეოტიპულად აზროვნებს, 25%-ს ცვლილება სურთ, ხოლო მხოლოდ 5-6%-ს ძალუძს ახალი სტრეოტიპების საწარმოებლად ახალი პრინციპების შექმნა.

ამიტომაც არის უმუშევრობის დონე, ზოგადად, ასეთი მაღალი.

თანამედროვე იაპონელი სოციოლოგის ენძი მასუდას აზრით, ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში განათლების სისტემა შინაარსობრივად იცვლება.[13]

ნიშნავს თუ არა ყოველივე იმას, რომ განათლების სისტემის კრიზისი თავისით მოგვარდება?

რა თქმა უნდა, არა.

აუცილებელია ღრმად გავაცნობიეროთ, რომ კრიზისშია არა მარტო მსოფლიო განათლების სისტემა, არამედ თვით სწავლების ფუნდამენტური პარადიგმა – ცოდნის დამახსოვრება.

ნიშანდობლივია ფრანგი პოეტის პოლ ვალერის შეფასება: „ადამიანის გონებას არ შეუძლია აითვისოს ყოველივე ის, რაც შექმნა კაცობრიობის გონებამ“. თანამედროვე პირობებში ინფორმაციის ნაკადი ყოველწუთიერად იზრდება. აღნიშნული ვითარება მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. ამიტომაც ნათლად წარმოჩნდა ცოდნის ერთიანი კომპლექსის შექმნის აუცილებლობა. სხვა წაკითხვით: რა და როგორი დოზით უნდა იცოდეს ინდივიდმა, რომ ღირსეულად შეძლოს თანამედროვე სწაფცვალებად პირობებში მუშაობა.

ვფიქრობთ, რომ აუცილებელია უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემის მოდერნიზაცია, რადგან, მეტწილად, იგი მომავლის სპეციალისტებს ვერ ამზადებს. ადამიანი იმისთვის სწავლობს (რა თქმა უნდა, ვინც სწავლობს), რომ საზოგადოების ღირსეული წევრი გახდეს, დასაქმდეს, ნორმალური (შესაბამისი) ანაზღაურება მიიღოს და ღირსეულად იცხოვროს. არათუ ძველი, სამწუხაროდ, ხშირად, ახალი კურსდამთავრებულებიც სათანადოდ ვერ პასუხობენ დღევანდელ და, მით უფრო, ვერ უპასუხებენ ხვალინდელ მოთხოვნებს, რადგან ამაოდ მაშვრალ-ნაჯაფნი, უმეტესად, არაეფექტური ინტელექტუალური ინსტრუმენტებით (სწაფცვალებადი ინფორმაციით) და არა კრეატიულ-კოგნიტური (შემოქმედებით-შემეცნებითი) უნარებით არიან აღჭურვილნი. ასეთი განათლება უფრო კვაზია, ვიდრე ჭეშმარიტი.

მხოლოდ ინფორმაციის დამახსოვრებაზე ძირითადი აქცენტის გადატანა, გარდა იმისა, რომ ეს ინფორმაცია სწრაფად ძველდება და უვარგისი ხდება, თანამედროვე განათლებას ვერ იძლევა, რადგან ადამიანის მახსოვრობაზეა უპირატესად ორიენტირებული. ყურადღების მიღმა რჩება დღევანდელ პირობებში უმთავრესი – ინდივიდის კრეატიულ-კოგნიტური უნარ-შესაძლებლობები.

13 Masuda Y. (1983). The Information Society as Postindustrial Society. Washington: World Future. Soc., 171 p.

მოცემულ კონტექსტში მართებულია გავაცნობიეროთ არისტოტელეს ენთიმემა: **„ბუნებრივი სჯობია შეძენილს, რადგან მისი მოპოვება ძნელია“**.[14]

მართალია ჯანსაღი გონების ადამიანის სული ბუნებრივად მიილტვის განათლებისკენ, მაგრამ თანამედროვე განათლების მიღება ყველას არ შეუძლია (გავიხსენოთ არისტოტელეს მიერ ადამიანთა დიფერენციაცია მათი უნარების მიხედვით). ყოველი ადამიანი სხვებისგან განსხვავდება ნიჭიერებით, გონებრივი შესაძლებლობებით. სწავლის მსურველს შინაგანად, ბუნებრივად, პოტენციურად უნდა ჰქონდეს ისეთი უნარები, რაც სწავლის პროცესში მართებული წვრთნით გაღრმავდება, განვითარდება და სრულყოფილი გახდება. ამით რეალურად გაცნობიერდება ჩვენში დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა – საყოველთაო უმაღლესი განათლების „მიღება“ თუ „არ მიღება“.

ჩვენი ვარაუდით, სწორედ ადამიანის თანდაყოლილ უნარებს გულისხმობდა ძველი ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი, როცა უპირატესობას ანიჭებდა ბუნებით შობილ ცოდნაზე, იმ ცოდნაზე, რაც ღრმად ინდივიდუალურ-სპეციფიკურია, რომელსაც ვერავითარი წიგნიერი განსწავლით ვერ შევიძენთ.[15] ბრძენი პლატონი (შეიძლება სოკრატე) ნანობდა: **„ნეტავი, ორი სულის სიახლოვით მართლაც შეიძლებოდეს ერთი სულიდან მეორეში სიბრძნის გადასხმა, ისევე როგორც წყალი გადაისხმება სავსე თასიდან ცარიელში, როცა მათ მკედით შეაერთებენ ხოლმე.**“[16]

უდავოა, რომ ყველა სპეციალობას შესაბამისი უნარები სჭირდება, თუმცა, უფრო თვალსაჩინოდ, იგი ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროებში ვლინდება.

ადამიანთა უმრავლესობის პრობლემა ისაა, რომ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად რამეს გაკეთება, განსხვავებულის, კრეატიულის შეთავაზება, ანუ **„უმწიფრობიდან გამოსვლა“** (კანტი), მათივე საქმიანობაში ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის აღება. მათთვის, სიზარმაცისა და მსოფლმხედველობითი ინერტულობის გამო, **„უმწიფრობაში ყოფნა ძალზე კომფორტულია“** (კანტი), რადგან „კეთილმოწყობილ ჭაობში“ არიან და არ სჭირდებათ ძალისხმევის გაძლიერება, თავის შეწუხება, არ სჭირდებათ შემოქმედებითი აზროვნება. ამიტომ უსიტყვოდ ემორჩილებიან სხვებს და, სრულიად ბუნებრივია, – შედეგებზეც პასუხისმგებლობას მათ აკისრებენ.

არისტოტელე, რომლის „ხმა საუკუნეებს გაწვდა“ (ენგელსი), ასეთ ადამიანს, ფართო მნიშვნელობით, მონას უწოდებდა: **„მონაა ის ვინც...ეკუთვნის არა თავის თავს, არამედ სხვას**“.[17] **„იგი აზროვნებს იმდე-**

14 არისტოტელე (1981). რიტორიკა. თბ., თსუ, გვ. 61.

15 ლაო-ძი (1983). დაო დე ძინი. სიბრძნე სიკეთისა და სათნოებისა. თარგმანი ლ. ალიმონაკისა. თბ., „საბჭოთა საქართველო“, განმარტებები. გვ. 150.

16 პლატონი. (1964). ნადიმი. თბ., „საბჭოთა საქართველო“. გვ. 14.

17 არისტოტელე (1995). პოლიტიკა. ნაწილი პირვე-

ნად, რამდენადაც შეიგრძნობს და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი მას არა აქვს".[18]

პავლე მოციქულის ეპისტოლეში არის საყურადღებო მოწოდება: „**ნუ გახდებით ადამიანთა მონები**".[19]

უმწიფრობაში ყოფნა, ნებსით თუ უნებლიეთ, ფაქტობრივად არის ნებაყოფლობითი მონობა. ამიტომაც გვაფრთხილებდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი: „**უმწიფრობა ყველაზე უფრო საზიანო და ღირსების შემლახველია**".[20]

კარგი გაგებით, უნდა „**ვემონოთ**" მხოლოდ კანონებს. ეს არის ჩვენი ხსნა, ყველაზე მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობა და ნამდვილად ჭეშმარიტი თავისუფლება.

წმიდა ილია მართალი ბრძანებდა: „**ისეთი მორჩილებისა მწამს, სადაც გონება უფალია**".

პლატონი მკაფიოდ მიგვანიშნებდა: **„განათლება სულაც არ არის ის, რაც ზოგ-ზოგიერთებს ჰგონია, ვისი მტკიცებითაც გაუნათლებელ სულს თითქოს ისე უნდა ჩავუნერგოთ განათლება, როგორც უსინათლო თვალს – ხედვის უნარი**". და კიდევ: **„სწორედ აქ ვლინდება მოქცევის ხელოვნება,... სწორედ აქ გვმართებს ძალისხმევა, რომ მისი მზერა სწორად მივმართოდ**".[21]

მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების სისტემის მეორე მთავარი სუბიექტის – პროფესორის საკითხიც. ახლებურ (შეცვლილ, მოდერნიზებულ) განათლებას სათანადო მომზადებისა და უნარების კადრები სჭირდება. ამ სიტუაციაში უპრიანია გავიხსენოთ ბრძენი პლატონის სიტყვები: **„სხვას ვერ ასწავლი, ვერც მისცემ მას, რაც თვითონ არ იცი, ან არ გაგაჩნია**".[22]

ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი ცალკე ღრმა კვლევის საგანია.

ახალ რეალობაში, ანუ თანამედროვე სწრაფგანვითარებად ინტერნეტ-ტექნოლოგიების პირობებში, ტრადიციული განათლების ფუნდამენტური პარადიგმა – ადრინდელი ინფორმაციის ფლობა, როგორც პილარი – აზრს კარგავს, რადგან დღევანდელი ინფორმაცია მალე ძველდება, ხოლო ახალი ინფორმაცია ყველასათვის უპრობლემოდ ხელმისაწვდომი ხდება.

აღნიშნულით არსებითად იცვლება თვით ცოდნის იდეის არსი. თანამედროვე გაგებით, ცოდნაში (განათლებაში) არა რაიმე ინფორმაციის დამახსოვრება, არამედ ადამიანის შემოქმედებით-შემეცნებითი აზროვნება და მისგან გამომდინარე შესაძლებელი უნარები მოიაზრება.

მომავალში განათლების მიღება ინფორმაციის დამახსოვრების ხარისხს აღარ დაეფუძნება. ერთი მხრივ, აღარ იქნება საჭირო ტვინის გადატვირთვა უსარგებლო (ძველი) ინფორმაციით, რომელთა უდიდესი ნაწილი მიწყივ დავიწყებას ეძლევა ხოლმე. მეორე მხრივ, ტვინის გონებრივი რეზერვი ორიენტაციას შეიცვლის კრიტიკული აზროვნების მიმართულებით, **„... რომელიც არ ექვემდებარება წარმოშობითა თუ ხრწნილებით გამოწვეულ ცვალებადობას**".[23] წინა პლანზე გამოვა დემოკრატისეული მიდგომა: „**კაცი ღრმა აზროვნებას უნდა ესწრაფოდეს და არა ღრმა ცოდნას**".

ამერიკელი მეცნიერ-ფსიქოლოგის მიჰაი ჩიქსენთმიჰაის „**ოპტიმალური მდგომარეობის მოდელით**", ადამიანის განვითარებისათვის საუკეთესოა „ღელვის" სიტუაცია (როცა მის წინაშე რთული ამოცანები დგას და დახელოვნება-კვალიფიკაციის დონე დაბალი აქვს). სწორედ ამ დროს არის საჭირო გონებრივი ძალისხმევის გაძლიერება, თვითგანვითარებისათვის უკომპრომისო სწრაფვა.[24]

მხოლოდ აზროვნების გააქტიურებით ვითარდება ადამიანი, სწრაფცვალებადი ინფორმაციის დამახსოვრებით კი, მისი გარჯა უკვალოდ იკარგება. საყურადღებოდ ბრძანა ცნობილმა ქართველმა ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა: **„ადამიანი არ არის აღზრდის სუბიექტი, ადამიანი არის განვითარების სუბიექტი**". განვითარებაში კი, უპირველესად, აზროვნების გაძლიერება მიიჩნევა.

მუდამ უნდა გახსოვდეს დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწეთა უკომპრომისო შეგონებანი:

დიმიტრი უზნაძე: **„აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება – აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ, და თუ რამ გვჭირია, ყოვლის უწინარეს, აქტიური ხასიათია ჩვენთვის საჭირო**".

ილია ჭავჭავაძე: **„ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი და გულანთებული კაცები არ ჰყავს."**

ჩვენი აზრით, მათი საყურადღებო მოწოდება-შეფასებები – **„აქტიური ხასიათი**" და „**გონებაგახსნილი**" – ინდივიდის კოგნიტურ-კრეატიულ უნარებს გულისხმობს.

დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, ადამიანის „**მზერის სწორად მიმართვით**" (პლატონი), ანუ სწრაფდაძველებადი ინფორმაციის ფლობიდან კრეატიულ აზროვნებაზე და მისგან გამომდინარე ევრისტიკული უნარების ფლობაზე გადასვლით, გონიერი ინდივიდი მეტ დამოუკიდებლობას მოიპოვებს, „**გამოვა უმწიფრობიდან**" (კანტი), არა იძულებით, არა-

ლი. თბ., „სამშობლო", გვ. 15.

18 არისტოტელე (1995). პოლიტიკა. ნაწილი პირველი. თბ., „სამშობლო", გვ. 16.

19 პირველი წერილი კორინთელთა მიმართ. ახალი აღთქმა და ფსალმუნი. (1985). მე-3 გამოცემა. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი. გვ. 438.

20 კანტი ი. (2014). პასუხი შეკითხვაზე: რა არის განმანათლებლობა?//შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. წიგნი II. თბ., „ილიაუნი", გვ. 60.

21 პლატონი. სახელმწიფო. წიგნი VII. გვ. 52.

22 პლატონი. (1964). ნადიმი. თბ., „საბჭოთა საქართველო". გვ. 43.

23 პლატონი. სახელმწიფო. წიგნი VI. გვ. 10.

24 Чиксентмихайи Михай. (2016). Поток: Психология оптимального переживания. М., «Альпина нон-фикшн», 520 с.

მედ შეგნებით გააძლიერებს თვითსწავლისაკენ ვნებიან ლტოლვას, რეალურად გაიაზრებს – რა სახის უნარები სჭირდება დღეს ან უსათუოდ დასჭირდება მომავალში, ყოველდღიური ინტენსიური მუშაობით თვითგანათლებას მეტი პასუხისმგებლობით, მონდომებით, სიყვარულითა და შეგნებით მოეკიდება; გააცნობიერებს, რომ განათლების სისტემაში ის არის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ფიგურა. მისი გონებრივი განვითარება არა რაიმე მყისიერ შედეგზე, არამედ თვითგანათლებაზე, როგორც პროცესზე, იქნება ორიენტირებული. ამით თავის მომავალს თვითონ შეიქმნის, შედეგად მეტ კმაყოფილებას მიიღებს და, როგორც ბრძენი სოკრატეს ამბობს, –**„უფრო უკეთესი და ხალისიანი გახდება“**.[25]

საჭირო აღარ იქნება მაკონტროლებელ-შემფასებელი სუბიექტი და გამოირიცხება ამ პროცესის მარად თანამდევი სუბიექტურ-ნეგატიური ასპექტები.

ყოველი ადამიანი ნებისმიერი სახის კონსულტაციას ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მოწყობილობების, ე.წ. „გონიერი“ გაჯეტების საშუალებით მიიღებს, რომლებიც ყველგან (სახლში, ოფისში, ქუჩაში) დამონტაჟდება. საკმარისია „ჰკითხოს“: ამ საკითხზე მსურს კონსულტაცია და ეკრანიდან მყისვე მიიღებს უახლოესს ინფორმაციას. ასეთი საკონსულტაციო სისტემა დაინერგება განათლებაში, მედიცინაში, სამართალში... რა თქმა უნდა, რეალური სპეციალისტებიც იქნებიან საჭირო, მაგრამ, მრავალი პრობლემა ვირტუალურ რეალობაში ოპერატიულად გადაწყდება.

განათლების სისტემა ინდივიდის თვითგანათლებაზე, მოკლევადიან ონლაინ-სწავლებაზე გადაერთვება. უნივერსიტეტები შენარჩუნდება, მაგრამ, უპირატესად, ვირტუალურ სტრუქტურებად გადაკეთ-დება. **გონიერმა ადამიანმა საკუთარი ძალებით უნდა შეძლოს თავისი განათლების კონსტრუირება**. თუმცა, სამწუხაროდ, ზოგადად, `Homo sapiens“-ი მკაცრი ზედამხედველობის გარეშე მონდომებითა და თვითშეგნებით სწავლას ჯერ კიდევ ვერ მიეჩვია. ამ კონტექსტში უპრიანია ჰერაკლიტეს მაქსიმა: **„ნახირს საძოვარზე კეტებით მიერეკებიან“**, ანუ ზრდასრული ადამიანის საკეთილდღეოდ, მისდა სავალალოდ, დღესაც (XXI საუკუნეში! საყოველთაო ცოდნის საუკუნეში!) საჭიროა იძულებითი ზომების მიღება. თუმცა, ასეთი ქმედებიდან მოსალოდნელი შედეგები ნაკლებად ეფექტურია.

უსარგებლობის გამო, აზრს მთლიანად დაკარგავს (ნაწილობრივ დაკარგული აქვს კიდეც) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ე.წ. უვადო დიპლომი, რომელსაც სასერტიფიკაციო ცენტრის მოკლევადიანი მოწმობა შეცვლის. საკვალიფიკაციო გამოცდები ინდივიდის კომპეტენტურობების, ანუ უნარების შეფასებით ჩაბარდება, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიების დახმარებით ტრანსფარენტულად მოხდება. ცოდნის შეფასებაში პროფესორის ჩართულობა გამოირიცხება. პროფესორი გახდება ახალი და ღირებული ცოდნის მხოლოდ მიმწოდებელი, კონსულტანტი, მრჩეველი და არა მისი ათვისების დონის შემფასებელი. ამით, ჯერ ერთი, შეფასების კომპონენტში სუბიექტური ფაქტორი გამოირიცხება, და მეორე, პროფესორის ძალისხმევა ცოდნის (მეტწილად, კრეატიულ-კოგნიტური აზროვნების გამააქტიურებელი თეორიულ-პრაქტიკული ქეისების) მიწოდების პერმანენტულ განახლებაზე უფრო გაძლიერდება.

ცივილიზებულ საზოგადოებაში ინდივიდის კომპეტენტურობის უნიფიცირებული ქულების სკალა დაინერგება, რაც სოციუმში გარკვეული მდგომარეობის შემფასებელი და შესაბამისი თანამდებობის მოთხოვნებთან და დასაქმებასთან კორელაციაში იქნება.

დაუჯერებელია?

ზოგისთვის კი, ზოგისთვის – არა.

პესიმიზმი მეტად მოდურია, თუმცა, განვითარებისათვის ოპტიმიზმი უფრო სასარგებლოა.

ოპონენტებს მორიდებით შევახსენებთ, რომ არცთუ შორეულ წარსულში ვერავინ წარმოიდგენდა ინტერნეტ-ტექნოლოგიების ასეთი ტემპებითა და მასშტაბებით განვითარებას.

ცხოველების მსგავსად ჩვენც ვიკვებებით და ვმრავლდებით. ჩვენ შორის მთავარი განსხვავება, აზროვნებასა და მეტყველებასთან ერთად, იმაშია, რომ ერთმანეთს ვაწვდით ცოდნას: სასურველ ინფორმაციას გადავცემთ როგორც ვერტიკალურად (მაგ., შთამომავლობას), ისე ჰორიზონტალურად (მაგ., მსმენელებს/სტუდენტებს). ამიტომაა ადამიანებში განვითარების დინამიკა ასეთი შთამბეჭდავი. კაცობრიობის განვითარება მხოლოდ ცოდნას (განათლებას) ეფუძნება. ცოდნაა მისი პროგრესის უმთავრესი და ულევ-უშრეტი რესურსი.

განათლებამ განავითარა კაცობრიობა და შექმნა თანამედროვე ცივილიზაცია.

ცნობილი რუსი მეცნიერი სერგეი კაპიცა თვლის, რომ დღევანდელი თაობა საკუთარ „სამყაროში“ ცხოვრობს. ეს ტენდენცია მომავალშიც ასე გაგრძელდება, იმ განსხვავებით, რომ ახალი „სამყარო“ გაცილებით ხანმოკლე იქნება. ასეთ პირობებში წინა ეპოქათა ცოდნითი მემკვიდრეობა (დაგროვილი დიდძალი ინფორმაცია) უფრო ნაკლებად საჭირო გახდება.[26]

თავის მხრივ, პესიმისტებიც „მართლები“ არიან, რადგან მათი საზოგადოებრივი განწყობები და ფასეულობები, „განვითარების“ იმ რეალობასთან იყო ორგანულად შეგუებულ-შეწყობილი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ იცვლებოდა. ახლა სრულიად სხვა გარემოა, სხვა დროა, ყველაფერი იცვლება და, თანაც, ძალიან სწრაფად. ამიტომ, მოცემული პრობლემა მათ არქაულ აზროვნებაშია და არა არსებულ სინამდვილეში.

კაცობრიობა ინტენსიურად ვითარდება. სამყარო,

25 ქსენოფონტი. (1973). მოგონებები სოკრატეზე. სოკრატეს აპოლოგია. თბ., „თსუ“, გვ. 147.

26 http://www.aum.news/nauka/1206-poslednyaya-statya-s-p-kapitsy

რომელშიც ვცხოვრობთ, სულ უფრო რთულდება, რასაც ქმედითად უნდა ვუპასუხოთ, – გავხდეთ უფრო მობილურები, აქტიურები და უნიკალურები, დაუკავშიროთ ერთმანეთს ღირებული იდეები, სოციალური ჯგუფები. ესაა უმაღლესი ჯილდო, ფასდაუდებელი განძი, რისი უნარითაც მხოლოდ ჩვენ დაგვაჯილდოვა ბუნებამ. ამაშია ადამიანის ბედნიერება და არა ხორციელ განცხრომაზე დაუოკებელ სწრაფვაში.

და კიდევ ერთი არსებითი საკითხი: ჩვენი მარად დაუნდობელი „მტერი", – დრო, რომელიც არის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობა, და მისი რაციონალური გამოყენება, არისტოტელეს თქმით, – **„დრო, რომელიც ყოველივეს სპობს, ანგრევს და აშენებს"**.

ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე Facebook-ის დამფუძნებელს, ახალგაზრდა მილიარდელს, მარკ ცუკერბერგს ასეთი შეკითხვა დაუსვეს: „ყოველდღე რატომ ატარებს ერთი და იგივე ტანსაცმელს?" პასუხი: „ტანსაცმლის არჩევა არ არის ის საქმიანობა, რაზეც დავხარჯავ დროს. მე მსურს ცხოვრება გავწმინდო იმ ზედმეტისაგან, რაზეც ფუჭად იკარგება დრო და მთელი ჩემი ყურადღება კომპანიის წინსვლას დაუთმო."

ასეთია თანამედროვე მოთხოვნები წარმატების მისაღწევად.

როგორც ვხედავთ, ცვლილებების დროა!

უპირველესად საჭიროა მენტალობის შეცვლა და გონივრული მოქმედება!

ჩვენი ცხოვრების გარემო ამინდს ჰგავს. ბუნებაში არ არის ცუდი ამინდი. ჩვენ ვცხოვრობთ ასეთ გარემოში და იგი უნდა მივიღოთ როგორც ახალი რეალობა და ფეხი აუწყოთ მის განსხვავებულ მოთხოვნებს. მარად უნდა გვახსოვდეს დიდი ილია მართალის შეგონება: **„ახალი დროის შესაფერისი შრომა და გარჯა გვჭირდება"**, რადგან, როგორც ჩარლზ დარვინი თვლიდა: **„გადარჩება არა ყველაზე ძლიერი ან ყველაზე გონიერი, არამედ ის ვინც სხვებზე უკეთ შეძლებს ცვლილებებთან შეგუებას"**.

ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე ცივილიზებული სამყარო, უპირატესად, კრეატიულ-კოგნიტურ განვითარებაზე გადავა. ამის მაგალითები უკვე შეიმჩნევა. მაგალითად, დღეს დიდი ბრიტანეთისთვის განათლებასა და ხელოვნებას მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე მის მაღაროებსა და ინდუსტრიას. იმ ქვეყნებს, რომლებიც ბაზარს კოგნიტურ-კრეატიული პოტენციალით გააძლიერებენ, წარმატების მეტი შანსი ექნებათ. ის ქვეყნები კი, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას არა ინოვაციური მიდგომებით (რასაც შესაბამისი გარემო და კრეატიული, ანუ დიდი ილიას სიტყვებით – „გონებაგახსნილი" თაობა სჭირდება), არამედ მხოლოდ იმპორტული საქონლის (მეტწილად, სურსათის) ვაჭრობით იმედოვნებენ, სამერმისოდ, სიღატაკისათვის არიან უცილობლად განწირულნი.

ამჟამინდელი მრავალი სპეციალობა მომავალში გაქრება, რადგან დასაქმების სტრუქტურა შეიცვლება. ყველაზე შემოსავლიან-დასაქმებადი ბიო- და ნანოტექნოლოგიების სფერო იქნება. შედეგად ინტელექტუალურ სექტორში სრულიად ახალი სპეციალობები გაჩნდება.

განათლების მოდერნიზაციისათვის საყოველთაო ზრუნვა უკვე დაწყებულია. განსაკუთრებით აქტიურობენ აზიის ქვეყნები. ბრიტანული კომპანია Pearsin-ის მიერ ჩატარებული კვლევებით, რომელიც საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო დაკვირვებებსა და სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გამოყოფილ თანხებს ეფუძნება, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აუცილებელია არა მარტო დაფინანსება, არამედ ზოგადად, საგანმანათლებლო კულტურის ამაღლება და საზოგადოების დამოკიდებულების საფუძვლიანი შეცვლა სწავლისადმი. მათ მიერ დადგენილ რეიტინგში წამყვანი პოზიციები დაიკავეს კორეის რესპუბლიკამ, იაპონიამ, სინგაპურმა და ჰონკონგმა.

ამ მიმართებით ინტენსიურად მუშაობენ ჩინეთშიც. დიდი „ცისქვეშეთი" უკვე დაადგა განვითარების პროგრესულ გზას – **„მსოფლიო ფაბრიკიდან"**, **„მსოფლიო ლაბორატორიისაკენ"**, ანუ ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას.[27] 2015 წლის ბოაოს აზიურ ეკონომიკურ ფორუმზე დაისახა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები, რომლის რეალიზაციაში განსაკუთრებით გამოიკვეთა **„გონებრივი ძალის"** ფაქტორი.[28] ჩინური უნივერსიტეტები (პეკინის, სინხუას, შანხაისა და სხვათა) მსოფლიო საუნივერსიტეტო რეიტინგებში (ტოპ-100) მოწინავე პოზიციებს იკავებენ.

ჩინეთში დაიწყეს ადამიანის გენების სრულყოფა (კორექტირება) – უმთავრესად ყურადღებას ამახვილებენ ინტელექტუალური შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

მისაბაძია კომპიუტერული ინდუსტრიის წანყვანი ფიგურისა და გამომგონებლის, ამერიკული კომპანია Apple-ს თანადამფუძნებლის, სტივ ჯობსის ქვრივის, ლორენ ჯობსის მიერ 2015 წლის სექტემბერიდან დაწყებული უნიკალური, გონიერი და სტიმულირებადი ინიციატივა-პროექტი (საპრიზო ფონდი $50 მილიონი) აშშ-ში ტოტალური სასკოლო რეფორმის შესახებ („XQ Super school project~).

2016 წლის 21 ივლისს საქართველოს მთავრობის სხდომაზე გაცხადდა, რომ ფონდი „ქართუს" დაფინანსებით (სავარაუდოდ $160 მილიონი) საქართველოს 2000-ზე მეტ ქალაქსა და სოფელში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტ-ქსელი შეიქმნება.

ჩვენ მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის ერაში ვცხოვრობთ, რომელსაც ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიკის ეფექტები ახასიათებს. გონივრული განსჯის მთავარი საკითხია დასაქმებაში ადამიანების

27 Андреева Е. Л., Ратнер А. В. (2015). Потенциал БРИКС и ШОС. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №4, С. 114.

28 ჯოლია გ. (2016). გლობალიზაციის ვექტორის ინვერსია და განვითარებადი აზიის ასწლეული. თბ., ჟურნალი „ეკონომიკა". №3-4, გვ. 278-311.

რობოტებით ჩანაცვლება. ამერიკელი მეცნიერების (კ. ფრეი, მ. ოსბორნი, ნ. ბოსტრომი) კვლევებით, აშშ-ში მომუშავეთა 47% კომპიუტერიზაციის რისკის ქვეშაა. კომპიუტერიზაცია და ნანოტექნოლოგიები ინტელექტუალურ კაპიტალს გვარიანად ავიწროებს.

მალე მრავალ სფეროში ადამიანებს მანქანები მთლიანად შეცვლიან. ამის სიმპტომები რეალურად არსებობს. რობოტები უკვე აკეთებენ ქირურგიულ ოპერაციებს (მათ შორის, მიკროდონეზე), ხელმძღვანელობენ საშუალო რგოლის მენეჯმენტს, კონკურსების ჟიურის, მუშაობენ ადვოკატებად, პედაგოგებად, ასრულებენ მრავალ რთულ, სარიკო და უსუფთაო სამუშაოს, იღებენ მოსავალს, ცდილობენ გაერკვნენ ადამიანთა არავერბალური კომუნიკაციის ანუ „სხეულის ენის“ რთულ ლაბირინთებში...

ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხოების პრობლემაზე აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო კომპანიები: Google, Facebook, Mikrosoft da sxvebi.

ასეთ ვითარებაში, რით დასაქმდება მერმისში გონიერი ადამიანი?

ინდივიდის წარმატებული დასაქმებისთვის საჭირო იქნება ისეთი ინტელექტუალური უნარები, რომელთა ფლობა, ჩვენდა საბედნიეროდ, ხელოვნურ ინტელექტს (რობოტს) დღემდე არ შეუძლია. უპირველესად, ესაა შემოქმედებითი ფანტაზია, ლაღი იმპროვიზაცია, კრეატიულობა, განზოგადება და განსჯა, დიალოგური კულტურა, სიტუაციის განცდა და ადეკვატური შეფასება, ინფორმაციის დიდ ნაკადში ღირებულის მიგნება, თავისუფალი, მაიევტიკურ-ევრისტიკული და ლოგიკურ-შემოქმედებითი აზროვნება, საზრიანობაზე, გამოცდილებასა და გამომგონებლობაზე დაფუძნებული მოვლენების ანალიზი, ჭეშმარიტების მიკვლევის, ახალი აღმოჩენების ხელოვნების ფლობა, ინტუიცია და სიახლის შეგრძნება, ცოცხლად წარმოსახვა და სწრაფი ორიენტაცია. რობოტს არა აქვს სულიერი განცდები (აპათია, სიმპათია, მორცხვობა, ურცხვობა, თანაგრძნობა, დარწმუნება, კეთილშობილება და სხვ.), რაც ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობაში.

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ყურადღება ორი ასპექტით მახვილდება: ცოცხალი ინტელექტის შესაძლებლობების გაძლიერება და ხელოვნური ინტელექტის შექმნა.

პირველი მიმართულებით მუშავდება ახალი ინტერფეისი „ტვინი-კომპიუტერი“, რითაც მისი ფუნქციონირება არსებითად გაუმჯობესდება. თუმცა ამ სფეროში მრავალი საკითხი (მათ შორის, ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური, სამედიცინო, ეთიკურ-სამართლებრივი) ჯერ კიდევ ბუნდოვანია. აქტიურდება კვლევა ადამიანის ფიზიკური და აღქმითი შესაძლებლობების გაძლიერების, ანუ მისი ცალკეული ორგანოების აუგმენტაციის მიმართულებით (მაგ., თვალში ვიდეოკამერის იმპლანტაცია, გონებით ელექტრომოწყობილობის მუშაობის კონტროლი და სხვ.).

ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ შესაძლოა კაცობრიობის არსებობა კითხვის ქვეშ დააყენოს, – თვლის თანამედროვეობის გამოჩენილი ბრიტანელი ასტროფიზიკოსი სტივენ ჰოკინგი. მას ეთანხმება საავტომობილო კომპანია „Tesla“-ს ხელმძღვანელი, მეწარმე-გამომგონებელი ელონ მასკიც და „კეთილშობილი“ ხელოვნური ინტელექტის შექმნაზე ამახვილებს ყურადღებას. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც (მაგ., მწერალ-ფანტასტების რ. ნაამის, მ. კოროსტის).

სახელმძღვანელო უნდა გახდეს ამერიკელი მწერალ-ფანტასტის აიზეკ აზიმოვის მიერ ჩამოყალიბებული რობოტექნიკის კანონები.[29]

დასკვნები:

1. ხელოვნური ინტელექტის განვითარებით განათლების მოქმედი არქაული სისტემა არსებითად შეიცვლება;
2. პროფესორი გახდება ადამიანის „მზერის მიმართულების“ განმსაზღვრელი, ახალი და მნიშვნელოვანი ცოდნის (უახლესი ტენდენციის, მოვლენის, კანონზომიერების, კორელაციისა და სხვათა) მიმწოდებელი, გამოცდილი კონსულტანტი და არა ცოდნის ათვისების დონის შემფასებელი;
3. ინდივიდის ინტელექტუალური უნარები შეფასდება საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთ, გამჭვირვალედ, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

რეკომენდაციები:

1. საჭიროა დაჩქარდეს საგანმანათლებლო სისტემის არსებითი მოდერნიზაცია, რომ დაეწიოს მაინც მიმდინარე ტექნოლოგიურ პროგრესს, დაფუძნდეს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ტექნოლოგიები და, ამასთან, შენარჩუნდეს ადამიანთა მასობრივი დასაქმება;
2. აუცილებელია მონდომებული და გონიერი კურსდამთავრებულების სისტემატური პროფესიული გადამზადება და ფართომასშტაბიანი პოსტგანათლების სისტემის დანერგვა.

29 1) რობოტს არ შეუძლია ადამიანს მიაყენოს ზიანი ან თავისი უმოქმედობით დაუშვას ის, რომ კაცობრიობას მიადგეს ზიანი; 2) რობოტი უნდა დაემორჩილოს ადამიანის მიერ მიცემულ ბრძანებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრძანება ეწინააღმდეგება პირველ კანონს; 3) რობოტი უნდა ზრუნავდეს თავის უსაფრთხოებაზე იმ ზომით, რომელიც არ ეწინააღმდეგება პირველ და მეორე კანონს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე (1981). რიტორიკა. თბ., „თსუ“.
2. არისტოტელე (1995). პოლიტიკა. ნაწილი პირველი. თბ., „სამშობლო“.
3. თევზაძე გ. (1974). იმანუელ კანტი. „თსუ“.
4. კანტი ი. (2014). პასუხი შეკითხვაზე: რა არის განმანათლებლობა?//შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. წიგნი II. თბ., „ილიაუნი“.
5. ლაო-ძი (1983). დაო დე ძინი. სიბრძნე სიკეთისა და სათნოებისა. თარგმანი ლ. ალიმონაკისა. თბ., „საბჭოთა საქართველო“, განმარტებები.
6. პირველი წერილი კორინთელთა მიმართ. ახალი აღთქმა და ფსალმუნი. (1985). მე-3 გამოცემა. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი.
7. პლატონი. სახელმწიფო. წიგნი VI, წიგნი VII.
8. პლატონი. (1964). ნადიმი. თბ., „საბჭოთა საქართველო“.
9. ქსენოფონტი. (1973). მოგონებები სოკრატეზე. სოკრატეს აპოლოგია. თბ., „თსუ“.
10. ჯოლია გ. (2016). გლობალიზაციის ვექტორის ინვერსია და განვითარებადი აზიის ასწლეული. თბ., ჟურნალი „ეკონომიკა“. №3-4.
11. Masuda Y. (1983). The Information Society as Postindustrial Society. Washington: World Future. Soc., 171 p.
12. Андреева Е. Л., Ратнер А. В. (2015). Потенциал БРИКС и ШОС. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №4.
13. Чиксентмихайи Михай. (2016). Поток: Психология оптимального переживания. М., «Альпина нон-фикшн», 520 с.
14. http://www.aum.news/nauka/1206-poslednyaya-statya-s-p-kapitsy

სექცია 1. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ОРГАНИЗАЦИИ И УПРАВЛЕНИЯ СИСТЕМОЙ ФИНАНСОВОЙ БЕЗОПАСНОСТИ ПРЕДПРИЯТИЯ

Майборода Алина Викторовна,

Аспирант Кафедра финансов

Харьковского учебно-научного института

Summary

The analysis and generalization of approaches to definition of concept «financial security». The author's interpretation of this concept. The peculiarities of organization and management system of financial security at the company, identified the main components of its structure and the elements that require the most influence and control.

* * * * * *

Современный этап развития экономических и интеграционных процессов в экономике требует применения адекватных подходов к управлению предприятием, основанных на использовании новых теоретических и методологических подходов с целью не только сохранения нормального процесса функционирования, но и для роста его производительности и эффективности. В последнее время одним из наиболее популярных механизмов стабильной деятельности предприятия становится система финансовой безопасности, которая создается в соответствии с требованиями и характеристиками его работы. Поэтому актуальность данной темы заключается в углубленном исследовании организации и управления данной системой с целью максимизации прибыли и достижения устойчивого развития.

Вопросами обеспечения и управления системой финансовой безопасности уделяли внимание такие отечественные ученые как Барановский А.И., Горелов Д.А., Лаврова Ю.В., Пластун Е.Л., Бланк И.А., Фучежди В.И., Кузенко Т.Б., Полтинина А.П., Бердар Н., Матвийчук Л.А. и другие. Однако большинство ученых рассматривает финансовую безопасность как составляющую системы экономической безопасности, что, по нашему мнению, является нецелесообразным, потому что финансовая безопасность является комплексным понятием, которое имеет в своей структуре множество структурных элементов, которые будут рассмотрены ниже.

Предприятие как сложная экономическая система с большим количеством факторов влияния на ее деятельность требует постоянного контроля и управления всеми секторами работы. Особого внимания заслуживает финансовая сфера, которая является наиболее зависимой сферой от воздействия внешних негативных факторов, таких как экономические кризисы, нестабильная политическая и экономическая ситуация в стране, изменения в налоговом и хозяйственном законодательстве, изменения на денежном и валютном рынках и прочее.

Для формирования действенного механизма управления финансовой деятельностью необходимо создание и использование на предприятии системы финансовой безопасности, которая будет способствовать предотвращению влияния негативных явлений и угроз внутреннего и внешнего характера на деятельность субъекта хозяйствования.

Прежде всего, целесообразным будет определить место финансовой безопасности в экономической безопасности с целью получения полной картины деятельности предприятия.

Чибисова И.В.[4] предлагает такое определение понятия «финансовой безопасности»: финансовая безопасность предприятия – это составляющая экономической безопасности предприятия, которая заключается в наличии такого финансового состояния, которое характеризуется сбалансированностью и качеством финансовых инструментов, технологий и услуг, устойчивостью к угрозам. Несколько иное определение дают Козак Л.С., Багровецкая И.В.[2]: финансовая безопасность предприятия – это важная составляющая часть экономической безопасности, которая базируется на независимости, эффективности и конкурентоспособности хозяйствующего субъекта, которая отражается через систему критериев и показателей его финансового состояния, характеризующих сбалансированность финансов, достаточную ликвидность активов и наличие необходимых резервов. Эти ученые отмечают, что финансовая безопасность является важной составляющей экономической безопасности и обеспечивает финансовую сторону деятельности предприятия.

Система финансовой безопасности является несколько более широким понятием, однако большого разнообразия взглядов относительно его определения нет. Большинство ученых считает, что она является совокупностью элементов,

которые объединяются в определенную систему и способствуют стабильной финансовой деятельности. Фучеджи В.И.[3] предлагает следующее определение данного понятия: «система финансовой безопасности субъектов предпринимательства – это организованная совокупность специальных органов, средств, методов и мероприятий, обеспечивающих защиту от воздействия внутренних и внешних угроз».

Понятие «системы финансовой безопасности» включает в себя много элементов, таких как функции финансовой безопасности, объекты, субъекты, угрозы деятельности, принципы построения и критерии оценки действенности этой системы.

Можно определить следующие факторы финансовой безопасности предприятия:

- уровень обеспечения финансовыми ресурсами;
- стабильность и устойчивость финансового состояния;
- сбалансированность финансовых потоков и расчетных отношений;
- уровень контроля над внешними и внутренними факторами.

Что касается экономической сущности понятия «система финансовой безопасности», то можно выделить следующие основные ее характеристики:

- обеспечение равновесного и устойчивого финансового состояния;
- содействие эффективной деятельности предприятия;
- раннее предупреждение угроз деятельности предприятия;
- нейтрализация кризиса и предотвращения банкротства.

Система финансовой безопасности в своей структуре имеет также объект и субъекты влияния. Объектом системы являются все стороны финансовой деятельности предприятия, на которые направляются усилия управленцев по их обеспечению, такие как информация (то есть информационная составляющая системы финансовой безопасности, которая играет важную роль, особенно на предприятиях, основным товаром которых является результат интеллектуальной работы), персонал (кадровая составляющая, которая способствует согласованию интересов собственников и работников ради прибыльной деятельности и обеспечения финансовых интересов предприятия), денежные потоки (правильность управления которыми позволяет своевременно направлять необходимые ресурсы в самые опасные сферы деятельности предприятия во избежание кризисных явлений и для поддержания работоспособного состояния) и другое.

При этом для эффективной реализации политики обеспечения финансовой безопасности субъекту предпринимательства необходимо обладать достаточным объемом различных ресурсов, таких как: финансовые (предполагает наличие достаточного объема финансовых ресурсов для надлежащего финансового обеспечения мер политики обеспечения безопасности); кадровые (наличие на предприятии квалифицированного персонала, способного реализовывать политику обеспечения безопасности по каждой из составляющих); информационные (информирование персонала предприятия о мерах политики); технические (предполагает использование технических возможностей для обеспечения выполнения мер политики)[1].

Субъектами выступают собственники, руководство предприятия, менеджеры, работники, обеспечивающие финансовую сторону деятельности субъекта хозяйствования, государственные органы власти и управления, кредиторы, кризис-менеджеры (в судебных процедурах банкротства – арбитражные управляющие) и другие.

Система финансовой безопасности предприятия – сложная экономическая система, в которой возможно огромное количество разнообразных параметров защиты финансовых и экономических интересов, которые выходят из финансового уровня предприятия и основных приоритетов его деятельности и стратегических целей. Итак, можно сказать, что финансовая безопасность – это система, что обеспечивает стабильность деятельности предприятия, поддерживая и контролируя различные экономические процессы на нем, в том числе предупреждая возможные угрозы и опасности.

Однако, предполагая, что система финансовой безопасности является достаточно стабильной системой, нужно обратить внимание на то, что по своей сути она имеет ряд специфических признаков, касающихся отдельных аспектов ее использования и внедрения на предприятии.

Во-первых, стабильность системы финансовой безопасности на предприятии является относительно переменной категорией, поэтому, оценивая состояние данной системы нужно постоянно отслеживать изменения, которые могли произойти в финансовом состоянии предприятия или в измененных условиях менеджмента труда, что могло как-то повлиять на его финансовое состояние, и соответственно этому изменять критерии оценки, разнообразные инструменты и методы управления состоянием финансовой безопасности.

Во-вторых, стабильность данной системы не является однозначной, то есть сегодня это предприятие может процветать и приносить огромные доходы, а завтра через незначительные изменения в организации производственного процесса могут произойти ощутимые изменения в структуре системы финансовой безопасности, а, следовательно, и в его экономическом или финансовом положении. Так как эта система является изменяемой и требует постоянных изменений, то стоит также уделять внимание подготовке и переподготовке кадров, их поощрению, то есть профессионально подходить к организации

менеджмента управления персоналом на предприятии.

В-третьих, на определенных этапах своего развития система финансовой безопасности предприятия может меняться, выходя на новый уровень своей стабильности параметров, а следовательно, в зависимости от того, какова стратегия предприятия и цели его деятельности и развития, нужно все время отслеживать изменились ли факторы влияния и критерии его эффективной деятельности, которые были выбраны на предприятии, и в зависимости от этого уже реализовывать свои методы защиты от реальных и потенциальных угроз.

Важной целевой направленностью системы финансовой безопасности предприятия является создание необходимых финансовых предпосылок устойчивого роста предприятия в текущем и перспективном периодах. Обеспечение стабильности системы финансовой безопасности должно происходить путем поддержания относительно постоянных параметров, которые характеризуют финансовые интересы предприятия и способствуют устранению возможных негативных угроз деятельности субъекта предпринимательства.

Следует также подчеркнуть, что стабильность системы финансовой безопасности не имеет абсолютного характера. В процессе ее функционирования и развития отдельные параметры финансовой безопасности могут носить, например, циклический (цикл хозяйственной деятельности, сезонный цикл) или конъюнктурный характер. Поскольку развитие предприятия иногда носит скачкообразный характер, то в соответствии с этим должным образом должна развиваться и система финансовой безопасности, выходя при этом на новый уровень обеспечения параметров своей стабильности.

Выводы. Стабильность деятельности предприятия зависит от многих показателей: от качества принятия управленческих решений, ведение переговоров и налаживание деловых связей, управления денежными потоками и особенностей деятельности предприятия. Все эти факторы могут оказывать как положительное, так и негативное влияние на развитие субъекта хозяйствования.

Система финансовой безопасности как действенный механизм управления финансовой деятельностью предприятия должна способствовать стабильному развитию и его прибыльной работе. Она должна создаваться с учетом характеристик его деятельности, специфики работы и размеров предприятия. Важным также является привлечение профессиональных работников к созданию и использованию данной системы, так как кадровая безопасность именно в отношении сотрудников финансовой деятельности предприятия имеет решающее значение при принятии управленческих решений и использовании финансовый методов и инструментов по защите финансовых интересов субъекта хозяйствования.

Список литературы

1. Васильцев Т.Г. Финансово-экономическая безопасность предприятий Украины: стратегия и механизмы обеспечения: монография / Т.Г. Васильцев, Волошин.И., Бойкевич А.Г., Каркавчук В.В., [ред. Т.Г. Васильцев]. – Л.: Издательство, 2012. – 386 с.

2. Казак Л.С. Концептуальные и методические основы формирования механизма обеспечения финансовой безопасности предприятия / Л.С. Казак, И.В. Багровецкая // Экономика и управление. – 2008. – №13. – С.97-101.

3. Фучеджи В. И. Характеристика структурных элементов финансовой безопасности субъектов предпринимательства [Электронный ресурс] / В. И. Фучеджи // Эффективная экономика. – 2013. – №12. – Режим доступа: http:// www.economy.nayka.com.ua. – Название с экрана.

4. Чибисов И.В. Механизм обеспечения финансовой безопасности предприятия / И.В. Чибисов, Есть.М. Ивашина // [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://www.nbuv.gov.ua/portal/soc_gum/ppei/2011_31/Chibis.pdf

ეკონომიკური უსაფრთხოების სოციალური ასპექტები

შოთა ლომინაშვილი, *აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი;*
ზვიად ბეშკენაძე, *აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

ეკონომიკური უსაფრთხოების ყველაზე მეტირი სკები საქართველოში არის სოციალურ სფეროში. ეს საფრთხეები ძირითადად ვლინდება მოსახლეობისდაბალ რეალურ შემოსავლებში, მოსახლეობის სიღარიბეში, შემოსავლების კუთხით და ქონებრივ დიფერენციაციაში. მოცემული ტენდეციები განაპირობებენ დაბალ სამომხმარებლო მოთხოვნას, ხელს უწყობს მოთხოვნის დანაწევრებას და მისი სტრუქტურის გაუარესებას, რაც საბოლოოდ არახელსაყრელ გარემოს ქმნის რეალური სექტორის განვითარებისთვის. ისინიაგრეთვესაფრთხესქმნიანსახელმწიფომმართველობის, პოლიტიკურ და სხვასფეროებში.

გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაფართოვებას, გრძელვადიანი დანაზოგების ზრდას, რომელიც ტრანსფორმირდება ინვესტიციებში, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წონადი ნაწილის ფორმირებაში, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში, უზრუნველყოფს სოციალური ფენა - საშუალო კლასი, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, სოციალური მშვიდობისა და საზოგადოებრივი თანხმობის გარანტს.საშუალო კლასს კი ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ქმნიან, ამიტომ ყველა ღონისძიება უნდა გატარდეს მისი სტიმულირებისათვის.

მოცემული რისკების ჰეჯირებისათვის სახელმწიფომ უნდა გაატაროს ადეკვატური სოციალური პოლიტიკა, რაც ძირითადად გამოიხატება: მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლებაში; შრომით ურთიერთობების კუთხით — მოსახლეობისდასაქმებასა და სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფაში; მოსახლეობის შრომის უუნარო და ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის დაცვაში; მატერიალური სიკეთეებისა და მომსახურების გადანაწილებისას სამართლიანობის მიღწევაში; გონივრული მიგრაციული პოლიტიკის გატარებაში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, სოციალური პოლიტიკა, სამომხმარებლომოთხოვნა, საშუალოკლასი, ეკონომიკურიზრდა, ეკონომიკურიმდგრადობა, სიღარიბე, სოციალურიპოლარიზაცია.

Social Aspects of Economic Security

Shota Lominashvili, Associated Prof. of ATSU
Zviad Beshkenadze, Associated Prof. of ATSU,

Summary

In Georgia the mots part of risks of economic security is in social field. These jeopardies are mainly displayed in low real incomes of the population, poverty, incomes and property differentiation of the population.

Specified tendencies stipulate low consumer's request, support dismemberment of the request and worsening of its structure, which makes unprofitable environment for development of the real sector finally. They endanger in state governance, political and other fields.

Expansion of solvent request, growing of long-term savings which is transformed in investments, formation of ponderable part of tax yield of the budget, ensuring social and economic stability, is provided by a social stratum-middle class which is a guarantee of economic growth, social peace and public consent. The middle class is mainly made by representatives of small and medium business; therefore, all arrangements should be taken for its stimulation.

For pegging of the mentioned risks, the state should adopt adequate social policy which is mainly expressed in increasing in quality and cost of living of the population; providing employment and social insurance of the population; protection of incapable and less maintained population; achieving of justice in distribution of material goods and service; adopting reasonable immigration policy;

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკური უსაფრთხოების ყველაზე მწვავე საშიშროებები საქართველოში სოციალურ სფეროშია. ის უპირველესად დაკავშირებულია: მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დაბალ დონესთან, შემოსავლების მხრივ და ქონებრივ ღრმა დიფერანციაციასთან.

დაბალი შემოსავლები, ქონებრივი და შემოსავლების კუთხით უთანასწორობა განაპირობებს დაბალ სამომხმარებლო მოთხოვნას, ხელს უწყობს მოთხოვნის დანაწევრებას და მისი სტრუქტურის გაუარესებას, რაც საბოლოოდ არახელსაყრელ გარემოს ქმნის რეალური სექტორის განვითარებისთვის. დაბალი შემოსავლები განაპირობებენ დაბალ სამომხმარებლო მოთხოვნას, დაბალი სამომხმარებლო მოთხოვნა წინ ეღობება წარმოების განვითარებას, წარმოების გარეშე კი ვერ იქმნება შემოსავლები. ანუ, საქმე გვაქვს შემოსავლები-ხარჯები-წარმოება-შემოსავლების ჩაკეტილ წრესთან,

რომლის გარღვევაც საკმაოდ რთული ეკონომიკური ამოცანაა.

მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონესა და ხარისხზე, მის სოციალურ პოლარიზაციაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: საქსტატის მონაცემებით 2015 წლისათვის - მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინა მეურნეობაზე შეადგენს 1022,2 ლარს, საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე კი 284,5 ლარია (საშუალო თვიური ხარჯები 279,6 ლარი). მაშინ, როდესაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი შეადგენს 162,4 ლარს. მედიანური მოხმარების 60% -ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი საკმაოდ დიდია და შეადგენს 20,1 %. მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი შეადგენს 7,1 % (სტატისტიკის დეპარტამენტი უკვე რამდენიმე წელია აღარ აქვეყნებს ინფორმაციას სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების შესახებ. მსოფლიო ბანკის გათვლებით კი 2014 წლისთვის მოსახლეობის 32,3% (1,4 მლნ. ადამიანი) სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს). ასევე საკმაოდ მაღალია შემოსავლებს შორის უთანასწორობის მაჩვენებელი - ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების მიხედვით შეადგენს 0,42, ხოლო ხარჯების მიხედვით - 0,45. ქვეყანაში რეგისტრირებული სიღარიბე (საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა) 10,1 % -ია.

გადახდისუნარიანი მოსახლეობის ვიწრო ჯგუფი ახდენს ეკონომიკის სტრუქტურის დეფორმაციას, რომელშიც იკვეთება ორი სამომხმარებლო სექტორი - მდიდრები, რომლებიც მოთხოვნას ქმნიან ძირითადად ფუფუნების იმპორტულ საქონელზე და ღარიბები, რომლებიც მოთხოვნას უყენებენ პირველადი მოხმარების, როგორც იმპორტულ, ასევე სამამულო საქონელს.

ამგვარად, ეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროების ბლოკებს შორის სოციალურ სფეროში, რომელიც ძირითადად განისაზღვრება მოსახლეობის ფულადი შემოსავლებით, ყველაზე მეტად მწვავე მიმართულებაა საზოგადოების დაყოფა მდიდრების ვიწრო ჯგუფად და ნაკლებუზრუნველყოფილი მოსახლეობის მსხვილ მასად.

გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაფართოვებას, გრძელვადიანი დანაზოგების ზრდას, რომელიც ტრანსფორმირდება ინვესტიციებში, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წონადი ნაწილის ფორმირებაში, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში, როგორც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, უზრუნველყოფს სოციალური ფენა - საშუალო კლასი, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, სოციალური მშვიდობისა და საზოგადოებრივი თანხმობის გარანტს.

მთლიანობაში, ზოგადად საშუალო კლასი საზოგადოებაში ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს: ფლობენ რა ფულადი შემოსავლის დიდ ნაწილს, წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების ძირითად მყიდველებს და ამით ახდენენ გადახდისუნარიანი მოთხოვნის უმეტესი ნაწილის ფორმირებას საშინაო ბაზარზე. შედეგად ასტიმულირებენ საშინაო წარმოებასა და ეკონომიკურ ზრდას; ქმნიან რა დანაზოგების უმეტეს ნაწილს საბანკო დეპოზიტების, სადაზღვევო-შენატანების და ა.შ. სახით, საბანკო სისტემის, სადაზღვევო ფონდებისა და საფონდო ბაზრის საშუალებით ახდენენ მის ტრანსფორმირებას ინვესტიციებად; უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების ძირითად ნაწილს ბიუჯეტში, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს შეასრულოს თავისი ფუნქციები და მოვალეობები; კმაყოფილები არიან რა თავიანთი მატერიალური და სოციალური მდგომარეობით, და არ აქვთ პროტესტის განწყობილება, ინარჩუნებენ სოციალურ მშვიდობასა და სტაბილურობას საზოგადოებაში.

ამდენად ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საშუალო კლასის ფორმირების მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია: სიღარიბის შემცირება, მოსახლეობის დასაქმების გაზრდა, ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელი საარსებო მინიმუმისა და მინიმალური ხელფასის უზრუნველყოფა და სხვ. საშუალო კლასის ფორმირებისთვის აუცილებელია ერთ სულზე საშუალო შემოსავლის საარსებო მინიმუმზე 3-4 -ჯერ გადამეტება. ამასთან საარსებო მინიმუმმა უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ფიზიოლოგიური მინიმუმი, არამედ შექმნას პირობები ღირსეული ცხოვრებისთვის..

განვითარებულ ქვეყნებში საშუალო კლასი შეადგენს მთლიანი მოსახლეობის 60-80 %. ეს კი უზრუნველყოფს ამ ქვეყნებში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას.

ამგვარად, ეკონომიკური და შიდაპოლიტიკური-უსაფრთხოებისათვის საშუალო კლასის ფორმირება — პირველხარისხოვანი ამოცანაა, და არა მხოლოდ სოციალური, არამედ უპირველესად საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური, რამდენადაც საშუალო კლასის ფორმირება — მთავარი პირობაა საკმაოდ მაღალი, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და საზოგადოებაში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მშპ -ის ზრდის დინამიკა ასეთია: 2004-2007 წლებში - ეკონომიკური ზრდის ტემპები საშუალოდ 9,8% იყო (მშპ-ს ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ამ ოთხწლიან მონაკვეთში დაფიქსირდა 2007 წელს და შეადგინა 12,3 პროცენტი. 2009 წელს გვქონდა ზრდის უარყოფითი მაჩვენებელი -3,8 პროცენტი, რაც რუსეთის მხრიდან აგრესიასთანაა დაკავშირებული). 2010-2012 წლებში მშპ-ს ზრდის ტემპებმა საშუალოდ შეადგინა 6,6 პროცენტი. შემდგომ წლებში გვაქვს ზრდის საკმაოდ მოკრძალებული ტემპები, კერძოდ: 2013 წელს — 3,4%, 2014 — 4,6%, 2015 — 2,8%, 2016 წლის I კვარტალში - 2,6%. როგორც ვხედავთ ეკონომიკური ზრდის ტემპებს შემცირების ტენდენცია გააჩნია, რაც კიდევ უფრო აღრმავებს პრობლემებს სოციალური უსაფრთხოების მიმართულებით.

პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ისიც, თუ როგორ გადანაწილდება ზრდისგან გამოწვეული შემოსავლები, მასში კი გადამწყვეტ როლს ასრულებს საგადასახადო (საშემოსავლო) და სოციალური (მთლიანად ხარჯვითი) პოლიტიკა. მოსახლეობის პაუპერიზაციას, სიღარიბისა და სოციალურ პოლარიზაციის გარღმავებას (მათ შორის რეგიონული თვალსაზრისით) ზემოთ დასახელებულ ფაქტორებთან ერთად სწორედ არასწორი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა უწყობს ხელს. კერძოდ, ეს არის: რეგრესული საგადასახადო

სისტემა (უნიფიცირებული საშემოსავლო, მოგების გადასახადი, დღგ, და სხვ.), საგადასახადო შეღავათებისა და პრეფერენციების (მათ შორის რეგიონული კუთხით) მოქნილი სისტემის არარსებობა, ჰიპერტროფიული საბიუჯეტო სექტორი, არასამართლიანი სოციალური პოლიტიკა და სხვ.

საქართველოში სიღარიბის შემცირების ერთ-ერთ ფაქტორად ემიგრაცია რჩება, რაზედაც მეტყველებს შემდეგი მაჩვენებლები: ემიგრირებული თანამოქალაქეების მიერ უცხოეთიდან საქართველოში 2015 წელს გამოგზავნილი იქნა 1,08 მლრდ. დოლარი (რაც 360 მლნ დოლარით ნაკლებია წინა წელთან შედარებით), რაც 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 24,3 დოლარს შეადგენდა თვეში. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 1,55 მლრდ. დოლ. - დაფიქსირდა 2013 წელს, რაც 28,8 დოლარს შეადგენდა 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით თვეში. მაშინ, როდესაც 1 სულზე საშულო თვიური შემოსავალი შეადგენდა 2015 წელს 119 დოლარს, საშუალო თვიური ხარჯები კი 116,5 დოლარს. 2013 წელს კი შესაბამისად 143 და 141 დოლარს.

ამგვარად, ემიგრაციას გარკვეულწილად შეუძლია საქართველოსთვის დამცველი სარქველის როლის შესრულება (და ასრულებს კიდეც) და პოტენციური პოლიტიკური რისკების შემცირება, რასაც სიღარიბე და უმუშევრობა ქმნის, თუმცა ემიგრაციას, რომელიც შემაშფოთებელ მასშტაბებს ღებულობს (საქსტატის მონაცემებით ემიგრანტების რიცხოვნება 2015 წლისთვის 95965 ადამიანს შეადგენს, რაც ნაკლებად შეესაბამება რეალობას, რამდენადაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ჯერ კიდევ 2008 წლის ანგარიშის თანახმად 2005 წელს საქართველოდან ემიგრანტების საერთო რიცხვი შეადგენდა 1,03 მილიონს. ამ პერიოდის შემდეგ კი მიგრაცია არა თუ შემცირდა არამედ დინამიურად იზრდება) დადებითთან ერთად მთელი რიგი უარყოფითი (მათ შორის ეკონომიკური) ეფექტებიც გააჩნია (დემოგრაფიული პრობლემების გამწვავება, მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების გადაგვარება, საზოგადოების - კრიმინალიზაცია, ობივატელიზაცია, დეპატრიოტიზაცია და სხვ.), რასაც მთლიანობაში შეუძლია გადაფაროს მისგან მიღებული დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და საფრთხე შეუქმნას ყველაზე მთავარს - ეროვნულ ღირებულებებსა და სახელმწიფოებრიობას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური გზავნილებზე (და არა მარტო გზავნილებზე, არამედ უცხოურ დახმარებებზე, ინვესტიციებზე და ა.შ.) დამოკიდებულების მაღალი ხარისხი ზრდის რისკებს ეგზოგენური რყევების მიმართ. როგორც ს. მაკფარლეინი აღნიშნავს: „საქართველოს დამოკიდებულება ოფიციალურ უცხოურ დახმარებაზე, ფულად გადარიცხვებზე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, ტურიზმსა და პირველადი მოხმარების საგნების იმპორტზე ქვეყანას ძალზე დამოკიდებულს ხდის გლობალურ ეკონომიკაზე. საქართველო მგრძნობიარეა გლობალური ეკონომიკის არასტაბილურობის, ისევე, როგორც დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქებში ბიუჯეტზე დაწესებული შეზღუდვების მიმართ. ეს მგრძნობიარობა მძაფრდება საკვების იმპორტზე საქართველოს ძლიერი დამოკიდებულების გამო“[1:2].

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი აძლიერებს მოსახლეობის სიდუხჭირეს და ქმნის სოციალურ წინაპირობებს ისეთი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებასთვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია: საზოგადოების ყოვლისმომცველელი იდეოლოგიზაცია და ტოტალური პოლიტიზაცია; საზოგადოების დიქოტომიურად დაყოფა თავისიანებად და მტრებად; მარგინალიზებული ჯგუფების წარმოქმნა და ეკონომიკური და სოციალური დეპრივაცია; გარე და შიგა მტრის ხატის შექმნა; სახელმწიფო აპარატის ჰიპერტროფიული განვითარება; კორუფცია და ნეპოტიზმი; სოციალური კონტროლის აპარატის გაძლიერება და გაფართოვება ძალოვანი უწყებების საშუალებით, მოსახლეობის მასობრივი დაშინება და ტერორი; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე პარტიული კონტროლის გაძლიერება; უმაღლესი ხელისუფლებისა და მისი მატარებლების საკრალიზაცია და ქარიზმატული ლიდერის (ბელადის კულტის) შექმნა.

ამგვარად, სოციალურ სფეროში არსებული პრობლემები წარმოშობს სერიოზულ საფრთხეებს სახელმწიფო მმართველობის, პოლიტიკურ და სხვასფეროებში.

ღრმა და ხანგძლივვადიანი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე მოცემული საფრთხეები საქართველოსთვის საკმაოდ არსებითია. უფრო მეტიც, მოცემული ტენდენციებიდან უმეტესი საქართველოში უკვე თვალშისაცემია.

ამგვარად, მოცემული საფრთხეების “ჰეჯირებისათვის” სახელმწიფომ უნდა მოახდინოს სოციალური სფეროს რეგულირება და გაატაროს ადეკვატური სოციალური პოლიტიკა. პირველი გულისხმობს: შემოსავლების სახელმწიფო გადანაწილებას, სახელმწიფო დახმარებისა და სოციალური დაზღვევის პროგრამების პროგრამების განხორციელებას და ა.შ., ხოლო მეორე— მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონისამაღლებას; შრომით ურთიერთობებში — მოსახლეობის დასაქმებას, სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფას; მოსახლეობის შრომის უუნარო და ნაკლებადუზრუნველყოფილი მოსახლეობის დაცვას; მატერიალური სიკეთეებისა და მომსახურების გადანაწილებისას სამართლიანობის მიღწევას; გონივრული მიგრაციული პოლიტიკის გატარებას; ინფრასტრუქტურის სფეროში — საცხოვრებელ-კომუნალური პრობლემების მოგვარებას და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ნილ მაკფარლეინი, „საქართველო: ეროვნულიუსაფრთხოებისკონცეფცია და ეროვნულიუსაფრთხოება“ სოციალურმეცნიერებათაცენტრი, თბილისი და ოქსფორდისუნივერსიტეტი, 2012/01.

2. Богомолов, В. А. и др., Экономическая безопасность, М.: ЮНИТИ-ДАНА, 2009. – 295 с.

3. Сенчагов, В. К. и др., Экономическая безопасность России, М.: Дело, 2005. – 896 с.

4. Meskhia I., Politial instability and economic turbulence in Georgia, Jornal “Economics and Business”, 2013, №5.

მიდგომები საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელისადმი

მერაბ გველესიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

რეზიუმე

მოხსენება ეძღვნება იმის დასაბუთებას, რომ საკმარისი არაა საქართველოს ეკონომიკური გავითარების ორიენტირად მივიჩნიოთ განვითარებულ ეკონომიკათა დღევანდელი სტრუქტურები. ამ სტრუქტურებში ხდება ძირეული ძვრები, ჩნდება სამომავლო ნიშნები, რომლებიც ხშირად ძნელად იკაფავენ გზას. ასეთი ნიშნების მატარებლებია: ცვლილებები საკუთრების ურთიერთობებში; საბაზრო სტრუქტურებში მიმწოდებლისა და მომხმარებლის დამოკიდებულებაში; კორპორაციულ მმართველობაში მისი ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების თანაფარდობაში და ა.შ. ამ ძვრების გათვალისწინების შესაძლებლობები უფრო დიდი იყო საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, მაგრამ არის ახლაც.

საკვანძო სიტყვები: ძვრები ეკონომიკის ფუნდამენტში; საკუთრება; კორპორატიული მმართველობა; იჯარა; ურთიერთობა მომხმარებელთან.

Approaches to Economic Development Model of Georgia

Merab Gvelesiani

Summary

Emeritus Professor of Georgian Technical University

In this report we try to prove that it is not enough to consider the developed economics' current structures as the Georgian economic development guidelines. In these structures there are drastic upheavals, appears upcoming signs that sometimes hardly push one's way. Such signs are: changes in property relations, also between supplier and customer interrelations in marketing structures, in corporate management in correlation of centripetal and centrifugal forces and so on. Taking into consideration these changes, the opportunities in marketing economics were bigger at the beginning of transitional period, but still are nowadays.

* * * * *

საქართველოს გეზი საბაზრო ეკონომიკისკენ ორი ეკონომიკური სისტემის შეჯიბრში სოციალისტურის დამარცხების შედეგი იყო, ამიტომ ბუნებრივია, რომ ქვეყანამ სანიმუშოდ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურები მიიჩნია. გამორჩა დიდმნიშვნელოვანი რამ: ეს ნიმუში უძრავი არაა, ჩვენს მაღალ სიჩქარეთა ეპოქაში იგიც სწრაფ ცვალებადობას განიცდის. იცვლებოდა ადრეც: მისი "მზიდი კონსტრუქცია" უარყოფის უარყოფათა საუკუნოვანი კასკადის პროდუქტია. ამავე კონსტრუქციაში ბოლოხანს მიმდინარე პროცესებს ამერიკელმა ლესტერ თუროუმ თავის გახმაურებულ წიგნში "კაპიტალიზმის მომავალი" კაპიტალიზმის ფუნდამენტში მიმდინარე ტექტონიკური ძვრები უწოდა [იხ.1, თავი 8].

ბევრი სხვა დასავლელი მკვლევარიც ეხება ამ ცვლილებებს. ისინი ვერ არის ჯეროვნად ასახული მხოლოდ ეკონომიკის სახელმძღვანელოებში. სწორედ რომ ვერ, და არა - არ არის, რამეთუ ეკონომიკის საგანი მხოლოდ არსებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებული ფუნქციური კავშირებია და ამ საგანში ადგილს ვერ პოულობენ სამომავლო ცვლილებები, რომლებიც დღესდღეობით მხოლოდ იკაფავენ გზას სისტემაში ადგილის დასამკვიდრებლად და მისი სახის შესაცვლელად. ამიტომაა, რომ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის თემაზე ეკონომიკისის სახელმძღვანელოებში შეტანილი საუბრები პრაქტიკულად მთლიანად ეხება მხოლოდ ე.წ. განვითრებადი და პოსტსოციალური ქვეყნების იმ გზებს, რომლებითაც მათ უნდა იარონ განვითარებული ეკონომიკების სტრუქტურებისაკენ - თითქოს ეს სტრუქტურებიც არ იცვლებოდნენ და სტრატეგიას თავადაც არ საჭიროებდნენ.

ზემოთქმული უნდა იყოს ერთი მიზეზი იმისა, რომ, უკვე 1980-იანი წლების მიწურულს, არა მარტო ჩვენთან მომრავლებულ დილეტანტს, არამედ დასავლურ სახელმძღვანელოებში ღრმად ჩახედულთაც საქართველოს ეკონომიკური მოდელის შემუშავებისას არ გაუთვალისწინებიათ დასავლური ცვლილებები. თუმცა, არ იქნებოდა სწორი ეს მხოლოდ ეკონომიკისის სახელმძღვანელოებისათვის დაგვებრალებინა - შინაც და გარეთაც ვითარება იყო ისეთი, რომ ხელისუფლებას იგი კარნახობდა დაეჩქარებინა სოციალისტური ეკონომიკის დემონტაჟი: გარე ძალები დაინტერესებული იყვნენ პირისაგან მიწისა აღექვათ სოციალისტური სისტემის აღორძინების საფრთხე და ამის ძირითად საშუალებად მიაჩნდათ ამ სისტემის ძირითადი საყრდენის, სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივება და პრივატიზაცია, ხოლო შინ ნომენკლატურა და მასზე გადაჯაჭვული კლანები მოუთმენლად ელოდნენ ამ "მსუყე ლუკმას".

ასე იყო თუ ისე, უკვე 1980-იანი წლების მიწურულს საქართველოში იბარტყეს დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარების კონცეფციებმა და მოდელებმა, რომელთა დიდ უმრავლესობაში დომინირებდა სახელმწიფო საკუთრებიდან კერძოზე გადასვლის იდეა იმის განუმარტებლად, რა შინაარსისაა კერძო საკუთრება და რა ცვლილებებს განიცდის იგი მსოფ-

ლიოში. საკუთრების ურთიერთობები ამ ვარიანტებში დაყვანილი იყო პრიმიტიულ გაგებაზე - იმაზე, ვისია ქონება ("ჩემი", "ჩვენი" თუ "სხვისი"). სინამდვილეში საკუთრებითი ურთიერთობა რთულია და მუდმივად ცვალებადი. იგი ცვალებადობს კაცობრიული ისტორიის გარიჟრაჟიდანვე. სახელმწიფოს გაჩენის შემდეგ საკუთრების ფუნქციები (უფლებები) ხშირად ნაწილდებოდა მასსა და მის ქვეშევრდომებს შორის, ფეოდალური კიბის საფეხურებს შორის და ა.შ. გასული საუკუნის შუახანებიდან კი საკუთრების თითოეული ფორმა განიცდის განსაკუთრებით სწრაფ შინაარსობრივ ცვალებადობას. სიტყვა "შინაარსობრივი" აქ იმიტომ მოვიტანე, რომ ეკონომიკური აზრით ქონება არ არის მხოლოდ იმისი, ვისაც სამართლებრივად ეკუთვნის. იგი არის იმ სუბიექტებისაც (სახელმწიფო იქნება ეს, ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფები თუ სხვები), ვისი ინტერესებიც ზღუდავენ იურიდიული მესაკუთრის გადაწყვეტილებებს, აიძულებენ მას, მეტად თუ ნაკლებად, დაემორჩილოს ამ ინტერესებს. გარე ინტერესთა ასეთი ზემოქმედება ხორციელდება როგორც საზოგადოებრივ სისტემაში ამ სუბიექტთა მდგომარეობის (პოზიციის) ძალით, ისე საზოგადოებრივ ინსტიტუტთა მეშვეობით, რომელთა შორის დღეს განმსაზღვრელ როლს ასრულებენ სახელმწიფოს მიერ შექმნილი ინსტიტუტები, საფინანსო-საკრედიტო იქნება თუ სხვა პროფილისა.

საკუთრების ურთიერთობები ცვალებადობენ ბევრი სხვა მიმართულებითაც, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ მთელი ეკონომიკური სისტემის ცვალებადობაში. სისტემის ეს რაკურსი მეცნიერულად ჯერაც დაუმუშავებელია, ემპირიულად კი იგი ნათლად ჩანს და ზოგად ასახვას პოვებს კიდეც ეკონომიკსის სახელმძღვანელოებში, სახელდობრ გამონათქვამში, რომ დღევანდელი კერძო საკუთრება ვეღარ ჩაითვლება კერძოდ ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკა უჩინარი ხელის შემწეობით თავადაც დგას საზოგადოების სამსახურში, მაგრამ ეს სამსახური შემოიფარგლება ორი დიდმნიშვნელოვანი ფუნქციით: 1. საბაზრო ეკონომიკა წარმოშობს ეკონომიკური განვითარების მძლავრ სტიმულებს და 2. იგი ეფექტიანად ანაწილებს რესურსებს ეკონომიკის სფეროებსა და დარგებს შორის. ეს ფუნქციები ხორციელდება გაშუალებით - ბაზრის მეშვეობით, სადაც მიმწოდებელი და მომხმარებელი ერთიმეორეზე ვერ ახდენენ ზემოქმედებას, მაგრამ ასე ხდება მხოლოდ სრულყოფილ ბაზარზე, სადაც კონკურენციის მექანიზმი მუშაობს ეფექტიანად.

ჩვენთან კი არავის უკითხავს, როგორი კერძო საკუთრება გვჭირდება და რა გარემო-პირობებში ემსახურება იგი საზოგადებრივ ინტერესს. რა მივიღეთ შედეგად? მივიღეთ სტრუქტურები, რომლებიც ხელს უშლიან ნამდვილი საბაზრო სისტემის მამოძრავებელი ძალის, კონკურენციის მექანიზმის ეფექტიან ამოქმედებას. რეფორმების მეოთხედმა საუკუნემ "მოასწრო" ჩვენი გადაყვანა მახინჯ კაპიტალზე, მაგრამ არა საბაზრო სისტემაზე. ამ სიმახინჯეს ჩვენს ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებენ "ველურ კაპიტალიზმად". იქნებ ასახავს ეს იარლიყიც ჭეშმარიტების რაღაც დოზას, მთლიანობაში კი ჩვენს ეკონომიკურ სისტემას უფრო უპრიანი იქნება მონოპოლისტურ-კლანური ვუწოდოთ.

თავიანთი სახელმძღვანელოს იმ თავში, რომლის სათაურია "ეკონომიკური განვითარების სტრატეგია", პოლ სამუელსონსა და და ვილიამ ნორდჰაუსს მოტანილი აქვთ მწარე ხუმრობა იმაზე, რომ კომუნიზმი არის ყველაზე გრძელი გზა კაპიტალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ [2, გვ.751]. ჩვენებურმა გარდამავალმა პერიოდმა ეს გზა კიდევ უფრო დააგრძელა: "ველური კაპიტალიზმიდან" ცივილიზებულზე გადასვლა გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ჩვენთან ჩამოყალიბებული მეწარმული სტრუქტურებიდან, რადგან მისი (არსობრივად არსაბაზრო) სტრუქტურების დემონტაჟი თვალსაწიერ მომავალში წარმოუდგენელია და მიზანშეუწონელიც. არც ამ სტრუქტურებში კონკურენტული საწყისების "ჩამონტაჟებისა" ან საზოგადოების სამსახურში სხვა მეთოდ - ინსტრუმენტებით მათი ჩაყენების რეალური პროგრამა ჩანს.

საზოგადოების მსახურებაში მეწარმული ინტერესის ჩაყენება მხოლოდ კონკურენციულსა და ინსტიტუციურ გარემოზე არაა დამოკიდებული. მისი ასევე (ხოლო გარდამავალი პერიოდისათვის უფრო მეტადაც) მნიშვნელოვანი ფაქტორია თვით საფირმო მენეჯმენტის ფუნქციებსა და სტრუქტურებში მიმდინარე ცვლილებები. გასული საუკუნის შუახნებიდან ისინი უფრო სწრაფადაც ხორციელდება, ვიდრე ეკონომიკის ფუნდამენტში მიმდინარე სხვა ძვრები. საკმარისია ვახსენოთ მარკეტინგისა და ინჟინერინგის (ბოლო ათწლეულებიდან - ბიზნეს - ინჟინერინგის) გიგანტური ნაბიჯები. მაგრამ ჯერ შევეხები შედარებით ფაქიზ პრობლემას - ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალების მიმართებას კორპორაციულ მმართველობაში.

ცხადია, ეს ორი ძალა ერთიმეორეს უპირისპირდება, მაგრამ ისინი ერთიანობაშია მოსაზრებელი. ცნობილია მენეჯერთა კორპუსისა და მეწამულ ინტერესთა კონფლიქტის ტრადიციად ქცეული პრობლემა. მეწარმეებს იგი უბიძგებს გამუდმებით ეძიონ გამოსავალი. კონფლიქტებიცა და მათი გადაწყვეტის გზებიც მიგვანიშნებენ საკუთრების ურთიერთობებში მიმდინარე ძვრებზე: კონფლიქტს ხომ ის წარმოშობს, რომ ტოპ-მენეჯერებიც, ხშირად კი - რიგითი მენეჯერებიცა და რიგითი მუშაკებიც კი, აშკარად თუ მალულად, ისე ეკიდებიან წარმოების 'საკუთარ" უბანს, როგორც თავისას, ხოლო ფირმის მესვეურები ბევრ შემთხვევაში გამოსავალს კონტროლის გამკაცრებაში ეძებენ.

მაგრამ მმართველობითი ფუნქციებისა და შესაბამისი სტრუქტურების სირთულის ზრდა სხვაგვარად აყენებს საკითხს. კორპორაციის ხელმძღვანელობას იგი უჩვენებს იმასაც, რომ კონტროლი

ყველაფერს ვერ გასწვდება და რომ ამასთან, მისმა, გამკაცრებამ ფინანსურადაც შეიძლება აზარალოს და ურთიერთობათა დაძაბვის მხრივაც. ვერც საბოლოო შედეგების ამაღლებამ მუშაკთა დაინტერესების მოგებაში მონაწილეობის სისტემის დანერგვა — გავრცელებამ, გადაწყვიტა პრობლემა. ამიტომ ბევრი კორპორაციის ხელმძღვანელობა ცდილობს შემოიზღუდოს საკვანძო ფუნქციებით და დანარჩენი ფუნქციების დელეგირება მოახდინოს. ამგვარ მცდელობებს უთუოდ ყოველთვის ჰქონდა ადგილი, მაგრამ საწარმოო და მმართველობითი ფუნქციების გართულება მათ ამოცანებსაც ართულებს და მმართველობის ფორმებს სულ უფრო ნაირგვარს ხდის. დაგროვილი გამოცდილება შესწავლას და გათვალისწინებას საჭიროებს. მაგრამ გასათვალისწინებელია ამ გამოცდილების არასტანდარტულად გამოყენების ფართო შესაძლებლობებიც, რომლებიც ჩვენ გვქონდა სახელმწიფო საკუთრების დემონტაჟის ეტაპზე და რომლებიც გარკვეულწილად ისევ გვაქვს. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა მოგვცემდა იმას, რომ ბევრი ჩვენი მსხვილი საწარმო არ დაქუცმაცდებოდა ან/და არ დაკნინდებოდა, არ შეიცვლიდა პროფილს ან/და, მით უმეტეს, ჯართად არ გაიყიდებოდა.

ახლა ვცადოთ ეს ზოგადი საუბარი ერთ პირობით მაგალითზე განვმარტოთ. პირობითია იგი იმდენად, რამდენადაც დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში გაამართლებდა ქვემოთ შემოთავაზებული გადაწყვეტებიდან ერთ-ერთი.

პრივატიზაციამ კომბინატი დაშალა - მისი 17 ერთეული ცალცალკე გასხვისდა. მაპროფილებელი პროდუქციის გამოშვება შეწყდა. შედეგად, ქაღალდის ფარდობითმა ფასმა ისე გადაამეტა ბევრი ძვირფასი პროდუქტის ფასს, რომ ეს უცხოელ სტუმართა გაოცებას იწვევდა.

რა ალტერნატიული გადაწყვეტები იყო შესაძლებელი? პირველი, შეიძლებიდა კომბინატის გარდაქმნა შერეულ სააქციო საზოგადოებად სახელმწიფოს ხელთ საკონტროლო პაკეტის შენარჩუნებით. სახელმწიფო საკუთრება და მმართველობა ჩვენთან ისეა დისკრედიტებული, რომ შეიძლება ამ ვარიანტმა ზოგი გააოცოს, მაგრამ რეფორმას, თუ მას შემოქმედებითად მივუდექით, შეუძლია რადიკალურად შეცვალოს ვითარება, ვთქვათ, შეზღუდო სახელმწიფოს მაკონტროლებელი ფუნქციები კორპორაციული საფინანსო და ტექნოლოგიური პოლიტიკით, რაც სრულებით არ ნიშნავს კორპორაციის ერთეულთა ფინანსური და ტექნოლოგიური ფუნქციების მნიშვნელოვან რეგლამენტირებას (აქ გასათვალისწინებელია დასავლური ჰოლდინგური კომპანიების მიერ ფინანსური პოლიტიკის განხორციელებაში კომერციული სახელმწიფო საწარმოების მართვაში დაგროვილი გამოცდილება. არ არის დასავიწყებელი არც წარმოების დემოკრატიზაციის საბჭოური მცდელობა რეჟიმის არსებობის ბოლო წლებში: საბჭოთა სახელმწიფოს არ ეყო პოლიტიკური ნება გაბედულად ეარა ამ მიმართულებით. გარდამავალ პერიოდში კი მეტი ალბათობაა, რომ სახელმწიფომ გაიაზროს დროის ობიექტური მოთხოვნები და არ დაემორჩილოს ნომენკლტურულ-კლანურ ინტერესებს, თუმცა, ჩვენთან ეს ასე არ მოხდა).

შერეულ საკუთრებაში მყოფი კორპორაციების მართვაში სახელმწიფოს ფუნქციების შეზღუდვის საკითხი შეიძლებოდა გამხდარიყო და დღესაც შეიძლება გახდეს განსჯის საგანი, მთავარია მას შეესრულებინა თავისი მისია - უზრუნველეყო საწარმოო ერთეულთა შორის ნაწილობრივ პრივატიზაციამდე არსებული ტექნოლოგიური ხაზის მუშაობა ანუ კომბინატის პროფილის შენარჩუნება, თუკი, რათქმაუნდა, ექსპერტები ამას საჭიროდ მიიჩნევდნენ. საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს იქნებ არც დასჭირებოდა ამისათვის, თუკი წესდება მას განუმტკიცებდა ამავე ფუნქციებს ერთი - “ოქროს” - აქციის ძალით.

რაც შეეხება მეორე ალტერნატიულ ვარიანტს, იგი გულისხმობს კომბინატის ერთეულების ცალცალკე გაცემას იჯარით, რომლის პირობებში ასევე იქნებოდა ჩადებული ძირითადი ტექნოლოგიური ხაზის შენარჩუნება. მისი ინსტრუმენტი შეიძლებოდა ყოფილიყო იჯარა ნატურით ანუ სახელმწიფო ამ “ნატურას” ნედლეულის სახით გადასცემდა ერთი მოიჯარისაგან მეორეს, საბოლოო პროდუქტის გამომშვები მოიჯარისაგან მიღებულ “ნატურას” კი თავად გაიტანდა ბაზარზე. ასეთი მექანიზმი ტექნოლოგიური ჯაჭვის ყოველ რგოლში იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფომ კონკურენცია გაუწიოს თავის მოიჯარეებს, რომლებიც საიჯარო ვალდებულების ზემოთ მთელი დანარჩენი პროდუქციის კერძო მესაკუთრეები იქნებოდნენ.

ზემოთ წარმოდგენილ ორ ვარიანტს შორის, უკვე 1980-იანი წლებიდან, უკანასკნელზე ვაკეთებდი აქცენტს [იხ.:3;4 და სხვ.]. მისი უპირატესობა მხოლოდ ის არაა, რომ იგი შეინარჩუნებდა ჩვენი ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესი - მისი სახის განმსაზღვრელი - პროდუქტების მიწოდებას მსხვილი საწარმოების დანაწევრების შემთხვევაშიც. მთავარ ღირსებად მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია კონკურენტული გარემოსათვის საჭირო პირობების შექმნა. თუ გარდამავალი პერიოდი არის სოციალისტური სტრუქტურების მსხვრევა “ნამსხვრევებიდან” ჭეშმარიტად საბაზრო ანუ კონკურენტული სტრუქტურების მისაღებად, მაშინ განსახელმწიფოებრივება - პრივატიზაციის პროცესები სწორედ ამ ამოცანას უნდა დაქვემდებარებოდა და გასაკერძოებელი, მათ შორის გასაიჯარებელი საწარმოო ერთეულები მის შესატყვის “თარგზე მოჭრილიყო”. ხოლო განხორციელებულმა წინდაუხედავმა, შემდეგ კი - უკანმოუხედავმა (შეცდომებზე თვალისდამხუჭმა) საპრივატიზაციო პოლიტიკამ ამოქმედებისთანავე გააძლიერა ჩვენი ეკონომიკის ნგრევის პროცესი.

იჯარა გამოყენებულ იქნა რეფორმის მსვლელობაში, ოღონდ - ძველი, ტრადიციული მექანიზმებით, რომელთაც მრავალი ნაკლი აქვთ. თავისთავად, ჩემს მიერ იჯარის შეთავაზებაში ახალი არაფერია, განსხვავებულია მხოლოდ მექანიზმები, რომლებიც საშუ-

ალებას იძლევა საიჯარო ურთიერთობა გათავისუფლდეს ხინჯებისაგან, მათ შორის, არ გადაიქცეს მეიჯარის მუნდირით მოქმედი სახელმწიფო მოხელის ფარული შემოსავლის წყაროდ.

ზემოთ უკვე ვახსენე საფირმო მმართველობითი სტრუქტურების გართულება. ეს ყოველთვის არ არის დაკავშირებული ტექნოლოგიების გართულებასთან (ბევრ შემთხვევაში ტექნოლოგიები მარტივდება კიდეც). მთავარი მიზეზი ბაზრის სტრუქტურების გართულებაა - მისი დიფერენციაცია და მასობრივი წარმოებისა და მიწოდების არეალის მკვეთრი შევიწროებაა. ხოლო დიფერენცირებული ბაზარი არსებითად ცვლის მეწარმის ამოცანებსა და ქცევას: იმისათვის, რომ დიფერენცირებულ ბაზარზე მოიპოვოს ან/და შეინარჩუნოს თავისი ნიში, მეწარმემ გამუდმებით უნდა ეძიოს სიახლე - მიაწოდოს ბაზარს პროდუქტის ისეთი ახალი სახეობა ან, როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება, ისეთი ახალი ნაირსახეობა, - რომელიც უფრო მიესადაგება მომხმარებელთა გარკვეული, თუნდაც შედარებით მცირერიცხოვანი, ჯგუფის საჭიროებებს. მან ეს ჯგუფი უნდა გამოყოს ასაკის, შემოსავლის, კულტურის, სარწმუნოების, გემოვნების, საცხოვრებელი გარემოსა და სხვა და სხვა ნიშნებით განსხვავებული ურიცხვი მომხმარებლისაგან ანუ მთლიანად უნდა შეისწავლოს ბაზარი და მოახდინოს მისი სეგმენტაცია, რათა ბოლოს გამოყოს მიზნობრივი ანუ თავისთვის სასურველი ბაზარი. ეს არის, ძირითადად, ფირმის მარკეტინგული საქმიანობის შინაარსი და მისი თანმიმდევრული შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მზარდი მარკეტინგული ხარჯების გაღებით. მეწარმე, რომელმაც აქედან სასურველი ეფექტი მიიღო, აღარ მუშაობს უცნობი ბაზრისათვის - იგი არა მარტო სწავლობს ბაზარს, არამედ ფლობს კიდეც მას. ბაზარი, რომელიც თავ-თავიანთ სეგმენტებად დაიყვეს ფირმებმა, ეფექტიანად ვეღარ შეასრულებს რესურსების განაწილების ფუნქციას ეკონომიკის სფეროებსა და დარგებს შორის. ჩგასული საუკუნის მეორე ნახევრის ერთერთი უდიდესი დასავლელი ეკონომისტის, ჯონ კენეტ გელბრაითის სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ოდესღაც მომხმარებელი კარნახობდა, რა უნდა იქნას წარმოებული, შესყიდული და გაყიდული, დღე ფირმის ძირითადი ფუნქცია ხდება ახალი პროდუქტების შემუშავება და შექმნა, რასაც მწარმოებელი ხელს არ მოჰკიდებს ისე, თუ წინასწარ არ შექმნა მასზე მოთხოვნა. დადგა მომხმარებელთა მართვის საუკუნეო, დასძინა ავტორმა ამ საუკუნის დასაწყისში გამოცემულ თავის უკანასკნელ წიგნში [იხ.:5, გვ.23].

ჩავუკვირდეთ მარკეტინგის ორად როლს ეკონომიკური სისტემის ცვალებადობაში: ერთი მხრივ იგი, თავისი ბრენდინგითა თუ სხვა საშუალებებით, დებს მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ხიდს, რომელიც ჩატეხა ამ ორი სუბიექტისთვის უცნობმა ბაზარმა. მიმწოდებელი ცდილობს შექმნას ისეთი პროდუქტი (მათ შორის მომსახურება), რომელიც მომხმარებელს სჭირდება თითქოს იგი ემორჩილება მომხმარებელს. მაგრამ ეს არის ეკონომიკური სისტემის მხოლოდ სამომავლო, დღეს კი - ჩანასახოვანი ფორმა, რომელსაც უჭირს გზის გაკაფვა: ბაზარი ძირითადად მიმწოდებლებისაა ანუ ისინი მართავენ მომხმარებლებს.

რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ საფირმო მარკეტინგს მომხმარებლის მარკეტინგი უნდა შეუპირისპირდეს, მაგრამ იგი მის საპირწონედ ჯერ-ჯერობით ვერ ვარგულობს: ვერ ვარგიან ამისთვის დღევანდელი სამომხმარებლო საზოგადოებები და უძლიერნი არიან ამისათვის გათითოკაცებული, დაქსაქსული მომხმარებლები. ვფიქრობ, პრობლემა არ არის უსაშველო და მისი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გადაწყვეტის მცდელობას ადგილი ჰქონდა კიდეც საქართველოში ჯერ კიდევ 1980-იანი წლების შუახნებიდან [იხ.:6].

სამომავლო (ჩანასახოვანი, განუვითარებელი), მაგრამ ჯერჯერობით ჩიხში მოქცეული საწყისები განვითარებული ქვეყნების საზოგადოებრივ - ეკონომიკური სისტემებში სხვაც არის. მათ გვერდით ან მათთან შეხიდულებს ვხედავთ ისეთ ფორმებსაც, რომლებიც ჩამოდიან ეკონომიკური ისტორიის სცენიდან. ამიტომ უპრიანია დავსვათ კითხვა, როგორ ჯობს - გაუანალიზებლად ანუ გაუაზრებლად (ბრმად) გადმოვიღოთ, რისი გადმოღებაც ძალგვიძს დასავლური მოდელებიდან თუ ჩავუკვირდეთ როგორ იცვლებიან ისინი, საით აქვთ გეზი თვით მათ, რა არის მათ სტრუქტურაში სამომავლო და რა - ქრობადი?

ამ კითხვით არ ამოიწურება პრობლემა. კითხვა - რა გადმოვიღოთ - უნდა შეეხიდოს კითხვას - როგორ გადმოვიღოთ, როგორ მივუსადაგოთ ის, რასაც იქ ჩვენთვის ფასეულს ვხედავთ, ჩვენს ეროვნულ ნიადაგს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lester C. Thurow. The Future of Capitalism. How today's economic forces shape tomorrow's world. New York. Penguin Books. 1996.

2. Пол А. Самуелсон, Вильям Д. Нордхаус. Экономика. Издание пятнадцатое. Москва Лаборатория Базовых Знаний. 2000.

3. საქართველოს სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია (მომზადებული თანამოაზრეთა ეკონომიკური კლუბის მიერ მ. გველესიანის ხელმძღვანელობით). გაზ. "თბილისი". 31 აგვისტო. 1989.

4. მერაბ გველესიანი. არსებობდა თუ არა ალტერნატივა. გვ. 52-59, ჟურნ. "ეკონომიკა," №10-12, 1998.

5. Джон Кеннет Гелбрейт. Экономика невинного обмана. Правила нашего времени. Москва. Изд. «Европа». 2009.

6. მერაბ გველესიანი. ადგილობრივი თვითმმართველობა. გუშინ, დღეს, ხვალ. თბ., "კომენტარი", 2002.

შემოქმედი ადამიანი-თვითმზარდი ღირებულება

***რევაზ შენგელია**, სტუ-ს პროფესორი*
***ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია**, სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

შემოქმედი (კრეატიული) ადამიანის როგორც თვითმზარდი ღირებულების (კაპიტალის) გასადიდებლად საჭიროა მისი შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების (ამ პოტენციალიდან ადამიანი ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ მის 10-15 პროცენტს თუ იყენებს) მაქსიმალური გამოყენება;

ყოველი ორგანიზაცია სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში, მუდმივად უნდა ეძებდეს საკუთარი საქმიანობის სრულყოფის გზებს. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალს, ადამიანს, თავისი უნარ-ჩვევებით, ცოდნით, კვალიფიკაციით, იდეებით.

მკაცრი კონკურენციის პირობებში აუცილებელია ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიქმნას შესაბამისი გარემო, ინოვაციური ატმოსფერო უწყვეტი განათლების სისტემის, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების უმთავრესი პირობის, დასანერგად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცოდნის გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: კრეატიული ეკონომიკა. შემოქმედი ადამიანი. კონკურენტუნარიანი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა. პირდაპირი და არაპირდაპირი ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში. კონკურენტუნარიანი პიროვნება. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოება და მისი განახლების ფორმები.

A Creative Person as Self-increasing His Value

Revaz Shengelia, Professor of GTU,
Jujuna Tsiklauri-Shengelia, Professor of GTU

Summary

1. To increase the value (capital) of the creative person it is necessary to enlarge the use of the unlimited resources (The Person may probably use only 10-15 % from his/her potential throughout the live) of the creative person.

2. Every Organization should constantly seek the ways to improve their activities in the rapidly changing competitive world. Under these conditions, the special attention should be paid to the staff, the people with their skills, knowledge, qualifications, ideas.

3. During the tough competition it is essential for any organization to create an appropriate environment, innovative atmosphere of continuous education system, as for the implementation of the main precondition for the reproduction of scientific-technical knowledge , that should ensure a constant update of knowledge, raise the general level of education in the country.

Keywords: Creative Economy. Creative Person. Competitive Scientific-technical Knowledge. The Direct and Indirect Investments in Human Capital. The Competitive Person. Reproduction of the Scientific -technological Knowledge and its Updated Forms.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში, სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში მიმდინარეობს ბრძოლა გადარჩენისათვის. ასეთ პირობებში ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ სფეროში შეუძლებელია წარმატების მიღწევა ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების ამოქმედების გარეშე, რომელიც ხელს შეუწყობდა ადამიანის კრეატიულობის, ცოდნის, გამოცდილების, კვალიფიკაციის დონის ამაღლებას.მაგრამ იმისათვის რომ სასურველ შედეგებს მივაღწიოთ, როგორც პროფესორი გურამ ჯოლია სავსებით სამართლიანად აღნიშნავს,საჭიროა, ჯერ ჩვენ შევიცვალოთ, მუდამ ვისწრაფვოდეთ ახლისკენ, ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ შემოქმედებითად, ანუ კრეატიულად. თანამედროვე პროგრესული ადამიანი არ უნდა იყოს მხოლოდ სხვისი შექმნილის მომხმარებელი. იმავდროულად, უნდა ვცდილობდეთ, ვიყოთ კრეატიულებიც, რადგან ვინც არ ქმნის რაიმე ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს იმეორებს და/ან მოიხმარს [1.გვ.9.]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ შემოქმედ, არატრადიციულ, ახლებური აზრობნების, უფრო სწორად კრეატიული ცოდნის მატარებელ მუშაკს შეუძლია უშუალოდ შექმნას ახალი, სხვისგან განსხვავებული პროდუქტი [3.გვ.18.].

შემთხვევითი არ არის რომ ბოლო დროს შეინიშნება პროგრესი, ახლებური, არატრადიციული, ინოვაციური მიდგომა კომპანიებში პერსონალისადმი დამოკიდებულების საკითხში: დაქირავებული მუშახელიდან იგი იქცა ახალ ფასეულ კატეგორიად - „ადამიანისეულ კაპიტალად“. საერთოდ, კაპიტალის თავისებურება კი ისაა, რომ იგი თვითმზარდი ღირებულებისაა. ამ თვისების გარეშე კაპიტალის არსი წარმოუდგენელია. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის (ადამიანისეული კაპიტალის), როგორც ინტელექტუალური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმის შესახებ. სწორედ ადამიანი უზრუნველჰყოფს საერ-

თო კაპიტალის ნამატს და გააჩნია სრულიად უნიკალური თვისებები, რომლებსაც ხშირად კომპანიის ხელმძღვანელები ივიწყებდნენ და ახლაც ივიწყებენ (ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: იმისათვის, რომ ორგანიზაციამ თანამედროვე სწრაფადცვალებად სამყაროში კონკურენტუნარიანი გახდეს, მან თავისი საქმიანობის პრაქტიკაში მრავალი ტრადიციული მიდგომა არსებითად უნდა შეცვალოს. იგი არსებული მდგომარეობიდან, როცა ცდილობს ცნობილი და აღიარებული ინდივიდების მიზიდვას, ახალ მდგომარეობაში უნდა გადავიდეს, ანუ მნიშვნელოვან ინტელექტუალურ პოტენციალს თვითონ დაეუფლოს და, დროის მოთხოვნების კვალობაზე, მისი სისტემატური სრულყოფა შეძლოს. აღნიშნულ ასპექტზე ყურადღება იმიტომ მახვილდება, რომ ადამიანისეულ კაპიტალს კომპანია სრულყოფილად ვერ ფლობს. გარკვეული ხარისხით, ამ მეტად მნიშვნელოვანი კაპიტალის მფლობელები თვით ის ადამიანებია, რომელთა მიმართ დაინტერესების ძლიერი მექანიზმების გამოყენებით, კონკურენტ-კომპანიებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გადაბირების პრაქტიკა თანამედროვე მსოფლიოში რეალურად არსებობს (გ. ჯოლია, ცოდნის ეკონომიკა, თბ., 2015, გვ.116)., ე.ი. ვერ აფასებენ მისი პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობას. ესაა კრეატიულობა. თუ ადამიანი აგნებს საკუთარ საქმეს, „თავის ადგილზეა“, იგი წარმოადგენს თვითმზარდ ღირებულებას და არანაირი ინფლაცია და კრიზისი არ მოქმედებს ამ ღირებულებაზე. პირიქით, კრიზისულ სიტუაციაში კრეატიული, „შემოქმედებითი ადამიანის“ პოტენციალი იზრდება. სულერთია, მენეჯერია იგი, თუ რიგითი სპეციალისტი, მთავარია, რომ აკეთებს თავის საქმეს. ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მას აქვს სურვილი თვითრეალიზაციისა, პიროვნული სრულყოფისა (2.გვ.129). ამიტომ, შემოქმედი ადამიანის ღირებულებას (კაპიტალის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით), ახასიათებს უსაზღვროდ ზრდა, იმაზე მეტად, ვიდრე ეს მასში ჩადებულ კაპიტალს შეუძლია. კომპანიები, რომლებიც ცდილობენ, გადაურჩნენ სასტიკ კონკურენციას, მუდმივად უნდა ისწრაფვოდნენ სრულყოფისაკენ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს კომპანიის განკარგულებაში არსებულ ისეთი უმთავრესი სიმდიდრისა და რესურსის რაციონალურ გამოყენებას, როგორიც კოლექტივია თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით, კვალიფიკაციით, იდეებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მისი სწორი მართვა, კოლექტივისათვის მსოფლიო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შრომის პირობების, ინოვაციური ატმოსფეროს (ისეთი გარემო, რომელშიც ადამიანი თავს თავისუფლად გრძნობს, სრულად მოტივირებულია, შემოქმედებითი საქმიანობისადმი მზადყოფნაშია და ხელმძღვანელობის მხრიდან აქვს სრული მხარდაჭერა ინოვაციურ საქმიანობაში) შექმნა და ამ მიმართულებით შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა. სწორედ ესაა სადღეისოდ კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის გრძელვადიანი ფაქტორი. კოლექტივის თითოეული პერსონალი არის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ქმნის სისტემას „კომპანია“. სწორედ პერსონალს უნდა უმადლოდეს ნებისმიერი ორგანიზაცია თავის არსებობას. სწორედ პერსონალია კონკურენტულ ბრძოლაში მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, სხვა შემადგენლები სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა ცოდნისა და გამოცდილების ინტელექტუალური და მატერიალური ფორმით განსახიერება. თანამდეროვე მოწინავე ორგანიზაციების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გადარჩენისა და სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის საჭიროა სწორედ სისტემის შემქმნელ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება. თუ ბაზარი ხელიდან გვეცლება, ბიუჯეტი ირღვევა, ორგანიზაცია ამოვარდა მაღალრეიტინგული და პრესტიჟული დაწესებულებების სიიდან, შეიძლება შემცირდეს დანახარჯები, რეორგანიზდეს სისტემა და შემცირდეს პერსონალი, ჩავიძიროთ რეკლამაში და, საერთოდ, ჯვარი დავასვათ მენეჯერის საკუთარ კარიერას. ან სხვაგვარად მოვიქცეთ: გავიხსენოთ, რომ ყველა ამ პრობლემის უკან ადამიანები დგანან -კომპანიის თანამშრომლები, სწორედ მათ უნდა „უმადლოდეს“ კომპანია თავის სირთულეებს, მაგრამ თავის ხსნასა და გადარჩენასაც მათშივე იპოვის! ბევრმა კორპორაციამ ამ შეგნებით დააღწია თავი კრიზისს და გადარჩა, აღორძინდა იმ გუნდისა და ადამიანების წყალობით, რომელთაც კრიტიკულ წუთებში სასწაულების მოხდენა შეუძლიათ (2.გვ.,128-129). აი, რას წერს თავის წიგნში „მენეჯერის კარიერა“ კორპორაცია „კრაისლერის“ ხელმძღვანელი ლი იაკოკა: „ადრე არასოდეს მცოდნია, როგორ მოიქცევიან ადამიანები ურთულეს ჟამს. ახლა კი ვიცი, რომ მათი უმრავლესობა საშველად გამოეშურება. ...ასევე ვისწავლე, რომ კრიზისულ სიტუაციაში ადამიანებს ძალუძთ შეინარჩუნონ ღირსება და იმოქმედონ აბსოლუტურად მშვიდად. ...მე აღმოვაჩინე, რომ ადამიანები გაიღებენ უდიდეს მსხვერპლს, როცა ირგვლივ ყველა იზიარებს მათს ხვედრს. როცა უმძიმესი განსაცდელები ყველას თანაბრად, ერთნაირად ეხება, შეძლებ, მთები გადააბრუნო“.

კრეატიული ეკონომიკის პირობებში, როცა უწყვეტი განათლების სისტემის დანეგვა მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების უმთავრესი პირობა ხდება, ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების ამოქმედების, კრეატიულობის გარეშე წარმოუდგენელია სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ასეთ პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც თვითგანახლებად სისტემას წარმოადგენს, რომელშიც პარალელურად მიმდინარეობს ახალი ცოდნის შექმნისა და არსებული ზოგიერთი ცოდნის მორალური მოძველების პროცესები. განსაკუთრებით უფრო სწრაფი ტემპით, მყისიერად მიმდინარეობს ეს პროცესები გამოყენებით მეცნიერებებში, ვიდრე საზოგადოებრივ, თეორიულ მეცნიერებებში. ამიტომ ცოდნის, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის წლიდან-წლამდე უცვლელი ოდენობით დატოვება, განმეორება იგივე იქნებოდა რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის,

ინოვაციების, სიახლეების დანერგვის უგულვებელყოფა. არადა 21-ე საუკუნე ხომ ისეთი საუკუნეა, როცა ცოდნა განიხილება, როგორც ეკონომიკაში გადამწყვეტი, მისი კონკურენტუნარიანობის წინასწარი პირობა [4.გვ.11.]. ამიტომ საზოგადოება იძულებულია სისტემატურად განაახლოს ანუ აკვლავწარმოოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა.

არატრადიციული აზროვნების, ჯანსაღი კონკურენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თანამედროვე, განსაკუთრებით, კრეატიული ეკონომიკის პირობებში შეძლება ადგილი ჰქონდეს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების (სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილი თეორიულ-პრაქტიკული მიღწევების, ცოდნის, გამოცდილების დაუფლების) მესამე-გაფართოებულ ფორმას (პირველი და მეორე ფორმის შესახებ იხ., ჟურნალი "ეკონომიკა", 7-8, 2016წ., გვ. 46), რომლის დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას არამარტო სრულყოფილად ფლობს, არამედ დამატებითაც აქტიურად დამოუკიდებლად მონაწილეობს მის შემოქმედებითად (კრეატიულად) განვითარებასა და დანერგვაში, აქვს გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური შინაგანი განახლების, ადაპტირების უნარი, ასევე ფლობს თანამედროვე მსოფლიო ენას, მისაღებ პიროვნულ თვისებებს, საქმიან კონტაქტებს და დადებით იმიჯს. ასეთი პირადი კონკურენტუპირატესობების მატარებელი ადამიანი კი არ ეძებს სამუშაოს, არამედ თავად სამუშაო ეძებს მას. ასეთი თვისებების მქონე მუშაკი კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში[3.გვ.18.]. ე.ი. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მესამე ფორმის დროს ადგილი აქვს ცოდნის განახლება-კვლავწარმოებას გადიდებული, სულ უფრო მზარდი ოდენობით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ტემპების კვალდაკვალ. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მხოლოდ ეს ფორმა არის უშუალოდ დაკავშირებული შემოქმედებითობასთან, არატრადიციულ, არასტანდარტულ, ახლებურ აზროვნებასთან, უფრო სწორად კრეატიულ ადამიანისეულ კაპიტალთან როგორც თვითმზარდ ღირებულებასთან.

ამრიგად, კრეატიული ადამიანის როგორც თვითმზარდი ღირებულების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, განვითარება და წინსვლა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ:

1. კრეატიული ადამიანის როგორც თვითმზარდი ღირებულების (კაპიტალის) გასადიდებლად საჭიროა მისი შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების (ამ პოტენციალს ადამიანი ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ 10-15 პროცენტს თუ იყენებს) მაქსიმალური გამოყენება ;

2. ყოველი ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს გადარჩეს თნამედროვე მკაცრი სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში, მუდმივად უნდა ეძებდეს საკუთარი საქმიანობის სრულყოფის გზებს. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომპანიის განკარგულებაში არსებული რესურსებიდან უმთავრეს რესურსს და სიმდიდრეს, წარმატებული საქმიანობის საწინდარს-პერსონალს, ადამიანს, თავისი უნარ-ჩვევებით, ცოდნით, კვალიფიკაციით, იდეებით.

3. მკაცრი კონკურენციის პირობებში აუცილებელია ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიქმნას შესაბამისი გარემო, ინოვაციური ატმოსფერო უწყვეტი განათლების სისტემის, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების უმთავრესი პირობის, დასანერგად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცოდნის გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015.
2. ჟურნალი "ეკონომიკა", №3-4, 7-8, 2016წ.
3. ჟურნალი "ეკონომიკა", №5-6, 2014 .
4. უ. სამადაშვილი, რ.შენგელია. თანამედროვე ეკონომიკა. თბ.; 2013 .

ღირებულებათა წინააღმდეგობები და ეკონომიკური განვითარების ორიენტირები

მერაბ გველესიანი,
სტუ-ს ემერიტუს-პროფესორი
შოთა ვეშაპიძე,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

მოხსენებაში საუბარია სარგებლობაზე, რომელსაც ერები იღებენ ეროვნულ ღირებულებათა ურთიერთგამდიდრების შედეგად.

ღირებულებები, როგორც ადამიანთა და საზოგადოებათა ქცევის სოციალური ორიენტირები, წარმოქმნიან სხვა დონეს ეკონომიკურ ღირებულებებთან შედარებით.

მოხსენებაში გამოყოფილია სოციალურ ღირებულებათა წინააღმდეგობის ხუთი სახეობა, რომელთაგან მეხუთე — წინააღმდეგობა ერების ღირებულებათა შორის — მოიცავს ოთხ დანარჩენს. მომხსენებლები ეხებიან ეროვნულ ღირებულებათა სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას კორუფციის დონეზე.

საკვანძო სიტყვები: ეროვნულ ღირებულებათა ურთიერთგამდიდრება; ღირებულებათა წინააღმდეგობები; საბაზრო ეკონომიკა; დასაქმება; კორუფცია.

Summary

Merab Gvelesiani,
Emeritus Professor of GTU
Shota Veshapidze,
Associate Professor of GTU

Contradictions Between Values and Guidelines for Economic Development

The report deals with the advantages that nations get as a result of mutual enrichment of their national values. The values, such as social guidelines for national and public behavior, create a deferent level than economic values.

The report highlights five varieties of contradictions of social values. The fifth variety – contradictions between national values – covers the rest four varieties. The reporters address the diverse effects of national values on corruption level.

* * * * *

ღირებულებები, რომლებზეც ვსაუბრობთ, ადამიანთა და საზოგადოებათა სოციალური ორიენტირებია. ჩვენი სწრაფვა საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიისაკენ სწორედ ამ ორიენტირებს ასახავს. „საბაზრო ეკონომიკა“ თითქოს წმინდა ეკონომიკური კატეგორიაა, მაგრამ როგორც ღირებულება იგი სოციალური კუთხით განიხილება: რატომ ვისწრაფით მისკენ? იმიტომ, რომ მისი განხორციელება მიგვაჩნია კეთილდღეობის მიღწევის, ცენტრალური მმართველობის წნეხისაგან გათავისუფლების, ყოველი ჩვენგანის შემოქმედებითი პოტენციალის თვითგამოხატვისათვის საჭირო პირობების შექმნის საშუალებად. ანუ ეს კატეგორია ვერ თავსდება ვიწრო-ეკონომიკურ ჩარჩოებში.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ სხვაობა წმინდა ეკონომიკური შინაარსისა და სოციალურ ღირებულებებს შორის, ავიღოთ ცხოვრებისეული მაგალითი: ზოგს ოპერა ურჩევნია ესტრადას, ზოგს - პირიქით; საკვებ პროდუქტებს შორის ზოგი ბოსტნეულს აძლევს უპირატესობას და ზოგი ხორცეულს და ა.შ. ეს ორიენტირები არ არის ღირებულებითი. ღირებულება სოციალური გაგებით არის საზოგადოებრივ მოვლენათა სიმრავლის ის საერთო ნიშანი, რომელიც ადამიანებისა და საზოგადოებებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასურველია.

მოტანილ მაგალითებშიც არის შესაძლებელი ასეთი საერთო ნიშნის პოვნა. ასეთი-უზოგადესი ნიშანი არის კეთილდღეობა, რომელიც, ცხადია, გაცილებით უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე დასახლებულ სიკეთეთა ან თუნდაც, ზოგადად, მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა მოხმარება. თუმცა, კეთილდღეობაზე სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ. ისევ ჩვენს მაგალითს მივმართოთ: ლუარსაბები კვლავაც “კუჭის მონებია”, მაშინ როდესაც ამა თუ იმ მომღერლის ფანი მშიერი წავა მის მოსასმენად. აქ საქმე გვაქვს გაუკიდურესებულ ღირებულებით ორიენტირებთან. კანონზომიერი კი ის არის, რომ კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე პირველი რიგის მატერიალური მოთხოვნილებების ზემოთ ადამიანები თავიანთი შემოსავლის სულ უფრო დიდ ნაწილს მომსახურებაზე ხარჯავენ, მათ შორის სულ უფრო დიდ ნაწილს ახმარენ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ ეს ნაწილები მომხმარებელს სხვადასხვა აქვთ, ანუ მათი ინდივიდუალური ღირებულებითი ორიენტირები განსხვავებულია. საზოგადოება თავისი ინსტიტუტების მეშვეობით მოვალეა შეისწავლოს შინამეურნეობების მოხმარების სტრუქტურა და თავისთვის და თითოეული წევრისთვის სასარგებლოდ მოახდინოს ამ ორიენტირების კორექტირება. ამ მიზნის მიღწევის საშუალებებია საინვესტიციო-დარგობრივი და საგადასახადო პოლიტიკა, რომლებითაც საზოგადოება, სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოთა სახით, ზემოქმედებს მიწოდებაზე; საფასე პოლიტიკა, რომელიც მიწოდებაზეცაა მიმართული და მოთხოვნაზეც და ა.შ.

სოციალური ნიშანი “აზის” არა მხოლოდ მატე-

რიალურ და სულიერ სიკეთეთა შორის არჩევანს. იგი ატყვია არჩევანსაც სულიერ სიკეთეთა იმ დიდ ბლოკებს შორის, რომელთაგან ზოგის მოხმარებას მეტი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის, ზოგისას ნაკლები, ხოლო ზოგი სულიერების დეგრადირებას იწვევს ანუ სიკეთე კი არაა, არამედ - ბოროტება, ღირებულება კი არაა, არამედ - მისი ანტიპოდია, რომელიც სამეცნიერო ენაში შეიძლება შევიდეს როგორც უარყოფითი ღირებულება. თუ მთავრობა ზრუნავს ადამიანთა საღ სულიერ განვითარებაზე, კერძოდ კი მათში მაღალი გემნოვნებისა და მაღალი ღირებულებითი ორიენტირების გამომუშავებაზე, იგი უნდა ასტიმულირებდეს ამ მოთხოვნათა შესატყვისი სულიერი პროდუქტების (ლიტერატურისა და ხელოვნების შესატყვისი ნიმუშების) მიწოდებასა და მოხმარებას ზემოთ უკვე ხსენებული თუ სხვა ინსტრუმენტების მომარჯვებით. ამისათვის საჭიროა ვეძიოთ შესაბამისი გამოცდილება როგორც აწმყოში, ისე წარსულში (მათ შორის არც საბჭოური გამოცდილება უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან იმ შენიშვნით, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში მაშინ მაღალი ღირებულების მატარებლად ითვლებოდა ის პროდუქტები, რომლებიც კომუნისტურ იდეოლოგიას ემსახურებოდა).

გლობალიზაციის ეპოქა სულ უფრო მძაფრად აჩენს "ოქროს მილიარდის" ქვეყნების ღირებულებათა მიმზიდველობას. მათკენ სწრაფვა დღეს ბუნებრივია და უფრო მეტი სიკეთის მომტანიც, ვიდრე წარსულში მოუტანია ჩვენთვის უცხოურ ღირებულებათა გაზიარებას. ოღონდ გააჩნია, რა მიზეზებითა და ფორმებით ხდება იგი: იმ მიზეზებით, რომ სრულვყოთ საკუთარი ღირებულებები და საკუთარი თავი თუ უბრალო წამბაძველობითა და იქაური ცხოვრებისგან თვალის მოჭრით ანუ სიბრმავით; და რა ფორმით წარმოგვიდგენია მათი გაზიარება – ბრმადვე გადმოღებას ვაპირებთ თუ ჩვენს ფესვებზე აღმოცენებულ ღირებულებებთან მათ მისადაგებას.

ამრიგად, პრინციპი იმისა, რომელი უცხოური ღირებულებების განხორციელება დავისახოთ მიზნად, შემდეგია: უნდა შევეცადოთ ნებისმიერი პროგრესული ღირებულების განხორციელებას, რომელიც კი თავსებადი იქნება ჩვენი კულტურისადმი იმის მიუხედავად, რომელი ქვეყნისა და ხალხისაგან მომდინარეობს იგი.

ამასთანავე აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ - ჩვენი იქნება თუ უცხოური - ღირებულებები შინაგანად წინაარმდეგობრივია, ისევე როგორც ყოველი რეალური მოვლენა. „შუქი' და „ჩრდილი", რომელიც მათ მუდამ თან ახლავთ, უზოგადესი ცნებები გამოითქმის როგორც „სიკეთე" და ბოროტება." ღირებულებები თავისთავად სიკეთეს უნდა წარმოადგენდნენ და ჭეშმარიტი ღირებულებები წარმოადგენენ კიდეც მათ, მაგრამ სიკეთე ყოველთვის ბოროტებასთან შეპირისპირებაში მოიაზრება და ცალკეული ადამიანებისა თუ მათი ერთობების ქცევის ღირებულებით ორიენტირებს სიკეთის ნაცვლად მართლაც მოაქვთ საზოგადოებისთვის ზიანი ანუ ბოროტება. აქ ჩვენთვის სახელმძღვანელოა დიდი ილიას საოცრად ღრმა და მარტივად თქმული სიტყვები:"კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა.... და რადგან ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისთვის ცოდვაა და ბოროტი, მეორისთვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? ... მაგ. "რატომს" ჯერ-აქამომდე ადამიანმა გულდაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა"[1, გვ. 327-328]. "გულდაჯერებული პასუხი" მაგ "რატომზე" არც დღეს გვაქვს და იქნებ ვერც ვერასდროს გვექნეს. მაგრამ ციტატიდან გამომდინარე შეიძლება ვისაუბროთ ბევრ რამეზე: იდეალურ და რეალურ, ობიექტურსა (ჭეშმარიტსა) და სუბიექტურ ღირებულებებზე, საზოგადოებისა და ინდივიდუალურ ღირებულებებზე, ღირებულებათა საზომის ფარდობითობაზე, ღირებულებათა წინააღმდეგობებსა და ბრძოლებზე და ა.შ.

პასუხი არა გვაქვს უპირველესად იმიტომ, რომ სოციალური ღირებულებები სწორედ რომ ადამიანის გულის ხმის გამოვლინებაა და რომ გააბსოლუტებული სახით მათ მხოლოდ პლატონისეულ იდეათა სამყაროში თუ წარმოვიდგენთ, სადაც უმაღლესი ღირებულებაა სიკეთე. სიტყვა "სიკეთე" ბევრ რამეზე ითქმის ქართულშიცა და სხვა ენებშიც - ითქმის იგი ადამინზეც, სასარგებლო ადამიანისეულ ქცევაზეც და ა.შ. და ითქმის იგი ყოველ ჭეშმარიტ ღირებულებაზე, რომელიც ადამიანთა ქცევის ორიენტირი უნდა იყოს. ამ აზრით ღირებულება ის კი არ არის, რაც ადამიანებს მოსწონთ და უნდათ, არამედ ის, რაც მათ უნდა უნდოდეთ და რასაც ისინი უნდა ესწრაფოდნენ, როგორც სრულყოფილებას პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ცხოვრებას თავისი წინააღმდეგობები აქვს საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და ადამიანებს ძალუძთ მხოლოდ იმ ღირებულებების სრული თუ არასრული გაცნობიერება, რომელი ღირებულებებიც ამ ეტაპზეა სასარგებლო საზოგადოებისათვის.

კომუნისტურ იდეალებსა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების შესაბამის მოწყობას ბევრი ადამიანი დიდხანს აღიქვამდა სრულყოფილებად. დღეს ასეთი ადამიანები ცოტანი არიან, მაგრამ არსებობენ და სულაც არ მიაჩნიათ სიკეთედ საბაზრო ეკონომიკა. მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტი ღირებულებები ატარებენ საყოველთაო ნიშანს. ისინი მას ატარებენ იმ აზრით, რომ ისინი სასარგებლონი არიან ადამიანთა მთელი ერთობისთვის, რომ მათ შეუძლიათ წინ წასწიონ ეს ერთობა ან/და მთელი კაცობრიობა. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, დაიმსახურებენ თუ ვერა ისინი საყოველთაო ან უმრავლესობის მოწონებას: ბევრი და ცოტა აქ არაფერს ნიშნავს. ასეთი ღირებულებები თავდაპირველად იდეის სახით ჩნდებიან ცალკეული ადამიანების გონებაში და, როგორც წესი, აწყდებიან კონსერვატიული აზრის წინააღმდეგობას. მისი განხორციელება ზოგჯერ

მართლაც მოუმწიფებელია ან შესაბამისი გარემოპირობების მოუმზადებლობისა და ან თვით იდეისა თუ მისი განხორციელების წესის ჯეროვანი დასაბუთების უქონლობის გამო. ამ შემთხვევაში კონსერვატიული აზრის გამარჯვებაა სასარგებლო. ზუსტია ამდაგვარი სიტუაციების ილიასეული შეფასება: "ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის." ზუსტადაა ჩასმული წინადადებაში სიტყვა "გულწრფელიც", ვინაიდან გულწრფელი აზრი ყოველთვის არ არის სწორი.

რით და რამდენად იყო მომწიფებული სოციალისტური ქვეყნების შემობრუნება საბაზრო ეკონომიკისაკენ? ეს ქვეყნები განვითარების ჩიხში შევიდნენ, ჯეროვანი თეორიული დასაბუთება კი გარდამავალ პერიოდს არ ჰქონია, რამაც ისეთი ნგრევა გამოიწვია, რომ „დიდი დეპრესიის" დროინდელი ნგრევა მასთან ვერ მოვა. ვერც სასურველი ეკონომიკური და, მთლიანად, სოციალური სტრუქტურები მივიღეთ. საბაზრო სისტემა, როგორც ცნობილია, უხინჯო არაა და მისმა ხინჯებმა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის განსაკუთრებით - საქართველოში, მთელი ძალით იჩინეს თავი: საბაზრო ეკონომიკა სოციალურად ულმობელია და გასული მეოთხედი საუკუნის საქართველო ამის ილუსტრაციაა იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ დროშაზე იმთავითვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა დაიწერა; მეწარმული სექტორი უძლურია საკმარისი ოდენობით მიაწოდოს მომხმარებელს საზოგადოებრივი სიკეთეები და ჩვენს ხელისუფლებას შემოსავალი არ ყოფნის შეავსოს მათი დეფიციტი; საბაზრო სისტემა უძლურია აიცილოს ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც კვლავ სტუმრობს კაპიტალისტურ ეკონომიკას, ჩვენ კი ჯერ წარმოების 1989 წლის დონე ვერ აღგვიდგენია; საბაზრო ეკონომიკამ დათესა უნდობლობა მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის და საქართველოს ბაზარი მდარე და ფალსიფიცირებულ საქონელს მიაქვს, რაც მთავარია, საბაზრო კონკურენცია წარმოშობს თავის ანტიპოდს — მონოპოლიას - რომელიც ბატონობს საქართველო ბაზარზე.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ საბაზრო ეკონომიკისკენ შემობრუნება არ გვჭირდებოდა. ვამბობთ მხოლოდ, რომ საჭირო იყო გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური სტრატეგიის უფრო ღრმა გააზრება და არა ხელისცეცებით სვლა შაბლონურად გააზრებული ბაზრისაკენ.

ქვემოთ მოცემულია მცდელობა მოგვეცა ღირებულებათა წინააღმდეგობების კლასიფიკაცია. გამოვყავით მათი რამდენიმე მსხვილი ბლოკი, მათ შორის:

პირველი: წინააღმდეგობები ცალკეული ღირებულებების ან მათი ერთგვაროვანი, ერთიმეორის გადამფარავი ჯგუფის „საკუთარ თავში". მათი მაგალითია საბაზრო ეკონომიკის ზემოთ დასახელებული ნაკლოვანებები: თუ ისინი „გარედან" არ შეივსო, საზოგადოება წინსვლას შეაჩერებს. ნაკლოვანია დემოკრატიაც. თავად იგი უმრავლესობის (ხალხის) ძალაუფლებას ნიშნავს და დაუცველს ტოვებს უმცირესობებს და ერთეულებს, განურჩევლად იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია მათი საჭიროებები და მათი აზრები. ამიტომ ხდება დემოკრატიის შევსება უმცირესობის დაცვის მექანიზმებით, რომლებიც ჩვენს წარმოსახვაში დემოკრატიის ნაწილად ასოცირდება, სინამდვილეში კი მისთვის გარედან მიმატებული, უცხო ელემენტია. როგორც ერთის, ისე მეორის შემავსებელი მექანიზმები შემოაქვს სახელმწიფოს თავისი მმართველობითი გამოცდილებისა და მეცნიერთა კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე, რომლებიც ასევე ემყარება ღირებულებით ორიენტირებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს სახელმწიფოს ობიექტური, მით უფრო - უნაკლო, ღირებულებები შემოჰქონდეს;

- მეორე: წინააღმდეგობები ცალკეულ ღირებულებებს შორის. ავიღოთ ისეთი მაღალი ღირებულებები, როგორებიცაა სრული დასაქმება და ფასების სტაბილურობა. ერთიც და მეორეც მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება, მაგრამ უდავოა მათი „ზეეკონომიკური" სოციალური მნიშვნელობაც. პოლიტიკოსებს, ჩვეულებრივ სჯერათ, რომ მათ იციან, როგორ დაძლიონ უმუშევრობა, ხშირად პირდებიან კიდეც დაუსაქმებლებს სამუშაო ადგილების შექმნას. ეკონომიკის ცალკეულ უბნებზე ამან შეიძლება არანაირი უარყოფითი შედეგი არ გამოიწვიოს, მაგრამ როდესაც დასაქმება მაკრომასშტაბითაა საგრძნობი, ძნელდება ინფლაციის შეკავება არა იმიტომ, რომ ახლადდასაქმებულებზე დამატებითი ხელფასი გაიცემა, არამედ იმიტომ, რომ შრომაზე იცვლება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა და მის კვალდაკვალ გარდუვალი ხდება ხელფასის ზრდა და იზრდება ეკონომიკური კრიზისის ალბათობაც. ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა შესაძლებელია, მისი მოსპობა - არა და ყოველ მომდევნო ეტაპზე ახალი გადაწყვეტა ხდება აუცილებელი, მაგრამ არც გადაწყვეტაა იოლი - იგი ეკონომიკური მექანიზმების ჯეროვან ცოდნას ითხოვს.

- მესამე: წინააღმდეგობები ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ღირებულებებს შორის;

- მეოთხე: წინააღმდეგობები დროთა (ეპოქათა) შესაყარზე ანუ ტრადიციულ და ახალ ღირებულებათა შორის (ბოლო ორი წინააღმდეგობის ანალიზს აქ არ შევუდგებით).

და, ბოლოს, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მეხუთე: წინააღმდეგობები სივრცეში ანუ ადამიანთა დიდი ტერიტორიული ერთობების –ხალხების (ერების) – ღირებულებებს შორის. წინააღმდეგობათა ეს კლასი თავისებურად იმეორებს წინა ოთხს, მაგრამ მაინც ცალკე კლასს წარმოადგენს, რადგან საქმე გვაქვს მათ (წინააღმდეგობათა) უფრო მაღალ დონესთან. ამ დონეზე ან ერთი ხალხი (შესაძლოა მისი მთავრობა) ესწრაფვის სხვა ხალხის ღირებულებათა გაზიარება-განხორციელებას და აწყდება თავისი თანამემამულეების – შესაძლოა აგრეთვე

თავისი მთავრობის – კონსერვატიულ განწყობებს, ან ეს სხვა ხალხი ცდილობს განავრცოს მასზე საკუთარი ღირებულებები – და ამ შემთხვევაში იგი შესაძლოა წააწყდეს დაბრკოლებებს უწინარესად ობიექტური და სუბიექტური პირობების მოუმწიფებლობასა ან, საერთოდ არარსებობასთან დაკავშირებით. განვრცობა ისტორიულად ხდებოდა დამპყრობლის მიერ დაპყრობილის დამორჩილების მიზნით, რადგან როცა დაპყრობილს სარწმუნოებასა და ენას ართმევ, იგი უფრო ადვილად სამართავი ხდება.

თანამედროვე ცივილიზაციაში საკუთარი ეროვნული ღირებულებების სხვებზე განვრცობა შეიძლება ხდებოდეს კეთილი მიზნებით – როცა ერთ ხალხს თავისი ღირებულებები გულწრფელად მიაჩნია ჭეშმარიტად (ან უფრო მოწინავედ მაინც). მაგრამ იგი შეიძლება ხდებოდეს აგრეთვე ადამიანთა და მთელი ერებისთვის დამახასიათებელი იმ ბუნებრივი სწრაფვით, რომ დაიმსგავსონ სხვა. ორივე შემთხვევაში დიდი დაფიქრებაა საჭირო, რადგან ღირებულებათა სივრცობრივი გავრცელება შეიძლება წააწყდეს სულ სხვა ეროვნულ ნიადაგს, რომელზეც უცხო ნერგი ვერ გაიხარებს ან გაიხარებს და, კარგა ხნით, სასურველ ნაყოფს ვერ მოგვცემს.

ამ კუთხით დამაფიქრებელია ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების ის პუნქტიც, რომლის მიხედვითაც ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს თავისი ღირებულებების გავრცელებას მთელ მსოფლიოში. უმჯობესი კია თვითონ მოვახდინოთ ჩვენს ევროპელ კეთილისმსურველებთან ერთად იმის სკრუპულოზული გამოკვლევა, რა ევროპულმა ღირებულებებმა შეიძლება იხარონ ქართულ ნიადაგზე და რა არის საჭირო იმისათვის, რომ იხარონ.

ვერ ვიტყვით, რომ ასეთ ღირებულებებს მიეკუთვნება: ადამიანის ღირსების პატივისცემა; პლურალიზმი (მრავალფეროვნება); დისკრიმინაციის დაუშვებლობა; შემწყნარებლობა; ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა და მათთანანი, რომლებიც ევროკავშირის დოკუმენტებში წინა პლანზეა წამოწეული. ვერ ვისაუბრებთ იმაზე, როგორ გავახაროთ ისინი ქართულ ნიადაგზე, რაკი ისინი ამ ნიადაგზეა (მასზეცაა) ნაშობი. ქართველი ხალხის ორიენტირი დასაბამიდან იყო ისეთი ღირებულებებიც, როგორებიცაა: თავისუფლება; ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობის უფლებების დაცვა და იმავე დოკუმენტებში დასახელებული ზოგი სხვა ღირებულება. ყოველივე ამით შეგვიძლია ვიამაყოთ და ამიტომაც მიგვაჩნია ევროპული კულტურა ჩვენთვის მახლობლად. გასარკვევი ის არის, რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებებით (რა ინსტიტუტებით) ხორციელდება დღეს ისინი იქ და აქ. ჭლეგალური (ფორმალური) ინსტიტუტები იქ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ყალიბდებოდა და ეს ხდებოდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილება-განვითარების კვალდაკვალ და მათთან მისადაგებით. ჩვენ კი ჯერ მხოლოდ სვლა დავიწყეთ თანამდროვე სტრუქტურებისკენ და დავიწყეთ იგი ზიგზაგებით, შეფერხებებითა და უკუსვლებთან შეწყვილებით. ამის შედეგია დასახელებულ ღირებულებათა სხვადასხვაგვარი დეფორმაცია და მათი არათანმიმდევრული განხორციელება.

ამის შედეგია ჩვენი მკვეთრი ჩარმოჩენაც ისეთი ღირებულებითი ორიენტირების დაცვაში, როგორებიცაა კანონის უზენაესობა და სამართლიანობა, რომლებიც ასევეა დასახელებული ევროკავშირის დოკუმენტებში ზემოთ ჩამოთვლილ ღირებულებათა გვერდით. კანონის უპატივცემულობას საფუძველი ჩაეყარა უკვე საბჭოთა ხანაში, როდესაც ხელისუფლება ვეღარ აკავებდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდას და როდესაც მდიდრული ან თუნდ ნორმალური ცხოვრების ძირითად წყაროდ მასობრივად იქცა ყალბისმქნელობა. კანონი ერთს ითხოვდა, ცხოვრება – მეორეს და ამ დაპირისპირებამ შვა მძლავრი კორუფციული მანქანა. პოსტსაბჭოური პერიოდის თავდაპირველმა ქაოსმა კიდევ უფრო გაამძაფრა ეს პროცესები. მათ შორის პრივატიზაციაც ელიტარულ-მიმტაცებლური ნიშნით წარიმართა. თუ იმხანად სამართალს სამართლიანობის რაღაც ნიშანწყალი დაეტყო, ეს მოხდა პარადოქსულად – მიმტევებლურად წვრილ კანონდამრღვევთა მიმართ, რომელთა უმრავლესობას არსებობის სხვა საშუალება აღარ გააჩნდა. ხოლო არაკანონიერების მიტევება, სათავეშივე თუ არა, მერე და მერე მაინც, კორუფციის შენაკადი ხდება.

კორუფციულ მანქანას დრო მხოლოდ სახეს უცვლიდა, თორემ იგი, პატარ-პატარა პაუზების შემდეგ, კვლავ წელში იმართებოდა და არც ახლაა შექმნილი იმის პირობები, რომ მან კვლავ უფროდაუფრო არ იბარტყოს. სოციალური დიფერენციაციაც, ბუნებრივია, ჩვენთან საბაზრო მექანიზმის შედეგად კი არ გაღრმავდა, არამედ — უსამართლობის შედეგად და ყველაფერზე მეტად ამან გამოიწვია ღირებულებითი ორიენტირების სისტემური დეფორმაცია.

ვითარების გასაჯანსაღებლად ჩვენ უთუოდ დაგვჭირდება ევროპული გამოცდილების შესწავლა და გაზიარება, მარამ ევროპასთან "ფეხაწყობილ" სვლას, ჯერჯერობით მაინც, ვერ შევძლებთ და ნურც შევეცდებით. არც ინერცია მოგვცემს ამის საშუალებას და არც სადღეისოდ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ეკონომკური სტრუქტურები. სამართლებრივი ინსტიტუტების ადმინისტრაციულ „გამაგრებას" კი, ვაითუ, მხოლოდ ის მოჰყვეს, რომ ჩვენი კორუფციონერების ნაწილმა, რომელიც დღეს ხისტი მეთოდებითაც გადის ფონს, „ფეხი აუწყოს" დასავლეთში გამოყენებულ "ცივილურ" მეთოდებს. იქაც ხომ არის კორუფცია!

ამტკიცებენ, კორფუციის ვირუსი ფინეთში ვერასდროს იხარებსო, და ამას ფინელთა ისეთი ღირებულებითი ორიენტირებით ხსნიან, როგორიცაა: ფინელებს არა აქვთ ფუფუნებისაკენ სწრაფვა – ფუფუნება სულელთა შუასაუკუნეების აღმოსავლურ გართობად მიაჩნიათ; ისინი ხალხის მოძულეობად თვლიან მის ხარჯზე გამდიდრებას, ხოლო მომავალი თაობების მოძულეობად – საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვას: მათ სწამთ, რომ ჯობს მათმა შვილებმა

და შვილიშვილებმა თვითონ გაიკაფონ ცხოვრების გზა; სწამთ, რომ ქურდი ვერასდროს გახდება თავისუფალი, რაკი ვერ განთავისუფლდება თავისუფლების აღკვეთის შიშისაგან.

ღირს ინფორმაციის გავრცელება ამ მაღალ და ლამაზ ღირებულებათა შესახებ, ოღონდ უტოპიური იქნებოდა ოცნება იმაზე, რომ ამით შევძლებთ მათ „გადმოღებას“. მათ მხოლოდ დღევანდელი სტრუქტურები კი არ გადაღობებოდა წინ, არამედ თვით ქართველიც თავისი, ფინელისაგან განსხვავებული, ხასიათით, რომელიც სადღეისოდ ამ სტრუქტურებსაა მისადაგებული. თორემ არ გვგონია, ფინელი ქართველს სიყვარულის თაყვანისცემასა და სიძულვილის გმობაში გაეჯიბროს. ქართველი მხოლოდ იმას ამჯობინებს, რომ თვითონ გასწიოს ხელგაშლით ქველმოქმედება და აქეთ არ გახდეს მისი მთხოვნელი. ამ ორ ვარიანტს შორის კიდევ არის ერთი: მოსაწყენი და, ხშირ შემთხვევაში, აუტანელი ღარიბული ცხოვრება. ჩვენი ხალხის უმრავლესობა მიეჩვია მას, ოღონდ – არ შეჰგუებია: ბევრი გაცვლიდა მას ფუფუნებაზე თუნდ დიდი რისკის ფასად. და ეს არის კორუფციის საშიში რეზერვი.

ჩვენ არ ვუდარებთ ერთმანეთს ამ ორი ერის აქ დასახელებულ ღირებულებით ორიენტირთა ავკარგს. გამოვდივართ მხოლოდ იქიდან, რომ მაქსიმალიზმი სულაც არ არის ქართველის ბუნებითი ნაკლოვანება – რომ მისი მახინჯი გამვლენა არსებული სტრუქტურებითა და მდგომარეობით არის განპირობებული. სანამ ისინი არ შეიცვლება, პროპაგანდა და კანონის გამკაცრება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. გამოსავალი ის არის, რომ ქართველის მაქსიმალიზმის დათრგუნვას კი არ შევეცადოთ, არამედ იმ სტრუქტურების შეცვლას, რომელიც ხელს უშლიან მის საღ გამოვლინებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა. 1985 წელი, თებერვალი. თხზ. სრული კრებული 10 ტომად. ტ. V. სახელმწიფო გამომცემლობა. თბ., 1955.

2. ვეშაპიძე შ. კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები. იხ.: nplg.gov.ge “ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი”, 2012.

ეკონომიკური ზრდის არითმეტიკა

დემნა კვარაცხელია *— სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
დიანა კვარაცხელია *— სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

Arithmetic of Economic Growth

Demna Kvaratskhelia,
Associate Professor, GTU
Diana Kvaratskhelia,
Assistant Professor,
Sokhumi State University

Summary

Based on geometric series equation, the article analyses of techniques for determining of correlation between the given specific production level to be achieved in the future and number of years required for this (with given basic GDP level and average annual economic growth rate).

Using the mentioned equation of geometric sequence, it is determined that in 2001—2015, in Georgia, average annual economic growth rate was 5.77%.

It is reasoned that the mentioned average annual economic growth rate of 5.77% is not sufficient for securing sustainable economic development and improvement of the population's life quality (especially regarding that in 2011-2015, there was extremely undesired decrease of economic growth rate), as it cannot secure effective solution of the elementary socioeconomic objectives facing the country.

საკვანძო სიტყვები: მშპ, ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური ზრდის ტემპი.

ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის მოცემული მნიშვნელობისას, მშპ-ის განსაზღვრული დონის მისაღწევად საჭირო წლების განსაზღვრა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების, მ.შ. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პროდუქტიულობა-ეფექტიანობის შესახებ.

ეკონომიკაში მშპ-ის, ინფლაციის, მოსახლეობის რაოდენობისა და სხვა მაჩვენებელთა გაორმაგებისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობის დასადგენად იყენებენ "70 რიცხვის წესს", რომლის თანახმადაც ამ რიცხვს ყოფენ კონკრეტული მაჩვენებლის ზრდის საშუალო წლიურ ტემპზე [1. გვ.: 164]. ასე მაგალითად, მშპ-ს გაორმაგებას, თუკი მისი ყოველწლიური ზრდის ტემპი იქნება 2%-ის ტოლი, დასჭირდება დაახლოებით 35 წელიწადი. იმ შემთხვევაში, როცა მშპ-ის ზრდის საშუალო წლიური ტემპი იქნება 3%-ის ტოლი, მაშინ მის გაორმაგებას დასჭირდება 23,3 წელიწადი.

ამასთან, აღნიშნული წესი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რამდენი წელი დასჭირდება ამა თუ იმ მაჩვენებლის გაორმაგებულისგან განსხვავებული ნებისმიერი სხვა დონის მიღწევას.

რომელიღაც n წლის შემდეგ მისაღწევ პროდუქციის გამოშვების მოცულობასა და მის მისაღწევად საჭირო წლების აღნიშნულ n რაოდენობას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება (მშპ-ის საბაზისო დონისა და ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის მოცემული მნიშვნელობებისას) შეიძლება გამოვსახოთ გეომეტრიული პროგრესიის შემდეგი განტოლების გამოყენებით [2. გვ.: 133]:

$$Q_n = Q_o \times R^n \quad (1)$$

სადაც, Q_0 - არის საბაზისო წლის შესაბამისი მშპ-ის დონე, ანუ მშპ-ის ის საწყისი დონე, რომლის მიმართაც იანგარიშება ეკონომიკური ზრდის ტემპი. მისი მნიშვნელობა, როგორც წესი, უდრის 100%-ს.

R - არის ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი. როცა ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის პროცენტული მნიშვნელობა შეადგენს 1%-ს, მაშინ R=1,01, ხოლო როცა მისი პროცენტული მნიშვნელობა ტოლია 2%-ის, მაშინ R=1,02 და ა.შ.

n - არის წლების რაოდენობა;

Q_n - არის მშპ-ის დონე, რომელიც მიღწეული იქნება n წლის შემდეგ, მშპ-ის Q_0 საწყისი დონისა და ეკონომიკური ზრდის R საშუალო წლიური ტემპის არსებობის პირობებში.

(1) განტოლების საფუძველზე შეგვიძლია გავიანგარიშოთ ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი. ამისთვის, აღნიშნული განტოლება გარდავქმნათ შემდეგი სახით:

$$R^n = \frac{Q_n}{Q_o} \quad (2)$$

საიდანაც ვღებულობთ, რომ:

$$R = \sqrt[n]{\frac{Q_n}{Q_o}} \quad (3)$$

საქართველოში 2001-2015 წლებში არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპების საფუძველზე (იხ.: ცხრ.1) განხორციელებული გაანგარიშების თანახმად, ცხადია, რომ აღნიშნულ პერიოდში მშპ-ს მოცულობა მთლიანობაში გაიზარდა 2,32-ჯერ.

ეკონომიკური ზრდის ტემპები საქართველოში 2001-2015წწ ცხრ.:1

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
(%)	4,8	5,5	11,1	5,9	9,6	9,4	12,3	2,3	–3,8	6,2	7,2	6,4	3,4	4,6	2,8

ე. ი. Q_n=2,32. ვინაიდან Q_0 ასახავს საბაზისო წლისთვის, ანუ 2000 წლისთვის არსებული მშპ-ის დონეს, რომლის მნიშვნელობაც შეადგენს 100%-ს, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში შეგვიძლია ჩავთვალოთ 1-ის ტოლად, ანუ Q_0=1.

(3) განტოლებაში ცვლადების აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით, შეგვიძლია გავიანგარიშოთ 2001-2015 წლებში არსებული საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდის ტემპი:

$$R = \sqrt[15]{\frac{2,32}{1}} = \sqrt[15]{2,32} = 1,0577$$

ე.ი. 2001-2015 წლებში ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა: 5,77%, ანუ დაახლოებით 5,8%.

ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის მოცემული მნიშვნელობისას, (1-3) განტოლებათა დახმარებით აგრეთვე შეგვიძლია გავიანგარიშოთ მშპ-ის არა მხოლოდ გაორმაგებული მოცულობის (რის საშუალებასაც გვაძლევს ზემოთ ნახსენები "70 რიცხვის პრინციპი"), არამედ მისი ნებისმიერი მოცულობის მისაღწევად აუცილებელი დროის პერიოდი. მაგალითად, შეგვიძლია გავიანგარიშოთ, თუ რამდენი წელიწადი დასჭირდება საბაზისო პერიოდთან (მოცემულ შემთხვევაში 2015 წელთან) შედარებით პროდუქციის გამოშვების გადიდებას, ვთქვათ 20%-ით, ანუ 1,2-ჯერ. ამ მიზნით გარდავქმნათ მე-2 განტოლება, რომელიც გალოგარითმების შედეგად ღებულობს შემდეგ სახეს:

$$log_R R^n = log_R \frac{Q_n}{Q_0}$$

ანუ

$$nlog_R R = log_R \frac{Q_n}{Q_0}$$

საიდანაც ცხადია, რომ:

$$n = log_R \frac{Q_n}{Q_0} \qquad (4)$$

ვინაიდან R=1,0577, ხოლო Q_0=1, ამიტომ 2015 წელთან შედარებით მშპ-ის მოცულობის გადიდებას 20%-ით (ე. ი. Q_n=1,2) დასჭირდება დაახლოებით 3,25 წელი $(n = log_{1,0577} \frac{1,2}{1} = 3,25)$, 50%-ით გადიდებას კი – დაახლოებით 7,23 წელი, ხოლო გაორმაგებას, ანუ 100%-ით გადიდებას – 12,35 წელი.

დავუშვათ, რომ R - იცვლება 1,01-1,14 ინტერვალის ფარგლებში 0,01-ის ტოლი სიდიდით. აღნიშნული ინტერვალის ფარგლებში R-ის თითოეული მნიშვნელობისათვის (4) განტოლების ამოხსნის შედეგად მივიღებთ წელთა იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა მშპ-ის გასორმაგებლად.

პერსონალური კომპიუტერის ბაზაზე ჩატარებული პროგრამული გამოთვლების საფუძველზე დგინდება, რომ, როცა R=1,01, ანუ როცა ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი შეადგენს 1%-ს, მაშინ მშპ-ის მოცულობის გაორმაგებას დასჭირდება n=69,7 წელი, როცა R=1,02, ანუ როცა ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი შეადგენს 2%-ს, მაშინ მშპ-ის მოცულობის გაორმაგებული დონის მიღწევას დასჭირდება n=35 წელი და ა.შ.

ქვემოთ მოყვანილია n-ის მნიშვნელობები R-ის ცვლილების გათვალისწინებით:

R=1,01	n= 69,7
R=1,02	n= 35,0
R=1,03	n= 23,5
R=1,04	n= 17,7
R=1,05	n= 14,2
R=1,06	n= 11,9
R=1,07	n= 10,2
R=1,08	n= 9,0
R=1,09	n= 8,0
R=1,1	n= 7,3
R=1,11	n= 6,6
R=1,12	n= 6,1
R=1,13	n= 5,7
R=1,14	n= 5,3

მოცემულ შემთხვევაში n-ის მნიშვნელობების განსაზღვრა შესაძლებელი იყო "70 რიცხვის წესის" შესაბამისადაც, თუმცა "70 რიცხვის წესი", (4) განტოლებისგან განსხვავებით ვერ უზრუნველყოფს n-ის ზუსტ გაანგარიშებას. ასე მაგალითად, ეკონომიკური ზრდის 10%-იანი საშუალო წლიური ტემპის შემთხვევაში, მშპ-ს მოცულობის გაორმაგებისთვის, "70 რიცხვის წესის" თანახმად საჭიროა 7 წელი, ხოლო (4) განტოლების მიხედვით კი — 7,3 წელი. (4) განტოლების უპირატესობაზე მიუთითებს ისიც, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, მისი დახმარებით შეგვიძლია გავიანგარიშოთ მშპ-ის არა მხოლოდ გაორმაგებული მოცულობის (რისთვისაც შესაძლებელია "70 რიცხვის პრინციპის" გამოყენებაც), არამედ მისი ნებისმიერი კონკრეტული მოცულობის მისაღწევად აუცილებელი დროის პერიოდი.

ამრიგად, ზემოთ განხორციელებული ანალიზის შედეგად განისაზღვრა საქართველოში ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის მნიშვნელობა 2000-2015 წლებში, რომელიც შეადგენს 5,77%-ს. ეკონომიკური ზრდის აღნიშნული საშუალო წლიური ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში მშპ-ის გაორმა-

გებისთვის საჭიროა დაახლოებით 12,35 წელიწადი, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს უახლოეს წლებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების არსებით გაუმჯობესებას. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ეკონომიკური ზრდის ყოველწლიური ტემპის შემცირების ტენდენცია, რომელიც შეინიშნება ბოლო წლების მანძილზე (იხ. ცხრ.1), რაც იწვევს ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის შემცირებას შედარებით მოკლევადიანი პერიოდისთვის. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ აღნიშნული შემცირება მნიშვნელოვანწილად გარეშე ფაქტორებითაა განპირობებული, თუმცა უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობისთვის ეს შეღავათი ნამდვილად არ არის.

(3) განტოლების დახმარებით შეგვიძლია განვსაზღვროთ ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი შედარებით მოკლევადიანი პერიოდისთვისაც, მაგალითად, 2006-2015 წლებისთვის. აღნიშნულ პერიოდში მშპ-ს დონე გაიზარდა 1,63-ჯერ. (3) განტოლების საფუძველზე განხორციელებული გაანგარიშების თანახმად, ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 5%. უფრო მოკლევადიანი პერიოდისთვის, მაგალითად, 2011-2015 წლებისთვის, მშპ-ს მოცულობა გაზრდილია 1,27-ჯერ, შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში, ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპმა შეადგინა 4,9%. თავისთავად ცხადია, რომ 4,9-5%-იანი ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში მშპ-ის მოცულობის გაორმაგებას დასჭირდება 14-14,5 წელიწადი, რაც 2 წლით მეტია ვიდრე 5,77%-იანი ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში აუცილებელი დროის პერიოდი.

აშკარაა, რომ 5,77%-იანი ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი, მით უფრო 5%-იანი, საკმარისი არ არის ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ვინაიდან იგი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე არსებული ამოცანების დროულ და ეფექტიან გადაწყვეტას.

სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონის ქვეყნებში შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევა, ვიდრე ეკონომიკურად შედარებით განვითარებულ ქვეყნებში [3. გვ.: 29-30], რაც განპირობებულია წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობასთან მიმართებაში კლებადი უკუგების კანონის მოქმედებით. საქართველოს მთავრობის მოვალეობაა, ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევის აღნიშნული რეალური შესაძლებლობის ხორცშესხმისთვის აუცილებელი პირობების ფორმირება.

ამრიგად, ქვეყნის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი შედარებით უფრო მაღალი საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდის ტემპის უზრუნველსაყოფად, მთავრობამ უნდა შეიმუშავოს და რეალურ ცხოვრებაში განახორციელოს ინოვაციურ-რეფორმატორული ხასიათის ღონისძიებები, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თავს ვერ დააღწევს სისტემურ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს, რაც გამოიწვევს უღარიბესი ქვეყნების რიცხვში საქართველოს სტაბილურ დამკვიდრებას.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: ეფექტიანი ინკლუზიური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, ბაზრების ეფექტიანობის ამაღლებას, კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავებას, ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებას, საზოგადოების წევრებსა და ეკონომიკის სუბიექტებს შორის ცივილური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, შესაძლებლობებისა და შედეგების შედარებით სამართლიან განაწილებას და ა. შ.. აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსური განხორციელება ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Макконнелл К. Р., брю С .Л. “экономикс”, Т.1. М., 1992 г.
2. თოფურია ს., აბესაძე გ., ოზბეგაშვილი გ, ... „მათემატიკა“, I ნაწილი, თბ.: 1991წ.
3. პაპავა ვლ. „მკვეთრი ზრდის ეფექტი და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდა“. ჟ.: „ეკონომიკა და საბანკო საქმე“. 2014წ., ტ.: 2, №1.

Theoretical-Methodological Basis of the Time Value of Money in Developing Countries

Merab Vanishvili *– Doctor of Economics (PhD), Associate Professor af Gori State Teaching University*
Lexo LemonJava*, Doctor of Economics (PhD), Assistant Professor of GTU*

Summary

In the article, the latest literary sources, the sequencingconsistently studied economic theory and economic practice in such an important issue, such as the time value of money, Showing his determination and application features using the developing country preven. The study is particularly relevant to the issue of the Georgia, when in the foreground on the need for coordination of fiscal and monetary political risk.

Keywords: Time value, value of money, inflation, cost of capital, Rate of Inflation, Interest Rates, Efficiency, hard currencies.

რეზიუმე

ფულის დროითი ღირებულების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები განვითარებად ქვეყნებში

სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, თანმიმ-დევრულადაა შესწავლილი ეკონომიკური თეორიისა და სამეურნეო პრაქტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ფულის დროითი ღირებულება, ნაჩ-ვენებია მისი განსაზღვრისა და გამოყენების თავისებურებანი განვითარებად ქვეყ-ნებში.საკითხის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე საქართვე-ლოსათვის, როდესაც წინა პლანზე დგება ფისკალური და მონეტარული პოლიტი-კის კოორდინირების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: დროითი ღირებულება, ფულის ღირებულება, ინფლაცია, კაპიტალისფასი, ინფლაციის განაკვეთი, საპროცენტო განაკვეთები, ეფექტურობა, მყარ ვალუტაში.

Introduction

Time value of money is an economic principal determining future value of currently available money. Despite the fact that present value of available cash is considered more valuable than the same amount in the future, the time value of money could be described as money's potential to grow in value in the future.

Money's value over some period of time could be increased if certain interest rate applies; however inflation and deprecation rates raises concern. Generally, inflation rate as one of the important factors in determining present value of future cash flows has reverse effect on the time value of money.

Plain text:The present or future values of cash flow are calculated using so called discount rate, which also is known as a cost of capital. Thus, discount rate is used to determine present value of future cash flow that is determined by three main factors:

- Rate of Inflation – predicted high inflation rate causes investors to require high rate of return for their investments.
- Interest Rates – low interest rates on deposits and high rates on debt securities cause the grater loss of income from interests on future money flows. This becomes ground for investors to demand higher rate of return to their investments.
- Risk Premium –greater risk related to future cash flows of an investment,establishesamong investors' requirement to compensate additional risk.

Time value of money is widely used tool in financial management to understand economic impact of the time value of cash flows in business decisions. However, in order to calculate time value of money three key principles shall be applied, equations given below:

1. Cost Of Capital:
2. Present Value Of Cash Flows:

Whereas, PV stands for Present Value of Cash Flow; FV – Future Value; r – interest rate per time period; n – number of time periods.

3. Future Value Of Cash Flows:

Whereas, FV – Future Value of Cash Flows; P – Principal; r – interest rate per year; n – number of years; c - number of compounding periods in a year.

Calculation of the time value of money allows defining amount that is needed to invest today to meet certain targets in the future.

Penny Jackson (2012) in OECD's Value For Money and International Development describes value for money (VFM) as a way to keep balance between the "three E" – economy, efficiency and effectiveness:

- Economy: reduce cost of resources;
- Efficiency: minimize input and increase output while keeping same or better quality;
- Effectiveness: successfully achieving the target outcome.

Foreign Direct Investment (FDI) is the major sources of capital inflow, especially, in developing countries. It helps

to create jobs, increase disposable income of households, develop market access regulations and modernize technology, achieve fiscal stability, improve social environment and even develop political culture at local market.

Governments of developing countries are using range of financial instruments to attract FDI in to their economy, however at least one of three factors determining discount rate of the cash flow makes negative influence on Government's efforts to attract FDI. Does not matter how attractive financial instruments Governments will deploy, if there is no stable inflation rate and competitive interest rates on creditswith considerably low risk premium, not many investors will show willingness to invest in local market. Activities related to attracting investment needs complex approach: Governments of developing countriesneed to create not only seductive incentives but primarily shall work on stabilizing economic indicators such as purchasing power parity (PPP), GDP per capita stable growth rate, etc.

Consumers in developing countries are usually price sensitive mainlybecause of limited disposable income. At the same time, corporate consumers are demonstrating concerns on prices on goods and services to gain competitive advantage at local market, so they always take into consideration value analysis when signing important purchase agreements. We conclude that companies in developing as well as in developed markets need to introduce cost-innovation capabilities instead of simply cutting costs for goods or services that may negatively affect quality of company's final products. It is advisable companies to spend resources on research and development (R&D) rather than using simple cost cutting techniques. R&D may bring new competitive advantage to the company because of restructured cost in innovative ways so they can offer customers higher quality products with lower price compared to their direct or indirect competitors.

When investing in R&D, restructuring cost or making any other strategic activities, companies are analyzing time value of money that particularly is sensitive in developing countries.

Not only private but public sector as well is cautious towards the time value of money when developing range of social welfare projects. Small developing countries are not able to fund their social projects based on national output, mostly they rely on foreign direct investment, international financial aid and public debt. Most developing countries have high debt to Gross Domestic Product (GDP) ratio and the ratio is increasing steadily in past decades. Only exceptions are countries who carefully studied time value of money they borrowed and invested in development of national economy along with efficient strategy to attract foreign direct investment; good example of such successful country is Singapore who wisely used every cent they received either from foreign investors, lenders or donors.

Paying back the debt, especially in a strong currency is tough for developing countries whose national production is on low level. In most cases such countries are taking new credits topayback old ones.

Vanessa Baird (1998) and Wayne Ellwood (1998) describes worldwide debt crisis that started in 1970 by oil exporting countries depositing their access money in international banks with high rankings. Those banks used available long-term deposits to issue credits for large development projects in different parts of the world. As a result, demand on those credits increased and interest rates increased consequently, it was followed up by recession and low commodity prices that caused size of debts to start growing rapidly. Developing countries taking credits for social programs rather then for development of manufacturing sector are suffering most; after increased interest rates and low level of foreign capital inflow, they ended up by double-digit debt to GDP ratio which in 21st century became usual practice. Most developed or developing countries nowadays have on average 40 percent debt to GDP ratio.

Biggest problem for developing economies is that they have so called soft currencies and they are paying back debts in so called hard currencies. Such problem is critical in countries that fail in calculations of the time value of money and prioritization of public spending. This is especially hard for small economies whose export volume is on low level and import increases steadily.

Conclusion:Private and especially public sector needs to think for every cent they own today how to best use it today and if not used, carefully calculate what will be the future value of it. Every cent public sector of developing nations are borrowing shall be justified and before taking credits think for answers: (1) Do we really need to fund this social welfareproject via debt or we better support development of manufacturing sector?Do we really need to refinance our old debt or we better re-structure our debt? (3) Shall we take new credit to increase public spending or we better cut bureaucracy cost?

References

1. Jackson P.: Value For Money And International Development: Deconstructing Myths To Promote A More Constructive Discussion. OECD Development Co-operation Directorate, 2012, pp. 1-4.

2. Schmidt R.:What You Should Know About The Time Value of Money. Journal "Property Metrics" (2014).

3. Asmundson I., Oner C.: What Is Money? Journal "Finance & Development" (2012), Vol. 49,№ 3.

4. Williamson J. P., Zeng M.: Value-for-Money Strategies for Recessionary Times. Journal "Harvard Business Review" (2009).

5. Groff S.: Getting Value for Money: Effective Aid, Effective Development. Global Policy Forum (2011).

6. Brigham E., Houston J. F.: Fundamentals of Financial Management, 1999, pp. 150, 238, 534.

ეკონომიკური ზრდის გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე

რუსუდან ქუთათელაძე
პროფესორი, სტუ
მაია ყიფიანი
პროფესორი, სტუ
მედეა ჭელიძე
პროფესორი, სტუ

რეზიუმე

საზოგადოებრივი განვითარება დაკავშირებულია მთავარ მიზანთან - კაცობრიობის კეთილდღეობის ზრდასთან მისი ყველა გამოვლინებით. თუმცა, რაც უფრო მაღალ შედეგებს აღწევს საზოგადოება ეკონომიკური განვითარების კუთხით, მით უფრო აშკარა ხდება კეთილდღეობის მაჩვენებლებსა და მოსახლეობის ცხოვრების დონეში სახელმწიფოთაშორისი და რეგიონალური განსხვავებები, უფრო მაღალია რისკები კეთილდღეობის იმ დონის მიმართ, რომელსაც მიაღწიეს განვითარებულ ქვეყნებში, უფრო აქტუალური ხდება ტერიტორიული გათანაბრების საკითხები, მოსახლეობის სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფისა და ცხოვრების მისაღები დონის შენარჩუნების ამოცანები.

მიღწეულ საზოგადოებრივ პროგრესს, ფაქტობრივად, მივყავართ მსოფლიოში ეკონომიკის პერიფერიული მოდელის განმტკიცებამდე, მსხვილი მრავალეროვნული კომპანიების მიერ მცირე კომპანიების გაკოტრებამდე, ღარიბ ქვეყნებში მილიონობით ადამიანის ცხოვრების დონის შემცირებამდე, სიმდიდრისა და სიღარიბის კონცენტრაციამდე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, უღარიბეს ქვეყნებს მიეკუთვნებიან სამხრეთ აზიის, აღმოსავლეთ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების დიდი ნაწილი. მსოფლიო ლიდერების მიერ „ათასწლეულის განვითარების მიზნების" შემუშავება დაკავშირებულია სწორედ ცხოვრების დონის ამაღლებასთან ყველა ქვეყანაში.

საკვანძო სიტყვები: კეთილდღეობა, ცხოვრების დონე, კეთილდღეობის ამაღლება, სიღარიბის შეფასება, საყოველთაო კეთილდღეობა.

Influence of Economic growth on Welfare of the population

Rusudan Kutateladze, Professor,
Maia Kipiani, Professor,
Medea Chelidze Professor,

Summary

Social development is associated with the main goal – Growth in welfare of the entire humanity in all its manifestations. However, the higher result is achieved by the society in the economic development, the more obvious become the interregional and cross-country differences in indicators of wellbeing and living standards of the population, the greater become the risks for the level of wellbeing achieved by the most developed countries, the more important the task development of countries equally, ensuring of social guarantees to the population and maintaining a reasonable standard of living.

Existing social progress actually leads to a fastening of peripheral model of the world economy, to the ruin of small businesses from large multinational companies, to reduce the standard of living of millions of people in poor countries, to the concentration of wealth and poverty. According to the World Bank, the poorest countries are the countries of South Asia, East Asia, "Black" Africa and Latin America. Developed by the world leaders of the "Millennium Development Goals" (MDGs) is dedicated to raising the standard of living of the population in all countries.

Keywords: Welfare, Standard of living, Growth in welfare, Poverty assessment, General welfare.

* * * * *

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა ქვეყნების, რეგიონების და ტერიტორიების მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრება და კეთილდღეობის ზრდა, სიღარიბესთან ბრძოლა უმნიშვნელოვანეს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოწვევად რჩება, რომლის გადაწყვეტასა და რეგულირებაში მრავალი ორგანიზაცია მონაწილეობს (გაერო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და ა.შ.). მაგრამ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე ღარიბი და განვითარებადი

ქვეყნების დახმარების პროგრამების რეალიზაციის ეფექტურობა.

თავდაპირველად „საყოველთაო კეთილდღეობის" იდეას ოპონირებას უწევდნენ კლასიკური ლიბერალიზმის მომხრეები და ეკონომისტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ თავისუფალ ბაზარს. ისინი მკვეთრად კრიტიკულად იყვნენ განწყობილი სახელმწიფოს ჩარევისადმი სოციალურ- ეკონომიკურ საკითხებში, ეჭვობდნენ, რომ პოლიტიკურ ძალას არ ეყოფა ცოდნა და სიბრძნე საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების რთული და ცვალებადი პროცესების მართვისთვის. ისინი ასევე ეჭვით უყურებდნენ ადამიანთა ცხოვრების რეგულირების უფლებამოსილების სახელმწიფოსთვის დელეგირების იდეას, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ხელისუფლების რეალური მოტივაცია დაკავშირებულია გარკვეული ჯგუფების ინტერესების დაცვაზე მთლიანად საზოგადოების ინტერესების საზიანოდ.

თანამედროვე მეცნიერებშიც არსებობენ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური სიკეთეების პაკეტის შეთავაზების მოწინააღმდეგეები. აშშ-ს ეკონომიკური განათლების ფონდის პრეზიდენტის რიჩარდ ებელინგის აზრით, დღეს სწორედ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსკენ" სწრაფვაა მთავარი დაბრკოლება თავისუფალი ბაზრის შექმნის გზაზე.

თანამედროვე მსოფლიოში კეთილდღეობის სახელმწიფოს კლასიკურ მაგალითად ითვლება შვედეთი. შვედურ მოდელში სოციალური პოლიტიკა ხელს უწყობს საზოგადოებრივი ურთიერთობების ტრანსფორმაციას სოციალური სამართლიანობის, შემოსავლების გათანაბრების, კლასობრივი უთანასწორობის შემცირების გზით და საბოლოოდ დემოკრატიული სოციალიზმის ახალი საზოგადოების აშენებას კეთილდღეობის სახელმწიფოს საფუძველზე.

„სოციალიზმის შვედური მოდელის" ეკონომიკური თეორიის შემქმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჰუნარ კარლ მიურდალი ამტკიცებდა, რომ „კეთილდღეობის სახელმწიფოში" მთავარია მოსახლეობის სოციალური დაცვა, ანუ სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი გარანტიების სისტემა, საკუთარი შრომის შედეგების მიხედვით მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის ამაღლების თანაბარი პირობების, ეკონომიკური დამოუკიდებლობის და შრომისუნარიანი მოსახლეობისთვის მეწარმეობისთვის პირობების, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის - ცხოვრების გარკვეული დონის უზრუნველყოფა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ვლინდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დისპროპორციის გაღრმავების ტენდენცია. სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისთვის გაწეული საკმაოდ მაღალი ხარჯების და მატერიალური კეთილდღეობის ობიექტური ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის უმეტეს ნაწილში მაღალია საკუთარი კეთილდღეობისადმი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, მათშიც კი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ღარიბების ან არაუზრუნველყოფილი ადამიანების ჯგუფს. ზოგადად დადგენილია, რომ კეთილდღეობის სუბიექტური შეფასების შემცირებაზე ოთხი ფაქტორი ახდენს გავლენას: ადამიანური კაპიტალის დანაკარგი, მომავლისადმი რწმენის უქონლობა, საზოგადოებრივი სიკეთის დაბალი მისაწვდომობა მაღალი ღირებულების გამო და სოციალური უთანასწორობა. ეს ფაქტორები, ჩვენი აზრით, ამცირებს იმ ძალისხმევის მნიშვნელობას და შედეგებს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ იხარჯება სოციალურ დახმარებასა და სოციალურ მომსახურებაზე. შესაბამისად, სახელმწიფო სათანადოდ ვერ აფასებს ამ ფაქტორების როლს და არ ახორციელებს განაწილების მექანიზმების მიზანმიმართულ ფორმირებას, საზოგადოების განვითარების გრძელვადიანი და სოციალურად ორიენტირებული მიზნების გათვალისწინებით.

მოსახლეობის კეთილდღეობის, სიღარიბის, ცხოვრების დონისა და ხარისხის საკითხების შესწავლაში სამეცნიერო-კვლევითი პროცესის არაერთგვაროვნება თავს იჩენს ძალიან მწვავედ. მაკრო- და მიკრო მიდგომების ურთიერთკავშირი, სხვადასხვა დონის ემპირიული მონაცემების შემცირების შესაძლებლობა, სტატისტიკური მონაცემების ხარისხიანი ინტერპრეტაციის ადეკვატურობა, კონკრეტულ ინდივიდზე ან მეურნე სუბიექტზე აგრეგირებული მონაცემების შესაბამისობა — ყველა ეს კითხვა შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავს.

ამგვარად, კეთილდღეობის მოდელის ფორმირებისას კომპლექსურობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ აუცილებელია ისტორიულ რეტროსპექტივაში თვითონ საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ევოლუციური მემკვიდრეობის, ევოლუციური კვლევების ბუნების გაორების, მოხმარების და ცხოვრების წესის სოციალური სტანდარტების ჩამოყალიბებაში რეგიონული თავისებურებების, ასევე კეთილდღეობის დასახული მიზნების მისაღწევად შესაბამისი ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ფორმირების აუცილებლობის შეხამება.

ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის, ეკონომიკაში 2015 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის ენგუს დიტონის (Angus Deaton) კვლევების მნიშვნელოვანი სფეროა შინამეურნეობების გამოკითხვების მონაცემების გამოყენება სიღარიბისა და ცხოვრების დონის გასაზომად. მისი შრომების წყალობით, მიკროეკონომიკური ანალიზი თანამედროვე განვითარების ეკონომიკის საფუძველი გახდა და ეს მოხდა ზუსტად იმ დროს, როდესაც ადგილი ჰქონდა ცალკეული შინამეურნეობების კეთილდღეობის შეფასებისთვის მონაცემების და ანალიტიკური მეთოდების სიმწირეს.

დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სიღარიბის გაზომვის ძირითად მეთოდად მოხმარება რჩებოდა. ამავე დროს, არსებობდა მოხმარებული საქონლის ფასების და ხარისხის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა. გამოკითხვების საფუძველზე დიტონმა შეძლო იმის ჩვენება, რომ მიღებული მაჩვენებლებიდან შესაძლებელია საბაზრო ფასების გაან-

გარიშება. ამან გავლენა მოახდინა სახელმწიფოების მიერ სიღარიბის შეფასებების მეთოდების სრულყოფაზე. მაგალითად, ინდოეთში 2000-ანი წლების შუა ხანებში დიტონის კვლევებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის გამოყენებით გადაიხედა ფასების არსებული მაჩვენებლები და აღმოჩნდა, რომ სოფლად სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ადრინდელ კვლევებში ჩანდა, რამაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა და დებატები, მათ შორის პოლიტიკური, რომელიც ეხებოდა როგორც სიღარიბის გაზომვის მეთოდებს, ისე მის დამოკიდებულებას ეკონომიკურ ზრდაზე. დიტონმა ასევე აჩვენა, რომ ეროვნული კვლევებისას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოხმარებას, ხოლო გამოკითხვებისას - პირიქით, საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მას.

2013 წელს, თავის წიგნში „დიდი გაქცევა: ჯანმრთელობის, სიმდიდრე და უთანასწორობის წარმოშობა “, ენგუს დიტონი წერს, რომ ჩინეთის ელვისებურმა ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია მსოფლიოში სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რაოდენობის შემცირება, მიუხედავად იმისა, რომ უთანასწორობა თვით ჩინეთში იზრდება. ამავე დროს, ადამიანები არა მხოლოდ უფრო შეძლებულები ხდებიან, არამედ უფრო დიდხანს ცხოვრობენ და განსხვავება სიცოცხლის ხანგრძლივობაში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში შემცირდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

მიუხედავად მთლიანობაში დადებითი ტენდენციისა, ჩამორჩენილი ქვეყნების რაოდენობა იზრდება, ასევე ყოველწლიურად იზრდება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების დონეს შორის განსხვავება, ხოლო სარგებელი ეკონომიკური ზრდიდან სულ უფრო მეტადაა მონოპოლიზებული შეძლებული მოქალაქეების მიერ, მაშინ როდესაც ადამიანების უმრავლესობის ცხოვრების დონე არ იცვლება.

ბევრი ეკონომისტი მივიდა დასკვნამდე, რომ ინვესტიციების, სესხების და დახმარების პროგრამების ჭეშმარიტი მიზანი სულაც არ არის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა ღარიბ ქვეყნებში. ხშირად ამის უკან დგას სხვა მიზნები - კაპიტალის გლობალური დაგროვება, მიწების მითვისება, ბაზრების მონოპოლიზაცია, უზარმაზარი ვალების მეშვეობით ქვეყნების დამონება, საზოგადოებრივი სექტორის განადგურება, სავაჭრო კონკურენციის შემცირება და სხვა. შესაბამისად ისმის კითხვა, უნდა გაუწიონ თუ არა სწრაფად მზარდმა და განვითარებულმა ქვეყნებმა ფინანსური დახმარება ჩამორჩენილ ქვეყნებს? ენგუს დიტონის პასუხი, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ცალსახად უარყოფითია. ის თვლის, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა დახმარების ამ პროგრამებს უფრო მეტი უარყოფითი მოაქვთ, ვიდრე დადებითი. მისი აზრით, ეს ხდება იმის გამო, რომ ქვეყნების ჩამორჩენა უკავშირდება არა რესურსების ნაკლებობას ან გარე პირობებს, არამედ ქვეყნის ცუდ მართვას, ხელისუფლების უმოქმედობას, ხოლო ფულადი ნაკადების დახმარებების სახით შედინება ქვეყნებში ხშირად სტიმულს ართმევს მთავრობებს გაატარონ რეფორმები და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას.

რა თქმა უნდა, ღარიბი და განვითარებადი ქვეყნებისთვის დახმარებების შეწყვეტა სწორი არ იქნება, მაგრამ ჩვენი აზრითაც, ძირითადი პასუხისმგებლობა მოსახლეობის ცხოვრების დონის და კეთილდღეობის ამაღლებაში უნდა აიღონ სწორედ შესაბამისი ქვეყნების მთავრობებმა, ადგილობრივმა და რეგიონალურმა ხელისუფლებამ, გამოავლინონ მეტი ძალისხმევა და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა რესურსი და ბერკეტი ამ მიზნის მისაღწევად.

ყოველივე ზემოთქმულიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: ეკონომიკური ზრდა არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ქმნის მატერიალურ საფუძველს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისთვის. მაგრამ ამავე დროს, აუცილებელია ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გადაანაწილებს ეკონომიკური ზრდის შედეგებს, გაითვალისწინებს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის განსხვავებულ მგრძნობელობას ეკონომიკური ზრდის და არასტაბილურობის სიტუაციების მიმართ და შექმნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების რეალურ პირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ebeling R.M. Marching to Bismarcks Drummer: The Origins of the Modern Welfare State // The Freeman: Ideas on Liberty. 2007. Vol. 57, № 10 December.

2. Паренти М. Как богатство создает бедность во всем мире.

http:// left.ru/ 2006/ 17/ parenti151.phtml

3. Шевяков А.Ю. Доходы населения: неравенство и поляризация // Эффективное антикризисное управление. Социальная сфера: мера ответственности. № 33/2005 //

http:// www. soautpprf.ru/site.xp/057050050.html

4. http://www.rbc.ru/economics/12/10/2015/561be0849a7947d78c0e9375

კონკურენტუნარიანობა- ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველი

***ზვიად ბეშკენაძე**, აწსუ-ს ასოცირებულიპროფესორი;*
***შოთა ლომინაშვილი,** აწსუ-ის ასოცირებულიპროფესორი;*
***მირანდა კავაძე,** ქუ-ის დოქტორანტი.*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები. დასაბუთებულია, რომ ეს ორი ეკონომიკური კატეგორია ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რამდენადაც ორივე ახასიათებს როგორც მთლიანად ეროვნულ მეურნეობას, ასევე მის შემადგენელ ელემენტებს.

კონკურენტუნარიანობა არსებობს ოთხ დონეზე: მიკროდონეზე; მეზოდონეზე; მაკროდონეზე ჰიპერმაკროდონეზე. ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან ყველაზე ახლოს დგას კონკურენტუნარიანობა მაკროდონეზე. მათ შორის ურთიერთკავშირი გამოიხატება შემდეგში: უსაფრთხოება წარმოადგენს აუცილებელ პირობას კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და ამაღლებისათვის; კონკურენტუნარიანობა გამოდის როგორც რესურსი, ობიექტი და პოლიტიკა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის; კონკურენტუნარიანობის შემცირება ქმნის საშიშროებას უსაფრთხოებისთვის.

კონკურენტუნარიანობა მაკრო დონეზე (და, მაშასადამე ეკონომიკური უსაფრთხოება) ვერ იქნება მიღწეული თუ ის უზრუნველყოფილი არ იქნა მის დაბალ ერარქიულ საფეხურებზე. მიგვაჩნია, რომ კონკურენტუნარიანობის ყველა დონის საფუძველსა და მის სხვა საფეხურებთან დამაკავშირებელ ძირითად რგოლს წარმოადგენს მეზოდონე. კონკურენტუნარიანობა მეზო დონეზე ქმნის საფუძველს კონკურენტუნარიანობისთვის მაკრო დონეზე და აგრეთვე წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების წინაპირობას.ამდენად, სახელმწიფომ ძირითად "სამიზნედ" საწარმოს დონე უნდა აიღოს.

საკვანძო სიტყვები: კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეფექტიანობა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

Competitiveness is The Basis of Economic Security in The Country

Zviad Beshkenadze, Associated Prof. of ATSU;
Shota Lominashvili, Associated Prof. of ATSU;
Miranda Kavadze, Doctoral student of KU;

Summary

The article discusses question of competitiveness and economic security in the country. There is substantiated that these two economic categories are closely connected to each other, as both of them are defined in the whole national economy as well as in its component elements.

Competitiveness has four levels: micro-level, meso-level, macro-level, hyper-macro-level; Competitiveness at macro-level closely stands with the economic security of the country; Interrelation between them is expressed with the following: security is the sina qua non condition for securing and increasing competitiveness; Competitiveness is the resource, object and policy for guarantying of the security; reducing of competitiveness endangers to security;

Competitiveness at macro-level (therefore economic security) cannot' be achieved if it's not provided on its hierarchical steps. We admit that the basis of all levels of the competitiveness and main connector to other steps is meso-level. Competitiveness at meso-level makes basis for competitiveness at macro-level and at the same time it's the precondition of economic security. Therefore, the main target for the state shall be the level of the enterprise.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ეს რთული პრობლემაა, ხოლო მისი მიღწევა ქვეყნის მთავარი ეკონომიკური ამოცანა, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევის საწინდარი.

გლობალიზაციისპირობებში, როდესაც ეკონომიკური საზღვრები იშლება, როდესაც საქონლის, მომსახურების, ნედლეულის, რეალური და ფინანსური კაპიტალის და ა. შ. მოძრაობის გზაზე ყველაბარიერი უქმდება და საშინაო და საგარეო ბაზრები ფაქტობრივად "სინონიმებია", როდესაც მსოფლიო ერთიან სავაჭრო "ხეივნად", მსხვილ ბაზრადაა ქცეული, და ეკონომიკის სუბიექტები ერთმანეთთან მეტოქეობენ ყველა – მიკრო, მეზო, მაკრო, ჰიპერმაკრო – დონეზე, როდესაც კონკურენტულ ბრძოლაში ჩართულია პროდუქცია, კომპანიები, სახელმწიფოები და თვითრეგიონული გაერთიანებები, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა მის ნებისმიერ იერარქიულ საფეხურზე ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევის საფუძველია.

ეკონომიკური უსაფრთხოება და კონკურენტუნარიანობა ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ეკონომიკური უსართხოებაც და კონკურენტუნარიანობაც — ახასითებს ეროვნულ მეურნეობას და მის შემადგენელ ელემენტებს. ესკარგად ჩანს თვითცნებების განმარტებიდანაც.

ეროვნული კონკურენტუნარიანობა არის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როდესაც: ქვეყნის სა-

წარმოები, წამყვანი დარგები და მათი კომპლექსები ფლობენ მიმდინარე და მომავალ (პერსპექტიულ) შეფარდებით უპირატესობას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ; მიღწეულია გრძელვადიანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ეკონომიკური ზრდის, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის, საზოგადოების კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის მდგრადი, შეფარდებითი მაღალი დონე; ქვეყნის სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საგანმანათებლო და სხვ. ინსტიტუტები მოქნილი და მაღალეფექტურია; მთლიანად ეკონომიკურ სისტემას აქვს შესაძლო ცვლილებებისადმი სწრაფი ადაპტაციის უნარი და მიდრეკილია ინოვაციებისა და განახლებისაკენ.

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ისეთი დონის მიღწევაა, ეკონომიკის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც: დინამიურად ვითარდება ბიზნესი (მეწარმეობა); ქვეყნის-ბიუჯეტი ღებულობს იმ რაოდენობის შემოსავლებს, რაც საკმარისია მისი ინსტიტუციების სრულფასოვანი ფუნქციონერებისათვის და აუცილებელი ვალდებულებების დასაფარავად; ყველა სახის ბაზარი (სამომხმარებლო, შრომის და მთლიანადრესურსების, ფინანსური და ა.შ.) გაჯერებულია მაღალი ხარისხის პროდუქციით, რომელზეც ფასები სტაბილურია; მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უზრუნველყოფილია იმ მოცულობის შემოსავლებით, რომელიც განაპირობებს მათი ცხოვრების მაღალ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დონეს; მისი ეკონომიკა ინარჩუნებს მდგრადობას არასასურველი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების ზემოქმედების შემთხვევაშიც.

კონკურენტუნარიანობას ზოგჯერ აიგივებენ ეფექტიანობასთან. კონკურენტუნარიანობა — უფრო ფართო კატეგორიაა ვიდრე ეფექტიანობა. ის აერთიანებს ეფექტიანობასაც როგორცერთ-ერთმდგენელ-კატეგორიას, თუმცა აღწერს სამეურნეო სუბიექტების, ცალკეულიფირმებისა დაკორპორაციების, მათი დარგობრივი გაერთიანებების და ცალკეული ქვეყნების ეროვნულ მეურნეობათა უფრო რთულ ურთიერთკავშირებს.

შეიძლება გამოიყოს კონკურენტუნარიანობასა და ეფექტიანობას შორის ორი პრინციპული განსხვავება. ჯერ ერთი, არსებობს ფორმალურ-აზრობრივიგანსხვავება, რომელიც გამომდინარეობს ორივე ტერმინის ეტიმოლოგიური განსხვავებიდან.

ეფექტიანობა — ეს დანახარჯების კავშირია შედეგებთან, რომელიც აჩვენებს რამდენად შედეგიანად უნდა იქნეს გამოყენებული ან გამოიყენება კონკურენტულ ბრძოლაში ჩართული სუბიექტების მიერ მის ხელთარსებული რესურსები.

კონკურენტუნარიანობა — ეს პოტენციალია, კონკურენტული მეტოქეობის შესაძლებლობაა, რომელიც შეიძლება არ იქნეს რეალიზებული. ის განისაზღვრება მაჩვენებლების ნაკრებით, რომელიც ახასიათებს კონკურენტული ბრძოლის მონაწილე სუბიექტებისგან კარგულებაში არსებულ რესურსულ პოტენციალს. ეს არ არის შედეგი, არამედ წარმატებული მეტოქეობის გაწევის შესაძლებლობაა.

კონკურენტუნარიანობის ცნება ფაქტობრივად აერთიანებს ეფექტიანობის ცნებას და ივსება იმით, რომ საჭიროებს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ასე მაგალითად, თუ მაღალეფექტური წარმოება, ვაჭრობა, საფინანსო ან სადაზღვევო საქმე არ არის უზრუნველყოფილი კონკურენტებიდან აუცილებელი დაცვის დონით, ის ვერჩაითვლება კონკურენტუნარიანად. თუ უზრუნველყოფილი არ არის ასეთი უსაფრთხოების სისტემა, კონკურენტული უპირატესობა ვერ იქნება რეალიზებული. უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც წესი, გამორიცხავს კონკურენტული უპირატესობის დაკარგვას ან მის გადასვლას ერთი სუბიექტიდან მეორეზე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტუნარიანობა= ეფექტიანობას+უსაფრთხოება [1:209].

ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მიღწევა გლობალურ კონკურენტულ გარემოში — ეროვნული ინტერესების რეალიზებისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. არავითარ რეალურ ეროვნულ კონკურენტუნარიანობაზე არ შეიძლება საუბარი ეკონომიკური უსაფრთხოების გარეშე, წარმატებული კონკურენტული განვითარება უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესებს.კონკურენტუნარიანობა პრაქტიკულად აერთიანებს ეკონომიკური უსაფრთხოების ცნებას, რომლის უზრუნველყოფის გარეშე ვერც ცალკეული ფირმა, ვერც ქვეყანა ვერ შეძლებს ხანრგძლივი პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნოს საბაზრო პოზიცია. ეკონომიკური უსაფრთხოება და ქვეყნის კონკურენტუნარიანობა (კონკურენტუნარიანობა მაკრო დონეზე) — ურთიერთდამოკიდებული ცნებებია. ეს ურთიერთკავშირი ვლინდება სხვადასხვა არხით და მიმართულებით. კონკურენტუნარიანობა იმავდროულად წარმოადგენს როგორც მიზანს, აგრეთვე ეროვნული სამეურნეო კომპლექსისა და მისი ელემენტების განვითარების ხარისხის მეგაინდიკატორს, ხოლო ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს მისი არსებობისა და განვითარების მნიშვნელოვან პირობას.

რაც მეტად არის განვითარებული ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები მით უფრო მდგრადი და სიცოცხლისუნარიანია ქვეყნის ეკონომიკა საშინაო და საგარეო საფრთხეების მიმართ. მრავალრიცხოვანი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ კონკურენტუნარიანობას მაკროდონეზე, იმავდროულად წარმოადგენენ ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებს.

ეროვნულ კონკურენტუნარიანობას და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას შორის ურთიერთკავშირი აგრეთვე გამოიხატება შემდეგში: უსაფრთხოება წარმოადგენს აუცილებელ პირობას კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და ამაღლებისათვის; კონკურენტუნარიანობა გამოდის როგორც რესურსი, ობიექტი და პოლიტიკა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის; კონკურენტუნარიანობის შემცირება

ქმნის საშიშროებას უსაფრთხოებისთვის.

სხვადასხვა ეკონომიკურ ლიტერატურაში, არც თუ იშვიათად, კონკურენტუნარიანობას განიხილავენ ოთხ დონეზე: 1) მიკროდონეზე — სასაქონლო (კონკრეტული სახის პროდუქციის და მომსახურების) დონეზე; 2) მეზოდონეზე — ცალკეული ფირმის, მათი კორპორაციული გაერთიანებების, დარგებისა და დარგობრივი კომპლექსების (კლასტერების) დონეზე; 3) მაკროდონეზე — ეროვნული მეურნეობების, ცალკეული სახელმწიფოების (ასევე ეროვნულ, რეგიონული სამეურნეო კომპლექსების) დონეზე; 4) ჰიპერმაკროდონეზე — ინტეგრაციული გაერთიანებების დონეზე, ანუ ესაა მასში შემავალი ქვეყნების ერთობლივი კონკურენტული უპირატესობა მაკროდონეზე.

კონკურენტუნარიანობა მიკრო, მეზო დონეზე ქმნის საფუძველს კონკურენტუნარიანობისთვის მაკრო დონეზე და აგრეთვე წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების წინაპირობას. ხოლო ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ კონკურენტუნარიანობას სხვადასხვა დონეზე, წარმოადგენენ აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორებსაც. ეკონომიკურ უსაფრთხეობასთან ყველაზე ახლოს მაინც კონკურენტუნარიანობა მაკრო დონეზეა (ქვეყნის კონკურენტუნარიანობაა), რამდენადაც მასში მოიაზრება ქვეყნის უნარი მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. თანამედროვე პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს სამეურნეო სისტემის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივის შესახებ მაჩვენებელს, განსაზღვრავს მის მონაწილეობას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, გამოდის ეკონომიური უსაფრთხოების გარანტად და მთლიანობაში წარმოადგენს ქვეყნის შესაძლებლობას თავისუფალი კონკურენციის პირობებში აწარმოოს საქონელი და მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს, რომლის რეალიზაციაც ზრდის ქვეყნის კეთილდღეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტუნარიანობა მაკრო დონეზე (და, მაშასადამე ეკონომიკური უსაფრთხოება) ვერ იქნება მიღწეული თუ ის უზრუნველყოფილი არ იქნა მის დაბალ ერარქიულ საფეხურებზე. მიგვაჩნია, რომ კონკურენტუნარიანობის ყველა დონის საფუძველსა და მის სხვა საფეხურებთან დამაკავშირებელ ძირითად რგოლს წარმოადგენს მეზოდონე. რამდენადაც სწორედ საწარმოები წარმოადგენენ როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო გარემოზე ზემოქმედების მთავარ ფაქტორს. სწორედ მასზე, თუ საწარმოები რამდენად ეფექტურად იყენებენ მისთვის ხელმისაწვდომ ფაქტორებს, არის დამოკიდებული როგორც მთლიანად საწარმოების კონკურენტუნარიანობა, აგრეთვე მაკროგარემოს კონკურენტუნარიანობა. ფირმებისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა — ეს იმავდროულად ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. მეზოდონეზე კონკურენტუნარიანობის შედეგი, მისი ერთ-ერთი მაჩვენებელი საქონლის, მიკროკონკურენტუნარიანობაა, ხოლო მაკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობისთვის ის წარმოადგენს საფუძველს და მის ერთ-ერთ ინდიკატორს. არ არსებობს კონკურენტუნარიანობა მაკროდონეზე თუ ის არაა მიღწეული მის დაბალ ერარქიულ საფეხურებზე. თუმცა, თავის მხრივ, კონკურენტუნარიანობა ვერ მიიღწევა მეზოდონეზე თუ სახელმწიფოს დონეზე არ არის შექმნილი მისი უზრუნველყოფისთვის გარკვეული წინაპირობები (ზოგადად სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემო), რომლებიც თავის მხრივ მაკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობის მდგენელებს, ელემენტებს წარმოადგენენ. ეროვნული კონკურენტუნარიანობა და კომპანიის კონკურენტუნარიანობა ვითარდება ურთიერთკავშირით, თუმცა გარკვეულწილად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს კიდეც.

ამგვარად, გვაქვას ერთგვარი ჩაკეტილი წრე, რომელშიც მთავარი რგოლი მაინც საწარმოს კონკურენტუნარიანობაა. მისი როლი განვითარებად ეკონომიკაში, სადაც კონკურენტუნარიანობა მის ყველა იერარქიულ საფეხურზე სუსტია, განსაკუთრებულია. სწორედ მან უნდა შექმნას საფუძველი სხვა დონეებისთვის. ამდენად, სახელმწიფომ ძირითად "სამიზნედ" საწარმოს დონე უნდა აიღოს. თუ უზრუნველყოფილი იქნება კონკურენტუნარიანობის ზრდა ამ საფეხურზე მან შეიძლება გარკვეული კუმულაციური ეფექტიც კი მოგვცეს კონკურენტუნარიანობის დანარჩენ დონეებზე ზრდის მიმართულებით. ანუ თუ უზრუნველყოფილი იქნება კონკურენტუნარიანობის ზრდა წარმოების დონეზე ეს განაპირობებს კონკურენტუნარიანობის სინქრონული ზრდას ყველა საფეხურზე შიდა დონეებს შორის კუმულაციური ეფექტით. ამგვარად,თუ იქნება მიღწეულიკონკურენტუნარიანობა მეზო დონეზე ის შექმნის საფუძველს კონკურენტუნარიანობისთვის მაკრო დონეზე და, მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. ოთინაშვილი, ეკონომიკურიუსაფრთხოება, ანალიზისკრიმინალურიასპექტები, თბ.: 2005. - 440 გვ.

2. Богомолов, В. А. и др., Экономическая безопасность, М.: ЮНИТИ-ДАНА, 2009. – 295 с.

3. Сенчагов, В. К. и др., Экономическая безопасность России, М.: Дело, 2005. – 896 с.

ციფრული საფრთხეების ეკონომიკური გავლენა

რატი აბულაძე
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ეკონომიკა სულ უფრო დამოკიდებული ხდება ტექნოლოგიებზე. ინტერნეტ-ტექნოლოგიები აფართოებს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს, ისე საფრთხეებს, იწვევს სოციალურ ცვლილებებს, ზრდის საზოგადოებრივ გაურკვევლობას, წარმოაჩენს სახელმწიფოს კიბერ საფრთხეებსა და მოწყვლად ადგილებს.

სამეცნიერო ნაშრომში ნაჩვენებია ინტეგრირებული კიბერგარემოს ფორმირების საფუძველი და მოსალოდნელი ტენდენციები. აღნიშნულია კიბერთავდასხმების ზრდისა და ინტერნეტ-ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირების კავშირი. ნაჩვენებია, კიბერთავდასხმების მზარდი საფრთხე, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას დიდ ზიანს აყენებს.

კვლევების საფუძველზე დადგენილია საქართველოს კიბერგარემოს გამოწვევები. კვლევით ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში არ ხდება ელექტრონული ბიზნეს სივრცის ათვისება და ვერ ყალიბდება მძლავრი ელექტრონული მმართველობითი სისტემა,

სტატიაში გამოკვეთილია კიბერიერიშმიტანილი სფეროები, სახელმწიფოს კიბერდაცვისათვის საჭირო ღონისძიებები და პრევენციის მექანიზმები.

დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია ქვეყნის კეთილდღეობისათვის საჭირო რეკომენდაციები და კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური გავლენა, ციფრული საფრთხე, კიბერთავდასხმა

Economic Impact of Digital Threats

Rati Abuladze, Associated prof. of Gtu

Summary

The economy is becoming increasingly dependent on technologies. Internet technology expands the socio-economic benefits, as well as the threats, leads to social changes, increases social uncertainty, highlights cyber threats and vulnerable areas of the State.

The scientific work deals with the basis for the formation of an integrated cyber environment and the expected trends. It considers the connection between the growth of cyber-attacks and the slowdown of the Internet economy. The paper discusses the growing threat of cyber attacks, which causes serious damage to the world economy.

Based on the studies, the challenges of Georgian cyber environment are identified. Research paper points out that the E-business space is not utilized and powerful E-governance system can not be formed.

The article outlines the cyber attacked areas, cyber security measures and prevention mechanisms of the state.

In conclusion, the recommendations and system of specific measures required for prosperity of the country are outlined.

შესავალი

ეკონომიკა სულ უფრო დამოკიდებული ხდება ტექნოლოგიებზე. ინტერნეტ-ტექნოლოგიები აფართოებს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს, ისე საფრთხეებს, იწვევს სოციალურ ცვლილებებს, ზრდის საზოგადოებრივ გაურკვევლობას, წარმოაჩენს სახელმწიფოს კიბერ საფრთხეებსა და მოწყვლად ადგილებს.

კვლევები ადასტურებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით 10 წელიწადში მოსახლეობის 90% ჩართული იქნება ინტერნეტში, ხოლო ინტერნეტ-საგნების შექმნით ციფრული და ფიზიკური სამყაროს გაერთიანდება. აღნიშნული მოცემულობის შედეგი ინტეგრირებული კიბერგარემოს ფორმირება იქნება.

აღსანიშნავია, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს კიბერთავდასხმების ზრდასა და ინტერნეტ-ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირებას შორის. ამასთან, კიბერეკოსისტემის კასკადზე სულ უფრო იზრდება კიბერთავდასხმების პრეცედენტები. კიბერთავდასხმები წარმოადგენს ინფორმაციული ომის ახალ ფურცელს. იგი არის მზარდი საფრთხე, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას დიდ ზიანს აყენებს.

ციფრული საფრთხეები ქმნის სახელმწიფოს დასუსტების პირობას, სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური გავლენით. იგი დიდ გავლენას ახდენს საფინანსო ბაზრებზე, სახელმწიფოს რეპუტაციასა და ნდობაზე.

I. ციფრული საფრთხეების კლასიფიცირება

კიბერსივრცედ მხოლოდ ინტერნეტი აღარ განიხილება, რადგან ინტერნეტში ჩართულია საყოფაცხოვრებო ნივთები, ტექნიკა, საგნები, აქსესუარები, ნებისმიერი ფიზიკური სივრცე. აღნიშნული მოცემულობა ნიშნავს, რომ კიბერსაფრთხეები პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენს არამხოლოდ ციფრულ სივრცეში, არამედ ფიზიკურ სივრცეში ადამიანთა კეთილდღეობასა და ცხოვრებაზე [1].

IBM-ის 2016 წლის კვლევის შედეგებით, გამოკვე-

თილია კიბერიერიშმიტანილი სფეროები, მათ შორის[2]:

1. ჯანდაცვის სფერო (ელექტრონული მედიცინის ბარათები შეიცავს ინფორმაციას მოქალაქის პირად მონაცემის, საკრედიტო ბარათის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური უზრუნველყოფის ნომრისა და სხვა იდენტიფიცირების მონაცემს. 2015 წელს, ჯანდაცვის 100 მლნ ჩანაწერი იქნა დაკარგული);

2. მრეწველობა (მანქანათმშენებლობას, ელექტროტექნიკის, ტექსტილის, ფარმაცევტული პროდუქცის წარმოება);

3. საფინანსო მომსახურება (ბანკები, მობაილ ბანკი, საკრედიტო ბარათი, საინვესტიციო ფონდები);

4. სახელმწიფო მმართველობა (საჯარო მოსამსახურეებზე არსებული ინფორმაციის გაჟონვა, შპიონაჟი);

5. ტრანსპორტირება (ავიაკომპანიის, ავტობუსის, მეტროს, რკინიგზის, საზღვაო ტრანსპორტის სფეროში არსებული ინფორმაცია). აღნიშნული დარგი ემსახურება მსოფლიო ვაჭრობას, მის გარეშე მსოფლიო ეკონომიკა ადვილად დაიშლება.

არსებითია, რომ პოლიტიკურად მოტივირებული კიბერდანაშაულები მიმართულია მასობრივი ქაოსის, მმართველობითი და პოლიტიკური კრიზისის შექმნის, პოლიტიკური ნდობის შემცირების, სახელმწიფო სისტემის მდგრადობის შესუსტებისკენ. თუმცა გამორიცხავს ფინანსურ სარგებელს.

ინტერნეტის უნივერსალური სივრცეში, ყველა ქვეყნისათვის ერთნაირია კიბერსაფრთხები ფორმები, თუმცა განსხვავებულია პრევენციის ღონისძიებები და საფრთხეების მასშტაბები.

Deloitte-ის კვლევის ანგარიშით, ინტერნეტ-გარემოს დინამიური განვითარების პარალელურად მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა სახელმწიფოს კიბერდაცვაც. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს [3]:

- ელექტრონული კომერცია ვითარდება ფიქსირებული, ინტერნეტ და მობილური მოწყობილობების გამოყენებით;
- საერთო დანაშაულებში, განსაკუთრებული ზრდით ხასიათდება კიბერდანაშაულები;
- ტერორიზმის მასშტაბები ფართოვდება ტექნოლოგიების საფუძველზე;
- იზრდება ინტერნეტშია ჩართული საგნები, რომელიც ზრდის როგორც კეთილდღეობას, ისე საფრთხეებს;
- წარმოჩენილია გლობალური ინტერნეტ-ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობითა და გლობალური გამოწვევებით .

კიბერსივრცის დაცვის საკითხები მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის ნაციონალურ თუ საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, სახელმწიფოს კიბერთავდაცვის პოლიტიკა საჭიროებს:

§ ტრანსნაციონალური თანამშრომლობა;

§ იურისდიქციის პრობლემატიკის მოწესრიგებას;

§ ციფრული სივრცის საერთაშორისო სამართლის კონცეფციის თეორიტიზირებას;

§ კიბერთავდასხმის შემთხვევაში კონკრეტული ღონისძიებების გატარებას;

ქვეყანაში, ციფრული საფრთხეების ეკონომიკური გავლენის შემცირების მიზნით, გლობალური და ლოკალური კიბერსაფრთხეები საჭიროებს ტაქტიკურ მიდგომებს. ასეთი მიდგომებიდან შეიძლება აღვნიშნოთ საერთაშორისო ორგანიზაცია The World Economic Forum-ის მიერ წარმოდგენილი 8 მიმართულება[4] :

1. ციფრული იდენტიფიცირება: ციფრული თანამშრომლობა, ციფრული მოქალაქეობრიობა, ციფრული მეწარმეობა;

2. ციფრული უფლებების დაცვა: სიტყვის თავისუფლება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;

3. ციფრული წიგნიერება: კომპიუტერული უნარ-ჩვევები და აზროვნება, კონტენტის შექმნა, კრიტიკული აზროვნება;

4. ციფრული კომუნიკაცია: ონლაინ თანამშრომლობა, ონლაინ კომუნიკაცია, ციფრული „ნაკვალევი“;

5. ციფრული უსაფრთხოება: უსაფრთხოების კოდების დაცვა,ინტერნეტ უსაფრთხოება, მობილური უსაფრთხოება;

6. ციფრული დაცვა: კონტენტის რისკი, კონტაქტების რისკი, სამომხმარებლო რისკი;

7. ციფრული მოხმარება: კომპიუტერთან მუშაობის დრო, საზოგადოების ჩართულობა, ციფრული კეთილდღეობა და ჯანმრთელობა;

8. ციფრული ემოციური ინტელექტი: სოციალურ & ემოციური ცნობიერების ამაღლება, ემოციების რეგულირება/მართვა, ემპათია.

კვლევები ადასტურებს, რომ გლობალურ და ლოკალურ სივრცეში, კიბერთავდასხმებთან და კიბერტერორიზმთან ბრძოლის აღიარებული მეთოდებია[5]:

პროგრამების, პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება;

კიბერჯგუფების შექმნა და ინციდენტებზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება;

ბიზნეს უწყვეტობისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის, სამივე სექტორის კოორდინირებული კიბერაქტივობა;

სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება;

კადრების მომზადება;

ტექნიკური უსაფრთხოების შეფასება და მონიტორინგი.

II. გლობალური ციფრული საფრთხეების სოციალურ-ეკონომიკური გავლენა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გლობალურ ეკონომიკურ დანაშაულებში, კიბერკრიმინალი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური დანაშაულია. PWC -ს კვლევის ანგარიშით (Global Economic Crime Survey 2016), გლობალურ ეკონომიკურ

დანაშაულებში პირველ ადგილს იკავებს აქტივების უკანონო მითვისება 64%, მეორე ადგილზეა კიბერ-კრიმინალი 32%-ით, ხოლო სამეულში შედის მექარ-თამეობა და კორუფცია 24%-ით[6].

კრიმინალის გლობალური მასშტაბები და მისი წილი მსოფლიოს მშპ-ში საკმაოდ სოლიდურია, მათ შორის გლობალურ მშპ-ში: ტრანსნაციონალური და-ნაშაულების წილი შეადგენს 1.2%-ს, ნარკოტიკების - 0.9%-ს, კიბერკრიმინალის - 0.8%-ს, გაყალბება/ საავტორო უფლებების დარღვევა-0.89%-ს, ხოლო საზღვაო პირატობა - 0.02%-ს[7].

2014 წელს, მსოფლიოში, კიბერკრიმინალის ზარა-ლი აღწევდა 445 მლრდ დოლარს[8], ხოლო დღეს 1 ტრლნ დოლარს. პროგნოზით, მსოფლიოში, კიბერ-კრიმინალის დანაკარგები 2019 წელს 2 ტრლნ-ს მი-აღწევს [9].

გლობალური ინდექსით (გლობალ პეაცე ინდეხ), 163 ქვეყნის კონფლიქტი, ტერორიზმი და პოლიტი-კური არასტაბილურობა 2015 წელს შეფასდა 13.6 ტრლნ დოლარით[10].

ტერორიზმის გავლენის შეფასებისათვის, შეიძლე-ბა განხილული იქნას The Institute for Economics and Peace (IEP)-ის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელმაც 162 ქვეყნის საფუძველზე წარმოადგინა გლობალური ტერორიზმის ინდექსი (კვლევა მოიცავს მოსახლეო-ბის 99,6%-ს, ტერორიზმის ფსიქოლოგიურ გავლენას, დანაკარგებს, ზარალს, საკუთრების დაზიანებას). აღნიშნული ინდექსის მაღალი დონე აჩვენა შემდე-გმა ქვეყნებმა: ერაყი, ავღანეთი, ნიგერია,პაკისტანი, სირია, ინდოეთი, იემენი, სომალი[11].

The Symantec-ის ანგარიშით, კიბერკრიმინალის შედეგად, პლანეტის მოსახლეობამ დაკარგა 158 მლრდ დოლარი[12].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის ან-გარიშით, ძალადობრივი დანაშაულები და მკვლელ-ობები 2014 წელს შეფასდა 1.7 ტრლნ დოლარით, ხოლო ტერორიზმის გლობალური ეკონომიკური გავ-ლენა 2000-2014 წწ-ში 4.9 მლრდ დოლარიდან 52.9 მლრდ დოლარამდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა) [13].

ტერორიზმის გლობალური ეკონომიკური გავლენა (მლრდ დოლარი)



მსოფლიოში, 50 წლის განმავლობაში, 475 სახელმ-წიფო გადატრიალება მოხდა, მათგან 236 ინციდენტი წარმატებით დასრულდა. 2010 წლიდან დღემდე 19 სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მათგან 9 ინცი-დენტი წარმატებით დასრულდა (წარუმატებელი აღ-მოჩნდა სახელმწიფო გადატრიალება თურქეთში[14].

სხვადასხვა შეფასებით, გლობალური უთანას-წორობის გადაჭრა და ძალადობის შემცირება საჭი-როებს 1.36 ტრლნ დოლარს. აღნიშნული კი შეადგენს მსოფლიოს საკვები პროდუქტების ექსპორტის ექ-ვივალენტს[15]. პროგნოზით, მომავალ 5 წელიწადში 1 ტრლნ დოლარი იქნება დახარჯული გლობალური კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის[16].

კიბერკრიმინალი წარმოადგენს საკმაოდ მზარდ ინდუსტრიას, რომლის სარგებელი დიდი, ხოლო რისკები დაბალია. სხვადასხვა შეფასებით, კიბერ-კრიმინალის პრევენციაზე, გლობალური ეკონომიკის გაწეული დანახარჯები 575 მლრდ დოლარს აჭარ-ბებს[17].

გაეროს მიერ სამშვიდობო ოპერაციებზე გაწეულმა დანახარჯმა 8.27 მლრდ დოლარი შეად-გინა (ბოლო ერთ წელიწადში) [18].

III. საქართველოს ციფრული საფრთხეები

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს კიბ-ერსაფრთხეების სოციალური და ეკონომიკური გავ-ლენის კომპლექსური კვლევა და შეფასება რთულია. საქართველოს კიბერსაფრთხეებისა და კიბერ ტერ-ორიზმის ანალიზი, ძირითადად საერთაშორისო კვ-ლევითი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების კვლე-ვის საფუძველზეა შესაძლებელი. მაგალითად, IEP-ის კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშით, საქართველო თუ 2015 წლის რეიტინგში იმყოფებოდა ტერორიზმის ყველაზე დაბალი გავლენის მქონე ქვეყნების სიაში[19], 2016 წლის გლობალური მშვიდობის ინდექსის რეიტ-ინგში (GLOBAL PEACE INDEX2016) საქართველოს გარემოს საფრთხეები საშუალო დონით ფასდება[20].

საქართველოს კიბერგარემოს კომპლექსური ანა-ლიზი და შეფასება რთულია, ვინაიდან და რადგა-ნაც, ქვეყანაში არ წარმოებს (ან ფრაგმენტულია) კიბერგარემოს კომპლექსური კვლევა, არ ხდება ელექტრონული ბიზნეს სივრცის ათვისება, არ იქმ-ნება სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტები, ჯერ კიდევ ვერ ყალიბდება მძლავრი ელექტრონული მმართველობითი სისტემა, ბუნებრივია, ქართულ კიბერსივრცეზე არსებული ფრაგმენტული კვლევის მონაცემები ზუსტი დასკვნების წარდგენის შესაძლე-ბლობას არ იძლევა.

ფაქტია, რომ კიბერსაფრთხეები გადაიჭრება ნა-ციონალურ დონეზე. ამისათვის თითოეული ქვეყანა ქმნის კიბერინციდენტებზე რეაგირების ჯგუფს, ინ-ტენსიურად იკვლევს და ანალიზებს საფრთხეებს, ამუშავებს კიბერკრიმინალთან ბრძოლისა და კიბერ-სივრცის უსაფრთხოების შენარჩუნების მეთოდებს.

დასკვნა

ჯამში, შეიძლება აღინიშნოს, რომ კიბერთავდასხმების ზომებისა და თანმდევი შედეგების (ზიანის) მასშტაბების ანალიზის აქტუალობის მუიხედავად, კიბერკრიმინალის ეკონომიკური გავლენის რაოდენობრივი შეფასება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. ეს კი მსოფლიოს ქვეყნებში, კიბერთავდასხმებით გამოწვეული დანაკარგების გაზომვის შეზღუდული შესაძლებლობითაა გამოწვეული [[21]].

საჭიროა ქვეყანაში შეფასდეს კიბერ რისკები, მათ შორის:

მონაცემთა დაკარგვით გამოწვეული ზიანის ოდენობა,

კიბერდანაშაულების შემთხვევების რაოდენობა;

კიბერ ტერორიზმისა და კიბერთავდასხმების პრეცენდენტების გავლენა ქვეყნის იმიჯზე;

კიბერსაფრთხეებთან ბრძოლის მექანიზმების ფორმირება.

საჭიროა ქვეყანაში დამკვიდრდეს მეცნიერ-მკვლევარებთან თანამშრომლობის პრაქტიკა, რაც უნდა გამოიხატებოდეს:

კიბერ საფრთხეების ინტენსიური კვლევითა და შეფასებით;

სახელმწიფოსა და სამეცნიერ სექტორისთანამშრომლობა, კვლევების დაკვეთის პრაქტიკის დანერგვა;

სახელმწიფო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნის ხელშეწყობით;

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის აქტივიზირების ხელშეწყობით;

საზოგადოების ინფორმირების ზრდის მიზნით აქტიური აგიტაცია-პროპაგანდით;

გლობალური და ლოკალური გამოწვევების ფონზე, როგორც სახელმწიფოს კიბერსივრცის თავდაცვისუნარიანობის ზრდის მიზნით, ისე საზოგადოების დაცულობისა და გარემოს ჯანსაღებისათვის, საჭიროა:

კიბერსივრცის საფრთხეებზე ზრუნვა საზოგადოების სამივე სექტორის თანამშრომლობით :

ქოლ-ცენტრის შექმნა კიბერსაფრთხეებზე მყისიერი რეაგირებისათვის;

სახელმწიფოს კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ერთი უწყება (რომელიც საზოგადოებას კიბერგამოწვევებზე გაუწევს კონსულტაციას, გამოიძიებს ინტერნეტ-კრიმინალს, შეამოწმებს საეჭვო საიტებს, ბავშვებს დაიცავს არასასურველი კონტენტისაგან, დაიცავს ინტერნეტ-მომხმარებლების უფლებებს);

კიბერპატრულის, კიბერრეზერვისა და კიბერარმიის შექმნა და კოორდინირება სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ;

კანონმდებლობის კონტროლ ქვეშ მოექცეს კიბერშეტევების მასშტაბი და დონე;

ინტერნეტ-საზღვრების იურისდიქციის პრობლემები საჭიროებს საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობას (მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ სხვა ქვეყნების იმედად ვიყოთ);

ქვეყანაში საუბრობენ მხოლოდ კიბერსივრცის თავდაცვითი ღონისძიებებსა და პრევენციის მექანიზმებზე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს ასევე სჭირდება თავდასხმითი გეგმა ქვეყნის უსაფრთხოების ძლიერებისათვის.

ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანად იზრდება კიბერკრიმინალის მასშტაბები (ასევე, კიბერსივრცის სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობა), რომელზე რეაგირებაც კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ საკმაოდ დაგვიანდა (რადგან პრევენციის მექანიზმები, პოლიტიკა, სტრატეგია, კიბერსტრუქტურები ახლა ფორმირდება).

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ ქვეყანაში საჭიროა „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნა“, რომელიც მეცნიერ-მკვლევარების, ბიზნეს და სახელმწიფო სექტორის კოორდინირებით ხელს შეუწყობს ქვეყნის გლობალური და ლოკალური გამოწვევების გადაჭრას, როგორც ფიზიკურ სივრცეში ისე კიბერ გარემოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 https://www.weforum.org/agenda/2015/09/video-how-should-we-govern-cyberspace/?utm_content=buffer6e063&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer

2 http://www-01.ibm.com/common/ssi/cgi-bin/ssialias?subtype=WH&infotype=SA&htmlfid=SEW03133USEN&attachment=SEW03133USEN.PDF

3 Deloitte. Cyber opportunity analysis report 2016 Positioned to lead. https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ie/Documents/Risk/IE_ERS_CyberAnalysisReport.pdf

4 https://www.weforum.org/agenda/2016/06/8-digital-skills-we-must-teach-our-children?utm_content=bufferd8a7f&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer

5 http://www.emrisk.com/knowledge-center/newsletters/cyber-terrorism-emerging-threat

6 https://www.pwc.com/gx/en/economic-crime-survey/pdf/GlobalEconomicCrimeSurvey2016.pdf

7 http://www.mcafee.com/us/resources/reports/rp-economic-impact-cybercrime2.pdf

8 http://www.tripwire.com/state-of-security/latest-security-news/economic-impact-of-cybercrime-estimated-at-445-billion-worldwide/

9 http://www.forbes.com/sites/stevemorgan/2016/01/17/cyber-crime-costs-projected-to-reach-2-trillion-by-2019/#4e4d2c873bb0

10 https://www.theguardian.com/global-development/2016/jun/08/conflict-and-terrorism-cost-the-world-trillions-says-global-peace-index

11 The Institute for Economics and Peace (IEP) .

Global Terrorism Index. 2015. MEASURING AND UNDERSTANDING THE IMPACT OF TERRORISM. http://economicsandpeace.org/wp-content/uploads/2015/11/Global-Terrorism-Index-2015.pdf

12 http://www.forbes.com/sites/stevemorgan/2016/01/24/how-consumers-lost-158-billion-to-cyber-crime-in-the-past-year-and-what-to-do-about-it/#ce9001b6b6fe

13 MyersJ. is the economic impact of terrorism?.19 November 2015. https://www.weforum.org/agenda/2015/11/what-is-the-economic-impact-of-terrorism/

14 https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2016/07/22/map-the-world-of-coups-since-1950/?tid=sm_fb

15 https://www.theguardian.com/global-development/2016/jun/08/conflict-and-terrorism-cost-the-world-trillions-says-global-peace-index

16 http://cybersecurityventures.com/cybersecurity-market-report/

17 http://www.mcafee.com/us/resources/reports/rp-economic-impact-cybercrime2.pdf

18 http://www.un.org/en/peacekeeping/operations/financing.shtml

19 The Institute for Economics and Peace (IEP) . Global Terrorism Index. 2015. MEASURING AND UNDERSTANDING THE IMPACT OF TERRORISM. http://economicsandpeace.org/wp-content/uploads/2015/11/Global-Terrorism-Index-2015.pdf

20 The Institute for Economics and Peace (IEP) . Global Peace Index 2016. ten years of measuring peace. http://static.visionofhumanity.org/sites/default/files/GPI%202016%20Report_2.pdf

21 http://tesi.eprints.luiss.it/11390/1/pupillo-cecilia-tesi-2013.pdf

ქართული საადგილმამულო ბანკის ფუნქციები და მიზანი

რამაზ ოთინაშვილი, *სტუ -ს პროფესორი*
შალვა კუტუბიძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში „ქართული საადგილმამულო ბანკის ფუნქციები და მიზანი“არნიშნულია, რომ საადგილმამულო ბანკის დაარსება XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში პროგრესული მოვლენა იყო, რომელმაც დადებითი როლი შეასრულა ეკონომიკური ურთიერთობების წინსვლაში, საბაზრო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებაში. ასევე განათლების სისტემის რეფორმირებაში. შეფასებულია ილია ჭავჭავაძის როლი ბანკის დაარსებასა და განვითარებაში, რომელიც ყოველთვის იცავდა ბიზნესის კანონებსა და კონკურენციის მოთხოვნებს. მოყვანილი მასალებიდან ჩანს თუ რამდენად მრავალმხრივი იყო ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობა. შეიძლება ითვქას, რომ მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, რომლის განვითარებაში საკუთარი წვლილი არ შეეტანოს.

თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში ილიამ საუკეთესოდ ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია ქართული საადგილმამულო ბანკის მიზნებზე და ამოცანებზე. ამასთან განსაზღვრა ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო განათლებისათვის ზრუნვა იმ დროინდელ საქართველოში და თანაც არ უნდა დაკარგულიყო საადგილმამულო ბანკის კომერციული ფუნქცია. უფრო ზუსტად მთავარი უნდა ყოფილიყო მისი ბიზნეს-ფუნქცია, ანუ ბანკი უნდა გადაქცეულიყო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობად. მას უნდა ჰქონოდა მიზანი ხელი შეეწყო ბიზნესის განვითარებისათვის და იმავდროულად ყოფილიყო ეროვნული ფასეულობების დაცვის სადარაჯოზე.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, მართვა, ოპერაციები, სესხი, კაპიტალი.

The Functions and Goal of The Georgian Estate Bank

Ramaz Otinashvili, Professor of Gtu,
Shalva Kutubidze, PHD student of Gtu

Summary

The article “The functions and goal of the Georgian estate bank” states that founding of estate bank was a progressive occurrence for the XIX century Georgia, and it made positive influence in evolving economics, trading and market. It also influenced reforming of education system. There is also estimated role Ilia tchavtchavadze had in founding and evolving of the bank that uphold the laws of trade and demands of competition. From given materials we can see how many-sided Georgian noblemen bank was. We can say that it did not leave any field without its influence.

On the special noblemen meeting Ilia flawlessly stated his position about the functions and goal of the Georgian estate bank. He determined main tasks of the bank, amongst those were development of education, while bank maintained its commercial function. To say more accurately, main task for bank was business. Its goal was to promote business development and at the same time, protect national values.

Keywords: bank, administration, credit, operations, loan,capital.

* * * * * *

ილია ჭავჭავაძემ თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია ქართული საადგილმამულო ბანკის მიზნებზე და ამოცანებზე და ამასთან განსაზღვრა ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო განათლებისათვის ზრუნვა იმ დროინდელ საქართველოში და თანაც არ უნდა დაკარგულიყო საადგილმამულო ბანკის კომერციული ფუნქცია, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით მთავარი უნდა ყოფილიყო მისი ბიზნეს-ფუნქცია, ანუ ბანკი უნდა გადაქცეულიყო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობად, მას უნდა ჰქონოდა მიზანი ხელი შეეწყო ბიზნესის განვითარებისათვის და იმავდროულად ყოფილიყო ეროვნული ფასეულობების დაცვის სადარაჯოზე.

გამომდინარე აღნიშნულიდან, თერგდალეულები ილიას ხელმძღვანელობით დაინტერესებულნი იყვნენ ბანკებით და საბანკო საქმიანობით, რადგან მასში ხედავდნენ ხალხის თვითმოქმედების ორგანოს და ქვეყნისათვის სასარგებლო საკრედიტო დაწესებულებას. სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა მათი მუშაობა და მონაწილეობა თბილისსა და ქუთაისში ქართული საადგილმამულო ბანკების დაარსებისათვის საჭირო მოსამზადებელ სამუშაოებში და ამ ბანკების დემოკრატიულად მოწყობისათვის. 1876 წლამდე მიმდინარე კამათს ბანკის გარშემო ადამიანთა აზრთა სხვადასხვაობის ხასიათი ჰქონდა, მათ მიაჩნდათ, რომ პრინციპი და მიზანი ერთი ჰქონდათ და რომ კამათი იყო მხოლოდ ბანკის ორგანიზაციის

უკეთ მოწყობისათვის. უფრო მეტიც, 70-იანი წლების დასაწყისში, როცა საადგილმამულო ბანკები ჯერ არ იყო დაარსებული კამათი მიდიოდა საბანკო წესდების შედგენაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნ. ნიკოლაძე, რომელიც თავისი პოზიციიდან აკრიტიკებდა წესდების შემდგენელთ. კერძოდ, მან გაილაშქრა ბ. ღოღობერიძის წინააღმდეგ, რაშიც გამოვლინდა მისი საბანკო პოლიტიკის სუსტი მხარეები. ილია ჭავჭავაძე არ იზიარბდა ღოღობერიძის შეხედულებებს, თუმცა კარგად ხედავდა ნ. ნიკოლაძის სახიფათო შეცდომებს. ამიტომაც ჩაერთო კამათში და ორივე მოდავეს სათანადო პასუხი გასცა. ილია მიუთითებდა, რომ ისინი „ორივე ცუღლუტობენ, ნიკოლაძე უფრო ბევრსა“ . აქ ილიას მხედველობაში აქვს ნ. ნიკოლაძის წერილი „ქუთაისის ბანკის საქმე“, სადაც ნ. ნიკოლაძე წერს, რომ „ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი და საფუძველი ყველა გონიერმა პირმა იცის.... თუ ჩვენ არ გვექნება ჩვენი საკუთარი ბანკი და ჩვენს მიერ დაარსებული, მამულები ხელიდან წაგვივა და სხვას დარჩებაო, მარტო ამ ჭკვიანურმა მოაზრებამ გაუკვალა ჩვენში გზა იმისთანა უცნობ საქმეს, რომელიც ყველგან საზოგადოებრივი ბანკის დაარსებაა. მაშასადამე უმთავრესი მიზანი ბანკის წესდების შემდგენლისა ამაზე უნდა ყოფილიყო მიზმანებული, რომ ჩვენი მამულები ხელიდან არ წაგვივიდეს და ჩვენვე დაგვრჩეს. უმთავრეს მიზანს აბია მეორე აგრეთვე მძიმე და საჭირო მიზანი: ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას, მათი შვილების აღზრდას, განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა“ .

ამასთანავე ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, ჩვენ გვესაჭიროება არა სამრეწველო და სავაჭრო ბანკი, „ადგილმამულის კრედიტი“, „ადვილად მისახვედრია, რომ ისეთ ქვეყანაში სადაც დიდი ვაჭრობა, წარმოება, აღებ-მიცემლობა არის ფულიც ძლიერ ხშირად და მალიმალ გადადის ერთი ხელიდან მეორეში და ბანკშიც ხშრიად შედის და გამოდის. აგრეთვე ადვილი გასაგებია ისიც, რომ ამისთანა ბანკს რომელიც ამგვარ საქმეებს შვრება, დიდი თანხა და თავანი სჭირია. დღეს ის შეტანილ ფულს მე დამიბრუნებს და თვითონ საქმეში სარგებლობას მიიღებს. თავისი ფული იმოდენა თუ არ ექნება რაც სჭირდება გადასახდელად, რამდენიმე კოტრის მაგიერად, - მეტ ამნაირ ბანკს არა სჭირია რა და მისი საქმე ჩარხივით სტრიალებს, ნდობაზე და ყველა საქმის გაადვილებაზე.

მაგრამ ყველა კაცი ვაჭარი და აღებ-მიმცემი ხომ არ არის: ყველას იმისთანა საქმეები ხომ არ აქვს, რომელშიც დღეში 1000 თუმანი შემოუდის ფული და ხვალ ორი ამდენა ეხარჯება და სჭირდება. არიან ისეთი პირები, რომელთაც ფული ბლომად აქვთ და არ სჭირიათ: არიან იმისთანებიც, რომელთაც ფული ნიადაგ სჭირიათ და არასოდეს კი არ აქვთ. არიან ადგილმამულის მეპატრონეები, რომელთაც ფული სჭირიათ ქარხნის გასაშენებლად, ან სახლის დასადგამად.... იმათ აქვთ გვარიანი ადგილმამული, რომელთაც გვარიანად შემოაქვთ პური ან ღვინო, ან სხვა მოსავალი: მაგრამ ფული კი არ აქვთ, აი ამისთანა პირების სასარგებლოდ მოგონილია სულ სხვანირი დაწესებულება, რომელიც სრულიად არ ჩამოგავს ზემოაღნიშნულ ბანკს და რომელსაც საზოგადოდ „ადგილმამულის კრედიტს“ ეძახიან“ . მაშასადამე ასკვნის ნ. ნიკოლაძე,„ჩვენ გვჭირდება მარტო ხანგრძლივი კრედიტი, რომელმაც გრძელვადიანი სესხით უნდა ჩაუდგას სული ჩვენი ადგილმამულის პატრონებს, ესეიგი მთელ ჩვენს ქვეყანას იმიტომ, რომ იმ ადგილმამულის მეტი ჩვენს არემარეზე არაფერი მოიძევა. იმ დაწესებულებას, რომელმაც ფული სესხით უნდა გაუწყოს ჩვენებურობას უნდა ჰქონდეს ძლიერ ბევრი ფული; იმას სრულიად არ გამოადგება იმ ბანკების მაგალითი, რომელნიც მოვალე ვადიან სესხებს არიგებენ და მცირე თანხით კმაყოფილდებიან...

უეჭველია რაკი ჩვენს ბანკს ბევრი ფული დასჭირდება და ჩვენს ქვეყანაში ფული ბევრი კი არა ცოტაც არ მოიძებნება, ბანკმა ფული სხვაგან უნდა ეძებოს, ბანკს შეუძლია იმედი ჰქონდეს: 1. კერძო პირიდან შესანახად შემოტანილ ფულზე; 2. თავისი საკუთარი ქაღალდების (ობლიგაციების, გირაოების ფურცლების და სხვა ამგვარი საშუალებების) ფულად გასაღებაზე; 3. ვალად გაცემული ფულის შემოსავალზე და სარგებელზე და 4. თავის საკუთარ თანხაზე, რომლის ოდენა ფული ხელუხლებლად შენახული უნდა ჰქონდეს მოულოდნელი შემთხვევისათვის“ . და შემდგომ აზუსტებს „ჩვენი ბანკი მაშინ გამოადგება ეხლანდელ ადგილის მეპატრონეებს, როცა ისინი ნასესხები ფულით თავიანთ მამულს გააუმჯობესებენ. ესეიგი იმ ფულს იმ რიგით მოიხმარებენ, რომ მამულს უწინდელზე მეტი შემოჰქონდეს, იმოდენა მაინც, რომ მომატებული შემოსავალი ნასესხები ფულის სარგებელს გადააჭარბებდეს“ .

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნიკოლაძის შემოთავაზებული პრინციპები ემყარებოდა დაგირავებული მამულის გაუყიდაობას. ამასთან იგი მიუთითებდა, რომ როცა ვალის გადახდის დრო დადგება, მას ამ შემთხვევაში ადვილად შეუძლია ხელმეორედ დაგირავების ნება მისცეს გაჭირვებულ მევალეს. ამით ნ. ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ უნდა შექმნილიყო საფუძველი ადგილმამულების შენარჩუნების, განვითარების, რომ მემამულეებს ნაკლები ეზრუნათ ვალის გადახდაზე და მამულებიც ხელშეუხებელნი დარჩენილიყო, მაგრამ ასეთი ბანკის არსებობა შეუძლებელი იყო. როგორც თვით ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, ჩვენს მოკეთეს, მალე ჩვენს ბანკს სურმია გამოულიოს, ორიოდე წლის შემდეგ ბანკების გამართვისა „ჩვენი მამულების უდიდესი ნაწილი ბანკებს ექნება დაგირავებული. ფული ბანკების მოვალეების დახარჯული იქნება - ამას რაღა ლაპარაკი უნდა .

ბანკის სალაროების დაცარიელების საშიშროებამ, რომლის შემდგომაც ბანკის არსებობის საშიშროება დადგებოდა ნ. ნიკოლაძე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ თავდები უნდა ყოფილიყო ბანკში ჩადებული მამული და იგი აღიარბდა, რომ ფულის

ამღებმა დროზე თავისი ვალი თუ არ გადაიხადა ან სარგებელი არ შემოიტანა, მაშინ შეიძლებოდა მისი საწინდარი მამულის გაყიდვა. ეს შეხედულებები არ იქნა გათვალისწინებული თბილისისა და ქუთაისის ბანკების წესდების შედგენისას.

1873 წელს შეიმუშავეს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის წესდება. ამ წესდებსათან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით მიუთითებდა „უმთავრესი მიზეზი ჩვენის აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ რუსეთული მიბაძვა არ გამოგვადგება, ჩვენ სხვა პირობები გვაქვს, ჩვენ სხვა საშუალებების გამოძებნა შეგვეძლო და ამ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს, ამ საშუალებებს ვერ გრძნობს უფალი ღოღობერიძის პროექტი“ . თუმცა ისიც გასათვალისწინბელია, რომ ნ. ნიკოლაძე არსად არ მიუთითებს ამ საშუალებებზე და არც იმაზე, თუ რა არ მოსწონს წესდების პროექტში, გარდა იმისა რომ ის შედგენილი იყო რუსეთის და თბილისის ბანკების შესაბამისად.

ილიამ ნიკოლაძის შეხედულებას ბანკის ნდობის პრინციპი დაუპირსიპირა, რადგან ბანკს უნდა ჰქონოდა დაგირავებული მამულების ნდობის გარანტია, რომ მათთვის ხელსაყრელ პირობებში მომხდარიყო მამულების გაყიდვა, ბანკი ვალდებული იყო დაეცვა თავისუფალი ყიდვა გაყიდვის პრინციპი და თუ მას დაავალებდით ამ პრინციპებით შესყიდვას, ეს ბანკის წესდების დარღვევა იქნებოდა, რაც თავისთავად ნიშნავდა ბანკის მიერ კანონის დარღვევას, კანონი კი მას თავისუფალი კონკურენციის ხელის შეწყობას ავალებდა .

აქ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძე ერთის მხრივ მართებულად მიუთითებს ბანკის დანიშნულებაზე, მაგრამ ვერ ითვალისწინებს საადგილმამულო ბანკის სპეციფიკას, ამიტომაც იყო მისი მოთხოვნილებანი განუხორციელებელი. ალბათ ამიტომ სვავდა ნ. ნიკოლაძე კითხვას, გამაგებინეთ რომელი წარმოების, რომელი ქვეყნის სასარგებლო ან ქვეყნის გამოსადეგ საქმეს, ან შრომას მოუხდა თქვენი თბილისის ბანკი და თვითონვე პასუხობს „ჩემი აზრით, თქვენი ბანკი იმ ვაჭრებს გამოადგათ, ვისაც თბილისში შენობები აქვთ. გამოიტანეს ამ ვაჭრებმა თქვენი ბანკიდან ფული, თავადაზნაურობის სახელით ნაშოვნი, გამოიტანეს გრძელი ვადით და მცირე სარგებლით და ეს ფული ისევ იმავე თავადაზნაურობას მიასესხეს მოკლე ვადით და უშველებელი დამღუპველი სარგებლით“ .

ნ. ნიკოლაძეს სურდა, რომ თავადაზნაურობას მტკიცე გარანტიის გარეშე სესხი გამოეტანა და არ ითვალისწინებდა, რომ ბანკი შეიძლება გაკოტრებულიყო. იგი კატეგორიულად არ მოითხოვდა თავადაზნაურთა მამულების გაუყიდაობას, თუმცა მოითხოვდა ბანკის დიდად შეზღუდვას და თუ მაინც გაიყიდებოდა გაყიდულიყო ქართველებზე, მეზობლებზე ან გლეხებზე. ილია უქმი ხელიდან მოქმედ ხელში გადასვლის პრინციპს იცავდა. ნ. ნიკოლაძე ბურჟუაზიულობაში სდებდა ბრალს. ხოლო იგივე ხუნდაძემ ეს პოზიცია სოციალისტურად მონათლა. თუმცა ასეთ მიდგომაში არც ერთი იყო მართალი და არც მეორე, რადგან ილია ჭავჭავაძე ამ დროს იცავდა ბიზნესის კანონებსა და კონკურენციის მოთხოვნებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ ეს გახლდათ საბაზრო მეურნეობის მოთხოვნათა დაცვა და თავისუფალი მეწარმეობის მხარდაჭერა. გარეგნულად ნ. ნიკოლაძე იცავდა ბანკის ინტერესებს, თუმცა სიღმისეულად თუ შევხედავთ მოვლენას იცავდა თავადაზნაურობის პოზიციებს და შეიძლება ითქვას, რომ იდეურად მასთან იყო. ამაზე მოწმობს ნ. ნიკოლაძის გამონათქვამი „მოვიცადოთ ორი სამი წელიწადი, როცა თავადაზნაურობის სახელით ნაშოვნ ფულებს, ვაჭრები ისევ თავადაზნაურობას მიასესხებენ ძველებური სარგებლით, და როცა თავადაზნაურობა დაკარგავს თავის ადგილს - მამულს, მაშინ წარვდგეთ მის წინაშე... ვკითხოთ ამ თავადაზნაურობას: - ჩვენგან ვინ სტყუოდა და ვინ გვაბრმავებდა“ .

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძე დაუნდობელი იყო იმათ მიმართ, ვინც ბანკიდან ფულს გაიტანდა, ფლანგავდა და მამულს კარგავდა. ასეთ ადამიანებს „მცონარეებს“ უწოდებდა. მათ მიმართ იყენებდა საბანკო კრედიტის ურღვევ წესებს. რა თქმა უნდა საკრედიტო დისციპლინა ასეთი ადამიანებისათვის მიუღებელი იყო, ნ. ნიკოლაძე სხვა ფორმით, მისი ნებისაგან დამოუკიდებლად აქეზებდა კრედიტის მიმართ უარყოფით განწყობილებას და ძირითად პრინციპებს გვერდს უვლიდა, რაც ნამდვილად მცდარიც იყო და იმავდროულად უმართებულოც.

ილია ჭავჭავაძე თითქმის ყოველთვის სწორ პოზიციას იჭერდა და ალბათ ამის მიზეზიციაა ის რომ ნ. ნიკოლაძე ბოლოს ილია ჭავჭავაძის პოზიციის დამცველი გახდა და თავად გამოდიოდა თავადაზნაურობის ლიბერალური პოზიციის წინააღმდეგი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად ილია ჭავჭავაძე მიმართავდა დიპლომატიას, რადგან მას ხშირად არ შეეძლო ყველაფერი პირდაპირ ეთქვა და მისი სიტყვებიც თავადაზნაურობის მიმართ არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, მით უფრო გავიგებთ ილია ჭავჭავაძის საბანკო პოლიტიკის არსს, კერძოდ იმას, რომ იგი აქტიურად უჭერდა მხარს სოფლის კაპიტალისტურ განვითარებას, ანუ საბაზრო მეურნეობის რელსებზე გადასვლას არა მარტო თავადაზნაურული წრიდან, არამედ სამრეწველო ბურჟუაზიისა და გლეხური ბურჟუაზიის განვითარებას და ამ კუთხით იგი ყოველთვის მხარში ედგა ასეთ ადამიანებს.

საადგილმამულო ბანკი თავისი პოლიტიკით ხელს უწყობდა მემამულური მიწათმფლობელობის რღვევას და აჩქარებდა საბაზრო მეურნეობის სწრაფ განვითარებას, ანუ ბიზნესის განვითარებისათვის ქმნიდა ხელსაყრელ გარემოსა და პირობებს. საადგილმამულო ბანკები იმ დროისთვის პროგრესული მოვლენა იყო და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ დადებითი როლი შეასრულეს იმ დროინდელი ეკონომიკის განვითარებაში. ჩაისახა და განვითარდა საბაზრო მეურნეობა, ვაჭრობა. განხორციელდა განათლების სისტემის რეფორმა რისთვისაც შეიქმნა წერა-კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოება და ა.შ.

აქვე არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ დ. ყიფიანის საბანკო პოლიტიკა, რომელიც გაანგარიშებული იყო თავადაზნაურობის გადარჩენისათვის. თუმცა ცხოვრებამ გვაჩვენა, ამ შემთხვევაში ეს შეუძლებელი იყო და ბანკიც თავისთავად განწირული იყო დასაღუპად. მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა დ. ყიფიანის ინიციატივას და ღვაწლს და აღნიშნავდა რომ ბატონი დ. ყიფიანის სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელი იქნება მის სახელთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „დროება“ 1875 წელი, №15;
2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა ტომი 5, 1965 წელი;
3. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა ტომი 6, 1965 წელი;
4. ნიკო ნიკოლაძე თხზულებათა ტომი 5, 1963 წელი;
5. გაზეთი „ივერია“ 1892 წელი, №173;
6. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ 1888 წელი, №152;
7. საქართველო ცსია, ფონდი 399, ფურც. 44;
8. სეით იაშვილი, მასალები თბილისის გიმნაზიის ისტორიისათვის, თბილისი 1956 წელი;
9. ს. ხუნდაძე „დიმიტრი ყიფიანი“ თბილისი, 1936 წელი;
10. ს. ხუნდაძე სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტომი 1-2, თბ., 1938 წელი;
11. ს. მესხი, თბილისი, ტომი 3, 1964 წელი;
12. გაზეთი „ზაკავკაზიე“ 1910 წელი, №232.

ელექტრონული ტენდერების ჩატარების მეთოდის სრულყოფის საკითხისათვის

თეიმურაზ გოგნაძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით 2011 - 2015 წლებში ჩატარებული ტენდერების ანალიზი და მის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები, რომელშიაც ასახულია ის ნაკლოვანებები, რომლებიც გააჩნია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ელექტრონული ფორმით ტენდერების ჩატარების პროცესს. მოცემულია უშუალოდ შემსყიდველის მიერ ელექტრონული ფორმით, დეცენტრალიზებული წესით ტენდერების ჩატარების დადებითი მხარეები, დასაბუთებულია შემსყიდველის მიერ ელექტრონული ტენდერების ჩატარების აუცილებლობა და მისი უპირატესობები.

Summary

In this work there is given the analysis of the tenders having been done in 2011-2015 via the entire electronic system of the agency of state purchases, In the conclusions, made on the basis of this analysis, there are reflected the shortcomings of the process of conducting the tender by the agency of and state purchase through the entire electronic form. There is given the positive sides of conducting the tender directly by the procurer in the electronic form according to the rules of decentralization, and there is proved the necessities and advantages of conducting the electronic tenders by the procurer.

* * * * *

ხუთ წელზე მეტი გავიდა განახლებული საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ძალაში შესვლიდან. ამ დროის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ძალიხმევით, რომლის მიზანიც შესყიდვების პროცედურებში მაღალი ხარისხის გამჭვირვალობის დაცვა და სახელმწიფო სახსრების ეფექტურად გამოყენებაა, განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები. მათ შორის აღსანიშნავია:

1). სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე, რომლის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის რეგლამენტაცია, კოორდინაცია და მონიტორინგი. (განახლებულია 27.07.2016) [1].

საკვანძო სიტყვები: ტენდერი, ელექტრული ტენდერი.

2). სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე, რომელიც 2015 წლის 1 ნოემბრიდან მოქმედებს. იგი განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებსა და კრიტერიუმებს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმების წესს, აგრეთვე გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. (განახლებულია 27.07.2016).

3). სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივნისის №5 ბრძანება "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", რომელიც 2016 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა (რომლითაც დადგინდა ტენდერის ახალი მეთოდი ტენდერი აუქციონის გარეშე).

4). 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული "ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერების ჩატარების წესი" ძალაში 1 აგვისტოდან შევიდა, რომლის თანახმადაც დაინერგა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი მეთოდი-ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (ორეტაპიანი ტენდერი). ჩგადამწყვეტი აღარ არის მხოლოდ სატენდერო წინადადების ფასი. გამარჯვებული გამოვლინდება ფასისა და ხარისხისა მიხედვით. ვაჭრობა იწარმოებს დამატებითი რაუნდების გარეშე დაფარული მონაცემებით. სატენდერო წინადადების ფასის წარდგენის შემდეგ პრეტენდენტს უფლება არ აქვს შეცვალოს სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობები და ტექნიკური დოკუმენტაცია. საჯარო ხდება მხოლოდ საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის ვინაობა და სატენდერო წინადადება.

5). საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მიღებული 2005 წლის 20 აპრილს განახლებულია 03.03.2016 წელს.

გავაანალიზოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემის საშუალებით 2011-2015 წლებში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობრივი სტატისტიკა (ცხრილი 1 და გრაფიკი 1).

ცხრილში წლებისა და თვეების მიხედვით მოცე-

მულია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების და წლების მიხედვით დადებული ხელშეკრულებების რაოდენობები,Aასევე 2011-2015 წლების განმავლობაში არშემდგარი ტენდერების რაოდენობრივი მონაცემები. მაგალითად 2015 წლის იანვარში გამოცხადდა 3015 ტენდერი, თებერვალში 3392 ტენდერი,..., სულ წლის განმავლობაში 35421 ტენდერი, ანუ თვეში საშუალოდ–2952 ტენდერი, ხოლო დღეში 98.4–ტენდერი. არ შედგა 10 471 ტენდერი ანუ გამოცხადებული ტენდერების დაახლოებით 30 %.

ცხრილი 1.

2011-2015 წელს გამოცხადებული ტენდერების რაოდენობრივი სტატისტიკა

წელი/თვე	2011	2012	2013	2014	2015
იანვარი	2567	3655	2771	3217	3015
თებერვალი	3313	3566	2460	3039	3392
მარტი	3512	2728	2210	2587	3257
აპრილი	2657	2427	2370	2647	2598
მაისი	2593	2810	2177	2465	2594
ივნისი	2836	3132	2255	2343	2842
ივლისი	2723	2608	2524	2181	3073
აგვისტო	2674	2026	2237	1844	2320
სექტემბერი	2474	1708	2447	2557	2725
ოქტომბერი	2349	1033	2310	2463	2604
ნოემბერი	2830	1278	2413	2393	2794
დეკემბერი	2521	2220	3051	3567	4207
სულ გამოცხადებული	33049	29191	29225	31303	35421
ხელშეკრულება დადებულია	17 717	18 728	19 779	21 946	24 950
ტენდერი არ შედგა	15 332	10 463	9 446	9 357	10 471

ქვემოთ ამ მონაცემების საფუძველზე აგებული გრაფიკი 1 გვიჩვენებს ამ წლების განმავლობაში სულ გამოცხადებული ტენდერების, მათ შორის დადებული ხელშეკრულებებისა და არშემდგარი ტენდერების რაოდენობრივ სტატისტიკას. აბცისთა ღერძზე მოცემულია ტენდერების ჩატარების წლები, ხოლო ორდინატთა ღერძზე კი წელიწადში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობები. ასევე უკვე დადებული ხელშეკრულებებისა და არშემდგარი ტენდერების რაოდენობები.

ცხრილი 1 და გრაფიკი 1 გვიჩვენებს თუ როგორი დატვირთვით უწევთ მუშაობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებს. მართლაც ძალზე ძნელია დღეში ასეთი რაოდენობის **ტენდერის ჩატარება. ისმის კითხვა რამდენად შესაძლებელია აღნიშნულ დროში ტენდერების ხარისხიანად ჩატარება?**

გრაფიკი 1



აქედან გამომდინარე ცხადია რაოდენ რთულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უშუალო ფუნქციების (ტენდერების ჩატარებაზე კონტროლი და მართვა) ხარისხიანად შესრულება. 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული "ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერების ჩატარების წესი" კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ უმჯობესია ტენდერი ჩაატაროს თვით შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით[2], რადგან:

1. სატენდერო დავალების ფორმირება წარმოებს ავტომატურად-მოთხოვნათა ბაზის საფუძველზე და მისი ფორმირებისთვის ორგანიზაციის სრუქტურული ქვეგანყოფილებებიდან მოთხოვნები შესყიდვების დეპარტამენტში ელექტრონული სახით შემოდის ქსელის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტით[3];

2. სტრუქტურული ქვეგანყოფილებები მოთხოვნის სტანდარტულ ბლანკებს ავსებენ შემსყიდველი ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების კლასიფიკატორის საფუძველზე, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ტენდერების შესახებ ანგარიშგებათა ფორმირებას;

3. დაკვეთები შესყიდვების დეპარტამენტში შემოდის ელექტრონული ხელმოწერით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვას და ისინი ავტომატურად შედის მონაცემთა ბაზაში, რაც გამორიცხავს შემოსული მონაცემების ბაზაში ხელით შეტანის აუცილებლობას, ამცირებს ინფორმაციის კომპიუტერში შეტანის შრომატევადობას და ინფორმაციის ხელით შეყვანისას შესაძლო შეცდომების რაოდენობას.

ტენდერის ჩასატარებლად და გამარჯვებულ

მომწოდებელთან ყოველგვარი ურთიერთობისთვის საჭირო პროცედურებს ასრულებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

გთავაზობთ საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით სუბიექტთა ჩამონათვალის შესახებ ინფორმაციას [4]:

(საკუთრების ფორმების მიხედვით 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სუბიექტთა ჩამონათვალი)

ცხრილი 2

საკუთრების ფორმა	სუბიექტთა რაოდენობა
კერძო პირები*	628579
კერძო პირი-საქართველოს მოქალაქე	603807
უცხოელი კერძო პირი	19799
კერძო შერეული**	4973
სახელმწიფო***	6138
მუნიციპალიტეტი	1930
საკუთრების სხვა ტიპი	1908
სულ	638555

*კერძო პირი - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 %-ზე მეტი კერძო პირის საკუთრებაშია;

**კერძო შერეული - ეკონომიკური სუბიექტის საწესდებო კაპიტალში საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი კერძო პირის წილობრივი მონაწილეობა;

***სახელმწიფო - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 %-ზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია.

ცხრილი 2-დან ჩანს 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სახელმწიფო და მუნიციპალური სუბიექტების რაოდენობა, რომლებიც ვალდებული არიან შესყიდვები განახორციელონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მეშვეობით, შეადგენს 8068-ს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს ცენტრალიზებული წესით ტენდერების ჩატარების პროცესების მართვის სირთულეზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ელექტრონული სისტემის საშუალებით 2011-2015 წლებში ტენდერების ჩატარება უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც ენიჭებოდა ფასს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ამ პერიოდში ჩატარებულ ტენდერებში დარღვევების შესახებ.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა გამოიკვლია 2012-2014 წლებში ჩატარებული ტენდერები, რომლებშიც აღმოჩენილი დარღვევებისათვის საჭირო გახდა პროკურატურის ჩართვის აუცილებლობა [5].

დარღვევები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად. I ჯგუფია შემსყიდველი ორგანიზაციის არაკომპეტენტური სახელმწიფო მოხელეები. ტენდერში გამარჯვებული კომპანია სამუშაოების შესრულების დროს აღმოაჩენს არასრულყოფილად წარმოდგენილ განაცხადს, რომლის მთლიანად შესრულებასაც აიძულებენ მას ან შემსყიდველი ორგანიზაცია დარღვევებით იბარებს არასრულყოფილად შესრულებულ სამუშაოს, რომელიც შემდეგ ძალზე ძვირი უჯდება სახელმწიფოს (სამუშაოები თავიდანაა გასაკეთებელი).

II ჯგუფს მიეკუთვნება "გარიგებული ტენდერები", როდესაც მხარეები წინასწარ არიან მორიგებულნი.

III ჯგუფი ესაა ე.წ. საბოტაჟები – რამდენიმე ტენდერში გამარჯვებული კომპანია ითხოვს გადავადებებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია "შესყიდვების მონიტორინგი და სწავლების ცენტრი"-მა შეისწავლა 2014-2015 წლების სახელმწიფო ტენდერები, რომლის დასკვნითაც შესყიდვების ბიუჯეტის მესამედი გამარტივებული წესით შესყიდვებზე მოდის, რაც მიუთითებს კორუფციულ რისკებზე [6].

წელიწადში სახელმწიფო შესყიდვების ბრუნვის 3 მილიარდ 200 მილიონიდან მილიარდ ლარზე მეტი გაიცემა პირდაპირი — გამარტივებული შესყიდვის გზით (ბიუჯეტის მესამედი).

სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიხედვით შემსყიდველმა შეიძლება გამოიყენოს გამარტივებული წესი შემდეგი საფუძვლების არსებობისას: 1). გადაუდებელი აუცილებლობა; 2). სახელმწიფო საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების ვადაში შეუფერხებლად ჩატარება – რასაც ხშირად მთავრობა იყენებს; 3). ხარისხის გაუარესება.

2015 წლის 1 ნოემბრიდან თუ შემსყიდველს აუცილებლად სურს მოხდეს გამარტივებული შესყიდვა, უნდა მიმართოს შესყიდვების სააგენტოს, რომელმაც სამი სამუშაო დღის განმავლობაში უნდა გასცეს პასუხი-დააკმაყოფილოს ან ჩაეკითხოს. შემსყიდველი ორგანიზაცია ამ დასკვნის საფუძველზე მიმართავს მთავრობას, რომ დაამტკიცოს ამ ორგანიზაციას აქვს თუ არა შესყიდვის უფლება. ჯამში 10 დღეზე მეტია საჭირო და ეს ატარებს ხელოვნურ ხასიათს. შესყიდვების სააგენტომ წარმოადგინა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის მაისამდე 29%-ით შემცირდა გამარტივებული შესყიდვები. სინამდვილეში ადგილი აქვს ციფრებით თამაშს. მაგრამ ერთი მილიარდიდან, რომელიც გამარტივებული წესით მიდის, 90 % არ არის გამარტივებული წესით ჩასატარებელი. შესაძლებელი იყო 150-200 მილიონი ლარის დაზოგვა. ხარვეზებია თვითონ ტენდერებშიც. მათი 50 % ტარდება ისე, რომ ერთი მონაწილეა და ფასდაკლება ნულია. აქაც შეიძლება თანხების დაზოგვა როდესაც შესყიდვების სააგენტო კარგად მუშაობს და ამოწმებს ყველა ტენდერს. ძალიან ბევრი არამიზნობრივი ხარჯი ამოვარდება. შესყიდვების ელექტრონულ ვერსიას დახვეწა სჭირდებოდა და დღეს ხდება ნაბიჯის უკან გადადგმა.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"-მ გამოიკვლია 2010-2015 წლებში სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოებული საიდუმლო შესყიდვები, რომლებიც ხორციელდებოდა წესების გარეშე [7]. შვიდმა

ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯამში 750 მილიონი ლარის ღირებულების 2 800-მდე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა. კვლევის ავტორების აზრით საქართველოს დღემდე არ გააჩნია სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტთა ნუსხა და შესყიდვების განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტი, რის გამოც მაღალია კორუფციულ გარიგებათა გაფორმების შესაძლებლობა.

ელიტური კორუფციის ნიშნებია საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვებში. განხილული ერთ-ერთი კონტრაქტი 2011-2012 წლებში გაფორმდა, ოთხი კონტრაქტი კომპანია "ტრანსმობილე ლტდ კორპ"-თან, ჯამში 46 მილიონი ევროს ღირებულებისაა. აქვე არის გაუგებარი ტიპის შუამავალი კომპანია შპს "ლეგიონი", რომელსაც მხოლოდ წინასწარ ერიცხება თანხა, ხოლო ანგარიშსწორებების დასრულების შემდეგ იგი გადაფორმდა რუსეთის მოქალაქეზე... საუბარი გვიწევს არა მარტო კორუფციულ დარღვევებზე, არამედ ამ კონტრაქტებით საიდუმლოდ შესყიდვის მიზანშეწონილობაზეც. 2010-2015 წლებში საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების სტატუსი თითქმის ყველა სახის შესყიდვაზე არსებობდა. ეჭვს აჩენს ხეშეკრულებების მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად შემსრულებელი კომპანიების შერჩევის საკითხი:

წინა ხელისუფლების დროს საქართველოს მთავრობის კანცელარია ჩვეულებრივ შესყიდვას ადებდა გრიფს "საიდუმლო"-ს, რაც კანონის პირდაპირი დარღვევაა რადგანაც სტანდარტული სახელმწიფო შესყიდვა არ შეიძლება იყოს საიდუმლო. საიდუმლო შესყიდვებად ფორმდებოდა სარემონტო სამუშაოები, შენობის მოდერნიზაცია, პლასტიკური ბარათების დამზადება და ა.შ.

სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტ ნანა ბინგანიშვილს სახელმწიფო უწყებები ხშირად ეუბნებოდნენ უარს თითქოს მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა სახელმწიფო საიდუმლოებას. კანონი უნდა არეგულირებდეს ძალიან ცხადად და მკაფიოდ რა ექვემდებარება საიდუმლო შესყიდვას და რა უნდა გასაჯაროვდეს.

სახელმწიფო შესყიდვების წესის შედგენაზე მუშაობდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი. რთული და შრომატევადი პრობლემა საიდუმლო შესყიდვების ნუსხის შედგენაა, რომელსაც საფუძვლად საქართველოს პრეზიდენტის №42 ბრძანებულება დაედო. მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს წესი არ დამტკიცებულა და დღეს სახელმწიფო სტრუქტურების უმეტესობა ხელმძღვანელობს 1997 წელს პრეზიდენტის მიერ გამოცემული №42 ბრძანებულებით.

კვლევიდან გამომდინარე 2012 წლიდან საიდუმლო შესყიდვების რაოდენობა და მოცულობა მკვეთრად შემცირდა, მაგრამ პოზიტიური დინამიკის მიუხედავად პრობლემის აღმოსაფხვრელად არაფერი გაკეთებულა. საჭიროა საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რათა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების დროს კორუფციულ გარიგებათა შესაძლებლობა მინიმუმამდე შემცირდეს.

სახელმწიფო შესყიდვების კუთხით გამოვლენილი საინტერესო ტენდენციები, პრობლემები და მათი გადაჭრის კონკრეტული გზები წარმოადგინა "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"-მ 2013-2014 წლების ანგარიშში [8]. გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში უმთავრესი პრობლემა კანონით დაშვებული ის არაერთი გამონაკლისია, როცა შეიძლება შესყიდვის განხორციელება გამარტივებული წესით. 2013-2014 წლებშიც გამარტივებული შესყიდვების ნახევარზე მეტი მთავრობის ნებართვით გაფორმდა, რისი აუცილებლობაც ხშირ შემთხვევებში არ ყოფილა. აქ უკვე არაა ჯანსაღი კონკურენცია და ვერც სახელმწიფო ახერხებს თანხების დაზოგვას. ამ წლებში საკმაოდ მსხვილი შემოსავალი გამარტივებული შესყიდვების მეშვეობით მიიღეს თანამდებობის პირებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა. ისინი ისეთი უწყებებისაგან იღებენ ხელშეკრულებებს, რომლებთანაც პირდაპირ არიან დაკავშირებულნი თანამდებობის პირები. ანალოგიურად ელექტრონულ ტენდერებშიც გამარჯვებულთა შორის მოხვდნენ სხვადასხვა თანამდებობის პირებთან დაკავშირებული კომპანიები.

სახელმწიფო შესყიდვები წლების განმავლობაში აქტუალური თემაა. "ჩაწყობილი" ტენდერების, ერთ პირზე მორგებული ტენდერებისა და სხვა კორუფციული გრიგებების შესახებ ხშირად საუბრობენ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში [9]. საქართველოში წელიწადში 35 000-ზე მეტი ტენდერი იმართება ანუ დღეში საშუალოდ 100. კანონმდებლობის მიხედვით ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია თვითონ განსაზღვრავს და აყალიბებს სატენდერო მოთხოვნებს. ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ შესყიდვის ობიექტსა და ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე მიწოდების ვადებს. ამ ვადებზე ანხორციელებს მონიტორინგს, რათა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მათ მოკლე ვადის დაწესებით არ შეზღუდონ კონკურენცია. ცალკეულ შემთხვევებში ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული დაბალი კონკურენცია. უმეტეს შემთხვევებში დარღვევების უმრავლესობა შემსყიდველთა დაბალი კვალიფიკაციით აიხსნება.

სახელმწიფო ერთნაირად ზარალდება შესყიდვების პროცესში ჩართული ორივე მხარის შეცდომებით, ხარვეზებითა და დაბალი კვალიფიკაციით. კვლევებმა და მონიტორინგმა ცხადყო დარღვევების დიდი უმრავლესობა გამოწვეულია შემსყიდველთა დაბალი კვალიფიკაციითა და კომპეტენციის დონით, რომლის გადასაჭრელად შესყიდვების სააგენტოში შეიქმნა სასწავლო ცენტრი.

დღეისათვის ელექტრონული შესყიდვების სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. ერთ პირთან მოლაპარაკებებით გაფორმებული ხელშეკრულების რაოდენობა, მაგრამ 2015 წლის 1-ლი ნოემბრიდან ამოქმედდა სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და

გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დატ-კიცების თაობაზე", რომლითაც გამარტივებულ შესყიდვაზე საჭირო გახდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობა. ე.ი. მხოლოდ და მხოლოდ სააგენტოს თანხმობით ხდება შესყიდვები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობით ანუ ფორსმაჟორული მდგომარეობით, როცა ტენდერის ჩატარებამ ანუ პროცესის დროში გახანგრძლივებამ შეიძლება მოიტანოს სავალალო შედეგი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძის თქმით გამარჯვებულის გამოვლენა მხოლოდ დაბალი ფასის მიხედვით მიიჩნეოდა სახელმწიფო შესყიდვების არსებული სისტემის ერთ-ერთ ხარვეზად. ამიტომ წლეულს 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდება შესყიდვების ახალი ნაირსახეობა, რომელიც გამარჯვებულს გამოავლენს არა მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის პრინციპის გათვალისწინებით, არამედ ფასისა და ხარისხის საუკეთესო კომბინაციით. ასევე იგეგმება ერთი სიახლე: "ელექტრონულ ტენდერში მონაცემების დაფარვა კომპანიებს შორის შესაძლო გარიგებების აღმოსაფხვრელად. ტენდერში მონაცემების დაფარვა ნიშნავს, რომ მომწოდებლებს შორის ელექტრონული ვაჭრობის რაუნდები არ გაიმართება. ასეთი რაუნდების დროს კომპანიების წარმომადგენლები ერთგვარ აზარტში შედიოდნენ, გაუმართლებლად დაბალი ფასით მონაწილეობდნენ ტენდერებში და შემდეგში კონტრაქტის შესრულებას ვეღარ ახერხებდნენ. რაუნდების გაუქმებით მათ შესაძლებლობა ექნებათ გააზრებული, კარგად აწონილ-დაწონილი ფასი შესთავაზონ გამყიდველს. ჩგარდა ამისა შერჩევა-შეფასების ეტაპზე დროებით შეიზღუდება განსაზღვრულ ინფორმაციაზე წვდომა. კერძოდ ყველასათვის ხილვადი გახდება მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზების მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება. სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მიღებული წინადადებების რაოდენობა სისტემაში დაფარული იქნება, სანამ რიგი შემდეგ პრეტენდენტზე არ გადავა ან ტენდერი საბოლოო სტატუსს არ მიიღებს (საბოლოო ეტაპზე არ გადავა). სტატუსის მინიჭებისთანავე ტენდერის ყველა დეტალი გახდება საჯარო. შემსყიდველი ორგანიზაცია თვითონ განსაზღვრავს კონკრეტული საჭიროების მიხედვით რა ფორმით უნდა გამოაცხადოს ტენდერი.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სავარაუდო ღირებულების დასადგენად ბაზარი მოიკვლიოს და კონკურენტული გარემო უზრუნველყოს. ცალკეულ შემთხვევებში ტენდერში კონტრაქტი სავარაუდო ღირებულების თითქმის განახევრებულ ფასზე გაფორმდა. ამ შემთხვევებში სააგენტო მიმართავს შემსყიდველ ორგანიზაციებს განმარტონ რის საფუძველზე დადგინდა ტენდერის თავდაპირველი საბაზრო ღირებულებასთან შეუსაბამო არარეალურად მაღალი სავარაუდო ღირებულება. ბოლო 2,5 წლის განმავლობაში გამოვლენილია 170-მდე სამართალდარღვევის ფაქტი და ადმინისტაციული სასჯელი დაეკისრა შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელებსა და სატენდერო კომისიის წევრებს.

ვინაიდან ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის ევროპული ინტეგრაციისკენ და გვაქვს ევროპის სრული წევრობის ამბიცია საჭიროა დავხვეწოთ საკანონმდებლო სივრცე, რათა კორუფციული თუ არასათანადო მიზნებით არ მოხდეს სახელმწიფო სახსრების გამოყენების შესაძლებლობა.

ამ დარღვევებიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზის უფრო მეტად დახვეწის აუცილებლობის შესახებ. ჩგანვლილმა წლებმა ცხადყო, რომ ფასის მიხედვით გამარჯვებულის გამოვლენა და ერთი სამუშაო დღის განმავლობაში საშუალოდ 100 ტენდერის ჩატარება ე.ი. ერთი ტენდერის ჩასატარებლად საშუალო დრო 12-15 წუთი შორს დგას ამ პროცესების რეალურად ხარისხიანად წარმართვისაგან.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ზემოთხსენებულმა სიახლეებმა და ცვლილებებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ტენდერების ხარისხიანად ჩასატარებლად და გამარჯვებულ მომწოდებელთან ყოველგვარი ურთიერთობისათვის საჭირო პროცედურებს ასრულებს შემსყიდველი ორგანიზაცია. ამიტომ ტენდერში მონაწილე მხარეებისა და თვით სახელმწიფო შესყიდვების საგენტოსთვის უმჯობესია ელექტრონული ტენდერი ჩაატაროს უშუალოდ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით [10], ხოლო მასზე კონტროლი განახორციელოს საელმწიფო შესყიდვების სააგენტომ.

მართებულად მიგვაჩნია:

1). უტყუარობისა და ნამდვილობის კუთხით გაიზარდოს ტენდერების ჩატარების ამსახველი ინფორმაციის საიმედოობა;

2). ამაღლდეს ტენდერების ჩატარების გამჭვირვალობა და ობიექტურობა;

3). გარკვეული ზომით მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრო-მელთა განტვირთვა;

4). შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს უფლება მიმდინარე წლის განმავლობაში მოახდინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი ტენდერების ჩატარების გეგმაში ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გამარტივებული ტენდერების ჩატარების რაოდენობას (გადაუდებელი აუცილებლობა, სახელმწიფო საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების ვადაში შეუფერხებლად შესრულება);

5). დაზუსტდეს და ცალსახად განისაზღვროს საიდუმლო შემსყიდველი ორგანიზა-ციების ნუსხა;

6). ამაღლდეს იმ ორგანიზაციების პასუხისმგებლობა, რომლებიც ტენდერების შესახებ არასაიდუმლო ინფორმაციას დაბლოკავს;

7). ამაღლდეს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი განაცხადების ხარისხი;

8). ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენა ტენდერების ჩატარების წესში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე უნდა მოხდეს არამარტო ფასისა და

ხარისხის, არამედ სხვა კრიტერიუმების მიხედვითაც, რის შესახებადაც რამდენიმე წლისწინათ გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება [11].

9). ტენდერის ჩატარებაზე განაცხადი უნდა აიტვირთოს შემსყიდველი ორგანიზაციის ვებგვერდზე და ტენდერი ჩაატაროს უშუალოდ შემსყიდველმა ორგანიზაციამ;

10). ამაღლდეს ორგანიზაციებში შესყიდვების განყოფილებების პერსონალის კვალიფიკაციის დონე;

11). მომწოდებლებიდან შემოსული წინადადებების შესაფასებლად და გამარჯვებულის გამოსავლენად რამდენიმე კრიტერიუმის გამოყენების შესაძლებლობა საშუალებას იძლევა შემსყიდველმა ორგანიზაციამ მისაღებ ფასში შეიძინოს მაღალი ხარისხის საქონელი და მომსახურება;

დროულად ჩატარებული ტენდერი მნიშვნელოვან სარგებელს მისცემს ტენდერის ყველა მონაწილეს: დროულად განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი სამუშაოები, დროულად მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების გადარიცხვა მომწოდებლის მხრიდან რეალიზებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურებიდან საშემოსავლო გადასახადის სახით. ტანდერების წარმატებით ჩატარებისთვის ფასი არ უნდა იყოს შეფასების ერთადერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი, აუცილებელია, აგრეთვე, ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებაც, როგორიცაა ხარისხი, საგარანტიო დრო, მომწოდებლის იმიჯი და სხვ.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ შემსყიდველ ორგანიზაციებში ტენდერების ჩატარება უნდა მოხდეს ელექტრონული ფორმით ჩვენ მიერ შემუშავებული ელექტრონული სისტემის საშუალებით, ხოლო ტენდერების შედეგები და სატენდერო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფორმით, რაც მას საშუალებას მისცემს განახორციელოს უშუალოდ თავისი მოვალეობა-კონტროლი მის დაქვემდებარებაში მყოფი წარმოება-ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ წარმოება-ორგანიზაციებს ტენდერების ჩატარების სფეროში.ჩ

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.procurement.gov.ge/ELibrary/LegalActs.aspx - სამართლებრივი აქტები
2. სახელმწიფო შესყიდვების მართვის ორგანიზაცია ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით, დისერტაცია თ. გოგნაძე, 2013 წ.
3. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", 6, ნოემბერ - დეკემბერი, 2011, სატენდერო დავალების ელექტრონული ფორმირება.
4. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=235&lang=geo - საკუთრების ფორმების მიხედვით 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სუბიექტთა ჩამონათვალი
5. http://commersant.ge/?m=5&news_id=18702 პარლამენტმა სახელმწიფო ტენდერებში "გარიგებული ტენდერებისა" და მოხელეთა არაკვალიფიციურობის ნიშნები აღმოაჩინა-მარიამ მინაძე. 18.02.2015
6. http://commersant.ge/?m=5&news_id=39147 - უტენდეროდ გაცემული მილიარდ ლარზე მეტი და დაკარგული 150 მილიონი - რა ხდება სახელმწიფო შესყიდვებში? 11.07.2016
7. http://www.radiotavisupleba.ge/a/shesyidvebi-cesebis-gareshe/27442392.html -შესყიდვები წესების გარეშე - რადიო თავისუფლება. ჯიმშერ რეხვიაშვილი. 22.12.2015
8. http://www.transparency.ge/node/5367 - სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამოწვევად გამარტივებული შესყიდვები რჩება. 10.07.2015
9. http://www.kvirispalitra.ge/economic/30052-eleqtronuli-samarthlianobis-aghsadgenad -darghvevebi-tenderebshi.html?device=xhtml- ელექტრონული სამართლიანობის აღსადგენად-დარღვევები ტენდერებში. ემა ტუხიაშვილი. 06.06.2016.
10. ჟურნალი "ეკონომიკა", 2011, 11-12, ონლაინ რეჟიმში სახელმწიფო შესყიდვების ფუნქციონირების საკითხისათვის
11. ჟურნალი "ეკონომიკა", 9-10, 2012, თბილისი, 2012, განხილულია სახელმწიფო შესყიდვების მართვის საკითხები ელექტრონული ტენდერების გამოყენებით.

ეკონომიკური უსაფრთხოება რეგიონებში

***გუგული ყურაშვილი**, სტუ, ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი*
***არტურ დავთიან**, სტუ, საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიების*
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

Economical Safety in The Regions

Artur Davtyan, PHD Student of GTU

Guguli Khurashvili, Professor of GTU

Summary

The main purpose of economical safety in the region lies within capabilities of regional government to control: effective use of natural, financial, human and material resources, achieve economical growth, improve quality of products, establish effective service, create competitiveness of working and production. Economical safety in the region creates system that provides immunity against internal and external threats for regional economic. This system guarantees effective working of regional economic such as: institutional infrastructure, private field for production, transport and communicational facilities, science and research institutions, social sphere.

საკვანძო სიტყვები: მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი), ექსპორტი, ინპორტი,სავაჭრო ბალანსი.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ თანამედროვე მსოფლიოში, ყოველი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მისი როლი და ადგილი მსოფლიოში განისაზღვრებაარამისიტერიტორიით, ამტერიტორიისეკონომიკურგეოგრაფიულიდაგეოპოლიტიკურიმდებარეობით, ანსამხედროსიძლიერით (თუმცა მათი როლიდა ადგილი ძალიან მნიშვნელოვანია), არამედ იმით, მის ეკონომიკას რა წვლილი შეაქვს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, მოსახლეობის ცხოვრების როგორი დონე და ხარისხია მიღწეული ამ ქვეყანაში და როგორი უნარი აქვს სახელმწიფოს გადაწყვიტოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები.

დამუშავებულია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. სამწუხაროდ ეს კონცეფცია ნაკლებად ითვალისწინებს ეკონომიკური უსაფრთხოების რეგიონულ (სამხარეო) პრობლემებს.

რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოების არსი მდგომარეობს რეგიონალური ხელისუფლების შესაძლებლობაში, აკონტროლოს ბუნებრივი, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენება, ეკონომიკური ზრდის მიღწევა, პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება, მომსახურება, სამუშაო და წარმოების კონკურენტუნარიანობა.ეკონომიკური უსაფრთხოება რეგიონშიწარმოადგენს სისტემას,რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკური სივრცის ხელშეუხებლობას ,როგორც გარე,ასევე შიდა საფრთხეებისაგან. ეს სისტემა განაპირობებს რეგიონალური ეკონომიკის ეფექტურ ფუნქციონირებას, როგორიცაა: ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა,წარმოების საკუთარი სფერო,სატრანსპორტო და საკუმუნიკაციო ობიექტები, მეცნიერებათა და კვლევითი ინსტიტუტები, სოციალური სფერო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტს წარმოადგენს რეგიონალური ეკონომიკა, როგორც სოციალური, საწარმოო და გარემოს დაცვის სფეროთა ურთიერთქმედების სისტემა.

რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოების გამოვლენის ძირითადი ასპექტებია:სამეწარმეო საქმიანობის პირობების არსებობა; შემოსავლების უთანასწორო განაწილების შეზღუდვა;ინვესტიციების სტიმულიზაცია;ინოვაციების ხელშეწყობა;მუშაკების პროფესიული, საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლება.

რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოების მიზანმიმართულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

- ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა;
- ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების მდგრადობა;
- რეგიონული განვითარების საზღვრების გაფართოება;
- წარმოების და ინოვაციური სფეროს მასობრივი დანერგვის გაფართოება.

რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოების სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები,რეგიონალური ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე ახორციელებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს არა მარტო სახელმწიფოებრივი, ასევე საკუთარი ინტერესებიდან.

რეგიონში ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და კრიზისული სიტუაციების შემდგომ განვითარებაზე მოქმედებს დესტაბილიზაციის სხვადასხვა ფაქტორები, როგორიცაა:

რეგიონში წარმოების შემცრება და ადგილობრივი ბაზრის დაკარგვა;წარმოების ტექნიკური ბაზის განადგურება და ეკონომიკის დეიდუსტრიალიზაცია.; სასურსათო დამოუკიდებლო-

ბის დაკარგვა;უმუშევრობის დონის გაზრდა და შრომითი მოტივაციის შესუსტება; ეკონომიკის კრიმინალიზაცია;ბუნებრივი რესურსების მუდმივად გაუარესება;რეგიონის ფინანსური უზრუნველყოფის დარღვევა;საგარეო ბაზრის დაკარგვა.

საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის არაპროპორციულად დიდ წილი დედაქალაქშია თავმოყრილი. მისი წილის შეფასება შეიძლება გადაჭარბებულიც იყოს რადგანაც რეგიონში მიმდინარე ბიზნეს საქმიანობის რეგისტრირება მაინც დედაქალაქში ხდება.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

	2010	2011	2012	2013	2014	2015*	I 16*
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	20743.4	24344.0	26167.3	26847.4	29150.5	31691.6	7351.0
მშპ მუდმივ 2010 წლისფასებში, მლნ. ლარი	20743.4	22241.4	23653.8	24454.9	25585.6	26295.6	5685.6
მშპ-ისრეალური ზრდა, პროცენტულიცვლილება	6.2	7.2	6.4	3.4	4.6	2.8	2.6
მშპ დეფლატორი, პროცენტულიცვლილება	8.6	9.5	1.0	-0.8	3.8	5.8	4.0
მშპ ერთსულზე (მიმდინ. ფასებში), ლარი	4675.7	5447.1	5818.1	5987.6	6491.6	8533.7	1975.9
მშპ ერთსულზე (მიმდინ-ფასებში), აშშდოლარი	2623.0	3230.7	3523.4	3599.6	3676.2	3759.0	811.4
მშპ მიმდინარეფასებში, მლნ. აშშდოლარი	11636.5	14438.5	15846.8	16139.9	16507.8	13959.9	3018.8

2016 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებულივაჭრობისგარეშე) 7426 მლნ. აშშდოლარი-შეადგინა, რაცწინაწლისშესაბამისიპერიოდისმაჩვენებელზე 16 პროცენტითმეტია. აქედან, ექსპორტი 1312 მლნ. აშშდოლარიიყო (10 პროცენტითნაკლები), ხოლოიმპორტი 6114 მლნ. აშშდოლარი (23 პროცენტითმეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლისიანვარ-აგვისტოში 4802 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრობრუნვის 65 პროცენტიშეადგინა.

ცხრილი 1.მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება რეგიონების მიხედვით (მიმდ. ფასებში, მლნ. ლარი)



ამ მონაცემებზე დაყრდნობით, 2014 წელს მთლიანიდამატებულიღირებულება თბილისში 12147.1 მლნ. ლარს შეადგენდა, აჭარაში 2 039,0, ქვემო ქართლში 2 162.9, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში 2 689.5, კახეთში 1 459,1 მლნ. ლარს.

თითოეულ რეგიონში წარმოებული ეკონომიკური აქტივობის უფრო დეტალურად განხილვის შედეგად, იკვეთება, რომ სასოფლო-სამეურნო წარმოების მნიშვნელობა საქართველოში განსხვავდება.სასოფლო-სამეურნო პროდუქტის გაყიდვით მიღებული შემოსავალი უფრო დაბალია მთიან რეგიონებსა და შედარებით უფრო ურბანიზებულ რაიონებში.

რაც შეეხება სოციალურ მდგომარეობას საქართველოს რეგიონებში, საქართველოში კონკრეტულ-რეგიონებში მცხოვრებ ოჯახებს შორის ერთ სულ-მოსახლეზე შემოსავლის სხვაობა დიდად აღემატება რეგიონებს შორის არსებულ სხვაობას. ამის მიუხედავად, ქალაქ თბილისში ერთ სულზე საშუალო შემოსავალი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე იგივე მაჩვენებელინების მიერ სხვა რეგიონში — გარდა აჭარისა, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთისა (ურბანიზებულ რეგიონებში ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალი შემოსავალი ფიქსირდება).

სიღარიბე მთელ საქართველოში მთავარ პრობლემად რჩება, მიუხედავად მისი შემცირების მიმა-

რთულებით მიღწეული პროგრესისა, განსაკუთრებით 2013 წლის შემდეგ. სიღარიბე ზოგ რეგიონში განსაკუთრებით საყურადღებო პრობლემაა. იგი დიდადაა გამოწვეული უმუშევრობით, ასევე, ურბანულდა სასოფლო ტიპის დასახლებებში თვითდასაქმებულთა არასაკმარისი შემოსავლით. გლობალურმა კრიზისმა და რუსეთთან ომმა საქართველოში სიღარიბისმასშტაბები და სიმძიმე კიდევ უფრო გაზარდა. საქართველოში სიღარიბის მასშტაბები უფროდიდიასოფლის, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში. ეკონომიკისსწრაფიზრდისპერიოდში, ურბანულრაიონებშისიღარიბე 20011 წელს არსებული 23.7%-დან 2015 წელს18%-მდეშემცირდა, ხოლო სოფლისტიპის დასახლებებში იმავე პერიოდში იგივე მაჩვენებელი 33%-დან, 29.4%-მდე ჩამოვიდა. დღესდღეობით, ქვეყანაში ღარიბთა დაახლოებით2/3 სასოფლოდასახლებებში ცხოვრობს.



წყარო: შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევა 2011. ISET 2013.

ამ მაჩვენებლის გამოყენებით, საქართველოში, რეგიონების მიხედვით, სოციალურად დაუცველთა მდგომარეობაში აშკარა განსხვავებები შეინიშნება. ქალაქ თბილისსა და სამცხე-ჯავახეთზე სოციალურად დაუცველი ოჯახების ყველაზე ნაკლები წილიმოდის, ხოლო შიდა ქართლზე — ყველაზე დიდი. ქალაქ თბილისში საარსებო შემწეობას პროცენტულად ყველაზე ნაკლები ოჯახი იღებს, შემდეგ მოდისსამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და აჭარა. რეგისტრირებულ ღარიბთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ძირითადად, მთიან და ეკონომიკურად სუსტ მცხეთა-მთიანეთზე მოდის, ასევე, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე.

ბოლო წლებში შიდა ქართლში რეგისტრირებული ბენეფიციარების მკვეთრი ზრდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადის შემოსვლის შედეგია. მეორე მხრივ, ქალაქ თბილისსა და იმერეთში იმავე ტენდენციისმიზეზი ისაა, რომ უფრო მეტი ოჯახი განიცდისეკონომიკური კრიზისის შედეგებს. რაც შეეხება მთაში შემწეობის მიმღებთა რაოდენობის შედარებითკლებას, ეს იქაური მოსახლეობის რიცხვის შემცირებითაა გამოწვეული.

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის და სოციალურად დაუცველი ოჯახების წილი, წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

რეგიონული ეკონომიკის უსაფრთხო განვითარებამრავალ-ფაქტორული და ფართო მასშტაბიანი პრობლემაა. მას ცალკე ფაქტორად განსაკუთრებით გამოვყოფთ იმის გამო, რომ დღემდის ეკონომიკურ თუ იურიდიულ ლიტერატურაში, პრაქტიკაშინაკლებად განიხილება (ან სულაც არ განიხილება) რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები. იგი ჩვენ მიგვაჩნია, როგორც ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკური ინტერესების ერთობლიობა, ამ ინტერესთა დაბალანსებულობა, ჰარმონიული შეთანაწყობა. ქვეყნის უსაფრთხო განვითარება უნდა ითვალისწინებდეს მისი ცალკეული რეგიონების უსაფრთხო განვითარებას და პირიქით. გაუმართლებელია ზრუნვა ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხოებაზე და ვერასოდეს ვერ მოიტანს იგი დადებით, სასურველ შედეგებს თუ მასში ორგანულად არ არის ჩაქსოვილი ყოველი ცალკეული რეგიონის ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების ამოცანები და მიზნები. ასევე უშედეგო იქნება ნებისმიერი ზრუნვა რეგიონის ეკონომიკის უსაფრთხო განვითარებაზე თუ იგ იარ ითვალისწინებს მთელი ქვეყნის ერთიან ეროვნულ ინტერესებს. უფრო მეტიც, ნებისმიერი გადახვევა ეკონომიკურ ინტერესთა თანხვედრის ბალანსიდან თვითონ გადაიქცევა ქვეყნის და რეგიონის უსაფრთხო განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად, საშიშროებად.

ზემოთაღნიშნულიდან საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა და მისი შემადგენელი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკა, სულაც არ არის სხვადასხვა პოლიტიკის რეგიონული ასპექტების ერთობლიობა; იგი არის საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლისერთიანი რგოლი, რომლის გარეშეც თვით საზოგადოებას, მის ცალკეულ წევრებს, აგრეთვე ბუნებრივ გარემოს არ შეუძლიათ არსებობდნენ მხოლოდ ცალ კეულ ტერიტორიაზე შემთხვევით და გარანტირებული წარმატების გარეშე.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის წარმატება დიდადაა დამოკიდებული ადამიანების, საზოგადოების ინფორმირებულობაზე ამ პოლიტიკის მიზნების, ამოცანებისა და მათი განხორციელების გზებისა და მეთოდების შესახებ, ყოველმა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი და როლი ამ პოლიტიკაში, უნდა იცოდეს, რას მიიღებს იგი ამისაგან. მხოლოდ ასეთი ინფორმირებულობის შემთხვევაში შეიძლებასაზოგადოებრივი ცნობიერებისათვის პოლიტიკის ორგანული გათავისება, ადამიანთა შეგნებული, აქტიური მონაწილეობა და ქმედება მისი განხორციელებისათვის. ადამიანთა შეგნებაში რეგიონული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მოსახლეობაში, და განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობაში რეგიონალიზაციის, რეგიონული პრობლემების მიზანმიმართულმა სწავლებამ.

საქართველოში დღეს ყველა პირობაა იმისათ-

ვის, რომ შემუშავებული და რეალიზებული იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული, მაღალეფექტური სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა. ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ მრავალი ადამიანის, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა დაუღალავ შრომას ძალუძს. მან უნდა შეასრულოს მეტად რთული და შრომატევადი სამუშაო. ზოგიერთი ამ სამუშაოთაგანი, ჩვენი აზრით შემდეგია: წინადადებების დამუშავება ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის შინაარსისა და კონკრეტული მიმართულებების შესახებ, ქვეყნის განვითარების ყველაზე რთული სიძნელეების გადალახვის გზების შესახებ და ყოველივე ამის შეთანხმება ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების სუბიექტებთან, რათა ისინი შემდგომ წარედგინოს მთავრობასა და პარლამენტს; მთავრობისა და პარლამენტისათვის ყოველწლიური მოხსენების შედგენა ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რეგიონული ეკონომიკა, ავტორთა კოლექტივი, ვ. პაპავას რედაქტორობით თბ. 2004
2. მ.ვანიშვილი, ი. ბადაგაძე, მუნიციპალური საბიუჯეტო სისტემა დეა ფინანსური მენეჯმენტი. თბ. 2007.
3. ე. ბარათაქშვილი, ნ. გალახვარიძე, რეგიონული ეკონომიკა, 2010.
4. www. Geostat. Ge.action=search&lang=geo

საქართველოში 2014-2016 წლების სავალუტო კრიზისის გამომწვევი ზოგიერთი საკითხისათვის

თინათინ გუგეშაშვილი,
აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Currency Crisis Underlying Causes In Georgia in 2014-2016

Tinatin Gugeshashvili,
Associated Professor of ATSU

Summary

The fall in the exchange rate caused by both internal and external factors in the years 2014-2016. External factors are: the US role as a superpower with its financial resources. Analysis gives us the opportunity to talk about possible ways overcoming the crisis:Administrative costs should be reduced, but not at the expense of wages. Officials should have a high salary, in order to prevent corruption, □owever, it should be carried out Human Resource Optimization in the public sector. Administrative expenses are increased too. Money in circulation in this form looks like as consumption costs and cannot help the economy. It would be beneficial State initiative for monetary stability by development of financial and commodity markets in Georgia. As there is no precedent in the Caucasus and in Georgia, implementation of this project will be the main channel of foreign currency.

In the short term period for the currency crisis management three main tasks have to be solved: Attraction of investments, large infrastructure project implementation and tax liberalization, which will be stimulate local and foreign investors and economic activity.

საკვანძო სიტყვები: ვალუტა, ლარი, ფაქტორები, ბიუჯეტი, ინვესტიციები,ანალიზი, კრიზისი.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერათაშორისო საფინანსო და სავალუტო ურთიერთობათა პრობლემები. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების სწრაფი ზრდა წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ ბევრი უმსხვილესი ფინანსური კორპორაცია , აგრეთვე ვაჭრობასა და წარმოებაში დასაქმებული საწარმოები თავიანთი განვითარების პერსპექტივებს მსოფლიო მასშტაბამდე გაფართოებას უკავშირებენ.

თუ საზოგადოების განვითარებისათვის დღემდე ერების კონსოლიდაციის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა ფული, დღეს საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთი მთვარი ელემენტია ვალუტა.

XXI საუკუნის მსოფლიო ეკონომიკა საათის მექანიზმს ჰგავს და თითოეული დეტალი საოცარი სიზუსტითა და მგრძნობელობითაა ერთმანეთთანდაკავშირებული, რაც გამოწვეულია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებითა და ლოჯისტიკური კავშირებით. 2014-2016 წლებში ლარის კურსის დაცემა თანაბრად გამოიწვია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებმა. გარე ფაქტორებიდან გამოვყოფდით: აშშ ზესახელმწიფოს როლს ფინანსური რესურსებით (რაზეც მისი ეროვნული ვალუტის „აშს დოლარის“ სტატუსიც მიუთითებს). სახელმწიფოები წარმოადგენენ ძირითად მოთამაშეებს თანამედროვე ეკონომიკის ,,მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე“. ისინი ყველა აუცილებელ კომპონენტს ფლობენ ეკონომიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლაში - ფინანსურიდან და ინფორმაციულიდან-ძალისმიერამდე. რათქმაუნდა სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავისი ეკონომიკური სიძლიერით, საგარეო პოლიტიკითა და ორგანიზაციული მოდელებით. ისინი თავიანთ საგარეო ეკონომიკურ გარემოსა და მსოფლიო ბაზარზე ცდილობენ გავლენის მოპოვებას. მსოფლიოში მცხოვრებ 7 მილიარდი[1] ადამიანიდან, მხოლოდ 1 მილიარდი იმყოფება პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ანუ ე.წ. ,,ოქროს მილიარდი“. მასში შედის ა.შ.შ., დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იაპონია და ზოგიერთი სხვა განვითარებული ქვეყანა. თანამედროვე მსოფლიო მოწყობა ,,ოქროს მილიარდს“ საშუალებას აძლევს მოიხმაროს მსოფლიო ბუნებრივი რესურსების 80%, აწარმოოს ეკოლოგიურად საშიში ნარჩენები, ხოლო დანარჩენი 6 მილიარდის გადასვლა ,,ოქროს მილიარდში“ წარმოუდგენელია. შემდეგ გარე ფაქტორად გამოვყოფდით საგარეო ვალებს, განვითარებადი სახელმწიფოები დროდადრო ბიუჯეტში არსებული ხვრელების დასაფარად ფულს სესხულობენ. ფასების პარიტეტის, ფინანსური და ინტელექტუალური ტუმბოების შედეგად, თითქმის ყველა განვითარებადი ქვეყანა ხდება განვითარებული ქვეყნებისა და სავალუტო ინსტიტუტების მუდმივი მოვალე. ,,ვალის მახე“ ისეა დაგებული, რომ განვითარებადი ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკის ზრდის ტემპები 0-4%-ის საზღვრებშია, ხოლო სასესხო კაპიტალის პროცენტი 9-დან 20%-მდე. ამიტომ, პროცენტის დასაფარად განვითარებად ქვეყნებს ისევ ვალის აღება უწევთ. თანამედროვე მსოფლიოს მოწყობის სრული სურათი გვირგვინდება ძირითადად აშშ-ს მიერ კონტროლირებადი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული ინსტრუმენტებით. ზოგ შემთხვევაში, განვითარებადი ქვეყნები სწრაფი ტემპით ზრდიან თავიანთ ეკონომიკებს მოხერხებული პოლიტიკით თუ ახალი შესაძლებლობების წყლობით და ვალის დაფარვასთან ერთად, მცირე

1 https://ka.wikipedia.org/wiki/მსოფლიოს–მოსახლეობა

დანაზოგების გაკეთებას ახერხებენ, თუმცა ეს დანაზოგები ისევ ,,ოქროს მილიარდის" ქვეყნებისკენ მიდის, ვინაიდან საერთაშორისო ბირჟაზე ისევ უცხოური კომპანიების აქციებს ყიდულობენ და შესაბამისად, არ ეძლევათ წინსვლისა და განვითარების საშუალება. ამას გარდა, ბოლო პერიოდში მსოფლიოს თითქმის ყველა ვალუტასთან მიმართებაში დოლარის გამყარებასთან დაკავშირებულ მოვლენებს რომ გადავხედოთ, ყველაფერი ახლო აღმოსავლეთში ე.წ. ,,ისლამური სახელმწიფოს" გააქტიურებასა და ირანთან ურთიერთობების დათბობას უკავშირდება. ახლო წარსულში ირანის ბირთვული პოლიტიკა ძალიან ძაბავდა მის ურთიერთობებს დანარჩენ მსოფლიოსთან და ვინაიდან ირანი მსოფლიოს ერთ—ერთი უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი სამხელმწიფოცაა, ეს აძვირებდა ნავთობის ფასს და შესაბამისად ეცემოდა დოლარის კურსი, ვინაიდან ნავთობზე ვაჭრობა დოლარებში მიმდინარეობს და მიმოქცევაშიც სულ უფრო მეტი დოლარი გამოდიოდა. თუმცა, ირანში ხელისუფლების ცვლილებამ, აშშ—სა და მის პარტნიორებთან ურთიერთობათა ნორმალიზებამ განაპირობა ის, რომ 2005 წლიდან მათ მიერ დაწესებული სანქციები ირანს 2016 წლის იანვარში მოეხსნა, შესაბამისად გაუჩნდა შანსი მოეპოვებინა და გაეყიდა მოპოვებული ნავთობის დამატებითი მოცულობები, რამაც ნავთობის ფასი საგრძნობლად დაასტაბილურა და ამ ყველაფერს თან დაერთო ,,ისლამური სახელმწიფოს" შექმნა, თანმდევი ტერორისტული ქმედებებით, რომლის შედეგადაც მათ ხელში ჩაიგდეს ნავთობის უდიდესი რესურსი და თავინთ ქმედებებსნავთობით ვაჭრობის შედეგად მიღებული ფულით აფინანსებდნენ. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ დოლართან მიმართებაში დოლარის ,,ალტერნატივად" შექმნილი ევროც გაუფასურდა და ეს გამოწვეულია როგორც ნავთობის ფასზე სპეკულირებით, ასევე სხვა ფაქტორებით. აშკარაა, რომ ევროს კურსი დოლარის მიმართ დაცემას განაგრძობს: 2015 წლის იანვარში ევროპული ვალუტა აშშ დოლარის მიმართ 8.6%-ით გაუფასურდა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან გერმანიაში ძალაში შევიდა კანონი, რომლის მიხედვითაც საათობრივი ანაზღაურება არ უნდა იყოს 8.5 ევროზე ნაკლები. ნათელია, რომ გერმანია ევროზონის ქვეყნებს შორის თავისი ეკონომიკით მოწინავეა და ევროს მიმოქცევაში მომეტებული გამოსვლა მის კურსს გარკვეულწილად შეამცირებდა, რაც ევროზონაში ფასებს გააძვირებს დარამაც შესაძლოა საქართველოში ევროს გზავნილებიც შეამციროს. აშშ-ში უმუშევრობის შემცირებამ და ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებამ თავისი გაიტანა. ფაქტია, რომ ბოლო დროს ამერიკის ეკონომიკა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ევროპის ქვეყნების. ამ დროს არ შეიძლება არ ვახსენოთ რუსეთი, რომელიც მიუხედავად მწვავე პოლიტიკური დაპირისპირებისა სავაჭრო საკითხებში მაინც საქართველოს მნიშვნელოვან პარტნიორად რჩება. სანქციების საპასუხოდ, რუსეთმა შეზღუდა ევროპული საქონლის შეტანა რუსულ ბაზარზე. თუ გასულ წლებში ევროზონიდან მილიარდობით რუბლის ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა სახის პროდუქცია შეჰქონდათ, ახლა ეს რაოდენობა აშკარად შემცირებულია. ამიტომ, ევროპა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. სამკუთხედში — ევროპა-რუსეთი-საქართველო - ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით ზარალდება. ფაქტია, რომ დოლართან ორივემ დათმო პოზიცია - ქართულმა ლარმაც და ევროპულმა ვალუტამაც. ამასვე ემატება ნავთობის ფასების რყევა „თუ,,ადრინდელი ომები ნავთობს აძვირებდა და დოლარს აუფასურებდა, ახლანდელი კი პირიქით - იაფდება ნავთობი, მყარდება დოლარი". დიპლომატიის კლასიკა - პირდაპირპროპორციული კავშირი ნავთობის ფასსა და რუსეთის აგრესიულ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას შორის.

რაც შეეხება შიდა ფაქტორებს ერთი შეხედვით ნავთობის გაიაფებას უცხოური ვალუტის რეზერვების ხარჯვა უნდა შეემცირებინა და გერმანიაში საშუალო საათობრივი ხელფასის ზრდას თითქოსდა საქართველოში უცხოური ვალუტაში გზავნილების მოუცულობა უნდა გაეზარდა, მაგრამ ქართულ ,,ლარი" კრიზისში აღმოჩნდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ლარის ,,დაავადება" გარე მოვლენაბამდე უფრო ადრე დაიწყო, თუმცა ამ უკანასკნელმა ,,ქრონიკული" სახე მისცა ამ ყველაფერს. საქართველოში 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების არჩევნების გზით დემოკრატიულმა ცვლილებამ და ,,ქართული ოცნების" სოციალურმა საარჩევნო დაპირებებმა საფუძვლი ჩაუყარა ლარის დევალვაციას. ლარის დევალვაცია განსაკუთრეით შესამჩნევი 2014 წლის ბოლოსთვის გახდა, როდესაც ლარი ,,ფსიქოლოგიურ ნიშნულს" 2 ლარს მიუახლოვდა, რაც გარკვეულწილად აგრეთვე განპირობებული იყო ბიუჯეტის არაპროპორციული ხარჯვით. 2013-2014 წლებში ფაქტიურად ორჯერ გაირღვა სახელმწიფო ბიუჯეტი. ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის დეფიციტურ ხარჯვას და 2014 წლის ბოლოს დაიწყო მისი შესრულების მიზნით ინტენსიური ხარჯვა, რაც კატასტროფულად აისახა ლარის კურსზე. მიუხედავად ნავთობის ფასის მსოფლიო ბაზარზე დაცემისა, ლარის გაუფასურების და დოლარის გამყარების, ასევე ნავთობგამყიდველთა კარტელური შეთანხმებისა თუ სპეკულაციის გამო ნავთობი საქართველოში მსოფლიო ფასის ადეკვატურად მაინც არ გაიაფებულა. უარყოფითი სავაჭრო სალდო მიუთითებს იმას, რომ საქართველოში იმპორტირებულ პროდუქციას მნიშვენლოვანი ადგილი უჭირავს, ეს კი იმას ნიშნავს რომ ლარის გაუფასურებამ იმპორტირებული საქონელი გააძვირა, გაძვირებული პროდუქტი კი დამატებით ,,ლარის" მიმოქცევაში მომატების მასტიმულირებელია. 2015 წლის ბოლოს ბიუჯეტის დეფიციტური ხარჯვის, გზავნილების შემცირებისა და კაპიტალურ სამუშაოებზე წლის ბოლოს მასიური ანგარიშსწორების გამო ლარის კურსმა კიდევ უფრო მკვეთრი გაუფასურება დაიწყო და სწორედ

ამ დროს მიაღწია ისტორიულ მაქსიმუმს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) სავალუტო რეზერვებიდან 40 მილიონი დოლარი გაყიდა, რამაც ლარის კურსი მცირედითაც ვერ გაამყარა და ამ ყველაფერს თავისი მიზეზები გააჩნდა. აზერბაიჯანში დაწესებულმა შეზღუდვებმა პირდაპირი გავლენა მოახდინა საქართველოს სავალუტო ბაზარზე. აზერბაიჯანში ინფლაციის გამო ნავთობპროდუქტების იმპორტიორებიც კი საქართველოში ყიდულობენ დოლარს და უცხოურმა ვალუტამ აზერბაიჯანში გადინება დაიწყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ საახალწლოდ იმპორტიორებმა ბევრი საქონელი შემოიტანეს და გაყიდული საქონლის შესაბამისი დოლარის ყიდვა და ქვეყნიდან გატანა დაიწყეს. ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ცვლილება (მაგ. პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ზრდა) ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე კრედიტების მიწოდების ცვლილების საშუალებით. მონეტარული პოლიტიკის ცვლილება შემდეგი პრინციპით ჰპოვებს ასახვას ეკონომიკაზე: პოლიტიკის განაკვეთის აწევა თავდაპირველად გადაეცემა ფულად ბაზარს და აისახება მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე. შემდგომ კი გავლენას მოახდენს გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების პირობებში რთულდება კრედიტის ხელმისაწვდომობა, აგრეთვე მცირდება კარგი საკრედიტო პროექტების რაოდენობა, რაც იწვევს ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობის შემცირებას. საბოლოოდ კი ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნასა და ფასების დონეზე.

როდესაც ლარის გაუფასურებაზე ვსაუბრობთ, ასევე სერიოზული კითხვები ჩნდება კომერციულ ბანკებთან მიმართებაში, რომლებიც ინდივიდუალურად, საათობრივად ცვლიდნენ ლარის კურსს და ამით მოგებას იღებდნენ. ბიზნესთა უმეტესობამ 2015 წელი წაგებით დაასრულა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლიც შემცირდა. ერთადერთი კერძო სექტორი, რომელსაც კოლოსალურად ეზრდება მოგების მაჩვენებელი ბოლო რამდენიმე წელია, ეს საბანკო სექტორია. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2015 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 537 მილიონი ლარი შეადგინა[2], რაც 2014 წლის მაჩვენებელზე 63 მილიონი ლარით მეტია. 2014 წელს ბანკების წმინდა მოგება 475 მილიონი ლარი იყო. კონკრეტულად 2015 წლის ბოლო თვეში — დეკემბერში, ბანკების მოგება 84.5 მილიონი ლარით გაიზარდა ნოემბერთან შედარებით.

ყოველივეს ზემოთქმულის ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას ვისაუბროთ კრიზისიდან გამოსვლის სავარაუდო გზებზე, კერძოდ: ადმინისტრაციულიხარჯებიუნდაშემცირდეს, თუმცაარახელფასებისხარჯზე. ჩინოვნიკსმაღალიხელფასიუნდაჰქონდეს, რათა კორუფცია ავიცილოთ თავიდან, თუმცაუნდამოხდეს საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია, ვინაიდან საჯარო სექტორში შტატები გაბერილია და შესაბამისად ადმინისტრაციული ხარჯიც მეტისმეტად გაზრდილი. ამ სახით მიმოქცევაში გამოსული ფული თავისი არსით, მოხმარებაზე გაწეულ ხარჯს გავს და ეკონომიკას ვერაფრით ეხმარება, ვინაიდან ამ თანხის სანაცვლოდ არაფერი შექმნილა.

ქვეყნისეკონომიკურცხოვრებაშისახელმწიფოსმონაწილეობაისეთიარუნდაიყოს, რომ შეაფერხოს ზრდისა და განვითარების პერსპექტივა. ბიუჯეტიზომიერისოციალურიპროგრამებითუნდაიყოსდატვირთული, ქვეყანაშიარსებულიფულიუნდადარჩესბიზნესს, რომელმაცუკეთიცის, რასმოახმაროსიგი. მასშიდაინვესტირებისსაშუალებაუნდაჰქონდეს. სოციალური ეკონომიკის ნაცვლად უმჯობესია გვქონდეს სუბსიდირებული ეკონომიკა.

სავალუტო სტაბილურობისთვის სარგებლის მომტანი იქნებოდა სახელმწიფოს აეღო ინიციატივა საქართველოში ფინანსური და სასაქონლო ბირჟების განვითარების შესახებ, ვინაიდან აღნიშნულის პრეცენდენტი ამიერკავკასიაში არ არსებობს და საქართველოში ამ პროექტის განხორციელება უცხოური ვალუტის შემოსვლის ერთ—ერთი მთავარი არხი გახდება.

მოკლევადიან პერიოდში სავალუტო კრიზისის დასტაბილურების მიზნით უნდა გადაიჭრას სამი მთავარი ამოცანა: ინვესტიციების მოზიდვა, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, საგადასახადო ლიბერალიზაცია, რომლითაც მოხდება ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორების სტიმულირება და ეკონომიკური გააქტიურება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://ka.wikipedia.org/wiki/msoflios_mosaxleoba
2. http://bpi.ge/index.php/2015-wels-qartuli-bankebis-mogebam-nakhevar-miliard-lars-gadaacharba/
3. კაკულია მ.; ასლამაზიშვილი ნ.; ,,დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2000 წ.
4. კაკულია რ.; კანდელაკიშვილი ლ.; ,,თანამედროვე ფული და ფულის მიმოქცევა“, თბილისი, 2010 წ. 318 გვ.
5. კაკულია რ .; ,,საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები“, თბილისი, 2005 წ.; 280 გვ.

2 http://bpi.ge/index.php/2015-wels-qartuli-bankebis-mogebam-nakhevar-miliard-lars-gadaacharba/

ევოლუციური ეკონომიკური პროცესები და საინვესტიციო პოლიტიკა

მერაბ ახობაძე, *სტუ-ს პროფესორი*
ნინო ვარძიაშვილი, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

თანამედროვე ეკონომიკა — სივრცული, ევოლუციური (შეუქცევადი) ეკონომიკაა.სივრცული ეკონომიკის დროს საქმე გვაქვს ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთმოქმედ დინამიკურ ეკონომიკურ პროცესებთან, რომლებიც მიმდინარეობენ დროის სხვადასხვა მასშტაბებში. ამ პროცესების აღმოჩენა და მათზე დაკვირვება მეტადძნელია, როგორც წონასწორულ მდგომარეობაში, ასევე მეგასისტემასთან ურთიერთობისას. ზოგადად, როდესაც გარემო პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ხშირად საბაზრო მექანიზმები უკვე უძლურები არიან შეინარჩუნონ ეკონომიკური სისტემის წონასწორობა "„ძველი" მდგომარეობის ან „ახლის" მიმართ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სივრცე-დროითი არესათვის და მახასიათებელი უწყვეტი მათემატიკის პრინციპები (დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები), ხშირ შემთხვევაში არასაკმარისია ინტელექტუალური სისტემების – წარმოების და საინვესტიციო პოლიტიკის მართვის სისტემების – მოდელირებისა და მართვისათვის. და მოითხოვს ალგებრული და ტოპოლოგიური მეთოდების გამოყენებას.

ჩვენს ნაშრომში მათემატიკის ორივე პრინციპია (უწყვეტი და დისკრეტული მათემატიკა) გამოყენებული: სივრცული ევოლუციური ეკონომიკის მოდელის სტრუქტურა აიგება მაკროსისტემურ მიდგომაზე, სადაც ინვესტიციების ნაკადის ფორმირება ხდება ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპის საფუძველზე. ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპი საშუალებას გვაძლევს კლასიკური იდეა — წონასწორული ბაზრისა, ტრანსფორმირებული იქნას ლოკალურ საბაზრო წონასწორობათა პრინციპად, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან ძირითადი ევოლუციური ეკონომიკური პროცესის განვითარებისას.

ალგებრული ტოპოლოგიის Q-ანალიზის მეთოდის საფუძველზე შესწავლილია სივრცული ეკონომიკური პროცესის სტრუქტურა, რომლის გამოყენება ინვესტორს საშუალებას აძლევს შეარჩიოს წარმოების ის დარგები, საწარმოები და ტექნოლოგიები, რომლებშიც განხორციელებული ინვესტიცია მოუტანს მოგებას.

საკვანძო სიტყვები: სივრცული ეკონომიკა, ინვესტიციები, მათემატიკური მოდელირება, ინვესტიციების მართვა.

Evolutionary Economic Processes and Investment Policy

Merab Akhobadze -
Professor of GTU

Nino Vardziashvili–
Doctoral student of GTU

Summary

New Economy is the spatial, evolutionary (irreversible) economy. Spatial Economics at dealing interdependent and interactive dynamic economic processes, which are implemented at different time scales. It is difficult toidentify and observe these processes as a steady-state, as well as communicating with megasystems. Overall,when the environmental conditions vary considerably, the market mechanismsoften are vulnerable to maintain equilibrium of economic systemin"old" or "new" conditions.

It should be noted that the space-time-zone characterizedby thecontinuous mathematical principles(differential and integral equations), in many cases is insufficient forintellectual systems - asmanufacturing and for control systems of investment policy -as modeling and management. And requires the use of algebraic and topological methods.

The article usesboth mathematical principles (continuous and discrete mathematics): the structure of spatial evolutionary economical model is representedby the approachof macrosystem, where the investment flow is formed based on the principle of entropy maximization. Entropy maximization principle gives us aclassic idea of the equilibrium of the market, to be transformed as the local market equilibrium principle, which are used interchangeably in the evolutionary process of economic development.

The structure of the spatial economic process is researched based on the method of Q-analysis of Algebraic Topology, which allows the investor to select the fields of production, technology and enterprises in which investment will bring profit.

Keywords:Spatial economy, Investment, Mathematical modeling, Investment management.

* * * * * *

თანამედროვე ეკონომიკა — სივრცული, ევოლუციური (შეუქცევადი) ეკონომიკაა. ტრადიციულ ეკონომიკაში ეკონომიკური პროცესის ანალიზი

დაიყვანება წონასწორული მდგომარეობების პოვნაზე. რადგანაც, ტრადიციულ ეკონომიკაშიგანიხილებაისეთიეკონომიკურიპროცესები, როდესაც გარემო პირობების ცვლილება ეკონომიკურ პროცესზე უმნიშვნელოა. ხოლო როდესაცასეთი ეკონომიკური სისტემა მცირედ გადაიხრება წონასწორული მდგომარეობიდან, მის მდგრადობას უზრუნველყოფენ საბაზრო მექანიზმები. სივრცული ეკონომიკის დროს კისაქმე გვაქვს ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთმოქმედ დინამიკურ ეკონომიკურ პროცესებთან, რომლებიც მიმდინარეობენ დროის სხვადასხვა მასშტაბებში. ამ პროცესების აღმოჩენა და მათზე დაკვირვება მეტადძნელია, როგორც წონასწორულ მდგომარეობაში, ასევე მეგასისტემასთან ურთიერთობისას. ზოგადად, როდესაც გარემო პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ხშირად საბაზრო მექანიზმები უკვე უძლურები არიან შეინარჩუნონ ეკონომიკური სისტემის წონასწორობა "„ძველი" მდგომარეობის ან „ახლის" მიმართ.

თავისუფალი კონკურენციის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს ბაზარი ("ბაზრის" შესწავლა არის ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი საგანი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე). ბაზრის პოლიტეკონომიკური კონცეფცია გულისხმობს ეკონომიკური აგენტების რაციონალურ ქცევას, რომელსაც მივყავართ ბაზრის წონასწორულ მდგომარეობამდე. ამ კონცეფციის რეალიზაცია ხორციელდება სპეციალური საბაზრო რეგულატორებით: ადმინისტრაციული, საგადასახადო, საბიუჯეტო, სამართებლივი და სხვა. ამ მექანიზმების დანიშნულებაა დაეხმარონ ეკონომიკურ აგენტებს ინდივიდუალური გეგმების კოორდინირებაში და ოპერატიულ საქმიანობაში. იმ მიზნით, რომ ეკონომიკური სისტემა მივიდეს წონასწორულ მდგომარეობამდე.

რეალურ ეკონომიკურ პროცესებს თუ დავაკვირდებით, ზემოთ მოყვანილი ბაზისური კონცეფცია საკმარისი არაა იმ დესტაბილიზაციის, დეზინტეგრაციის და კოორდინაციის დარღვევათა ახსნისათვის, რომლებსაც ხშირად მივყავართ წონასწორობისმიღმა განვითარებულ ეგზოტიკურ ეკონომიკურ დინამიკამდე. სადაც, უკვე, ზემოთ მოყვანილი საბაზრო რეგულატორები "უსუსურები" არიან მიიყვანონ ეკონომიკური სისტემა წონასწორულ მდგომარეობამდე.

აქედან გამომდინარე, ცხადია, აუცილებელია ისეთი ზოგადი კონცეფციის შექმნა, რომელიც ახსნის, როგორც ეკონომიკური წონასწორობის წარმოშობის ასევე ეკონომიკური განვითარების, მისი ზრდის მექანიზმებს. ასეთ ზოგად კონცეფციას უწოდებენ "ევოლუციურ ეკონომიკას".

ეკონომიკური მეცნიერების ეს მიმართულება შედარებით ახალია და მისი თეორიული ბაზა ახლა ყალიბდება. პრობლემა განპირობებულია იმით, რომ წონასწორული მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული პროცესების ანალიზი და ახსნა იოლია, ვიდრე სხვადასხვა დროით მასშტაბებში მიმდინარე ურთიერთმოქმედი დინამიკური ეკონომიკური პროცესების ანალიზი. რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი აღმოჩენა და დაკვირვება შეუძლებელია როგორც წონასწორულ მდგომარეობაში, ასევე ეკონომიკური სისტემების ურთიერთქმედებისას მაკროსისტემასთან.

იმ ნაშრომებში [1], რომლებიც ევოლუციურ ეკონომიკას ეხება, ძირითადად განიხილავენ სამი მოვლენას, რომლებიც მიიჩნევიან საბაზრო წონასწორობის მადესტაბილიზებელ ფაქტორებად: ინოვაციური (1) ქმედება ეკონომიკური სუბიექტის ის ფაქტორია, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების მიზეზს და წყაროს. ეს ის ფაქტორია, რომელიც უწყვეტად აგზავნის იმპულსებს და უბიძგებს ეკონომიკას შეჯიბრებადობისაკენ, რესტრუქტურიზაციისაკენ. აქედან გამომდინარე ევოლუციური ეკონომიკის ძირითადი კვლევის საგანია - "როგორ იბადება ინოვაცია", ანუ: პირადი შემოქმედებითი პრობლემატიკა, ახალი ტექნიკის ტექნოლოგიების, ობიექტების გაჩენა, პროდუქციის ხარისხის და თვისებების ცვლილება და სხვა.

საბაზრო არეში ინოვაციური ქმედებების და შეჯიბრებადობის გავრცობა, დიფუზიის საშუალებით, ეკონომიკურ სისტემაში წარმოქმნიან მაკროეფექტებს, რომლებიც აიძულებენ ეკონომიკურ სისტემას გადავიდეს ახალ წონასწორულ მდგომარეობაში, რაც დაკავშირებულია სტრუქტურულ ცვლილებებთან. სტრუქტურის ყოველი უმნიშვნელო ცვლილება კი სისტემაში იწვევს გარკვეულ დინამიკურ პროცესებს, ახალი მახასიათებლების გაჩენას, რაც მოითხოვს მათ შესწავლას სპეციალური მათემატიკური მეთოდების გამოყენებით.

ეკონომიკურ სისტემას გააჩნია **თვით ორგანიზაციის (2)** ელემენტები. ესაა მისი უნარი დაბადოს ახალი დინამიკური რეჟიმები, როდესაც სისტემა ერთი წონასწორული მდგომარეობიდან გადადის მეორეში. ეკონომიკური სისტემის ეს თვისება რეალიზდება საბაზრო და სახელმწიფო რეგულატორების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობენ იმ სიახლეებს, რომლებიც აიძულებენ სისტემას გადავიდეს ახალ სტაციონალურ მდგომარეობაში. ხელს უწყობენ ამ სიახლეების დანერგვას და ამკვიდრებს სიახლეთა ახალ ფორმებს და სტრუქტურებს. ამ დროს ჩნდება ახალი დინამიკა მაკოორდინებელი და დემაკორდინებელი პროცესებით. არამდგრადი შუალედური წონასწორობებით და ფაზური გადასვლებით.

შემდეგი მოვლენა, რომელიც იწვევს საბაზრო წონასწორობის დესტაბილიზაციას დაკავშირებულია ეკონომიკური სისტემის **ურთიერთქმედებასთან (3)** სხვა სისტემებთან. ისეთ სისტემებთან, რომლებსაც განსხვავებული ფუნქციური დანიშნულება აქვს, ვიდრე ეკონომიკურ სისტემას. მაგალითად, როგორებიცაა: პოლიტიკური, ბუნებრივი და სხვა.

ზემოთ მოყვანილი მოვლენების, ფაქტორების, საერთო და მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობებია: სივრცული განაწილება. თითოეულ მათგანში ისეთი შიგა პროცესების არსებობა, რომლებსაც გააჩნიათ

სხვადასხვა დროითი მახასიათებლები, რელაქსაციები.

ეკონომიკის განვითარებას თანსდევს ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია (მრავალფეროვნება), მასში მიმდინარე პროცესების დინამიკურობა და მონაწილეთა რაოდენობის ზრდა. ყოველივე ეს პრობლემებს უქმნის ინვესტორებს, ეკონომიკურ აგენტებს, რომ ამ დროს მათი ქცევა იყოს რაციონალური. ეს განპირობებულია იმით, რომ გადაწყვეტილების მიღების მომენტი და ამ გადაწყვეტილების შედეგად მიღებული მოგების დრო საკმაოდ დაშორებულები არიან ერთმანეთისაგან. ამ დროს ყოველთვის არსებობს რისკი იმისა, რომ დაგეგმილი მოგება მიუღწეველი იქნება (თუ მწარმოებლის რეაქცია მოგებაზე ცალსახაა — რაც შეიძლება „მეტი“, მისი რეაქცია რისკზე არაერთგვაროვანია. ის დამოკიდებულია მწარმოებლის თვისებებზე, ზოგადად ეკონომიკურ აგენტზე). რისკი, შეიძლება ითქვას, ესაა კრებითი ცნება, რადგანაც ის ერთდროულად მოიცავს, როგორც რაოდენობრივ ასევე ხარისხობრივ, თვისებრივ მაჩვენებლებს — რომელთაგაზომვა შეუძლებელია (მაგალითად ფორს — მაჟორული სიტუაცია).

შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების ალტერნატივები ხასიათდებიან ორი „სარგებლიანობის ფუნქციით“: მოგების და რისკის. სარგებლიანობის ფუნქციის არა ერთმნიშვნელიანობა წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის ქცევის პრინციპიალურ თვისებას.

ინვესტორების ინოვაციური საქმიანობა ხშირად მიზეზია წონასწორული ბაზრის შერყევისა და წონასწორობის მდგომარეობიდან გადახრისა. ზოგადად, საბაზრო ფასების ბალანსირების პროცესი ხორციელდება საკმაოდ სწრაფად (“სწრაფი” დროის სკალა) ინოვაციური და სხვა ეკონომიკურ პროცესებთან შედარებით (“ნელი” დროის სკალა .

სივრცული ევოლუციური ეკონომიკის შესწავლისა და მართვისათვის აუცილებელია შესაბამისი მათემატიკური მოდელების შექმნა, რომლებიც სტრუქტურულად წარმოადგენენ განსაზღვრულ სივრცულ არეებში ლოკალიზებულ ურთიერთმოქმედ ეკონომიკების მოდელების ერთობლიობებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სივრცე-დროითი არესათვის და მახასიათებელი უწყვეტი მათემატიკის პრინციპები (დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები), ხშირ შემთხვევაში არასაკმარისია ინტელექტუალური სისტემების – წარმოების და საინვესტიციო პოლიტიკის მართვის სისტემების – მოდელირებისა და მართვისათვის. და მოითხოვს ალგებრული და ტოპოლოგიური მეთოდების გამოყენებას.

აღნიშნული მომართულებით შესრულებულ ჩვენს ნაშრომებში მათემატიკის ორივე პრინციპია (უწყვეტი და დისკრეტული მათემატიკა) გამოყენებული: სივრცული ევოლუციური ეკონომიკის მოდელის სტრუქტურა აიგება მაკროსისტემურ მიდგომაზე, სადაც ინვესტიციების ნაკადის ფორმირება ხდება ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპის საფუძველზე. ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპი საშუალებას გვაძლევს კლასიკური იდეა — წონასწორული ბაზრისა, ტრანსფორმირებული იქნას ლოკალურ საბაზრო წონასწორობათა პრინციპად, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან ძირითადი ევოლუციური ეკონომიკური პროცესის განვითარებისას.

ეს საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საწყისი, საბაზისო მონაცემების სივრცეში ის არეები, რომლებიც განაპირობებენ საინვესტიციო პოლიტიკის ”თვისობრივ მახასიათებლებს”. შემდეგ, ინვესტორის მიერ მოპოვებული ინფორმაციის რაოდენობრივი მახასიათებელი (ენტროპია) ფასდება იმ საბაზისო ინფორმაციის კლასებთან მიმართებაში, რომელიც მიეცემა ინვესტორს მაკროსისტემური მიდგომის შედეგად. რაც საშუალებას აძლევს ინვესტორს შეამციროს რისკი ახალი ინფორმაციის შეფასების საფუძველზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვესტორების, ეკონომიკური აგენტების ინოვაციური საქმიანობა ხშირად მიზეზია წონასწორული ბაზრის შერყევის, წონასწორობის მდგომარეობიდან გადახრისა. ამასთანავე, საბაზრო ფასების ბალანსირების პროცესი ხორციელდება საკმაოდ სწრაფად ინოვაციური და სხვა ეკონომიკურ პროცესებთან შედარებით. შემოვიტანოთ “სწრაფი” დროისსკალა, და “ნელი” დროის სკალა τ.

განვიხილოთ ფასწარმოქმნის უმარტივესი მოდელი ერთგვროვანი ეკონომიკისათვის [2]. ამ მოდელის არსი ისაა, რომ საბაზრო ფასის $p(\varepsilon)$ ფარდობითი ცვლილება პროპორციულია ჭარბი მოთხოვნის ფარდობითი ცვლილებისა. $\Delta = F(p,B) - Y(p,c).F(p,B)$ — მოთხოვნაა, $Y(p,c)$ მიწოდება.ამასთანავე ვთვლით, რომ მომხმარებლის ბიუჯეტი B, ნედლეულის შესყიდვის ფასი C და სხვა ის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ჭარბ მოთხოვნზე, მუდმივი რჩებიან საბაზრო ფასის რელაქსაციის დროის განმავლობაში. მაგრამ შეიძლება შეიცვალონ “ნელი” დროის - სკალის მიხედვით. აქედან გამომდინარე ჭარბი მოთხოვნის ფუნქცია დამოკიდებულია “ნელ” დროზე τ, ანუ $\Delta = \Delta(p(\varepsilon),\tau)$.

ერთგვაროვანი (ერთპროდუქტიანი) ეკონომიკისათვის საბაზრო ფასისათვის ვღებულობთბშემდეგ დიფერენცილურ განტოლებას, “სწრაფი” დროის სკალაზე ε

$$\frac{dp(\varepsilon)}{d\varepsilon} = k\frac{F(p(\varepsilon),\tau) - Y(p(\varepsilon),\tau)}{Y(p(\varepsilon),\tau)}$$

სადაც: kპარამეტრია, რომლის განზომილებაა 1/ დროის ერთეული;

$F(p(\varepsilon),\tau)$ - მოთხოვნაა ნატურალურ ერთეულებში;

$Y(p(\varepsilon),\tau)$ -მიწოდება ნატურალურ ერთეულებში.

(რადგანაც (1) განტოლების მარჯვენა ნაწილში τ -დრო წარმოადგენს პარამეტერს, მიზან შეწონილია-ვიხმაროთ არა "წონასწორული" ფასი, არამედ „კვაზი წონასწორული"ფასი).

(1) განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ ასეთი კვაზიწონასწორული ფასი არის, რომელიც წარმოადგენს შემდეგი განტოლების ამონახსნს:

$$\Delta(p,\tau) = 0 \qquad (2)$$

მონოგრაფია [2]-ში მოცემული მეთოდის შესაბამისად ვაჩვენოთ ინოვაციის როლი საბაზრო ფასის განსაზღვრაში.

განვიხილოთ გამარტივებული სიტუაცია: საქონელ საწარმოებს ეკონომიკა, რომელიც მოიხმარს მხოლოდ ერთ რესურსს—ერთგვროვან სამუშაო ძალას, მაგრამ იყენებს სხვადასხვა ტექნოლოგიებს.

ტექნოლოგიების რაოდენობრივ მახასიათებლად ავიღოთ $\lambda(\tau)$ დანახარჯები მუშახელზე, რომელიც-საჭიროა ერთეულოვანი პროდუქციის გამოსაშვებად.

დავუშვათ, გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგიები

$$\lambda_{min}(\tau) \le \lambda(\tau) \le \lambda_{max}(\tau) > 0$$

$\lambda_{min}(\tau)$ - ესაა "საუკეთესო" ტექნოლოგია τ დროის მომენტისათვის.

ტექნოლოგიური დონე $h(\tau)$ ამ შემთხვევაში განისაზღვრება შემდეგი სახით:

$$h(\tau) = \frac{1}{\lambda(\tau)}$$

შესაბამისად მაქსიმლური დონე

$$h_{max}(\tau) = \frac{1}{\lambda_{min}(\tau)}$$

შესაბამისი ეკონომიკის მდგომარეობა დროის τ მომენტისათვის დავახასიათოთ წარმოების სიმძლავრეების განაწილებით ტექნოლოგიების მიხედვით $g(\lambda(\tau),\tau)$ ან ტექნოლოგიების დონეთა მიხედვით $(h(\tau),\tau)$.

ჯამური საწარმოო სიმძლავრე $M(\tau)$ განისაზღვრება შემდეგი სახით

$$M(\tau) = \int_{\lambda(\tau)}^{\lambda_{max}(\tau)} g(\lambda,\tau)\,dx = \int_{h_{min}(\tau))}^{h_{max}(\tau)} w(h,\tau)\,dh$$

განვიხილოთ დროითი ინტერვალი $\tau \ge t \ge 0$ და ამ ინტერვალზე ტექნოლოგიური დონის $h_{max}(\tau)$ -ის ცვლილება. ეს ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს ორი პროცესის ზემოქმედებით. ესაა: ცვეთა, რაც იწვევს $h_{max}(\tau)$ - შემცირებას. მეორე —ესაა ტექნოლოგიური პარკის განახლება, რაც იწვევს $h_{max}(\tau)$ - ზრდას.

ქვემოთ განვიხილოთ საინვესტიციო პოლიტიკის ზოგიერთი სტრატეგიები: როდესაც: 1. რეგიონში იწარმოება ერთგვაროვანი პროდუქტი. ამასთან, წარმოებაში ხორციელდება ინვესტიციები მხოლოდ-გარედან.

2.რეგიონში იწარმოება სხვადასხვა დასახელების პროდუქცია. შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები:

υ - ტექნოლოგიური დანადგარების ცვეთის ინტენსიობა.

$I_T(\tau)$ - ინვესტიციები (ნატურალურ გამოსახულებაში), რომელიც მიემართება ტექნოლოგიური დონის გაზრდისაკენ.

μ-—ინვესტიციების გამოყენების ეფექტურობა.

ზემოთ მიღებული პირობებისა და დაშვებებისათვის ტექნოლოგიური დონის მაქსიმალური მნიშვნელობის ზრდისათვის $\tau \ge t$ გვექნება

$$\frac{dh_{max}(\tau)}{d\tau} = -\upsilon h_{max}(\tau) + \mu I_T(\tau), h^0{}_{max} = h_{max}(t)$$

თუ დროის $\tau \ge t$ ინტერვალში $I_T(t)$ მუდმივაა.ამ განტოლების ამონახსნია

$$h_{max}(\tau) = \frac{\mu I_T(t)}{\upsilon}(1 - exp\{-\upsilon(\tau - t)\}) + h_{max}(t)exp\{-\upsilon(\tau - t)\}$$

"საუკეთესო" ტექნოლოგია განისაზღვრება გამოსახულებით

$$\lambda_{min}(\tau) = \left(\frac{\mu I_T(t)}{\upsilon}(1 - exp\{-\upsilon(\tau - t)\}) + h_{max}(t)exp\{-\upsilon(\tau - t)\}\right)^{-1}$$

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხოლოდ ის წარმოებები მუშაობენ, რომლებიც რენტაბელურები არიან. ყველაზე მარტივ შემთხვევაში, ანუ თუ გავითვალისწინებთ მხოლოდ "ადამიანურ" დანახარჯებს, რენტაბელობის პირობა ჩაიწერება შემდეგი სახით

$$P(\tau) - \lambda(\tau)S(\tau) \geq 0 \qquad (9)$$

აქ: $S(\tau)$—სახელფასო დანახარჯებია.

ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც რეგიონში იწარმოება სხვადასხვა დასახელების პროდუქცია, ნაშრომში [4] განხილულია საინვესტიციო ობიექტებში ინვესტიციის სიდიდის გამოსათვლელი დიფერენციალური განტოლება. ვთქვათ, განსახილველ რეგიონში (სისტემაში) ფუნქციონირებს M ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო ობიექტი (ქვესისტემა). $I_m(t)$ -თი აღვნიშნოთ ინვესტიციების სიდიდე, რომელიც დროის t მომენტში იდება m საინვესტიციო ობიექტში. განვიხილავთ შემთხვევას, როცა რეგიონი ღიაა ინვესტიციების მიმართ. რეგიონის გარეარე ჩავთვალოთ 0 ნომრის მქონე საინვესტიციო ობიექტად. $x_{sm}(t)$ -თი აღვნიშნოთ ინვესტიციის სიდიდე, რომელიც დროის t მომენტში s საინვესტიციო ობიექტიდან იდება m საინვესტიციო ობიექტში, მაშინ თითოეულ საინვესტიციო ობიექტში ინვესტიციის სიდიდის გამოსათვლელად გვექნება დიფერენციალურ განტოლებათა შემდეგი სისტემა [3]:

$$\frac{d\,I_m(t)}{dt} = \alpha_m \cdot I_m(t) + \gamma \cdot \left(\sum_{s=0}^{M} x_{sm}(t) - \sum_{s=0}^{M} x_{sm}(t) \right), \qquad m \in \overline{[1;M]}$$

(10)

სადაც α_m ორი ცვლადის ფუნქციაა, რომელიც ზრდადია პირველი ცვლადის (შემოსავლების) მიმართ და კლებადი მეორე ცვლადის (დანახარჯები, ამორტიზაცია) მიმართ. γ აღნიშნავს რეგიონის მახასიათებელ პარამეტრს. γ პარამეტრის მნიშვნელობა დამოკიდებულია სისტემის სტრუქტურაზე და განისაზღვრება საინვესტიციო ობიექტების ურთიერთ-m კავშირებით. განვიხილავთ შემთხვევას, როცა საინვესტიციო ობიექტიდან განხორციელებული ჯამური ინვესტიცია პროპორციულია $I_m(t)$ -სი და s m საინვესტიციო ობიექტისთვის საინვესტიციო ობიექტის მიმზიდველობის ფუნქცია $v_{sm}(t)$ არის ლოგისტიკური ფუნქცია:

$$\sum_{s=0}^{M} x_{sm}(t) = h_m \cdot I_m(t) \qquad m \in \overline{[1;M]} \qquad (11)$$

$$v_{sm}(t) = \delta_{sm} \cdot I_m(t) \cdot \left(V_m - I_m(t)\right), \qquad s,m \in \overline{[1;M]}$$

(12)

სადაც δ_{sm} არის s საინვესტიციო ობიექტისთვის m საინვესტიციო ობიექტის მიმზიდველობის მახასიათებელი პარამეტრი.

ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპის თანახმად უალბათესია $x_{sm}(t)$ სიდიდეების ის მნიშვნელობები, რომლისთვისაც სრულდება (2) პირობა და რომლისთვისაც ფუნქცია

$$S(t) = \sum_{s=0}^{M} \sum_{s=0}^{M} x_{sm}(t) \cdot \mathrm{h}\, \frac{x_{sm}(t)}{v_{sm}(t)} \qquad (13)$$

აღწევს მაქსიმუმს [5].

$x_{sm}(t)$ სიდიდეების ის მნიშვნელობები, რომლებიც აკმაყოფილებენ (2) პირობას და რომელზედაც $S(t)$ ფუნქცია აღწევს მაქსიმუმს, მოიცემა ფორმულით [5]:

$$x_{sm}(t) = \frac{v_{sm}(t) \cdot h_s}{\sum_{k=0}^{M} v_k(t)} \cdot I_s(t) \qquad (14)$$

თუ $x_{sm}(t)$ სიდიდეების მიღებულ მნიშვნელობებს შევიტანთ დიფერენციალური განტოლებების (1) სისტემაში და გავითვალისწინებთ (2) და (3) პირობებს, მივიღებთ დიფერენციალურ განტოლებათა ცხად სისტემას $I_m(t)$ ცვლადების მიმართ:

$$\frac{dI_m(t)}{dt} = (\alpha_m - \gamma \cdot h_m) \cdot I_m(t) + \gamma \sum_{s=0}^{M} \frac{\delta_{sm} \cdot I_m(t) \cdot (V_m - I_m(t))}{\sum_{s=0}^{M} \delta_{sk} \cdot I_k(t) \cdot (V_k - I_k(t))} \cdot h_s \cdot I_s(t), \quad m \in \overline{[1;M]} \qquad (15)$$

დიფერენციალურ განტოლებათა (6) სისტემის ამონახსნი (საზოგადოდ,ამონახსნის ჩაწერა ცხადი სახით ჩვენ არ შეგვიძლია). საშუალებას გვაძლევს ვიცოდეთ ყოველ საწარმოში ჩადებული ინვესტიციების უალბათესი მნიშვნელობები დროის მომენტისათვის.

დიფერენციალური განტოლებების (15) სისტემას ზღვრული ციკლები არ გააჩნია და მისი ამონახსნები მიისწრაფიან მუდმივი ამონახსნებისაკენ - წონასწორობის მდგომარეობისაკენ [5]. თუ (6) ტოლობების მარჯვენა მხარეებს გავუტოლებთ 0-ს და ამოვხსნით მიღებულ განტოლებათა სისტემას, ამით ვიპოვით რეგიონში არსებულ წონასწორობის მდგომარეობების შესაძლო მნიშვნელობებს. საზოგადოდ, მიღებულ განტოლებათა სისტემას, ექნება რამდენიმე (ერთი, ან მეტი) არაუარყოფითი ამონახსნი. შესაბამისად, რეგიონში გვექნება რამდენიმე წონასწორობის მდგომარეობა.

აღნიშნული მოდელი საშუალებას იძლევა ვუპასუხოთ კითხვებს: 1.თუ პარამეტრების რომელიმე მნიშვნელობებისათვის სისტემას-(15), აქვს წონასწორობის ერთზე მეტი მდგომარეობა, რომელში აღმოჩნდება ის. 2. პარამეტრების „უმნიშვნელო“ ცვლილებამ რა დროს შეიძლება გამოიწვიოს სისტემის მდგომარეობის „მკვეთრი“ ცვლილება, რაც მჭიდრო კავშირშია საინვესტიციო პოლიტიკასთან. განტოლება (15) ამონახსნების შეტანით (7) და (8) განტოლებებში მივიღებთ $\tilde{\lambda}(T)$ “სუკეთესო” ტექნოლოგიების მნიშვნელობებს.

$\tilde{\lambda}(T)$—ესაა ჯამური დანახარჯები ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის.

ახლა დავუშვათ, შედგენილია საწარმოთა გადაიარაღების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ნუსხა, ანუ, ცნობილია $\tilde{\lambda}_{min}$ და $\tilde{\lambda}_{max}$.

ვთქვათ, a_{ij} გვიჩვენებს i-ური დარგის პროდუქტის წილს j-ური დარგის ერთეული პროდუქციის წარმოებაში. თუ $a_{ij} < \delta$ (δ წინასწარ დასახელებული რიცხვია, δ -ს არჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ ამოცანაზე), მაშინ ლეონტიევის ტექნოლოგიური მატრიცის შესაბამისი წევრი ჩავთვალოთ 0-ის ტოლად, ანუ განვიხილოთ წაკვეთილი ლეონტიევ-ისტექნოლოგიური მატრიცა $L = (l_{ij})$ [3]:

$$l_{ij} = \begin{cases} a_{ij}, & \text{თუ} a_{ij} \geq \delta \\ 0, & \text{თუ} \ a_{ij} < \delta \end{cases} \quad (16)$$

განვიხილოთ ამ მატრიცისშესაბამისიინციდენტურობისმატრიცი, რომელიცმოიცემაშემდეგიწესით [4]:

$$\lambda_{ij} = \begin{cases} 1, & \text{თუ} l_{ij} > 0 \\ 0, & \text{თუ} \ l_{ij} = 0 \end{cases} \quad (17)$$

ვთქვათ, $K_\lambda(x,x)$ არის შესაბამის ისიმპლიციალური კომპლექსი. სიმპლექსია, რომლის წვეროებია ის J-ური დარგები, რომლებიც მოიხმარებენ I-ური დარგის პროდუქტს (კვეთის გათვალისწინებით). K აღნიშნავს $K_\lambda(x,x)$ კომპლექსის განზომილებას [4,5].

ყოველი $q \in \overline{0,k}$-თვის იმ P_i სიმპლექსთა სიმრავლე, რომელთა განზომილება მეტია, ან ტოლია q-ზე, იყოფა ექვივალენტურობის კლასებად (ორი სიმპლექსი ეკუთვნის ერთსა და იმავე ექვივალენტურობის კლასს, თუ ისინი არიან q ბმულნი ყოველი q - თვის). Q_q აღნიშნავს q-ბმულობის მიმართების ექვივალენტურობის კლასების რაოდენობას. $Q = (Q_0, Q_1, \dots, Q_k)$; ესაა კომპლექსის სტრუქტურის ვექტორი [5,6].

დაუშვათ, q არის უმცირესი რიცხვი, რომლისთვისაც $Q_q > 1$. $A_1, A_2, \dots, A_q$ აღნიშნავდეს-ბმულობის მიმართების ექვივალენტურობის კლასებს. ყოველი ექვივალენტობის კლასისათვის შევადგინოთ ჯამი:

$$S_i = \sum_{P_S \in A_i} \sum_{j=1}^{N} a_{Sj}$$

($\sum_{j=1}^{N} a_{Sj}$ შეიძლება შევაფასოთ როგორც $p_S \in A_i$ სიმპლექსის (დარგის) "წონა" კომპლექსში, ხოლო S_i კი i-ური ექვივალენტობის კლასის "წონა").

ვთქვათ, არსებობს ერთადერთი ისეთი, რომ $S_m = \max_{1 \leq i \leq q}\{S_i\}$. A_m ექვივალენტობის კლასში შემავალი სიმპლექსები დავალაგოთ "წონების" კლების მიხედვით: თუ P_{i_1} და P_{i_2} არიან A_m ექვივალენტობის კლასის სიმპლექსები, მაშინ P_{i_1} დავწერთ P_{i_2}-ზე წინ მხოლოდ მაშინ, თუ

$$\sum_{j=1}^{N} a_{i_1 j} \geq \sum_{j=1}^{N} a_{i_2 j}$$

ეს საშუალებას მოგვცემს უპირატესობა მივანიჭოთ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც მოგვცემენ ყველაზე დიდ ეფექტს — გააუმჯობესებს ექვივალენტობის კლასის სიმპლექსების რანჟირებული სიის სათავეში მდგარ სიმპლექსების (დარგების) მდგომარეობას.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ისეთი ორი (ან მეტი) A_m და A_n ექვივალენტობის კლასი, რომ , $S_m = S_n = \max_{1 \leq i \leq q}\{S_i\}$, მაშინ მათგან ავირჩიოთ ის კლასი, რომლის პირველი ელემენტის წონა უდიდესია A_m და A_n ექვივალენტობის კლასების პირველი ელემენტების წონებს შორის; თუ პირველ ადგილზე მდგომი ელემენტების წონა ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ ვადარებთ მეორე ადგილზე მდგომი ელემენტების წონას და ა.შ.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ინვესტორს, საშუალება აქვს შეარჩიოს წარმოების ის დარგი (დარგები), ის საწარმო (საწარმოები) და ის ტექნოლოგია (ტექნოლოგიები), რომლებშიც განხორციელებული ინვესტიცია მოუტანს მას მოგებას.

ახლა დავუშვათ სახელმწიფო აწარმოებს N დასახელების პროდუქტს. დავუშვათ, თითოეული j დასახელების საქონლის ღირებულებაა P_j. ამ პროდუქტის რეალიზაცია დროის ერთეულში (მაგალითად წელიწადში)შეადგენს შესაბამისად $n_1, n_2, \dots, n_N$. პროდუქციის არსებული განაწილების ენტროპია განისაზღვრება შემდეგი სახით

$$S = -\sum_i f_i \log_N f_i$$

სადაც

$$f = \frac{n_i \cdot P_i}{\sum n_k P_k}$$

ოქროს პროპორციის თანახმად, თუ S>0.62 ნიშნავს იმას, რომ ბაზარზე არის საქონლის "ჭარბი ასორტიმენტი". თუ, მაშინ გვაქვს "პროდუქციის ნაკლებობა". საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციისათვის შესაძლებელია ჩავატაროთ ასეთი პროცედურა. დაუშვათ, განსაზღვრულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა $G(g_1, g_2, \dots, g_g)$, რაც მოითხოვს ჯამურ დანახარჯებს შესაბამისად $F(F_{G1}, F_{G2} \dots)$თუ სახელმწიფოს არ შეუძლია დაგეგმილი ტექნოლოგიის სრულად განხორციელება, მაშინ უნდა დაინერგოს ის ტექნოლოგიები, რომლისშედეგად მოხდება იმ პროდუქციაზე ფასების დაკლება, რომლის დროსაც ენტროპიის სიდიდე (18) გაუტოლდება 0.62. ასეთი პროდუქციების ამორჩევა კი შესაძლებელია განხორციელდეს ზემოთაღწერილი ალგებრული ტოპოლოგი-

ის Q-ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Chumpeter J. A. The Theory of Economic Development. Harward University Press, Cambridge, Mass, 1934.
2. Моришима М., Равновесие, устойчивость, рост. Наука 1972.
3. Петров А. А., Поспелов И. Г., Шапонин А. А., Опыт математического моделирование экономики. М. 1996.
4. ЭйдельманМ.Р. Межотраслевойбалансобщественногопродукта (Теорияипрактикаегосоставления). — М.: Статистика, 1966.
5. მერაბ ახობაძე, ელგუჯა კურცხალია. სივრცული ეკონომიკური პროცესების სტრუქტურული ანალიზი საინვესტიციო რისკების პრევენციისათვის. აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“. შრომები, საქართველო, თბილისი, 3-5 ნოემბერი, 2015 წელი.
6. მ. ახობაძე, მაკროსისტემების მათემატიკური მოდელირებისა და მართვის საკითხები. მონოგრაფია. თბილისი 1997.
7. R. H. Atkin. From Cohomology in Phizics to q-covectivingiin Social Science. int. man-Manchine studies, 4, 1972.
8. R. H. Atkin Mathematikal structure in Human affairs, heinemann Educational Books LTD. London, 1974.
9. Попков А. Ю. Энтропийная модель инвестиционного портфеля “Автоматики и Телемеханика”. 2006. №9.

ერებს შორის კონკურენტული უპირატესობის საკითხი ევროპის განვითარებული ქვეყნების მაგალითზე

ციცინო ძოწენიძე,
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი

რეზიუმე

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების უმთავრეს მიზანს. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია გლობალური ეკონომიკის პირობებში, რომლის სტაბილური განვითარება მსოფლიო მასშტაბით პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებას ეფუძნება.

ჩვენი კვლევის ამოცანიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენას მ. პორტერის ცნობილი ,,კონკურენტული რომბის» ოთხ უმთავრეს თვისებაზე ანუ დეტერმინანტზე, რომლებიც ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განსაზღვრავენ. ცნობილია, რომ აღნიშნულ ოთხ დეტერმინანტს წარმოადგენს:1. ფაქტორული პირობები; 2. შიდა მოთხოვნის პირობები; 3. მონათესავე დარგების არსებობა; 4. ფირმის სტრუქტურა, სტრატეგია და შიდადარგობრივი კონკურენცია, ასევე ორი დამხმარე დეტერმინანტი, სახელმწიფოს (მთავრობის) როლი და შემთხვევა.

თანამედროვე ეტაპზე ინტენსიურად ვითარდება კრიტიკული ტექნოლოგიები, რომლებიც სრულიად ახალ ეკონომიკას და ცხოვრებს წესს ამკვიდრებს ინფორმატიკის, კომუნიკაციების და წარმოების სფეროში: პროგრამული უზრუნველყოფა, მიკროელექტრონიკა და ოპტოელექტრონიკა, მაღალმწარმოებლური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები და კომპიუტერული ქსელები.. დამმუშავებელი მოწყობილობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, მიკრო და ნანოტექნოლოგიები, რთული სისტემების ტექნოლოგიები».აღნიშნულის გათვალისწინებით გლობალურ მეურნეობაში ყოველი ეროვნული ეკონომიკის ადგილის განმსაზღვრელი იქნება, არამარტო აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, არამედ მათი განვითარების და ახალი ტექნოლოგიების შექმნის უნარიც, რომელიც იმანენტურად გულისხმობს საზოგადოების განვითარების მაღალ დონეს.

საკვანძო სიტყვები: გლობალური ეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, გეოეკონომიკა, ბიზნეს სტრატეგია.

Competitive Advantage Issues In the developed European countries

Tsitsino Dzotsenidze,
Academic Doctor of Economics

Summary

Academics interested in the notion of competitive advantage have tended to operate more or less outside this system. One of the better-known among nosiness academics is Michel Porter. Porter resurrected the idea about competition introduced by Adam Smith's 1776 «Wealth of Nations». The issue of competition was at the heart of economic theory right from the start. By reviving the subject Porter not only brought economics back to its origins, but shifted attention away from Keynesian interventionism, the neoclassical school, and leading margin a list approaches to economics.

In more general terms we may say that a society's wealth is the sum of its members' individual economic performance moderated by the degree of modernity of the region's infrastructure. A nation is an organic rather than a static entity. It has to be recreated every day. Competitiveness is about a long series of factors working together, only by understanding how to manage these mechanisms can we hope to prosper, as individuals, communities, regions and States.

* * * * *

ერებს შორის კონკურენტული უპირატესობის საკითხი ევროპის განვითარებულ ქვეყნების მაგალითზე

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების უმთავრეს მიზანს. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში, რომლის სტაბილური განვითარება მსოფლიო მასშტაბით პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებას ეფუძნება. ამავე დროს, როგორც ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი მ. პორტერი აღნიშნავს, არცერთ ქვეყანას არ ძალუძს კონკურენტუნარიანი იყოს აბსოლუტურად ყველა პოზიციაში, რამდენადაც მისი რესურსები შეზღუდულია. აღნიშნული ერთნაირად ეხება როგორც განვითარების პოსტინდუსტრიულ, ისე ინდუსტრიულ-აგრარულ ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებს. აღსანიშნავია ის გარემოე-

ბაც, რომ აღნიშნული მკვლევარის მიერ გამოყოფილი ქვეყნის კონკურენტული ზრდის სტადიები (ზრდა ბუნებრივი რესურსების, ინვესტიციების, ინოვაციების და ბოლოს, სიმდიდრის საფუძველზე) თავისი არსით, წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული ცოდნის ევოლუციის შედეგს. ჩვენი კვლევის ამოცანიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენას მ. პორტერის ცნობილი ,,კონკურენტული რომბის» ოთხ უმთავრეს თვისებაზე ანუ დეტერმინანტზე, რომლებიც ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განსაზღვრავენ. ცნობილია, რომ აღნიშნულ ოთხ დეტერმინანტს წარმოადგენს:1. ფაქტორული პირობები;2. შიდა მოთხოვნის პირობები;3. მონათესავე დარგების არსებობა;4. ფირმის სტრუქტურა, სტრატეგია და შიდადარგობრივი კონკურენცია, ასევე ორი დამხმარე დეტერმინანტი, სახელმწიფოს (მთავრობის) როლი და შემთხვევა.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ფაქტორულ პირობებს სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრაში. როგორც თავად მ. პორტერი აღნიშნავს: ,,საერთაშორისო კონკურენციაში წარმატებას განსაზღვრავენ არა იმდენად წარმოების ფაქტორები, არამედ სად და რამდენად პროდუქტიულად გამოიყენებიან ისინი»1. აღნიშნულის გათვალისწინებით ნათელია, რომ წარმოების ფაქტორების მხოლოდ რაოდენობრივი მხარე არ განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკების კონკურენტული უპირატესობის უმთავრეს ფაქტორს ინდივიდის და საერთოდ, საზოგადოების განვითარების დონე წარმოადგენს. როგორც რუსი მეცნიერი ს. ემელიანოვი აღნიშნავს: ,,აქ საუბარია არა იმდენად რესურსებზე, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მათი გამოყენების ეფექტიანობაზე».2 შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამა თუ იმ რესურსის ეფექტიანი გამოყენება, თავის მხრივ, გამომყენებლის ცოდნის, განათლების ფუნქციაა. ამდენად, უმთავრესი როლი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში ენიჭება ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონეს, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების ინტერნაციონალიზაციის დონეს. ამრიგად, ინდივიდის განათლების მაღალ დონეზე დაფუძნებული კონკურენტული უპირატესობა წარმოადგენს ყველაზე მდგრად და სტაბილურ უპირატესობას. რაც შეეხება, ბუნებრივ რესურსებს, მათ სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრაში, მით უმეტეს თანამედროვე ეტაპზე, ნანოტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით. ნანოტექნოლოგიების განვითარება ნიშნავს ,,მიკროდან ნანოზე არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ, ნივთიერებებზე მანიპულაციებიდან ცალკეული ატომების მანიპულაციაზე გადასვლას».3 აღნიშნული ტექნოლოგიების განვითარების შედეგია ე.წ. ,,ნანოეკონომიკის» წინმსწრები განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე ფაქტორული პირობებიდან უმთავრეს, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ადამიანის განათლების დონე ანუ საზოგადოების განვითარების დონე, მისი უნარი შექმნას ახალი ტექნოლოგიები ან გამოიყენოს და განავითაროს არსებული. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ისწრაფვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისაკენ, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს ეროვნული ეკონომიკის, შიდა ბაზრის პროტექციონისტული დაცვის შესაძლებლობას, რაც ყველა ქვეყნის კომპანიას აძლევს სხვა ქვეყნის ბაზართან მიღწევადობის შესაძლებლობას. თვით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაშიც, რომელიც უდიდესი გადახდისუნარიანი მოთხოვნით ხასიათდება, აღნიშნული ფაქტორი სულ უფრო ნაკლებად წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორს.მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

მოთხოვნა შიდა ბაზარზე ნაკლებად წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვან ფაქტორს. აღნიშნულს ასევე ადასტურებს 90-იანი წლებიდან თითქმის ყველა ეროვნული ეკონომიკის სწრაფვა ჩაერთოს რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში.

ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მესამე დეტერმინანტია - მონათესავე დარგების განვითარება. გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში აღნიშნული დეტერმინანტის მნიშვნელობა დამოკიდებულია დარგის სახეობაზე. ცნობილია, რომ გლობალური ეკონომიკის სტაბილური განვითარება დამოკიდებულია მსოფლიო მასშტაბით პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებაზე, რომელიც, თავის მხრივ, მეცნიერებატევადი დარგების უპირატეს განვითარებას ეფუძნება. აქედან გამომდინარე მონათესავე დარგების არსებობა მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს სტაბილური კონკურენტული უპირატესობის შექმნას, როცა ის ხელს უწყობს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას. რაც შეეხება კონკურენტული რომბის მეოთხე დეტერმინანტს ანუ ფირმის სტრუქტურას და სტრატეგიას, თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს კომპანიათა თითქმის ერთიანი, უნიფიცირებული მოდელის ფორმირება. აქ უპირატესობა კომპანიათა ამერიკულ მოდელს ენიჭება, რასაც ხელი შეუწყო გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში კომპანიათა ფუნქციონირების იაპონური მოდელის კონკურენტუნარინობის გარკვეულმა შესუსტებამ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ქვეყნის კონკურენტული რომბის დეტერმინანტები გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიან, განსაკუთრებით შიდა მოთხოვნის პირობები და ფირმის სტრუქტურა და სტრატეგია. ამავე დროს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფოს შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკა ეფუძნება

ლიბერალიზმის, საბაზრო ეკონომიკისა და დაბალი გადასახადების პრინციპებს. ის ითვლება წინაპრად ე.წ. ანგლოსაქსური კაპიტალიზმისა. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის 1%-ს შეადგენს, გაერთიანებული სამეფო მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში ვაჭრობის მხრივ, ხოლო მისი მთლიანი შიდა პროდუქტი მსოფლიოში სიდიდით მეექვსე, ხოლო ევროპაში მესამეა გერმანიისა და საფრანგეთისშემდეგ.საფრანგეთი უდიდესი სახელმწიფოა დასავლეთ ევროპაში, ხოლო სიდიდით მესამე მთლიანად კონტინენტზე. ის ფლობს მეორე ყველაზე დიდ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას. საფრანგეთს აქვს დიდი ძალაუფლება ძლიერი კულტურული, ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ზეგავლენით ევროპასა და მთელს მსოფლიოზე.საფრანგეთი არის განვითარებული ქვეყანა და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით აქვს ევროპაში მეორე, ხოლო მსოფლიოში მეშვიდე უდიდესი ეკონომიკა

როგორც ცნობილია, მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მდებარეობს, 1989 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს ეროვნული ეკონომიკების (ქვეყნების) კონკურენტუნარიანობის რეიტინგს. კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად იყენებენ 314 კრიტერიუმს, რომელიც დაჯგუფებულია კონკურენტუნარიანობის ოთხ უმთავრეს ფაქტორად. ამ უკანასკნელს მიეკუთვნებიან ეკონომიკური საქმიანობა (შიდა ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ინვესტიციები, დასაქმება, ფასები), ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ეფექტიანობა (საზოგადოებრივი ფინანსები, ფისკალური პოლიტიკა, სტრუქტურული მოწყობა, ბიზნესის სამართალი, განათლება), ბიზნესის ეფექტიანობა (მწარმოებლურობა, შრომის ბაზარი, ფინანსები, მენეჯმენტი, წილი გლობალიზაციაში), და ინფრასტრუქტურის განვითარების დონე (ძირითადი ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა, ეკოლოგიური მდგომარეობა, ფასეულობათა სისტემა). როგორც ანალიზი გვიჩვენებს, გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხარისხს, მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების დონეს. ასევე უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ამ უკანასკნელი სფეროს განვითარებას, არამედ მეცნიერების და ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაცის ხარისხს, ანუ ქვეყნებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების დონეს. აქ ვგულისხმობთ, ინდივიდების, საზოგადოების და მთლიანად ერებს შორის თანამშრომლობას აღნიშნულ სფეროში, რომელიც თანამედროვე ეტაპზე უპირატესად განვითარებულ ქვეყნებს შორის ანუ პოსტინდუსტრიული ეკონომიკების ქვეყნებს შორის მიმდინარობს. ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ქვეყნების თანამშრომლობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ ქვეყნების კონკურენტუნარიანობას.

თანამედროვე ეტაპზე ინტენსიურად ვითარდება კრიტიკული ტექნოლოგიები, რომლებიც სრულიად ახალ ეკონომიკას და ცხოვრებს წესს ამკვიდრებს ინფორმატიკის, კომუნიკაციების და წარმოების სფეროში: პროგრამული უზრუნველყოფა, მიკროელექტრონიკა და ოპტოელექტრონიკა, მაღალმწარმოებლური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები და კომპიუტერული ქსელები.. დამმუშავებელი მოწყობილობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, მიკრო და ნანოტექნოლოგიები, რთული სისტემების ტექნოლოგიები».აღნიშნულის გათვალისწინებით გლობალურ მეურნეობაში ყოველი ეროვნული ეკონომიკის ადგილის განმსაზღვრელი იქნება, არამარტო აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, არამედ მათი განვითარების და ახალი ტექნოლოგიების შექმნის უნარიც, რომელიც იმანენტურად გულისხმობს საზოგადოების განვითარების მაღალ დონეს.

საბოლოო ანგარიშით, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის გამწვავების შედეგად სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება და აღნიშნულის საფუძველზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ანუ მსოფლიო საზოგადოებრიობის ცოდნის ამაღლება როგორც თვით ადამიანის, ასევე გარესამყაროს შესახებ არის გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი მახასიათებელი, რამდენადაც მსოფლიო მეურნეობის ფუნქციონირების მიზანს არამარტო ადამიანის მატერიალური მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება, არამედ მისი განვითარების, ცოდნის ამაღლებაც წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Baldwin R. Globalization: The Great Unbundling. Helsinki 2006 http://www.vnk.fi/hankkeet/talousneuvosto/tyo-kokoukset/globalisaatioselvitys-9- 2006/artikkelit/Baldwin_06-09-20.pdf 51.
2. Barnet R. and Cavanagh J., Global Dreams: Imperial Corporations and the New World Order New York, Simon & Schuster, 1994 52.
3. Bartlett Ch. Ghoshal S. Managing Across Borders: Transnational Solution, Harvard Business Scgool Press, 2002 53. Brakman S, Garresten H, Marrevijk C. V. Cross Border Mergers and Acquisitions: The Facts as a Guide For International Economics, CESifo Working Paper #1823, 2006 http://publishing.eur.nl/ir/repub/asset/12983/Cross-BorderMergers_2007.pdf 54.
4. Cartwright R. I. Mastering Globalization of Business, Palgrave Macmillan, 2004 56. Chandler A., Mazlish B., Leviathans: Multinational Corporations and the New Global History, Cambridge University Press, 2000

გლობალიზაცია და ბიზნეს გარემო საქართველოში

მარინა ბაღათურია,
სტუ-ს ეკონომიკის დოქტორი
მანანა ბერუაშვილი
სტუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის თანამედროვე ტენდენციების განხილვისას ნაჩვენებია, რომ დღესდღეობით კაპიტალის ტური ეკონომიკური სისტემა კვლავ ფუნქ ციონირებს, თუმცა განსხვავებით 20-30 წლის წინან დელი მდგომარეობი დან, ახლა უკვე თითქმის მთელი მსოფლიო კაპიტალისტურია; შეიცვალა ტექ ნოლოგიები, უფრო მეტიც, მოხდა ნამდვილი ციფრული რევოლუცია. ტრანსნა ციო ნალური ორგანიზ ა ციების მოქმედებაც მჭიდროდაა დაკავში რებული გლობალიზაციის პოლი ტიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებთან. ასევე დასაბუთებულია, რომ დღეს ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს გლობალიზაციის ზე გავ ლენა საერთაშორისო ბიზნესის გან ვითარებაზე.

Globalization and The Business Environment in Georgia

Marina Bagaturia,
Manana Beruashvili

Summary

Reviewing the process of globalization of the modern trends show that the capitalistic economic system is still functioning, but in contrast to the situation 20-30 years ago, it is now almost the whole world is capitalistic. Technology has changed, moreover, a real digital revolution accrued. Transnational organizations activities are closely linked to the political, social and cultural aspects of globalization. Also proved that the most acute problem is the impact of globalization on international business development.

Keywords: Business Environment, International Business , Social Globalization, Globalization Index

გლობალიზაციის მთავარი განმაპირობებელ ფაქტორს ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს. გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ – GATT-ი ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნისაკენ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია, რომლის შედეგად ფინანსური კაპიტალი ძლიერ მობილური გახდა და მრავალეროვნულ კორპორაციებს სახელმწიფოდან სახელმწიფოში გადაადგილება აღარ უძნელდებათ.

მსოფლიოს ეკონომიკაში უამრავი მოვლენა მოხდა, კერძოდ, თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე გლობალიზაციის პროცესებში ბევრი რამ შეიცვალა. ამიტომ საჭიროა ამ სიახლეების წარმოჩენა, ამ პროცესების ახლებური ხედვა.

დღეს საქართველოს ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების პროცესშია, რომლის საშუალებითაც ხდება გლობალური პროცესები. გლობალიზაციის პროცესების შედეგად მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო ღრმად იჭრება ეროვნულ ეკონომიკაში. იგი განსაზღვრავს მისი განვითარების მომავალს, ნორმებს და სტანდარტებს, თუმცა გავლენას არ ახდენს და არ ცვლის ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობას. გლობალიზაციის პროცესი არის გარდამავალი პროცესი განვითარე ბადი, განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის.

გლობალური ეკონომიკის თავისებურება ისაა, რომ არცერთ სახელმწიფოს, მიუხედავად წარმოების ფაქტორების უზრუნველყოფის დონისა, არ შე უძლია ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ავტარკიის პირობებში. ე.ი. საზღვრები უფრო გამჭვირვალე ხდება არა იმდენად პოლიტიკოსთა სურ ვი ლის გამო, რამდენადაც თანამედროვე კვლავწარმოების პროცესის ლოგიკის ძალით.

საქართველოში გლობალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზრის გახსნა, უცხოური კაპიტა ლის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ინტეგრაციულ გაერთიანებებში გაწევრიანება და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. ამჟამად, საქართველო დაახლოებით 105 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულმა ფინანსურმა და ტექნიკურმა დახმარებამ, სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების განხორციელებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გარდამავალი პერიოდის მწვავე სოციალური პრობლე მების გადაწყვეტაში. განსაკუთრებით დიდი მოცულობის ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდა მსოფლიო ბანკის პროგრამების ფარგლებში.

ცნობილი ფონდი Heritage Faundation ქვეყნების მიხედვით, ყოველწლიურად ადგენს „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს“. 2015 წლის მონაცემებით წინა წელთან შედარებით საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა და 73.0 ქულა შეადგინა. საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის კვლავ 22-ე პოზიციაზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. 2015 წლის შეფასებით, საქართველო, ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის 1 ადგილით დაწინაურდა და მე-11 ადგილს

იკავებს. საქართველოს რეიტინგი ინდექსის 10-დან 7 კომპონენტშია გაუმჯობესებული, ხოლო 4 კომპონენტში გაუმჯობესდა, როგორც სარეიტინგო ქულა, ასევე პოზიციები. საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესებულია შემდეგ 7 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება. საქართველოს ქულები, ისე როგორც რეიტინგი, გაუმჯობესებულია შემდეგ 4 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება და მონეტარული თავისუფლება. კვლევის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა მხოლოდ ერთ კომპონენტში – შრომის თავისუფლება 11.3 ქულით შემცირდა და მე-5-დან 24-ე ადგილზე გადაინაცვლა. 2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო ვაჭრობის თავისუფლების კომპონენტში 178 ქვეყანას შორის პირველ ათეულშია და მე-7 ადგილს იკავებს. ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს სარეიტინგო ქულა 2.6-ით გაუმჯობესდა, ხოლო ინდექსის 5 კომპონენტში – კორუფციისგან თავისუფლება, სამთავრობო ხარჯების კონტროლი, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება და საინვესტიციო თავი სუფლება, საქართველოს მდგომარეობა სტაბილურად უმჯობესდება.

საქართველოს თავისუფლების ხარისხი ბიზნესის, ფისკალურ, საინვესტიციო და შრომის ბაზრის სფეროებში საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებითაა შეფასებული. ბიზნესის დაწყების პროცედურები საგრძნობლადაა გამარტივებული. საშუალო შეწონილი ტარიფების განაკვეთი უტოლდება 9,5%, რაც საკმაოდ ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმზე მიუთითებს, თუმცა გარკვეული პრობლემებია დაკავშირებული აღურიცხავ სავაჭრო ნაკადებთან. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბზე სახელმწიფოს ხარ ჯების მოცულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი უარყოფითად შეიძლება შეფასდეს. უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ხარჯები მშპ-ს 30% შეადგენს. საინვესტიციო სფეროს ლიბერალიზაცია 70%-თაა შეფასებული.

ინვესტორებისთვის ძირითად დაბრკოლებას საქართველოში შიგა ეკონომიკური გარემო წარმოადგენს. ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირე ბული ექსპორტის დივერსიფიკაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციე ბის მოზიდვა, რადგან ინვესტორისათვის ყველაზე უფრო მიმზიდველი არის საექსპორტო სექტორი, რომელიც ორიენტირებულია მეტ უცხოურ ბაზარზე. ფინანსური ოპერაციები არ არის შეზღუდული, მაგრამ არსებობს მათი რეგისტრაციის მოთხოვნა. საკუთრების უფლებებისა და კორუფციის დონის მხრივ ქვეყანა ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს.

ორგანიზაცია Global Policy-ს გლობალიზაციის ინდექსის რეიტინგში მოცემულ 62 ქვეყანას შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და მათ შორის საქართველო არ ფიგურირებენ, რაც მიგვანიშნებს, რომ გლობალურ ეკონომიკასთან ამ ქვეყნების ინდეგრირებულობის ხარისხს არ მიუღწევია იმ სიდიდისათვის, რომ ანგარიშგასაწევს წარმოადგენდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის ღიაობის ხარისხი საკმაოდ მაღალია: მსოფლიო ბანკის, მსოფლიო ვაჭრობის ორგა ნიზაციის მონაცემების თანახმად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკა ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით გამოირჩევა. ლიბერალურია ქვეყნის საგარეო სავაჭრო რეჟიმი, ხელსაყრე ლი პირობებია შექმნილი უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლისთვის.

საქართველო მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის აქტიურ მონაწილეს წარმოადგენს, რასაც მეტი უპირატესობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ვაჭ რო ბის ლიბერალიზაცია ეყრდნობა ურთიერთდათმობებს. ქვეყნის სავაჭ რო პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელსაყრელი პოზიციების მოპოვებას გლობალურ ბაზარზე, ისეთი ეკონომიკური მიზნების განხორციელებას, როგორე ბიცაა: გარეშე ძალის დისკრიმინაციული ზემოქმედების აცილება, კონკურენტუნარიანობის მოპოვება და შენარჩუნება, ძირითადი საექსპორ ტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, ინვესტიციების მოზიდვა და სხვა.

საქართველოს შესაძლებლობები, შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას იზიდავს. საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესს წარმოადგენს. საქართველოს, გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობისთვის ქვეყნის სატრანზიტო როლი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. ტვირთების, ინვესტიციების და საინფორმაციო ნაკადების ზრდასთან ერთად, გაიზრდება საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხარისხი. ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საერთაშორისო ფუნქციის მოპოვება, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აუცილებელია, არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. სატრანსპორტო დერეფნის გაფართოებასთან ერთად, მეტი უცხოური ინვესტიცია იქნება მოზიდული. სატრანსპორტო დერეფნის სრულფასოვანი ფუნქციონირება საჭიროებს სხვა დარგების განვითარებას, როგორიცაა: ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოება და მომსახურების დარგები. მაგრამ სატრანსპორტო ფუნქცია არ არის საკმარისი პირობა გლობალურ ეკონომიკაში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის. მნიშვ ნელოვანია, გაიზარდოს ქვეყნის მონაწი-ლე ო ბა მსოფლიო ვაჭრობის დინამიკურ სექტორებში.

გლობალიზაციის თემა სულ უფრო აქტუალური ხდება ქართული საზოგადოებისთვის. ქვეყნის ბედსა და მის მომავალზე ფიქრის საფუძველს იძლევა დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, გაუსაძლისი სოციალური ფონი, მწვავე სოციალური სტრატიფიკაცია (საზოგადოების დაყოფა ფენებად),

პოლიტიკური ვითარება, კულტურული, საგანმანალებლო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და სხვა ფასეულობები.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. ეკონომიკური განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. ფსევდორეფორმებზე დაყრდნობით, ქვეყანა ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა. სამართლიანობის აღდგენაზე აგებული დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ ფსევდო დემოკრატიაზე, მოჩვენებით სამართლიანობაზე დაფუძნებული მმართველობა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან. საქართველოში საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორს ვართ საკუთრების პრულარიზმისგან, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარუფლება, არ არის დაცული კერძო საკუთრება, დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობა. საქართველოში სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ვერ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი, მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო სექტორის მთლიან გამოშვების მხოლოდ 5,6%, საშუალო ბიზნესის წილად მოდის 7,2%, მსხვილი ბიზნესის წილი მთელი გამოშვების 72,2%-ია და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს.

საქართველო, ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული. პირველ რიგში ნათლად ჩანს, რომ ურთულესი პრობლემების წინაშეა ქვეყნის აგრარული სექტორი. 1990 წელთან შედარებით, საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი 30-დან 8%-მდე დაეცა და წარმოიქმნა სასოფლო-სამეურნეო ლაგი (გარღვევა წარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ მოცულობებს შორის), სოფლის მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ქალაქად, ტყეების გაჩეხვა და უცხოელებზე გასხვისება, ასევე სხვა ნეგატიური პროცესები.

როგორც ბიზნესის დაბალი განვითარების დონის შედეგი, ქვეყანაში დასაქმების პრობლემა ყველაზე მწვავეა და ლოგიკურია, რომ ის იკავებს პირველ ადგილს ყველა სოციოლოგიურ გამოკითხვაში. სავალუტო კრიზისმა, ტერიტორიების ოკუპაციამ და ამის შედეგად რუსეთთან კონფრონტაციამ, ზეგავლენა მოახდინა დასაქმების დინამიკაზე. 2015 წლიდან უმუშევართა რაოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 12.5%-მდე. დასაქმებულთაგან 621 ათასი ეწევა დაქირავებულ შრომას. სახელმწიფო სექტორში 600 ათასი კაცი, მილიონზე მეტი კი თვითდასაქმებულია. დასაქმების პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ საკუთარი ბიზნესის წამოწყებისათვის საკრედიტო რესურსების სიძვირე აფერხებს ბიზნესს საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის დაწყება საქართველოში მარტივია, თვითონ მისი წარმოება ძვირია და რისკებთანაა დაკავშირებული. საქართველოში დღეს ძირითადად რამდენიმე ეკონომიკური ხასიათის პრობლემა არსებობს, რომელიც აწუხებს მოსახლეობის ნაწილს და საზოგადოებაში ქმნის დაძაბულ სოციალურ ფონს.

თუ მოვახდენთ მათ რანჟირებას მნიშვნელობის მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ: ინფლაცია, ფასების ზრდა და ლარის კურსის გაუფასურება; იმპორტ-ექსპორტის დისბალანსი; ეკონომიკაზე მოქმედი ეგზოგენური ფაქტო რები: მსოფლიოს სანავთობე ბირჟებზე ფასების ცვლილება და საქართველოში ნავთობის ფასების ასიმეტრიული ცვლა; გეოპოლიტიკური ფაქტორები: რუსეთ-უკრაინის ომი, დოლარის გამყარება; ენდოგენური ფაქტორები: საქართველოს ხელისუფლების საინვესტიციო პოლიტიკა და მისი ზეგავლენა ეკონომიკაზე; ლუდზე და თამბაქოზე აქციზის ზრდა, პროტექციონისტული ტენდენციების შესუსტება სახელმწიფოში და სხვა ამ პრობლემებმა, მონეტარულ პოლიტიკაში დაშვებულმა უზუსტობებმა გამოიწვია 2014 წელს გამოწვეული ლარის კურსის ვარდნა, რაც კატასტრფულად აისახა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი სახელმწიფომ უნდა გამონახოს იმ ფაქტორების გააქტიურებით, რომლებიც იწვე ვენ დოლარის მასის ზრდას, მაგრამ ეს არის ხანგრძლივი პროცესი. ლარის გაუფასურების გადაბრალება მხოლოდ საგარეო ფაქტორებზე მცდარი პოზიციაა, უნდა ვაღიაროთ და გავითვალისწინოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დაშვებული შეცდომები, დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, საბოლოოდ შეიძლება ითქვას: გამომდინარე იქიდან, რომ გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, იმის მიუხედავად ეს ქვეყანა განვითარებულია, თუ ბევრად ჩამორჩენილი საერთაშორისო ასპარეზზე სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, გლობალიზაციის ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები ზოგიერთი ქვეყნის მდგომარეობას აუმჯობესებს, ხოლო ზოგისას კი, პირიქით აუარესებს. თუმცა, უდავოა ის, რომ დღეს ნებისმიერი ქვეყ ნისთვის გლობალიზაციის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმა მათი სამომავლო განვითარებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შენგელია თ. მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზ ნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი, თბ.,, გამომცემ-ლობა „უნივერსალი“ 2015 წელი
2. კრებული თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები და პრობლემები. ბიზნესის სოციალურ-ფსიქოლოგი-ური ბუნება და შეზღუდულობის მიზეზები საქართ-ველოში. თსუ 2014 წელი
3. ბარათაშვილი ე., ჩადუნელი გ., მახარაშვილი ი., კოღუაშვილი პ., გალახვარიძე ნ, კვაბზირიძე თ. საქართველოსეკონომიკა. მეორეგამოცემა. თბ., 2016 წელი
4. გირტ ჰოფსტედე; გერტ იან ჰოფსტედე, კულტურები და ორგანიზაციები. გონების პროგრა-მული უზრუნველყოფა. თბ., 2011, გვ. 40.
5. http//www.economy.ge/ge/media/news/ekonomi-kuri-tavisuflebis-indeqsi-2015

ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

***ხათუნა თოდუა**, აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

ადამიანთა შორის უთანასწორობა ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს; სოციალური უთანასწორობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და საჭირბოროტოა საქართველოშიც. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, საქართველო რეგიონში ეკონომიკური უთანასწორობის რეიტინგში პირველ ადგილზეა, ხოლო ,,ჯინის" ინდექსის მიხედვით, საქართველიში შემოსავლების უთანაბრობის კოეფიციენტი 0,40-დან 0, 43-მდე მერყეობს.

საქართველოს საზოგადოების დღევანდელი სოციალური სტრუქტურის თავისებურებაა ძლიერი სოციალური პოლარიზაცია - მოსახლეობის დაყოფა ღარიბებად და მდიდრებად და, ამასთანავე, საშუალო კლასის ფაქტობრივი არარსებობა, რაც საგრძნობლად აფერხებს ეკონომიკურ სტაბილურობასა და ქვეყნის განვითარებას; შესაბამისად, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებაზე ზრუნვა უაღრესად მნიშვნელოვანია; შექმნილი ვითარების გამოსწორებისათვის საჭიროა ეკონომიკური და საბიუჯეტო პრიორიტეტების სწორად დასახვა, სოფლის მეურნეობისა და განათლების დაფინანსების გაზრდა, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური უთანასწორობა, ეკონომიკური უთანასწორობა, ჯინის კოეფიციენტი.

Некоторые Аспекты Экономического и Социального Неравенства в Грузии

Хатуна Тодуа

Резюме

Неравенство между людьми имеет место в любом обществе. Проблема социального неравенства одна из самых злободневных и острых в том числе и в Грузии. Согласно данным Международной Организации Труда Грузия занимает первое место в регионе по рейтингу экономического неравенства, а индекс Джини колеблется в Грузии от 0,40 до 0,43.

Особенностью сегодняшней социальной структуры общества Грузии является острая социальная поляризация, деление населения на бедных и богатых, и в то же время, фактическое отсутствие среднего класса, что существенно препятствует экономической стабильности и развитию страны; следовательно, борьба с социальным и экономическим неравенством является делом крайней важности. Для выхода из сложившейся обстановки нужно правильно определить экономические и бюджетные приоритеты, увеличить финансирование сельского хозяйства и образования, способствовать развитию малого бизнеса.

* * * * * *

სოციალური უთანასწორობის წარმოშობის და მასთან ბრძოლის საკითხი მუდამ იყო არა მხოლოდ მეცნიერებისა და პოლიტიკოსების, არამედ საზოგადოების ფართო ფენების ცხოველი ინტერესის საგანი.

სოციალურ ფენათა არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში საზოგადოების უმაღლეს ფენას დიდებულები და მათი წრიდან გამოსული ქურუმები მიეკუთვნებოდნენ, მაღალი ფენის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ მეომრები და სახელმწიფო მოხელეები, შემდეგ მოდიოდა ვაჭართა ფენა, ხელოსნები და ბოლოს, თავისუფალი მონები.

საქართველოში ითვლებოდა, რომ მეფე და მისი მოხელეები, ფეოდალები და თავადაზნაურები, ,,ღვთისგან ნაბოძები» უფლებით სარგებლობდნენ. ილია ჭავჭავაძეც შეეხო ამ თემას, ის თავის ნაწარმოებში -,,კაცია ადამიანი!?" - აღნიშნავს, რომ ადამისა და ევას დროსაც არსებობდა საზოგადოების დიფერენციაცია.

ადამიანთა შორის უთანასწორობა დღესაც ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს, ყოველ საზოგადოებაში არსებობენ ღარიბები და მდიდრები, განათლებულები და გაუნათლებლები, მოხერხებულები და უუნარონი, ძალაუფლების მქონენი და მისი არმქონენი. ყოველივე ეს სავსებით კანონზომიერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი შეხედულებებით, ინტერესებით, ცხოვრებისეული ორიენტაციით და სხვა მახასიათებლებით.

უნდა აღინიშნოს, რომ უთანასწორობის მრავალი სახე არსებობს, მაგრამ ადამიანთა საზოგადოებაში ძირითადია სოციალური უთანასწორობა, რომელიც ძირეულადაა დაკავშირებული სოციალურ განსხვავებებთან, სოციალურ დიფერენციაციასთან. სოციალურ განსხვავებად მიიჩნევა ის განსხვავება, რომელსაც წარმოშობს სოციალური ფაქტორები, ცხოვრების სტილი (ქალაქის და სოფლის მოსახლეობა), შრომის დანაწილება (გონებრივი და ფიზიკური შრომით დაკავებულები), სოციალური როლი (მამა, ექიმი, პოლიტიკური მოღვაწე) და სხვ., რასაც მოსდევს საკუთრების ფლობის ხარისხის, ან კიდევ მიღებული შემოსავლის, ძალაუფლების, ასევე სოციალური სტატუსის მიღწევის, პრესტიჟის, განათლების განსხვავებულობა. სოციალურ ფენებად დაყოფა შეიძლება მოხდეს შემოსავლების დონის, სოციალური მდგომარეობის მიხედვითაც და სხვ.

ამრიგად, სოციალური უთანასწორობის, საზოგადოების ფენებად დაყოფის, მისი სტრატიფიკაციის (სტრატა - ფენა, რომელიც აერთიანებს ერთნაირი შემოსავლის, ძალაუფლების, განათლების, პრესტიჟის მქონე ადამიანებს) საფუძველია სოციალური განვითარების დონეთა შორის განსხვავება. რაც შეეხება პრობლემაზე ეკონომიკურ თვალსაზრისს, მის თანახმად სოციალური უთანასწორობის უპირველესი მიზეზია საკუთრებისადმი ხელმისაწვდომობის განსხვავებული ხარისხი, მატერიალურ ფასეულობათა უთანაბრო განაწილება.

საინტერესოა, რომ ცნობილი მეცნიერის, ბერნარდ ბარბერის აზრით, განვითარებული ქვეყნების თანამედროვე საზოგადოების სოციალურმა სტრუქტურამ განიცადა ევოლუცია და ნაცვლად პირამიდულისა, დღეს რომბისებური სახე აქვს. დღეს განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თავისი რანგით მიეკუთვნება საშუალო ფენის ზედა, საშუალო ან ქვედა ნაწილს, და არა სტრატიფიკაციული პირამიდის ,,წვერს" ან ,,ფსკერს". დღეს დასავლეთის საზოგადოებაში მსხვილ ბიზნესმენს აქვს ცხოვრების დაახლოებით ისეთი დონე, როგორიც მაღალკვალიფიციურ მუშას ან საშუალო დონის მენეჯერს. თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ამ მხრივ სურათი განსხვავებულია; მაგალითად, შვედეთში უმუშევრის შემოსავალი, რომელსაც ის უმუშევრობის კომპენსაციის სახით ღებულობს, იქაური მდიდრის შემოსავალზე მხოლოდ 3-4-ჯერ ნაკლებია, ისრაელში - 6-7-ჯერ, ხოლო საქართველოში - რამდენიმე ათეულჯერ!

ცხადია, სოციალური უთანასწორობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და საჭირბოროტოა დღეს საქართველოში. საქართველოს საზოგადოების დღევანდელი სოციალური სტრუქტურის თავისებურებაა ძლიერი სოციალური პოლარიზაცია - მოსახლეობის დაყოფა ღარიბებად და მდიდრებად, და, ამასთანავე, საშუალო კლასის ფაქტობრივი არარსებობა, რაც შეუძლებელს ხდის ეკონომიკურ სტაბილურობასა და ქვეყნის განვითარებას. თანამედროვე საქართველოში დამოუკიდებელი ცხოვრებისეული თვითრეალიზაციისა და სოციალური სტატუსის ამაღლების შესაძლებლობები შეზღუდულია ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული 2015 წლის 20 იანვრით დათარიღებული კვლევის მონაცემების თანახმად, საქართველო რეგიონში ეკონომიკური უთანასწორობის რეიტინგში პირველ ადგილზეა.

საქართველოს პოზიციები მეტად არასახარბიელოა სოციალური უთანაბრობის (,,ჯინის") ინდექსისა და სიღარიბისა და ეკონომიკური არასტაბილურობის მსოფლიო რეიტინგში.ც. ,,ჯინის" კოეფიციენტის (ეს კოეფიციენტი მათემატიკური კონცეფციაა, რომლითაც უთანასწორობა 0-დან 1-მდე იზომება და ხშირად პროცენტის სახით, 0-დან 100 პროცენტამდე გამოიხატება. ყველაზე უთანასწოროდ ითვლება ის საზოგადოება, რომლის მხოლოდ ერთი წევრი მთელი შემოსავლის 100 %-ს, ხოლო დანარჩენები არაფერს ღებულობენ (ამ შემთხვევაში კოეფიციენტი 1-ის ტოლია), ხოლო ყველაზე თანასწორია ის საზოგადოება, რომლის ყველა წევრი თანაბარ შემოსავალს იღებს (რაც ნიშნავს, რომ კოეფიციენტი 0-ის ტოლია), რეალურად, ინდიკატორი ყოველთვის 0-სა და 1-ს შორისაა, რადგან სრული თანასწორობა, ისევე როგორც სრული უთანასწორობა, ჰიპოთეტიკური მოცემულობებია) მიხედვით, საქართველოში შემოსავლების უთანაბრობის კოეფიციენტი 0,40-დან 0,43-მდე მერყეობს. ექსპერტული შეფასებიდან ჩანს, რომ საქრთველოს ინდექსი საშუალო ფენის არარსებობაზე მიუთითებს, ანუ დიდ სხვაობაზე მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის. გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა ამ კუთხით ჩვენს მეზობელ ქვეყნებში - აზერბაიჯანსა და სომხეთში. აქვე აღსანიშნავია, რომ ჯინის ინდექსის მიხედვით, მართალია, საქართველო აზერბაიჯანსა და სომხეთს ჩამორჩება, მაგრამ დაახლოებით იგივე მაჩვენებელი აქვს, რაც კიდევ ერთ მეზობელს - განვითარებული საშუალო ფენის მქონე თურქეთს.

მეზობლებზე დაბალი მაჩვენებლები აქვს საქართველოს რეიტინგში, რომელსაც ამერიკის მშვიდობის ფონდი ამზადებს და რომელსაც ,,არშემდგარი სახელმწიფოების ინდექსი" ეწოდება. ის 12 კრიტერიუმის მიხედვით მზადდება, რომელთა შორის არის ეკონომიკური არასტაბილურობა და სიღარიბე. აქ საქართველოს 180 ქვეყანას შორის 65-ე ადგილი უჭირავს.

ქვეყანაში მოსახლეობის შემოსავლების რეალური მდგომარეობის დასადგენად საქართველოს სტატისტიკის სამსახური მოსახლეობის საშუალო მოხმარების მედიანას იკვლევს. ,,საქსტატის" მონაცემებით, მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით არის საქართველოს მოსახლეობის თითქმის 20 პროცენტი, რაც შეეხება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობას, ის საქართველოში 10,1 პროცენტს შეადგენს.

თუმცა, ზემოაღნიშნულის ფონზე, ზოგიერთი ანალიტიკოსი ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე საუბრობს და თვლის, რომ თუ ამ ეკონომიკური გაუმჯობესების ფონზე ადამიანები თვლიან, რომ არაფერი არ გაუმჯობესებულა, ეს იმიტომ, რომ ადამიანთა ამ ნაწილის ცხოვრება რადიკალურად არ შეცვლილა. არსებობს სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმად საშუალო ხელფასი ბოლო 10 წლის განმავლობაში 4-ჯერ გაიზარდა, ასევე 4-ჯერ გაიზარდა ავტომობილების რაოდენობაც.

ავტომობილების რაოდენობის ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე პროცენტული გადაანგარიშებით საქართველო მეზობელ აზერბაიჯანსაც კი უსწრებს. სხვა სტატისტიკური მონაცემებიც ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების კავშირზე მიანიშნებს. მაგალითად, საბანკო დეპოზიტების ოდენობა 9-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, ასე რომ, ,,ჯინის" ინდექსზე

მეტად ახლა ის არის გასაანალიზებელი, თუ რატომ შეჩერდა საქართველოს ეკონომიკის ზრდა და ყველაფერი უნდა გაკეთდეს სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ხანგრძლივი დროის მანძილზე, რათა განვითარებით მიღებული სიკეთე თვალსაჩინო და ხელშესახები გახდეს მოსახლეობის ყველა ფენისათვის, ვინაიდან ეკონომიკური ზრდა, თუ ის არ განაწილდა, თუ მოსახლეობის ფართო ფენებმა ვერ მიიღო სიკეთე, ვერაფერი ნუგეშია მათთვის. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის მთავარი ამოცანაა არა უბრალოდ ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოს, არამედ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მიღებული სიკეთის განაწილებას მოსახლეობის ფართი ფენებს შორის.

სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებაზე ზრუნვა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ზრდად უთანასწორობას შედეგად მოსდევს როგორც პოლიტიკური კატაკლიზმები და სოციალური დაძაბულობა, ისე ეკონომიკური კრიზისი. აშშ-ს ბოლოდროინდელი ეკონომიკური კრიზისის ძირითად მიზეზად სწორედ ის ზრდადი უთანასწორობა დასახელდა, რომელზეც მანამდე პოლიტიკოსები თვალს ხუჭავდნენ და ცდილობდნენ არ შეემჩნიათ.

საქართველოში დღეს არსებული სოციალური დიფერენციაცია და სიღარიბის ზრდა დამნაშავეობის ზრდის და კრიმინოგენული ვითარების გაუარესების ერთ-ერთი ფაქტორიცაა, რაც დამატებით პრობლემებს უქმნის მოსახლეობას.

შექმნილი მდგომარეობის გამოწორებისათვის საჭიროა ეკონომიკური და საბიუჯეტო პრიორიტეტების სწორად დასახვა, სოფლის მეურნეობისა და განათლების დაფინანსების გაზრდა, ვინაიდან მოსახლეობის გაღარიბება გამოიწვია პირველ რიგში სწორედ ეკონომიკური პრიორიტეტების არასწორად არჩევამ, სოფლის მეურნეობის, როგორც რეგიონში წამყვანი პოტენციური მიმართულების უგულეველყოფამ წლების განმავლობაში.

სოციალური უთანასწორობის შესუსტების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. იქ, სადაც მცირე ბიზნესი ვითარდება, დაბალშემოსავლიან ადამიანთა რიცხვი მცირდება. მცირე ბიზნესს., მართალია, დიდი სიმდიდრე არ მოქვს, მაგრამ ის წარმატებით ამცირებს სიღარიბეს, იძლევა საშუალებას გაიზარდოს სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლები. შემცირდეს დიფერენციაცია და სოციალური პრობლემების სიმწვავემაც იკლოს.

ასევე აღსანიშნავია, რომ უთანასწორობასა და უმუშევრობის დონეს შორის მჭიდრო კავშირია, რაც მაღალია უმუშევრობის დონე, მით მაღალია ხელფასებს შორის სხვაობა, რაც იმით აიხსნება, რომ იქ, სადაც ყვავის უმუშევრობა, მრავალი ადამიანი, რომელიც სამუშაოს ეძებს, პრაქტიკულად კარგავს შესაფერისი სამუშაოს პოვნის იმედს და საბოლოოდ თანხმდება დაბალანაზღაურებად სამუშაოზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http//rg.ru/
2.http://www.iarex.ru/interviews/10454.html
3.Finam.ru
4. http://pinterest.com/pin/create/button/?
5. http://www. radiotavisufleba.ge/a/ekonomikuri -zrda-tu-sotsialuri-utanasstsoroba125058354.html#comments
6.http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms337069.pdf

დარგის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის მეთოდები

თამარ ჩიქავა, *სტუ-ს დოქტორანტი*

Methods for Determining The Competitiveness of The Industry

Tamar Chikava

Summary

In the article is reviewed competitiveness assessment method according to Porter's "Diamond model". The approach looks at clusters, a number of small industries, where the competitiveness of one company is related to the performance of other companies and other factors tied together in the value-added chain, in customer-client relation, or in a local or regional contexts. The phenomena that are analysed are classified into six broad factors incorporated into the Porter diamond, which has become a key tool for the analysis of competitiveness. These factors are: factor conditions, demand conditions, related and supporting industries, firm strategy, structure and rivalry, government and chance factors. The Porter thesis is that these factors interact with each other to create conditions where innovation and improved competitiveness occurs.

საკვანძო სიტყვები: ფირმის კონკურენტუნარიანობა, ფაქტორი, კონკურენტუნარიანობის შეფასების ინსტრუმენტები, კონკურენტუნარინობის დეტერმინანტები.

ძირითადი ტექსტი:

კონკურენტუნარიანობის შეფასება შესაძლებელია როგორც ფირმის, ასევე სექტორისა და ეროვნული ეკონომიკის დონეზე. ფირმა კონკურენტუნარიანია, თუ მას შეუძლია კონკურენციის პირობებში თავისი საქონელი გაყიდოს და ხანგრძლივი დროის მანძილზე მიიღოს მაღალი შემოსავალი. სექტორი კონკურენტუნარიანია, თუ მას შეუძლია შეინარჩუნოს ბაზრის წილები შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე. ეროვნული ეკონომიკა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობით ხასიათდება, თუ მას შეუძლია ხანგრძლივის დროის მანძილზე შეინარჩუნოს თავისი წილი საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტში.

კონკურენტუნარიანობის ფორმირების სტადიებს მ.პორტერი წარმოების ფაქტორთა, ინვესტიციების, ინოვაციისა და სიმდიდრის ანალიზის საფუძველზე განიხილავს. ამასთან, პირველი სამი ეკონომიკურ ზრდას უკავშირდება, ხოლო მეოთხე - დაცემას. ზოგიერთი მეცნიერი დამატებით ინფრასტრუქტურულ და ინფორმაციულ სტადიებსაც განიხილავს.

დღეისათვის ფირმის კონკურენტუნარიანობის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებია აღიარებული:

- საქონლისა და მომსახურების ხარისხი;
- წარმოების ტექნოლოგიური დონე;
- ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობა;
- მომწოდებლების გამართული ქსელი;
- პერსონალისა და მენეჯმენტის კვალიფიკაციის დონე და სხვ.

კონკურენტუნარიანობის შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პორტერის „ალმასის" მოდელი, სადაც კონკურენტუნარიანობის შეფასება ხდება ოთხი ძირითადი და ორი დამხმარე ფაქტორით. ძირითად ფაქტორებს განეკუთვნება:

- ფაქტორების პირობები;
- მოთხოვნის პირობები;
- მონათესავე და მხარდამჭერი სექტორები;
- ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია.

დამხმარე ფაქტორები კი შემდეგი ორი ელემენტისგან შედგება:

- სახელმწიფოს ფაქტორები;
- შანსის ფაქტორები.

კონკურენტუნარიანობის ოთხი ძირითადი დეტერმინანტი გამუდმებით ზემოქმედებს ერთმანეთზე. განვიხილოთ თითოეული ფაქტორი ცალ-ცალკე.

ფაქტორის პირობები - ფაქტორის პირობები შედარებითი უპირატესობის ტრადიციული თეორიის მთავარი ცნებაა, შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია ფირმის კონკურენტუნარიანობაზე მათი ზეგავლენა. ფაქტორები ორ ჯგუფში ერთიანდება: საბაზოფაქტორები, რომლებიც ბუნებრივია და საუკუნეების განმავლობაში ვითარდება და განვითარებული ფაქტორები, რომლებიც უნდა შეიქმნას ქვეყნის მიერ.

საბაზო ფაქტორები შედგება ფიზიკური და ადამიანური რესურსებისგან. ფიზიკური რესურსების რანგში შეიძლება განვიხილოთ მიწის სიჭარბე, ხარისხი, ხელმისაწვდომობა და ღირებულება, წყალი, კლიმატური პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა. ადამიანური რესურსების ცნება მოიცავს თანამშრომლების ოდენობას, კვალიფიკაციას, ღირებულებას და სხვ.

იმისათვის, რომ ფირმას შეეძლოს დიფერენცირებული საქონლის წარმოება, მას უნდა ჰქონდეს განვითარებული ფაქტორები, რაც კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას უწყობს ხელს. განვითარებული ფაქტორები მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

ცოდნისრესურსები - ქვეყნისმეცნიერული და ტექნიკური ცოდნის მარაგი საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში. რესურსი შეიძლება იყოს უნივერსიტეტები, სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტები, სტატისტიკური დაწესებულებები, მეცნიერული ნაშრომები, მარკეტინგული კვლევები და სხვ.

კაპიტალის რესურსები - დარგის დაფინანსებისთ-

ვის ხელმისაწვდომი კაპიტალის ოდენობა და ღირებულება.

ინფრასტრუქტურა - ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელმისაწვდომია და ზეგავლენას ახდენს კონკურენციაზე, მათ შორის, ტრანსპორტირების სისტემა, კომუნიკაციის სისტემა, ფოსტა და სხვ.

დარგების მიხედვით განსხვავდება ფაქტორების გამოყენების პროპორცია. ფაქტორებისგან კონკურენტული უპირატესობის მოპოვება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად და ეფექტიანად ხდება მათი გამოყენება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ფაქტორების ხელმისაწვდომობა არ არის საკმარისი, რომ აიხსნას კონკურენციის საკითხში წარმატების მიღწევა.

მოთხოვნის პირობები - „ალმასის“ მოდელი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს შიდა მოთხოვნაზე, რომელიც განხილულია როგორც მამოძრავებელი ძალა ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარებისათვის. შიდა მოთხოვნის დეტერმინანტები, ისეთი როგორიცაა მოთხოვნის ზომა და შემადგენლობა, ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის შედარებით უპირატესობაზე. ქვეყანას შედარებითი უპირატესობა-წარმოეშვება მაშინ, როდესაც შიდა მოთხოვნის საფუძველზე ადგილობრივ ფირმებს უცხოურ კონკურენტ ფირმებზე უფრო სწრაფად ექმნებათ წარმოდგენამყიდველებისსაჭიროებებისშესახებ.

გამოიყოფა შიდა მოთხოვნის სამი ძირითადი მახასიათებელი:

მოთხოვნის სეგმენტირებული სტრუქტურა - დარგების უმეტესობაში მოთხოვნა არის სეგმენტირებული. ზოგიერთი სეგმენტი უფრო გლობალურია, ვიდრე სხვები.

დახვეწილი და მომთხოვნი მყიდველები - როდესაც ადგილობრივი მყიდველები არიან დახვეწილი და მომთხოვნი, ფირმები მოიპოვებენ კონკურენტულ უპირატესობას. ასეთ მყიდველებს ფირმები ზეწოლის ქვეშ ყავთ და აიძულებენ მათ აწარმოონ მაღალი ხარისხის საქონელი.

მომხმარებლების მსგავსი საჭიროებები - ფირმა მოიპოვებს უპირატესობას იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მომხმარებლების საჭიროებების ხვა ქვეყნების მოთხოვნილებების მსგავსია.

შიდა მოთხოვნის სხვა დეტერმინანტები, რომლებიც გავლენას ახდენს ეროვნულ კონკურენტუნარიანობაზე, მოიცავსბაზრისა და შიდამოთხოვნისზომას. თუადგილობრივიმოთხოვნამცირეა, ფირმები იძულებულნი არიან ექსპორტზე გაიტანონ საკუთარი ნაწარმი. მნიშვნელოვანი ფაქტორია, ასევე, დამოუკიდებელი მყიდველების რიცხვი. როდესაც დამოუკიდებელი მყიდველების რიცხვი დიდია, ქვეყანაში უფრო უკეთესი გარემო იქმნება ინოვაციებისთვის, ვიდრე ერთი ან ორი დომინანტი მყიდველის არსებობის შემთხვევაში. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მულტინაციონალური მყიდველების არსებობა. თუ მყიდველები წარმოადგენენ მულტინაციონალურ კომპანიებს, ადგილობრივი ფირმებისთვის წარმოიქმნება უპირატესობა, რადგან ადგილობრივი მყიდველები იმავდროულად უცხოური მყიდველებიც არიან.

მონათესავე და მხარდამჭერი დარგები - პორტერის ეროვნული კონკურენტული უპირატესობის თეორიის ძირითადი ცნება არის კლასტერი. კლასტერი წარმოადგენს მომწოდებლების, მომხმარებლებისა და კონკურენტების ქსელს, რომელიც ზრდის სპეციალიზაციას და ხელს უწყობს ეფექტიანობისამაღლებასა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას. კლასტერს ინდივიდუალურ ფირმაზე უკეთესი შანსიაქვს, რომ წარმატებას მიაღწიოს გლობალურ ბაზარზე. კონკურენტუნარიანი მომწოდებლებისა და მონათესავე დარგების ხელმისაწვდომობას ბევრი დადებითი თვისება აქვს ფირმისთვის. მათ შორის აღსანიშნავია: ინოვაცია, ინფორმაციის ბრუნვა, განახლება და ტექნოლოგიური განვითარება. ფირმას შეუძლია მთელი აქცენტი თავის ძირითად საქმიანობაზე გააკეთოს, დანარჩენი საქმეების შესრულებაზე მოკავშირეებს დაეყრდნოს და ამ გზითკონკურენტული უპირატესობა მოიპოვოს.

ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და მეტოქეობა - „ალმასის“ მოდელის ეს ნაწილი აღწერს, თუ როგორ იქმნება კომპანიები, როგორ არიან ისინი მოწყობილი, როგორ ხდება მათი მართვა და როგორია ადგილობრივი კონკურენცია. ქვეყნების მიხედვით განსხვავდება ფირმების მიზნები, სტრატეგიები და მოწყობის გზები. სხვადასხვა დარგს განსხვავებული მენეჯერული სისტემები შეესაბამება. ეროვნული კონკურენტული უპირატესობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ხდება სწორი შეხამება ამ არჩევანსა და დარგის კონკურენტული უპირატესობების წყაროებს შორის. მეტოქეობა ძალიან მნიშვნელოვანია გლობალური კონკურენციისთვის, როდესაც ფირმები აქტიურად უწევენ ერთმანეთს კონკურენციას ადგილობრივ ბაზარზე და მუდმივად უბიძგებენ ერთმანეთს, რომ განვითარდნენ.

დამატებითი ორი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეროვნულ სისტემაზე, არის სახელმწიფოს და შანსის ფაქტორები.

სახელმწიფოს ფაქტორები - სახელმწიფოს ყველა დონეზე შეუძლიაზე გავლენა მოახდინოს კონკურენტუნარიანობაზე და ეროვნულ უპირატესობაზე. სხვადასხვა პოლიტიკას ხვადასხვანაირად ზემოქმედებს თითოეულ დეტერმინანტზე. მაგალითად, ანტი ტრესტული პოლიტიკა, რომელიც ფირმებს ფასების კონტროლის შესაძლებლობას არ აძლევს, ზეგავლენას ახდენს შიდა კონკურენციაზე. ის ხელს უწყობს საბაზრო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებასა და კონკურენციის წახალისებას. განათლებაში ინვესტიციების ჩადებას შეუძლია შეცვალოს ფაქტორული პირობები, ხოლო სახელმწიფო შესყიდვები სტიმულირებას უკეთებს მონათესავე და მხარდამჭერ დარგებს. მეორე მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკასშეუძლია უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ეროვნულუპირატესობაზე, თუ მათი დანერგვა მოხდება პოტენციური შედეგის გაანალიზების გა-

რეშე. შესაბამისად, სახელმწიფოს დიდი პასუხისმგებლობით მართებს ამა თუ იმ პოლიტიკის შემოღება და დანერგვა, რადგან შედეგი შეიძლება იყო სროგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

შანსის ფაქტორები - შანსის ფაქტორები უმეტესად არ ექვემდებარება ფირმის კონტროლს. შანსის ფაქტორები მოიცავს სხვადასხვა გამოგონებებს, მნიშვნელოვან აღმოჩენებს ტექნოლოგიურ დარგში, ომებს, უცხოური ბაზრის მოთხოვნის ცვლილებებს და სხვ. პორტერის შეხედულებით, შანსის ფაქტორებს ბევრჯერ უთამაშიათ მნიშვნელოვანი როლი დარგებს შორისკ ონკურენტული უპირატესობის გადანაწილებაში.

გლობალიზაციის პირობებშიუცხოური ქვეყნების ფაქტორი სულუფრო მეტად ხდება მნიშვნელოვანი და ზემოქმედებს ფირმების კონკურენტუნარიანობაზე. ფირმების უმეტესობას აქტივების დიდი ნაწილი განთავსებული ან ნაყიდი აქვს საზღვარგარეთში, ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული ფაქტორები არის მნიშვნელოვანი ფირმებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგრო სასურსათო სექტორში, გამომცემლობა „უნივერსალი“,თბილისი, 2011.
2. Davies H. and Ellis P.D., Porter's Competitive Advantage of Nation's:Time for the final Judgement,Journal of Management Studies, 2000.
3. Dunning J.H.,The Theory of Transnational Corporations,1993.
4. Porter M.E.,Clusters and Competition,in Gordon E.Clark,eds,Oxford Handbook of Economic Geography. Oxford:Oxfrod University Press,1998.
5. Porter M.E., Competitive Advantage of Nations,Strategic Management Journal,1991.

ინსტიტუციონალური რესურსების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე

გია ზოიძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ეკონომიკის წარმატება დაკავშირებულია არა მარტო ბუნებრივ, სანედლეულო და საწარმოო რესურსებთან, არამედ ისე ძნელად საზომ ფაქტორებთან, როგორიცაა ხალხთა ტრადიციები, რელიგიური აღმსარებლობა და კულტურული ღირებულებანი, წეს-ჩვეულებები, სამართლებრივი კულტურა და ეკონომიკური საქმიანობის წარმოების სამართლებრივი პირობები.

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას გააჩნდეს ღირებულებათა სისტემა, ის მიზანდასახულობანი, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიკის განვითარებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ეკონომიკის წარმატება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, მოხდება თუ არა აუცილებელი ცვლილებები კულტურაში, ღირებულებათა სისტემაში და თუ მოხდება, როგორი ტემპებით და რა მიმართულებებით. ეს ცვლილებები კი არსებითად წარმოქმნის მოდერნიზაციის წარმატების პირობას და მის სოციალურ კონტექსტს.

საკვანძო სიტყვები: ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია; ბუნებრივი რესურსები; ცივილიზაციები, კულტურები და ღირებულებები; საერთაშორისო ინსტიტუტები.

Influence of Institutional resources to the country's economic development

Gia Zoidze

Summary

Economic success is related not only to the natural, raw materials and production resources, but also related to the difficult measured factors such as people's traditions, religious beliefs and cultural values, customs, legal culture and legal conditions of economic activities.

It is important for the society to have a value system, that determinations which will stimulate economic development.

There is no doubt that the economic success of the transition countries largely depends on whether happeness the necessary changes in culture, values or not, and if it will happen, how fast and in which direction. These changes are essential to generate the conditions for the success of modernization and its social context.

Keywords: Institutional economic theory; Natural resources; Civilizations, cultures and values; International institutes.

ძირითადი ტექსტი

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნების როლი სოციალური ენერგიის წყაროს წარმოქმნაში დაკავშირებულია ,,ადამიანი - ბუნება" სისტემის ჩამოყალიბებასთან, ე.ი. ადამიანისა და ბუნების კავშირთან. ბუნება იქცევა ადამიანთა ცხოვრების ნაწილად. ადამიანი იყენებს ბუნებას, ბუნება მას აწვდის საგნებსა და ძალებს, რომლებიც ადამიანს ჭირდება. ეს კავშირი არის სწორედ ბუნების ჩართვა ადამიანთა ცხოვრებაში, სოციალური ენერგიის წარმოქმნის ერთ-ერთი საფუძველი. ის ფართოვდება ცივილიზაციის კვალობაზე. საზოგადოების განვითარება მით უფრო მაღალ დონეზეა, რაც უფრო მეტი მასშტაბითაა ჩართული ბუნების ძალები და საგნები სოციალური ენერგიის წარმოქმნაში, სიმდიდრის შექმნაში. ამაში იგულისხმება რესურსების რაოდენობაც და გამოყენების ხარისხიც.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგების თვალსაზრისით მზარდ როლს ასრულებს ბუნების ძალებისა და საგნების გამოყენების ხარისხი, ე.ი ის, თუ როგორია გამოყენების ტექნოლოგია, როგორ მატერიალიზდება გამოყენებულ ბუნებრივ რესურსებში ანთროპოგენური ფაქტორები - ცოდნა, გამოცდილება, გამოგონებები, მეცნიერული აღმოჩენები, იდეები, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, როგორ ორგანიზაციულ მეთოდებს ფლობენ მწარმოებლები და ა. შ. ეს უკანასკნელნი, თვით ბუნების რესურსების თვისებებთან ერთად, განსაზღვრავენ მიღებული სოციალური ენერგიის რაოდენობით და თვისებით პარამეტრებს, საბოლოდ პოტენციალს, ანუ სიმდიდრის შექმნის უნარს. ეს სიმდიდრეც რაოდენობითი და თვისებითი მახასიათებლებით გაიზომება (ფასდება).

უხეშად რომ ვთქვათ, ეკონომიკის განვითარების ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს ადამიანი, როგორც სახეობა. განვითარების რესურსებს შეიცავენ ცივილიზაციის, ეთიკური სისტემების, ინსტიტუტების და ორგანიზაციების სხვადასხვა სახეები. თუმცა თავად ადამიანი - რა თქმა უნდა, ეკონომიკური რესურსია, სხვა დანარჩენი რესურსების მსგავსად, რომელიც გადაადგილდება საბაზრო ძალების გავლენით. მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად იზრდება. მან უკვე მიაღწია 6 მილიარდს, ხოლო 20 წლის

შემდეგ შეიძლება გახდეს 10 მილიარდი. ვინაიდან ადამიანი წარმოადგენს არა მარტო რესურსს, არამედ სხვა რესურსების მომხმარებელსაც, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა სხვა რესურსებთან მიმართებაში მრავალი გლობალური პრობლემის ღერძს წარმოადგენს.

ადამიანი გარდაქმნის ბუნებრივ რესურსებს თავისთვის აუცილებელ პროდუქტებად და ანაწილებს მათ საბაზრო მექანიზმების საფუძველზე. თავისი ისტორიის განმავლობაში იგი მუდმივად რთავს თავის საქმიანობაში სულ ახალ - ახალ წიაღისეულს. ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ ყოველი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის საფუძველს. მიუხედავად ამისა, ქვეყნები, რომლებიც ფლობენ უზარმაზარ ბუნებრივ რესურსებს, ცხოვრობენ ცუდად, ხოლო ზოგიერთი სხვა ქვეყანა, რომელიც თითქმის სავსებით მოკლებულია ბუნებრივ რესურსებს, მაგალითად, იაპონია ან იტალია, კეთილდღეობაშია. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს წიაღისეულის შედარებით დაბალი საბაზრო ღირებულება. ამასთან, არსებობს განვითარებული ქვეყნების, ასევე მთელი მსოფლიოს მშპ-ში პირველადი გადამუშავების წილის შემცირების მდგრადი ტენდენცია.

ამგვარად, წარმოიშობა პარადოქსი: ერთი მხრივ, კაცობრიობის მთელი სიმდიდრე, როგორც ჩანს, ყალიბდება ბუნებრივი რესურსების და წიაღისეულის საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ - ამ წიაღისეულის საბაზრო ფასები ძალზე უმნიშვნელოა და ღირებულების თვალსაზრისით არ შეესაბამება იმ როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ მსოფლიო მშპ-ის ჩამოყალიბებაში.

მაშ, რატომღაა ენერგეტიკული რესურსების და ნედლეულის ბაზრების გარშემო ამდენი ხმაური, თუკი მათი ხვედრითი წილი შედარებით მცირეა? აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს რესურსები და მათი შესაბამისი ბაზრები, ასე ვთქვათ, კვლავწარმოების პირამიდის საფუძველთან არიან. მრეწველობის ყველა სხვა დარგი ემყარება ამ რესურსებს. ისინი იყენებენ და ამუშავებენ მათ, მრავალჯერ ზრდიან რა ნედლეულის საწყის ღირებულებას. გადამამუშავებელი მრეწველობა შეადგენს მეორე, კვლავწარმოების პირამიდის უფრო მძლავრ და ფართო ფენას. და ბოლოს, ამ პირამიდის წვერზე განლაგებულია მომსახურების და ფინანსური ბაზრები.

ეკონომიკური მსოფლიო მოწყობის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ კვლავწარმოების პირამიდა ფართოვდება ქვემოდან ზემოთ. იგი, ასე ვთქვათ, დგას თავის მწვერვალზე, რომლის სიახლოვესაც განლაგებულია ენერგორესურსების და ნედლეულის ბაზრები, შემდეგ მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის უფრო ფართო ფენა, და ბოლოს, მასზე მრავალჯერ ჭარბი ფინანსური ბაზრები მომსახურების ბაზრებთან ერთად.

ამასთან, ქვეყნის ხელისუფლების წინაშე მდგარი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობიდან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ამოცანაა, გლობალური ტენდენციებისა და საკუთარი შეზღუდული რესურსების გამოყენებით მიღწეული იქნას:

ადამიანის განვითარების გარემო პირობების გაჯანსაღება;

მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება (მომავალ თაობათა მოთხოვნების გათვალისწინებით);

მთელი ქვეყნის მასშტაბით სივრცობრივი მოწყობისა და საკომუნიკაციო საშუალებების ორგანიზება.

ამიტომ, საჭიროა ეკონომიკური აგრეგატების (ინდიკატორების) ისეთი ზრდა, დოვლათის შექმნისა და განაწილების ისეთი მექანიზმის ფორმირება, რომელიც სოციალური კაპიტალის თანაბარი გამოყენების პირობებში უზრუნველყოფს:

თანამედროვე გლობალურ გარემოში ფუნქციონირებისათვის აუცილებელი არაეკონომიკური მიმართულებების განვითარებას;

შეინარჩუნებს თავის შინაგან მდგომარეობას, კერძოდ, მიაღწევს დინამიურ წონასწორობას მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენებისა და კულტურულ—ისტორიული განვითარების ტენდენციათა შორის.

ეკონომიკა უნდა ქმნიდეს მოსახლეობის თავისუფალი დემოკრატიული განვითარების საერთო პირობებს:

რესურსების ათვისება, ტექნოლოგიების გაუმჯობესება და ადამიანური კაპიტალის სრულყოფა, სოციალური კაპიტალის განვითარება, იმ საერთო ვარაუდით, რომ ადამიანური კაპიტალისა და სოციალური კაპიტალის შექმნა—განვითარებისათვის იხარჯებოდეს არა ნაკლებ მშპ-ს 70%. ასეთი მიზანდასახულობები დამახასიათებელია განვითარებული ეკონომიკებისათვის და იძლევა ქვეყნის შემდგომი სწორი დინამიური განვითარების გარანტიას;

ამავე დროს, ეკონომიკური განვითარება უნდა განვიხილოთ, როგორც საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების საფუძველი, რაც განაპირობებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში ეკონომიკური კრიტერიუმებისა და მექანიზმების ფართო გამოყენებას. ამ თვალსაზრისით, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური კრიტერიუმები საზოგადოების ფუნქციონირების სხვა სფეროებშიც, ანუ იგი უნდა განვიხილოთ, როგორც უკვე შექმნილი დოვლათის გამოყენების ეფექტიანობის მეთოდოლოგია.

ასევე, საინტერესოა ცივილიზაციათა, კულტურათა და ღირებულებათა ურთიერთმიმართებები და ღირებულებათა როლი ეკონომიკის მოდერნიზაციის საქმეში. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ცივილიზაციათაშორისი ბრძოლა ძირითადად ეკონომიკურ სფეროში ვითარდება.

ცივილიზაციას აქვს უნარი სხვა ცივილიზაციური სისტემებისგან ისესხოს იდეოლოგიის ინსტიტუტები და ელემენტები, რომლებიც მათ აძლევს კონკრეტულ უპირატესობას ევოლუციურ ბრძოლაში. იმისათვის

რომ სხვათა გამოცდილებას ეზიარო, უნდა იცოდე მათი ღირებულებების სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები.

ჩვენ ვცხოვრობთ ეკონომიკისა და სამართლის მძაფრი იდეოლოგიური ურთიერთშეღწევის პერიოდში. ერთი მხრივ, ბევრი მეცნიერი ცდილობს გააფართოვოს საბაზრო ეკონომიკური კონცეფციების სფერო და მიდგომები, ყველა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ჩართვით, რომლებიც აგრესიულად იპყრობენ პოლიტოლოგიის, ეთიკის, სოციოლოგიის და სამართლის ტრადიციული გავლენის სფეროებს. ამ სამეცნიერო მიმდინარეობას, რომელსაც ეწოდება „ეკონომიკური იმპერიალიზმი", საფუძვლად უდევს პოსტულატი განაწილების საბაზრო პრინციპების შესახებ, არა მარტო ჩვეულებრივი, შეზღუდული ეკონომიკური რესურსებისა, არამედ განვითარების ისეთი ახალი რესურსებისა, როგორიცაა : სამართალი, გავლენა, ძალაუფლება. უხეშად რომ ვთქვათ, ეს პოსტულატი გამოიხატება შემდეგნაირად: ყველაფერი იყიდება და აქვს განსაზღვრული საბაზრო ფასი. მათ შორის სხვადასხვა უფლებები, ინტელექტუალური შრომის ნაყოფი, არჩევნებზე ხმები, ლობისტური ჯგუფები პარლამენტში და ა.შ. ამგვარად, საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს საზოგადოებრივი არჩევანის, საზოგადოების დემოკრატიული ორგანიზაციის, კანონშემოქმედების ხმის მიცემის, ლობირების და ა.შ. პრობლემების კვლევა.

აქვე გასათვალისწინებელია, საერთაშორისო ინსტიტუტების როლი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ განვითარებაში. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მათი საქმიანობის პოლიტიკისა და შედეგების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისა და, მათ შორის, საქართველოსთვის. იმისათვის, რომ ამაღლდეს და რეალურ შედეგებზე ორიენტირებული გახდეს საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაწეული სხვადასხვა ტიპის დახმარებები, საჭიროა სამთავრობო თუ არასამთავრობო დონეზე, ბიზნესის თუ სამოქალაქო საზოგადოების ასპექტით შეჯერდეს ერთი მხრივ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და მეორე მხრივ, კონკრეტული ქვეყნის პრიორიტეტები.

თუმცა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კვლევის მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ მათ მიერ გაწეული საქმიანობის განხილვა. ამავდროულად უნდა მოხდეს ისეთი რეკომენდაციებისა და მეთოდების შემუშავება, რომელიც წინასწარ შეაფასებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წინადადებებს, ინიციატივებს და პროექტებს. განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში. ამისათვის კი საჭიროა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პრიორიტეტების დადგენა თითოეული ქვეყნისთვის და მათი შედარებითი ანალიზი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ კონკურენტული უპირატესობა ექნება სწორედ იმ ქვეყანას, რომელიც შეძლებს იპოვოს სხვა ქვეყნიდან გადმოღებული და საკუთარი იდეოლოგიური სისტემის ჩარჩოებში ადაპტირებული, მსხვილი, ინსტიტუციონალური მოდელების სწრაფი და ეკონომიკურად ეფექტიანი შეთავსება, აგრეთვე, დანერგოს ისინი ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით და მასობრივი ინფორმაციის უახლესი საშუალებებით, ინტერნეტის ჩათვლით. დანერგვის მიზნებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა დონის განათლების სისტემა, კულტურის დაწესებულებები, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და ხელოვნების ცალკეული სახეები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შენგელია თ. მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზ-ნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი, თბ.,გამომცემლობა „უნივერსალი" 2015.
2. ვეშაპიძე შ. - ,,კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები'' (თბ., 2012)
3. ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2009.
4. თოდუა გ., ვეშაპიძე შ. მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2001
5. R. Robertson - Globalization: Social theory and global culture (L. Age 1992).

უცხოური ინვესტიციების რეგულირება საქართველოში

დავით მახვილაძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა კომპლექსურ სისტემაში, ინვესტიციები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობას, მუდმივ განახლებასა და დამოუკიდებლობას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის იდეა და მეთოდები, რომელსაც სახელმწიფო იყენებს საინვესტიციო პროცესების დასარეგულირებლად.

დღეისათვის არსებული მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის სწრაფი ტემპის გათვალისწინებით, შეიძლება ეჭვგარეშე ითქვას, რომ უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენენ განვითარებადი ქვეყნების და მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზე.

ბოლო წლების ტენდენციების მიხედვით, მსოფლიო საინვესტიციო პოლიტიკა მიმართულია განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციათა ნაკადების ზრდისკენ. ასეთპირობებში საჭიროაუცხოური ინვესტიციების მოზიდვისკენ მიმართული "აგრესიული პოლიტიკის" განხორციელების გზით არსებული შესაძლებლობის ოპტიმალური გამოყენება. სწორედ ამიტომ, ყურადღება უნდა გამახვილდეს საინვესტიციო გარემოს განმაპირობებელი და წამყვანი, პოტენციური ინვესტორებისათვის მიმზიდველი ფაქტორის - სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო პროცესების რეგულირების ეფექტური მოდელის შეთავაზებაზე.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციების რეგულირება, ერთიანი სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, ინვესტიციების მოზიდვის აგრესიული პოლიტიკა, ინვესტიციების მხარდამჭერი ფაქტორები, საინვესტიციო პროცესების რეგულირების ეფექტური მოდელი.

Foreign Investment Regulation in Georgia

Davit Makhviladze, *PHD Student of Gtu*

Summary

Economic security and economic development of Georgia of the complex system of measures, investment is one important factor that contributes to the stability of the national economy, the constant renewal of independence. In this regard, what is important is the idea and the ways in which the state uses to regulate the investment processes.

The current world economic globalization, the rapid pace of, can be said without any doubt that the most significant impact on foreign investment in developing countries, including the Georgian economy.

Recent trends in the world of investment policy focuses on investment flows to developing countries to enhance growth. In such circumstances, it is necessary to attract foreign investment towards "aggressive" policy enforced by the possibility of optimal use. Therefore, attention should be paid to the investment environment and the leading cause factor attractive to potential investors - investment by the state to regulate the processes offer an effective model.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში საინვესტიციო პროცესების ეფექტური რეგულირება და ამ თვალსაზრისით პოზიტიური შედეგების მიღწევასახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. აღნიშნული მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების სწრაფ ზრდას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, რადგან უცხოური კაპიტალდაბანდება დამატებით პირდაპირ და თანმდევ მოთხოვნას ქმნის ეროვნულ ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს ფინანსური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია. აქვე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის რისკები, რომელიც შესაძლოა არამარტო ინვესტორის, არამედ ინვესტიციის მიმღები (რეციპიენტი) ქვეყნის ინტერესებს შეეხოს. ეს უკანასკნელი, სხვადასხვა სიმწვავით, დასაშვებია გამოიხატოს შემდეგში, როდესაც საქართველოს შედარებით სუსტი კაპიტალი ვერ დაუპირისპირდეს მასშტაბური უცხოური ინვესტიციების ზემოქმედებას და ამასთან, უცხოელმა ინვესტორმა არ გაითვალისწინოს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტერესები. სწორედ ამიტომ, საქართველოში უცხოური ინვესტიციების რეგულირება უნდა განხორციელდეს იმ პირობებში, როდესაც, ეროვნული ეკონომიკის ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული და ასევე დაცული იქნება არარეზიდენტი ინვესტორის გონივრული ინტერესიც.

პოზიტიურ შედეგზე ორიენტირებული უცხოური ინვესტიციების რეგულირების ტვირთი არ შეიძლება განხილულ იქნეს კონკრეტული ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ან თანამდებობის პირის კომპეტენციად, ისევე როგორც - კონკრეტული სამართლებრივი აქტის რეგულირების საგნად, რა იერარქიის აქტიც არ უნდა იყოს ის. ამ მიზნით საჭიროა გაერთიანდეს უმაღლესი ხელისუფლების ყველა შტოს სუბიექტი და კონსტიტუციით განსაზღვრული კომპეტენციის მკაცრად დაცვის პირობებში, შეიმუშავ-

ონ ერთიანი სახელმწიფო საინვესტიციო"პოლიტიკა", რომელშიც დაცული იქნება ეროვნული ეკონომიკის გონივრული ინტერესი და პარალელურად იქნება კონკურენტული სხვა პოტენციურ რეციპიენტ ქვეყნებთან მიმართებაში. შეთანხმებული და ურთიერთგაზიარებული "პოლიტიკის" გასატარებლად:

1.საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს შესაბამისი, ყოვლისმომცველი საკანონმდებლო აქტი;

2.აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცედურები, განახორციელოს ხელშემწყობი ღონისძიებები, მოიძიოს დამატებითი ბაზრები;

3.სასამართლო ხელისუფლებამ უნდა დახვეწოს სამართალწარმოების პროცესი, დაადგინოს კერძო საკუთრების დაცვის ერთიანი და სტაბილური სასამართლო პრაქტიკა.

ასევე, შესაძლებელია, რომ კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტული საინვესტიციო მიმართულებები (მაგ.: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ჯანდაცვა, მომსახურების სექტორი და ა.შ.), სადაც წინასწარ დაწესებული ქვედა ზღვარს ზევით განხორციელებული ინვესტიციების ავტორები დამატებითი ხელსაყრელი პირობებით ისარგებლებენ.

დღეისათვის, საქართველოში ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში მოცემული ნორმებით.

საკანონმდებლო აქტით არის დარეგულირებული სსიპ — საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სპეციალური უფლებაუნარიანობა. "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" საქართველოსკანონით რეგლამენტირებული სააგენტოს მიზანი არის ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა და ინვესტიციების მხარდაჭერა. ამ მიზნის განსახორციელებლად, საკანონმდებლო აქტშივეა განსაზღვრული სააგენტოს ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომელთაგან გამოვყოფთ: ა) საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული პირის სათანადო ინფორმაციითა და სარეკომენდაციო მომსახურებით უზრუნველყოფას; ბ) საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს საინვესტიციო გარემოს ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობას; გ) საქართველოში ინვესტიციების, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას.

"ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობას აკისრებს ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფის ვალდებულებას და ამ მხარდაჭერის სფეროში მთავრობის წარმომადგენლად განსაზღვრავს სწორედ ზემოაღნიშნულ სსიპ - საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს, რომელსაც, თავის მხრივ, უფლება აქვს იყოს ინვესტორის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში.

"ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონი გარდა ზემოთქმულისა, ითვალისწინებს "წინასწარი ლიცენზიის ან/და ნებართვის გაცემის წესს" და პროცედურებს, ასევე — "განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების ხელშემწყობ რეჟიმს".

"საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონი, საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობაში, უცხოელ ინვესტორს ანიჭებს საქართველოს რეზიდენტი ინვესტორის ანალოგიურ უფლებებს და გარანტიებს. აღნიშნული კანონი, უცხოელ ინვესტორს, დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის შემდეგ, მიღებული მოგების და სხვა ფულადი სახსრების საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლებას რთავს. მას უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.

გარდა ზემოთთქმულისა, "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს აკრძალვებსა და შეზღუდვებს ინვესტიციის განხორციელების სფეროში, კერძოდ: ა) მითითებულია მიმართულებები, რომელთა საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება აკრძალულია; ბ) მითითებულია მიმართულებები, სადაც ინვესტირება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთვის; გ) მითითებულია მიმართულებები, სადაც მართვის უფლების მინიჭების გარეშე, საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება დასაშვებია უცხო ქვეყნის და კერძო ინვესტორებისათვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით "ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ, ინვესტიციის ფარგლებში აშენებული სასტუმროს გასხვისების შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე, 2026 წლის 1 იანვრამდე: ა) ამ სასტუმრო მომსახურების გაწევით მიღებული მოგების გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება; ბ) სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება, ქონების გადასახადიდან გათავისუფლებულია. აღნიშნული შეღავათები იარსებებს, თუ ახალი მესაკუთრე გააგრძელებს სასტუმროს ფუნქციონირებას.

საქართველოში ტურიზმის განვითარებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით, "თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონი, ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს.

ასევე მნიშვნელოვანია "ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული, საქართველოს ტერიტორიაზე ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და ამ ინვესტიციების დაცვის გარანტიები, აგრეთვე ინვესტორისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები (მაგ: დღგ-ისა და იმპორტის გადასახადისგან გათავოსუფლება).

ამ სამართლებრივი ნორმების გაანალიზებით იკვრება გარკვეული ლოგიკური წრე და საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო დონეზე, არაერთი მასტიმულირებელი ფაქტორია დადგენილი, რომელიც უბიძგებს, როგორც რეზიდენტ, ისე არარეზიდენტ ინვესტორს დაინტერესდეს საქართველოში კაპიტალდაბანდებით. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არაერთი წარმატებული რეფორმისა, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოებები, რომელიც დისკომფორტს შეუქმნის პოტენციურ ინვესტორს მასშტაბური ინვესტიციების განხორციელებაში. აღნიშნული დამაბრკოლებელი გარემოებების მხოლოდ ნაწილია:

1. არასტაბილური სასამართლო პრაქტიკა და სამართალწარმოებაში განსხვავებული პროცედურული გადაწყვეტილებები. ეს საკითხი სავარაუდოდ მწვავედ მოქმედებს პოტენციურ ინვესტორზე, რადგან კერძო საკუთრების დაცვის რეალური გარანტია არის კანონი, რომლის რეალიზება, დავის არსებობის პირობებში, სწორედ სამართლიანი სასამრთლოს კანონიერი გადაწყვეტილებით ხდება შესაძლებელი.

2. დღეს არსებული კერძო სადაზღვევო სისტემა, სადაც სადაზღვევო ბაზრის ძირითადი მოთამაშეების კომერციული ინტერესი გაცილებით აღემატება დაზღვევით დაინტერესებული პირის გონივრულ ინტერესს. ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია განსაკუთრებით ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის სექტორით დაინტერესებული ინვესტორისათვის.

3. გასაღების ბაზრების სიმწირე, რაც განაპირობებს მასშტაბური ინვესტიციის პირობებში მიწოდებასთან შეუსაბამოდ მცირე მოთხოვნას.

ამ სტატიაში აღნიშნული და სხვა პრობლემური მიმართულებები, ასევე საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების დამაბრკოლებელი გარემოებები საჭიროებენ ღრმა ანალიზს და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, რომლის სამიზნე შედეგი უნდა იყოს საქართველოში უცხოური ინვესტიციების რეგულირების დღეს არსებული მოდელის გაუმჯობესება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყოქიაური ლ. საინვესტიციო საქმე, სახელმძღვანელო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2010.
2. ქოქიაური ლ. საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.
3. "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონი;
4. "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონი.
5. "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონი.
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
7. "თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონი.
8. "ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონი.

საერთაშორისო სალიზინგო მომსახურების და ქართულ სალიზინგო ბაზარის შედარებითი ანალიზი

დავითი პიტიურიშვილი, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

დღეისათვის, როცა მსოფლიო წარმოებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საწარმოთა ძირითადი საშუალებებით აღჭურვას და წარმოების პროცესში ბევრი ფირმა შეიძლება ითქვას, რომ ეჯიბრება კიდეც ერთმანეთს წარმოების გადაიარაღებასა და საწარმოო ნოვაციების დანერგვაში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წარმოების საშუალებათა (როგორც საგადასახადო კოდექსი უწოდებს-ძირითად საშუალებათა) განახლებასა და ახალ-ახალი დანადგარების დროის შედარებით მცირე ინტერვალებით შეძენას. ამ მხრივ, სალიზინგო მომსახურება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმიანობას წარმოადგენს, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განვითარებული მსოფლიოს მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორი.

საქართველოს სალიზინგო ბაზარი დაბალ დონეზეა განვითარებული. ლიზინგით არ ფინანსდება ის სეგმენტი, რომელიც უნდა ფინანსდებოდეს. (უცხოურ ბაზარზე დაყრდნობით ვიძახით ამას). საერთაშორისო და ქართული სალიზინგო ბაზრების შედარებისას გამოიკვეთა რამოდენიმე ფაქტი, რაც შეიძლება შემაფერხებელ გარემოებად მივიჩნიოთ საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ლიზინგი, ლიზინგის მიმღები, მომწოდებელი, ლიზინგის გამცემი, ლიზინგი

Comparative Analysis of International Leasing Service and Georgian Leasing Market

Daviti Pitiurishvili, *PHD Student of Gtu*

Summary

Nowadays, while in a world of manufacturing there is paid a special attention to the capital asset equipment of enterprises,we might say that in the process of production a plenty of enterprises are competing in an implementation of manufacturing innovations and enterprise re-equipment, the special importance is given to the renewal of manufacturing facilities (due to tax code called – fixed assets) and the purchases of new equipmentat small intervals.In this regard, leasingservice is one of the most important and for this the small and medium business sector of developed world pays a special attention to this activity.

The Georgian Leasing market is less developed. The lease financing segment is not funded (relying on foreign market statistics). While comparing the Georgian and international lease markets, there were reviled several factors, which might be considered as impending factors for Georgia.

Keywords: Leasing, Lessee, Supplier, Lessor.

* * * * * *

ლიზინგი არის სამმხრივი მომსახურება. ამ მომსახურების პროცესში მონაწილე მხარეები არიან: სალიზინგო კომპანიები, მომწოდებლები და ლიზინგის მიმღებები. იგი არის ერთგვარი სამკუთხედი, სადაც თითოეული მონაწილის როლი მნიშვნელოვანია. აუცილებელია, რომ სამკუთხედის სამივე მხარე ვითარდებოს, რათა იგი შეკრული და ძლიერი იყოს. ლიზინგის სუბიექტები არიან მხარეები, რომლებიც მონაწილეობენ სალიზინგო ურთიერთობებში:

1. ლიზინგის საგნის მომწოდებელი - საწარმოო სიმძლავრეების მწარმოებლები ან მომწოდებლები. ლიზინგის მომწოდებლად გვევლინებიან უშუალო მწარმოებლები ან სავაჭრო კომპანიები.
2. ლიზინგის გამცემი - მხარე, რომელიც ყიდულობს ძირითად საშუალებებს მომწოდებლებისგან და ხდება მისი მესაკუთრე, ხოლო შემდეგ გადასცემს ლიზინგის მიმღებს იჯარით, გარკვეული ვადით.
3. ლიზინგის მიმღები - მხარე, რომელიც იღებს საწარმოო სიმძლავრეებს ლიზინგის გამცემისგან იჯარით გარკეული ვადითა და პირობებით.

საერთაშორისო სალიზინგო მომსახურების და ქართულ სალიზინგო ბაზარის შედარებითი ანალიზი

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება ბიზნეს სესხზე მოთხოვნა. ეს თანხები ხშირ შემთხვევაში მიმართულია: საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად, (ნედლეულის ან მარაგების შევსება) ბიზნესის გაფართოების დასაფინანსებლად (ფიქსირებული აქტივების შეძენა, ან არსებულის გაუმჯობესება). ბიზნესის დასაფინანსებლად რამოდენიმე ალტერნატიული საშუალება არსებობს. ესენია: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სალიზინგო კომპანიები. საქართველოში, თითოეულ სეგმენტს თავისი მომხმარებელი ჰყავს. ლიზინგი ძირითადი საშაულებების დაფინანსების ალტერნატიული საშუალებაა. მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში სალიზინგო მომსახურება საგრძნობლად იზრდება. განვითარებად ქვეყნებში, ძირითადი კაპიტალის განახლებისთვის საჭირო ინვესტიციების 3-15 % ლიზინგით ფინანსდება, განვითარებულ ქვეყნებში, კი ეს მაჩვენებელი 30%-ს აღწევს. საქართველოში, რომელიც წარმოადგენს განვითარებად ქვეყანას, ლიზინგით ფინანსდება

მთელი აქტივების დაახლოებით 2%, დანარჩენი 98 % ძირითადი საშუალებების შეძენისას სარგებლობს საბანკო ან მიკროსაფინანსო სესხით ან საკუთარი ფინანსური სახსრებით. პრობლემა, რაზეც ჩვენ გვსურს საუბარი, ეხება საქართველოს სალიზინგო ბაზრის განვითარების დაბალ დონეს. ლიზინგი, როგორც საერთაშორისო სალიზინგო კომპანიების მომსახურებოდან ირკვევა, იაფი და მარტივი დაკრედიტების საშუალებაა. განსაკუთრებით დიდი მომხმარებელი, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებში ყავს. ლიზინგის საშუალებით ფინანსდება ისეთი ბიზნესები, რომელთაც არ აქვთ საჭირო რესურსი საბანკო სესხის მისაღება. არსებული გარემოებები გვაძლევს გონივრულ საბაბს, რომ საქართველოს ბიზნეს ინდუსტრიას ამგვარი დაკრედიტების საშუალება მნიშვნელოვნად წაადგება. მოკლედ რომ გადავავლოთ საქართველოს სალიზინგო ბაზარს თვალი დავინახავთ არსებულ პრობლემებს. ჩვენს ქვეყანაში, 13-14 წელია, რაც ლიზინგით დაფინანსება არსებობს, მაგრამ საქართველოს ბაზრის მხოლოდ 2%-ს აფინანსებს, ეს ნამდვილად არის პრობლემა. მნიშვნელოვანია კიდევ იმის აღნიშვნა, რომ საერთაშორისო სალიზინგო კომპანიების ძირითადი მომხმარებლები, მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორია. რამოდენიმე მიზეზი შეიძლება დასახელდეს, თუ რატომ არის ლიზინგი საქართველოში ასე მცირედ მოხმარებადი.

1. დაბალი ცნობადობა- ლიზინგი საქართველოში ჯერ კიდევ ახალ პროდუქტად ითვლება, მეწარმეების უმეტესობამ არ იცის რა პროდუქტია და რას სთავაზობს მომხმარებელს ლიზინგი. საქართველოში არსებული ოთხი დიდი სალიზინგო კომპანიიდან ორი არის ბანკის შვილობილი კომპანია. ამიტომ მომხმარებელი აიგივებს საბანკო მომსახურებასთან და შესაბამისად საბანკო სესხსა და სალიზინგო მომსახურებას შორის განსხვავებსაც ვერ ხედავს.

2. ძვირი მომსახურება- მეწარმეებს, რომელთაც აქვთ ზედაპირული ინფორმაცია სალიზინგო მომსახურების შესახებ და პირდაპირ საპროცენტო განაკვეთს ადარებენ ერთმანეთს, ფიქრობენ რომ სალიზინგო მომსახურება ძვირია .პირდაპირ ამ კუთხით თუ შევხედავთ საშუალოდ საბანკო ბიზნეს სესხი 12% ია, სალიზინგო მომსახურება 16%, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხი კი 36%. მაგრამ ეს პროცენტებიც ცვალებადია კომპანიის რისკიანობიდან გამომდინარე. ლიზინგი, როგორც ძირითადი საშუალებების დაფინანსების წყარო, საგადასახდო შეღავათების მიღების საშუალებას აძლევს მომხმარებლებს და შესაბამისად საბოლოო ჯამში აღარც ისეთი ძვირის გადახდა უწევს როგორც ეს მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის შედარებისას ჩანს. მიუხედავად არსებული საგადადასახადო შეღავათებისა, ცალსახად ჩანს რომ საქართველოში სალიზინგო მომსახურება კონკურენციას ვერ უწევს საბანკო სესხს.

საერთაშორისო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ლიზინგი, თავისი რთული სტრუქტურით შეღავათიანი დაფინანსების წყაროა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის. ამ ფაქტს მოწმობს არაერთი კვლევა, რომლებსაც ატარებენ თვითონ სალიზინგო კომპანიები და ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. საინტერესოა იგივე ეფექტი აქვს თუ არა, საქართველოშიც სალიზინგო მომსახურებას და მცირე და საშუალო ბაზარს ეხმარება თუ არა განვითარებაში. იმისათვის, რომ უკეთ იქნეს განხილული სალიზინგო მომსახურება, საჭიროდ ჩავთვალეთ მიმოგვეხილა უცხოური სალიზინგო ბაზარიც. საერთაშორისო სალიზინგო კომპანიების სალიზინგო მომსახურება და უპირატესობები სხვა ალტერნატიულ დაკრედიტების საშუალებებთან შედარებით. რა თქმა უნდა შევეხებით, ქართულ სალიზინგო ბაზარს, შევისწავლით ქართულ „ლიზინგს“, საქართველოში რა მომსახურებას სთაზობენ სალიზინგო კომპანიები მომხმარებლებს, ვინ არიან სალიზინგო კომანიების მომხმარებელები და რა ტემპებით ვითარდება საქართველოს სალიზინგო ბაზარი. ძირითადი აქცენტი გაკეთდება ლიზინგის საგადასახადო მხარეზე, რადგან სწორედ ამ კუთხით განსხვავდება ლიზინგი, სხვა ალტერნატიული დაფინანსების წყაროებისგან. ჩვენს მიერ, ძირითადად განხილული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ლიზინგის ძირითადი მომხმარებლები, ასევე შევეცდებით დაგანახაოთ, მცირე და საშუალო ბიზნესის როლი, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

საერთაშორისო სალიზინგო ბაზარი განვითარების პიკს აღწევს, დღითი დღე იზრდება სალიზინგო კომპანიების რაოდენობა და მათი მომხმარებლები უცხოეთში. ასევე იზრდება ძირითადი საშუალებების წარმოება და შესაბამისად მათი მომხმარებლების რაოდენობა. საერთაშორისო სალიზინგო კომპანია ორი სახის არსებობს. პირველი: დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანია. როდესაც ნებისმიერი მომწოდებლისგან ყიდულობს სალიზინგო კომპანია ძირითად საშუალებას და შემდეგ გადასცემს მომხმარებელს ამ აქტივს. ასეთი სალიზინგო კომპანიები არსებობენ საქართველოშიც, სწორედ ესარის ის სამმხრივი ურთიერთობა, რომლითაც ლიზინგი ხასიათდება, ასევე არსებობს მეორე სახის სალიზინგო კომოანია, ეს არის საწარმო და მასთან დაკავშირებული სალიზინგო კომპანია, რომელთაც საერთო მმართველობა ყავთ. ანუ თვითონ ტექნიკის მწარმოებელი ეწევა სალიზინგო მომსახურებასაც, მხოლოდ მშობელი მწარმოებლისგან ალიზინგებს აქტივებს.

საერთაშორისო სალიზინგო ბაზარზე სალიზინგო საზღაურები მორგებულია კომპანიის საქმიანობას, ზომას. არსებობს სამი სახის სალიზინგო საზღაური: მზარდი, კლებადი და უცვლელი საზღაურები. თითოელ მიდგომას საკუთარი მომხმარებელი ყავს. მცირე ბიზნესებს, დამწყებ ბიზნესებს ძირითადად ურჩევნიათ მზარდი სალიზინგო საზღაური. იწყება მცირე გადახდებით და პერიოდის ბოლოს იმატებს. ეს ფატქი მათ ხელს უწყობს ბიზნესის ამუშავებაში და პროცესში ჩართვაში. საწყის ეტაპზე „cash out” ნაკლები აქვთ. არსებული ბენეფიტი არ აქვს საბანკო

სესხს. ძირითადად საბანკო სესხის პროცენტი საგადახდო გრაფიკში, პერიოდის დასაწყისში მაღალია და შემდგომ იკლებს. კვლევის ჩატარების დროს, საქართველოს სალიზინგო კომპანიებთან, ამასაც გავარკვევთ სთავაზობენ თუ არა მომხმარებლებს ამ სერვისს.

კიდევ ერთი უპირატესობა რაც საერთაშორისო სალიზინგო კომპანიებს აქვთ არის: „Software Leasing". დღეს-დღეისობით პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე ბიზნესის განვითარება შეუძლებელია. კარგად გამართული პროგრამა ფინანსური რისკებისგან, ხარვეზებისგან იცავს კომპანიებს. საქართველოში ნელ-ნელა აქტუალური ხდება ეს ტენდენცია და უფრო და უფრო მეტი კომპანია უზრუნველყოფს თავის ბიზნესს სათანადო პროგრამებით. სალიზინგო კომპანიებმაც რომ შეთავაზონ მსგავსი პროდუტქი მომხმარებლებს არ იქნება ურიგო. მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ხდება საქართველოში იგივე პროდუქტის შეთავაზება არის, ის რომ საქართელოს საგადასახადო კოდექსი არ გვაძლევს ამის საშუალებს. კოდექსში წერია, რომ ლიზინგით გაიცემა მხოლოდ მატერიალური აქტივები. არამატერიარული აქტივების, რომლებსაც არ ერიცხება ცვეთა, ლიზინგით გაცემა არ შეიძლება. ვინაიდან და რადგანაც პროგრამული უზრუნველყოფა არამატერიალური აქტივია, მისი ლიზინგით გაცემა შეზღუდულია. უცხოურ მაგალითებზე ვნახეთ, რომ სალიზინგო მომსახურების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის სახელმწიფოს. სახელმწიფოს ჩარევით ხდება ლიზინგისთვის სწორი და გამართული კანონმდებლობის შერჩევა, რათა სალიზინგო მომსახურებაში მონაწილე ყველა სუბიექტი თანაბარუფლებიანი იყოს. უცხოურ მაგალითებზე ასევე ჩანს, რომ ლიზინგი, როგორც მარტივი და იაფი დაფინანსების წყარო ხელმისაწვდომი იყო და არის მცირე და საშუალო ბიზნესის მქონე პირებისთვის. შესაბამისად ზემოთ ხსენებული სექტორის განვითარება და სალიზინგო ბაზრის განვითარება პირდაპირკავშირშია. დღევანდელ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტემპებიც შესუსტებულია, ვერც ლიზინგია მოწოდების სიმაღლეზე, ვერ ქმნის სათანადოდ მიმზიდველ პროდუქტს და ცალსახად ვერც სახელმწიფოს დააბრალებ ყველაფერს. ეს იმდენად გადაბმული ჯაჭვია, რომ სამივეს ჩართულობა, სამივე მხარის მონდომება და წინსვლაზე, გარკვევულ დათმობებზე წასვლის გარეშე არაფერი გამოუვათ.

დასკვნა

საქართველოს ბაზარზე არსებული კომპნაიების უმეტესობა ძირითადი საშუალებების განახლებას, გადაიარაღებას მხოლოდ დანადგარის მწობიდან გამოსვლის შემთხვევაში ახერხებს. ის კომპანიების რაოდება, რომლებიც ფიქსირებულ აქტივებს ცვლიან, ძალიან ცოტაა. შესაბამისად ლიზინგით მომსახურება უმეტეს კომპანიებს იშვიათად ჭირდებათ.

გამოიკვეთა, ის ფაქტი, რომ ლიზინგი ძვირი მომსახურებაა, რეალურად ისეთი ძვირი არ არის როგორც ამას მომხმარებელი აღიქვამს. საბანკო სესხთან შედარებით საპროცენტო განაკვეთი, რამოდენიმე პროცენტით მაღალია, მაგრამ თუ შევადარებთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ამ დროს ნამდვილად აღმოვაჩენთ, რომ ლიზინგი იაფი დაკრედიტების წყაროა.

საქართველოში ბიზნეს ხშირ შემთხვევაში მართავს არაკომპეტენტური პირი, ზოგადად საქართველოს მენეჯმენტს აქვს პრობლემა. არ აქვთ აკმარისი განათლება, არ აქვთ მენეჯერისთვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებები, რომლის გარეშეც ძნელია, თითქმის წარმოუდგენელია სწორად მართო კომპანია. ამ მოსაზრებას ამყარებს, ჩვენი კვლევა, საიდანაც ჩანს, რომ დაფინანსების მოპოვებისა და არჩევის პროცესში, ასევე აქტივის შეცვლის პროცესში ჩართულები და გადაწყვეტილების მიმღებები არიან დამფუძვნებლები. ანუ არ ხდება საქმეების სათანადოდ გადაბარება.

მნიშვნელოვანია, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ მოძველებული ტექნიკითა და მოძველებული ინფრასტრუქტუტით, კონკურენტულ ნაწარმს ვერ შექმნიან, ვერ გაუწევენ კონკურენციას საერთაშორისო ბაზარს, ვერ გახდებიან ტურისტებისათვის მიმზიდველნი.

საერთაშორისო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ლიზინგს აქვს ერთ-ერთი დადებითი თვისება „flexible"-მორგებული, ანუ სალიზინგო მომსახურება ერგება მომხმარებლის მდგომარეობას. იგივე უნდა ხდებოდეს საქართველოშიც, ამით სალიზინგო კომპანიები შეძლებენ მოიზიდონ მეტი მომხმარებლები და კამყოფილების დონეც გაზარდონ. განსაკუთრებით მცირე და საშალო ბიზნეს ჭირდებათ მორგებული საგადახდო გრაფიკები, რადგან ბიზნესის დაწყების პროცესში მაღალ საზღაურებს ვერ გადაიხდიან. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ კი შესაძლებელობა ექნებათ, გადაიხადონ სრული თანხა.

USAID-ის მიერ საქართველოში ჩატარდა კვლვევა სალიზინგო ბაზრის 2011 წელს. ამ კვლევის რეკომენდაციებშიც მკაფიოდ არის დასკვნა გაკეთებული, რომ საქართველოს სალიზინგო ბაზარი ფოკუსირებული უნდა იყოს მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორზე.

ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაცია არის ის რომ სალიზინგო კომპანიებმა მომხმარებლებს უნდა შეთავაზონ ახალი პროდუქტები, ასევე უნდა იყვენენ ჩართულნი სხვადასხვა პროგრამებში. პრიორიტეტი კი მაინც საპროცენტო განაკვეთის შემცირება რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამსახურდია, გ. (2002). მსოფლიო ფინანსები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. გველესიანი, რ. (1999). მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბილისი
3. გოგიაშვილი, ო. (2009). მცირე და საშუალო ბიზნესების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. თბილისი
4. კაკულია, რ. ხელაია, ხ. (2000),ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბილისი
5. კოვზანაძე, ი. კონტრიძე გ. (2005) თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, ლიზინგი: გუშინ, დღეს, ხვალ.
6. მაღლაკელიძე, თ. ჯგერენაია, ე.(1996) ლიზინგის საერთაშორისო გამოცდილება და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის
7. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა სქართველოში. (2012). აღმოსავლეთის პარტნიორობა
8. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.(2009), პროექტის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა
9. სმიტი ა.(1983) გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შახებ
10. ყამარაული ს. (2002), უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი, თბილისი

საქართველოს ერთიანი სატრანზიტო სივრცე და აბრეშუმის გზის როლი ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაში

ეკატერინა ზაქარაძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

"აბრეშუმის გზა" არის ერთ-ერთი უძველესი გზა დღევანდელ სამყაროში. ეს არის შესაძლებლობა, ტრანზიტორმა ქვეყანამ მიიღოს დამატებითი სარგებელი და გააძლიეროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი.

საქართველო ანტიკური დროიდან შედიოდა სართაშორისო-საკომუნიკაციო ქსელში და წარმოადგენდა ხიდს ევროპასა და აზიას შორის. საქართველოზე გამავალი მაგისტრალის მნიშვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც ტრანსკავკასიური მაგისტრალის რეალური პერსპექტივების შესწავლა და რეგიონის სატრანზიტო შესაძლებლობების გამოკვეთა მოხერხდა. მეოცე საუკუნეში, დასავლეთი კვლავ ალაპარაკდა ისტორიული "აბრეშუმის გზის" რეაბილიტაციაზე და დღის წესრიგში დააყენა მისი აღდგენის იდეა. ამ უკანასკნელმა, კი ბუნებრივია, ისედაც აქტუალური გახადა საქართველოს საკომუნიკაციო ფუნქცია და იგი ევროპის სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცა. [1]

საკვანძო სიტყვები: აბრეშუმის გზა; ტრანსკავკასიური მაგისტრალი; ერთიანი სატრანზიტო სივრცე; ტრასეკა.

Единое транзитное пространство Грузии и роль „шелкового пути'' в социально-экономическом развитии государства

Екатерина Закарадзе

"Шелковый путь''- является одним и старейших путей в нынешнем мире, что является возможностью для транзитных стран получать дополнительные выгоды и увеличить социально-экономический потенциал отдельно взятой страны. С античных времен Грузия входила в международную коммуникационную сеть и представляла собой переправу между Азией и Европой. Роль магистрали проходящей через Грузию возросла в результате изучения реального потенциала Транскавказскои магистрали и выявления транзитных возможностей кавказского региона. В 20 веке западные страны вновь заговорили о реабилитации исторического шелкового пути и идея о восстановлении внесена в повестку дня правительства. Эти события,естественно, вновь активировали грузинские коммуникационные функции,которые в свою очередь являются сферой стратегических интересов Европы.

Ключевые слова: Шелковый путь; транскавказская магистраль; единое транспортное пространство; ТРАСЕКА

ინტეგრაცია ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, ნაკლებ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან საქართველოს ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში მრავალწლიანი თანაცხოვრების სართო გამოცდილება გააჩნია. თანამედროვე პირობებში, აბრეშუმის გზის აღდგენას ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ სატრანზიტო დერეფნის გასწვრივ მდებარეობამ საქართველოს ე.წ "სატრანზიტო ჰაბის" ფუნქცია დაუმკვიდრა, მასზე გამავალი საერთაშიროსო პროექტები (ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-არზრუმის მილსადენები და პერსპექტივაში ნაქუკო) განიხილება როგორც ევროპის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევროკავშირის ევროპის გაფართოების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი. რაც, რათქმა უნდა, მაქსიმალურად ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისთვის და სახემწიფოებრიობის ყველაზე მყარ გარანტიას წარმოადგენს . [2]

გარდა იმისა, რომ ტრასეკის პროეტში სრულფასოვნად ჩაერთო სახელმწიფო, რომელიც თავის ინტელექტუალური, სამრეწველი თუ სანედლეულო რესურსებით ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოში, ამით მდინარე დუნაის აუზის სახელმწიფოები, ანუ პრაქტიკულად მთელი ცენტრალური ევროპა უმოკლესი გზით დაუკავშირდება ამიერკავკასიას და ცენტრალურ აზიას. [3]

საქართველო დიდი იმედს ამყარებს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანზე. ახალი აბრეშუმის გზის აღორძინებაზე და კავკასია-ევრაზიის საერთო ბაზრის შექმნაზე. [4] ევროპა-კავკასია-აზიის საერთო ბაზრის გზა აერთიანებს მსოფლიო ხალხებს, სხვადასხვა რელიგიის, ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლებს. ეს არის მომავლის გზა, რომელიც ასევე აერთიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავლის გზას, რომელიც ქვეყნის სტაბილურობის მომტანი იქნება. [5]

ინტენსიური საერთაშორისო ეკონომიკის ინტეგრაციის ფონზე იზრდება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა, რაც განპირობებულია ქვეყნის განვითარებაზე გლობალიზაციის ეფექტებით. სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სწორად ფორმირება და წარმართვა საშინაო და საგარეო მიზნების მიღწევას უწყობს ხელს და ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებას კიდევ უფრო მეტ აქტუალურიბას სძენს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და მოსახლეობისთვის განვითარებული ქვეყნების მსგავსი ცხოვრების რეალური გარანტიების შექმნა, რაც მიიღწევა დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი და მსოფლიო კავშირებში ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებით. [6]

გეოპოლიტიკა, თანამედროვე ხედვით, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ახლებურად გაგებული თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომლის გეოგრაფიული ფაქტორის, ეროვნული ინტერესების, პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების, პოლიტიკური პროცესებისა და საერთაშორისო კრიზისების რეგულირების კომბინირებლ ანალიზს ეფუძნება. [7]

რეგიონალიზაციის ტენდენციამ, დღეს, მსოფლიოში ფართო მასშტაბები შეიძინა. მსოფლიო და რეგიონები ქმნიან საუკეთესო საფუძველს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისთვის. ეს პროცესი ხელს უწყობს სახელმწიფოთა ინტეგრაციას თითოეული სახელმწიფოსთვის სუვერენული უფლებამოსილების შენარშუნების პირობებში. [8]

ქვეყნის ეროვნული წარმოებისა და საშინაო ბაზრის როლის ამაღლების, ენერგორესურსებით უზრუნველყოფის, საექსპორტო პოტეციალის ამაღლების, ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბების, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის, ტურიზმის განვითარების და სხვა პრიორიტეტების რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორის განვითარებას, რომელიც ამ ეტაპზე თავად არის ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის უნმიშვნელოვანესი პრიორიტეტი.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტის რეალიზაცია შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და მის თანმიმდევრულ განხორციელებას მოითხოვს. Ქვეყნის ეკონომიკური ზრდა გარკვეულწილად დამოკიდებულია საქართველოს ტერიროტიაზე გამავალი ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ქმედითობაზე. მისი მეშვეობით სატრასნპორტო ტვირთნაკადების მოზიდვის უზრუნველყოფაზე და ამის შედეგად ქვეყნის სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის და შავი ზღვის ნავსადგურების გამოყენების ეგექტიანობის ამაღლებაზე.

საგარეო-ეკონომიკური კავშირების და სოციალური სფეროს განვითარებამ გამოიწვია ტრანსპორტისა და კომუნიკაციების დარგის, როგროც მომსახურე ინფრასტრუქტურის დარგის განვითარება. ისეთი მნიშვენლოვანი პროექტების განხორციელება, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენისა და ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშნებლობა, რომელიც ევროპას ყაზახეთთან და ჩინეთთან დააკავშირებს, მიუთითებს ამ სუბიექტების ინტერესებზე და ქვეყნის სტრატეგიულ ორიენტაციას.

P პროექტის თანახმად, საქართველო (სატრანსპორტო გადასახადის სახით) მიიღებს ტრანსპორტირებული აირის 5 %, რაც წელიწადში 1.5 მილიარდი $მ^3$ შედგენს. ასევე, საქართველოს შეუძლია შეისყიდოს 8.8 მილიარდი $მ^3$ ბუნებრივი აირი სპეციალურ ფასად და უფასოდ მიღებული გაზის მოცულობა 58.8 მილიარდ $მ^3$-ს მიაღწევს. [9]

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარება მოითხოვს საავტომობილო გზების მოდერნიზაციას, რეკონსტრუქციას, რკინიგზის და საჰაერო სტანსპორტის განვითარების ხელშეწყობას. ამ მარშუტზე შეინიშნება გადაზიდვების ზრდა, რაც პროექტისადმი სერიოზულ დაინტერესებაზე მიუთითებს. ევრაზიული დერეფნის ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საზღვაო ტრანსპორტისა და ნავსადგურების განვითარებასთან. [10]

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად და აზიის ქვეყნებში ჩამოყალიბებული ტენდენცია მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიოში უმკაცრესი კონკურენციაა პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. ამ მხრივ ქვეყანაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები რაც გამოვლინდა შემდეგში: ეკონომიკური რეფორმებს სისტემატიური ზასიათი; სტარტეგული გეოპოლიტიკური მდებარეობა ქვეყანას ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის, ამ მეტად მნიშვნელოვანი რესურსის ათვისების და გამოყენების შესაძლებლობას აძლევს; გამარტივდა ლიცენზირებისა და ნებართვების პროცედურა; ჩატარდა ლიბერალური საგადასახადო რეფორმა; ჩამოყალიბდა კორუფციისგან თავისუფალი გარემო და ამოქმედდა ბიზნესში კანონიერების მექანიზმები. სამწუხაროდ, საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც უცხოური კაპიტალის გარეშე ეკონომიკის აღორძინება არ შეუძლია. ინვესტიციების მთავარი ფუნქციაა ხელი შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებას, გამოაცოცხლოს და წაახალისოს კრიზისში მყოფი ეროვნული საწარმოები, უზრუნველყოს შიდა წარმოება აუცილებელი ფინასური სახსრებით და ხელი შეუწყოს ქვეყნის ეინტეგრაციულ პროცესში ჩართვას. ეს ყოველივე კი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე დიდ გავლენას იქონიებს. [11]

გამოყენებული ლიტერატურა

1. ისმაილოვი ე., პაპავა ვ. : ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები. თბ., 2007, გვ. 2.
2. გამომც. საქართველოს რესპუბლიკა, 1997წ., 20 თებერვალი, 41, გვ. 1,2.
3. Мирзоев Р.: „Транспортные коммуникации и геополитика в регионе великого щелкового пути. – Центральная Азия и Кавказ“, 2005, с. 110,119.
4. ასათიანი რ.: "მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი", ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა", №1., თბილისი. 2011.
5. "თბილისის შეხვედრა ახალ განზომილებას შესძენს ბისეკის საქმიანობას, მძლავრ ბიძგს მისცემს ტრასეკის შემდგომ განვითარებას", გამომც. საქართველოს რესპუბლიკა, 1997, 9 აპრილი, 81, გვ. 1,2.
6. Dopper A.: „Economic Policy, Globalization and the Labour Movement“, „Changes in the Global Economy“, 2008, P. 1.
7. გეგეშიძე ა., გეოპოლიტიკა, თბ., გვ. 32,41.
8. იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, ჩგერმანია, 2008, გვ. 122.
9. ლაზვიაშვილი ნ., ბერიძე თ.: "საქართველო და სატრანსპორტო დერეფნები გლობალიზაციის პირობებში", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, 6-7 აპრილი, გვ. 435. თბილისი, 2012.
10. Main Economic Events. Georgian Economic Trends, Quarterby Review, October 2007.
11. ბერიშვილი ხ., "გლობალიზაცია და საინვესტიციო აქტივობის ზრდის პრობლემები საქართველოში", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, 6-7 აპრილი, გვ. 51. თბილისი 2012.

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა და მისი თავსებადობა ევროპულ მოდელთან

ნაზი ჭიკაიძე ,
ეკონომიკის დოქტორი
სტუ-ს ასოც. პროფესორი

ნატო თუშიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურ განვითარებაზე, ასევე მიზანმიმართულ და მეცნიერულად ჩამოყალიბებულ სტრატეგიაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების ცხოვრების დონესთან მიახლოების გარანტს. ჩვენთვის, როგორც ევროკავშირის სამომავლო წევრობაზე ორიენტირებული ქვეყნისათვის, ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება ევროპულ სისტემებთან მაქსიმალური დაახლოება. ეს შეეხება ქვეყნის განვითარების ყველა მნიშვნელოვან სფეროს: პოლიტიკას, ეკონომიკას, განათლებას, ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას, გარემოს დაცვას, კვლევით და ინოვაციურ საქმიანობას, სავაჭრო ურთიერთობებს და ა.შ.

სოციალური დაცვის სისტემის ინტეგრირება უნდა მოხდეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში.სოციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს და ეკონომიკური სისტემის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდეს. ქართული სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს, უნივერსალიზმზე და განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება. ეფექტურად მომუშავე სოციალური პოლიტიკა, თანამედროვე ქვეყნის ხერხემალს და აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: სოციალური პოლიტიკა, სოციალური დაცვა, სიღარიბე,საპენსიო რეფორმა; სოციალური სამართლიანობა.

Georgian System of Social Protection and Its Compatibility with European Model

Nazi Chikaidze
Doctor of Economics,
Associate Professor of GTU

Nato Tushishvili,
Phd Doctorate

Summary

Social policy, that is based on state's economic growth and stable development, as well as purposeful and scientifically justified strategy, guarantees growth of social welfare and approximation to life quality of modern civilized countries. For us, as for a country oriented on membership of European Union, maximal approximation to European systems will be necessary sooner or later. Every important sector of state development will be altered: politics, economics, education, health protection, social protection, environment protection, research and innovative activities, trade relationships, etc.

System of social protection must be integrated into strategy of economical development. Social policy must be based on and be logical extention of an economical system. Aim of Georgian state must be establishment of policy of social protection oriented on universalism and development. Efficient social policy is principal and necessary component of the modern state.

Keywords: social policy, social protection poverty, pension reform social justice

* * * * *

სოციალური დაცვის სისტემის გარდაქმნის საკითხი ევროპის ყველა ქვეყანაში დღის წესრიგის სათავეში დგას. ამის მიზეზები საყოველთაოდ ცნობილია: გლობალიზაცია, ევროპეიზაცია და სოციალური უზრუნველყოფის ადაპტაცია ახალ პირობებთან როგორც ეროვნულ, ასევე საერთო ევროპულ დონეებზე. მიუხედავად ევროკავშირისკენ ჩვენი სწრაფვისა და ამ გზაზე მიღწეული წარმატებებისა, საქართველო სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტში

ჯერ კიდევ შორსაა ცნობილი ევროპული სოციალური მოდელისგან, რომელიც ევროპის სწრაფი რეკონსტრუქციის და ეკონომიკური ბუმის საფუძველს წარმოადგენს. რას ნიშნავს ევროპის სოციალური მოდელი? ხშირად მას ამერიკულ ცხოვრების წესსა და ამერიკული ოცნების კონცეფციას უპირისპირებენ. თუმცა უფრო კონკრეტულად ის რამოდენიმე ასპექტს მოიცავს. პირველ რიგში, ის დაფუძნებულია ფუნდამენტურ სამოქალაქო უფლებებზე, რაც ღირსეული დასაქმებისა და გაერთიანებებში გაწევრიანების უფლებას მოიცავს. მეორე: ეს არის მთავრობა, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს სრული დასაქმება, აქვს აქტიური როლი ეკონომიკაში — შრომის ბაზრის მართვაში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობით. მესამე: ევროპის სოციალური მოდელი გამოირჩევა მენეჯმენტსა და შრომას შორის დიალოგის მაღალი ხარისხით, რაც ხორციელდება სოციალური დიალოგის მექანიზმის გამოყენებით, სადაც აქტიურად არიან ჩართული დამსაქმებელთა წარმომადგენლები და პროფესიული კავშირები. მეოთხე: ეს არის პროგრესული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სიმდიდრის სამართლიან, სოლიდარულ და ეფექტურ რედისტრიბუციაზე. მეხუთე: შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა მრავალფუნქციური და ძლიერი შრომის ინსპექციის მეშვეობით. მეექვსე: უმუშევრობისა, სოციალური დაზღვევისა და დაცვის პროგრამები. და ბოლოს: თაობებს შორის სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული საპენსიო სისტემები. ევროპის ქვეყნები ამ სოციალური მოდელის სხვადასხვა ასპექტებს აქცევენ გამორჩეულ ყურადღებას. ამის მიხედვით გამოიყოფა ოთხი ტიპის საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო. ნორდიკული, ბრიტანული, კონტინენტური და სამხრეთ ევროპული (ხმელთაშუა ზღვის).

მიუხედავად დეკლარირებული მიმართულებისა, სოციალური სახელმწიფოსკენ და სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტის არსებობისა, როგორც გამოჩნდა საქართველოს ძალიან სერიოზული ჩამორჩენა აქვს ამ მიმართულებით ევროპასთან. საინტერესო იქნება იმის გაანალიზება, თუ რა ეტაპზე ვიმყოფებით ამჟამად და რა გზით უნდა გავაგრძელოთ განვითარება. დღეისთვის მმართველობის ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირებულია. ჯერ კიდევ 5—6 წლის წინ, საქართველოს ბიუჯეტის ხარჯები სოციალური დანიშნულებით (განათლება და მეცნიერება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა) მთელი საბიუჯეტო ხარჯების 1/3—ს არ აღემატებოდა. 2016 წლის ბიუჯეტში ასეთი ხარჯები 48 % ს შეადგენს. თუმცა, ევროპულ სტანდარტთან შედარებით ეს მაჩვენებელი კვლავ მცირეა, იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები სოციალურ ხარჯებზე დაახლოებით ბიუჯეტის 70%-ზე მეტს ხარჯავენ. მიუხედავად სოციალური ინიციატივებისა საქართველოში, მთავრობას თითქმის არ აქვს ეკონომიკური პოლიტიკა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ გრძელდება ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მანტრა სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის შესახებ. ევროპის ქვეყნებში კეთილდღეობის სახელმწიფოები და სოციალური დაცვის სისტემები სწორედ სოციალური სახელმწიფოს განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკით ჩამოყალიბდა. ვითარება, როდესაც ერთმანეთის პარალელურად არსებობს ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა და მზარდი სოციალური პროგრამები არ არის ნორმალური და რაც მთავარია, ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თავად ამ პროგრამების განხორციელებას, განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში.

ცხოვრების ხარისხის მკვეთრი დაქვეითების საფრთხის შესამცირებლად სახელმწიფომ გადაწყვიტა მხარი დაეჭირა სოციალური რისკების მენეჯმენტის ყველა შესაძლო ადეკვა¬ტური მექანიზმის ამოქმედებისთვის. სახელმწიფო, რადგან არ იყო მზად ამ ტვირთის ასაღებად, გადაწყვიტა სულ უფრო გაეზარდა ისეთი ინსტიტუტების როლი როგორებიც არის ბაზარი და ოჯახი. მართალია სოციალური დახმარებები კატეგორიების მიხედვით იქნა დაყოფილი, თუმცა ამ პერიოდში საქართველოში პირველად იწყება მიზნობრივი სოციალური დახმარებების დანერგვა. სახელმწიფო მკაფიოდ აფიქსირებს, რომ უნივერსალური, კეთილდღეობის ამაღლების სოციალური დაცვის მექანიზმების ნაცვლად მისი პრიორიტეტია იმ მოქალაქეების ღირსეულ ცხოვრებასა და სოციალურ ინტეგრაციაზე ზრუნვა, რომლებსაც ობიექტური მიზეზების გამო არ შესწევთ უნარი შეიძინონ სოციალური დაცვა. ეს მიდგომა გახდა საფუძველი ვარდების რევოლუციის შემდგომ განხორციელებული ლიბერალური რეფორმების, რომელიც უფრო ინსტიტუციონალიზებულ და თანმიმდევრულ ხასიათს ატარებდა. 2006 წლიდან იწყება დღეს მოქმედი მიზნობრივი სოციალური დახმარებების პროგრამის ფუნქციონირება. ეს მიდგომა ყველაზე ახლოს ლიბერალურ ანგლო-საქსურ მოდელთან არის. სახელმწიფო საკუთარ ვალდებულებას მოქალაქეს სოციალური დახმარება აღმოუჩინოს ხედავს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სოციალური აგენტის შეფასებით სოციალურად დაუცველის სტატუსს მიიღებს. სოციალური დახმარების სისტემა წარმოადგენს სოციალურ მაშველ ბადეს, რაც ნიშნავს რომ თუკი მოქალაქე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდება მისი უკანასკნელი მაშველი სწორედ ეს სოციალური დახმარებაა. საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა ძირითადად ორი კომპონენტისგან მიზნობრივი სოციალური დახმარებებისა და ასაკობრივი პენსიისგან შედგება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ფაქტიურად არ გააჩნია პრევენციული მექანიზმი და პოლიტიკა, რომ თავიდან ააცილოს საკუთარ მოქალაქეებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩენა. ამასთან, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღების შემდეგ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მოახდენს ამ ადამიანების აქტიურ სამუშაო ძალაში დაბრუნებას და მათ სოციალურად

დაუცველთა ბაზიდან ამოსვლას. მიუხედავად იმისა, რომ საწყის წლებში მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მეშვეობით შემცირდა სიღარიბის მაჩვენებლები, ამჟამად საჭიროა არსობრივი ცვლილების განხორციელება, რადგან სისტემა არაეფექტურად აგრძელებს ფუნქციონირებას და ჩიხისაკენ მიემართება რასაც რამოდენიმე მიზეზი განაპირობებს: პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ წლების მანძილზე ვერ ხერხდება მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობის შემცირება. კიდევ უფრო დიდია რეგისტრირებულთა რიცხვი. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ აქ, ისიც მოქმედებს რომ აიწია დახმარების მიმღებთა სარეიტინგო ქულა, მაგრამ სისტემური გავლენის უარყოფა მაინც არ არის მართებული. ამდენად, მიზნობრივი სოციალური დახმარებების სისტემა ასრულებს მხოლოდ სოციალური მაშველი ბადის ფუნქციას და ინარჩუნებს სტატუს-კვოს. მეორე მიზეზი არის უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელი. ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, საქართველოში უთანასწორობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ მიზნობრივი დახმარებების ამოქმედების შემდეგ დაფიქსირდა. საზოგადოების უღარიბესი ნაწილი მიჯაჭვულია სოციალური დახმარების სისტემას. მათ არ აქვთ სხვა შესაძლებლობა და სოციალური მობილობის შანსი, რაც უთანასწორობის დრამატულ მაჩვენებელს ქმნის, რომელიც ლათინური ამერიკის სიღარიბით გამორჩეული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან არის მიახლოებული. მესამე მიზეზია სიღარიბის და სტიგმის ზრდა, რომელიც განსაკუთრებით არის დამახასიათებელი მიზნობრივი დახმარებებისათვის. სტიგმა ორმხრივია როგორც საზოგადოების მხრიდან ყველაზე ღარიბი თანამოქალაქეების მიმართ, ასევე თავად ამ ადამინების მხრიდანაც, რომლებსაც უჭირთ საკუთარი თავის სრულფასოვან მოქალაქეებად აღქმა და საზოგადოებაში ინტეგრაცია, სამუშაოს დაწყება, სოციალურად დაუცველის სტატუსისგან თავის დაღწევა და წარმატების მიღწევა. სოციალურად დაუცველთა რიცხოვნობის, სიღარიბის და უთანასწორობის შემცირება, დამკვიდრებული სტიგმების აღმოფხვრა, ეს ის უმთავრესი პრობლემებია რომელთა დაძლევასაც მიზნობრივი სოციალური დახმარებების სისტემა ვერ ახერხებს. ფაქტობრივად ძალიან დიდი თანხა რომელიც ბიუჯეტიდან ამ პროგრამის დასაფინანსებლად მიემართება არაეფექტურად იხარჯება, რადგან ვერ ხერხდება პროგრამის უმთავრესი მიზნების რეალიზება, სიღარიბის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა და სოციალურად დაუცველების რაოდენობის შემცირება. წლიდან წლამდე, საქართველოს საბიუჯეტო შესაძლებლობების მიხედვით უზარმაზარი თანხები იხარჯება, მხოლოდ იმაში რომ ამ ადამიანებისთვის სოციალური მაშველი ბადეს სახით იქნას დახმარება აღმოჩენილი. რაც თავისთავად სახელმწიფოს მძიმე ტვირთად აწვება.

სოციალური დაცვის სისტემის ინტეგრირება უნდა მოხდეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. სოციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს და ეკონომიკური სისტემის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდეს. ამასთან ამ პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნას ფართო მონაწილეობა საზოგადოების ყველა ჯგუფის, მათ შორის ამ შემთხვევაში ყველაზე არსებითია სოციალურად დაუცველების მონაწილეობა. რათა მოხდეს მათი მობილობა და სოციალურად დაუცველთა სტატუსის მქონე პირთა შემცირება. მონაწილეობის ფართოდ უზრუნველყოფა აგრეთვე ხელს შეუწყობს სტიგმების დამარცხებასა და გაქრობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. ბავშვთა საკითხებში უნივერსალისტური მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა დასაწყისშივე იქნას თავიდან აცილებული უთანასწორობა. ბავშვთა შორის სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს რომ მათი შანსები წარმატების მისაღწევად მინიმალურია და შესაბამისად სიღარიბის კვლავწარმოებას ახდენს. სოლიდარობისა და სოციალური სამართლიანობის ცნებები არის ის მთავარი კომპონენტი და გამაერთიანებელი რაც ამ მიდგომების განხორიელებას შესაძლებელს ხდის. ამდენად ჩვენ ამჟამად გვაქვს ორ კომპონენტიანი სოციალური დაცვის სისტემა რომელიც ვერ ახერხებს თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულებას და საუკეთესო ვარიანტში მხოლოდ სტატუს-კვოს ინარჩუნებს ან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფიზიკურად გადარჩენას ახერხებს წლიდან წლამდე. იმასათვის რომ ვითარება შეიცვალოს საჭიროა უფრო კომპლექსური პოლიტიკის შემუშავება, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის უფრო მჭიდრო კავშირი. ქართული სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს, უნივერსალიზმზე და განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო მეტ კომპონენტს მოიცავს ვიდრე მხოლოდ სოციალური დახმარებები და პენსიებია. ამგვარი განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემა პრევენციას უნდა ახდენდეს, რომ მოქალაქე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არ აღმოჩნდეს. ხოლო თუკი ამ მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა, მოქალაქეს საშუალებას უნდა აძლევდეს, რომ არა მხოლოდ სოციალური მაშველი ბადით ისარგებლოს და თვითგადარჩენა შეძლოს, არამედ მოახერხოს სოციალურად დაუცველის სტატუსიდან თავის დაღწევა. ეს მიდგომები უნდა გახდეს ქართული კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმირების საფუძველი, რადგან გამართული კეთილდღეობის სისტემები და ეფექტურად მომუშავე სოციალური პოლიტიკა, ყველა წარმატებული, თანამედროვე ქვეყნის ხერხემალს და აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

საქართველოში, მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემები არსებობს მენეჯმენტსა და შრომას შორის ურთიერთობებში. მიუხედავად სოციალური დიალოგის პრაქტიკის დანერგვისა, ის ეფექტურად ვერ ფუნქციონირებს, რასაც ბევრი მიზეზი აქვს, დაწყებული

ამგვარი ინსტიტუტის ფუნქციონირების ტრადიციის არარსებობით, მათში მონაწილე აქტორების არასაკმარისი სიძლიერისა და მთავრობის არასრული პოლიტიკური ნებით დამთავრებული.ერთ—ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ აქვს ე.წ. ბრტყელი საგადასახადო სისტემა თვიურად 20% საშემოსავლო გადასახადის სახით. პროგრესული გადასახადებისა და სტიმულირებაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია სოლიდარული და სოციალურად ორიენტირებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნა.საქართველოში. საქართველოში აგრეთვე არ მოქმედებს უმუშევრობის დაზღვევა, ამასთან ერთად არ არსებობს მთავრობის მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა რომელიც მიმართული იქნება უმუშევრობის შემცირებისკენ. ამ ვითარებაში ბუნებრივია სახეზე გვაქვს უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი. ერთადერთ მექანიზმად რჩება სოციალური დაზღვევის პროგრამა ყველაზე გაჭირვებული მოქალაქეებისთვის. თუმცა, ეს თანხები ფაქტიურად არაუკუგებადი ხარჯებია და მთავრობის ამოცანა უნდა იყოს დასაქმებისკენ მიმართოს ეს თანხები რათა შეამციროს სოციალური დაზღვევის ხარჯები,ბოლოს საქართველოში ჯერ კიდევ არ განხორციელებულა საპენსიო რეფორმა. ჯერ კიდევ არ გადავსულვართ დაგროვებით საპენსიო სისტემაზე. არსებობს გეგმები ტრანზიციისა თუმცა ეს გეგმაც აჩენს კითხვებს თუ რამდენად იქნება დაცული მასში თაობათა შორის სოლიდარობის პრინციპი, რაც ფუნდამენტურია ევროპული სოციალური მოდელის მიხედვით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე არსებობს სერიოზული პრობლემები, რომლებიც მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა მთავრობისა და საზოგადოების მიმდინარე გამოწვევებს წარმოადგენენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. . http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=941
2. http://www.moh.gov.ge/
3.. whttp://ec.europa.eu
4. www.rs.ge
5. Read more at:
http://european.ge/ramdenad-axlos-vart-evropastan/

Copyright © European.ge

ინოვაციურ პროცესებში გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები

ლუარა გვაჯაია, *ეკონომიკის დოქტორი*
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ჯემალ კვინიკაძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინოვაციურ საქმიანობაში ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები, მოცემულია გადაწყვეტილების მიღების ზოგადი სქემა, რომელიც ითვალისწინებს პრობლემის წინასწარ ანალიზს, ამოცანის ფორმულირებას, გადაწყვეტილების მიღების მეთოდის შერჩევას, ალტერნატიული ვარიანტების ხარისხის შეფასებით ძირითადი მონაცემების დადგენას, მიღებული შედეგების ანალიზს და ინტერპრეტაციას. ხაზგასმულია ინოვაციურ მენეჯმენტში, ისე როგორც მართვის ნებისმიერ სფეროში, გადაწყვეტილების მიღების პროცესის განსაკუთრებულ როლზე.

განხილულია სხვადასხვა პირობებში (გარკვეულობის, რისკის, გაურკვევლობის) ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მიღების ამოცანის განსაზღვრის მეთოდები; მოცემულია ინოვაციურ პროცესში გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანების შესახებ ცოდნის სისტემატიზაციისათვის საჭირო მონაცემები. განხილულია ინოვაციური პროცესის ძირითადი სტადიებისათვის (ფუნდამენტური კვლევები, გამოყენებითი კვლევები, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, სამრეწველო წარმოება, გასაღება) დამახასიათებელი გადაწყვეტილების მიღების ამოცანების და აუცილებელი ინფორმაციის სახეები.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური პროცესები, გადაწყვეტილების მიღება, ამოცანა, მეთოდი, სტადია.

Techniques of Decision-Making in Innovation Processes

Luara Gvajaia.
Doctor of Economics,
Associate Professor of GTU
Jemal Kvinikadze,
Doctoral Candidate of GTU

Abstract

The article considers the problems related to making alternative decisions in innovative activities. It describes a general scheme of decision-making that implies preliminary analysis, formulation of a problem, selection of a technique of decision-making, establishment of basic data on the basis of evaluation of quality of alternative options, analysis of results and interpretation. It is underlined that decision-making process has significant role in innovative management, as well as in any field of management.

The techniques of determination of a problem of decision-making by manager are considered in different conditions (certainty, risks, uncertainty). Data is given that is necessary to systematize knowledge about the problems of decision-making in an innovative process. The problems of decision-making and types of necessary information are considered for different stages (fundamental studies, applied studies, prototype and design works, production, sales) of innovative process.

Keywords: innovative processes, decision-making, problem, technique, stage

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია საინოვაციო სისტემის განვითარების გარეშე, რაც გულისხმობს ინოვაციური პროცესის უწყვეტობას, ინოვაციური ინფრასტუქტურის მუდმივად განვითარებას.

ინოვაციური პროცესი იდეის თანმიმდევრული გარდაქმნაა პროდუქტად, რაც მოიცავს შემდეგ სტადებს: ფუნდამენტური კვლევები, გამოყენებითი კვლევები, საცდელ- საკონსტრუქტორო სამუშაოები, მარკეტინგი, წარმოება და გასაღება. ეს არის ერთობლიობა სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ცვლილებებისა, რომელიც მიმდინარეობს ინოვაციის შექმნისა და რელიზაციის პროცესში. უფრო ვიწრო გაგებით, ინოვაციური პროცესი ნიშნავს საწარმოთა ინოვაციურ საქმიანობას. იგი მიმართულია სამეცნიერო-ტექნიკური, საძიებო სამუშაოების შედეგების დამუშავება-რეალიზაციისკენ ახალი პროდუქტის (მომსახურების) ან ახალი ტექნოლოგიის დანერგვის უზრუნველსაყოფად. ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებს წარმოადგენენ სხვადასხვა სიდიდის ფირმები, კომპანიები, ასოციაციები, ფონდები, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ტექნოპოლისები, ტექნოპარკები დასხვა.

ინოვაციური პროცესების წარმატებით განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამოცანების გააზრებული დასახვა დ მისი რეალი-

ზაციისთვის სწორი გადწყვეტილებების მიღება.

* * * * * *

ინოვაციურ მენეჯმენტში, როგორც მართვის ნებისმიერ სფეროში, ცენტრალურ როლს ასრულებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესები. ინოვაციურ საქმიანობაში სტრატეგიული პროგნოზირების, დაგეგმვის, რესურსების გადანაწილებისა და ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას, გადაწყვეტილების მიმღებ პირს ყოველთვის საქმე აქვს საკმაოდ რთული ამოცანების არჩევათან; როგორც წესი, ამ დროს ხდება რამოდენიმე ალტერნატივის შეფასება და საუკეთესო ვარიანტის შერჩევა, მიზნებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით. მიზნის საუკეთესოდ მიღწევის, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური დადებითი ეფექტის მიღების უნარი წარმოადგენს ყველა არსებული ალტერნატივის რანჟირების კრიტერიუმს.

გადაწყვეტილების მიღების ზოგადი სქემა მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

პირველ ეტაპზე - წარმოებს პრობლემის წინასწარი ანალიზი, რომლის დროსაც განისაზღვრება: ძირითადი მიზნები, პრობლემის განხილვის დონეები, გამოსაკვლევი სისტემის განხილვის პრობლემები, გარემოსთან მათი კავშირი, საბაზო რესურსები ამოცანის გადასაწყვეტად, ძირითადი წინააღმდეგობები და შეზღუდვები;

მეორე ეტაპზე - ამოცანის ფორმულირება, ამოცანის ტიპის განსაზღვრა, მრავალი ალტერნატიული ვარიანტის და მათი შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღების მეთოდის შერჩევა;

მესამე ეტაპზე - ძირითადი მონაცემების დადგენა - ალტერნატიული ვარიანტების ხარისხის შეფასებით; იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ობიექტური რაოდენობრივი შეფასების დადგენა, იყენებენ სტატისტიკური ანალიზის, იმიტაციური მოდელირების, საექსპერტო გამოკითხვის, ანკეტირების და ა. შ. მეთოდებს;

მეოთხე ეტაპზე - გადაწყვეტილების მიღების ამოცანის გადაწყვეტა - წარმოებს არსებული ინფორმაციის მათემატიკური დამუშავება სხვადასხვა პროგრამული მეთოდის გამოყენებით, აუცილებლობის შემთხვევაში - ინფორმაციის დაზუსტება და მოდიფიკაცია;

მეხუთე ეტაპზე - მიღებული შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია. ზოგიერთ შემთხვევაში მიღებული შედეგები შეიძლება აღმოჩნდეს არადამაკმაყოფილებელი და მოითხოვოს ამოცანის დასმის ცვლილება. ამ შემთხვევაში ხდება დაბრუნება პირველ ან მეორე ეტაპზე.

გადაწყვეტილების მიღების ამოცანის განსაზღვრა ხელმძღვანელს შეიძლება მოუწიოს სხვადასხვა პირობებში, კერძოდ გარკვეულობის, რისკის ან გაურკვევლობის პირობებში.

გარკვეულობის პირობებში ამოცანების ჯგუფს მიეკუთვნება ის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტისთვის არსებობს სრული და სათანადო რაოდენობრივი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში წარმატებით გამოიყენება მათემატიკური პროგრამირების მეთოდები, რომლის არსი მდგომარეობს ოპტიმალური გადაწყვეტილების ძიებაში რეალური ობიექტის მათემატიკური მოდელის ბაზაზე.

რისკის პირობებში ამოცანებთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც განსახილველ გადაწყვეტილებებს შესაძლოა ჰქონდეთ რისკთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი შედეგები. შესაძლოა შედეგების ალბათობა შეფასდეს სტატისტიკური მონაცემების ან ექსპერტთა სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე.

გაურკვევლობის პირობებში ამოცანებთან გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაცია არის არაზუსტი, არასრული, ხოლო საკვლევი სისტემის ფორმალური მოდელები ძალიან რთულია ან საერთოდ არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში ამოცანის გადაწყვეტისათვის იყენებენ ძირითადში ექსპერტების ცოდნას.

ინოვაციურ პროცესში გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანების შესახებ ცოდნის სისტემატიზაციისათვის საჭიროა გამოიკვეთოს:

ა). ძირითადი მონაწილეები, რომელთაც მინიჭებული აქვთ გადაწყვეტილებათა მიღების უფლება;

ბ). ინოვაციური პროცესის სტადიები;

გ). გადწყვეტილებათა მიღების ამოცანები, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული ეტაპებისა და მონაწილეებისათვის;

დ). გადწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის სახეები;

ინოვაციური პროცესის რეალიზაციის მსვლელობისას მთავარ გადაწყვეტილებებს ღებულობენ: ინოვაციური პროექტის შემკვეთი, ინოვაციური პროექტის ან მისი ცალკეული სტადიის შემსრულებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ინოვაციური პროექტის ხელმძღვანელი, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების (ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები) ხელმძღვანელი, ინვესტორი, კონსტრუქტორი (ახალი პროექტის საკონსტრუქტორო გადაწყვეტილებათა, სტრუქტურისა და კონფიგურაციის დამმუშავებელი), მარკეტოლოგი (ახალი საქონლის ბაზრის, მათი პარამეტრების, პოზიციონირების, პოტენციური მომხმარებლების სტრუქტურის და შესაძლო კონკურენტების განმსაზღვრელი სპეციალისტი), ტექნოლოგი (ახლი პროდუქტის ტექნოლოგიური პროცესის შემმუშავებელი), იურისტი, ეკონომისტი, ფინანსისტი, ლოჯისტიკი, ახალი პროდუქტის მომხმარებელი.

ქვემოთ განვიხილავთ ინოვაციური პროცესის ძირითადი სტადიებისათვის დამახასიათებელი გადწყვეტილების მიღების ამოცანებსა და აუცილებელი ინფორმაციის სახეებს:

ა) ფუნდამენტური კვლევების მიზანია მოვლენებს შორის ახალი კავშირების გახსნა, ბუნებისა და

საზოგადების განვითარების კანონზომიერების შეცნობა მათი კონკრეტული გამოყენებისათვის. ფუნდამენტური კვლევები მიმდინარეობს აკადემიურ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, დარგობრივ სპეციალიზირებულ ინსტიტუტებში. ფინანსირება ძრითადად ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკანდაბრუნების გარეშე. კვლევების ძირითადი შედეგებია ჰიპოთეზები, თეორიები, მეთოდები და ა.შ.. როგორც წესი, ეს შედეგები არ არის გამიზნული პრაქტიკულ საქმიანობაში უშუალო გამოყენებისათვის. პრაქტიკით დადგენილია, რომ ფუნდამენტური კვლევების ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი გამოდიან სასარგებლო იდების გენერატორის როლში, რაც შემდგომში შეიძლება გახდეს ახალი პერსპექტიული პროდუქტის შემუშავების საფუძველი.

ფუნდამენტური კვლევების ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება:

- პრიორიტეტული სფეროების და მიმართულებების განსაზღვრა;
- იმ აქტუალური პრობლემების გამოვლენა, რომლებიც საჭიროებენ ფუნდამენტურ კვლევებს;
- სამეცნიერო კვლევების ორგანიზება გამოვლენილი პრობლემების გადსაწყვეტად;
- ფუნდამენტური კვლევების შედეგების (სასარგებლო იდეების და ეფექტების) გადარჩევა, რაც შეიძლება გახდეს ახალი პროდუქტის, მომსახურების, ტექნოლოგიის შემუშავების საფუძველი.

დასახელებული ამოცანებიდან გამომდინარე ინოვაციური პროცესის აღნიშნულ ეტაპზე ხდება გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანების ჩამოყალიბება. ლი

ბ) გამოყენებითი კვლევების ეტაპზე - იბადება ახალი მეცნიერული შედეგების შესაძლო გამოყენების კონცეფცია, იდეა ხორცს ისხამს ახალი პროდუქტის ან ტექნოლოგიის პროტოტიპში; გამოყენებითი კვლევების შედეგების განსაზღვრაც საკმაოდ ძნელია, უარყოფითი შედეგის ალბათობა აქაც საკმაოდ დიდია, აქედან გამომდინარე ინვესტიციების ჩადება საკმაოდ სარისკოა. ამ სტადიაზე ინსტიტუციონალური ინვესტორები ძირითადში ვენჩურული კომპანიები და ფონდები არიან.

გამოყენებითი კვლევების ძირითადი ამოცანებია:

1. სასარგებლო იდეის და ეფექტების გამოყენების კონცეფციის შემუშავება;
2. რეზულტატების გამოყენების შესაძლო სფეროების და მიმართულებების განსაზღვრა;
3. ახალი პროდუქტის კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაფუძნებულია ახალი სასარგებლო იდეების და ეფექტების გამოყენებაზე;

ამ სტადიაზე ინოვაციური პროცესის მონაწილეები - ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პროექტის ხელმძღვანელი, ინოვაციური მენეჯერი (აღმასრულებელი დირექტორი ან პროექტის ტექნიკური ხელმძღვანელი), ინვესტორი, მკვლევარი, იურისტი, ეკონომისტი, მარკეტოლოგი - წყვეტენ ყველა იმ ამოცანას, რც ორგანიზაციის წინაშე დგას კონკრეტული კონცეფციის განსახორციელებლად.

გ) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები - დაკავშირებულია ექსპერიმენტებთან და სრულდება სპეციალიზირებულ ლაბორატორიებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, საცდელ წარმოებებში, მსხვილი საწარმოების სამეცნიერო - საწარმოო დაწესებულებებში. ფინანსირების წყაროს ძირითადად წარმოადგენს ვენჩურული კაპიტალი, ასევე საკუთარი წყაროები (შემსრულებლების ან დამკვეთების). საცდელ - საკონსტრუქტორო სამუშოები ორიენტირებულია ახალი პროდუქტის კონკრეტული ნიმუშების შექმნაზე, ახალი ტექნოლოგიების რეალიზებაზე. საბოლოო შედეგი - ეს არის შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია და პროდუქტის და ტექნოლოგიის სამრეწველო ნიმუში. ეს სტადიაც დაკავშირებულია სერიოზულ რისკებთან, რადგან საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციას დამუშვების წარმატების არასაკმარისი გარანტიის პირობებში. განუსაზღვრელობის შემცირებისათვის აზრი აქვს მარკეტინგული კვლევების ჩატარებას, რაც რა თქმა უნდა, დამატებით დანახარჯებს საჭიროებს. ეს სტადია არის გადამწყვეტი, რამდენადაც მისი შედეგები (ტექნიკური, ფინანსური) განსაზღვრავს სიახლის მიმზიდველობას და შესაბამისად ინოვაციური პროცესის ტემპებს და წარმატებას.

პროექტის კომერციალიზაცია - აერთიანებს ახალი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპს, დაწყებული წარმოებაში ჩაშვებიდან ბაზარზე გასვლამდე. ამ ეტაპზე საჭიროა დიდი ინვესტიციები საწარმოო სიმძლავრეების შეაქმნელად, კადრების მოსამზადებლად, სარეკლამო საქმიანობისათვის და სხვ.; ინოვაციური პროცესის ამ ეტაპზე ბაზრის რეაქცია ახალ პროდუქტზე ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული და არსებობს მათი უარყოფის რისკის მაღალი ალბათობა, ამიტომ ინვესტიციები ატარებს რისკის ხასიათს.

ინოვაციის გავრცელების ფაზაზე - პროცესში ერთვებიან ახალი მონაწილეები, რომელთა ყურადღება მიიპყრო სიახლის ეკონომიკურმა ეფექტიანობამ. ამის შედეგს წარმოადგენს ინოვაციური საწარმოს ახალი პროდუქტის ბაზარზე გასვლა იმ მოცულობებით, რაც ინოვაციური პროდუქტის ბიზნეს-გეგმით იყო გათვალისწინებული. ამ სტადიაზე სრულდება ინფორმაციული, საკომუნიკაციო, საყოფაცხოვრებო, ფინანსური და სერვისის ხასიათის სამუშოთა ფართო კომპლექსი.

ამ ეტაპზე ამოცანებს წყვეტენ: ფინანსირებასთან დაკავშირებით - ინვესტორი, წარმოების ოპერატიული მართვის საკითხებს ტექნოლოგი ამოცანას - ტექნოლოგი, მეტროლოგი ამოწმებს პროდუქციის ხარისხის შებამისობას სტანდარტებთან, მარკეტოლოგი ახორციელებს მარკეტინგულ კვლევებს, აცნობს მოხმარების ახალი პროდუქციის ძირითად მახასიათებლებს, პროექტის ფინანსური დირექტორი შეარჩევს განსახორც ინოვაციურიელებელ ბიზნეს-წინადადებებს და ბიზნეს-გეგმებს, შეიმუშავებს ინოვაციური პროდუქტის ფინანსირების სქემას და სხვა.

ინოვაციური პროცესისათვის დამახასიათებელი ამოცანების ზემოთ წარმოდგენილი სისტემატიზაციის საფუძველზე მუშავდება რთული გადაწყვეტილებების ანალიზისა და შერჩევის მეთოდიკა ინოვაციური საქმიანობის მრავალი კრიტერიუმის მიხედვით, აგრეთვე ინოვაციური სისტემის (ორგანიზაციის) ეფექტური მართვის მიმართულებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა.აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. - 2015წ.
2. ლ. გვაჯაია, ჯ. კვინიკაძე. ინოვაციური პროცესების განვითარება - ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი. ჟ - ,,ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,, № 24, 2016 წ.
3. В. Г. Медынский. Иновационный менеджмент. Москва. 2008 г.
4. А. В. Андрейчиков, О. Н. Андрейчикова. Системный анализ и синтез стратегических решений в иноватике. Москва. 2013 г.
5. А. В. Андрейчиков, О. Н. Андрейчикова. Стратегический менеджмент в иновационных организациях. Москва. 2013 г.

ინვესტიციათა ფორმირების წყაროები

მადონა გელაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის ოპტიმალურ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ეკონომიკაში რეალური გარდაქმნის განხორციელება და საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში. ამასთან, ამ პრობლემის მრავალი ასპექტი გადაუწყვეტელია მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციების მოზიდვის გაფართოების აუცილებლობაზე დღეს თითქმის არავინ დაობს. აქედან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების გამოკვლევა, საქართველოს ეკონომიკის სპეციფიურობის გათვალისწინებით, საბაზრო ეკონომიკაზე წარმატებული გადასვლის გარანტიაა, რაც ეკონომიკური რეფორმების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, დაფინანსების წყარო, უცხოური ინვესტიციები, კრედიტი, ფასიანი ქაღალდები.

The Sources of Formation of Investments

Madona Gelashvili, Associated professor

Summary

At the modern stage of reformation of economic relations working out and realization of proper investment policy is actual. For the purpose of rising of effectively of the investment policy it is needed: rational division of investments according to the branches, sectors, economy priorities, holding proper investment cycle, raising investment activities, also interconnection of investment and innovative processes and etc. In this sphere, abilities of economic effectiveness are little by now, but they are growing, especially at the expense of attracting the foreign capital. Investments as other economic resources are limited. That's why satisfaction of economic demands is one of the most difficult problem to be solved for any economic system, all the economic subjects. From this point of view it is very important to discuss the state regulation questions of investment activities and formation of uninterrupted investment climate and its support.

Investment activity determines tempos and dynamics of investment activities and it depends on the economic, political and social processes taking place in the country and by which we can discuss as the investment climate as the conditions of investing in the country.

Keywords: Investments, Sources of Financing, Foreign Investment, Credit, Securities.

საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი საკითხია ინვესტიციათა დაფინანსების წყაროების გაანალიზება. დაფინანსების სისტემა გულისხმობს:

- დაფინანსების წყაროებს;
- დაფინანსების ფორმებს.

დაფინანსების წყაროების მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ამ წყაროების დაყოფა საკუთარ და მოზიდულ საშუალებებად. ყურადღება უშუალოდ წყაროების სფეროს დაფინანსებას გვინდა დავუთმოთ, რადგან იგი წარმოადგენს ერთ-ერთ წინაპირობას ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის.

წარმოების საინვესტიციო დაფინანსების ძირითად საკუთარ წყაროს წარმოადგენს მოგება, მიღებული ყველა სახის სამეურნეო საქმიანობიდან. გადასახადების, კვოტებისა და დივიდენდების გადახდის შემდეგ დარჩენილი მთელი მოგება შესაძლებელია დაბანდებულ იქნეს წარმოებაში კაპიტალის სახით. საკუთარ საინვესტიციო წყაროებს მიეკუთვნება აგრეთვე საამორტიზაციო ანარიცხები. ჩვენი აზრით, ამორტიზაციის ანარიცხების როლის გაფართოება ხელს შეუწყობს მოქმედი ძირითადი ფონდების განახლების დაჩქარებას, მოძველებული ტექნიკის, ახალი, პროგრესული, უფრო მწარმოებლურით შეცვლას.

საამორტიზაციო პოლიტიკა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის სახელმწიფო რეგულირების სფეროს წარმოადგენს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საამორტიზაციო პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია საგადასახადო პოლიტიკასთან. იგი მიზნად ისახავს სამეურნეო სუბიექტების იმ ფინანსური შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რომელიც მიმართულია ძირითადი კაპიტალის ინვესტირებაზე. ძირითადი კაპიტალის ჩამოწერის პირობები, საწარმოს შემოსავლების დაბეგვრის დონესთან და საგადასახადო საინვესტიციო შეღავათებთან ერთად, წარმოადგენს მეწარმისათვის უმნიშვნელოვანეს ორიენტირს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას. საწარმოების შიდა წყაროს წარმოადგენს საწილო, სადამფუძნებლო და სხვა საინვესტიციო შენატანები, ფულადი და ქონებრივი დაბანდებანი, დამფუძნებლებისა და საწარმოს მუშაკთა ანაბრები. ამგვარი დაბანდება ითვალისწინებს დაბრუნებასა და პროცენტის გადახდას, თუმცა მიუხედავად ამისა, მათი საინვესტიციო არსი არ იცვლება.

საკუთარ საინვესტიციო წყაროებს სამართლიანად მიეკუთვნება საპაიო, დამფუძნებელი და სხვა ინვესტიციური შენატანები, ფულადი და ქონებრივი დაბანდებანი კომპანიების აქციის ან საქონლის სახით, რომელიც გამოიყენება ინვესტიციური რესურსების სახით.

ინვესტიციების მოზიდულ წყაროებს განეკუთვნება ბანკის გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები. ეს არის ბანკის ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხები გარკვეული პროცენტის სარგებლით. ბანკის საინვესტიციო კრედიტი გაიცემა გარანტიით და ამ გარანტიის სახით შეიძლება მიღებულ იქნას უძრავი ქონება. მოცემული სახის კრედიტს იპოთეკურს უწოდებენ.

არსებობს სახელმწიფო ინვესტირების სპეციფიკური ფორმა, რომელსაც ეწოდება საინვესტიციო — საგადასახადო კრედიტი. მსგავსი კრედიტი წარმოადგენს საგადასახადო გადასახადების გადახდის ვადის გადავადებას. კრედიტი საწარმოებს მიეცემათ სახელმწიფოს მიერ. მათ შორის საგადასახადო ორგანოების მიერ. დანაზოგის ფორმები ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად:

- აქტიური ფორმები — ბანკში შენახვა, შემოსავლიან საქმეში დაბანდება, გასესხება, ობლიგაციების ან ფასიანი ქაღალდების შეძენა;
- პასიური ფორმები და სხვა დანარჩენი ფორმები.

სამწუხაროდ დღეისათვის ჯერ კიდევ მცირეა ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციების ყიდვის მსურველთა რაოდენობა, რაც იმას მოწმობს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი, უახლოეს მომავალში, მასობრივ მომხმარებლს ვერ შეიძენს.

წარმოებაში შეიძლება მოზიდულ იქნას კაპიტალი არა მარტო ფულადი კრედიტის ფორმით, არამედ მატერიალური და სასაქონლო ფორმითაც. სასაქონლო კრედიტი წარმოადგენს საინვესტიციო საქონლის (შენობები, მოწყობილობების დაცვა) გადაცემას წარმოებისათვის მათი მოხმარების უფლებით, შემდგომში ანაზღაურებითა და გამოსყიდვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუბარია უზრავი ქონებისა და მოწყობილობების იჯარაზე ლიზინგის ფორმით. მოცემული სახის სასაქონლო კრედიტის მიღება დაკავშირებულია საიჯარო გადასახადის გადახდის აუცილებლობასთან ამ ძირითადი საშუალებების მესაკუთრეებისათვის — სალიზინგო კომპანიებისათვის, კომერციული ბანკებისათვის, სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომლებიც განაგებენ ქონებას.

ინვესტიციების მოზიდვის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს აქციების სახალხო, ღია გაყიდვა, რომელსაც ახორციელებს სააქციო კომპანიები და საზოგადოებები. ეს პროცესი შეიძლება განახორციელოს როგორც თვით სააქციო კომპანიებმა, ასევე საინვესტიციო ფონდებმაც. აქციებთან ერთად თავისი ინვესტიციური შესაძლებლობების გაფართოებისათვის მეწარმეებს შეუძლიათ გამოუშვან და გაყიდონ ობლიგაციებიც. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სახის ინვესტიციების წყაროს პრაქტიკული გამოყენება დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან, განსაკუთრებით ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში.

ფირმები, რომლებიც დაკავებული არიან ინოვაციური პროცესებით, საჭიროებენ ვენჩერულ კაპიტალს ახალი საქონლის ათვისებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისათვის. ვენჩერული ინვესტიციები განეკუთვნებიან მეტად სარისკო ოპერაციებს, მაგრამ გამართლების შემთხვევაში იძლევა დიდ მოგებას, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას დარგისა და მთელი ეროვნული ეკონომიკის მასშტაბებშიც კი. ზემოთ ჩამოთვლილ ინვესტიციურ წყაროებს გარდა არსებობს კაპიტალის მოზიდვის განსხვავებული ფორმებიც, რომელიც გამოიხატება მეცენატების, სადაზღვევო კომპანიების, სპონსორული ორგანიზაციების ნებაყოფლობით შენატანებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობა, რომლის დროსაც ერთი ქვეყნის ბიზნესმენები აბანდებენ კაპიტალს სხვა ქვეყანაში. უცხოური ინვესტიციების შესახებ არსებობს საკმაოდ ფართო ლიტერატურა, რომელთა მონაცემები მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ გადაუჭრელი მთელი რიგი პრობლემებიდან შეიმჩნევა აზრთა და შეფასებათა სხვადასხვაობა. მეორე მხრივ, მუდმივად ცვალებადი პირობები განაპირობებს საინვესტიციო პოლიტიკის დინამიზმს, იცვლება უცხოური ინვესტიციების მოძრაობა და ფორმები, რაც დღის წესრიგში აყენებს საინვესტიციო პროგრამების რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხს. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, გაირკვეს უცხოური ინვესტიციების მდგომარეობა, მათი გამოყენების ეფექტიანობა და მისი შესაბამისობა განვითარების თანამედროვე ტენდეციებთან, ან უპირველეს ყოვლისა, საინვესტიციო პოლიტიკის საინვესტიციო პრაქტიკასთან.

ქვეყნებიდან კაპიტალის გატანის ძირითადი მიზეზია მისი სიჭარბე, რის გამოც მასზე მოგება დაბალია. სწორედ ამიტომ "კაპიტალი მიემართება იქ სადაც მასზე დიდი მოთხოვნაა და რჩება იქ, სადაც მას კარგად ეპყრობიან", ანუ სადაც არის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი, ინვესტორისათვის მისაღები პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და იდეოლოგიური პირობები.

მეცნიერთა ერთი ნაწილი კაპიტალის გატანის პროცესს განიხილავს როგორც ორი, მკვეთრად გამოკვეთილი პროცესის ურთიერთქმედების შედეგს. ესენია: მსხვილი ეროვნული კაპიტალის დაგროვება და მსოფლიოში წარმოების ინტერნაციონალიზაცია. წარმოების ინტერნაციონალიზაციის შედეგად სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარეობს კაპიტალის დაგროვების გამოთანაბრების პროცესები და აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს ის, რომ კაპიტალის გატანა ძირითადად აიხსნება იმით, რომ მიმღებ ქვეყანაში მისი ზრდის პირობები უფრო ხელსაყრელი გახდა. ამიტომ დებულებას იმის შესახებ, რომ წარმოების ინტერნაციონალიზაცია კაპიტალის გატანის მთავარი მიზეზია, ზოგიერთი მეცნიერი არასწორად მიიჩნევს.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გაანგარიშება საქართველოში ხორციელდება 1997 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდის(სსფ) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის "საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელო", ხოლო 2009 წლიდან "საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს" მიხედვით. გარდა ამისა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზუსტი განსაზღვრის, პირდაპირი ინვესტირების საწარმოო კავშირების სწორად დადგენისათვის და ზუსტი გაანგარიშების წარმოებისათვის გამოიყენება ასევე "პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაზღვრება", ასევე სსფ-ს მიერ 2008 წლის დეკემბერში გამოცემული "კოორდინირებული პირდაპირი ინვესტიციების გამოკვლევის სახელმძღვანელო".

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ სტატისტიკური გამოკვლევა ამჟამად მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს(კონტროლირებად ტერიტორიებს) და 2000-მდე სამეწარმეო სუბიექტებს. გამოსაკვლევ ობიექტთა შერჩევა ხორციელდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით:

- საწარმოს ყავს არარეზიდენტი დამფუძნებელი;
- ახორციელებს ექსპორტ — იმპორტის ოპერაციებს;
- არარეზიდენტებისაგან აქვს აღებული ან გაცემული სესხი;
- დეპოზიტები აქვს განთავსებული არარეზიდენტ ბანკებში;
- ფლობს არარეზიდენტი საწარმოს საწესდებო ან სააქციო კაპიტალის ათ პროცენტს ან მეტს;
- არარეზიდენტებს უწევს ან მათგან იღებს მომსახურებას.

დაზუსტებული მონაცემები განსხვავებულია წინასწარისაგან. ამის ერთ-ერთი ყველაზე მთავრი მიზეზი ისაა, რომ საწარმოები ყოველ წელიწადს წარმოადგენენ დაზუსტებული მოგება-ზარალის მაჩვენებლებს. ზოგადად, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს: არარეზიდენტის მიერ წილის დათმობა რეზიდენტისთვის, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის რეკლასიფიკაცია პორთფელის ინვესტორად, რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ არსებული ვალდებულებების შემცირება.

უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს თუ განვიხილავთ ხანგრძლივ დინამიკაში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, ადვილი შესამჩნევია ტენდეცია, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა წლის მეორე ნახევარში აჭარბებს პირველი ნახევრის სიდიდეს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამწვავებამდე მრავალი ქვეყნისთვის დამახასიათებელი გახდა უცხოური კაპიტალდაბანდებების მნიშვნელოვანი წინმსწრები ტემპები მსოფლიო ვაჭრობისა და ერთობლივი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდის ტემპებთან შედარებით. პრაქტიკულად, თითქმის ყველა ქვეყანა გააქტიურდა საზღვარგარეთის ინვესტიციების მოზიდვით და საერთაშორისო კომპანიების სტრატეგიული გლობალიზაციით. უცხოური კაპიტალდაბანდებები არა მარტო ეკონომიკური განვითარების მძლავრი ფაქტორია, არამედ მნიშვნელოვან გავლენასაც ახდენს საგარეო ვაჭრობის დინამიკასა და სტრუქტურაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელებასა და საფინანსო რესურსების გადაადგილებაზე. ისინი ხელს უწყობენ: საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციას, მოწინავე მენეჯმენტის გამოყენებას, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდას, სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმების ზრდას.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალობას ზრდის საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა: მნიშვნელოვანი საგარეო ვალი, უმუშევრობის მაღალი დონე, მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე, წარმოების ასამოქმედებლად საკუთარი სახსრების პრაქტიკული უქონლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი მ., «ინვესტიციების მაკროეკონომიკური ეფექტიანობა». თბ., 2006.
2. გელაშვილი მ., „საინვესტიციო პოლიტიკა". თბ., 2012.3.
3. Squire I. Tak H. G. "Econimic Analisis of project". World Bank, Baltimor, London. 2001.
4. World Bank. Doing Business 2010. Washington (DC): World Bank.
5. www. parliamenti.ge
6. www.statistik.ge
7. www.nbg.ge

The Main Directions OfEconomic Development In Georgia

Maia Chania *- Academic Doctor of Economic*
Sokhumi State University

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები

რეზიუმე

მცირე ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის, ძალზე მტკივნეულია საკუთარი და გლობალური პრობლემების შეხამება. საქართველოს ეკონომიკური განვითარება ორიენტირებულია მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გაღრმავებაზე. ამ მიზნით ხორციელდება ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება, რაც პირდაპირ ზემოქმედებს კონკურენციის განვითარებასა და ურთიერთდაკავშირებული საწარმოო ქსელის განვითარების პროცესზე. საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება და რეფორმების სოციალური ბაზის ჩამოყალიბების განხორციელების უზრუნველყოფა შესაძლებელია მცირე ბიზნესის განვითარების ბაზაზე. ბიზნესის დაჩქარებულ განვითარებას უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია ახალი სამუშაო ძალების შექმნაში, მონოპოლიზმის განეიტრალებაში, სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. უნდა შემუშავდეს და დაიხვეწოს ეკონომიკური პოლიტიკის ახალი კონცეფცია განვითარების კომპლექსური სტრატეგიის სახით. იგი გულისხმობს ეკონომიკის სტრუქტურულ-განვითარებას წარმოების, მართვის, ინსტიტუციური სტრუქტურების ჩათვლით, დარგობრივი ტექნოლოგიური, საკუთრებითი ურთიერთობების სრულყოფას, კერძო სექტორებისათვის ხელშეწყობას, ქალაქებისა და სოფლების დაბალანსებულ, ინტეგრირებულ განვითარებას.

Keywords: National Economic; Economic development; Small Business; Structural Development; Economic Policy; Economic Liberalization.

* * * * *

For small country, espeacially for Georgia, it's extremely sensitive to combine own and global problems. Georgia only recently joined the world market, the world's economic, social, political and cultural space. but this turn revealed one- sided as georgia imports more things than exports. And this situation suppresses national economy. The economic development of Georgia today's stage is oriented for deepening integration in world's economic. This purpose is for the liberalization of the economy and business environment.Which directly imfacts for development of competition and interconnected enterprise network. As empirical observations tells us, business units don't have problems to join market in georgia. Despite this, shares in small and medium bussines , in the process of total creation of value is insignificant yet for many reasons what restricts bussiness, which can't promoted and restricted development for service and production.

Beside above mentioned it's necessary to tell, that in georgia small business formed on State property-based economy of the body. Started massively pumping state ownership of small bussiness. Cheap raw, Materials, labor sources, Favourable transport tariffs, cheap credits, remark from influence of tax mechanisms in fact. The factory of big capacity oldest age and materialism of „ Red Directors" formed together, which opened the way tocreate criminal economic. In this way the biggest part of property drained from the Accumulation field. So it's naturally didn't spend on development of national production. At the same time it's impressive such a positive results of small employers. privately, fast, (in 3-4 years) acumulated important private capital. Set up manufacturing and serve of scare goods. Current market gave big abilities to small bussiness. Well developed retail trade.

For the first half of the 1990s there wasn't a special law about small bussiness in Georgia.This area is mainly regulated by the Cabinet of Ministers on August 6, 1993 with № 613 Resolution of the "Small Enterprise Development Event". In this document problems of forming small bussiness were not associated to privatization process. Provide with resources for such enterprises implemented with the traditional positions, individual and selective attitudes. in 1993-1994 years the attitude of the state substantially transformed for the entrepreneur's development. Adopted new laws those promoted to the development of large-scale enterprise. With the help of liberal-democratic reforms small business developed dynamically.Much of the public joined to private entrepreneurship in the initial period, especially in the small parts of it. In 1990-1992 years, Georgia appeared as an average big business.

The years 1993-1998 was marked by large-scale privatization and the development of all type of entrepreneurship, appearance of many ownerships, serving, trading, catering, light industry,active penetration of small bussines in the use of mass production fields. In 1993, almost all the privatized enterprises were small (98,2%). Next year this number was reduced to 71,2%.1993-1997 years in Georgia, processed privatization of the mainly small enterprises which reached to peak in 1995-1996. Only in these two years were privatized 6948 small enterprises, that is 43% of privatized small enterprises in 1994-2001 years. The privatization of small enterprises sharply reduced since

2000, because the abilities of this process were on higher stage. In 1993-2002 were tottaly privatized 1659 enterprises, between them 1588 small (95,4 of total number of enterprises) and 771 medium and large enterprises (4,6%). Respectively, most important capital gains of privatization were in 1995 - 58,2 million lari, in 1996 to 164.2 million lari, in 1999 - 73.3 million lari, in 2000 - 54.1 million lari.

For Developing of entrepruneuring in Georgia, more or less size, at any stage of economic reforms the unstable tax system was problem. Continual changes and additions in tax laws, some way supported to worsening economic index, imposing sanctions for late payment of taxes, it caused eralier date into force of instructions and so on. Briefly existence of authoritarian system marked on busness case development in Georgia, negatively impacted on the macroeconomic indicators and therefore growth of economic of the country.It is essential to establish the middle class owners, in this way creates a balanced market economy is one of the "Construction", which reveals ability to adapt to new situations during the political, socio-economic fluctuations. Considered that for the formation of the middle class is crucial importance development of small and medium enterpriseswhich requires the state to support the creation and implementation of an efficient system of measures.Free enterprise establishment and development for make small enterprises, means to have an appropriate institutional framework, which requires:

1. Develop particular and consistent policies and support small enterprises, which, as a rule, should be an integral part of the general business development of national and state policies;
2. Create a favorable environment for private enterpreunerships for establishment and eliminate of hindering reasons for development enterpreunership and define specific directions.
3. Separate responsibilities and functions among central government bodies and regional structures for establish police of free entrepreneurship and implementation process
4. Representives effective participation in the proccess of economic policy-making, realisation and effectiveness of the evaluation process.

Process to create certain conditions it may discovered quite rational to decrease the tax reduction task. because there are certain types of economic cost, which is very sensitive for small enterprises. One of the main conditions for a rational policy is that taxes should not be too reduted, The tax savings should be consistent with the adjustment costs(it is important that such benefits apply only to those persons whose activities in the period and magnitude smaller than the relatively high costs and named).In such a case can be used for other forms of preferential tax rates reduced. In some cases the payment of taxes in order to reduce the costs of alternative, which is more for small business for the one thing, it hasn't eveloped a system of internal accounting requirements. Used a simplified modes, it allows us with more or less precision to focus on certain types of tax liabilities and (or) to liberate other taxes.

Small Business Taxation special rules based on the following factors:

1. The relatively high costs associated with the tax laws and performing other requirement of state, a high impact on the small business, market, as well as judicial and law enforcement systems imperfection. This effect is particularly noticeable for the newly established enterprises;
2. Production factors and increase the competitiveness of the finished products to markets in the rising number of small enterprises and the natural inclination of the process of stimulation, including tax measures;
3. Small businesses to participate in the innovation process;
4. The important social role of small business (the impact on employment, income equalization in the labor market at the expense of competition);
5. For great mobility, the role of small business to the stabilizing at the expense of a diversified economy;
6. The commitment of avoiding taxation, which is typical of hard-taxable activity types. In some cases they are considered part of the recovery of the taxes targeted for such enterprises (in order to resolve these problems, some countries in special payments).

State support for small and medium enterprises have become a component of the State's procurement process in this sector of the circuit (as part of preferences). We believe that at this point the share of small and medium enterprises make up a third of the total amount of the contracts.Also it is recommended to establish minimum 40% of credit resources for small enterprises as a "cheap credit" or similar state program;

In condition of open economy, Open economy, small and medium businesses can turnas an instrument into large corporations and diversification of the consumer market of modernization.Georgia's small and medium enterprises development will allow us to effectively solve such important problems, as increasing competition, the reform of the social base extension, The formation of the middle class, employment, production capacity load, the formation of budget revenues, a weighty contribution to the country's gross domestic product and the formation of the general, to solve the country's socio-economic problems. Accelerated development of business in Georgia may make the largest contribution to the creation of new jobs, to counterbalance the monopoly, environmental preservation and improvement of the social problems.It is possible for a small business on the basis of structural transformation of the economy and reform of the social base. Small and medium enterprise development have to ensure to out of the countryfrom economic crisis, the formation of the middle class, long-term economic growth and political stability and the promotion of the acute social problems.

Literature:

1. Understanding growth priorities at small and medium-sized businesses. Economist Intelligence Unit, 2009.

5. Tokmazishvili M. Papava V., Necroeconomic Foundations and the Development of Bussiness in Post-revolution Georgia. The Caucasus and Globalization, Vol. 1 (3), 2008.

6. Tokmazishvili M. Global Fiancial Crisis transmission in Georgia. Azerbaijan, Economical University of Azerbaijan, 2010. Global Finnancial Crisis: World experimece": Conference: materials.

7. Private Public Partnership: Alternative Modelle for State Infrastructure. Price Water-house Coopers, 2008.

8. Meqvabishvili E. Modern Macroeconomical Theories tbilisi2012

9. Small and Average Businesses in Georgia (static publication) Tbilisi 2012

საქართველოს საქმიანი კულტურის თავისებურებები და მათი გავლენა მართვის სამამულო სისტემაზე

***ნატო ჩიკვილაძე**, სტუ-ს პროფესორი*
***ლაშა კაკულია**, სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ქცევის თავისებურებები წარმოადგენენ გარკვეული მოვლენებისა და ერის არსებობის პირობების შედეგს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ბიზნესის ტრადიციები საქართველოში ყალიბდებოდა როგორც ბუნებრივი, ისე ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების ზეგავლენით, რაც განაპირობებდა მათ ცვალებადობას და მრავალსახეობას.

ქართულ ბიზნესს გააჩნია რიგი თავისებურებები, რომელთა უდიდესი ნაწილი აიხსნება ქვეყნის ისტორიული და კულტურული განვითარებით;

ბაზარზე გადასვლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები მმართველობით ქცევაში, იმავდროულად საქართველოში ინსტიტუციონალური სფეროს ნელი განვითარება არ შეესაბამებოდა პრინციპულ ცვლილებას ფასეულობათა სისტემაში, რაც ხსნის თანამედროვე საქმიანი კულტურის ბევრ ნეგატიურ ნიშან-თვისებას;

მენეჯერმა, რომელიც საქმიანობს საქართველოში უნდა გაითავისოს ეს თავისებურებები და გამოიყენოს ისინი მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

საკვანძო სიტყვები: საქმიანი კულტურა; კოლექტივიზმი; ინდივიდუალიზმი; განუსაზღვრელობა; მასკულინიზმი; ფემინიზმი.

Особенности грузинской деловой культуры и их влияние на отечественную систему управления

Нато Чиквиладзе. Проф. ГТУ
Лаша Какулия, Докторант ГТУ

Резюме

У любого государства особенности экономического поведения являются следствием определённых событий и условий существования нации на протяжении долгого времени.

Традиции бизнеса в Грузии складывались под воздействием как природных, так и историко-политических и социальных факторов,что обусловливало их изменчивость и разноликость.

Бизнес в Грузии имеет ряд особенностей,большая часть которых обяснима с точки зрения исторического и культурного развития страны.

Переход к рынку повлёк значительные изменения в управленческом, при этом медленное развитие институциальной сферы в Грузии не соответсвовало принципиальному изминению в системе ценностей,что объясняет многие негативные черты современной деловой культуры.

Менеджер,осуществляющий деятельность в Грузии должен осознавать эти особенности и использовать их для повышения эффективности управления.

Ключевые слова: Деловая культура; Колективизм; Индивидуализм; Неопределенность; Маскулинизм; Феминизм.

შესავალი

საქმიანი კულტურის ქვეშ იგულისხმება ბიზნესის სფეროში ნორმებში, ღირებულებებში და ცოდნაში გამოხატული ურთიერთობების სისტემა. ადამიანის ქცევაზე ბიზნესის სფეროში უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას — გეოგრაფიული, სოციალური, ბუნებრივი, ეკონომიკური, რელიგიური და ზოგიერთი სხვა, რომელიც შემდეგ აისახება გარკვეული ტრადიციებისა და ჩვევების ფორმირებაში. ეს პირობები წარმოშობენ ცხოვრების, აღზრდის, შრომის გარკვეულ სისტემებს. კვლევები კი აჩვენებენ, რომ ისინი მეურნეობის გაძღოლის ცვლილებების დროსაც კი აგრძელებენ ზემოქმედებას მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შრომით ჩვევებზე და ფსიქიკის თავისებურებებზე.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ქცევის თავისებურებები წარმოადგენენ გარკვეული მოვლენებისა და ერის არსებობის პირობების შედეგს ხანგრძლივი დოის განმავლობაში.

ძირითადი შინაარსი

ბიზნესის ტრადიციები საქართველოში ყალიბდებოდა როგორც ბუნებრივი, ისე ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების ზეგავლენით, რაც განაპირობებდა მათ ცვალებადობას და მრავალსახეობას.

საქართველოს საქმიანი კულტურის ჩამოყალიბების ისტორიაში პირობითად შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ეტაპები: რევოლუციამდელი პერიოდი, სსრკ-ს პერიოდი და მისი შემდგომი. პირველი ორი უფრო მნიშვნელოვანი იყო, რის შედეგადაც საქმიანი ურთიერთობის ქართულ სტილზე ყველაზე მეტად აისახება: საბჭოთა ნორმები, წესები,

ასევე ღირებულებათა ორიენტაციები და ქართული ეროვნული ხასიათის თავისებურებები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამომუშავდებოდა. თუმცა, საქართველოს ისტორიაში არ არსებობს კაპიტალისტური მეწარმეობის ძლიერი ტრადიციები, რომლებსაც შეძლებოდათ ხელი შეეწყოთ საქმიანი ტრადიციების განვითარებისათვის

ასე, ბიზნესის ახალი განვითარების არც ისე შორეული პერიოდი აღინიშნებოდა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში,საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921წწ) პირობებში თუმცა, შემდეგ, 70 წლის განმავლობაში ბიზნეს-საქმიანობა უკანონო იყო, ეს კი საკმარისი დროა მეწარმეობის ნებისმიერი უნარების დასაკარგავად.

უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში მეწარმეობის საფუძვლად გამოდიოდა მართვის გეგმიური სისტემა, რომელიც ფაქტიურად დაიშალა რეფორმების პროცესში. სსრკ-ს დანგრევასთან ერთად მმართველობითმა ქცევამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა. ადრე სახელმწიფო წარმოადგენდა მესაკუთრეს და უფრო მეტად ზრუნავდა კონტროლსა და შეზღუდვებზე, ვიდრე შემოქმედებით მიდგომასა და წახალისებაზე. დგებოდა კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ძირითადად იზომებოდა ნატურალური სახით. საბოლოო ჯამში, საბჭოთა ეკონომიკა ცნობილი იყო გაფლანგვით, არასაჭირო პროდუქციის გამოშვებით, სამეურნეო დისპროპორციებითა და სხვა ნეგატიური მოვლენებით. საქართველოში შემოქმედებითი მიდგომა საფრთხის ქვეშ აყენებდა გეგმის შესრულებას და ვერ სარგებლობდა წარმატებით, გარდა ამისა, მოსახლეობაში ფესვი ჰქონდა გადგმული უინიციატივობას და ა. შ.

ბაზარზე გადასვლამ გამოიწვია ცვლილება მმართველობით ქცევაში და აიძულა ადამიანები გადაეხედათ ბევრი თავისი პრინციპისათვის. ამასთან ერთად, თანამედროვე საქმიანი კულტურის მრავალი უარყოფითი ნიშნის, მათ შორის საქმიანი ეთიკის დაბალი დონის მთავარი მიზეზი ისაა, რომ საქართველოში ინსტიტუციონალური სფეროს ნელი განვითარება არ შეესაბამებოდა პრინციპულ და მკვეთრ ცვლილებებს ფასეულობათა სისტემაში. პირველ რიგში სოციალისტური სისტემა, რომელიც ქადაგებდა კოლექტივიზმსა და ინდივიდუალური ღირებულებების არარსებობას, შეიცვალა სხვა, ინდივიდუალურ ინიციატივაზე და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულით. რადიკალური ცვლილებებს არ ახლდა თან ადექვატური განვითარება პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, რამაც გამოიწვია აღრევა განმარტებებში, თუ რა არის სწორი/არასწორი ან ეთიკური/არაეთიკური ბიზნეს-ქცევებში.

მიუხედავად ამისა, მსოფლიო სისტემაში ჩართვის პროცესი, გლობალიზაციის გავლენა და მსო-ში გაწევრიანება მოითხოვს საქართველოსგან გარკვეულ კონცეფციას მენეჯმენტის სფეროში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ტრანსფორმაციის პროცესები ეკონომიკურ სფეროში უპრეცედენტო ცვლილებებით გამოვლინდა. ეს ცვლილებები საკმაოდ მძიმე იყო ბიზნესის სუბიექტთათვის, რადგანაც მენეჯერები განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდნენ.

უცხოელი და ქართველი მკვლევარები ეცადნენ გაეკეთებინა ქართული საქმიანი კულტურის ანალიზი მისი ძირითადი ნიშნების გამოყოფით, აქცენტს აკეთებდნენ მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მიმართავდნენ მისი თითოეული პარამეტრის ისტორიულ წყაროებს. აღმოსავლეთ ევროპულ კლასტერში შემავალი ქვეყნებიდან საქართველოს ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ჯგუფებზე და ოჯახზე დამოკიდებულების მიხედვით. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი არის კოლექტივიზმი. რაც შეეხება საქართველოს, კოლექტივიზმის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიუხედავად თავისი ღირებულებებით ინდივიდუალიზმისკენ იხრება.ქართული კულტურის კოლექტივისტური ხასიათის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.ზოგი თვლის რომ საქართველოში კოლექტივიზმის გამოვლენის ფორმაა, მაგალითად ის რომ კადრების შერჩევის დროს უპირატესობა ენიჭება "საკუთარი ჯგუფის" წევრებს,სამუშაოზე ნათესავების დანიშვნას.ეს მენეჯმენტისათვის პრობლემატურ საკითხად განიხილება და სწორედ აქედან გამომდინარე უნდა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ რომ საქართველოში გამოვლინდა ინდივიდუალისტური ღირებულებების უპირატესობები. ისეთი მიდგომები როგორიცაა: პირადი პასუხისმგებლობის და ორგანიზაციის წინაშე ვალდებულებების გრძნობა მიგვითითებენ რომ ადამიანები მოქმედებენ ინდივიდის და არა როგორც რომელიმე ჯგუფის წევრის თვითშეგნებით.რადგან მეტი უპირატესობა ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და პირად ინტერესებს ენიჭება, მართვის სტრატეგიის შემუშვებისას უნდა იქნას გათვალისწინებული მომუშავის ინდივიდუალური წვლილი და შრომის შედეგების შეფასებისას ინდივიდუალური მიღწევები უნდა იყოს გამოკვეთილი.

საქართველოში მაღალია ძალაუფლებრივი დისტანცია. ორგანიზაციებში დასაქმებულ ადამიანებს სურვილი აქვთ მეტად იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მაგრამ მათ ამის ნაკლები შესაძლებლობები გააჩნიათ. აქედან გამომდინარე დასაქმებულთა მხრიდან მოსალოდნელი ინიციატივის გამოჩენა და თავიანთი წინადადებების წამოყენება ხელმძღვანელთაგან ღია და მოქნილი დამოკიდებულებას მოითხოვს.

ქართული საზოგადოება ცვლილებებს დადებითად ხვდება და განუსაზღვრელობისადმი შემგუებლობას ამჟღავნებს. ეს გვაძლევს იმედს რომ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემოტანა წარმატების მომტანი იქნება.

მასკულინურობა-ფემინიურობის განზომილების მიხედვით გამოვლინდა ორივე ნიშნისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ერთდროულად არსებობა, ამიტომ შეიძლება ითქვას რომ ქართული კულტურა შერეული ტიპისაა, ასე მაგალითად სამსახურში წინსვლის შესაძლებლობა და შრომითი ანაზღაურე-

ბის დონე ძლიერ მნიშვნელოვანია მომუშავისათვის. ამიტომ ადამიანური რესურსების სტრატეგიის შემუშავებისას ყურადღება სწორედ ამ ღირებულებებს უნდა მიექცეს. ხოლო რაც შეეხება ფემინურ ღირებულებებს, ქართველი ადამიანისთვის მინიშვნელოვანია სამუშაო ადგილზე მეგობრული ურთიერთობისა და ნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბება და ეს მოითხოვს ამ მხრივ მომუშავეთათვის ხელშეწყობას.

ასევე არაა მკვეთრად გამოხატული საზოგადოების გრძელვადიანი-მოკლევადიანი ორიენტაცია, რადგან საქართველოში ორივე ტიპის ღირებულებებია გაზიარებული.

დასკვნა

ქართული საქმიანი კულტურის თავისებურებების გარკვევის შედეგად, ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნებამდე:

- ქართულ ბიზნესს გააჩნია რიგი თავისებურებები, რომელთა უდიდესი ნაწილი აიხსნება ქვეყნის ისტორიული და კულტურული განვითარებით;
- ბაზარზე გადასვლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები მმართველობით ქცევაში, იმავდროულად საქართველოში ინსტიტუციონალური სფეროს ნელი განვითარება არ შეესაბამებოდა პრინციპულ ცვლილებას ფასეულობათა სისტემაში, რაც ხსნის თანამედროვე საქმიანი კულტურის ბევრ ნეგატიურ ნიშან-თვისებას;
- მენეჯერმა, რომელიც საქმიანობს საქართველოში უნდა გაიგოს ეს თავისებურებები და გამოიყენოს ისინი მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოფსტედე, კულტურები და ორგანიზაციები, თბ., 2011წ.
2. საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო, თბ., 2011წ.
3. ლ.ჯამაგიძე, ნ.პაპაჩაშვილი, შ.შაბურიშვილი, დ.სიხარულიძე, საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში, თბ., 2011წ.

სოციალური უთანასწორობის პრობლემების რეტროსპექტული ანალიზი

ელენე მენაბდე-ჯობაძე, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
სიმონ ბურჭულაძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატია იხილავს თანამედროვე სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთ ფართოდ განხილულ თემას - სოციალური უთანასწორობისა და სიმდიდრის განაწილების შესახებ. მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება არსებობს. საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია. სოციალური უთანასწორობის გამომწვევი მიზეზებისა და წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების გზების კვლევა არის მოცემული სტატიის მიზანი. შემოსავალი და სოციალური მდგომარეობა განსაზღვრავს სოციალურ სტატუსსა და ადამიანის მომავალ შესაძლებლობას. სოციალური უთანასწორობა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ადამიანის პერსპექტივებსა და მომავალზე. სოციალური უთანასწორობის ზრდის ტენდენციის შემთხვევაში მაღალია არასტაბილური გარემოს შექმნის, რევოლუციის და აშ. რისკი.

უახლესი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შემოსავლის უთანასწორობა წლების განმავლობაში იზრდება. სიღარიბის შემცირების მიზანი ეკონომიკური ზრდაა. მაგრამ სიღარიბის შემცირება არ ნიშნავს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებასაც, რადგან ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული სარგებლის დიდი ნაწილი სწორედ მდიდარ ადამიანებთან მიდის. შემოსავლების უთანასწორობის შემცირების ერთ-ერთი ბერკეტი ფისკალური პოლიტიკაა. სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯები, გადასახადები და ფისკალური შემოსავლები მნიშვნელოვან კავშირშია უთანასწორობასთან. სახელმწიფოს მიერ ფინანსების მიმართვა ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ, არ ამცირებს სოციალურ უთანასწორობას. უთანასწორობა მცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სახსრები მიმართულია ჯანდაცვისა და განათლებისაკენ.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თეორია, მაკროეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, ფისკალური პოლიტიკა, შემოსავლები, სოციალური უთანასწორობა, სიღარიბე, ეკონომიკური ზრდა, ადამ სმითი, თომას მალთუსი, კარლ მარქსი, ალექსის ტოკვილი, საიმონ კუზნეცი, თომას პიკეტი, დარონ ასემოღლუ, ჯონ რობინსონი, ჯოზეფ სტიგლიცი, ჯეისონ ფურმანი, ჯეიმს დევისი, ალბერტო ალესინა, რობერტო პეროტი.

Summary

Article reviews one of the most widely discussed topic in current scientific economic literature, social inequality and wealth distribution. There are different points of view about this topic. That's why article is actual and important. Main goal of this article is to research and study the reasons, which cause social inequality and to find solutions to the problems arising from it. Income and social conditions are main determinants of social status and future possibility. Social inequality has negative impact on economic growth of a country, human perspectives and future. If trend of growing inequality is maintained, it can cause revolution, unstable environment, risk and etc.

According to the latest statistical data, income inequality is growing annually. The aim of the poverty reduction is to increase economic growth, but poverty reduction not necessarily means decreasing income inequality, because the economic benefits, which are received from economic growth, are distributed among the wealthy people. One of the instrument for reducing income inequality is fiscal policy. Government spending, taxes and fiscal revenues have important connections to inequality. Government spending on infrastructure, does not affect and reduce social inequality. Only Government spending on education and health care can reduce inequality.

* * * * *

სხვადასხვა ფინანსური ჟურნალების უახლესი მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანების 1%-ი უფრო მეტ შემოსავალს განაგებს, ვიდრე დანარჩენი მსოფლიოს მოსახლეობა ერთად აღებული. კაპიტალიზმის ჩამოყალიბების შემდეგ მუდმივად ხდება კაპიტალის კონცენტრაცია, რაც სოციალურ უთანასწორობას ქმნის. შემოსავლები მოსახლეობის ცხოვრებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებელია. მას, სოციალური უთანასწორობის შესწავლაში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. შემოსავალი და სოციალური მდგომარეობა განსაზღვრავს სოციალურ სტატუსსა და ადამიანის მომავალ შესაძლებლობას. სოციალური უთანასწორობა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ადამიანის პერსპექტივებსა და მომავალზე. სოციალური უთანასწორობის ზრდის ტენდენციის შემთხვევაში მაღალია არასტაბილური გარემოს შექმნის, რევოლუციის და აშ. რისკი.

სოციალური უთანასწორობა და სიმდიდრის განაწილება ერთ-ერთი ფართოდ განხილული თემაა თანამედროვე სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატუ-

რაში. მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება არსებობს. თემა ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია. სოციალური უთანასწორობის გამომწვევი მიზეზებისა და მის მიერ წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების გზების კვლევა არის მოცემული სტატიის ძირითადი მიზანი.

მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, ინგლისსა და საფრანგეთში კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ჩაისახა. სიმდიდრის განაწილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ამ პერიოდში. ყველა იაზრებდა, რომ რადიკალური ცვლილებები იყო მოსალოდნელი, რომელსაც ეკონომიკური ზრდა, ურბანიზაცია და ინდუსტრიული რევოლუცია აჩქარებდა.

თომას მალთუსი თავის ნაშრომში „ესე პოპულაციის პრინციპების შესახებ“ მსოფლიოს ძირითად პრობლემად ჭარბ პოპულაციას და სიღარიბეს მიიჩნევდა. იგი გარკვეულწილად არტურ იუნგის ნაშრომს ეყრდნობოდა. მალთუსი სიღარიბის მიერ გამოწვეულ მძიმე შედეგებიდან გამოყოფს მოსახლეობის დეჰუმანიზაციას. სიღარიბე იწვევს ყოველდღიურ ნერვიულობასა და შიმშილთან ბრძოლას, უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ადამიანებს აბოროტებს, ზოგიერთს კი ძალადობისკენ უბიძგებს. სიღარიბე ასევე მოქმედებს ადამიანების პოტენციალის რეალიზებაზე. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს განათლება, არ ძალუძთ თავიანთი ნიჭის ან უნარის განვითარება. ავტორი თვლის, რომ შობადობის ზრდა არ შეიძლება სიღარიბის გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყოს. მას კონტრარგუმენტად მოჰყავს ის, რომ ეკონომიკური ზრდა მჭიდრო დასახლებებში შეინიშნება და არა ცარიელ სოფლებში.

კარლ მარქსის მიხედვით, კაპიტალიზმი განწირულია, რადგან თავადვე მოიცავს საკუთარ ანტითეზას - პროლეტარიატს, რომელსაც „კაპიტალიზმის მესაფლავედ“ განიხილავს. კაპიტალიზმის შიგნით კონფლიქტმა განვითარების უფრო მაღალ დონემდე უნდა აიყვანოს საზოგადოება, რომელსაც მარქსი პირველ ეტაპზე სოციალისტურ, ხოლო საბოლოოდ კომუნისტურ საზოგადოებად მიიჩნევდა. მარქსის აზრით რევოლუციის მიზეზი სწორედ ქონებრივი და შემოსავლების უთანასწორობა იყო. დაბალი ფენის საზოგადოების წევრები ახდენენ რევოლუციას, რათა თავიდან მოიშორონ გაბატონებული ზედა ფენა. ის მიიჩნევდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში, უბრალო მშრომელი მოსახლეობისგან განსხვავებით, კაპიტალისტები უფრო და უფრო მეტი კაპიტალის კონცენტრირებას მოახდენენ, გაიზრდება უთანასწორობა საზოგადოებაში, რაც რევოლუციამდე მიგვიყვანს.

ალექსის ტოკვილის ჰიპოტეზის მიხედვით ეკონომიკურ გაუმჯობესებას რევოლუციამდე მივყავართ, რადგანა როდესაც ადამიანები დაინახავენ გაუმჯობესებების შესაძლებლობას, მათ მეტის სურვილი გაუჩნდებათ, აღარ მოისურვებენ ცუდი პირობებისა და გაღიზიანების ატანას და მხოლოდ რეალური, მყისიერი გაუმჯობესება დააკმაყოფილებთ. ამგვარად ჩნდება რევოლუციის განზრახვა,

რამდენადაც მარქსისა და ტოკვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მათი უფრო ღრმად შესწავლაა საჭირო. ჯეიმს დევისი თავის ნაშრომში ორივე მოსაზრებას იზიარებს. თუმცა თვლის რომ საჭიროა მათი გარკვეულ დროის მონაკვეთში წარმოდგენა. მისი აზრით, თუ ეკონომიკური ზრდა ხანგრძლივი დროის მონაკვეთში მიმდინარეობს, რევოლუციის რისკი უფრო მაღალია, რასაც მყისიერი გაუარესება მოსდევს.

საინტერესოა რატომ აქამდე არ ახდა მარქსის „წინასწარმეტყველება“? კეთილდღეობის შესახებ არსებობს ორი თეორია. მოცემული თეორიები გარკვეული დაშვებების შემთხვევაში მოქმედებენ. პირველი თეორიის მიხედვით ბაზარი თავისთავად კონკურენტული წონასწორობის წერტილში მიდის, რაც გარკვეულწილად ადამ სმიტის „უჩინარი ხელის“ დამადასტურებელია. კეთილდღეობის მეორე თეორიის თანახმად, ნებისმიერი პარეტო ოპტიმუმი შესაძლოა ერთიანად, სიმდიდრის აღებით და გადანაწილებით, ხოლო შემდეგ ბაზრისთვის დამოუკიდებლად მოქმედების საშუალების მიცემით მივიღოთ. ამ ტრანსფერების გამოა, რომ დღევანდელ კაპიტალისტურ ქვეყნებში თავიდან აცილებულ იქნა კარლ მარქსის „აპოკალიფსური“ რევოლუცია. ეკონომიკაში შეუძლებელია რომელიმე პირის მდგომარეობის გაუმჯობესება სხვისი მდგომარეობის გაუარესების გარეშე, სწორედ სახელმწიფოს მიერ შემოსავლების გადანაწილებაა მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკონომიკური თუ პოლიტიკური სტაბილურობისა და წონასწორობის წერტილის მისაღწევად, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მიღწეული პარეტო ოპტიმუმის სამართლიანობას.

ზემოაღნიშნული შეხედულება ეწინააღმდეგება კლასიკურ ეკონომიკურ პარადიგმას, რომლის მიხედვითაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანებს უნდა შეეძლოთ თავიანთი შრომის ნაყოფის მომკა, სხვებისთვის იძულებით გაყოფის გარეშე. სახელმწიფოს შეუძლია შემოსავლის გარკვეული ნაწილი აიღოს მდიდრებისაგან, მაგრამ უნდა გადაიხადოს შესაბამისი საფასურიც, რაც შემცირებულ წარმოებაში გამოიხატება.

ეს პრობლემა მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირსა და მსგავსი სოციალისტური ეკონომიკის ქვეყნებში. პრობლემის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა მოქალაქეები ინიციატივისა და ახალი იდეების გამოხატვისადმი გულგრილები იყვნენ, რადგან ეს კოლექტივს ეხმარებოდა და არა მათ პირადად. მეორეს მხრივ, ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად სკანდინავიაში, სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული შემოსავლების გადანაწილებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეკონომიკის 50%-ი სახელმწიფოს მიერ იმართება, ხალხი სიამოვნებას იღებს, როგორც მაღალი შემოსავლებით, ასევე ცხოვრების მაღალი დონით.

სიღარიბე ასევე ზემოქმედებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და შედეგებზე. ღარიბი მოსახ-

ლეობა იძულებულია თავისი პოლიტიკური უფლება „მფარველებს“ მიჰყიდოს. მოცემული სიტუაცია კი საფრთხის ქვეშ აყენებს საზოგადოების დემოკრატიულ მოწყობას. სიღარიბის დაძლევის მთავარ საშუალებად განათლება მიიჩნევა. განათლება აძლევს ღარიბ მოსახლეობას უკეთეს მომავალსა და სოციალურ სტატუს, ამცირებს გენდერულ დისკრიმინაციას.

ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცისა და ჯეისონ ფურმანის მიხედვით, სოციალური უთანასწორობა შეიძლება გახდეს პოლიტიკური არასტაბილურობის მიზეზი, რაც მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შემცირებაზე.

ცნობილმა იტალიელმა ეკონომისტებმა ალბერტო ალესინამ და რობერტო პეროტიმ გამოავლინეს თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს შემოსავლების უთანასწორობა, ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური სტაბილურობა. მათი კვლევა ეყრდნობოდა 71 ქვეყნის 1960-1985 წლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. პოლიტიკური სიტუაციის გასაზომად გამოყენებულ იქნა ინდექსი, რომელიც მოსახლეობაში სოციალურ მღელვარებას აღწერს. მათ დაადგინეს კავშირი საშუალო შემოსავლიანობას, პოლიტიკურ სიტუაციასა და ინვესტიციებს შორის. ინვესტიციებზე პოლიტიკური არასტაბილურობა უარყოფითად მოქმედებს, ხოლო საშუალო შემოსავლების მქონე ფენა პოლიტიკურ არასტაბილურობას ამცირებს. რაც უფრო მეტია საშუალო კლასის წარმომადგენელთა რაოდენობა ქვეყანაში, მით უფრო მდგრადია პოლიტიკური გარემო, ეს კი ნაკლებ სოციალურ უთანასწორობას ნიშნავს.

საიმონ კუზნეცი თავის ნაშრომში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეკონომიკური განვითარების დასაწყისში, როდესაც საზოგადოების უმეტესი ნაწილი ღარიბია, შემოსავლის უთანასწორობა დაბალია. ხოლო ეკონომიკური ზრდის შემდეგ უთანასწორობა მატულობს, რადგან გამდიდრებას მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს. კუზნეცი ასევე ფიქრობდა, რომ ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე უთანასწორობა კლებას დაიწყებდა, რადგან ყოველმხრივი ეკონომიკური განვითარება საზოგადების ნებისმიერ წევრს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შანს აძლევს.

ფრანგი ეკონომისტი თომას პიკეტი განიხილავს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც უთანასწორობის განსხვავების ზრდას ეხება. მსოფლიოში მდიდრები უფრო მდიდრდებიან, მაშინ როცა ღარიბები ღარიბდებიან. ადამიანების უმდიდრესი ნაწილის 1%-ის ქონება უფრო მეტია ვიდრე 99%-ის. ავტორი ფიქრობს, რომ როდესაც კაპიტალის შემოსავლიანობა უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკური ზრდა, მაშინ მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე უფრო ჩქარი ტემპებით შეიძლება გაიზარდოს ვიდრე გამომუშავებული. ის ასევე თვლის, რომ კაპიტალიზმი არის უთანასწორობის შექმნის მიზეზი. ეს სიმდიდრის აკუმულაციითაა გამოწვეული, რასაც იგი დემოკრატიასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს. თომას პიკეტი თავის ნაშრომში კუზნეცის მრუდს იყენებს და მოცემულ აზრს არ ეთანხმება. იგი თვლის, რომ კუზნეცის მრუდი საპირისპიროდ მოძრაობს. თავისი თეორიის განსამტკიცებლად ეკონომიკურ ისტორიას ეყრდნობა და თვლის, რომ კაპიტალიზმის საწყისი წერტილი სწორედ უთანასწორობა იყო, ხოლო მე-20 საუკუნეში ეს უთანასწორობა უფრო გაღრმავდა. პიკეტი ასევე მიიჩნევს, რომ ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანის უნარები, ტრენინგები და უფრო მეტად განათლებული სამუშაო ძალა დადებითად მოქმედებს თანასწორობის მიღწევის ახალ ნერტილზე, მაგრამ ისინი ბათილდებიან დაბალი გადასახადებითა და სუსტი შრომითი ორგანიზაციებით.

დარონ ასემოღლუ და ჯოან რობინსონი თვლიან, რომ პიკეტის თეზისები ზედმეტად გამარტივებულია. ავტორები არ ეთანხმებიან შეხედულებას ეკონომიკური კანონების უსარგებლობის შესახებ, წარსული გამოცდილების ანალიზისა და მომავლის პროგნოზირების პროცესში, რადგან იგნორირებულია პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების ცენტრალური როლი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ქვეყნების სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლის უთანასწორობა წლების განმავლობაში იზრდება. მოცემული ტენდენცია ყველაზე მეტად შეიმჩნევა ამერიკის შეერთებულ შტატებში. უთანასწორობის დონე მაღალია განვითარებად ქვეყნებშიც. სკანდინავიურ ქვეყნებში შემოსავლის უთანასწორობა საშუალოზე დაბალია. ასევე დაბალია სიღარიბისა და უმუშევრობის მაჩვენებელი. იშვიათია მაღალი შემოსავალი, მოსახლეობის ნაწილი სახელმწიფოსგან იღებს ტრანსფერებს, ხოლო პროგრესირებადი დაბეგვრის სისტემა უზრუნველყოფს ყველაზე მდიდარი ადამიანების უფრო მეტად დაბეგვრას.

აზიის განვითარების ბანკის პუბლიკაციის ავტორები თვლიან, რომ აზიაში სიღარიბის შემცირების მიზანი ეკონომიკური ზრდაა. ყველაზე ღარიბ მოსახლეობასაც ეძლევა მუშაობის შესაძლებლობა, რაც დადებითად მოქმედებს უთანასწორობის შემცირებაზე. მაგრამ სიღარიბის შემცირება არ ნიშნავს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებასაც, რადგან ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული სარგებლის დიდი ნაწილი სწორედ მდიდარ ადამიანებთან მიდის. შემოსავლების უთანასწორობის შემცირების ერთ-ერთ ბერკეტად ავტორები ფისკალურ პოლიტიკას განიხილავენ. სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯები, გადასახადები და ფისკალური შემოსავლები მნიშვნელოვან კავშირშია უთანასწორობასთან. სტატისტიკური ანალიზის შედეგად პუბლიკაციაში მითითებულია, რომ სახელმწიფოს მიერ ფინანსების მიმართვა ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ, არ ამცირებს სოციალურ უთანასწორობას. უთანასწორობა მცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სახსრები მიმართულია ჯანდაცვისა და

განათლებისაკენ. ეს მიუთითებს, რომ შემოსავლის უთანასწორობა ქმნის სოციალურ ბარიერებს, რომლებიც აფერხებენ სოციალურ მობილობას ერთი სოციალური ფენიდან მეორეში. განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოს ჩარევა გარკვეულწილად ბარიერებს ხსნის და დაბალი შემოსავლის მქონე პირებს ადეკვატური განათლებისა თუ ჯანდაცვის მიღების საშუალებას აძლევს. რაც თავის მხრივ ზრდის სოციალურ კაპიტალს, გრძელვადიან პერიოდში ამცირებს სოციალურ უთანასწორობას და ღარიბ მოსახლეობას წარმატების შესაძლებლობას აძლევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Malthus T, Essat of the Principles of Population, London 1798.
2. Furman J, Stiglitz J, Economic Consequences of Income Inequality, Federal Reserve Bank of Kansas:
3. Kuznets S., Economic Growth and Income Inequality, The American Economic Review, Vol. XLV, 1955.
4. Pikkety T. Capital In the twenty-first century, Cambridge, 2014
5. Acemoglu D., Robinson J., The Rise and Decline of General Laws of Capitalism, MIT, 2014.
6. OECD Publication, Income Inequality, The Gap between Rich and Poor. OECD iLibrary, 2015.

ფისკალური პოლიტიკა და დისციპლინა საქართველოში

ნაზი ჭიკაიძე
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
შოთა გურული
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

იმ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანებიდან, რომელიც საქართველოს უახლოეს მომავალში აქვს გადასაწყვეტი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის სტაბილურობის მიღწევა, რომლის საფუძველსაც სწორი ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს. ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად მაკროეკონომიკური მიზნებთან, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ფისკალური პოლიტიკა იქცეს ისეთ ინსტრუმენტალურ პოლიტიკად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება სწრაფად და სრულად მიღწეული იქნას გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მიზნობრივი მაჩვენებლები.გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფისკალური პოლიტიკა მოწოდებულია პასუხობდეს საბაზრო ეკონომიკაზე სრულყოფილი გადასვლისათვის და ეკონომიკური სტაბილურობისათვის პირობების მომზადებას.

საკვანძო სიტყვები; ფისკალური წესი; რისკები; ბიუჯეტი; დოკუმენტი; ფინანსები; საგადასახადო რეჟიმი

Fiscal Policy and Discipline in Georgia

Nazi Chikaidze
Doctor of Economy
Associate Professor of GTU
Shota Guruli
PhD student of GTU

Summary

The most important strategic objectives, which have to be solved in the near future, one of the most important economic stability, which is based on the correct fiscal policy. Fiscal policy effectiveness depends greatly on the overall macro-economic objectives that require fiscal policy to become an instrumental policy, through which it will be possible to quickly and fully achieve the long-term macroeconomic target indicators. Fiscal policy is committed to the needs of countries with economies in transition to a market economy and economic stability in terms of preparation for a perfect transition.

Keywords: Fiscal rule; Budget;Document; Finance; Risks; Tax regime.

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული საბაზრო მექანიზმების ფორმირება-ამოქმედებასა და მათი ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობასთან. ეკონომიკა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, მოიცავს როგორც საბაზრო მექანიზმებს, ასევე სახელმწიფო რეგულატორებს, რომელთა ურთიერთზემოქმედების ეკონომიკაზე გავლენისადმი კომპლექსური მიდგომა, თავის მხრივ, მოითხოვს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების გამოკვეთას, როგორიცაა ფისკალური პოლიტიკა და მისი მართვა ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მაკროეკონომიკური პროცესების ეფექტიანი რეგულირებისათვის.

ფისკალური წესების პირველადი დანიშნულებაა ფისკალური დისციპლინის გატარება. ის ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა ხელისუფლების დონეებს შორის პოლიტიკის უკეთეს კოორდინირებას. ფისკალური წესები გამოიყენება მომავალში ფისკალური პოლიტიკის განვითარების უკეთესი პროგნოზირებისა და გაუთვალისწინებელი მდგომარეობების თავიდან აცილებისთვის. თუმცა ფისკალური წესების პრაქტიკაში გატარება და შედეგის მოტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შესაბამისი ინსტიტუტები, რომლებიც ახორციელებენ სათანადო მონიტორინიგს და ქმნიან მათი განხორციელების ეფექტურ მექანიზმებს. ამისთვის აუცილებელია დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტები მხარდაჭერილი იყოს ძლიერი პოლიტიკური ვალდებულებებით.

ფისკალური პოლიტიკის ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე მოსალოდნელი გავლენის შეფასება, განსაკუთრებით ფისკალური პოლიტიკის, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინტრუმენტის გამოყენების მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის კუთხით, როგორც ეკონომიკურ თეორიაში, ასევე პრაქტიკაში განსხვავებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, დებატების საგანია. ერთი მხრივ, ყურადსაღებია დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის, როგორც ეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტის გავლენა მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდისთვის, ასევე მონეტარული პოლიტიკის განსხვავებულ მიმართულებებთან კოორდინაციისას. მეორე მხრივ, საყურადღებოა, დისკრეციული ფისკალური პოლი-

ტიკის ეფექტიანობის კავშირი მის კომპოზიციასთან (ანუ იმ ინსტრუმენტებთან, რომლებზეც ხდება ფოკუსირება პოლიტიკის შესაბამისი მიმართულების განხორციელებისას).

საქართველოს ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) ფორმატი პირველად მომზადდა 2005 წელს. მან რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, მას შემდეგ რაც საბიუჯეტო კოდექსით საკანონმდებლო დონეზე გამყარდა კავშირი ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიური ბიუჯეტის კანონის დაგეგმვას შორის. დოკუმენტი ასახავს მთავრობის პრიორიტეტებს, გასული წლების და დასაგეგმი წლების მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზს და მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებებს. დოკუმენტი ადგენს ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრულ მოცულობებს მხარჯავი დაწესებულებებისთვის. შედეგად BDD დოკუმენტი წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის პროექტის ერთგვარ ჩარჩოს და იმ პაკეტის ნაწილს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განხორციელებული რეფორმებიდან გამომდინარე განხორციელდა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში ცვლილებები, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და გადახდების განხორციელების წესის ახალი ინსტრუქცია.

2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგია, უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს უფრო ფართო მაჩვენებლების სისტემას: თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა, შესაძლო რისკები. აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით თუ სხვადასხვა სექტორულ სტრატეგიებით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები და მათი ბიუჯეტები ასახული იქნეს შესაბამისი წლის წლიური ბიუჯეტის კანონში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში. მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენის პროცედურები და მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და როგორ უნდა მოხდეს თითოეული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაციის მომზადება, როგორ უნდა მოხდეს ხარჯთაღრიცხვების მომზადება სხვადასხვა ტიპის პროგრამებისთვის: მართვისა და რეგულირების, მომსახურების მიწოდების, სუბსიდირების, ინფრასტრუქტურული/კაპიტალური.

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტები - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017“, რომელშიც „ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“, „ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, „საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ კონსოლიდირებულ იქნა ერთიან სამოქმედო გეგმაში.

ქვეყანაში ფისკალური სფეროს გაჯანსაღებისათვის მრავალი მიმართულება არსებობს, რომელთაგანაც ჩვენ უფრო ეფექტიანადაც შემდეგი ღონისძიებების გატარება მიგვაჩნია მიზანშეწონილად: პირველი,მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის პირობების შექმნა.ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესები მოითხოვს მხარდაჭერის ღონისძიებათა არეალის გაფართოებას. კერძოდ, უნდა განხორციელდეს: 1. საგადასახადო რეჟიმის კიდევ უფრო გამარტივება საგადასახადო ტვირთის შენარჩუნებით, მთლიან შემოსავლებზე კონსოლიდირებული გადასახადის გამოყენებით; 2. დაკრედიტების ისეთი ფორმების განვითარება, რომლებიც ხელს უწყობენ რისკების შემცირებას ტრადიციულ საბანკო სესხთან შედარებით. უპირველესად ეს ეხება ლიზინგს; 3. მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვა დელიცენზირების, სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის კონტროლისა და სანქციის მოწესრიგების მიზნით; მეორე,საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. ინვესტიციების სტიმულირებისათვის შესაძლებლად მიგვაჩნია მოგების გადასახადის განაკვეთების დიფერენციაცია და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია რეინვესტირებული მოგების საერთოდ გათავისუფლება გადასახადისაგან. ასეთი საგადასახადო მექანიზმის ამოქმედება განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება მცირე საწარმოებისათვის. ამასთან, მაღალი შემოსავლების მქონე ინვესტიციებზე მოგების გადასახადის დიფერენციაცია უნდა განხორციელდეს რეგრესიული შკალის გამოყენებიბით; მესამე, საექსპორტო საქმიანობის მოწესრიგება. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით ექსპორტი არ იბეგრება, რაც სავსებით შეესაბამება თავისუფალ საბაზრო ურთიერთობების პრინციპებს, ვინაიდან მისი შეზღუდვა მრავალ ნეგატიურ მოვლენასთან არის დაკავშირებული. ფისკალურ პოლი-

ტიკას, რომელიც ცენტრალურ ადგილს იკავებს ეკონომიკის მართვაში, უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული სახელმწიფოებრივი თავსებადობა, თავისი სტრატეგიითა და ტაქტიკით, მაგრამ უშვებდეს შემოსავლების სამსახურის რეაქციას ეკონომიკური კონიუნქტურის დროით ცვლილებებზე. ქვეყანაში მოქმედი გადასახადები და საგადასახადო სისტემა უნდა ემსახურებოდეს არა მარტო ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეების საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფის საქმეს, არამედ იგი უნდა იყოს ერთგვარი ხელშემწყობი და სტიმულატორი ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისა, უფრო მეტი კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი პროდუქციის შექმნისა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლების დონეს, რომლის მიზანსაც გადასახადები ემსახურება.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფისკალური პოლიტიკა და შესაბამისად, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს აძლევს საშუალებას, ერთიმხრივ, საგადასახადო განაკვეთებითა და შეღავათებით და მეორე მხრივ, სახელმწიფო ხარჯების რეგულირებამანიპულირებით აქტიური ზემოქმედება მოახდინოს მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნის მოცულობასა და სტრუქტურაზე, სახელმწიფოსა და მეწარმეთა საინვესტიციო პოტენციალზე, ეკონომიკის განვითარების ციკლურობაზე და მთლიანობაში სტაბილური ეკონომიკური გარემოს შექმნაზე, რადგანაც გატარებული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.Mof.gof.ge-saqarTvelos - ფინანსთა სამინისტრო
2. www.geostat.ge-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
3. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=4601
4. www.rs.ge- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებ-პორტალი
5. http://ec.europa.eu- ევროკომისია

იმერეთის რეგიონის ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ინტეგრირებულ მაჩვენებელთა სისტემა

ნონა ახვლედიანი, *ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

სტატიაში: „იმერეთის რეგიონის ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ინტეგრირებულ მაჩვენებელთა სისტემა" განხილულია რეგიონის ბიზნეს გარემოზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, რომელთაგან მთავარია სოციალურ-ეკონომიკური. მაკროეკონომიკური და ბუნებრივი, შრომითი რესურსებისა და შრომის ბაზრის გარემოს სტატისტიკური ინდიკატორები, შეიძლება ყველა გავზომოთ და წარმოვადგინოთ ერთ გაერთიანებულ, სინთეზურ, ინტეგრირებულ ინდიკატორში, რომლის მიხედვით ინვესტორები, ბიზნესმენები და სხვა დაინტერესებული პირები თვალნათლივ დაინახავენ თუ რამდენად მიმზიდველია მოცემული ქვეყანა ან რეგიონი ბიზნესის განვითარებისათვის? ამ შემთხვევაში სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტორთა ისეთ კომპლექსთან გვაქვს საქმე, რომელთა შეჯამება ან ერთმანეთზე გადამრავლება არ შეიძლება ანუ არ ხასიათდებიან ადიტიურობისა და მულტიფლიკატორების თვისებებით. ამიტომ აქ გამოგვადგება გაეროს ექსპერტების მიერ ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსის შემუშავებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ხდება თითოეული ფაქტორის სტანდარტიზაცია ანუ ნორმირება და შემდეგ მათი სინთეზი, გაერთიანება ერთ ინტეგრირებულ მაჩვენებელში.

Integrated Indicators Business Attractiveness of Imereti Region

Nona Akhvlediani, *Associated Professor*

Summary

The article: " Integrated indicators business attractiveness of Imereti region " The business environment is discussed in the current socio-economic and political factors, of which the most important socio-economic. Macroeconomic and natural, labor resources and labor market environment statistical indicators, may be all they have to measure and represent one united, synthetic, integrated indicators, which, according to investors, businessmen and other interested parties clearly see just how attractive the country or re-gioni Business development? In this case, the difficulty lies in the fact that we are dealing with factors such complex, which can not be multiplied in summary or each other, or have characterized aditiurobisa and multiplikatorebis properties. So here we will use the potential of the United Nations Human Development Index for the development of the methodology used by the experts, according to which each factor rating and the standardization of their synthesis, to unite in a single integrated indicator.

* * * * *

იმერეთის რეგიონი თავისი უძველესი ისტორიული წარსულით, ულამაზესი მდებარეობით, ხედებით, კულტურული და ბუნებრივი ფასეულობებით მეტად მიმზიდველ გარემოს ქმნის ინვესტორებისთვის. მისი ახალი საინვესტიციო გარემოს პოტენციალისა და შესაძლებლობების გაცნობის საკითხი ქალაქის თვითმართველობისათვის უმნიშვნელოვანესია, მით უმეტეს ქალაქი ხასიათდება პრიორიტეტული მხარეებით: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, დაბალი საბაზრო ფასები მიწასა და აქტივებზე, სტაბილური კრიმინოგენული ვითარება, ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, კვალიფიციური და იაფი მუშა ხელი, სამრეწველო წარმოების დიდი გამოცდილება, ტურიზმის განვითარების ფართო პერსპექტივებით და სხვა. ბიზნეს გარემოზე უამრავი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას, რომელთაგან მთავარია სოციალურ-ეკონომიკური. მაკროეკონომიკური და ბუნებრივი, შრომითი რესურსებისა და შრომის ბაზრის გარემოს სტატისტიკური ინდიკატორები შეიძლება გავზომოთ და წარმოვადგინოთ ერთ გაერთიანებულ, სინთეზურ, ინტეგრირებულ ინდიკატორში, რომლის მიხედვით ინვესტორები, ბიზნესმენები და სხვა დაინტერესებული პირები თვალნათლივ დაინახავენ თუ რამდენად მიმზიდველია მოცემული ქვეყანა ან რეგიონი ბიზნესის განვითარებისათვის? ამ შემთხვევაში სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტორთა ისეთ კომპლექსთან გვაქვს საქმე, რომელთა შეჯამება ან ერთმანეთზე გადამრავლება არ შეიძლება ანუ არ ხასიათდებიან ადიტიურობისა და მულტიპლიკატორების თვისებებით. ამიტომ აქ გამოგვადგება გაეროს ექსპერტების მიერ ადამიანის პოტენციალური განვითარების ინდექსის შემუშავებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ხდება თითოეული ფაქტორის სტანდარტიზაცია ანუ ნორმირება და შემდეგ მათი სინთეზი, გაერთიანება ერთ ინტეგრირებულ მაჩვენებელში. ბიზნეს გარემოს მიმზიდ-

ველობის სინთეზური, ინტეგრალური სტატისტიკური ინდიკატორი შეიძლება წარმოვიდგენილ იქნას შემდეგი სახით:

$$K_{\text{ინტ.}} = \frac{\sum_{i=1}^{n} K_i}{n}$$

სადაც, $K_{\text{ინტ}}$-ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ინტეგრალური კოეფიციენტია;

K_i-ური ფაქტორის სუბინდექსი;

n-ფაქტორთა რიცხვი.

თავისთავად ან სუბინდექსი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას შემდეგი ფორმულის დახმარებით:

$$K_i = \frac{x_i - x_{i\min}}{x_{i\max} - x_{i\min}}$$

სადაც, x_i-i-ური ფაქტორის ფაქტობრივი მნიშვნელობაა მოცემულ რეგიონში;

$x_{1\min}$- i-ური ფაქტორის მინიმალური მნიშვნელობა;

$x_{1\max}$- i-ური ფაქტორის მაქსიმალური მნიშვნელობა.

ბიზნეს გარემოზე მოქმედი ფაქტორები და მათი განმსაზღვრელი პარამეტრები ჩვენი ვარაუდით, შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

ბიზნეს გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორები
ცხრილი 1.

	ფაქტორის დასახელება	მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა	მაჩვენებლის მინიმალური მნიშვნელობა	სუბინდექსი
1	მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე	5448 აშშ დოლარი თვეში	100 აშშ. ოლარი თვეში	K_1
2	განათლების დონე	100%	0%	K_2
3	ჯანდაცვის დონე (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა)	85 წელი	25 წელი	K_3
4	უმუშევრობის დონე	მოწინავე ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K_4
5	სიღარიბის დონე	მოწინავე ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K_5
6	ინფრასტრუქტურის განვითარების დონე(მომსახურების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში)	მოწინავე ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K_6
7	ბუნებრივი რესურსების ხვედრითი წილი ეროვნულ სიმდიდრეში	დიდარი ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K_7
8	კანონდარღვევათა რაოდენობა მოსახლეობის 100000 სულზე	მოწინავე ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K_8
9	კერძო საკუთრების ხელყოფა რაოდენობა მოსახლეობის 10000 სულზე	მოწინავე ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K_9
10	ოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის კოეფიციენტი	მოწინავე ქვეყნის მაჩვენებელი	0%	K_{10}

ჩამოთვლილ ფაქტორთა პირველი შვიდი პირდაპირპროპორციულ გავლენას ახდენს ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხზე. ბიზნესმენს და ინვესტორს სრულებითაც არ აწყობს ბიზნესის განვითარებათვის მოსახლეობით დასახლებული ტერიტორია ცხოვრების ძალიან დაბალი დონით. მათი სურვილია ჰყავდეს კანონმდებლობით დაცული მდიდარი პარტნიორები ქვეყანასა და რეგიონში, აგრეთვე, მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა და განათლებული სამუშაო ძალის მქონე მოსახლეობა. მაგრამ ამასთან ერთად დაინტერესებულია იაფი სამუშაო ძალითა და ინფრასტრუქტურის (გზების, ტრანსპორტის და სხვ.) განვითარების მაღალი დონით, აგრეთვე, უმუშევრობისა და სიღარიბის არსებობით, რაც ბიზნესს იაფი სამუშაო ძალით უზრუნველყოფს.

ფაქტორთა ბოლო სამი დასახელება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხისადმი. კანონდარღვევათა დიდი რაოდენობა ანუ კრიმინალური სიტუაციის გაუარესება, აგრეთვე, კერძო საკუთრების ხშირი ხელყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების უთანაბრობის შეცირება, ანუ ნულთან მიახლოება აუარესებს ბიზნეს გარემოს. ამიტომ ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის საჭიროა, ჩვენი გაანგარიშებით ამ ფაქტორის შესაბამისი სუბინდექსი გამოვაკლოთ ერთს. მივიღებთ კანონმდებლობის და კერძო საკუთრების დაცვის, აგრეთვე, შემოსავლებისა და დანახარჯების არა უთანაბრობის, არამედ თანაბარგანაწილების კოეფიციენტებს, რომელთა გადიდება პირდაპირპროპორციულია ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხისადმი. საბოლოო ჯამში, ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტი მიიღებს სახეს:

$$K_{\text{მიმზ.}} = \frac{\sum_{i=1}^{7} K_i + 3 - \sum_{i=1}^{3} K_i}{10}$$

ზოგადად ჩვენს მიერ მიღებული ფორმულა ასე შეიძლება გამოვსახოთ:

$$K_{\text{მიმზ.}} = \frac{\sum_{i=1}^{m} K_i + (n-m) - \sum_{m+1}^{n} K_i}{n}$$

სადაც, m -ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის პირდაპირპროპორციული ფაქტორე ბის რიცხვია, ხოლო დანარჩენი n–m -არაპროპორციული მოქმედების ფაქტორებია.

ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ინტეგრალური კოეფიციენტის მნიშვნელობა იცვლება 0–დან 1–მდე, ანუ 0–დან 100%–მდე. თუ მისი მნიშვნელობა 0–დან 30%–ის ფარგლებშია, მიმზიდველობა სუსტია, 30–დან 60%–მდე საშუალოდ ზომიერი, ხოლო 60%–ს ზევით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძალიან ძლიერია.

იმერეთის რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდის კუთხით, პროცესის პერმანენტული განვითარების ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებებად უნდა ჩაითვალოს: ქუთაისის აეროპორტის მოდერნიზაცია, საქართველოს პარლამენტის განთავსების ადგილად ქუთაისის განსაზღვრა, თუმცა დიდი შედეგი ამას არ მოჰყოლია, სემეკის, კონტროლის პალატის, საქართველოს მთავრობის, საგზაო დეპარტამენტის ქუთაისში გადმოტანა. აგრეთვე, აღსანიშნავია 2009 წელს შექმნილი ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ) და 2015 წელს ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ქუთაისის ზომიდან გამომდინარე დასაქმების და უმუშევრობის დონეზე ეფექტი უმნიშვნელო იყო, დაგეგმილია უცხოური ინვესტიციების ზრდა და, შესაბამისად, ეფექტის მასშტაბის მატებაც. მოსახლეობის ზრდის მიუხედავად, ქუთაისისთვის დამახასიათებელია მიგრაციული პროცესები, რაც უმუშევრობის მაღალი დონით (22—25%) არის განპირობებული. სწორედ უმუშევრობა წარმოადგენს რეგიონის უმთავრეს სოციალურ—ეკონომიკურ პრობლემას. თუ გადავხედავთ წარსულს –1990-1995 წლებში მოხდა დეინდუსტრიალიზაცია - სამრეწველო წარმოების დონის მკვეთრი დაცემა და ამის შედეგად რეგიონის შიდა პროდუქტში დარგის ხვედრითი წილის არსებითი შემცირება. 1995-2001 წლებში ქუთაისის ეკონომიკურ სფეროში რიგი პოზიტიური ძვრები აღინიშნა, თუმცა, მდგომარეობა კვლავ რთული დარჩა - უკიდურესად დაბალი იყო საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა. 2012 წლისათვის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია, რაც მოხდა 2002 წლიდან მოყოლებული პროდუქციის გამოშვების მოცულობის, ისევე როგორც ბრუნვის საერთო მოცულობის ზრდის ხარჯზე. ბიზნეს აქტივობის ზრდაზე მიუთითებს ბიზნეს სუბიექტების სიმრავლეც. კერძოდ, თუ 2009 წელს 17 452 საწარმო იყო დარეგისტრირებული, 2011 წლის მონაცემებით საწარმოთა რაოდენობამ 24 860 ერთეული შეადგინა. ბიზნეს—აქტივობის ზრდა პოზიტიურად აისახა დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდაზეც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა, ლარის დევალვაციამ, რომელიც გამოწვეული იყო, როგორც გლობალური ისე სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებით, უარყოფითი გავლენა იქონია ყოველივე ამაზე. ბოლო ათწლეულებში სამრეწველო სფეროს მიერ რეგიონის ეკონომიკაში დომინირებადი პოზიციების დაკარგვამ და საბაზრო სისტემაზე სრულმა გადასვლამ გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურის ძირეული ცვლილება გამოიწვია. ძირითადმა „დატვირთვამ“ მომსახურე დარგებზე გადაინაცვლა. კერძოდ, ამჟამად, საწარმოო სფეროს შექმნილი პროდუქციის სტრუქტურაში მხოლოდ 17% უჭირავს, ვაჭრობა 36,5%—ით ფიქსირდება, განათლება, ჯანდაცვა და სპორტი 7,5%—ით, ხოლო მშენებლობა 12%—ით იმერეთის რეგიონისთვის ახალი დარგებიდან აღსანიშნავია ტურიზმი, რადგან რეგიონს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით დიდი პერსპექტივა გააჩნია. უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით დამუშავებულია ტურიზმის განვითარების პროგრამა, რომლის მიზანია ქ. ქუთაისის იმერეთის რეგიონის ტურიზმის განვითარების ცენტრად ჩამოყალიბება. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ქალაქის შემოგარენი მდიდარია მინერალური წყლებით, უნიკალური ისტორიული და კულტურული ძეგლებით, რომელთა რაოდენობა 500- ზე მეტს აღწევს. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში პოპულარობას იძენს აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმის სახეები. ამის საშუალებას იძლევა რეგიონში მდებარე მთისა და ტყის მასივები, რომელთაც 250,0 ათ. ჰა ფართობი უჭირავს. მცირე მასშტაბით უკვე დანერგილია ტურიზმის შემდეგი სახეობები: ეკოტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე, სამთო ქვეითი, სამთო საცხენოსნო, სპელეო ტურიზმი.იმერეთს წამყვანი ადგილი უჭირავს საქართველოს რეკრეაციულ სისტემაში. მხედველობაშია უნიკალური ბუნებრივი და ჰიდრომინერალური რესურსები — მინერალური წყლების სახით. სამკურნალო წყლებიდან გამოიყოფა წყალტუბო, საირმე — ბაღდათის რაიონში, ნუნისი — ხარაგაულში, სულორი — ვანში, ასევე საჩხერის სხვადასხვა მინერალური წყაროები. დიდი რაოდენობითაა თერმული წყლების მარაგი, რომლის გამოყენებას სათბობის დიდი ეკონომიის მოცემა შეუძლია. იმერეთისათვის, როგორც დიდი ისტორიული წარსულის მქონე მხარისათვის, ტურიზმის ახალი და საინტერესო მიმართულებაა რელიგიური ტურიზმი. იმერეთის ტერიტორია, ისე როგორც მთელი საქართველო, ანტიკური, გვიანი და ადრექრისტიანული ხანის ისტორიულ-კულტურული ძეგლებითაა წარმოდგენილი. თითოეული მათგანი ტურისტული ჯგუფებისა და სპეციალისტებისათვის ამოუწურავ მარაგს წარმოადგენენ. მარტო იმერეთის მხარეში 250-ზე მეტი ასეთი ძეგლია. ახლო მომავალში გასატარებელი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: — მუზეუმების, სახლ-მუზეუმების, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების იურიდიული სტატუსის განსაზღვრა; ბოლო პერიოდში ქალაქის იერსახის, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და სამეწარმეო საქმიანობის გამოცოცხლების სტიმულირებისაკენ

მიმართული ღონისძიებები საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ იმერეთი ეტაპობრივად გადაიქცეს თანამედროვე მოწესრიგებულ რეგიონად. სასურველია განსაკუთრებით ტურიზმის სფეროს უფრო მაღალ დონეზე ინფრასტრუქტურული მოწესრიგება და უზრუნველყოფა, მაგალითად კურორტებისკენ მიმავალი გზის თუნდაც ცალმხრივი განათება, რაც ჩემი აზრით აუცილებელია და გზის დასაწყისში შესაბამისი სიმბოლური ქანდაკებების, მაკეტების დადგმა და ა.შ. მიუხედავად მაკრო და ლოკალურ დონეზე მიღწეული რიგი წარმატებებისა, რეგიონის ძალიან ბევრი მოქალაქე ჯერ კიდევ დგას მძიმე სოციალური პრობლემების წინაშე, ამიტომ მომდევნო ხუთ წელიწადში იმერეთისთვის ზოგად ორიენტირებს შემდეგი საკითხები წარმოადგენს: რეგიონის ბიზნეს-სექტორის სტაბილიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის მაღალი ტემპით ზრდა; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; უმუშევრობის დონის შემცირება; საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. გაბიძაშვილი, ნ. კუხიანიძე – ახვლედიანი „ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევები ბიზნესსა და მენეჯმენტში" 2009წ.
2. დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება სუფთა ენერგიის პროგრამა კორპორატიული ხელშეკრულება , ქალაქ ქუთაისის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა.USID 2015.
3. www.Geostat.ge

ინვესტიციები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები

მეგი ანანიძე, *სტუ-ს დოქტორანტი*
რევაზ შენგელია, *სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროს უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. მსოფლიოში ყველა ქვეყანა ცდილობს მაქსიმალური ინვესტიციები თავის ქვეყანაში მიიზიდოს და ამ ძალიან დიდი კონკურენციის პირობებში ქვეყნები სხვადასხვა ძალისხმევას მიმართავენ. ზუსტად ეს მიზეზი იყო მე-20 საუკუნის ბოლოს ახალი ტენდენციის დამკვიდრებისა. ცქვეყნებმა დაიწყეს თავიან ტერიტორიებზე გარკვეული ზონების შექმნა, სადაც ინვესტორებისთვის საგადასახადო და ადმინისტრაციულ შეღავათიან პირობებს აწესებდნენ. მიუხედავად აღნიშნული ინოვაციისა აქაც გამოჩნდა მძლავრი კონკურენცია, რადგან მხოლოდ საშეღავათო პირობები არ იყო საკმარისი ახალი ინვესტიციების მოსაზიდად. ეკონომიკური ზონები განსხვავდებოდნენ ადგილმდებარეობით, სამუშაო ძალის კვალიფიკაციით, ქვეყნის განვითარების დონით და ა.შ. მსოფლიოში დაახლოებით 3000 ასეთი ზონა არსებობს, მაგრამ მხოლოდ მისი 20% არის წარმატებული, თავის საქმიანობაში.

Investment and Free Economic Zones

Megi Ananidze, *PHD student of GTU*
Revaz Shengelia, *Professor of GTU*

Summary

The most important source for the economics developmentof any country is the foreign investment. The countries all over the world try to attract the maximum investment in it's country anddue to the very competitive environment in countries. They use different affords precisely that was the reason for the establishment new trend in the late twentieth centuries. The counties began to allocatethe specific zones on itterritories, where the taxation and administration benefits were establish forinvestors. Despite the innovation the strong competition was presented, due tothe privileged conditions were not enough for attractionin new investments.The economic zones differed by the location, by the qualified labor, by the level development of the country etc. There are approximately3000 of such zone around the world, but only 20% of it is successfulin its activity.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია — კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება; თავისუფალი ეკონომიკური ზონა — ქვეყნის ტერიტორიის გამოყოფილი ნაწილი, რომელშიც მოქმედებს, დანარჩენი ქვეყნის ნაწილისგან განსხვავებული და გამარტივებული ეკონომიკური რეგულაციები. უცხოური ინვესტიციები, დაფუძნება, ეკონომიკური ზონა.

ძირითადი ნაწილი

უცხოური ინვესტიციების დიდი რაოდენობით შემოდინება ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველი მომენტია, რადგან უცხოურ ინვესტიციებს მოზიდვას გარდა ფინანსების შემოდინებისა თან ახლავს ახალი ტექნოლოგიების შემოდინება, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ა.შ. ინვესტიციების მოსაზიდად განვითარებადი ქვეყნები სხვადასხვა გზებს მიმართავენ. ერთერთი ასეთი გზა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა იყო. საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის პირველსავე წლებში დაიწყო თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზ) შექმნის იდეაზე მუშაობა. ამ პერიოდისთვის საქართველოს ეკონომიკა განიცდიდა სერიოზულ კრიზისს. ქვეყანაში იყო უმკაცრესი საგადასახადო პოლიტიკა, ასევე პროდუქციის მრავალ სახეობებზე ვრცელდებოდა სხვადასხვა შეზღუდვები და ტარიფები (ლიცენზიები, კვოტები და ა.შ). აღნიშნული პროექტი საკმაოდ მიმზიდველი იყო და საქართველოს მთავრობა ამ პროექტზე დიდ იმედებს ამყარებდა.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს ფოთის, ქუთაისისა და თბილისის თავისუფალი ინდუსტრიების ზონები, ასევე ქობულეთისა და ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონები.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახდო შეღავათები. ის განლაგებული უნდა იყოს მიწის არანაკლებ 10 ჰექტარზე და მასზე არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული ორგანიზაციები განთავისუფლებულნი არიან მოგების, ქონების, დღგ-ს, იმპორტისა და ექსპორტის გადასახადებისგან, ასევე სარგებლობენ სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებით, დღესდღეისობით მაინც წარუმატებელ პროექტად ითვლება.

რაც შეეხება თავისუფალ ტურისტულ ზონებს , აქ ინვესტორები განთავისუფლებულნი არიან ქონებისა და მოგების გადასახადისაგან 15 წლის განმავლობაში, ასევე განთავისუფლებულნი არიან მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლისაგან, გარდა ამისა ინვესტორს შესაბამისი მიწის ნაკვეთი გადაეცემა

სიმბოლურ ფასად 1 ლარად, მაგრამ მიუხედავად აღნიშნული პირობებისა სამწუხაროდ არსად ჩანს ინვესტორები, რომლებსაც სურვილი აქვთ აღნიშნული შეღავათებით სარგებლობისა.

საინტერესოა რა არის გამომწვევი მიზეზები და პრობლემები აღნიშნული შეღავათების მიუხედავად უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების არააქტიურობისა?

პირველი რაც ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორისათვის არის ქვეყნის უსაფრთხოება და მისი ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრატეგია. სამწუხაროდ საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში აღინიშნება ინვესტიციების კლება, რაც სწორედ ამ ფაქტორით არის განპირობებული. ამას დაერთო მსოფლიო კრიზისი და ინვესტიციების კლება მსოფლიო ბაზარზე. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტაბილურობა, ინვესტორს არ უნდა ქონდეს შიში როგორც მთავრობისა ასევე აღნიშნული მთავრობის ცვლილებისა. ნებისმიერ განვითარებად ქვეყანაში ხელისუფლების ცვლა დაკავშირებულია ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური კურსის ცვლილებასთან, რაზეც ინვესტორები საკმაოდ რთულად რეაგირებენ, ამიტომ ქვეყანამ უნდა მისცეს ინვესტორს გარანტიები, რომ მთავრობისა თუ ეკონომიკური კურსის ცვლილება არ აისახება მის ბიზნეს საქმიანობაზე.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ მრავალი ქვეყანა ვინც ქმნის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს, აღნიშნული ზონის გარეთ ავრცელებს მკაცრ საგადასახადო პოლიტიკას. დღესდღეისობით საქართველოში თითქმის ერთიანი მიდგომაა ინვესტორების მიმართ, როგორც აღნიშნულ ზონებში ასევე ამ-ზონების გარეთაც. საქართველოს ძალიან ჭირდებოდა ინვესტიციები, რის გამოც მთავრობამ გაამარტივა ბიზნესის რეგისტრაცია, შეამცირა გადასახადები, შეღავათიანი ტარიფები შეუქმნა ინვესტორებს არა მარტო აღნიშნულ ზონებში არამედ მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, რის გამოც აზრი დაკარგა აღნიშნულმა ზონებმა. აღნიშნული ზონებისთვის მეტი დატვისთვის მისაცემად კი საჭიროა ამ ზონებში სხვა რეგულაციების შემოღება, საქმიანობის სფეროების უფრო ფართო არცევანის შემუშავება. მთელ რიგ ქვეყნებში ქვეყანა საკუთარ თავზე იღებს თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში ინფრასტრუქტურის ხარჯებს, ასევე ბევრ შემთხვევაში შენობა აღნიშნულ ზონაში უკვე აშენებულია და მზადაა ექსპლუატაციისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყანამ უნდა შესთავაზოს ინვესტორს განსხვავებული და ინოვაციური იდეები.

მესამე მნიშვნელოვანი საკითხია უნდობლობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ. სამწუხაროთ ქვეყანაში ხშირია მონოპოლიისა და ლობირების მაგალითები, რაც ინვესტორს უკარგავს სამართლიანობის შეგრძნებას. სასურველია სანამ ქვეყანა მოახდენს სასამართლოს სრულ რეფორმას აღნიშნულ ზონებში წარმოშობილი დავები გადაწყდეს ევროპის სამართლებრივი ნორმებისს საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ აუცილებელია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ცაურევლობა და სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ინვესტორების მიმართ არის თავისუფალი ეკონომიკური ზონებისა და ინვესტიციების მოზიდვის წარმატების საწინდარი. აუცილებელია ქვეყნის მთავრობაში სპეციალისტების მიერ შესწავლილი და გამოკვლეული იქნეს ინვესტიციების თითოეული შემთხვევები, წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზები და შესაბამისად მიღებული იქნეს გადაწყვეტილებები. სახელმწიფომ უნდა გადახედოს თავის პოლიტიკას ამ მიმართულებით და განიხილოს როგორც სხვა ქვეყნის გამოცდილება და მაგალითები ასევე ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი სწორი პოლიტიკის შემუშავება რომელიც აუცილებლად მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას წინსვლასა და წარმატებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. შენგელია, ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში, თბილისი 2013წ.
2. შ.გოგიაშვილი, კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნეს გარემო საქართველოში, ჟურნალი ,,ახალი ეკონომისტი'' №1 2006წ.
3. თ.შენგელია, რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია და უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში, თბილისი 2010წ.
4. ი.მესხია, გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა'' №2 თბილისი 2009წ.
5. ზ. გარაყანიძე რატომ ფერხდება ინვესტიციები თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში, ჟურნალი ,,ბანკები და ფინანსები'' თბილისი 2015 წლის სექტემბერი

საპენსიო სისტემის რეფორმირების საკითხები საქართველოში

დიანა უგლავა,
აწსუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოში 2017 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არსებულმა საპენსიო რეფორმების სამსახურმა შეიმუშავა ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციების — მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებისა და სამთავრობო უწყებების მოსაზრებების გათვალისწინებით.

საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა საშუალებას მოგვცემს გაცილებით ღრმად გავაანალიზოთ ქართული საპენსიო სისტემის წინაშე მდგარი პრობლემები. ამ ანალიზის შედეგი უნდა იყოს სისტემის რეფორმის რამდენიმე შესაძლო მოდელის შემუშავება. მთავარი მიზანი კი არის ის, რომ საქართველოს საპენსიო სისტემაში უნდა დამკვიდრდეს დაგროვების პრინციპი და გაიზარდოს კერძო საპენსიო სისტემის როლი.

ეს რეფორმა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმითაც, რომ კერძო დაგროვებითი სისტემის მეშვეობით ადგილობრივ ბაზარზე შეიქმნა ლარის გრძელვადიანი რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის დედოლარიზაციას და ასევე ძალიან დაგვეხმარება ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: პენსია, საპენსიო სისტემა, რეფორმა, დემოგრაფიული დაბერება, დაგროვების პრინციპი.

The Issues of The Reforms of The Pension System in Georgia

Diana Uglava
PhD Student of ATSU

Summary

In Georgia the private retirement savings system has been in operation since October 1, 2017. It was introduced by the Unit of the Pension Reforms at the Ministry of Georgia of Economy and Sustainable Development, taking all of that into consideration: the experience of experts, of the international organizations – the World Bank and the Asian Development Bank, the experience of different countries and the attitudes of government institutions.

The study of international experience will enable us to perform a much deeper analysis of the issues facing the Georgian pension system. The result of the analysis mentioned should be the creation of the several possible models of the system reform. As for the main focus, it is that in Georgia's pension system the principle of retirement savings should be advocated and the role of a private pension system is to be strengthened as well.

The reform discussed is also very important in a way that by means of the private retirement savings system there has been created the long-term resource of Lari on the local market, which will facilitate the de-dollarization of economy and, to a greater extent, will assist us to develop the market of capital in our country.

Keywords: Pension, Pension System, Reform, Demographic Senility, Principle of Retirement Savings Plan

* * * * * *

მსოფლიოში მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც, რაც სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. განსაკუთრებული წნეხის ქვეშ დგას საპენსიო სისტემა, რომელიც მოსახლეობის სოციალური დაზღვევის და კეთილდღეობის ძირითადი ინსტრუმენტია.

დღეისათვის ქვეყნების უმრავლესობაში შედარებით დემოგრაფიული ახალგაზრდობის პირობებში შექმნილი საპენსიო სისტემა სულ უფრო მეტად მოდის წინააღმდეგობაში თანამედროვე, დემოგრაფიული დაბერების პროცესთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან. მოსახლეობის დაბერება, ასაკოვანი მოსახლეობის, პენსიონერთა რაოდენობისა და წილის ზრდა, მათი საპენსიო თანხებით უზრუნველმყოფთა რაოდენობის შემცირება, მთლიანად დემოგრაფიული სურათის შეცვლა — შემცირებული შობადობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა, სულ უფრო მეტად აყენებს საკითხს საპენსიო რესურსების მობილიზაციაში გადანაწილებითი პრინციპის ჩანაცვლებას დაგროვებითი პრინციპით.

არსებული ვითარებიდან ამ ეტაპზე ერთადერთი ლოგიკური გამოსავალი, რომელსაც ირჩევენ წამყვანი ქვეყნები, არის საპენსიო ასაკის ზრდა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და დანიაში საპენსიო ასაკის ზრდას 67-დან 68 წლამდე აპირებენ. ნიდერლანდებში — 66 წლამდე, ესპანეთში — 65-დან 67 წლამდე, საფრანგეთში — 60-დან 62 წლამდე, იტალიაში კი 68 წლამდე.

მოსახლეობის დაბერების, პენსიონერთა მზარდი წილისა და ამ კატეგორიის მოქალაქეთა სოციალური დაცულობის პრობლემა ნებისმიერი თანამედროვე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს იმის შესაძლებლობა,

რომ გააკეთოს გარკვეული რაოდენობის დანაზოგი და სიბერეს ღირსეულად შეხვდეს. მოსახლეობის ასაკის მატება კი, როგორც ასეთი, გარდაუვალი და პროგნოზირებადი მოვლენაა, ამიტომ სახელმწიფო მზად უნდა იყოს უზრუნველყოს საპენსიო ასაკის ადამიანებისათვის ცხოვრების ყველანაირი აუცილებელი პირობა.

განვითარებად ქვეყნებში საერთო მდგომარეობის გაუმჯობებასთან ერთად გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობაც. 2050 წლისათვის 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის ოდენობის მომატებას 10 დან 20%-მდე ვარაუდობენ. ამასთან, ხანშიშესულ ადამიანთა 80% იცხოვრებს მცირე შემოსავლის მქონე ქვეყნებში.

არიან კი ეს ქვეყნები მზად მოსახლეობის ამ ნაწილზე ზრუნვისთვის და მათთვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნისათვის? გააჩნია კი ქვეყანას საკმარისი რესურსი უზრუნველყოს სამართლიანობა თაობებს შორის?

თანამედროვე საპენსიო სისტემები ვერ ახერხებენ დაფარონ საზოგადოების საჭიროებები:

ქვეყნები გახდნენ მეტად ურბანიზებული და ოჯახებს ნაკლები შვილები ჰყავთ, რაც იწვევს მოხუცებზე ზრუნვის საუკუნოვანი ტრადიციების ჩამოშლას ალტერნატიული მექანიზმების არსებობის გარეშე. განვითარებადი ეკონომიკის პირობებში ინდივიდუალური საპენსიო სისტემები არ მოიცავს არაფორმალურას მომუშავე მოსახლეობას. ზოგიერთ რეგიონში ეს სექტორი შეადგენს დასაქმებულთა რიცხვის 2/3 ნაწილს, ან უფრო მეტს.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საპენსიო სისტემებში, მათ შორის ათობით რეფორმა არამდგრადი pay-as-you-go სქემებისა მთელ ევროპაში და სხვა რეგიონებში. აგრეთვე აღსანიშნავია გლობალური ექსპანსიის ,,სოციალური პენსიის" რეფორმა, რომელიც წარმოადგენს ფულად გადარიცხვებს ახალგაზრდობიდან სიბერეში.

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს საპენსიო პოლიტიკის ისეთი უნივერლასური გადაწყვეტა, რომელიც ყველა ქვეყანაში ერთნაირი წარმატებით იფუნქციონირებს. სამაგიეროს, უნდა გამოვიჩინოთ მოხერხებულობა და დავაკავშიროთ განვითარებადი ფინანსური ტექნოლოგიები ქცევის ეკონომიკას, რათა გამოირკვეს, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს უფროსი თაობის მოქალაქეების მზარდი რაოდენობის საპენსიო უზრუნველყოფა და დავიცვათ ისინი სიღარიბისგან. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია.

სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვანაირ ექსპერიმენტს მიმართავს, რომელიც შეესაბამება მის დემოგრაფიულ და სოციალურ გარემოებას და განვითარების მიზნებს. საქართველოში 2017 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არსებულმა საპენსიო რეფორმების სამსახურმა შეიმუშავა ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციების — მსოფლიო ბანკსია და აზიის განვითარების ბანკის, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებისა და სამთავრობო უწყებების მოსაზრებების გათვალისწინებით.

საპენსიო რეფორმა შედგება ორი კომპონენტისაგან. პირველი არებული სოციალური საპენსიო სისტემის ინდექსია, რაც გულისხმობს ისეთი მექანიზმის შექმნას, რომელიც განსაზღვრავს ყოველწლიურად რა რაოდენობით უნდა გაიზარდოს პენსია. ინდექსაციის მეთოდი საშუალებას მოგვცემს პენსიონერი დავიცვათ ინფლაციისგან, რომ მისი მსყიდველობითი დონე არ გაუარესდეს და პენსია მატულობდეს მინიმუმ ინფლაციის შესაბამისად.

რეფორმა ასევე ითვალისწინებს ახალი კომპონენტის დანერგვას, რომელსაც ეწოდება კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა. ეს რეფორმა გათვლილია მომავალ პენსიონერებზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათ საპენსიო უზრუნველყოფას.

სახელმწიფო მნიშვნელოვნად წაახალისებს საპენსიო შენატანების განხორციელებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ლეგალურად დასაქმებული პირი საპენსიო ანგარიშზე შეიტანს თავისი შემოსავლის ორ პროცენტს ან მეტს (სურვილის მიხედვით), ხოლო წახალისების მიზნით ორ პროცენტს დაუმატებს დამსაქმებელი და ორ პროცენტს - სახელმწიფო. დასაქმებულის პერსონალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვდება გარკვეული თანხა, რომელიც ინვესტირდება ეკონომიკაში. კერძო დაგროვებით პენსიასთან ერთად პენსიონერს სახელმწიფო სოციალური პენსიის მიღებაც შეეძლება.

საპენსიო სისტემის რეფორმის და არასახელმწიფო საპენსიო სისტემის დანერგვის დროს საქართველოს წინაშე შეიძლება დადგეს შემდეგი სახის ძირითადი პრობლემები:

თუ სახელმწიფო მოქალაქეების მონაწილეობას კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში აუცილებელს არ გახდის, მაშინ რეფორმის პროცესი შეიძლება განისაზღვრელი ვადით გაგრძელდეს.

მოგების მიღების მიზნით საპენსიო სისტემები, როგორც წესი ახორციელებენ საპორთფელო ინვესტიციებს, განათავსებენ რა თავიანთ აქტივებს ფასიან ქაღალდებში. საპენსიო რეფორმის პირველივე წლებში დაგროვებით ანგარიშებზე აკუმულირდება მილიონიბით ლარი, რომელთა განთავსება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დღესდღეობით შეუძლებელია. ალტერნატივა შეიძლება იყოს განვითარებული ქვეყნების ფასიანი ქაღალდები.

საპენსიო აქტივების კვალიფიციური მართვა მმართველი კომპანიების მიერ, ეფექტური ზედამხედველობა და რეგულირება საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან.

საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა საშუალებას მოგვცემს გაცილებით ღრმად გავაანალიზოთ ქართული საპენსიო სისტემის წინაშე მდგარი პრობლემები. ამ ანალიზის შედეგი უნდა იყოს სისტემის რეფორმის რამდენიმე შესაძლო მოდელის შე-

მუშავება. მთავარი მიზანი კი არის ის, რომ საქართველოს საპენსიო სისტემაში უნდა დამკვიდრდეს დაგროვების პრინციპი და გაიზარდოს კერძო საპენსიო სისტემის როლი.

იქ სადაც ეკონომიკა მზარდია და ფინანსური ბაზრები — განვითარებული, ეს მოდელი ამართლებს, რადგან დაბანდებული პენსია მაღალ სარგებელს იძლება. თუმცა მეორეს მხრივ, იმ ტიპის ეკონომიკებში, როგორიც საქართველოა, სადაც ინფლაცია და რისკები დიდია, დაგროვილი რესურსები შეიძლება გაუფასურდეს კიდეც. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ქვეყანა შერეულ მოდელს ირჩევს, სადაც ერთი მხრივ არსებობს სოციალური პენსია (ანუ მინიმალური პენსია) ხოლო ღირსეული სიბერე საკუთარ შენატანებზეა დამოკიდებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი. ,,მოსახლეობის დაბერება — გამოწვევა თანამედროვე საპენსიო უზრუნველყოფის სისტემებისათვის" (განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მაგალითზე) ჟურნალი ,,ეკონომიკური პროფილე", 10.02.2012 ქუთაისი.
2. ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მონაწილება მიიღო საჯარო დისკუსიაში ,,საპენსიო რეფორმა საქართველოში" 5.05.2016 http://www.economy.ge/ge/media/news/vice-premierma-dimitri-qumsisvilma-monawileoba-miiro-sajaro-diskusiasi-sapensio-reforma-saqartvelosi
3. გია ნიკოლეიშვილი – საპენსიო რეფორმის საკითხები საქართველოში July 9, 2013 https://heconomic.wordpress.com/2013/07/09/nikoleishvili
4. GLORIA M. GRANDOLINI ,,Can developing countries increase pension coverage to prepare for old age 09/12/2016 http://blogs.worldbank.org/voices/can-developing-countries-increase-pension-coverage-prepare-old-age

საერთაშორისო სავალუტო ფონდში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები და მათი მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნებისთვის

კახაბერ კუპატაძე, სტუ-ს დოქტორანტი

Structular Reforms in The International Monetary Fund and Its Importance for Developing Countries

Kakhaber Kupatadze, PHD Student of GTU

Summary

The International Monetary Fund (IMF) is main international financial organization. The main goal for the fund is to foster global monetary cooperation, secure financial stability, facilitate international trade, promote high employment and sustainable economic growth. The fund has biggest capital and influence to struggle global and local financial and monetary Crises. For developing countries fund is much more important than for developed ones because such countries has lack of capital and finances to struggle crises by their own. 189 countries are IMF members and their voting shares are depending on the quotas that each country holds in the fund. After 2008 Financial Crises The IMFs member states agreed to increase its capital by increasing their quotas and finding additional financial sources. Also members states agreed to grant emerging-economies with bigger voting power by decreasing European countries voting shares. USA voting share was also decrease slightly but it still holds veto power in the fund.

Keywords: Fund; Capital; Quota; Credit; Crisis; Currency.

საკვანძო სიტყვები: ფონდი; კაპიტალი; კვოტა; კრედიტი; კრიზისი; ვალუტა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი გაეროს სპეციალური ორგანიზაციაა, რომელიც 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის გადაწყვეტილებით დაარსდა. ამავე კონფერენციამ მიიღო შეთანხმება სსფ-ის შესახებ, რომელიც მისი წესდების როლს თამაშობს. შეთანხმება ძალაში შევიდა 1945 წლის 27 დეკემბრიდან, ხოლო ორგანიზაციამ, როგორც ომისშემდგომი რეკონსტრუქციის გეგმის ნაწილმა, არსებობა დაიწყო 1946 წლის მაისიდან, თავისი პირველი ფინანსური ოპერაცია კი 1947 წლის 1 მარტს განახორციელა.[1]

წესდებით სსფ გაეროს ორგანიაზციად ითვლება, მაგრამ გაეროს შეუძლია მას მხოლოდ რეკომენდაციები მისცეს და არ შეუძლია პირდაპირ ჩაერიოს სსფ-ის საქმიანობაში. ფონდი სრული ავტონომიურობით სარგებლობს. მსოფლიოს 189 ქვეყანაა გაწევრიანებული აღნიშნულ ორგანიზაციაში, რომლის ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო—დირექტორატი. დირექტორატი ფონდის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს, მმართველთა საბჭო იღებს უმთავრეს გადაწყვეტილებებს.

ფონდი საქმიანობს საკუთარი კაპიტალითა და მობილიზირებული ნასესხები სახსრებით. მის ძირითად კაპიტალს შეადგენს წევრი სახელმწიფოების კვოტური შენატანები. თითოეული სახელმწიფოს კვოტური შენატანის ოდენობა განისაზღვრება ქვეყნის ფინანსურ-კონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთა გადახედვაც პერიოდულად ხდება. ასევე კვოტური შენატანებით განისაზღვრება, თუ პროცენტულად ხმების რა რაოდენობა ექნება თითოეულ ქვეყანას მმართვეთა საბჭოში. ფონდში გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმების 85%.

სსფ სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციაა. დაარსების დღიდან მისი მთავარი ფუნქცია ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარება და სახელმწიფოებს შორის გაცვლითი კურსებისა და სავალუტო ურთიერთობების რეგულირება იყო, დღესდღეობით კი მისი მთავარი ფუნქციაა ცალკეული ქვეყნებისა და მთლიანად მსოფლიო მაშტაბით ფინანსური სტაბილურობისა და განვითარების მხარდაჭერა. სსფ გასცემს მოკლევადიან სესხებს სავაჭრო ანგარიშსწორებების მოსაგვარებლად, გრძელვადიან კრედიტს ქვეყნების ცენტრალურ ბანკებზე სავალუტო რეზერვების შესაქმნელად და სავალუტო სტაბილურობის შესანარჩუნებლად, კრედიტებსა და დახმარებებს ქვეყნებზე ფისკალური პრობლემების მოსაგვარებლად და ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. გარდა ზემოთჩამოთვლილი ფინანსური დახმარებებისა, სსფ-ის ასევე შეუძლია მისცეს რეკომენდაციები სახელმწიფოებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გასატარებლად, წაუყენოს სპეციალური მოთხოვნები, აწარმოოს როგორც თითოეული ქვეყნის, ასევე მთლიანად მსოფლიოს ფინანსური და ეკონომიკური სტატისტიკა და გააკეთოს ეკონომიკური პროგნოზები. [1]

სსფ-ის დანიშნულებაა ქვეყნებს შორის სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების რეგულირება, სიძნელეების წამოშობის შემთხვევაში კი კრედიტების გამოყოფა ქვეყნებისთვის ფისკალური პრობლემების მოსაგვარებლად ან ცენტრალური ბანკებისთვის რეზერვების შესაქმნელად. თუმცაღა კრედიტის გაცემა ადვილად არ ხდება. სსფ-ის ნებისმიერ ქვეყანას, რომელზეც კრედიტს გასცემს, ამავდროულად წარუდგენს რიგ შესასრულებელ პირობებს, რომელთა შესრულებაც აუცილებელია კრედიტის მისაღებად. სსფ ძირითადი მოთხოვნებია: მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის, აგრეთვე, საგადასახდელო ბალანსის აქტიური სალდოს უზრუნველყოფა; შიდა მოთხოვნის სტაბი-

ლიზაცია სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვის გზით; სესხების გამოყენება საწარმოო სფეროს დასაფინანსებლად; უდეფიციტო (გაწონასწორებული) სახელმწიფო ბიუჯეტის მიღწევა სახელმწიფო ხარჯების შემცირებით; ეფექტიანი საგადასახდელო პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებას.

სავალუტო ფონდის დახმარების უდიდესი ნაწილი განვითარებად ქვეყნებზე მოდის, ვინაიდან სწორედ ასეთი ქვეყნები აწყდებიან ყველაზე ხშირად ფისკალურ და მონეტარულ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. საქართველოც აღნიშნული ქვეყნების რიგს მიეკუთვნება რომელიც საჭიროების შემთხვევაში იღებს სხვადასხვა სახის დახმარებას სავალუტო ფონდიდან, იქნება ეს ფინანსური თუ სარეკომენდაციო ხასიათის დახმარება.

რიგ შემთხვევებში საერთაშორისო სავალუტო ფონდს ადანაშაულებენ თავისი საქმიანობის არასრულფასოვნად წარმართვასა და მოუქნელობაში. ფონდის მიმართ ხშირად ისმის კრიტიკა, რომ კრედიტების სახით დახმარების გასაცემად ფონდის მოთხოვნა ქვეყნების მიმართ ძალზე მკაცრია და არ არის ორიენტირებული გრძელვადიან ეკონომიკურ შედეგზე, ვინაიდან ფონდი, როგორც წესი, დახმარების მისაღებად ქვეყნებისგან მოითხავს, რომ მათ მაქსიმალურად შეამცირონ სახელმწიფო ხარჯები, გაზარდონ გადასახადები და უარი თქვან სხვადასხვა სახის ეკონომიკური სტიმულირების პროგრამებზე. აღნიშნული მიდგომა, როგორც წესი, გარკვეული დროით იწვევს ფისკალურ სტაბილიზციას, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, სავალუტო ფონდის მოთხოვნები კი გრძელვადიან პერიოდშიც უცველი რჩება.

სავალუტო ფონდის სტრუქტურული მოუქნელობა ასევე აისახება კრიზისების მიმართ მის დაგვიანებულ რეაქციაში. ხშირად სავალუტო ფონდი ხდება კრიტიკის ობიექტი იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო მსხვილი გლობალური თუ რეგიონალური კრიზისის დროულად იდენთიფიცირება და არ მიიღო შესაბამისი ზომები მათი თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულ კრიზისებში ყველაზე მეტად გამოყოფენ 1998 წლის აზიის კრიზისს, რომელიც სამხრეთ- აღმოსავლეთ აზიაში დაიწყო და შემდეგ მთელ მსოფლიოს მოედო, ასევე 2008 წლის მსოფლიო კრიზისსა და 2010 წელს დაწყებულ ევროპის ფისკალურ კრიზისს. აღნიშნული კრიზისების შემთხვევაში სავალუტო ფონდმა დაგვიანებით შეძლო სიტუაციაში კარკვევა და კრიზისთან ბრძოლის დაწყება.

სავალუტო ფონდის ზემოთაღნიშნული ხარვეზები განსაკუთრებით დიდი ზიანს განვითარებად ქვეყნებს აყენებს, ვინაიდან ყველაზე დაუცველნი ეკონომიკური კრიზისების დროს სწორედ ღარიბი ქვეყნები არიან და კრიზისიც ყველაზე მძლავრად მათზე აისახება. ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში კი მათ კვლავ სავალუტო ფონდისთვის უწევთ დახმარების თხოვნა და მისი მკაცრი პირობების შესრულება. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, 2008 წლის კრიზისის შემდეგ ქვეყნებმა გადაწყიტეს გაეძლიერებინათ სავალუტო ფონდი და შეეტანათ ცვლილებები მის სტრუქტურაში.

ფონდი 2008 წლის შემდეგ პერიოდულად ყიდის ოქროს რეზერვებს ოქროს ფასის მკვეთრი მატების შესაბამისად და აღნიშნულ მოგებას წევრ ქვეყნებზე ანაწილებს. მაგალითისთვის: 2009-2010 წლებში ფონდმა 3,8 მილიარდი დოლარის მოგება მიიღო 403,3 ტონა ოქროს გაყიდვისგან. 2013 წლის ოქტომბერში 151-მა ქვეყანამ 188-დან გადაწყვიტა ეს მოგება მსოფლიოს ყველაზე ღარიბ ქვეყნებზე გაეცათ 0%-იანი კრედიტის სახით. ეს თანხა კი 2014 წელს 1,9 მილიარდს, შეადგენს. ასევე 2009 წელს ფონდმა მიიღო განაწყვეთილება 17 მილიარდი დოლარით გაეზარდა შეღავათიანი კრედიტების მოცულობა მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნებისთვის. 2012 წლის დასაწყისში ფონდს დაევალა, მომდევნო წლების განმავლობაში მოეძია დამატებით 500 მილიარდის ფინანსური სახსრები ფონდის კაპიტალის გასაძლიერებლად. [2]

2010 წელს ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ფონდის კვოტური კაპიტალი გაეორმაგებინათ 732 მილიარდ დოლარამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში უნდა შესულიყო 2012 წლის ბოლოსთვის, მაგრამ პროცესი გაიწელა და დღეისათვის მხოლოდ 568 მილიარდის კვოტური შენატანებია განხორციელებული. თუმცაღა პრობლემა უფრო ღრმადაა დამარხული. 2010 წლის შეთანხმების თანახმად კვოტური კაპიტალის ზრდასთან ერთად უნდა შეიცვალოს ფონდის სტრუქტურაც და სწრაფადგანვითარებად ქვეყნებს მეტი გავლენა მიეცეთ ფონდში ევროპის გავლენის შესუსტებით, რის გამოც ზოგიერთი ექსპერტის აზრით ჭიანურდება აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელება. 2016 წლამდე ევროპას დირექტორატში, რომელიც 24 წევრისგან შედგება, ჰყავდა 8 წარმომადგენელი, რაც ცოტათი გაბერილი ციფრია. მაგალითისთვის შეიძლება ისიც ავიღოთ, რომ ბრაზილიას და ჰოლანდიას ფონდში ტოლი ხმის უფლება ჰქონდათ მაშინ, როდესაც ბრაზილიის ეკონომიკა თითქმის სამჯერ დიდია ჰოლანდიისაზე. ფონდის ასეთი სტრუქტურით უკმაყოფილოები არიან სწრაფადგანვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ფონდს განვითარებული ქვეყნების ლობირებაშიც ადანაშაულებენ. მაგალითისთვის, ფონდმა 2010 წელს საბერძნეთს დახმარების სახით 31 მილიარდი ევრო გამოუყო, ეს კი ხუთჯერ აღემატებოდა იმ თანხას, რაც ქვეყანას შეეძლო ნორმალურ პირობებში ესესხა. სავალუტო ფონდის რეფორმის შენელების საპასუხოდ BRICS -ის ქვეყნებმა (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა) მიიღეს გადაწყვეთილება შეექმნათ ახალი ფონდი 100-მილიარდიანი კაპიტალით, რომელიც გასცემდა სავალუტო ფონდის მსგავს სესხებს, თუმცაღა ექსპერტების აზრით აღნიშნული ფონდი ვერ იქნება სავალუტო ფონდის კონკურენტი. [2, 3]

2016 წელს ნაწილობრივ შესრულდა 2010 წლის

გადაწყვეტილება და მსხვილმა განვითარებადმა ქვეყნებმა მეტი ხმების უფლება მოიპოვეს.

2016 წლიდან გაიზარდა ჩინეთისა და ინდოეთის ხმების მოცულობა სავალუტო ფონდში. ჩინეთის ხმების წილი 3.8%-დან 6%-მდე ხოლო ინდოეთისა 2.3%-დან 2.6%-მდე, გაიზარდა. უმნიშველოდ შემცირდა აშშ-ის ხმების მოცულობა–16.7% დან 16.5%-მდე. ჩინეთისა და სხვა განვითარებადი ქვეყნების წილის ზრდა ძირითადად ევროპის ქვეყნების ხმების შემცირების ხარჯზე მოხდა. შესაბამისად დღესდღეობით ჩინეთს აშშ-ისა და იაპონიის შემდეგ სავალუტო ფონდში ხმების ყველაზე დიდი მოცულობა აქვს, ხოლო აშშ კვლავაც ინარჩუნებს ერთპიროვნული ვეტოს უფლებას. [5, 6]

სავალუტო ფონდში მიმდინარე ცვლილებები SDR- ებსაც (სესხების სპეციალური უფლება) შეეხო. 2016 წლამდე SDR-ის სავალუტო კალათა მოიცავდა ოთხ ვალუტას, რომელთა კურსითა და კალათაში წილობრივი მოცულობით გამოიანგარიშება SDR-ის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან. 2016 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ კი აღნიშნულ სავალუტო კალათას ჩინური იუანიც დაემატება. [7, 8]

ზემოთჩამოთვლილი ცვლილებები სავალუტო ფონდს საშუალებას მისცემს გაზარდოს თავისი ფინანსური შესაძლებლობები კრიზისებთან საბრძოლველად და მეტი დახმარება გაუწიოს განვითარებად ქვეყნებს; ასევე, გაიზარდოს განვითარებადი ქვეყნების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარდაფხაძე ლ.; ილაშვილი გ.; ილაშვილი რ.; ფინანსური ბაზარი და საერთაშორის სავალუტო საკრედირო ურთიერთობები. თბ. 2008
2. http://www.reuters.com/article/us-imf-reforms-analysis-idUSBRE9911A120131002
3. http://www.reuters.com/article/imf-gold-idUSL1N0I00QF20131010
4. http://thebricspost.com/imf-reforms-china-india-brazil-russia-get-greater-say/#.V9_hZvl96Ul
5. http://www.thehindu.com/business/india-gets-more-voting-rights-in-imf-reforms/article8163827.ece
6. http://www.imf.org/en/About/Factsheets/Sheets/2016/08/02/19/35/Review-of-the-Special-Drawing-Right-SDR- Currency-Basket
7. http://www.cnbc.com/2015/11/28/imf-expected-to-include-yuan-in-sdr-currency-basket.html

ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემები

ირაკლი ჯანგავაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ტექნოლოგიების საუკუნედ წოდებულ თანამედროვე დროში და დაჩქარებული გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს (მდგრადობას) ეფექტური ინოვაციური პოლიტიკის გატარება განაპირობებს, რაც თავის მხრივ მოისაზრებს ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების არსებობას.

დღესდღეობით ტექნოლოგიური ლიდერობის ყველა პრეტენდენტი სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს R&D—ის (კვლევებისა და დამუშავებების) სახელმწიფო დაფინანსების სისტემებს. ისინი გამუდმებით ცდილობენ აღნიშნული სისტემების ოპტიმიზაციასა და ეფექტურობის ამაღლებას (როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი დაფინანსებით).

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება ახალი ტენდენცია — საბიუჯეტო დაფინანსების პრაქტიკა, რომელიც გაიცემა კონკრეტული პროექტების საფუძველზე. აღნიშნულმა ქვეყნების ინსტიტუტების რესტრუქტურიზაცია გამოიწვია — გაიზარდა გრანტის გამცემი უფლებამოსილი სააგენტოების როლი.

ამასთანავე უდიდესი ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობას, სტარტაპ კომპანიების და ვენჩურული ბიზნესის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ინოვაციური პოლიტიკა, კვლევები და დამუშავებები, სახელმწიფო დაფინანსება, ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერა, საგადასახადო შეღავათები.

Financial Support Systems of Innovative Activity in Present

Irakli Jangavadze
Phd student of GTU

Summary

In today's world innovation plays a key role in securing a country's economic and technological leadership. Despite vast difference of measures used by countries to promote innovative activity, it is possible to identify some common approaches to restructuring the budget support mechanisms for science and business innovation.

One of the most important trends is to expand the practice of project finance for fundamental R&D of research institutions and universities. In many countries, the transition to the project-oriented support of R&D stimulated institutional restructuring of the public science funding system, with a marked increase of the importance of authorized government agencies (foundations, research councils, etc.) involved in the assessment, selection and allocation of grants for scientific projects and programs.

Keywords: innovations, innovation policy, research and development, public financing of R&D, innovative business support, tax incentives for innovations, public procurement of innovation.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციურ პროცესებში მარკეტინგთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინვესტიციურმა კომპონენტმა. ინვესტიციები ინოვაციებში უაღრესად აქტუალური პრობლემაა, ამიტომაც ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაში უმეტესად სახელმწიფო ასრულებს მთავარ როლს. იგი თავად გვევლინება უმსხვილეს ინვესტორად ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება ეროვნული მნიშვნელობის მქონე პრიორიტეტული სფეროების დაფინანსება. მაგ: განათლება, თავდაცვა, ენერგეტიკა, მედიცინა, ეკოლოგია და სხვ.

სექტორული პრიორიტეტების განსაზღვრა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს, განსაკუთრებით კი ქვეყნის განვითარების ისტორიული თავისებურებების მიმართება ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებასთან, ასევე კვლევითი აქტივობების მასშტაბები სხვადასხვა სფეროებისა და დარგების მიხედვით. მაგ.: 2000-იან წლებში, აშშ-ში თავდაცვის კვლევით პროექტებზე გამოიყო მთლიანი საბიუჯეტო დაფინანსების 50 — 57% (ევროკავშირსა და იაპონიაში 5 — 10%), სამეცნიერო კოსმოსურ კვლევებზე 7 — 9% (ევროკავშირსა და იაპონიაში 17 — 20%-ს) და ა.შ.

განახსხვავებენ აღნიშნული საქმიანობის დაფინანსების ორ ძირითად ფორმას — პირდაპირსა და არაპირდაპირს (ირიბს). პირდაპირი დაფინანსება ნიშნავს ინოვაციური საქმიანობისთვის უშუალოდ ფულადი სახსრების გამოყოფას, ხოლო ირიბი — ძირითადად საგადასახადო შეღავათებს რომელიც საბოლოო ანგარიშით, მატერიალური თვალსაზრისით დადებითად აისახება ინოვაციურ საქმიანობაში.[1]

ინოვაციური საქმიანობის პირდაპირი დაფი-

1 ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2006, „სიახლე“ გვ. 62

ნანსების წყაროებს მიეკუთვნება: ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, არასაბიუჯეტო ფონდები, ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლები, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები, ეროვნული ინოვაციური პროდუქციის სახელმწიფო დაკვეთები (შესყიდვები), გრანტები, საქველმოქმედო შენატანები, ვენჩურული ფონდები და სხვ.

არაპირდაპირი (ირიბი) დაფინანსების წყაროებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ: საგადასახადო, საკრედიტო და საბაჟო შეღავათები, ინოვაციური ინფრასტრუქტურის ლიზინგი და სხვ.

2000-იანი წლების დასაწყისიდან მრავალმა ქვეყანამ მნიშვნელოვნად გაზარდა სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობისთვის გამოყოფილი ფინანსების მოცულობა. (იხილეთ ცხრ. 1)

ცხრ. 1 ინოვაციების დაფინანსების მსოფლიო ლიდერები (მლრდ დოლარი წელიწადში)[2]

ქვეყანა	2000	2005	2007	2008	2009	2010	2011
აშშ	69.2	97.2	110.7	122.8	131.7	132.7	138.6
ჩინეთი	9.0	18.7	25.2	28.5	36.2	42.7	45.0
გერმანია	16.4	18.3	20.4	23.3	24.5	26.1	
იაპონია	19.3	21.6	23.1	23.2	24.1	24.0	
საფრანგეთი	12.7	15.2	16.8	18.1	19.2	18.5	
ინდოეთი	9.9	13.7	16.1				
კორეა	4.4	7.0	10.1	11.2	12.8	14.1	
ბრაზილია	6.7	7.6	10.6	11.6	12.1	13.3	
ინგლისი	8.4	11.2	12.0	12.1	12.8	12.8	12.8
იტალია		9.1	9.9	10.1	10.3	10.2	

აღნიშნული მონაცემებით ირკვევა, რომ ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსების კუთხით, ყველაზე შთამბეჭდავი დინამიკა ჩინეთს გააჩნია — 2000-2011 წლებში გამოყოფილი დაფინანსება 5-ჯერ (9-დან 45 მლრდ დოლარამდე) გაიზარდა. ჩინეთი აღნიშნული მაჩვენებლით მეორე პოზიციას იკავებს აშშ-ის შემდეგ, სადაც ინოვაციებზე გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა შესაბამის წლებში 69.2-დან 138.6 მლრდ დოლარამდე (შესაბამისად დინამიკაში 2-ჯერ) გაიზარდა. თუ გავაანალიზებთ ცხრილში არსებულ მონაცემებს, დავასკვნით, რომ 2000-იან წლებში ინოვაციურად განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო დაფინანსების წილი საშუალოდ 1.2-1.7-ჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფო დაფინანსებას, აღნიშნული მიმართულებით უპირობო ლიდერს კვლავაც აშშ წარმოადგენს, სადაც 2012 წელს მოცემული მიზნით გამოყოფილ იქნა 36.3 მლრდ დოლარი (R&D-ზე გამოყოფილი მთლიანი სახელმწიფო დანახარჯების 37%) — 4.2-ჯერ მეტი ვიდრე ჩინეთში და თითქმის 10-ჯერ მეტი ვიდრე სხვა წამყვან სახელმწიფოებში. ინოვაციური ბიზნესის დაფინანსების კუთხით იაპონია წარმოადგენს აშშ-ის ანტიპოდს, სადაც კორპორატიული კვლევითი პროგრამების მხარდასაჭერად გამოყოფილ იქნა 1.2 მლრდ დოლარი, მშპ-ის 0.03%. (იხილეთ ცხრ. 2)

ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფო დაფინანსების დინამიკა

OECD-ის წევრ ქვეყნებსა და ჩინეთში 2000-2012 წლებში (მლრდ დოლარი)[3]

ქვეყანა	2000	2005	2010	2011	2012
აშშ	17.2	21.91	34.20	31.31	36.30
იაპონია	1.19	1.13	1.25	1.2	
გერმანია	2.53	1.98	2.61	2.85	2.92
ინგლისი	1.59	1.75	2.02	2.31	1.96
საფრანგეთი	2.05	2.46	2.8	2.59	
კორეის რესპ.	0.96	1.09	2.62	2.71	
ჩინეთი	1.44	2.22	5.95	6.90	8.58

სამეცნიერო კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დანახარჯების წილი მშპ-ში 2012 წელს შეადგენდა: ისრაელში-4.4%-ს, ფინეთში-3.87%-ს, სამხრეთ კორეაში-3.74%-ს, იაპონიაში-3.26%-ს, აშშ-ში-2.9%-ს, ევროკავშირში-1.91%-ს.[4]

პროგნოზის თანახმად, 2020 წელს მეცნიერებაზე დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზრდება და გაუტოლდება აშშ-ში მშპ-ის 3%-ს, იაპონიაში 3.5%-ს, ევროკავშირში 2.4%-ს

ასევე მაღალია კვლევებისა და დამუშავებების დაფინანსება კერძო სექტორის მიერ. კერძოდ აშშ-ში იგი შეადგენს 66%-ს, გერმანიაში 64.1%-ს, კანადაში 49.4%-ს, საფრანგეთში 48.5%-ს.

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება ახალი ტენდენცია — საბიუჯეტო დაფინანსების პრაქტიკა, რომელიც გაიცემა კონკრეტული პროექტების საფუძველზე. აღნიშნული პროექტების დასაფინან-სებლად გამოიყოფა გრანტები და ფორმდება სახელმწიფო კონტრაქტები. საპროექტო მიდგომა დიდი პოპულარობით სარგებლობს აშშ-ში, განსაკუთრებით კი სამეცნიერო-კოსმოსურ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებში.

პროექტის საფუძველზე დაფინანსების პრაქტიკის

2. Ерошкин А., Петров М., Плисецкий Д., Государственная финансовая поддержка инноваций за рубежом. Ж. „Мировая экономика и международные отношения“. М., 2014, № 12. С 27

3. Ерошкин А., Петров М., Плисецкий Д., Государственная финансовая поддержка инноваций за рубежом. Ж. „Мировая экономика и международные отношения“. М., 2014, № 12. С 33

4. ჯოლია გ., კრეატიული ეკონომიკა და განვითარება., ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2015 გვ. 65

დამკვიდრებამ ქვეყნების ინსტიტუტების რესტრუქტურიზაცია გამოიწვია, შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა ე.წ. შუამავლების როლი, რომელსაც შესაძლებელია წარმოადგენდნენ განვითარების ბანკები (მაგ: გერმანიაში — KFW, საფრანგეთში – Bpifrance, ბრაზილიაში – BNDES, ინდოეთში – Small Industries Development Bank), ან უფლებამოსილი სააგენტოები (დიდ ბრიტანეთში – Capital for Enterprise, ჩინეთში – Innofund, ფინეთში – Tekes). უუკანასკნელ წლებში მსგავსი ტიპის სააგენტოები ე.წ. „შუამავლებიდან", სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის სრულუფლებიან გამტარებად გადაიქცნენ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნების უმეტესობა უმთავრეს აქცენტს აკეთებს არა ინოვაციური ბიზნესის პირდაპირი სახით დაფინანსებაზე, არამედ შეღავათიანი საგადასახადო სისტემის შექმნაზე. OECD-ის მონაცემებით საფრანგეთში, ჩინეთში, იაპონიასა თუ კორეაში ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა საგადასახადო შეღავათებისა და კრედიტების სახით უმეტეს შემთხვევაში აჭარბებდა პირდაპირი სახით დაფინანსებას, იშვიათად კი თანაბარი იყო.

კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მსოფლიო ტრენდს წარმოადგენს — მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობა, რაც ყველაზე მეტად გამოიკვეთა დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. შესაბამისი მაჩვენებელი XXI საუკუნიდან განსაკუთრებით გაიზარდა დიდ ბრიტანეთში (4.6-ჯერ), საფრანგეთსა (2.6-ჯერ) და გერმანიაში (1.3-ჯერ). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტექნოლოგიური სტარტაპების ინტენსიურ მხარდაჭერას.

ამერიკული ვენჩურული სისტემა აღნიშნული ბიზნესის პირველი წარმატებული მაგალითია მსოფლიოში. აშშ-ზე პლანეტის ვენჩურული კაპიტალის 3/4 მოდის, სადაც, უკანასკნელ წლებში, ვენჩურული ინვესტიციების საშუალო წლიური მოცულობა 50 მლრდ დოლარს შეადგენს. ევროპაში ვენჩურულ ფონდებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ — მათი მოცულობა 10 მლრდ დოლარს არ აღემატება. ლიდერია დიდი ბრიტანეთი, რომლის წილად ევროპის ვენჩურული სახსრების თითქმის ნახევარი მოდის.

წარმატებული ვენჩურული ბიზნესის აქციების ღირებულება საშუალოდ წელიწადში 66%-ით მატულობს. ვენჩურული ფონდებისათვის შეთავაზებული 100 წინადადებიდან მხოლოდ 1 ფინან-სდება, ხოლო დაფინანსებული 10 ფირმიდან კი 3 აღწევს წარმატებას 3-5 წლის შემდეგ.[5]

სხვადასხვა სახის ინოვაციური სტარტაპ კვლევების ხელშეწყობის მიზნით ქვეყნებმა შეიმუშავეს კონკრეტული სახის პროგრამები. მაგ: აშშ-ში ჯერ კიდევ 1982 წელს ჩამოყალიბდა პროგრამა **Small Business Innovation Research (SBIR),** რომლის ყოველწლიურმა ფულადმა მოცულობამ 2 მლრდ დოლარს მიაღწია.

ინდოეთში პროგრამა *SBIRI*–ის მიხედვით, გრანტები პროექტის კონცეფციის შემუშავების ეტაპამდე გამოიყოფა, ხოლო შემდეგი კვლევითი ღონისძიებები შეღავათიანი სესხების სახით ფინანსდება, რაც ასევე პროექტის ინიციატორებს მნიშვნელოვნად უმაღლებს მოტივაციას.

2000-იანი წლებიდან პოპულარულია ნახევრადსახელმწიფო (ჰიბრიდული) ტიპის ვენჩურული ფონდების პრაქტიკა. მაგ: აშშ-ში 2011 წელს დაიწყო პროგრამის — „სტარტაპ ამერიკას"-ს განხორციელება. აღნიშნულში მოიაზრებოდა ისეთი საინვესტიციო კომპანიების ჩამოყალიბება, რომლებიც, თავის მხრივ, სტარტაპ ბიზნესს დაეხმარებოდა. პროგრამის ფარგლებში კერძო ინვესტორისთვის გათვალისწინებულია სახელმწიფო გარანტიები გაცემული ვალდებულების სახით, რომლის ჯამური რაოდენობა წელიწადში 200 მილიონ დოლარს შეადგენს. [6].

ევროკავშირის ქვეყნებში კი უმთავრესი ორგანიზაციის როლს, რომელიც სტარტაპ ინვესტიციებს გასცემს, ევროპის საინვესტიციო ბანკის შვილობილი სტრუქტურა — ევროპის საინვესტიციო ფონდი წარმოადგენს. ხსენებულმა ორგანიზაციამ 2012 წელს წამოაყენა იდეა — ევროკავშირის ქვეყნებში სპეციალური, „ენჯელ ინვესტიციების" ფონდების შექმნის შესახებ (აღნიშნული განხორციელდა 2014 წელს გერმანიაში, ესპანეთსა და ავსტრიაში).[7]

დასკვნა

მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიურ-ინოვაციური პროცესები ცხადყოფს, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა პირდაპირპროპორციულ კავშირშია ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის განვითარებასთან, შესაბამისად დინამიურად მზარდი ფინანსური რესურსების მობილიზებასთან. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც განვითარების აღნიშნულ ვექტორს უგულებელყოფს, განწირულია მარცხისთვის „მსოფლიო ინოვაციურ ჭიდილში".

მსოფლიო გიგანტი (ჩინეთი) უკვე დაადგა განვითარების ახალ პროგრესულ გზას — „მსოფლიო ფაბრიკიდან", „მსოფლიო ლაბორატორიისაკენ", ანუ ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას. შედეგიც ლოგიკურია — ჩინეთის კრეატიული ინდუსტრიის პროდუქციის წილი მსოფლიო ექსპორტში ყველაზე მაღალია (31.91%).

თუ გავითვალისწინებთ ჩინეთის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი ფინანსების კოლოსალურად მზარდ დინამიკას, მართებულია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული დინამიზმის მეტნაკლებად შენარჩუნების შემთხვევაში, ჩინეთი უახლოეს ათწლეულში დაეწევა და გაუსწრებს ინოვაციების

5. ყორღანაშვილი ლ., ვენჩურული ბიზნესი, როგორც ინოვაციების დაფინანსების საშუალება. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა" №18, თბ., 2008. გვ. 92

6 FACT SHEET: WHITE HOUSE LAUNCHES "STARTUP AMERICA" INITIATIVE [https://www.whitehouse.gov/ startup-america-fact-sheet].

7. [http://www.eif.org/what_we_do/equity/eaf/index.html]

დაფინანსების მსოფლიო მაგნატს, აშშ-ს, რაც თავის მხრივ გლობალური ეკონომიკური სისტემის რე-სტრუქტურიცაზიას და ახალი წესრიგის დამყარებას გამოიწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ., 2014, „უნივერსალი“.
2. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., საინოვაციო მენეჯმენტი, თბ., 2009, სტუ.
3. ყორღანაშვილი ლ., ვენჩურული ბიზნესი, როგორც ინოვაციების დაფინანსების საშუალება. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №18, თბ., 2008.
4. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2006, „სიახლე“.
5. ჯოლია გ., კრეატიული ეკონომიკა და გან-ვითარება. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2015.
6. ჯოლია გ., გლობალიზაციის ვექტორის ინ-ვერსია და განვითარებადი აზიის ასწლეული. ჟ ეკონომიკა №3-4, თბ., 2016.
7. Ерошкин А., Петров М., Плисецкий Д., Государственная финансовая поддержка инноваций за рубежом. Ж. „Мировая экономика и международные отношения“. М., 2014, № 12.
8. FACT SHEET: WHITE HOUSE LAUNCHES “STARTUP AMERICA” INITIATIVE [https://www.whitehouse.gov/ startup-america-fact sheet].
9. The OECD innovation strategy: Getting a head start on tomorrow [http://www.keepeek.com/Digital-Asset Management/oecd/science-and-technology/the-oecd-innovation-strategy_9789264083479-en#.V9LD5Lt97IU].

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის გამომწვევი მიზეზები და შედეგები

თენგიზ გოგოლაძე. *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საკითხები უცხოური ინვესტიციების როლისა და ადგილის შესახებ ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა ტრანსნაციონალური კომპანიებია. უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან შედეგს იძლევა, როგორც კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნის, ისე მიმღები ქვეყნის ეკონომიკისათვის.

სტატიის მიზანია განსაზღვრა იმ ძირითადი მიზეზებისა და მოტივაციისა, რაც უბიძგებს საზღვარგარეთელ ინვესტორს ჩადოს თავისი კაპიტალი სხვა ქვეყნის ეკონომიკაში, ჩამოყალიბებულია საზღვარგარეთ ინვესტირებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად განმსაზღვრელი პირობები.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, გლობალიზაცია, რეციპიენტი ქვეყანა.

Growth Causes and Consequences of Freign Direct Investment

Tengiz Gogoladze, Phd Student of GTU

Summary

This article discusses the issues of foreign investment in the role and place of economic globalization, which is the main driving force of the transnational companies. Foreign investment is significant results, as the capital of the exporting country and the receiving country's economy.

The goal is to determine the main reasons and motivation, which encourages foreign investors to invest their capital in other economies. Laying overseas investment decision defining conditions.

Keywords: Foreign direct investment, globalization, recipient country.

შესავალი

ეკონომიკის გლობალიზაცია სამეურნეო ცხოვრების ინტერნალიზაციის თანამედროვე რთული ფორმაა, რამაც გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები, ეკონომიკურმა ცხოვრებამ ახალი შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა.

ეკონომიკის გლობალიზაციაში ბოლო პერიოდში წამყვან როლს თამაშობს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) სახით, ვინაიდან ეკონომისტთა უმრავლესობის შეფასებით, გლობალიზაციის საფუძველი, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა და მთელი თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის ხერხემალი ტრანსნაციონალური კორპორაციებია (ტნკ). სწორედ ისინი დგანან კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის სათავეში, მათთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთის ქვეყნებში საქმიანობას, ვიდრე საშინაო ოპერაციებს. საქართველოსათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკური განვითარების, შემოსავლებისა და დასაქმების ზრდის თვალსაზრისით. სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შესაძლებელია განისაზღვროს ინსტრუმენტები, ღონისძიებები და პოლიტიკური მიმართულებები უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, თუმცა აუცილებელია მიმღები (რეციპიენტი) ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინება.

უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან დადებით შედეგს იძლევა ეკონომიკისათვის. იმ ქვეყნისთვის, რომელიც კაპიტალის ექსპორტს ახორციელებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არის შემოსავლის მიღების წყარო, უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნისთვის კი - ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის საშუალება.

ამჟამად ძალიან ბევრი ფირმა, კომპანია თუ კორპორაცია ჩართულია საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაში და ჩართულობის თუ მონაწილეობის ხარისხი, ინტენსივობა განუწყვეტლივ ძლიერდება. ცნობილია, რომ წამყვანი კომპანიების მიერ განხორციელებული გაყიდვების 30-40% მიმდინარეობს ეროვნულ საზღვრებს გარეთ. ტრანსნაციონალური საწარმოების მიერ წარმოებისა და ბაზრის გლობალიზაციას ხელი შეუწყო 3 ძირითადმა ფაქტორმა: მსოფლიო ვაჭრობის ზრდამ, კაპიტალის ბაზრის ინტეგრაციამ და ტექნოლოგიურმა პროგრესმა, მართვის ტექნოლოგიასა და სტრუქტურაში ინოვაციის ჩათვლით. ბიზნესი ინტერნაციონალურად უნდა განვითარდეს მრავალი გზით:

- ექსპორტი სამამულო ქვეყნიდან;
- უცხოური ბიზნესის იურიდიული უფლება საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე;
- მონაწილეობა უცხოურ წარმოებაში.

როდესაც ბიზნესი ირჩევს მესამე გზას, ის შედის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკაში. ამ შემთხვევაში მომავალი გად-

აწყვეტილებანი მიღებული უნდა იქნეს უცხოურ წარმოებაზე კონტროლის მეთოდის გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსნაციონალურმა კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს საქმიანობის დაწყება ახალი ქარხნის აშენებით, ე.ი., როგორც იტყვიან, დაიწყოს „სუფთა ფურცლიდან", ალტერნატივის სახით მას შეუძლია შეიძინოს ადგილობრივი კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტი ან შექმნას ერთობლივი საწარმო ადგილობრივ კომპანიასთან, ან კიდევ, ადგილობრივ კომპანიას შეერწყას.

როგორც წესი, მეწარმეობა ირჩევს პირდაპირი ინვესტიციების გზას, იმიტომ რომ უფრო მეტ მოგებას ელოდება თავისი უპირატესობების გამოყენებით, ვიდრე თავისი „ნოუ-ჰაუ"-ს მიყიდვით ადგილობრივი კომპანიებისთვის. ადგილობრივ კომპანიებს ის უპირატესობა აქვთ, რომ უფრო ღრმად და კარგად იცნობენ ადგილობრივ პირობებს, ადათ-წესებს, კულტურასა და საქმიანობას. თუმცა, არის საწინააღმდეგო პრობლემებიც, რომლებიც ექმნება (შეიძლება შეექმნას) ფირმას, რომელიც თავის „ნოუ-ჰაუ"-ს ყიდის. იმისათვის, რომ უცხოურ წარმოებაში ფირმის მონაწილეობა უფრო ხელსაყრელი გავხადოთ, ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერ-ეკონომისტმა ჯ.დანინგმა დაადგინა პირობების 3 ჯგუფი, რომლებიც უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. მეცნიერი ჯ.დანინგი ამტკიცებს, რომ საზღვარგარეთ ინვესტირებისთვის გადაწყვეტილების მისაღებად სამი პირობა არის განმსაზღვრელი.

- საკუთრების უპირატესობა: ფირმა უნდა ფლობდეს სპეციალურ საკუთრებრივ ცოდნას, სავაჭრო მარკას ან მოქნილ მენეჯმენტს და ადამიანურ კაპიტალს.
- დანახარჯები გადაადგილებაზე: ფირმებისთვის უნდა იყოს არსებითი ფასობრივი პრივილეგიები, რაც საკმარისი იქნებოდა დიდი სასტარტო დანახარჯების საკომპენსაციოდ.
- ინტერნალიზაცია: „საბაზრო რეგულირების დეფექტი" უნდა იყოს ისეთი, რომ საზღვარგარეთ საქმიანობა ხელსაყრელი გახდეს შვილობილი საზოგადოების სრული ფლობის მეშვეობით და არა წარმოების უფლების მიყიდვით დამოუკიდებელი ფირმისთვის.

პირველი კატეგორია - ეს არის ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. აქ მოტივაციად გამოდის ადგილობრივი ბაზრისთვის უფრო ეფექტური მომსახურება რეციპიენტ ქვეყანაში ახალი საწარმოს შექმნის გზით. შვილობილი საზოგადოება ეწევა ხარჯების ეკონომიას სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებით, იმპორტული შეზღუდვების (სატარიფო ნახტომები) თავიდან აცილებით და, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო დაბალი ხელფასებით. საბაზრო მონაწილეობას შეიძლება ჰქონდეს სტრატეგიული მოტივაცია, მით უმეტეს მაშინ, თუ რეციპიენტი ქვეყნის ბაზარი მსხვილი და სწრაფად განვითარებადია. ასეთ ქვეყნებში ევროპელი და ამერიკელი ტრანსნაციონალური საწარმოები მსხვილ ინვესტიციებს აბანდებენ. ეს ქვეყნები დიდ ინვესტიციებს ახორციელებენ ერთმანეთშიც. ამ შემთხვევაში, ეფექტი შეიძლება მიღწეულ იქნეს წარმოების მასშტაბების გადიდებით. განვითარებული ქვეყნების ბევრი პუი წარმოადგენენ ჰორიზონტალურს. ჩინეთში ინვესტიციების დიდი წილი მიღწეულ იქნა სურვილით, მტკიცედ დაფუძნებულიყვნენ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ ბაზარზე.

ცნობილია, რომ გლობალურ ეკონომიკაში კონკრეტული უპირატესობა მნიშვნელოვანწილად მიიღწევა ლოკალური ფაქტორების ანგარიშზე, რაც მიუღწეველია შორეული კონკურენტებისთვის. ადრე „ძველ დროში" ეს „ლოკალური ფაქტორები" იყო იაფი მუშახელი, მსხვილი ადგილობრივი ბაზარი და ნედლეულის ადვილად „შოვნა". ამჟამად ამათ უნდა დაემატოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ცოდნა, საქმიანი ქსელი, გარემომცველი გარემო და მთავრობის მოტივაცია.

ვერტიკალური პუი ეს არის პუის მეორე ტიპი. ტრანსნაციონალური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი თანამედროვე პირობებში იღებს საწარმოს ფორმას, რომელმაც ერთი ან რამდენიმე სტადია შექმნა თავის საწარმოო ციკლის შემადგენელ ნაწილად, სტადიად, ისეთ რეგიონში, სადაც წარმოების დანახარჯები დაბალია და მიზნად ისახავენ სწორედ იქიდან მოემსახურონ გლობალურ ბაზარს. ვერტიკალური პუი-ს მოზიდვის წინაპირობაა კონკურენტული ფასის სრტუქტურა რეციპიენტ ქვეყანაში და შეღწევა საშინაო ბაზარში და მესამე ქვეყნების ბაზრებში. წარმოების პროცესის სხვადასხვა სტადიებს განსხვავებული მოთხოვნები აქვთ რესურსებზე და, რამდენადაც რესურსების ღირებულება ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, ხელსაყრელი ხდება წარმოების დანაწევრება ისე, რომ შედარებით ნაკლებად კვალიფიციური საქმიანობა ორგანიზებულ იქნეს უფრო იაფ, ნაკლებად განვითარებულ რეციპიენტ ქვეყნებზე და მაღალკვალიფიციური საქმიანობის ნაწილი დაიტოვონ შინ ინვესტიციების ბაზრების ქვეყნებმა.

ასეთი მეთოდებითა და მიდგომებით და, რაც მნიშვნელოვანია, შვილობილი საწარმოების გადაადგილების სტრატეგიით ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო ადიდებენ მოგებას და ძლიერ გავლენას ახდენენ გლობალურ წარმოებასა და სავაჭრო კავშირებზე. პატარა ქვეყნები, მაგალითად, სინგაპური და ირლანდია, იღებენ პუი-ს არაპროპორციულ მოცულობას, თავიანთი ეკონომიკის მასშტაბებთან შედარებით, მაშინ როდესაც, დიდი ეკონომიკის ქვეყნები, მაგალითად, იაპონია და ინდოეთი - პირიქით. თუმცა, ამას სხვადასხვა ახსნა აქვს; როცა ქვეყანა ხდება უფრო სწრაფად განვითარებადი, აყვავებადი და სამუშაო ძალა - უფრო ძვირი, ეკონომიკური ლოგიკა უბიძგებს, ზოგჯერ აიძულებს კიდეც,

ტრანსნაციონალურ საწარმოებს, თავისი კაპიტალი გადაიტანონ უფრო იაფ რეგიონებში, როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებში.

ისმის კითხვა: რატომ ახორციელებენ ფირმები ინვესტიციებს საზღვარგარეთ? სპეციალისტები ფიქრობენ, რომ საზღვარგარეთ ინვესტირებისთვის გადაწყვეტილების მიღების განმსაზღვრელია 3 პირობა:

1. საკუთრების უპირატესობანი: ფირმა უნდა ფლობდეს სპეციალურ მონოპოლისტურ უპირატესობებს - ისეთებს, როგორიცაა, საკუთრების უფლებების ცოდნა, სავაჭრო მარკა ან ბრენდის სახელი, პატენტი, უფრო იაფი წყლის რესურსები, ან წარმოების მასშტაბის ეფექტი და ფართო პროფილის ეფექტი, რომლებიც სხვა ფირმებს არ ექნებათ, ან მცირე მასშტაბით ექნებათ. თუ ეს პირობა არ არის დაკმაყოფილებული, ადგილობრივ კომპანიას შეუძლია დამოუკიდებლად დაიწყოს მუშაობა და ადგილზე აწარმოოს ანალოგიური საქონელი. საკუთრების უპირატესობანი მოიცავს ფირმის ყველა კონკურენტულ უპირატესობას.

2. განწყობის უპირატესობანი: რომ ავხსნათ, რატომ ფუძნდება ინვესტორი საზღვარგარეთ და არა საკუთარ ქვეყანაში, არჩეულმა მიმღებმა-რეციპიენტმა ქვეყანამ ინვესტორს უნდა შესთავაზოს კაპიტალის გადაადგილების მნიშვნელოვანი ცვლადების სია, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მაჩვენებლებს: სამუშაო ძალის ფასი, კვალიფიციური სამუშაო ძალის პოვნის შესაძლებლობა, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების საშუალებები, კვლევების ჩატარების შესაძლებლობები, ადგილობრივი ბაზრის მოცულობა, მთავრობის სტიმულირება (დაინტერესება) და საგადასახადო დაბეგვრის პოლიტიკა - მოკლედ რომ ვთქვათ, „საინვესტიციო კლიმატი“. ამ ცვლადების მნიშვნელობის რაც შეიძლება ზუსტი განსაზღვრა არის ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მთავარი ამოცანა, ხელისუფლებისა, რომელიც დაინტერესებულია ეკონომიკის სტიმულირებით. მოძღვრება პუი-ს დეტერმინანტების (განსაზღვრების) შესახებ გვთავაზობს, რომ რეციპიენტ ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია: კორპორატიული საგადასახადო განაკვეთი, პროფკავშირების საქმიანობა და გამოკვლევების და დამუშავებების ჩატარების შესაძლებლობა. სამუშაო ძალის რეგიონული ღირებულება, უმუშევრობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია იმის განსასაზღვრად, თუ რომელი ქვეყანა უნდა იქნეს არჩეული ინვესტორებისთვის.

3. ინტერნალიზაციის უპირატესობანი. აუცილებელია არსებობდეს, მეწარმეს, სახელმწიფოს გააჩნდეს, „საბაზრო რეგულირების დეფექტის“ გამანეიტრალებელი, აღმოსაფხვრელი წყარო, რომელიც ხელს შეუშლის, წინააღმდეგობას გაუწევს საკუთრების უპირატესობით მოპოვებულ უპირატესობას. ასეთი უპირატესობანი ხშირად აღმოცენდება მეცნიერებატევად ინდუსტრიებში.

ხშირად ფირმა ახერხებს გამოიყენოს წარმოების მასშტაბის ეფექტი და ფართო პროფილის ეფექტი, ან კიდევ თავისი რეპუტაცია, რომ თვით აწარმოოს პროდუქტი. საავტომობილო კომპანიები ხშირად ამ მიზეზით ცდილობენ შექმნან ადგილობრივ მეწარმეებთან ერთობლივი საწარმოები და არა მოიპოვონ, აწარმოონ უცხოელი ინვესტორების სახელით. წარმოებაზე უფლების გაყიდვით საწარმო კარგავს კონტროლის უფლებას, ან მის ნაწილს და საშიშროების ქვეშ დააყენებს თავის რეპუტაციას. ხალხი ყიდულობს მერსედესს იმიტომ, რომ ის წარმოებულია ფირმა მერსედესის მიერ. შეიძლება გადაიფიქრონ მერსედესის ყიდვა, თუ გაიგებენ რომ ის წარმოებულია ადგილობრივი საწარმოს მიერ. ინტერნალიზაციის მეორე მიზეზი შეიძლება გახდეს სამართლებრივი სისტემის სისუსტე, არასრულყოფილება ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში. ჯ.დანინგის მიერ შემოთავაზებული და ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სამივე პირობის დაცვა აუცილებელია საზღვარგარეთ წარმოების პროცესში სამამულო ფირმის მომგებიანი მონაწილეობისათვის. დანინგმა გულდასმით შეადგინა სქემა, რომ ეჩვენებინა სამივე პირობის შესრულების აუცილებლობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მომგებიანობისთვის. წარმატებისთვის საჭიროა კომპანია ფლობდეს რაიმე სხვებისგან განსხვავებულ უპირატესობას, ფასეულობას, რომლის აუნაზღაურებლად კოპირება, სარგებლობა სხვებისთვის შეუძლებელი იქნებოდა. საბაზრო რეგულირების დეფექტი, რომელიც ბუნებრივად ახასიათებს ამ სისტემას, კარნახობს, რომ ეს უპირატესობა ინტერნალიზებულ იქნეს და არა მიეყიდოს სხვას ექსპლუატაციისთვის. რეციპიენტმა ქვეყანამ ნათლად უნდა წარმოიდგინოს კომპანიის გაადვილების უპირატესობა იმისთვის, რომ ის დაინტერესდეს უცხოეთში ბიზნესის მოწყობაში, დაფუძნებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, რ. ქუთათელაძე, ლ. გვაჯაია, გ. ყურაშვილი. /საინვესტიციო მენეჯმენტი. თბილისი 2011/

2. КарликА. Е., РоговаЕ. М., ТихоноваМ. В., ТкаченкоЕ.А. /Инвестиционныйменеджмент. – ИздательсвоВернераРегена, Санкт-Петербург 2008/

3. J.H.Duning /TheGlobalisationOfBusiness (London, Routledge,1993)/

4. J.H.Duning /Explaining International Production (London, Unwin Hyman, 1988)/

5. J.Markusen and A.Venables /Foreign Direct Investments as a Catalyst for Industrial Development, European Economic Review, 43 (1999); UNCTAD, World Investment Report 2001, Geneva/

სახელმწიფო შეკვეთები უახლეს ტექნოლოგიებზე - ქვეყნის ინოვაციური აქტიურობის ინსტრუმენტი

ნინო ქიტუაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ინოვაციურ აქტიურობას ქვეყანაში საწარმოების მიერ გამოშვებული ინოვაციური პროდუქციის ექსპორტი და სამამულო წარმოებაში ასეთი პროდუქციის, ტექნოლოგიებისა და გამოგონებების დანერგვა განსაზღვრავს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნის ინოვაციური განვითარების სტიმულირებისათვის აქტუალურია სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმის შესაძლებლობების გამოყენება, როგორც: ა) ინოვაციების ფინანსირების საბიუჯეტო მექანიზმი; ბ) ინოვაციური საქმიანობისა რეგულირებისა და სტიმულირების მექანიზმი, ბაზარზე უახლეს ნიმუშებსა და ტექნოლოგიებზე მოთხოვნილებების სტიმულირების მეშვეობით. სახელმწიფო შეკვეთის მიღება - ინოვაციური მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენებით მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შექმნის უტყუარი და საიმედო საშუალებაა. სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამარტივება - ეს ფინანსების განაწილების ის სქემაა, რომელიც სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს საწარმოებს ინოვაციურ საქმიანობაში ჩასართავად და მმართველობის სუბიექტებს ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფო სახსრების დასაბანდებლად.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შეკვეთა, სახელმწიფო შესყიდვა, ინოვაციური პროდუქცია, ინოვაციური აქტიურობის ამაღლება, პროკურემენტი

The State Order - The Instrument of Innovative Development of Economy

Nino Qituashvili, Phd student of GTU

Summary

Innovative activity in the country is connected with intensity of activities of the accounting entities located in the territory of this region on development and deployment of new technologies or advanced products. Now the problem of use of the mechanism of public procurements is actual for stimulation of innovative development of economy of the Georgian regions which is based on two principles: a) the system of public procurements acts as the mechanism of direct budget financing of innovative developments; b) the system of public procurements acts as the instrument of regulation and stimulation of innovative activities. Receipt of the state order a certain and reliable way of an investment of public funds in the Georgian economy, and economic development of the Georgian regions directly depends on their innovative potential and innovative activity in its territory.

* * * * * *

მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში თანამედროვე პოსტკრიზისულ პერიოდში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიჩნეულია ინსტიტუციური პირობებისა და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტურობის ამაღლება, რაც 2014 წლის 15 იანვრის ,,სახელმწიფო შესყიდვების ევროპული დირექტივით" ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის სტრატეგიულ ინსტრუმენტად და საკვანძო ამოცანად განიხილება. როგორც მემორანდუმშია აღნიშნული, ევროკავშირის ქვეყნების დიდ ნაწილში, საბიუჯეტო შეზღუდვებისა და ეკონომიკური სიძნელეების გამო, სახელმწიფო შესყიდვები, როგორც არასდროს, არსებული საშუალებების ოპტიმალური გამოყენებით, უზრუნველყოფენ მითითებული ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას, რითაც ხელს უწყობენ სტრატეგიის: ,,ევროპა 2020" ამოცანების რეალიზაციას.

ქვეყანაში ინოვაციური აქტიურობა[1] დაკავშირებულია კონკრეტული რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის შედეგად ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქციის (ტექნოლოგიების) წარმოების, სავაჭრო და სამომხმარებლო საქონელბრუნვის დანერგვის ინტენსივობასთან. ქვეყანაში ინოვაციური აქტიურობის მაჩვენებელი განისაზღვრება საწარმოების მიერ გამოშვებული ინოვაციური პროდუქციის ექსპორტით, წარმოებაში ასეთი პროდუქციის, ტექნოლოგიების და გამოგონებების დანერგვით. სტატისტიკური მონაცემების თანახმად საქართველოში ინოვაციურად აქტიურ სამრეწველო საწარმოებს შესაძლოა მივაკუთვნოთ საერთო რაოდენობის მხოლოდ 3%[2]. რუსეთში ეს მაჩვენებელი 9,4%, ევროკავშირის ქვეყნებში 50%, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში 30% შეადგენს[3]. შესაბამისად, საქართველოში ინოვაციური პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვი-

1. European Commission-15/01/2014 wvdomis reJimi Hhttp://ec.europa.eu/internal_market/publicprocurement

2. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ.ქეშელაშვილი, დ. გეგია - ,,საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა" 2011.

3. С. В. Саванович. Проблема повышения иновационной активности российских предприятий /www.mai.ru/events/sfiro/articles/sec7/savanovich.doc

თარების პოტენციალი ამ ეტაპზე იმდენად მცირეა, რომ იგი ვერ იქნება საქართველოს ეკონომიკისათვის პრიორიტეტული, მაგრამ არსებული ინოვაციური შესაძლებლობები, რომელებიც ასევე შედგება ინტელექტუალური, მატერიალურ-ტექნიკური, ინფორმაციული, ფინანსური და სხვა რესურსებისაგან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული საკუთრივ ქვეყნის განვითარებისათვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ინოვაციურ პროდუქციაზე ფედერალური სახელშეკრულებო სისტემის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვები უკვე გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან წარმატებით გამოიყენება როგორც ქვეყნის სამრეწველო, სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტი. ეკონომიკურმა სისტემამ და სახელმწიფო პოლიტიკამ, შექმნეს რა ხელსაყრელი გარემო ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური ბიზნესისათვის, ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმები თავდაცვის სფეროდან სამოქალაქო, სახელმწიფო სექტორიდან სამოქალაქოში ტრანსფერისათვის, გამოიწვია ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება, გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სფეროებზე და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო მრეწველობის ახალი დარგების, მაგალითად: ინტერნეტის და მასთან დაკავშირებული საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გლობალური სანავიგაციო სისტემის და სხვა თანამგზავრული ტექნოლოგიების, სამედიცინო დიაგნოსტიკის და თერაპიის ახალი მეთოდების შექმნას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტიმულირებისათვის აქტუალური ხდება სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმის გამოყენება. თავის მხრივ აღნიშნული შესყიდვების ეფექტურობა და მათი ინოვაციურ აქტიურობაზე ზემოქმედება ეფუძნება ორ პრინციპს:

- სახელმწიფო შესყიდვების სისტემა გვევლინება როგორც ინოვაცების ფინანსირების პირდაპირი საბიუჯეტო მექანიზმი. აქ მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების მოცულობისა და საჭიროების დასაბუთება, სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების პროგრამასთან მათი ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა;

- ინოვაციური პროდუქციის ბაზრის განვითარების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების სისტემა გვევლინება როგორც ინოვაციური საქმიანობის რეგულირებისა და სტიმულირების მექანიზმი, მათ შორის პროდუქციის ბაზარზე უახლეს ნიმუშებსა და ტექნოლოგიებზე მოთხოვნილებების სტიმულირების მეშვეობით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ბარიერების დაწევა და ისეთი კონკურენტული პირობების დაწესება, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბაზარზე ინოვაციური პროდუქციის მწარმოებელი საწარმოების შესვლას[4].

სახელმწიფო შეკვეთის მიღება - ინოვაციური მიზნებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების გამოყენებით მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შექმნის უტყუარი და საიმედო საშუალებაა. სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამარტივების მეშვეობით ფინანსების განაწილების ზუსტად ეს სქემა უნდა შესთავაზოს სახელმწიფომ საწარმოებს ინოვაციურ საქმიანობაში ჩასართავად და მმართველობის სუბიექტებს ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფო სახსრების ჩასადებად (დასაბანდებლად).

სახელმწიფო საჭიროებისათვის გამიზნული სახელმწიფო შეკვეთა კვლავწარმოების პროცესის ახალ ფაქტორებს და პირობებს აყალიბებს, მოტივირებულს ხდის განვითარების ინოვაციურ ეტაპზე გადასვლას.

ინოვაციურ პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთის რეალიზების შედეგს მზა პროდუქტი - ინოვაციური თვისებების მქონე საქონელი, სამუშაოები, მომსახურება წარმოადგენს.

აუცილებელია შემუშავდეს სახელმწიფოს, ბიზნესის და სამეცნიერო-საგამნანათლებლო გარემოს ეფექტური ურთიერთქმედების მექანიზმები ქვეყნის და რეგიონების მასშტაბით, რაც შესაძლოა გამოვლინდეს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პროდუქციის შესყიდვების რეგიონალური სისტემის ფორმირებაში.

სახელმწიფო შეკვეთების ჩამოყალიბებულ სისტემას ასევე შეუძლია შეასრულოს წამახალისებელი ფუნქცია ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში, რაც გამოიხატება ინოვაციურ პროდუქციაზე მოთხოვნების სტიმულირებაში, ინოვაციური პროცესების რეგულირებაში, ქვეყანის მასშტაბით ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების რეალური წინაპირობების შექმნაში. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაფორმებული სამეცნიერო კვლევების ჩატარების და ინოვაციური პროდუქციის წარმოების ხელშემწყობი სახელმწიფო ხელშეკრულებები წარმოადგენს. ასეთ ხელშეკრულებებში მკაცრად არის გაწერილი და შეთანხმებული გათვალისწინებული ინოვაციური პროექტის ყველა ძირითადი მახასიათებელი (შესრულების ვადები, გასათვალისწინებელი ხარჯები, შედეგები და ა.შ.). გასათვალისწინებელი ხარჯები, როგორც წესი, ფიქსირდება სამუშაოების დაწყებამდე, ხოლო საბოლოო ანგარიშგება ხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ. სუბსიდიები და სუბვენციები ჩვეულებრივ გამოიყოფა მცირე საწარმოების მიერ რეალიზებული რადიკალური და სარისკო ინოვაციური პროექტების მხარდასაჭერად. სახელმწიფო ხელშეკრულებები აუცილებლად ითვალისწინებს შემდეგი სახის მნიშვნელოვან მოთხოვნებს:

4. Смотрицкая И. И. Государственный заказ как механизм стимулирования иновационной деятельности предприятий-резидентов особой экономической зоны „Дубна"/ http://www.hse.ru/mag/gz/2010-22/42582557.html

- შემკვეთის განაცხადის შესაბამისად, დათქმულ დროში, შემსრულებლის მიერ სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელი შედეგების მიღებას, რაც ასევე ითვალისწინებს უარყოფითი შედეგის მიღებასაც;

- სამუშაოს შესრულების პერიოდში შემკვეთის მიერ შემსრულებლის საჭირო რაოდენობით დაფინანსებას;

- შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მომავალი შედეგების შეძენის შესაძლებლობის გარანტიას და პრიორიტეტს.

სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფო შეკვეთა ჯერ ვერ გახდა სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის, ქვეყანაში ინოვაციური აქტიურობის ამაღლების ეფექტური მექანიზმი. სახელმწიფო შეკვეთის განთავსების არსებული წესი არ შეესატყვისება პროკურემენტის (ინგ. პროცურემენტ) ძირითად პრინციპებს, არ განიხილავს ინოვაციურ პროდუქციას, როგორც შეკვეთის საგანს და ხელს არ უწყობს სახელმწიფო შეკვეთის იმ კვალიფიციური შემსრულებლებისათვის გადანაწილებას, რომლებსაც შეუძლიათ უკეთესი პროდუქციის მისაღებ ფასად შეთავაზება.

შესყიდვების შესახებ ქართული კანონმდებლობის ძირითად ნაკლოვანებას განაცხადების შედარება-შეფასებისას, პროდუქციის ფუნქციონალური და ხარისხობრივი მახასიათებლების, აგრეთვე კონკურსის მონაწილეთა კვალიფიკაციის საწინააღმდეგოდ, ფასის კრიტერიუმი წარმოადგენს, რაც მიუღებელია ინოვაციური და სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის შესყიდვებისას. მართალია საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცდა ახალი ,,ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი", მაგრამ სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმები ისევ იძლევა სასურველ პრეტენდენტებზე წაყენებული მოთხოვნების მორგების შესაძლებლობას. ამავე დროს, დღეისათვის, ახალი წესით, ქვეყნის მასშტაბით, გამოცხადებულია მხოლოდ სამი ტენდერი და არც ერთი მათგანი დასრულებული არ არის.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო შეკვეთების სისტემასთან არაფორმალური მიდგომა მიზანშეუწონელია, რადგან იგი მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების ეკონომიაზეა ორიენტირებული და სახელმწიფო შესყიდვას არ განიხილავს როგორც სახელმწიფო რეგულირების, მოსახლეობისა და ბიზნესის ინოვაციური აქტიურობის ამაღლების, ეკონომიკის მოდერნიზების, სახელმწიფო მმართველობის სისტემის გაუმჯობესების მექანიზმს.

სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთის ფორმირების არსებულ საორგანიზაციო-ინსტიტუციონალურ ფორმებს შესყიდვების რეგიონალური სისტემის ჩამოყალიბების მოსაზრებამდე მივყავართ. ექსპერიმენტული პროექტის ფარგლებში შესაძლოა წამოყენებული იქნას წინადადება რეგიონებში სპეციალიზირებული ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის შესახებ, რომელთა საქმიანობის ძირითადი საგანი რეგიონში წარმოებული ინოვაციური პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაციის და პირიქით, სახელმწიფო შესყიდვების რეგიონალური პოლიტიკის რეალიზება განხორციელდება. აღნიშნული ხელს შეუწყობს რეგიონებში სპეციალიზირებული ინოვაციური საქმიანობის ხელსაყრელი ინსტიტუციონალური გარემოს ჩამოყალიბებას, ინოვაციურ პროდუქციაზე (მომსახურებაზე) მოთხოვნილებების სტიმულირებას და საბოლოოდ გამოიწვევს რეგიონების ტერიტორიაზე სახელმწიფო, რეგიონალური და მუნიციპალური ორგანოების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების, უახლესი პროდუქციის, სამეცნიერო კვლევების სახელმწიფო შეკვეთების მექანიზმების მეშვეობით ინოვაციური აქტიურობის ამაღლებას.

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების სფეროში შესყიდვების უზრუნველყოფის აუცილებლობა გათვითცნობიერებული აქვს ყველა დაინტერესებულ მხარეს — სახელმწიფოს, ბიზნესს, საზოგადოებას.

სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთის ფორმირების არსებულ ფორმებს შესყიდვების რეგიონალური სისტემის ჩამოყალიბების მოსაზრებამდე მივყავართ. აღნიშნული ხელს შეუწყობს რეგიონებში სპეციალიზირებული ინოვაციური საქმიანობის ხელსაყრელი ინსტიტუციალური გარემოს ჩამოყალიბებას, ინოვაციურ პროდუქციაზე მოთხოვნილებების სტიმულირებას და საბოლოოდ, რეგიონების ტერიტორიაზე ინოვაციური აქტიურობის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. European Commission-15/01/2014 wvdomis reJimi http://ec.europa.eu/internal_market/publicprocurement
2. a.TvalWreliZe, a.silagaZe, g.qeSelaSvili, d.gegia - ,,saqarTvelos socialur-ekonomikuri ganviTarebis programa" 2011.
3. С.В.Саванович. Проблема повышения иновационной активности российских предприятий / www.mai.ru/events/sfiro/articles/sec7/savanovich.doc
4. Смотрицкая И. И. Государственный заказ как механизм стимулирования иновационной деятельности предприятий-резидентов особой экономической зоны ,,Дубна"/ http://www.hse.ru/mag/gz/2010-22/42582557.html

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა

ქეთევან კრავეიშილი, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

კორუფციის შედეგად სახელმწიფო თანხების არაგონივრული ხარჯვა მთელი მსოფლიოს წინაშე გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში. 21-ე საუკუნის დასაწყისში კორუფციის მოსპობა ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესების სინონიმი იყო. დღეის მდგომარეობით როგორც მსოფლიო მაშტაბით ასევე საქართველოშიც არაერთი ანტიკორუფციული მექანიზმი იქნა შემუშვებული და პრაქტიკაში დანერგილი, მათ შორის არის სახელმწიფო შესყიდვების პროცესების დახვეწაც.

საქართველო ერთერთია იმ რამოდენიმე ქვეყანას შორის, რომლებმაც ცენტრალიზებული და ყოვლისმომცველი ელექტრონული შესყიდვების სისტემა შემოიღო. სისტემა ინოვაციურია და დიდ წილად ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს.

მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის შესყიდვის პროცესში ხორციელდება მონიტორინგი ისეთი პრინციპების დაცვაზე როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, აგრეთვე, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველომ არაერთ წარმატებას მიაღწია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწის კუთხით, მრავალი საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობოლემა კვლავაც აქტუალური რჩება.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, ერთიანი ელექტრონული სისტემა, ტენდერი, დავების განხილვის საბჭო,SWOT ანალიზი.

State Procurement System of Georgia

Ketevan Kraveishvili, PHD stundent of GTU

Summary

As a result of corruption, the unreasonable use of state's funds from all over the world is facing a challenge, especially in developing countries. In the beginning of 21-th century the annihilation of corruption was synonymous of improving the business climate. Nowadays around the world as well as in Georgia has been developed and implemented in practice the anti-corruption mechanism, among them is refining the processes in public procurement.

Georgia is among of those few countries, which introduces central and comprehensive electronic procurement system. The system is innovative and mainly satisfies EU standards.

For maximum transparency in procurement process there is monitored such principles as publicity, justice and non-discrimination,accurate performance of established procedures, provision of open and effective competition, opportunity of rational and free choice.

Despite the successes in state procurment terms, what,Georgia has achieved in recent years, many legal and practical problems remains still actual.

ძირითადი ტექსტი

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტორონული სისტემის შემოღების მიზანია სახელმწიფო საჭიროებისათვის აუფილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება და აღნიშნულისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა [1].

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ დამტკიცებული და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის "ეჭლან" მოდულში ატვირთული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, რომელიც დგებაერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს ერთ შესყიდვად განხილვის პრინციპით [1, 2].

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება როგორც ელექტრონულად ასევე სხვა საშუალებებითაც, კერძოს ყველა სახის ტენდერი და კონკურსი ტარდება ელექტრონული ფორმით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნების გზით, ხოლო გამარტივებული შესყიდვისას კი მხოლოდ შესყიდვის შედეგები ისახება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის "CMR" მოდულში. [1, 2, 3, 6]

სახელმწიფო შესყიდვების პროცესი გარფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



წყარო: გრაფიკი შედგენილია ჩემს მიერ [1,5]

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შემოღება დადებითი მოვლენაა, რომელიც კონკურენციის დონის გაზრდასა და კორუფციის რისკების შემცირებას ემსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზა მაღალ სტანდატებს აწესებს არის ისეთი სფეროებიც, რომლებიც შესყიდვების კანონმდებლობაში გამონაკლის წარმოადგენენ და მისი რეგულირების მიღმა რჩებიან.აღნიშნული კი გაუმჭვირვალე შესყიდვების პრაქტიკას წარმოშობს, რომელიც ხასიათდება მცირე ზედამხედველობითა და არამიზნობრივი ხარჯვით, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებითა და კორუფციის მაღალი რისკით.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და საფრთხეები (SWOT ანალიზი).

	დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
შიდა ფაქტორები	ძლიერი მხარეები: ✓ გამჭვირვალობა; ✓ ცენტრალიზებული პროცესი; ✓ ეფექტურობა; ✓ თანაბარი პირობები; ✓ მინიმალური ვადები; ✓ შესყიდვების მონიტორინგი და კონტროლი; ✓ გასაჩივრების სისტემა.	სუსტი მხარეები: ✓ გამონაკლისები; ✓ სპეციალური რეგულაციები; ✓ საიდუმლო შესყიდვების რეგულაციის არ არსებობა; ✓ სისტემაში რეგისტრაცია; ✓ კონკურენცია – გამ. ელ. ტენდერთან მიმართებაში.
გარე ფაქტორები	შესაძლებლობები: ✓ ფულის ღირებულების გაზრდა; ✓ კავშირი სხვა ელექტრონულ სისტემებთან; ✓ კორუფციის შემცირებული რისკები.	საშიშროებები: ✓ რეგულირების მიღმა დარჩენილი საკითხები; ✓ დავების განხილვის საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა და ანაზღაურება.

სისტემის ძლიერი მხარეებია:

1. გამჭვირვალობა - 2010 წლიდან შესყიდვების პროცესი დაწყებული ტენდერის გამოცხადებით და დამთავრებული გამარჯვებულის დასახელებით, საჯაროდ ხელმისაწვდომია [1, 2]. 2012 წლიდან, CMR მოდულის საშუალებით, ასევე ხელმისაწვდომი გახდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული შესყიდვები [10]. 2015 წლიდან სისტემას დაემატა ახალი SMP მოდული, რომლის საშუალებითაც საჯარო გახდა გამონაკლისის სახით განსახორციელებელი ზოგიერთი სახლემიწფო შესყიდვის საჭიროების დასაბუთება, კერძოდ: გადაუდებელი აუცილებლობა, ექსკლუზივი, საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელებული შესყიდვა და ხარისხის გაუარესების მიზნით იმავე მიმწოდებლისაგან ან ქვეკონტრაქტორისაგან შესყიდვა[7, 10].

სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ დადებული ხელშეკრულებების, მათი შესრულებისა და ანგარიშსწორების ამსახველი ინფორმაციის გამქვეყნება ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია. აღნიშნული დაინტერესებულ მხარეებს აძლევს შესყიდვის პროცედურების მონიტორინგის საშუალებას, რაც თავისთავად ამცირებს კორუფციის რისკს.

2. სახელმწიფო შესყიდვების ცენტრალიზებული პროცესი. 2010 წლიდან სისტემის დანერგვის პარალელურად განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების ცენტრალიზაცია, რისშედეგადაცშესყიდვების დიდი ნაწილი დაექვემდებარა ელექტრონულ შესყიდვას და შესაბამისად გაიზარდა პროცესების გამჭვირვალობა და ამაღლდა კონკურენციის დონე. 2013-2016 წლებში შესყიდვის 68.05% განხორციელდა ტენდერის საშუალებით,რაც 10 117.2 მლნ. ლარსშეადგენს [9].

მლნ. ლარებში

დასახელება	სულ		2016წ		2015წ		2014წ		2013წ	
	სულ შესყიდვა	ტენდერი	სულ შესყიდვა	ტენდერი	სულ შესყიდვა	ტენდერი	სულ შესყიდვა	ტენდერი	სულ შესყიდვა	ტენდერი
სულ შესყიდვა	14 867,04	10 117,20	4 048,55	3 039,74	4 084,98	2 670,85	3 556,57	2 366,21	3 176,93	2 040,41
		68,05%		75,08%		65,38%		66,53%		64,23%
სახელმწიფო ბიუჯეტი	6 060,44	4 332,96	1 648,92	1 340,85	1 607,90	1 131,31	1 427,33	953,98	1 376,29	906,81
		71,50%		81,32%		70,36%		66,84%		65,89%
ადგილობრივი ბიუჯეტი	2 923,32	2 347,94	803,62	673,76	910,77	616,62	682,95	590,62	525,98	466,93
		80,32%		83,84%		67,70%		86,48%		88,77%
ავტ. რესპ. ბიუჯეტი	353,34	289,38	141,14	127,32	93,53	74,36	64,52	43,21	54,15	44,49
		81,90%		90,21%		79,50%		66,97%		82,16%
გრანტი/ კრედიტი	811,72	228,89	239,20	70,29	241,86	60,47	310,13	84,89	20,53	13,23
		28,20%		29,39%		25,00%		27,37%		64,46%
საკუთარი სახსრები	4 718,22	2 918,05	1 215,67	827,52	1 230,93	788,08	1 071,65	693,51	1 199,98	608,94
		61,85%		68,07%		64,02%		64,71%		50,75%

წყარო: გრაფიკი შედგენილია ჩემს მიერ [9]

3. ეფექტურობა-საჯაროობისა და კონკურენციის ზრდის საშუალებით ერთიანმა ელექტრონულმა შესყიდვების სისტემამ გაზარდა ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად ხარჯვის შესაძლებობა.

4. თანაბარი პირობები - სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვით მომწოდებელ ორგანიზაციებს მიეცა საშუალება

ტენდერში ან კონკურსში მონაწილეობისას ისარგებლონ თანაბარი პირობებით, რაც საფუძველს უყრის ჯანსაღი კონკურენციის არსებობას.

5. მინიმალური ვადები — გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის დაწესებულ 3 დღიანვადას მინიმუმამდე დაჰყავს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვების რაოდენობა და მოცულობა, რაც2013-2016 წლებში მთლიანი შესყიდვის 2-3% შეადგენს[1]. [9]

6. შეყიდვების მონიტორინგი და კონტროლი — აღნიშნულიხორციელდებაროგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სახელმწიფო აუდიტის მიერ [1], ასევე სამინისტროებისა და უწყებების შიდა აუდიტისა და გენერალური ინსპექციის სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

7. გასაჩივრების სისტემა—როგორც ყველა სფეროში სახელმწიფო შეყიდვებთან მიმართებაშიც არ არსებობს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი, რათა კომპეტენტური ორგანოების მიერ განხილულ და გაანალიზებულ იქნას ყველა განხორციელებული შესყიდვა.



წყარო: გრაფიკი შედგენილია ჩემს მიერ [10]

ამ შემთხვევაში სისტემა ნებისმიერდაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს ელექტრონული ფორმითსახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით გაასაჩივროს ნებისმიერი ტენდერი ან კონკურსი, მისი მიმდინარეობის პროცესში. შესაბამისად ასეთი ტიპის სქემა შიდა და გარე ზედამხედველობის ბალანსის დაცვისსაშუალებას იძლევა.

სისტემის სუსტი მხარეებია:

1. გამონაკლისები— სისტემის სუსტ მხარეს წარმოადგენს გამონაკლისები, რომლის მიხედვითაც შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ საშუალება სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მიუხედავად მისი მოცულობისა.ყველაზე ხშირად გამოყენებადი გამონაკლისებია: გადაუდებელი აუცილებლობა, საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სამართლებრივი აქტის საფუძველზე შესყიდვა, ექსკლუზივი, წარმომადგენლობითი ხარჯები და 5 წლამდე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურება [1, 8].

2013-2016 წლებში გამონაკლისებზე დახარჯულია 4 053.0 ლმნ. ლარი, მათ შორის მთლიანი გამონაკლისების 80% ანუ 3 232.0 მლნ ლარი საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელებული შესყიდვაა [9].

აღნიშნული გამონაკლისები გაუმჭვირვალე შესყიდვების პრაქტიკას წარმოშობს, ხელს უშლის კონკურენციას და შესაძლოა გამოყენებულ იქნას კორუფციული მიზნებისათვის.

ამასთან, 2015 წლიდან დაინერგა ახალი SMP მოდული, რომლის საშუალებითაც საჯარო გახდა ისეთი გამონაკლისების ფარგლებში განსახორციელებელი სახლემინფო შესყიდვის



წყარო: გრაფიკი შედგენილია ჩემს მიერ

საჭიროების დასაბუთება, როგორიცაა გადაუდებელი აუცილებლობა, ექსკლუზივი, საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელებული შესყიდვა და ხარისხის გაუარესების თაიდან აცილების მიზნით იმავე მიმწოდებლისაგან ან ქვეკონტრაქტორისაგან შესყიდვა[7, 10].

აღნიშნულის შედეგად მივიღეთ უფრო მეტად გამჭვირვალე სისტემა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ტიპის შესყიდვები დღესაც არ წარმოადგენს დავების საბჭოს განხილვის საგანს.

2. სპეციალური რეგულაციები—რიგ შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისათვის დადგინდეს სპეციალური რეგულაციები, სახელმწიფო მმართველობაში არსებულ საწარმოთა სფეციფიკის გათვალისწინებით [1]. ასეთი გამონაკლისით სარგებლობენ — შპს "თბილავიამშენი", შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" და სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია".



წყარო: გრაფიკი შედგენილია ჩემს მიერ.

სპეციალური რეგულაციის შესაბამისად შპს "თბილავიამშენი" და შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია", სახელმწიფო შესყიდვას ახორციელებენ გამარტივებული შესყიდვით ან შემსყიდველის გადაწყვეტილებით, ფასთა გამოკითხვის საშუალებით. ამასთან, იმ შესყიდვებზე, რომელზეც შემსყიდველის გადაწყვეტილებით არ ვრცელდება სპეციალური რეგულაცია,მისი და სამუშაოს შესყიდვა ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად [11].

შპს "თბილავიამშენი" დაფუძნებულია 2003 წლის

1 წყარო: 4442 შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების წლიური გეგმის ანალიზი. ამასთან, შემდგომში მოყვანილი ყველა ციფრი და პროცენტული მაჩვენებელი გაანგარიშებულია იგივე პრინციპებზე დაყრდნობით.

10 მარტს, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა ატვირთული აქვს მხოლოდ 2015-2016 წლებისათვის და ისიც მცირედი მოცულობით [10]. შესაბამისად აშკარაა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია ძირითადად ახორციელებს მხოლოდ საიდუმლო შესყიდვებს, რაც სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის რეგულირების მიღმა რჩება.

რაც შეეხება სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას" მას საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული აქვს იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის შესყიდვაც უნდა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით [12].

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა ასევე უშვებს დაშვებას, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიძლება იხელმძღვანელონგრანტის/კრედიტის გამცემი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურებით [1].

ყოველივე აღნიშნული ხასიათდება მცირე ზედამხედველობითა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობით, რაც თავისთავად ზრდის კორუფციულ რისკებს.

3. საიდუმლო შესყიდვების რეგულაციის არ არსებობა—2005 წლის 18 მაისს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის შემუშავება დაევალა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, რომელიც შემდგომ უნდა დაემტკიცებინა საქრთველოს მთავრობას [1]. აღნიშნული ობიექტების ნუსხა და შესყდვების განხორციელების წესი დღემდე არ არის დამტკიცებული.

4. სისტემაში რეგისტრაცია —სისტემაში რეგისტრაციისას არ ხდება ორგანიზაციის სტატუსის გადამოწმება [10]. აღნიშნული სისტემის ხარვეზად შეიძველბა ჩაითვალოს, ვინაიდან 2010-2011 წლებში განხორციელებული საგადასახადო და შესყიდვების რეფორმის (პროცესების ცენტრალიზაცია) შემდეგ, ზოგიერთი სამონისტროს უწყების სტრუქტურულ ერთეულსშენარჩუნებული აქვს გადასახადის გადამხდელის კოდი. შესაბამისად მათ ერთიან ელექტრონულ სისტემაში დამოუკიდებელ შემსყიდველ/მომწოდებელ ორგანიზაციებად რეგისტრაციის საშუალება აქვთ. აღნიშნულის შედეგად მივიღეთ ხელოვნური დაყოფის კლასიკური მაგალითი, რაც სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით იკრძალება.

5. კონკურენცია — გამარტივებული ელეტრონული ტენდერისათვის დადგენილი მინიმალური ვადა არ ქმნის საუკეთესო პირობებს კონკურენციისათვის. ზოგიერთი კომპანია მოკლე დროის გამოვერ ახერხებს ტენდერში მონაწილეობის მიღებას და შესაბამისად ხდება პოტენციური მონაწილეებისშესყიდვების პროცესიდან გამორიცხვა [6].

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ თუ მინიმალური ვადა გაზრდება, ასევე, გაიზრდება კონკურენციის დონეც, მაგრამ აღნიშნული პირდაპირ კავშირშია გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვების განხორციელების ზრდასთანაც, რაც თავის მხრივ ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას უშლის ხელს. შესაბამისად ამ მიმართულებით რაიმე ცვლილების შემთხვევაში, სისტემის შემქმენლები კარგად უნდა დაფიქრდნენ და გაანალიზონ ცვლილების შედეგები.

შესაძლებლობები:

1. ფულის ღირებულების გაზრდა —სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა 2011 წლიდან იცნობს ორეტაპიანი ტენდერით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ აღნიშნული პრაქტიკაში 2016 წლამდე არ იხმარებოდა. შესაბამისად ტენდერის მიმდინარეობისას გადამწყვეტი ფაქტორი იყო მხოლოდ ფასი, ხარისხს კი ყურადღება არ ექცეოდა. მიმდინარე წლიდან ორ ეტაპიანი ტენდერების ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი გახდა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებახარისხისა და ფასის გათვალისწინებით [3].

2. კავშირი სხვა ელექტრონულ სისტემებთან —სისტემას გააჩნია კავშირი საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზასთან და ელექტრონული ხაზინის პროგრამასთან [10]. საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზასთან კავშირის საშუალებით მიმწოდებლად რეგისტრაციისას გამორიცხულია მიმწოდებელი ორგანიზაციების მონაცემებში შეცდომის არსბობა, ხოლო ელექტრონული ხაზინის პროგრამასთან კავშირი ხელს უშლის საბიუჯეტო სახრების არამიზნობრივ ხარჯვას.ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2015 წლიდან ელექტროული ხაზინის მომსახურებაზე გადავიდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რამაც სახელმწიფო შესყიდვების შემქმნელების მიერ დანერგილ კონტროლს დაუქვემდებარა მათი საკუთარი სახსრებისა და განტების/კრედიტების ფარგლებში განხორციელებულიშესყიდვებიც.

3. კორუფციის შემცირებული რისკები—აღნიშნული გამოიხატება სწრაფი, მარტივი და ხელმისაწვდომი გასაჩივრების სისტემაში, მონიტორინგის უკეთეს შესაძლებლობაში და დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობაში [1, 5], რომელშიც პარიტეტული პრონციპით შედიან სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.დავების განმხილველი საბჭოს აღნიშნული შემადგენლობა უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის, დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის მაღალ დონეს.

საშიშროებები

1.რეგულაციის მიღმა დარჩენილი საკითხები — სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიღმა დარჩენილი საკითხებიდან ყველაზე აქტუალურია - სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებითა და რელიგიური სტატუსის მქონე სსიპ-ების მიერ განხორციელებული შესყიდვა, ასევე შპს "საქართველოს ფოსტისაგან" და სსიპ — "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსაგან" მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.წინამდებარე

შემთხვევების ფარგლებში განხორციელებულ ხარჯვაზე შეზრუდულია საჯარო ანგარიშვალდებულება და დამოუკიდებელი ზედამხედველობა [1].

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიღმა რჩება ასევე კომუნალური გადასახადების საკითხი, მაგრამ აღნიშნული შემთხვევა ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაციის (ბუნებრივი მონოპოლიები) შესაბამისად არის დარეგულირებული.

2. დავების განხილვის საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა და ანაზღაურება—დავების საბჭოს წევრები ინიშნებიან ერთი წლის ვადით [5]. მოკლევადიანი როტაციის ნაკი კი ინსტიტუციური მეხსიერებისათვის ზიანის მიყენებაა. ინსტიტუციური მეხსიერება კი ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი ელემენტი საბჭოს განვითარებისათვის.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დავების განხილვის საბჭოს არასმთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი წევრების სამუშაო არაანაზღაურებადია, ხოლო თავად საქმე კი დღითიდღე მატულობს. შესაბამისად აღნიშნული მიდგომა საჭიროებს გადახედვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ გადადგმული. ბოლო წლებში სისტემის შემქმნელებისაგან განხორციელებული ნაბიჯები მეტყველებს იმაზე, რომ ისინი კარგად ხედავენ და აანალიზებენ სისტემის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე საშიშროებებსა და შესაძლებლობებს, რის საფუძველზეც ახდენენ სისტემის წარმატებისათვის გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას და პრაქტიკაში დანერგვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სისტემისინოვაციურობის, პროგრესულობის და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მაქსიმალურად გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა, მაინც რჩება ისეთი საკითხები რომლებიც წარმოადგენენ სისტემის ნაკლოვანებებს და საჭიროებენ დახვეწას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი;
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი";
3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული "ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი";
4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული "შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი";
5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი";
6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები";
7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი";
8. "ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილება;
9. 4442 შემსყიდველი ორგანიზაციის 2013-2016 წლების წლიური გეგმები;
10. http://www.procurement.gov.ge/
11. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 სექტემბრის №554 და 2016 წლის 4 აგვისტოს №386 დადგენილებებით დამტკიცებული "შპს "თბილავიამშენისა" და მისი შვილობილი საწარმოების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი";
12. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27ნოემბრის №598 დადგენილებით დამტკიცებული "სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი".

უმუშევრობის დინამიკა საქართველოში

ელენე მენაბდე-ჯობაძე, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
მედეა ლაპარტყავა, *სტუ-ს მაგისტრი*

რეზიუმე

ელენე მენაბდე ჯობაძის და მედეა ლაპარტყავას სტატიაში: უმუშევრობის დინამიკა საქართველოში - აღნიშნულია, რომ უმუშევრობა მწვავე სოციალური პრობლემაა, რაც აქვეითებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და ეკონომიკურ ზრდას. თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში უმუშევრობა მთელ მსოფლიოში განიხილება, როგორც უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. უმუშევრობით გამოწვეულ პრობლემებს შორისაა შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, ნეტოერთობლივი შემოსავლისა და დანახარჯების სტრუქტურის შეუსაბამობა, ინფლაციის პროცესების დაჩქარება. ნაშრომში განხილულია რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა, უმუშევრობის საყოველთაო მაჩვენებლები შსოს მიხედვით, წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქებსა და სოფლებში, განხილულია დასაქმებულთა შორის დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი, უმუშევრობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, უმუშევრობის დონე რეგიონალურ ჭრილში. უმუშევრობა ამცირებს წარმოებას, აქედან გამომდინარე მშპ-ს, ქმნის კრიზისის ეკონომიკურ წინაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: მაკროეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, დასაქმების პოლიტიკა, უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა, შემოსავლები, ინფლაცია, მშპ, გლობალიზაცია.

Summary

Article by Elene Menabde-Jobadze and Medea Lapartkava: Unemployment – dynamics Unemployment has emerged as a particularly problem of society, It reduces the level of population life and economic growth. Among the problems caused by unemployment are losses of revenue, the Nature of Mass Poverty, Structure inconsistencies of income and expenditure, The acceleration of the inflation processes. The article examines register data of unemployment. The Indicator of General unemployment by SH.S.O., The article represents the number of unemployed in cities and villages, Examines the employees share, the workers share and the self-employed share, Structure Of Unemployment By Gender And Age, Unemployment statistics at regional level. Unemployment reduces production and therefore decreases GDP ,

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში უმუშევრობა განიხილება, როგორც უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. მიუხედავად სახელმწიფოების მიერ გატარებული ღონისძიებებისა, უმუშევრობა იზრდება. იგი უამრავი პრობლემის მიზეზია, რაც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უმუშევრობისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიზეზი ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. უმთავრესი მიზეზია სამუშაო ძალის კონკურენცია კონკურენტულ გარემოში. მას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. შედეგები დადებითია, თუ უმუშევრობის დონე ბუნებრივია. ამ პრობლემის მოგვარების გარეშე ქვეყანაში გადაუჭრელი დარჩება სხვა მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა. სახელმწიფოს მთავარი მიზანი უნდა იყოს ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ დასაქმების პოლიტიკის წარმატებას.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემებს შორის უმწვავესი იყო უმუშევრობა, რომლის ფორმირების პროცესი სხვადასხვა ფაქტორების კომპლექსული მოქმედებით წარიმართა. დაბალკვალიფიციური შრომის გამოყენება, შრომის ეფექტიანი მოტივაციის არარსებობა, შრომითი მწარმოებლურობისა და ხელფასის დაბალი დონე განაპირობებდა ორგანიზაციებში ჭარბი სამუშაო ძალის არსებობას და ქმნიდა დასაქმების მაღალი დონის ილუზიას. რეალური სურათის დანახვა მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როდესაც მოხდა ძველი სამეურნეო სისტემის დემონტაჟი და შეუძლებელი გახდა ჭარბი სამუშაო ძალის შენარჩუნება.

1991-1993 წლებში, როგორც სამუშაოს მაძიებლების, ასევე უმუშევართა რიცხვი არსებითად გაიზარდა, რაც განაპირობა, უპირველეს ყოვლისა ყოფილი სამეურნეო კავშირების გაწყვეტამ და წარმოების დაცემამ, რაც აისახა მომუშავეთა გამოთავისუფლებაში. 1994-1996 წლებში დასაქმების სამსახურში რეგისტრირებულთა რიცხვი შემცირდა არა ეკონომიკური აქტიურობის ამაღლების შედეგად, არამედ გაიზარდა გარე შრომითი მიგრაციის მასშტაბები. 1998-2000 წლებში საქართველოში უმუშევართა რეგისტრაციის ზრდა ისევ აღინიშნა, უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალი იყო მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, სადაც ეკონომიკური კრიზისის პირობებში უამრავმა საწარმომ შეამცირა დასაქმებულთა რაოდენობა.

2000-2004 წლებში რეგისტრირებულ უმუშევარ-

თა რაოდენობა 117.3 ათასიდან 46.9 ათასამდე შემცირდა. ეს არ იყო გამოწვეული წარმოების გამოცოცხლებით. მიზეზად შესაძლოა მივიჩნიოთ ერთ უმუშევარზე თვეში გაწეული შემწეობის სიდიდე 19.7 ლარი, რომელიც ვერ ასტიმულირებდა მოსახლეობას მიემართა დასაქმების სახელმწიფო სამსახურისთვის შემწეობის მისაღებად.

უმუშევრობის შეფასების საყოველთაო მაჩვენებელს უმუშევრობის დონე წარმოადგენს, რომელიც 2001 წელს საქართველოში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმით 11,2 %-ს, ხოლო შერბილებული კრიტერიუმით 15, 8 %- ს შეადგენდა.

მაჩვენებლებში დასტურდება ტენდენცია, რომ უმუშევრობის დონე ქალაქებში მნიშვნელოვნად აღემატება სოფლის შესაბამის მაჩვენებელს, რაც იმითაა განაპირობებული, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა და წარმოების დონის დაცემამ განსაკუთრებული ზეგავლენა იქონია მრეწველობის დარგებსა და მშენებლობებზე, რაც უმეტესად ქალაქებში იყო განლაგებული, ხოლო რაც შეეხება სოფლად უმუშევრობის დაბალ დონეს, შესაძლოა ის არ გვიქმნიდეს სწორ წარმოდგენას რეალურად არსებულ ვითარებაზე (ერთი ჰექტარი მიწის მფლობელნი მიჩნეულნი არიან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებად).

მონაცემებიდან ჩანს, რომ 1996-2001 წლებში უმუშევრობის დონის შემცირება განპირობებული იყო სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, რადგანაც ქალაქში უმუშევრობა არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა 18.4 %-დან 22.3 %-მდე. ამასთან ერთად, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, ქალაქად მუშაობის დონე აღემატება სოფლის შესაბამის მაჩვენებელს. 2016 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურმა გამოაქვეყნა 2015 წლის მდგომარეობით უმუშევრობის დონე რეგიონალურ ჭრილში, იხილეთ ნახაზი № 2.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონის მაჩვენებელი ფართოდ გამოიყენება, ის სრულად არ ახასიათებს სიტუაციას შრომის ბაზარზე ანუ შრომის მოთხოვნა-მიწოდების რეალურ თანაფარდობას. უმუშევრობის შედარებით დაბალ დონეს შეიძლება თან ახლდეს ვაკანტური სამუშაო ადგილების მცირე რიცხვი, ამიტომ უმუშევრობის დაბალი დონე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სამუშაოს ადვილად იპოვნიან სამუშაოს მაძიებლები. ვაკანტური სამუშაო ადგილების შემცირების მაჩვენებელი მაღალია სახელმწიფო სექტორში, რამაც განაპირობა ის, რომ 2002 წელს საქართველოში არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილების 76% მოდიოდა კერძო სექტორზე და ამავე წელს, არსებული ოფიციალური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ 2002 წელს საქართველოში უმუშევართა შორის იმათი ხვედრითი წილი, ვინც ერთი წლის და მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ უმუშევრად 24% -ს შეადგენდა.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც 2015 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2014 წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12 პროცენტი შეადგინა.

ნახაზი № 1



საქსტატის ინფორმაციით, 2015 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 12 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. 2015 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 67.8 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე გაიზარდა 1.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე - 1.4 პროცენტული პუნქტით.

წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე გაზრდილია 2.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.8 პროცენტული პუნქტით. წინა წელთან შედარებით აქტიურობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 2.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.5 პროცენტული პუნქტით.

ნახაზი № 2.



საქსტატის ცნობით, ტრადიციულად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 8.8 პროცენტით, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა პირიქით 2.7 პროცენტით შემცირდა, რის შედეგადაც დასაქმებულებში დაქირავებულთა წილი 2.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

მათივე ინფორმაციით, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. 2015 წელს 2014 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონის შემცირება დაფიქსირდა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში და შესაბამისად 21.5 და 4.8 პროცენტი შეადგინა. ამასთან, ქალაქად უმუშევრო-

ბის დონემ მინიმალურ მაჩვენებელს მიაღწია ბოლო 15 წლის, ხოლო სოფლად - ბოლო 9 წლის მანძილზე. საქსტატის ცნობით, წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონალურ ჭრილში გაზრდილია მხოლოდ შიდა ქართლის და კახეთის რეგიონებში, შესაბამისად 0.8 და 0.7 პროცენტული პუნქტით. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი 1.1 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სქესობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2015 წელს 2014 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე შემცირდა როგორც ქალებში (0.2 პროცენტული პუნქტით), ასევე მამაკაცებში (0.5 პროცენტული პუნქტით) და შესაბამისად, 10.2 (მინიმალური მაჩვენებელი ბოლო 15 წლის მანძილზე) და 13.5 პროცენტი (მინიმალური მაჩვენებელი ბოლო 11 წლის მანძილზე) შეადგინა. ტრადიციულად მამაკაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში, ამის მიზეზი ის არის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებლებს (შესაბამისად 41.1 და 21.9 პროცენტი). ამგვარად, კაცებთან შედარებით, ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის, ასევე დასაქმების დონე. საქსტატის ცნობით, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით აქტიურობის დონე ქალებში გაიზარდა 1.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში 0.7 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 58.9 და 78.1 პროცენტი შეადგინა. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ქალებში დასაქმების დონე გაიზარდა 1.8 პროცენტით, ხოლო კაცებში 1.0 პროცენტით და შესაბამისად 52.9 და 67.6 პროცენტი შეადგინა.

ნახაზი№3



უმუშევრობის დონის ასაკობრივ ჭრილში განხილვისას, მონაცემები გვიჩვენებს რომ 2015 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (32.0 პროცენტი), რაც 1.5 პროცენტით მაღალია წინა წელთან შედარებით.

ნახაზი № 4



უმუშევრობის დონე, ტრადიციულად, ყველაზე დაბალია 65 + ასაკობრივ ჯგუფებში. ამის მიზეზია ის, რომ 65 + საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიგებში შედიან.

ცხრილი №3-დან ჩანს, რომ უმუშევრობის დონე 2015 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა, რაც დადებითი მაჩვენებელია დასაქმების მხრივ.

ამდენად, უმუშევრობის დონეზე, მასშტაბებსა და ხანგრძლოვობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ არა მარტო შრომის ბაზრის, არამედ მთლიანად ეკონომიკის განვითარების ცალკეული პარამეტრები, რაცა ხელს შეუწყობს ისეთი ამოცანების გადაჭრას, როგორიცაა: დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებების შემუშავება; დაუსაქმებელი მოსახლეობის შრომითი მოწყობის ხელშეწყობის ღონისძიებების გატარება და უმუშევრობის დონის მინიმიზაცია; დაუსაქმებელი მოქალაქეების სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების გატარება; საბიუჯეტო და საფინასო, საგადასახადო პოლიტიკის შეფასება და კორექტირება; გადამამზადებელი ცენტრების ქსელის განვითარება და დაუსაქმებელი მოსახლეობის პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა.

საქართველოს შრომის ბაზრის თანმდევი პრობლემების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად ქვეყანაში დასაქმების მხრივ არსებული სიტუაცია, ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთ დამაბრკოლებენ ფაქტორს წარმოადგენს. ქყეყანაში შრომის ბაზრის რეგულირება და ფორმირება ხორციელდება უმუშევრობის მაღალი დონის არსებობის პარალელურად. პრობლემაა კვალიფიციური კადრების არ არსებობა, დაქირავებულთა მომზადება-გადამზადება, დასახვეწია შრომის კოდექსი. შრომის ბაზარზე შეინიშნება თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების განმაპირობებელი ფაქტორია.

უმუშევრობის დონის შემცირებისა და სიღარიბის აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეფექტურად ფუნქციონირებადი შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა. გამართულად ფუნქციონირებადი შრომის ბაზარი ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს შეამცირებს,

მოსახლეობის ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს და ეკონომიკური განვითარების გარანტი იქნება. იმისათვის, რომ შემცირდეს უმუშევრობის დონე და შრომის ბაზრის რეგულირების პოლიტიკა ეფექტურად განხორციელდეს, აუცილებელია ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია, რაც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ უმუშევრობის რეალური მასშტაბები და დონე შემდგომი რეაგირების მიზნით.

ასევე, უმუშევრობის დონის შესამცირებლად აუცილებელია ეკონომიკის იმ დარგების განვითარება და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, რომლებიც ქმნიან მეტ სამუშაო ადგილებს. დიდი როლი აკისრია კერძო სექტორის წახალისებას, ვიანიდან კერძო სექტორს გააჩნია დიდი ხვედრითი წილი დასაქმების სფეროში. მნიშვნელოვანია სახელფასო განაკვეთის შესაბამისობაში მოყვანა მომუშავის კვალიფიკაციასთან მიმართებაში და აუცილებელია, რომ ხელფასები მცირედით მაინც აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს. მიზანშეწონილია განხორციელდეს სახელმწიფო დასაქმების სამსახურის რეაბილიტაცია, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, შემწეობების გაცემა, არსებული ვაკანსიების შესახებ ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა, რაც დაეხმარება უმუშევრებს იპოვნონ მათთვის სასურველი და მათი პროფესიისათვის შესაფერისი სამსახური.

სტატიაში განხილული და გაანალიზებული საკითხებიდან გამომდინარე, საქართველოში დასაქმების პოლიტიკისა და უმუშევრობის დაძლევის გზებად შეიძლება მივიჩნიოთ: სახელმწიფო სტრუქტურებსა და მეწარმეებს შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესება; ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება; სოციალური დაცვის სისტემის რეგულირება; მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან დაახლოება; მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება; შრომითი კანონმდებლობის სრულყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. geostat.ge
2. http://new.napr.gov.ge/source/strategia/ViewFile.pdf
3. http://www.economy.ge/ge/economic-legislation
4. www.economist.ge
5. www.polity.ge

ნეოკეინსური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ძირითადი გზები საქართველოში

***კობა აბლოთია**, სტუ-ს დოქტორანტი*

Резюме

В статье передается появление Кеинсианского экономического подхода в США и остальном мире; говорится о его преимуществе и безальтернативности, а также об усилении эффективного государственного экономического вмешательство ради улучшения благосостояния Грузинского государство.

Ключевые слова: кеинсианизм, неокеинсианизм, налоговая терапия, мултипликатор, гос. Вмешательство, инфляция, занятость.

საკვანძო სიტყვები: კეინსიანიზმი, ნეოკეინსიანიზმი, „საგადასახადო თერაპია“ , მულტიპლიკატორი, სახელმწიფო ჩარევა, ინფლაცია, დასაქმება.

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა გარდაქმნილიყო მისი ეკონომიკა „სოციალისტურიდან“ საბაზროზე. ასეთი არც თეორია, მითუმეტეს მექანიზმი არ არსებობდა. ჩვენი აზრით ყველაზე გამართლებული უნდა ყოფილიყო კეინსიანური მიდგომა - იმ პირობებში თუ იქნებოდა მშვიდობა, მოხდებოდა ქონების პრივატიზება, ვალუტის შემოღება, გადასახადების მინიმიზაცია და ა.შ. 90-იან წლებში სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ამ ღონისძიებებმა, რომელსაც „საგადასახადო თერაპიას“ უწოდებენ. (ე.წ. ლაფერ-კეინსიანური სინთეზი.) დადებითი შედეგი გამოიღო, მიუხედავად მისი „შეზღუდული“ გამოყენებისა-მისი წინააღმდეგი იყო სსფ. (არგუმენტი-აშშ-ის პრეზიდენტის რეიგანის მიერ 1981 წელს „ ეკონომიკის გაჯანსაღების საგადასახადო აქტით“ შემცირებული საგადასახადო განაკვეთების შემოღების შემდეგ ბიუჯეტის დეფიციტი არ შემცირდა. თუმცა აშშ-ის და საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის შედარება გულუბრყვილობაა) გადასახადების შემცირებამ გაზარდა შემოსავალი 1997 წელს. ლუდზე გადასახადის დაწევამ 100-დან 15% მდე -შემოსავალი 26,4%-ით, ზოგი საქონლის იმპორტზე 12% გადასახადის 5%-მდე აწევამ - 34,6% შემოსავალი და სხვა. ამ მიდგომას მეტი ეფექტი ექნებოდა უფრო ფართო მასშტაბით რომ გამოეყენებინათ. აღსანიშნავია მაშინდელი მმართველი გუნდის პოლიტიკური ნება, რომლის გარეშეც არაფერი გამოვიდოდა, რაც დადასტურდა 1999-2003 წლებში, -შეიცვალა გუნდი, შედეგი გაუარესდა, რამაც გამოიწვია ვარდების რევოლუცია.

პირველად კეინსიანური მიდგომა გამოიყენა პრეზიდენტმა რუზველტმა აშშ-ში, „ დიდი დეპრესიიდან“ ქვეყნის გამოსაყვანად. უმუშევრობამ 14 მლნ-ს მიაღწია. მის აღმოსაფხვრელად, პროფ. კეინსის რჩევებით გაზარდეს სახელმწიფო ხარჯები, გაიცა იაფი კრედიტები და ა.შ. ასევე იმოქმედა მულტიპლიკატორის ეფექტმაც და შედეგად ეკონომიკა „შეინჯღრა“ და გამოცოცხლდა, უმუშევრობა შემცირდა. ომის დაწყებამ კიდევ უფრო გაზარდა სახელმწიფო ხარჯები და უმუშევრობა „მოისპო“.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რიგ ქვეყნებში საკითხი ასე დადგა: სახელმწიფო ჩარევით კი არ უნდა გამოვასწოროთ, ან შევინარჩუნოთ ეკონომიკური მდგრადობა, არამედ კიდევ უფრო განვავითაროთ იგი, ანუ გამოჩნდნენ ახალი კეინსიანელები ანუ ნეოკეინსიანელები. ნეოკეინსიანური ეკონომიკური მიდგომა მთელ მსოფლიოს მოედო.

დამარცხებულ გერმანიაში ადენაუერის მთავრობამ მარშალის გეგმის ხელშეწყობით, ენერგიული ღონისძიებების განხორციელებით, რომელიც მოსახლეობისთვის 20-20 მარკის დარიგებით დაიწყო... მიაღია იმას, რომ 1955 წელს გფრ. ევროპაში მეორე ადგილზე გავიდა წარმოების მხრივ.

ასევე დამარცხებულ იაპონიაში მთავრობის ქმედებებით მიღწეულ იქნა შთამბეჭდავი შედეგები. მათ პირველი ინვესტიციები განახორციელეს მძიმე მრეწველობაში. (შავი მეტალურგია), ხოლო 50-იანი წლების ბოლოდან მანქანათმშენებლობაში. მოგიანებით ელექტროტექნიკის წარმოებაში და ა.შ.

ნეოკეინსიანური მიდგომა განხორციელდა მრავალ ქვეყანაში სადაც ომი საერთოდ არ ყოფილა. ასეთ შემთხვევებში მთავრობები ახდენდნენ ეკონომიკის დივერსიფიკაციას და რესტრუქტურიზაციას- ხდებოდა ქვეყნის დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა. განვითარებადი ქვეყნები ჯერ ანვითარებდნენ მსუბუქ მრეწველობას, კვების მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, სანედლეულო დარგებს და ა.შ. მერე ინვესტიციების „გადამისამართება“ ხდებოდა მანქანათმშენებლობაში, ელეტრო-ტექნიკურ მრეწველობაში, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში... დროთა განმავლობაში პრიორიტეტები იცვლებოდა მაგ: ჩინეთში ჯერ პრიორიტეტული იყო სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, შემდეგ 1990-2000 წლებში პრიორიტეტული იყო მანქანათმშენებლობა, შემდეი ეტაპი ახლა ხორციელდება-პრიორიტეტულია მიკროსქემბი, კომპიუტრული ტექნოლოგიები, კოსმოსის ათვისება...

ასეთივე სიტუაცია იყო ინდოეთში, სამხ. კორეაში, სადაც რომ არა სახელმწიფოს აქტიურობა არაფერი იქნებოდა. საინვესტიციო ნაკადები იმდენად ბევრი და მძლავრი იყო, რომ სახელმწიფოს უხდებოდა კვოტების შემოღება.

ნეოკეინსიანური ეკონომიკური პოლიტიკის ევ-

როპული თვალსაჩინო მაგალითია თანამედროვე ირლანდია. 80-იან წლებში აქ მშპ 1 სულზე იყო 60%-ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ექსპორტი 10, 5 მლრდ. (50% მშპ) ინფლაცია 11%,. 1987 წლიდან სახელმწიფომ შეამცირა ბიუჯეტური ხარჯები, გამოცხადდა საგადასახადო ამნისტია... ძირითადად რეფორმები 3 მიმართულებით წარიმართა. 1) ფისკალური სტაბილიზაია. 2) ღია ვაჭრობა და ინვესტიციების მოზიდვა. 3) აქტიური სტრუქტურული რეფორმები. ყველაფერი ამის შედეგად 90-იანი წლების ბოლოს ექსპორტი გაიზარდა 81, 2 მლრდ-მდე (70% მშპ) მშპ 1 სულზე გაიზარდა 90%-მდე, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. მნიშვნელოვნად დაიწია ინფლაციამ.

ფინეთი- ამ ქვეყანაში სახელმწიფო ქმნის შიდა ინვესტიციების არაჩვეულებრივ კლიმატს-ის მთელი ინვესტიციების 90%-ია. შედეგად ვითარდება მაღალტექნოლოგიური წარმოება-ძირითადად ფიჭური კავშირი, ასევე მაღალ დონეზეა აყვანილი ტრადიციული საქმიანობა, ხე-ტყის გადამუშავბა და ა.შ.

შვედეთი- აქ სახელმწიფოს ჩარევა ყველაზე მაღალია მთელს ცივილურ მსოფლიოში. ის ამას ანხორციელებს ძირითადად ბიუჯეტის მეშვეობითრათქმაუნდა შეინიშნება ნეოკეინსიანური „ეფექტიანი მოთხოვნისა“ და დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნება, ასევე ინფლაციის შეკავება.

ზოგადად ევროკავშირის ქვეყნების მთავრობების ეკონომიკურ მიდგომაში ორი ძირითადი ასპექტია: 1) მაკრორეგულირება (საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტები) და 2) ინდუსტრიული პოლიტიკა- მიმართული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნებისაკენ.

კიდევ ერთხელ აშშ-ზე. 70-იანი წლებიდან თითქოს კეინსიანიზმი შეიცვალა „მიწოდების თეორიის“ ეკონომიკური პოლიტიკით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიდგომაში მთავარია გადასახადების დაწევა, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია კეინსიანიზმში. ის „მწარმოებელთა სტიმულირებიდან გამომდინარე იწვევს შემოსავლების ზრდას, რაც შესაბამისად იწვევს ხელფასების ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ა.შ. მოქმედებას იწყებს მულტიპლიკატორის ეფექტი, რაც იმას ნიშნავს რომ გაიზარდა ეფექტიანი მოთხოვნა, რაც უბიძგებს მწარმოებლებს წარმოების ზრდისკენ... ერთი სიტყვით „გადასახადების დაწევა“ -ეს არის 2 მოპირდაპირე მხრიდან დანახული ერთიდაიგივე მომენტი, რომელიც ამ მხარეებს აერთიანებს და გარკვეულწილად ერთი მთელის ორ შემადგენელ ნაწილს ხდის. ასე რომ აშშ-ის მთავრობა არსად არ წასულა კეინსიანური მიდგომიდან, უბრალოდ მეორე მხრიდან შეხედეს თავის ეკონომიკას. სხვათაშორის არც მონეტარული პოლიტიკა- ფულის მასის და ფულის მასით ინფლაციის რეგულირება, „მართვა“ - ესეც ზოგადად სახელმწიფო ჩარევაა, გარკვეულწილად „ მონეტარიზმი“ კეინსიანიზმის, როგორც უდიდესი მიმდინარეობის ერთ-ერთი დიდი ასპექტია, რომელიც მოგვიანებით იქნა „აღმოჩენილი“ ფრიდმანის მიერ, შეიძლება მომავალში სხვა ასპექტებიც იქნეს გამოვლენილი, მაგრამ „სახელმწიფო რეგულირებას“ ანუ კეინსიანიზმს დიდი გაგებით ვერსად ვერ გაექცევა.

ნეოკეინსიანური ეკონომიკური მიდგომების გამოყენება ხდებოდა და ხდება ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მაგ: ჩილე 70-იანი წლები, მექსიკა 80-იანი წლები. არგენტინა 90-იანი წლები.

ცალკე აღსანიშნავია პოსტკომუნისტური ქვეყნები, სადც სახელმწიფოს ჩარევა 100% იყო. რამდენადაც სახელმწიფო ცუდი მენეჯერია და სხვა მიზეზებთან ერთად აქ ფეხი მოიკიდა ნეკროეკონომიკამ, რომელიც ტვირთად აწვა ვიტაეკონომიკას- საბოლოოდ ამ ქვეყნების ეკონომიკები ჩამოიშალა. 90-იან წლებში გაჩნდა მათი საბაზრო რელსებზე გადასვლის 2 მიდგომა: „შოკური თერაპია“ და „გრადუალიზმი“. რიგი მიზეზების გამო საქართველო იძულებული იყო „ შოკური თერაპიის“ გზით წასულიყო. რაც გულიხმობს უმოკლეს ვადებში რადიკალური გარდაქმნების მაქსიმიზებას, რომელთა შორის უმთავრესი გამიზნულია უზრუნველყოს ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია.

დღევანდელ საქართველოში სახელმწიფო ჩარევა დიდია, მაგრამ საკმაოდ არაეფექტიანი, ჩარევა უნდა იყოს ოპტიმალური, ქმედითი.

ვარდების ხელისუფლების ჩარევა თითქოს ქმედითი იყო, მოხდა სახსრების მობილიზება ბიუჯეტში. (10-ჯერ გაიზარდა), დაიწია გადაახადებმა, მოხდა სტრუქტურული ცვლილებები, ინვესტირება ხდებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებში... მაგრამ იყო მრავალი შეცდომა. მაგ: წნეხი ბიზნესზე, ელიტური კორუფცია და სხვა. დღევანდელი მთავრობის პირობებში სიყუაცია სხვანაერია. ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირდა, მაგრამ არ არის წნეხი ბიზნესზე. თავიდან დაბნეულობა იგრძნობოდა, მაგრამ მათ გამოაცოცხლეს ინფრასტრუქტურული პროექტები, ავტობანების მშენებლობა, „ანაკლიის პორტი“, „ძველი თბილისი“... მოხდა არც ისე ეფექტიანი ინვესტირება სოფლის მეურნეობაში. სოციალური და ჯანდაცვის ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზრდა და ბიუჯეტის მესამედი შეადგინა. ნეგატიურ მოვლენად შეიძლება შეფასდეს „პარაზიტული დასაქმების“ მომენტი.

საბოლოოდ მთავრობის ეფექტიანი ჩარევის გარეშე საქართველო წინ ევროატლანტიკურ სივრცეში ვერ წაიწევს. ნეოკეინსიანურ ეკონომიკურ მიდგომას ალტერნატივა არ აქვს. მთავარია იყოს მთავრობის პოლიტიკური ნება, შეიკრას პროფესიონალ მმართველთა გუნდი და ეკონომიკა წინ წაიწევს. შეიქმნება სამუშაო ადგილები, დასტაბილურდება ლარი. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ პირობებში საქართველოში შეიქმნება „ საშუალო ქართველის“ მძლავრი ფენა და საერთოდ გაძლიერდება „მეპატრონეთა“ მდგომარეობა, რომელიც პერსპექტივაში ქვეყანას უპატრონებენ და წინ წაიყვანენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ. 1997წ.

2. ასათიანი რ. საქართველოს ფინანსური კრიზისი და ტრანზიტული პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირება. თბ. 2005 წ.

3. კაკულია მ. ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში: პოლიტ-ეკონომიკური ასპექტი ექსპერტის აზრი, N9, თბ. საქ. სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2013წ.

4.პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკა თბ. 2011წ.

5. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა თბ. 2015წ.

6.Papava V. Georgia's Macroeconomic Situation before and after the rose revolution N4. 2005w.

7.Скидельский Р. Кеинс: возвращение мейера Москва: 000 Юнаитед Прессю. 2011w.

8.Худокормов А. Фетисов Г. мировая экономическая мысль: сквозь призму веков.

სექცია 2. ეკონომიკის სექტორების განვითარების თანამედროვე პრობლემები

Section 2. The Modern Problems of the Economic Sectors Development

ბასაია სიჭინავა პირველი ევროპული ორიენტაციის ქართველი კაპიტალისტი

ალექსანდრე სიჭინავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

BASAIA SICHINAVA[1] THE FIRST EUROPEAN ORIENTATION GEORGIAN CAPITALIST

Alexander Sichinava

Summary

The present work considers one of the most complex in the history of capitalism of Georgia; it analyzes the specifics of feudal Georgia's transition to capitalism and developmental stages of production forces, which help the establishment of the local capitalist factories and the Georgian's participation in this business.

The work considers the establishment of silk production factories in Georgia, what was promoted by the Great Silk Road running throught the territory of Georgia; the foundation of one of the first Georgian silk factoris by B.K.Sichinava in 1872, his contacts with France and his aspiration towards Europe are analyzed. The work also considers Ilia Chavchavadze's devoted struggle to establish the class of local Georgian capitalists. The role the foreign investments have played in the development of Georgian economy from the XIX century to date is put forward.

Keywords: Silk Road, silk factory, the first of the capitalist, European orientation.

საკვანძო სიტყვები: აბრეშუმის გზა, აბრეშუმის ქარხანა, პირველი ქართველი კაპიტალისტი, ევროპული ორიენტაცია.

* * * * *

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით ინვესტორებისათვის ყოველთვის მიმზიდველი ქვეყანა იყო. მასზე გადიოდა აბრეშუმის დიდი გზა, რამაც ხელი შეუწყო, საქართველო თვითონ გამხდარიყო აბრეშუმის მწარმოებელი ქვეყანა.

XIX —ე საუკუნის საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის გზით კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების საკითხები უმნიშვნელოვანესი საკვლევი პრობლემაა. ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველოში განვითარებას იწყებდა საბაზრო ეკონომიკა. იგი შედიოდა ახალ ეკონომიკურ ფორმაციაში, მიმდინარეობდა ხელოსნურ—კუსტარული და მანუფაქტურული სახელოსნოებიდან დიდი ფაბრიკების გამოყოფა, რომელიც საფუძველს უყრიდა კაპიტალიზმის განვითარებას. თუმცა ეს პროცესი ევროპის უმრავლეს ქვეყანაში უკვე დამთავრებული იყო, დასრულებული იყო სამრეწველო რევოლუციები.

ფოთი—თბილისის რკინიგზის მშენებლობამ ხელი შეუწყო სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას. ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს ეკონომიკის განვითარების ახალი ეპოქა. ფაბრიკულ—საქარხნო კაპიტალიზმის განვითარებას სწორედ XIX საუკუნის 70—იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. 1860 წელს ზუგდიდის მაზრის (ამჟამად ჩხოროწყუს რაიონის) სოფ.ლესიჭინეში[2] აშენდა აბრეშუმის ძაფსართავი ქარხანა, რომლის მეპატრონე იყო ბ.კ.სიჭინავა. 1870 წელს თბილისში აშენდა მაუდკამვოლის ქარხანა, რომლის მეპატრონე იყო ადგილობრივი კაპიტალისტი — მირზოევი. იმავე წელს თბილისში დაარსდა მექანიკური ქარხანა „რუკსა“, 1875 წელს — ადელხ-

1 სიჭინავას გვარი მოძიებულ ქართულ წყაროებში მოიხსენიებოდა 1661—1680 წლებში. ისინი მოიხსენიებიან ბეგარის გადახდის წიგნში. მაგ.

1) ბაბა კოჩი სიჭინავა — ხელოსანმა (გადაიხადა) — ოცი;
2) გემაბია სიჭინავა — თხუთმეტი;
3) გაჯინედი სიჭინავა — თხუთმეტი;
4) გვიგვიმ სიჭინავა — თხუთმეტი;
5) სიჭინავა კოჩიორე „მეხადილუ“ — თხუთმეტი

თუ 1661 წელს ბაბა კოჩი სიჭინავა იყო ხელოსანი და ბეგარის გადამხდელი, მაშინ გვარი სიჭინავა დიდი ხნის წინ (500—600 წლის წინ) წარმოშობილი უნდა ყოფილიყო. ცნობილ ხელოსნად ჩამოყალიბებას დიდი დრო დასჭირდებოდა.

„ბაბა კოჩი“ მეგრულად წინამძღოლს, თავკაცს ნიშნავს. შესაძლოა „ბაბა კოჩი“ ხელოსნების „უსტაბაშსაც“ ნიშნავდეს.

ექვთიმე თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენში“ ასეთი ჩანაწერია — ბიას კოჩიორე სიჭინავა —მეხადილუ (სოფ. ბია ხობის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის), სამი ღოლარიკი სანთელი“.

მეხადილუ — გიორგი კალანდიას —„ოდიშის საეპისკოპოები“— სტატიაში სიტყვა „მეხადულს“ განმარტავს შემდეგნაირად — კუამლის გლეხი დაურვოს საყდარსა ....ათასი ბოტანიტელი დაეურვოს.... აგრეთვე ჭურიას და ცუს შუა ტყე და ყოვლადწმინდისა არის.

(იხ.ექვთიმე თაყაიშვილი „საქართველოს სიძველენის“ I, II, III წიგნების პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები (შემდგენელი ი.დავლანიძე). გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი — 1970. გვ.36;53;55.

2 Г.К.Бакрадзе. Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке. Тбилиси,1958. стр. 28,29,47.

ანოვის ტყავის ქარხანა და სხვა. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ამიერკავკასიაში XIX საუკუნის 50—იანი წლების დასაწყისში ყოველწ;იურად იწარმოებოდა 30 000 ფუთი აბრეშუმი. აქედან — დაახლოებით 20 000 ფუთი გაჰქონდათ რუსეთში, რაც წარმოებული აბრეშუმის 66,7%—ს შეადგენდა.

XIX საუკუნის 40—იანი წლების მეორე ნახევარში ზუგდიდში ფრანგმა ინვესტორმა რაზმორდიუკმა გახსნა აბრეშუმის ძაფსართავი საწარმო, სადაც 12 კაცი მუშაობდა. დანადგარები ამ საწარმოსთვის ჩამოტანილ იქნა საფრანგეთიდან (ფრანგული ინვესტიცია). თვითონ საწარმო განთავსებული იყო სამეგრელოს მთავრის — დადიანის ზამთრის სასახლეში. წარმოება მუშაობდა რენტაბელურად და უშვებდა მაღალხარისხიან პროდუქციას. 1852 წელს ზუგდიდის ამ საწარმოს აბრეშუმმა მოსკოვის გამოფენაზე საპატიო ადგილი დაიკავა.

XIX საუკუნის 50—იან წლებში სოფ.მარანში, სამეგრელოსა და იმერეთის გასაყარზე, მეაბრეშუმე ნ.ა.რაიკომ გახსნა ძაფსართავი, სადაც 9 დაზგა და 9 აბრეშუმის გამოსახარში ქვაბი მუშაობდა.

XIX საუკუნის 50—იანი წლების ბოლოს უცხოელმა ვაჭარმა ინვესტორმა გოხშტრაზერმა ორპირში გახსნა აბრეშუმის ძაფსართავი საწარმო, რომელშიც მუშაობდა ორთქლის მანქანები. ქ. ზუგდიდში ორთქლის ძრავებზე მუშაობდა აგრეთვე აბრეშუმის ძაფსართავი ქარხანა, ანიევის აბრეშუმის ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო 20 მუშა, და უშვებდა 1500 რუბლის პროდუქციას წელიწადში.

1860 წელს ქართველმა ვაჭარმა ბ.კ.სიჭინავამ ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის (ამჟამად ჩხოროწყუს რაიონი) სოფ.ლესიჭინეში გახსნა აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკა. სოფ.ლესიჭინე უძველესი დროიდან ითვლებოდა აბრეშუმის წარმოების მნიშვნელოვან პუნქტად. იგი მდებარეობს შუა სამეგრელოს გზაზე, რომელიც ქუთაისსა და ზუგდიდს შორის გზას 70 კილომეტრით ამოკლებს. ბ.კ.სიჭინავაბ 60—იან წლებამდე დაიწყო აბრეშუმის პარკის შესყიდვა, მისი გადაყიდვისა და მოგების მიღების მიზნით, მაგრამ შემდეგ — 1860 წელს თვითონ დააარსა აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკა და მიმოქცევის სფეროდან გადავიდა წარმოების სფეროში. ბ.კ. სიჭინავას ფაბრიკაში მუშაობდა 40 დაზგა, მაგრამ ისინი უბრალო იყო — მოძრაობაში ხელით შედიოდა. აქედან ნათელია, რომ ამ პერიოდისათვის ბ.კ.სიჭინავას საწარმოს ჰქონდა მანუფაქტურის ფორმა. ამ საწარმომ იარსება 1865 წლამდე, ე.ი. აბრეშუმის წარმოებაში კრიზისის დადგომამდე. აბრეშუმის პარკის წარმოებაში კრიზისმა და მოუსავლიანობამ საწარმოს დახურვა გამოიწვია.

1872 წელს იმავე სოფ.ლესიჭინეში ბ.კ.სიჭინავამ ხელახლა ააშენა აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკა. 1885 წლების უწყებების მიხედვით მას ჰქონდა 32 ძაფსართავი, 4 ღუმელი, 32 დაზგა, რომლებიც მოძრაობაში ორთქლის მანქანებით შედიოდა. ფაბრიკაში მუშაობდა 1 ორთქლის მანქანა, რომელსაც 4 ცხენის ძალა ჰქონდა, ასევე — 8 ორთქლის ქვაბი, მუშათა რიცხვი 66—ს აღწევდა. იგი აწარმოებდა 100 ფუთ აბრეშუმის პარკს, რომელიც 3000 რუბლი ღირდა; რთავდა აბრეშუმის ძაფს — 30 ფუთის ოდენობით, რომელიც 7200 რუბლი ღირდა; სულ აწარმოებდა 130 ფუთს — წელიწადში 10200 რუბლის ღირებულების პროდუქციას. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ ფასებს, ეს უზარმაზარი შემოსავალი იყო.

ბ. კ. სიჭინავას საწარმო დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი მუშახელით. იგი აბრეშუმის პარკის საწარმოებლად, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად იყენებდა თუთის ფოთლებს, რითაც სოფლის მეურნეობაში ახალ სამუშაო ადგილებს ქმნიდა და მჭიდროდ აკავშირებდა მუშათა და გლეხთა კლასს.

ბ.კ.სიჭინავა იყო ევროპული ორიენტაციის პირველი ქართველი კაპიტალისტი[3]. ამიტომ იგი,, ფოთის პორტის მეშვეობით, პროდუქციის რეალიზაციას ახდენდა საფრანგეთის ქალაქებში ლიონსა და მარსელში, იქიდან კი — შემოჰქონდა წარმოებისათვის საჭირო სხვადასხვა დანადგარი, აგრეთვე — მარსელის კრამიტი და აგური, რომელიც ამ დროს ძალიან ფასობდა.

ბ. კ. სიჭინავას წარმოება წარმოდგენილი იყო, როგორც ქარხანა, რაც მაშინდელ საქართველოში იშვიათობა იყო. მან, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილის გამო, იმპერატორისგან აზნაურის წოდება მიიღო. სიჭინავას გვარში იგი ერთადერთი აზნაური იყო.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საქმეში ბ. კ. სიჭინავას დამსახურება ისაა, რომ მან შეძლო ადგილობრივი კაპიტალის გამოყენება ქარხნის შესაქმნელად, დაასაქმა ადგილობრივი მუშახელი და მაშინდელ საქართველოს გზა ევროპისაკენ გაუკვალა. იგი ხედავდა, რა შეიძლებოდა მოყოლოდა რუსული კაპიტალის მძლავრ შემოდინებას საქართველოში, ანუ მან XIX საუკუნის 60—იან წლებში დღევანდელი სინამდვილის დანახვა შეძლო.

ბ. კ. სიჭინავას აბრეშუმის ქარხანა XIX საუკუნის 80—იან წლებამდე ფუნქციონირებდა, რაც გამოწვეული იყო მძიმე ფინანსური მდგომარეობით. იგი 1893 წელს დაიხურა, შემდეგ დაუდგენელ ვითარებაში გადაწვეს (ამბობენ მეფის მიერ სოფ.ლესიჭინეში გადმოსახლებულმა მიხა ცხაკაიამ გადაწვაო.)

საკუთარი კაპიტალით მომუშავე კაპიტალისტებს მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძე. იგი მსხვილი უცხოური კაპიტალის შემოდინებას ეწინააღმდეგებოდა, რათა ახლად ფეხადგმული ქართული კაპიტალიზმი და მასში მონაწილე ქართული საწარმოები არ განადგურებულიყო. ამის ნათელი მაგალითია ილია ჭავჭავაძის გალაშქრება უცხოელი კაპიტალისტის მიუსერის წინააღმდეგ. მიუსერმა მოინდომა 2,5 მლნ რუბლის ჩადება ღვინის წარმოებაში, იმის

3 ვერ დავეთნხმები ცნობილ მეცნიერს ბატონ ლოიდ ქარჩავას, რომ პირველი ქართველი კაპიტალისტი იყო აკაკი ხოშტარია, რადგანაც 1872 წელს აკაკი ხოშტარიას დაბადებამდე ერთი წლით ადრე ბასაია სიჭინავას აბრეშუმის ქარხანა პროდუქციას უშვებდა. (იხ. ლოიდ ქარჩავა, გამოჩენილ ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან (ბიზნესის გარშემო, წიგნი პირველი). გამომცემლობა „ლოი“, თბილისი. 2006, გვ.201.

შიშით, რომ ადგილობრივი მემამულე—მეღვინეები არ გაკოტრებულიყვნენ, ამ პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა ი.ჭავჭავაძე. იგი ხვდებოდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ თანხის ჩადება საქართველოს ეკონომიკაში, მაგრამ ეროვნული ინტერესებიდან, ადგილობრივი კაპიტალის სწრაფი ზრდიდან გამომდინარე, შეძლო მიუსერის პროექტის უარყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე.თაყაიშვილი. „საქართველოს სიძველენი“ I, II, III წიგნების პირთა და გეოგრფიულ სახელთა საძიებლები (შემდგენელი ი.დავლიანიძე. გამომცემლობა „მეცნიერება, თბ.,1970.
2. ლ.ქარჩავა. გამოჩენილ ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან (ბიზნესის გარშემო, წიგნი პირველი). გამომცემლობა „ლოი“, თბილისი. 2006.
3. Г.К.Бакрадзе. Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке. Тбилиси,1958.

A Study for Improving the Performance of Savonius WindBlades

Yılmaz AKGÜNEY, *Assistant Professor,*
Department of Energy Systems Engineering,
Ereğli Faculty of Engineering and Natural Sciences,
Necmettin Erbakan University

Summary

Wind energy is clean, cheap and inexhaustible source of energy. It is used to meet the energy needs of developing various types of wind turbines. This study is intended to improve the aerodynamic performance of the Savonius wind rotor.Here, a review of existing Savonius wind rotors. They can raise the aerodynamic performance of a design is made by performing experimental applications. In this embodiment, negative torque acting on the convex side opposite to the wind direction, were reduced to a minimum. To improve the performance of conventional Savonius wind rotors, it is used a plurality of swinging blades and a rocking motion.Normal and aerodynamic performance increased two and three-bladed design is compared experimentally. Performance increased aerodynamic wind rotors, it is seen that the higher moments of the classic Savonius wind rotors.Savonius according to this study in order to improve the performance of wind rotor, it was concluded to be a good practice in order to take better advantage of wind energy. Thus, the applications offered here as promising, will contribute to the economy and it is understood that it will increase in the use of space.

Keywords: Wind energy, savonius wind rotor, rotor performance, swinging blades.

1. INTRODUCTION

World energy needs for many years has been met by fossil fuels.This fuels more expensive day by day has decreased and increased negative effects on human health. Therefore clean, cheap and increased interest in renewable energy sources. Renewable energy sources, be clean, available in every geography and noteworthy for reasons to be sustainable.

One of the renewable energy resources is wind energy.This energy is clean, cheap and inexhaustible energy source. At the same time environmentally friendly source of energy.Wind turbines, each day is a little more developed, to increase power and are cheaper. These reasons are designed for various wind turbines are produced and applied.

Accordingtoothers, the Savoniuswindrotorstherearetoomanyadvantages. Thesecomprise: a-Constructionsaresimple, b-It is cheap, c-It can operate at lowerwindspeeds, d-Directionchangingmechanism is not needed. ThisstudywasconductedSavoniuswhoexcels in manyways in ordertoincreasetheperformance of thewind rotor. Aerodynamicperformance of Savoniuswind rotor has triedto be upgraded. Inthisstudy, thetwodifferentlydesignedSavoniuswindrotors, madestudiestoimprovethe rotor performance is disclosed. Thesystem has beenexperimentallyinvestigatedandtheresultsaregiven.

2. PERFORMANCE OF WIND TURBINES

The development of wind energy systems and studies to achieve higher efficiency of the wind motor is continued. Therefore designs are developed and used in various wind rotor.



Figure 1. Coefficient of performance (efficiency) of windrotors of variousdesigns [6].

Overall power performance of wind turbine is shown in Figure 1 [6]. 1-2-3 blade seems to be high on the horizontal axis turbine rotor performance. In addition, the performance of the Savonius rotor is relatively low. Wind speed depending on the rotor diameter and swept area are two important factors. These are two important parameters affecting the performance of the wind turbine is. Wind speed increases, the speed of the cube, and in direct proportion to the area of the impeller will increase the wind power.

Expression is defined as follows to ensure maximum wind energy [4, 5]. $P_{max} = \frac{8}{27}\rho S V_0^3$ (1)	This energy benefit from a particular portion of the rotor. $T = \frac{1}{2}\rho S V_0^3$ (2)	(1 and 2) expression of, $\frac{P_{max}}{T} = \frac{16}{27} = 0.5926$ (3) Betz Limit is obtained.
Performance of wind turbine is determined by the torque and power coefficients.	Power coefficient, $C_p = \frac{P}{\frac{1}{2}\rho S V_0^3} = \frac{2P}{\pi\rho R^2 V_0^3}$ (4)	Moment coefficient, $C_m = \frac{M}{\frac{1}{2}\rho S V_0^2 R} = \frac{2M}{\pi\rho R^3 V_0^3}$ (5)
The coefficient of performance of the wind wheel varies as a function of the peripheral rotational speed of the rotor. The blade tip speed ratio is given by the following equation.		$\lambda_0 = \frac{u}{V_0} = \frac{2\pi R n}{60 V_0}$ (6)
Rotor (blade) tip speed ratio (λ) =Wind speed /Rotor blade (peripheral rotation) tip speed.		
Swept area, (S) = (2 d – e)h It is expressed as. The optimum power value after using this value is obtained as follows [5]. $P_{opt} = \frac{2}{27}\rho c_1 (2d - e) H V^3$ (7)		

3.UPGRADING THE PERFORMANCE OF WIND ROTOR SAVONIUS

Vertical axis wind wheel Savonius wind rotors which was discovered in 1925 by S. Savonius (Figure 2a, b).

These rotors, arranged between the two horizontal disc is composed of two semi-cylindrical geometric and shifted.



Figure 2.Savonius wind rotors model and parameters[5, 9].

According to the working principle of this engine; positive and negative torques occur in the outer portion of the inside of the half cylinder forming the wheel under the influence of wind energy.Positive moment of the inner core is formed on the outside of large skin negative moments. Thus, rotational movement of the positive torque direction is provided. Savoniusrotor in order to improve the performance of many studies have been made. Slip amount (e) was determined to be about 10% of optimum values[2]. Savonius moment that occurs in the opposite direction to the direction of rotation of the wind motor is tried to be eliminated. Savonius design attracts attention both to improve the aerodynamic performance of wind rotor. One of them pardela the Savonius wind rotor and the other swinging hinged vane rotors are Savonius wind.

3.1. CURTAIN WIND ROTOR OF THE SAVONIUS

In this embodiment, the rotor around, changing direction depending on the wind direction and preventing the negative torque in the negative direction of the wind screen on (Figure 2d). This design also improves the efficiency of the rotor and power as the wind speed increases.With this curtain, the wind swept area will be less than the input. So that the rotor speed will increase and it will increase as power is connected to a proportional manner.A design is provided for reducing the moment that a convex surface in Figure 2d.Thus, low aerodynamic efficiency of the Savonius wind motor is increased.

3.2. SWINGING BLADES WINDSAVONIUS ROTORS.

Savonius wind has made significant efforts to improve the aerodynamic performance of the rotor. significant improvements in increasing their power and torque performance is obtained. Savonius experimental studies using hinged and swinging in the wind rotor vane wheel is made. The performance of Savonius wind rotor in this study, developed with movable blades [7, 10] (Figure 3a).Savonius wind rotor on tiny blades next to the swinging blades are made using an experimental study in. In this study, the free motion of the rocking side result has been tried to eliminate the negative resistance when a convex side[1] (Figure 3b). To improve the work efficiency of the Savonius wind rotor as shown in Figure 3c is disposed a plurality of fins instead of arcuate portions of the wind rotor [3, 11]. The small blades are working to reduce the negative pressure by opening the convex surface.Small blades, concave surface that will automatically shut down again fulfill its normal function.The very low-end velocity ratio, the conventional Savonius wind vane rotor of the piece according to records obtained higher torques are given below[3].Swinging the piece bladed wind rotor shown in biogas production can be used for mixing[12].



Figure 3. Plan view of the modified Savonius-rotors, each of diameter 580 mm and verticalaxis height dimension 450 mm [1, 3, 7, 10, 11]



Figure 4.Hinged and swinging blade Savonius wind blade rotors.





Figure 5. Two and three winged classical and moving slatted Savonius wind rotor.[12].

Figures 3b and c, was determined by us to be a negative impact on the design of the slated blade Savonius rotor. This problem is met with a negative change in the position of the strips during forming the rotor slatted-blade.This error is shown in Figure 4.Slatted-bladeautomatically open and free state, with wind speeds are entered into the normal position. Slatted-blade in the position in Figure 4b, then B cannot receive the sash position seen in Figure 4c. Hence, by changing the swinging hinge position and the position of the vertical slats, a new design has been developed by us. (Figure 4d, e, f) [12]. This design has been shown how to integrate into a biogas reactor system stirring.This design is given in Figure 5. In this study, some experimental results are discussed with the development of this design.

4. EXPERIMENTAL STUDIES

In this study, the performance of two and three-bladed wind classic and moving slatted Savonius rotor has been investigated experimentally. A wind tunnel laboratory for experiments in our faculty has created.Wind experiments were performed on the test device placed at the outlet of the tunnel.The experimental setup is given in Figure 6.



Figure 6. Experimental setup.

1-Digital torque meter.
2-Pulleys and ropes.
3-Rotor shaft of 25 mm.
4-Rotor shaft bearing.
5-Interchangeable weights.
6-Metal construction with the experimental system.
7-Savonius wind rotor 0.90x 0.96 m in size. This is two and three-bladed rotors. These are the classic two-and three-bladed hinged swinging slatted blades.0.40mm diameter 3 fans are used. The wind rotor before entering the air, the wind speed is measured in one convenient place. To measure rotor performance, mechanical torque (torque) measurement device is available.Static and dynamic torque values were measured at different parameters.

Table 1.Dynamic torque test results.

Two-bladed classic Savonius wind rotor. Moment (Nm)	Two-bladed aerodynamic Savonius wind rotor. Moment (Nm)	Three-bladed classic Savonius wind rotor. Moment (Nm)	Three-bladed aerodynamics Savonius-wind rotor. Moment (Nm)
6.04	7.44	6.72	8.02
8.36	10.32	8.94	11.10
11.24	14.02	11.82	14.06
13.14	16.34	13.79	17.11
16.15	19.02	17.46	21.42
20.14	26.17	22.03	26.94
24.23	30.18	25.78	32.22
29.21	36.42	31.08	37.91
32.98	41.55	33.64	41.63
37.64	46.29	39.06	48.02

5. RESULTS AND DISCUSSION

Wind turbines; increasing power has an important place because of business potential and low environmental impact.The development of wind energy systems and research for higher efficiency in operation of the wind rotor is continued. Therefore, it is used a lot by developing different types of wind wheel designs.Although many benefits over other wind rotor, the performance of Savonius wind rotor is very low. Because of the positive and the exterior of a half cylinder that forms the inside of the impeller due to the wind blowing at a certain speed occurs when a negative torque. Therefore, this poor performance is due, stems from the lack of streamlining.

Savonius wind is not preferred due to their low power and duty blade provided rotor.Savonius work we have done to improve the performance of wind rotor is described here. In this study performed in Savonius design it was applied to intact original geometric shape of the wind rotor. The major difference here is to try to eliminate the moment of the negative direction.

Compared to the results obtained in this study, the aerodynamic Savonius wind rotor according to the conventional Savonius wind rotor were found to be more efficient.This yield is approximately 25%.Air leak is present in the aerodynamic rotor blades.When this leak taken into consideration, it is understood that a higher yield aerodynamic rotor. These air leaks can be minimized with proper design.Also moving blades in the aerodynamic design constitutes noise. This noise can be reduced at least by appropriate structures. Perform the opening and closing events of the flaps forming the aerodynamic rotor at high air speed is difficult.

In this study, Savonius wind rotor aerodynamic blades is applied. This practice, although common, if not two, and applying a multi-bladed Savonius streamlined and movable flaps hinged to the wind rotor results should be examined.

Work should be done on different rotor sizes. The effect on the rotor performance, the performance of different geometric changes should be investigated.In addition, effects on performance by changing rotor materials can be examined.The work on this subject is very small. This work should be tested in a real environment.

Here, because of the constant opening and closing of the blades will occur wear on moving parts. This problem can be solved with a good draft. Which does not pose an additional burden on the system, which is cheap and easy to use performance-enhancing work that has been shown to be available so comfortable. Savonius wind, especially in the aerodynamic performance of the rotor so that the increase with lower wind speeds can be achieved good success.Every success will be achieved in this regard, it will provide a positive and significant contribution to the economy.

6. REFERENCES

1. Tabassum, S. A.,Probert, S. D., "Vertical-AxisWindTurbine: A Modified Design, AppliedEnergy",Vol. 28, pp. 59-67, 1987.
2. Modi, V. J.,Fernando, M. S. U. K., "On ThePerformance of TheSavoniusWindTurbine", Journal of Solar EnergyEngineering, Vol. 111, pp. 71-81, 1989.
3. Reupke, P.,Probert, S. D., "Slatted-BladeSavoniusWind-Rotors", AppliedEnergy, Vol. 40, pp. 65-75, 1991.
4. Altan, B. D., "Screening Method of Analysis of the Performance of Savonius Wind Wheel", PhD Thesis, Pamukkale University, Institute of Science and Technology, 2006.
5. Altan, B. D., Atılgan, M., "A Study on IncreasingThePerformance of SavoniusWindRotors", Journal of MechanicalScienceandTechnology, Vol. 26 (5), pp. 1493-1499, 2012.
6. Hau, E., "WindTurbines", 2nd ed., Figure 5.10, page 101, 2006.
7. Aldoss, T. K.,Najjar, Y. S. H., "Further Development of theSwinging-BladeSavonius Rotor", WindEngineering, Vol. 9, No. 3, 1985.
8. Akgüney, Y.,"Experimental and Applied Investigation of Solar-Assisted a Portable Biogas Reactor System", Necmettin Erbakan University, Scientific research projects coordinator, No. 161226003, project continues, 2016.
9. Deda, B., "Savonius Wind Energy and Improving the Performance of Savonius Wind Rotor", M.Sc., Pamukkale University, Institute of Science and Technology, 2000.
10. Aldos, T. K., "Savonius Rotor Using Swinging Blades as an Augmentation System", Wind Engineering, Vol. 8, No. 4,pp. 214-220, 1984.
11. Covell, D, J, R., "Wind Pump Development", MSc Thesis, CranfieldInstute of Technology, UK, 1988.
12. Akgüney, Y.A., "IntegratedWindEnergy Design ForMixingTheBiogasReactor", Intellectual Technologies in MechanicalEngineering, International Scientific-Technical Conference, 28-30 September, Baku, Azerbaijan, 2016.

Влияние генотипа гена каппа-казеина на технологические свойства молока коров симментальской породы

Бексеитов Т. К., Доктор сельскохозяйственных наук, профессор
Кайниденов Н. Н. *Магистр технических наук*
Павлодарский государственный университет имени С. Торайгырова

Summary

Nowadays, with the development of molecular genetics and molecular biology, an identification of genes has become possible that are directly related to milk productivity of animals. An identification of preferred genes from the viewpoint of selection allows a selection at the level of DNA technologies, that is by a genotype, in addition to the traditional selection of animals. The attention of researchers have recently been attracted by a gene locus of the major milk proteins – kappa-casein (CSN3). According to the research it was found out that cow's milk containing B-allele of kappa-casein had the best technological properties, contained more protein and coagulated in a shorter time, which made it possible to get a better quality cheese. The lack of kappa-casein fraction results in degradation of milk coagulation, formation of a flabby bunch, reduction of the quality and volume of a product produced.

* * * * *

Достижения хороших результатов по улучшению состава и качества молока обеспечивается решением комплекса проблем. Это учет наследственных факторов, внедрение новых технических средств в производство молока, эффективных приемов доения, повышение квалификации работников и систематический контроль состояния здоровья животных и условий их содержания.

За последнее время появилось много работ, и стали известны интересные данные по вопросу улучшения качества молока селекционными методами. Огромное влияние генотип оказывает на технологические свойства молока. Заинтересованность перерабатывающих предприятий молочной промышленности в закупе качественного сырья для производства продукции вызвала потребность в привлечении современных молекулярно-генетических методов диагностики в животноводство для улучшения технологических свойств молока. В странах, где очень хорошо развито молочное скотоводство в селекции внедряются достижения биотехнологии, например, тестирование животных, особенно, ценных племенных по генам, контролирующим синтез белков молока. Преимущество ДНК-технологий заключается в том, что позволяет определить генотип животного независимо от пола, возраста, физиологического состояния особей, что является важнейшим фактором в селекционно-племенной работе.

Внимание ученых в настоящее время привлекает локус гена одного из основных молочных белков – каппа-казеина (CSN3). По данным зарубежных исследователей, В-аллель гена каппа-казеина ассоциирован с более высоким содержанием белка в молоке, высоким выходом творога и сыра, а также лучшими коагуляционными свойствами молока [1]. Опыт многих стран свидетельствует об использовании в скотоводстве генетических маркеров, связанных с качественными признаками молочной продуктивности, одним из таких маркеров является ген каппа-казеина, как один из генов, связанных однозначно с признаками белковомолочности и технологическими свойствами молока [2].

Генотип особей в стаде по каппа-казеину может служить дополнительным критерием при отборе животных. Использование особей без учета их генотипа приводит к снижению частоты встречаемости в стаде желательных генотипов и снижению качества сборного молока.

Практика показывает, что высококачественные твердые сыры могут быть изготовлены только из молока коров, имеющих генотип ВВ каппа-казеина. Казеин – один из основных белков молока, на который действует сычужный фермент, вызывая его свертывание. Процесс производства высококачественного сыра возможен лишь при условии, что молоко, направляемое на их выработку является сыропригодным, т.е. способно образовывать плотный казеиновый сгусток под действием сычужного фермента [3].

Цель исследований – определить генотип каппа-казеина у коров симментальской породы и изучить его влияние на технологические свойства молока.

Материал и методика исследований. Исследования проводились на стаде крупного рогатого скота симментальской породы ТОО «Галицкое» Успенского района Павлодарской области и для оценки по локусу гена каппа-казеина были отобраны 103 коровы от которых были взяты пробы крови и проведен ПЦР-ПДРФ анализ.

Частоту встречаемости генотипов определяли по формуле:

$$p = \frac{n}{N},$$

, где

p – частота определения генотипа;

n – количество особей, имеющих определенный генотип;

N – общее количество особей.

Частоту отдельных аллей определяли по формуле Е. К. Меркурьевой, по закону Харди-Вайнберга рассчитывали ожидаемые результаты частот генотипов в исследуемой популяции [4,5].

Для определения химико-технологических свойств молока использовали анализатор качества молока Лактан-1.4. Для определения сыропригодности молока использовали сычужную пробу (ГОСТ 32260–2013).

Результаты исследований. В результате проведенных исследований симментальского скота по гену каппа-казеина нами получены следующие результаты: так, из 103 коров 28 (27,2%) имели генотип АА, 50 (48,5%) – генотип АВ и 25 (24,3%) – генотип ВВ. При этом частота аллеля А составила 0,51, а аллеля В – 0,49. Критерий достоверности Хи квадрат составил 0,06. Это говорит о достоверности проведенных исследований.

В хозяйстве было отобрано по 5 коров каждого генотипа, от них взято по 2 литра молока. После доставки молока из хозяйства в течение 10 часов были определены основные параметры молока коров с разными генотипами. Данные представлены в таблице 1.

Таблица 1 – Основные технологические показатели молока коров с разными генотипами каппа-казеина

Показатель	Генотип		
	АА (n=5)	АВ (n=5)	ВВ (n=5)
Количество молока, л	10	10	10
Жир, %	3,92	3,76	3,70
Белок, %	3,28	3,28	3,30
СОМО	8,66	8,44	8,76
Плотность, г/см^3	30,20	29,40	30,04
Соматические клетки, тыс/см^3	296,5	167,0	282,5
Температура поступления молока, ^{o}С	10	10	10
Температура пастеризации, ^{o}С	65	65	65
Продолжительность выдержки, мин	10	10	10
Температура охлаждения молока, ^{o}С	33,8	34	33,7

При этом обращаем внимание на два показателя – содержание жира и белка в сыром молоке. От коров с генотипом ВВ оно содержит меньше жира на 0,22 %, чем с генотипом АА и на 0,06 %, чем с АВ. Лучшее соотношение жира и белка отмечено также у коров с генотипом ВВ. По содержанию белка преимущество имеют коровы с генотипом ВВ. В то же время, по СОМО, плотности, соматическим клеткам, молоко не имело различий.

Одним из основных показателей пригодности молока для производства сыра является его способность коагулировать под действием сычужного фермента с образованием нормальной плотности сгустка.

Сравнительная оценка сыропригодности молока коров симментальской породы представлена в таблице 2.

Таблица 2 – Характеристика сыропригодности молока коров симментальской породы с различными генотипами гена каппа-казеина

Показатель	Генотип		
	АА (n=5)	АВ (n=5)	ВВ (n=5)
Фаза коагуляции, мин	3,51 ± 0,09	3,27±0,07	3,18±0,16
Общая продолжительность	6,84±0,21	6,24±0,16	6,27±0,21
Объем выделившейся сыворотки, мл	0,92±0,03	0,90±0,02	0,91±0,03

Сравнительная оценка молока коров стада с разными генотипами показала, что по объёму выделившейся сыворотки молоко практически не отличалось (0,90–0,92 мл). В то же время фаза коагуляции молока была несколько длиннее у коров с генотипом АА – 3,51, против 3,18 мин животных с генотипом ВВ. Соответственно удлинилась и общая продолжительность свёртывания молока коров с генотипом АА на 0,57 мин в сравнении с генотипом ВВ.

В варианте молока коров с генотипом АА гена каппа-казеина сгусток был удовлетворительный, плотный, но слишком нежный, даже легкий, слегка всплыл (аналогично с творожным сгустком). В варианте с генотипом АВ – сгусток хороший, в меру плотный, почти не всплыл. Лучший сгусток был получен из молока коров с генотипом ВВ – плотный, на расколе давал острые края с выделением прозрачной сыворотки.

Из молока коров с разными генотипами в лабораторных условиях через 15 часов (с учетом времени затраченного на доставку молока из хозяйства) был приготовлен сыр с использованием сычужного фермента, при внесении которого молоко свёртывалось в течение часа при температуре 38–40 градусов. После этого сгустки резали на отдельные кусочки и затем ещё при этой же температуре варили до момента, когда кусочки станут твёрдыми на ощупь с острыми краями при разломе. Условия приготовления сыра были одинаковы. Затем сгустки отжимали через 2 слоя марли и ставили под гнёт на 24 ч. По истечении этого времени сыр был готов к употреблению. В то же время отмечено, что на качество готового продукта и технологический процесс выработки натурального полутвёрдого сычужного сыра негативное влияние оказало повышенное содержание жира.



Рисунок 1 – Сыр из молока коров с различными генотипами гена каппа-казеина

По консистенции и вкусовым качествам сыр значительно отличался между собой, так из молока генотипа АА – сыр получился мягкий, вязкий, кислый на вкус с привкусом горечи. Сыр из генотипа АВ – более приятный на вкус, хорошо резался ножом. Сыр из молока с генотипом ВВ – твёрдый, очень приятный на вкус, с хорошо выраженным сырным рисунком. Вкус сыра оценивала дегустационная комиссия, которая пришла к единому мнению, что сыр из молока коров с генотипом АА – плохой, а с генотипом ВВ – хороший. Сыр из генотипа АВ занимал среднее положение.

Таким образом, для производства качественного сыра важное значение имеет выбор исходного сырья – молока. Молоко животных с генотипом ВВ гена каппа-казеина отвечает требованиям по содержанию белка и является лучшим для производства сыра.

Список литературы:

1. Denicourt D., Sabour M. P., McAllister A. Detection of bovine kappa-casein genomic variants by the polymerase chain reaction method // Animal Genetics. 1990. Vol. 21. P. 215-216.

2. Калашникова Л. А., Дунин И. М., Глазко В. И. Селекция XXI-го века: использование ДНК-технологий. М.: ВНИИплем. 2001. С. 3-4.

3. Самусенко Л., Химичева С. Генотип коров – основа качества молока // Молоко и молочные продукты. Производство и реализация. 2012. №2. С. 17-19.

4. Меркурьева Е. К. Биометрия в животноводстве/ Е. К. Меркурьева. – М. : Колос, 1977. – 311 с.

5. Петухов В. Л. Ветеринарная генетика с основами вариационной статистики / В. Л. Петухов, А. И. Жигачев, Г. А. Назарова. – М. :Агропромиздат, 1985. – 368 с.

ექსპერიმენტული ეკონომიკა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის

ალექსანდრე სიჭინავა, *სტუ-ს პროფესორი*
დალი სეხნიაშვილი, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

Experimental Economics for Sustainable Development of the Economy

Alexander schinava, Professor of GTU
Dali Sekhniashvili, Associate Professor of GTU

Summary

The article presented changes in the basic concepts and ideas on which is based the understanding of the rational choice of economic agents. The article deals with the background of emergence of a new current of economic thought, named «experimental economics». It analyzes the functions of experimenting in economics. The article proposes the substantiation of acknowledgement of experimental economics as the new scientific current. It recognizes that the experimental direction is becoming now the most perspective for the development of economic science.

Keywords: Experimental economics, Laboratory experiments in economics, Theory of rational choice Experimental methods.

საკვანძო სიტყვები: ექსპერიმენტული ეკონომიკა, ლაბორატორიული ექსპერიმენტი ეკონომიკაში, რაციონალური არჩევანის თეორია, ექსპერიმენტული მეთოდები.

* * * * * *

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე იმყოფება, რომელიც ხასიათდება როგორც შემეცნების მჭიდრო კავშირით საქმიანობის ფასეულობით-მიზნობრივ პარამეტრებთან, ასევე, შემეცნების საშუალებების ექსპლიკაციით.[1] შედეგად, საზოგადოებამ მიიღო სრულიად ახლებური გაგება ეკონომიკური შემეცნების სუბიექტის და ობიექტის, ახალი გაგება ეკონომიკური რეალობისა და რაციონალურობის, ეკონომიკური ცოდნის ობიექტური სფეროს გაფართოება, რაც შემმეცნებელი სუბიექტის მახასიათებლებთან, მის ფასეულობებთან, კულტურულ დეტერმინანტებთან, ცოდნის სოციალურ შემადგენელთანაა მეტად მჭიდროდ დაკავშირებული. რაციონალურობის სტრუქტურაში ჩართული იქნა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ეკონომიკური სუბიექტის ფასეულობები და მიზნები.

ეკონომიკური შემეცნების "სუბიექტის" ახლებური გაგება დაკავშირებულია შემმეცნებელი სუბიექტის სოციალურ "კოლექტივისტურ" ბუნებასთან, ეს გარემოება აისახა ადამიანის, როგორც ეკონომიკური აგენტის ახლებურ ინტერპრეტაციაში. პოზიტივისტურ მეთოდოლოგიაში ადამიანი სამეურნეო საქმიანობაში ხელმძღვანელობს რაციონალურობით, სარგებლიანობით, გაცნობიერებული ინტერესით, მოწესრიგებული სამომხმარებლო უპირატესობებით, მოგების მაქსიმიზაციით. ტრადიციული მსოფლმხედველობით, მხოლოდ ასეთი ადამიანი შეიძლება იყოს კონკურენტუნარიანი საბაზრო გარემოში და მხოლოდ ასეთი მიდგომით არის შესაძლებელი აიხსნას ზოგიერთი კანონზომიერება, რაც ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის ობიექტი შეიძლება გახდეს.

თუმცა, თანამედროვე ეკონომიკა არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც მხოლოდ ატომარული ეკონომიკური სუბიექტების homo economicus ურთიერთქმედების სფერო, რომელთა მიზანია სარგებლიანობის და მოგების მაქსიმიზაცია შეზღუდული რესურსების პირობებში. ჯერ კიდევ 1960-ან წლებში გ. საიმონმა, შეისწავლა რა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა, დაასაბუთა, რომ ადამიანები ყოველთვის რაციონალურად კი არა, არამედ შეზღუდული რაციონალურობის ჩარჩოებში მოქმედებენ, რადგან ემპირიულ სინამდვილეში ისინი არა უპირატესი მიზანშეწონილობისა და სარგებლიანობის თეორიული დებულებებით ხელმძღვანელობენ, არამედ სიტუაციურად იქცევიან. შეზღუდული რაციონალურობა დაკავშირებულია არა მარტო გარე რესურსების შეზღუდულობასთან, არამედ შიდა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შეზღუდულობასთანაც, მაგალითად, როგორიცაა: კომპეტენტურობა, კულტურა და განათლება, აღქმის და ინფორმაციის გადამუშავების უნარი, მეხსიერების მოცულობა, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები, კოგნიტური უნარები. ეკონომიკური და სოციოფსიქოლოგიური პარანეტრების ასეთი სინთეზი საშუალებას იძლევა უფრო ფუნქციურად და რეალისტურად იქნას აღწერილი ადამიანების საბაზრო ქცევა. სამეურნეო სუბიექტი ერთდროულად სუბიექტიც არის და ობიექტიც, ვინაიდან იგი როგორც მწარმოებელი, ასევე მომხმარებელიც არის. უტილიტარიზმი და რაციონალიზმი არაა ადამიანის ეკონომიკური ქცევის უნივერსალური ფორმულა. ეგოისტური ზრახვებიც კი, იმოქმედოს სარგებლით საკუთარი თავისთვის, არ რეალიზდება პრაქტიკაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო გარე ინსტიტუციური და შიგა პიროვნულ-

1 ექსპლიკაცია (ლათ. Explication – დაზუსტება, განმარტება) — ცნების ან განმარტების დაზუსტება სიმბოლური ლოგიკის საშუალებებით ბუნდოვნების ან ორაზროვნების აღმოფხვრის მიზნით, ან კვლევის ახალი ობიექტის შესაბამისად.

პროფესიული რესურსების შეზღუდულობის გამო.[2] ჰ. საიმონის შრომები 1978 წელს ნობელის პრემიით აღინიშნა გადაწყვეტილების მიღების თეორიაში ახლებური მიდგომებისათვის.

ცვლილებები, რომელიც მოხდა ეკონომიკური შემეცნების ობიექტის ცნების გაგებაში, არის შემდეგი: ფართოვდება და რთულდება ეკონომიკური მეცნიერების ობიექტური სფერო იმის გამო, რომ მასში ერთვება ახალი ეკონომიკური მოვლენები. ამასთან, საქმე ეხება საგნობრივი სივრცის არა უბრალოდ გაფართოვებას, არამედ რადიკალურად "გაადამიანურებას", რის შედეგადაც ადამიანი რეალურობის ეკონომიკურ სურათში შედის არა როგორც ნივთი, სხვა ეკონომიკურ მოვლენებთან ერთ რიგში მდგომი, არამედ როგორც ახალი რეალობის სისტემაშემქმნელი პრინციპი, როგორც თანამედროვე ცოდნის ახალი კოორდინატების საწყისი.

აღნიშნულის დადასტურებაა ფსიქოლოგი დ. კანემანისათვის ნობელის პრემიის მინიჭება ეკონომიკის დარგში ადამიანის ეკონომიკური ქცევის თეორიის, კერძოდ კი, ახალი მიმართულების — ქცევითი ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შემუშავებისათვის. პრემია მინიჭებულ იქნა ეკონომიკის სფეროში მიღწევებისათვის, რადგან დ. კანემანის შრომები გამოდის საკუთარი ფსიქოლოგიური ცოდნის ფარგლებიდან და პასუხობს კითხვაზე, თუ რატომ და როგორ ვცდებით, როდესაც ვაკეთებთ არჩევანს და ვიღებთ გადაწყვეტილებას, მათ შორის ეკონომიკურ და სახელმწიფო დონეებზეც.[3] მეცნიერულმა საზოგადოებამ აღიარა ის ფაქტი, რომ: ეკონომიკა სხვა არაფერია თუ არა მეცნიერება ადამიანების რეალურ სამეურნეო ცხოვრებაში ადამიანური ქცევის შესახებ. თავისი გადაწყვეტილებით ნობელის კომიტეტმა ეკონომიკის სფეროში დაამტკიცა თანამედროვე ეკონომიკური ცოდნის მეთოდოლოგიური საფუძვლების, ფუძემდებლური პოსტულატების გადახედვის აუცილებლობა.

ნობელის პრემიის კიდევ ერთი ლაურეატი, ამერიკელი ეკონომისტი ვ. სმითი რაციონალური არჩევის თეორიას ნორმატიულ თეორიად მოიხსენიებს და, ამავე დროს, იმის ნაცვლად, რომ დაიცვას ტრადიციული თეორია, ან ხაზი გაუსვას ემპირიულ მონაცემებსა და ტრადიციულ თეორიას შორის წინააღმდეგობას, მესამე გზას სთავაზობს საზოგადოებას. ის თვლის, რომ წმინდა სახით რაციონალური არჩევანის თეორია ნორმატიული თეორიაა და საჭიროა ის რამენაირად შერწყმულ იქნას უფრო საიმედო ექსპერიმენტულ მონაცემებთან. [4]

დღეს ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ მეცნიერული საზოგადოება სწრაფ რეაგირებას მოახდენს რაციონალური არჩევანის თეორიაში მიმდინარე ცვლილებებზე, მაგრამ ცხადია, რომ რაციონალური არჩევანის თეორიის ენა სტანდარტული ხდება იმ ეკონომიკური თეორიისათვის, რომელიც ორიენტირებულია ექსპერიმენტებზე და თუ ცვლილებები აღქმული და გაცნობიერებული იქნება ეკონომისტების უფრო ფართო წრის მიერ, მისი გავლენა გაცილებით მნიშვნელოვანი და არსებითიც გახდება. ამასთან, უკვე მრავალი ეკონომისტი აღიარებს, რომ ექსპერიმენტული მიმართულება ხდება გაცილებით პერსპექტიულია ოცდამეერთე საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის.

ექსპერიმენტული ეკონომიკის მიმართულების გამოყოფა მიუთითებს ეკონომიკაში თეორიული მათემატიკური მოდელების შემუშავებიდან აქცენტების გადატანას თეორიების წინასწარმეტყველების ემპირიული შემოწმებისა და ბაზარზე ინდივიდის რეალურ ქცევასთან მათი თანხვედრის შეფასების მიმართულებით.

დღეს ეკონომიკურ ექსპერიმენტებს მიმართავენ ეკონომიკის მრავალ სფეროში, მაგალითად: ინდივიდუალური ქცევის სფერო, თამაშთა თეორია, ბაზრების თეორია, ინფორმაციის და საზოგადოებრივი სიკეთის ეკონომიკა. ექსპერიმენტულმა ეკონომიკამ მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის შესწავლაში და დაასაბუთა ზოგიერთი ეკონომიკური მოდელის უუნარობა.

ნებისმიერი სამეცნიერო თეორია ან კონცეფცია ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაზე ზემოქმედებისა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობისათვის არსებობს. ამაშია თეორიისა და ემპირიის შეხების პირველი საფუძველი. მეორე საფუძველი კი, უფრო მეტად ფუნდამენტალური და არსებითია: ვიდრე კვლევები დაიწყება, მათ შორის მეცნიერული კვლევები, მკვლევარი თავიდანვე „ჩაფლულია" ემპირიულ რეალობაში, იგი ამ რეალობაში თითქოს სტიქიურად არსებობს, იგი თავად არის ამ რეალობის ნაწილი და მისი პირველი ემპირიული ფაქტორი.

ამგვარად, შემეცნების სუბიექტის მთავარი პრობლემაა საკუთარი გონების ემპირიული რეალობიდან გამოყოფა, ასევე საკუთარი თავის საკვლევი ობიექტისადმი დაპირისპირებულ სუბიექტად გადაქცევა. განცალკევდება რა ადამიანი კვლევის ობიექტიდან და მიმართავს მასზე საკუთარ შემეცნებით ძალისხმევას, ადამიანი იძენს პირველ ემპირიულ გამოცდილებას, ანუ ისეთი მონაცემებისა და ფაქტების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლოა გახდეს ათვლის წერტილი ემპიურიული შემეცნებისათვის.

ეკონომიკური ექსპერიმენტის მეთოდმა ფართო გავრცელება ჰპოვა საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 60-80-ან წწ-ში. სწორედ იმ დროს დაგროვდა მრავალრიცხოვანი თეორიული მასალა ამ მეთოდის გამოყენების შესახებ. როდესაც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში „სოციალისტური ექსპერიმენტის" ჩატარებაზე „ვარჯიშობდნენ", დასავლეთში გასული საუკუნის 60-70-ნი წლებიდან წარმატებით

2 Саймон Г. Теория принятия решений в экономической теории и науке о поведении // Вехи экономической мысли. Т. 2. Теория фирмы / под общ. ред. В. М. Гальперина. СПб. : Экономическая школа, 2000.

3 Канеман Д. Думай медленно... решай быстро : пер. с англ. М. : АСТ, 2014.

4 Смит В. Экспериментальная экономика. М. : ИРИСЭН ; Мысль, 2008.

ვითარდებოდა მიმართულება, რომელმაც შემდგომში ექსპერიმენტალური ეკონომიკის სახელი მიიღო.

ექსპერიმენტალური ეკონომიკა არის თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რომლის დროსაც ლაბორატორიებში ხელოვნურად შექმნილ ამა თუ იმ სამეურნეო პროცესებში იკვლევენ ინდივიდების ქცევის ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგიის საფუძველია ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება ეკონომიკური თეორიების და საბაზრო მექანიზმების კვლევების საფუძვლიანობის შემოწმება.

ექსპერიმენტული ეკონომიკა არის ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რაც მოწოდებულია კონტროლირებადი ექსპერიმენტის პირობებში შეისწავლოს ადამიანის ქცევა და ტესტირება მოახდინოს ეკონომიკური თეორიების წინასწარმეტყველებისა.

ეკონომიკური ექსპერიმენტი არის „ეკონომიკური მოვლენის ან პროცესის ხელოვნური კვლავწარმოება მისი გაცილებით უფრო კეთილსასურველ პირობებში შესწავლისა და შემდგომი პრაქტიკული ცვლილებების მიზანით".[5]

ამრიგად, ექსპერიმენტული ეკონომიკა ეკონომიკური ექსპერიმენტის ყველა სახეობიდან, მხოლოდ ლაბორატორიულ საგნობრივ ეკონომიკურ ექსპერიმენტებს იყენებს, რომელთა ჩატარებაში, ორგანიზაციასა და ვერიფიკაციაშიც ამ მიმართულებამ მეტად მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

ეკონომიკაში ექსპერიმენტების გამოყენების ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მონაცემები ეკონომიკური სუბიექტების ქცევის შესახებ ლაბორატორიის კონტროლირებად სიტაუაციაში, რომლის დროსაც ჩნდება შესაძლებლობაქცევითი რეაქციების მრავალფეროვნებიდან გამოთვლილ იქნას ზუსტად ის ასპექტები, რაც საჭიროა მოცემული ამოცანის გადასაჭრელად. ასევე, ის საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას სიტუაციები, რომლებიც არასაკმარისად აისახა კონკრეტულ თეორიაში.[6]

როგორც უკვე ავღნიშნეთ ზემოთ, დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ექსპერიმენტულ მეთოდს საფუძვლები ჩაუყარეს სამმა დიდმა ეკონომისტმა ვერნონ სმითმა, დანიელ კანემანმა და ამოს ტვერსკიმ. კანემანისა და ტვერსკის „ყველაზე დიდი ღვაწლი მდგომარეობს პერსპექტივების თეორიის შემუშავებაში. ამ ორი მეცნიერის ერთობლივი კვლევების აზრობრივი ღერძი იყო ფუნდამენტური და მრავალწლიანი პროექტი ინდივიდუალური განსჯებისა და ქცევის ნორმატიული სტანდარტებიდან გადახრების შესახებ".[7]

ვერნონ სმითმა გაგრძელა კვლევა და მასში შეიტანა საკუთარი წვლილი. ესაა: საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, რისკის პირობებში ინდივიდუალური ქცევის თეორია, ფინანსურ ბაზრებზე „საპნის ბუშტების" კვლევა, რეგულირების თეორია, თამაშთა თეორიის სფეროში ჩატარებული ექსპერიმენტები და სხვ. ექსპერიმენტული ეკონომიკის სფეროში ჩატარებული კვლევები საინტერესოა არა მარტო ეკონომიკისთვის, არამედ ფსიქოლოგიისთვისაც, ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს დისციპლინათაშორის ეკონომიკურ ექსპერიმენტთან. ეკონომიკური ექსპერიმენტის მიზნი შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს. უმეტეს შემთხვევებში ისინი მიზნების მიხედვით იყოფა, კერძოდ: სამეცნიერო -კვლევითი, საწარმოო და პედაგოგიური.

შესაბამისად, ეკონომიკური ექსპერიმენტები შესაძლოა დაიყოს საკვლევ (სამეცნიერო), სამეცნიერო-საწარმოო და პედაგოგიურ ექსპერიმენტებად. ბუნებრივია, რომ კვლევითი ეკონომიკური ექსპერიმენტის მიზნები წმინდა მეცნიერული და კვლევითია, სამეცნიერო-საწარმოო ექსპერიმენტში შერწყმულია სამეცნიერო და საწარმოო (სამეურნეო) მიზნები, პედაგოგიური ექსპერიმენტი კი (მაგალითად, საქმანი თამაშის ფორმით) აერთიანებს მეცნიერულ და პედაგოგიურ მიზნებს.

ეკონომიკური ექსპერიმენტებს ყოფენ შემდეგნაირად: ჩართულობით (თანამონაწილეობითი) ეკონომიკურ ექსპერიმენტად და არაჩართულობით (მარტივ, უბრალო) ეკონომიკურ ექსპერიმენტად.

ჩართულობითი (თანამონაწილეობითი) ეკონომიკური ექსპერიმენტები ისე ფართოდ არ არის გავრცელებული, როგორც ანალოგიური სოციოლოგიური ან ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები. შესაძლოა, ეს იმ გარემოებასთან არის დაკავშირებული, რომ ეფექტურობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ეკონომისტისთვის უფრო ხელსაყრელია შეასრულოს მიუკერძოებელი და ობიექტური დამკვირვებლის როლი, ვიდრე პირადად აქტიურად ჩაერიოს სამეურნეო პროცესებში.

ეკონომიკური ექსპერიმენტების შემდგომი მსხვილი ტიპოლოგია დაკავშირებულია მათ დაყოფასთან იდეალურ ეკონომიკურ ექსპერიმენტებად და საგნობრივ (ნივთობრივ) ეკონომიკურ ექსპერიმენტებად. იდეალური ეკონომიკური ექსპერიმენტები არის ისეთი სახის ექსპერიმენტები, რომლებიც აბსრტაქტული წესით ტარდება - ექსპერიმენტალური მასალის (არ ითვლება ქაღალდზე ან ელექტრონული სახით მისი განივთება და მისთვის საგნობრივი სახის მიცემა) განივთებისა და საგნობრივი სახის მიცემის გარეშე. მისი მთავარი სახეებია: მათემატიკური ეკონომიკური ექსპერიმენტი; აზრობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტი, ვირტუალური (კომპიუტერული) და სხვა საქმიანი თამაში.

საგნობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტი არის ისეთი სახის ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელიც

5 Нуреев Р.М., Вернон Смит - основоположник экспериментальной экономики. М.: Ирисен Мысль, 2006, page. 11

6 Беляева А.Д. Предпосылки возникновения экспериментальной экономики и её признание как научного направления, Санкт-Петербургский гос. Экономический университет, 2010

7 Белянин А. Даниель Канеман и Вернон Смит: экономический анализ человеческого поведения. Вопросы экономики. 2003. №1. С. 11-12

რეალურ სამყაროში ტარდება და გამოიყენება მატერიალური არტეფაქტები. საგნობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტები, ისევე, როგორც ეკონომიკური დაკვირვება, შესაძლოა დაიყოს ლაბორატორიულ ექსპერიმენტებად და საველე ექსპერიმენტებად. მათ შორის განსხვავება მეტად მარტივია: ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტი ტარდება სპეციალურ ნაგებობაში (ლაბორატორია), საველე კი - ლაბორატორიის გარეთ - საწარმოში, ფირმაში, დარგში და სხვ. ექსპერიმენტების ამ სახეებს აქვთ თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები.

„ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტი საშუალებას იძლევა, რომ ყოველთვის ჩატარდეს ექსპერიმენტული პირობების შედეგების შესწავლა, ხოლო საველე ექსპერიმენტის დროს ობიექტი, რომელიც ექსპერიმენტულ რეჟიმშია ჩაყენებული, იძულებულია ურთიერთქმედება ჰქონდეს ეკონომიკურ პარტნიორებთან, რომლებიც ძველებურად, როგორც ადრე, ისე მოქმედებენ. ამ გარემოებამ შესაძლოა დაამახინჯოს ექსპერიმენტის შედეგები. ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტები არის უკვე არსებული და ახლად ჩამოყალიბებული ცოდნის გადაცემისა და ათვისების, უნარ-ჩვევების შეძენის ინსტრუმენტები. ისინი გამოიყენება სწავლებისა და ვარჯიშისათვის, კვლევითი მიზნებისათვის და პრაქტიკული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.“[8]

ზემოაღნიშნული ტიპოლოგიის მიხედვით ეკონომიკური ექსპერიმენტის საერთო სქემა შესაძლოა შემდეგი სქემის სახით გამოისახოს:



ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტის საპირისპიროდ, საველე ექსპერიმენტები საშუალებას იძლევა ექსპერიმენტი ჩატარდეს განსაზღვრული ეკონომიკური ინსტიტუტის ფარგლებში, მაგალითად, საწარმოში. ბუნებრივია, რომ ასეთი ექსპერიმენტის შედეგებს საკმაოდ დიდი ევრისტიკული მნიშვნელობა ექნება.

დისციპლინათაშორისი ეკონომიკური ექსპერიმენტი არის ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და კიდევ რომელიმე სხვა სოციალური დისციპლინის „შეერთების“ ადგილზე. მისი ამოცანაა ისეთი ექსპერიმენტული შედეგების მიღება, რომლებსაც ეკონომიკისთვისაც და სხვა სოციალური მეცნიერებისთვისაც ექნება მნიშვნელობა.

არსებობს სამი სოციალური მეცნიერება, სადაც ფართოდ გამოიყენება სოციალური ექსპერიმენტი და საკმაოდ ღრმად არის დამუშავებული სოციალური ექსპერიმენტების ჩატარების მეთოდოლოგია, ესენია სოციოლოგია, ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. რამდენადაც საქმე ეხება დისციპლინათაშორის ექსპერიმენტის პერსპექტივებს, ცხადია, რომ ეკონომიკური მეცნიერებისათვის ყველაზე უფრო პერსპექტიული იქნება სწორედ ამ სამ დისციპლინასთან კავშირი.

დისციპლინათაშორის ექსპერიმენტებს სოციოლოგიისა და ეკონომიკის საზღვრებზე ატარებს ეკონომიკური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის საზღვრებზე - ეკონომიკური ფსიქოლოგია, ხოლო ეკონომიკისა და პედაგოგიკის საზღვრებზე - ეკონომიკური პედაგოგიკა.

ეკონომიკურ-სოციოლოგიური ექსპერიმენტი ისეთი ექსპერიმენტია, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და სოციოლოგიის საზღვრებზე. მისი მიზანია სოციოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის ახალი ექსპერიმენტული მონაცემების მიღება.

ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი არის ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის საზღვრებზე. ის გულისხმობს ორივე მეცნიერების - ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებას. როგორც წესი, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ეკონომიკის, ისე ფსიქოლოგიის სფეროში მიღებულ იქნეს სრულიად ახალი ცოდნა.

ასევე შესაძლოა არსებობდეს ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური ექსპერიმენტი. ამის კლასიკური მაგალითია გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგისა და ფსიქოლოგის ელტომ მეიოს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები 1924-1925 წლებში ჩიკაგოში მდებარე ქარხანაში „ვესტერნ ელექტრიკი“. მან შეისწავლა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ხასიათის მქონე მრავალი ფაქტორის გავლენა მუშაკების შრომის მწარმოებლურობაზე. ასე, რომ შესაძლოა ითქვას, რომ მოცემული ექსპერიმენტები ტარდებოდა, ერთის მხრივ, როგორც ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური, მეორე მხრივ კი- როგორც ეკონომიკურ-სოციოლოგიური.

აღნიშნული, ექსპერიმენტული ეკონომიკის რანგში ჩატარებული ექსპერიმენტების უდიდესი უმრავლესობა, უფრო ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებს მიეკუთვნება. შესაძლოა, სწორედ ამითაც არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ ექსპერიმენტულმა ეკონომიკამ ასე გვიან მიიქცია პროფესიონალი ეკონომისტების ყურადღება.

ეკონომიკურ-პედაგოგიური ექსპერიმენტი არის ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და პედაგოგიკის საზღვარზე. ის ორივე მეცნიერების - ეკონომიკისა და პედაგოგიკის ექსპერიმენტულ მეთოდებს გამოიყენებს. როგორც წესი, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნური ლაბორატორიული მოდელირების გზით მსმენელთა

8. Геронимус Ю. В. Лабораторный экономический эксперимент. Экономико-математический энциклопедический словарь. М., 2003. gv. 232

ცნობიერებაში ჩაინერგოს გარკვეული ეკონომიკური სიტუაცია: მსმენელებმა თავი უნდა იგრძნონ მოცემული ეკონომიკური ექსპერიმენტის მონაწილეებად. საქმიანი თამაში, რომელიც ტარდება მომავალი ეკონომისტების სწავლებისათვის არის ეკონომიკურ-პედაგოგიური ექსპერიმენტის კლასიკური მაგალითი.

ბუნებრივია, რომ დისციპლინათაშორისი ექსპერიმენტის ზემოაღნიშნული სამი ტიპით არ შემოიფარგლება დისციპლინათაშორისი ეკონომიკური ექსპერიმენტების მთელი მრავალფეროვნება. მაგალითად, შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი ტიპები: ეკონომიკურ-ეკოლოგიური, ეკონომიკურ-დემოგრაფიული, ეკონომიკურ-სამართლებრივი და სხვ ტიპები დისციპლინათაშორისი ექსპერიმენტებისა, რომლებშიც ერთ-ერთია ეკონომიკური მეცნიერება. მაშასადამე, დისციპლინათაშორისი ექსპერიმენტირება მთელი ექსპერიმენტული ეკონომიკისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ცნობილია, რომ დისციპლინათაშორისი კვლევების განვითარებამ ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე წარმოშვა ქცევითი ეკონომიკა, ხოლო ასეთივე დისციპლინათაშორისმა მიდგომებმა გამოყენებით კვლევებში, საფუძველი დაუდო ექსპერიმენტულ ეკონომიკას. ეკონომიკაში ექსპერიმენტული კვლევების წარმატებები, გასული საუკუნის 70-80-ანი წლებიდან დაწყებული, გამონაკლისი კი არა, უფრო კანონზომიერებაა. ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელსაც აქამდე ძალიან იშვიათად გამოიყენებდნენ, ამ დროიდან უკვე ეკონომიკური კვლევების სრულფასოვანი მეთოდი გახდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი ეკონომიკურ მეცნიერებაში ჯერაც არ გამოიყენება სათანადო დოზით.

მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტული ეკონომიკა კვლავ აქტიურად ვითარდება. ეკონომიკურ მეცნიერებაში ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენების პერსპექტიულ გზებს მიეკუთვნება: მიკროეკონომიკურ სიტუაციებში ინდივიდის ეკონომიკური ქცევის ირაციონალური სტანდარტების შემუშავება; სათამაშო ექსპერიმენტირება მისი ყველა ფორმითა და სახით; დისციპლინათაშორისი ეკონომიკური ექსპერიმენტების (ეკონომიკურ-სოციოლოგიური, ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური, ეკონომიკურ-პედაგოგიური და სხვ.) განვითარება; ექსპერიმენტული კვლევების პრინციპების გადატანა ლაბორატორიიდან საველე პირობებში; სამეურნეო სიტუაციების რაოდენობის ზრდა, რომლებიც ექვემდებარება ეკონომიკური ექსპერიმენტის გზით მოდელირებას.

ასე, რომ ეკონომიკური ექსპერიმენტების მეთოდს დიდი მომავალი აქვს. მისადმი დამოკიდებულება აუცილებლად უნდა შეიცვალოს და სწორედ ამაშია მთლიანად ეკონომიკური მეცნიერების პროგრესის და მისი მდგრადი განვითარების გარანტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Саймон Г. Теория принятия решений в экономической теории и науке о поведении, Вехи экономической мысли. Т. 2. Теория фирмы, под общ. ред. В. М. Гальперина. СПб. : Экономическая школа, 2000;
2. Канеман Д. Думай медленно... решай быстро : пер. с англ. М. : АСТ, 2014;
3. Смит В. Экспериментальная экономика. М.: ИРИСЭН ; Мысль, 2008;
4. Нуреев Р.М., Вернон Смит - основоположник экспериментальной экономики. М.: Ирисен Мысль, 2006;
5. Беляева А.Д. Предпосылки возникновения экспериментальной экономики и её признание как научного направления, Санкт-Петербургский гос. Экономический университет, 2010;
6. Белянин А. Даниель Канеман и Вернон Смит: экономический анализ человеческого поведения. Вопросы экономики. 2003. №1;
7. Геронимус Ю. В. Лабораторный экономический эксперимент. Экономико-математический энциклопедический словарь. М., 2003.

კომპანიის მისსიის განსაზღვრა ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგში

ირინა გოგორიშვილი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

კვლევითი ნაშრომის მიზანია წარმოადგენს კომპანიის მისსიის მოდელში მისსიის შემადგენელ კომპონენტებს შორის კავშირურთიერთობათა განსაზღვრა. ინტელექტუალური პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ტენდენციები განხილულია გრავიტაციის თეორიისა და ახალი ინსტიტუციური თეორიის საფუძველზე. ნაშრომში განხილული კომპანიის მისსიის შემადგენელ კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირები აყალიბებს ინტელექტუალური პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების ტრენდებს.

საკვანძო სიტყვები: კომპანიის მისსია, სოციალური პასუხისმგებლობა, ინტელექტუალური პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება, მცირე ღია ეკონომიკა.

Defining Company Mission in Business Engineering

Irina Gogorishvili,
Associated professor of Gtu

Summary

The study aims at considering the associations between the components of the mission and identifying the role of the social responsibility in it by developing the model of a company mission. The study was accomplished by using the gravitation and new institutional theories and deduction and induction methods.

Based on the gravitation and new institutional theories, the work considers the trends of installation of social responsibility at the companies in the developing countries by considering the opportunities of intellectual production and services. The components of a company mission and the nature of the relationship between them are considered as such trends.

Keywords: company mission, social responsibility, intellectual product and services, small open economy.

ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგის საკითხები მუდმივი კვლევისა და ნოვაციების სფეროს წარმოადგენს. ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს კომპანიის მისსიაში ბიზნეს ვალდებულებების ლოგიკური ურთიერთკავშირები ბიზნეს ინჟინერინგის წარმატებული დამკვიდრებისათვის განვითარებად ქვეყნებში. კვლევის პროცესში ჩვენს მიერ გამოყენებულია ლოგიკური ანალიზის, მეცნიერული აბსტრაქციის, დედუქციის, ინდუქციისა და სტატისტიკის მეთოდები.

კომპანიის მისსია უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია მის მიზნებთან რომელთა შორის აუცილებელია ჰორიზონტალური და ვერტიკალური დამოკიდებულებები გამოვკვეთოთ. მიზანთა სისტემის ჩამოყალიბებით გასაგები ხდება, რომ კომპანიის მისსიაც სისტემას წარმოადგენს, რომელშიც დაწვრილებით უნდა განვიხილოთ ყველა შემადგენელი ცვლადი. კომპანიის მისსიის მთავარ (ცენტრალურ) მიზანს მომხმარებელთა (მყიდველთა) მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. ამავე დროს მნიშვნელოვანი დეტალია მყიდველთა და სახელმწიფოს იმ ინტერესების დაკმაყოფილება, რომელსაც არამსყიდველუნარიანი მოთხოვნილება აყალიბებს. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მარკეტინგული მენეჯმენტის მიზნებს შორის მნიშვნელოვანი შემადგენელია. აღნიშნული მიზნები სოციალური პასუხისმგებლობის სფეროშია განთავსებული. მნიშვნელოვან საკითხს სახელმწიფოს ინტერესთა (ნაციონალური და გლობალური ინტერესების) დაკმაყოფილებაა.

მიკროეკონომიკურ დონეზე გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება ბიზნეს ინჟინერინგის მნიშვნელოვანი და ძირითადი ნაწილია. იგი ნაციონალურ და საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე ძირეული ცვლილებების საფუძველზე უნდა შემუშავდეს. ამ ცვლილებათა მთავარი მახასიათებელი (მიზანი) ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროდუქტების დამკვიდრებაა, რომელთა წარმოების პროცესი ახალი ტექნოლოგიური ციკლის დასაწყისია.

ინოვაციათა წარმოების პროცესის აქტივიზაცია ბაზრების გლობალიზაციას ითხოვს რაც თავის მხრივ ადვილად არ მიმდინარეობს რადგან როგორც ნაციონალურ ასევე საერთაშორისო დონეზე ინტერესთა კონფლიქტებს იწვევს. რასაკვირველია კომპანიების მისსიის ცენტრალური მიზნის რეალიზაციისთვის მთავარ საშუალებას ძირეული ცვლილებების პროცესში მყოფ ბაზრების მოთხოვნებთან ადაპტირება წარმოადგენს. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით იგი ინსტრუმენტული ხასიათისაა და

ამავე დროს უაღრესად პრობლემურია.

კომპანიის მისსიის განსაზღვრის პროცესში ბაზრის მოთხოვნებს ,,ეთანხმება". იგი ახდენს: ბაზრის იდენტიფიცირებას, მის მოთხოვნათა შესწავლასა და თავისი როლისა და ადგილის შემოსაზღვრას (მისსიის ჩამოყალიბება). უფრო კონკრეტულად კომპანიის მისსია არის მიზანთა კატალოგი რომელთა რეალიზაციას კომპანია ბაზარზე პოზიციის განსაზღვრის შემდეგ იწყებს.

კომპანიას მისსიის ჩამოსაყალიბებლად კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი და გაცნობიერებული საკუთარი კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები. ამ თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურაში მთავარი აქცენტი კომპანიის განკარგულებაში მყოფი საწარმოო ფაქტორებისა და რესურსების განსხვავებულ პოზიტიური მახასიათებლებზეა გადატანილი. მათ შორის მთავარ როლი განეკუთვნება ადამიანური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალური სამხედრო, გეოპოლიტიკურ და სხვა რესურსებს. უაღრესად მნიშვნელოვანია ეს საკითხი განხილული იყოს სამ დონეზე: ბაზირების ქვეყნის, დარგისა და თვით კომპანიის პოტენციალიდან გამომდინარე.

ბაზირების ქვეყნის პოტენციალი საწარმოო ფაქტორებისა და სამეწარმეო რესურსების არსებობასთან დაკავშირებით მსოფლიო ეკონომიკის პოლიტიკურ რუქაზე სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფს გვაძლევს რომელთა შორის (თუ აბსტრაგირებულები ვიქნებით დახურული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან) ეკონომიკების გამოიყოფა: დიდი, საშუალო და მცირე, ღია განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკები. სამეწარმეო პოტენციალის საკითხის საფუძვლიანი განხილვა კომპანიის მისსიის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვან პრობლემის გათვალისწინებას მოითხოვს. ასეთ პრობლემას ბაზრის პოტენციური მოცულობა წარმოადგენს. მთავარი ეგზოგენური ფაქტორი რომელიც ზემოქმედებს ამ კომპონენტებზე არის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა. კომპანიის მისიის მოდელი გვსურს განვიხილოთ №1 ნახაზზე მოცემული მოდელის შესაბამისად.

ნახაზი №1



თეორიულ საფუძველს ქვეყნის დონეზე კომპანიის მისსიის განხილვისათვის გრავიტაციის თეორია წარმოადგენს (Anderson, 1979; Deadorff, 1998; Anderson and Wincoop, 2003; Baier and Bergstrand, 2002; Feenstra, Markusen and Rose, 2001; Everett and Keller, 2002; Westerlund and Wilhelmsson, 2006; Santos Silva and Tenreyro, 2006; Helpman, Melitz and Rubinstein, 2008). გრავიტაციური მოდელების პრაქტიკაში გამოყენების განსაკუთრებით პოპულარული მიმართულებები დაკავშირებულია შეფასებებთან, რომლებიც ხორციელდება: ეკონომიკური რყევების ზემოქმედებებზე, ეკონომიკური პოლიტიკის ცვლადთა ზემოქმედებებზე, ინტეგრაციულ გაერთიანებათა ფორმირებაზე, მიგრაციულ ნაკადებზე (Grogger and Hanson,2008; Beine, Docquer and Ozden, 2009; De Benedictis and Taglioni, 2011), პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (Bergstrand and Egger,2007; Keller and Yeaple, 2009).

გრავიტაციის თეორიის მოქმედებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების ეროვნული ბაზრების პოტენციალი. მიუხედავად შეზღუდული ადექვატურობისა რეალობასთან გრავიტაციული მოდელები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ახალი ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირს შორის დადებულ ასოცირების შეთანხმების საზღვრებში კომპანიების მისსიათა ფორმირებისა და რეფორმირების მიმართულებით. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში მოსალოდნელი ბიზნეს აქტივობის ჩამოყალიბება, რომელიც ბიზნეს-ინჟინერინგის პროცესში მარკეტინგული პოტენციალის გამოსათვლელად იქნას გამოყენებული. ფაქტიურად ყველა მცირე ღია ეკონომიკების კომპანიებისთვის ექსპორტ-იმპორტის განვითარების დახასიათებისთვის გრავიტაციის თეორიის საფუძველზე ჩატარებული კვლევები პოზიტიური ეფექტის მომტანია იქნება. ასოციაცია ბრიკს-ში (ბრაზილია, რუსეთი,ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) შემავალი ქვეყნების მონაცემთა საფუძველზე ჩატარებულმა კვლევებმა(ი. ს. ტროეკუროვა და კ.ა. პელევინა http://eup.sgu.ru/sites/default/files/133-142.pdf) აჩვენეს, რომ ასოციაციაში შემავალი ყველა ქვეყნისთვის აგებულ გრავიტაციულ მოდელებში ექსპორტ-იმპორტის დამოკიდებულების ხარისხის (ელასტიკურობა) მაჩვენებელი ქვეყანა-კონტრაგენტის მშპ-ს ცვლილებასთან დადებითია. ეს მიგვითითებს, რომ პერსპექტივაში რომელიც კომპანიას აქვს ბიზნეს-ინჟინერინგის პერმანენტულ პროცესში სასაქონლო-სავაჭრო ნაკადების ზრდა შესაძლებელია პარტნიორი კომპანიების ეკონომიკური პოტენციალის ზრდასთან ერთად(როგორც ეს ბრიკსის ქვეყნების მაგალითზე კვლევამ გვიჩვენა). ამავე დროს სრულიად ნათელია, რომ ამ მიმართულებით კვლევის წარმოება ტრანსნაციონალური კომპანიებისთვისაც გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს, ხოლო როდესაც საქმე მცირე ან

საშუალო კომპანიებს ეხება გასაგებია, რომ მათ ეს საკუთარი შესაძლებლობებით არ ძალუძთ.

სწორედ აქ ჩნდება სახელმწიფოს როლი ბიზნესის ინჟინერინგის ხელშეწყობის მიმართულებით. ამ მხრივ გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფოს ეკონომიკური (ამ შემთხვევაში სექტორული) პოლიტიკის მხრიდან ხელშეწყობის რეალური შესაძლებლობები. ეს შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ კომპანია გეგმავს სოციალური პასუხისმგებლობის (ISO 26000-ის მიერ რეკომენდირებულ) ღონისძიებათა დანერგვას თავის საქმიანობის პროცესებში.

დარგის დონეზე კომპანიის მისსიის განხილვა ეფუძნება დარგის მახასიათებლებს როგორც წინაპირობას, რომელიც მას განსაზღვრავს. საინტერესოა წინაპირობათა იერარქია რომელიც წესრიგის, სტრუქტურული და პროცესის პოლიტიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. აღნიშნულ იერარქიაში პირველხარისხოვანი მახასიათებელი მასშტაბის ეკონომიის ხასიათია. განვითარებული სახელმწიფოებისთვის მასშტაბის გარე ეკონომიის არსებობა განსაზღვრავს კომპანიის (ამ შემთხვევაში იგულისხმება ტნკ) გრძელვადიან უპირატესობებსა და მის მისსიას გლობალურ ბაზარზე. მასშტაბის ეკონომიის ხასიათი განსაზღვრავს კაპიტალშეიარაღებისა და დარგში წარმოებული პროდუქტის კაპიტალტევადობის დონეს, მაგრამ ამავე დროს როდესაც საქმე ინტელექტუალურ პროდუქტებსა და მომსახურების წარმოების სფეროს ეხება თვით მასშტაბის ეკონომიის ხასიათის განსაზღვრა ძალზე ძნელია (ან საერთოდ შეუძლებელია). წარმოების მასშტაბის ეკონომიას თან ახლავს და აძლიერებს გამოცდილების (ცოდნის) დაგროვების ეფექტი და პროდუქტთა მრავალგვაროობის (დიფერენციაციის) საფუძველზე წარმოქმნილი ეკონომიის ეფექტები. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მასშტაბის ეკონომიის ეს ეფექტები შიგა ეკონომიის პირობებში მიიღწევა, რაც მიუწვდომელია მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებადი და ნაწილობრივ განვითარებული სახელმწიფოების კომპანიებისთვის. იგი მით უფრო მიუღწეველია ქვეყნებისთვის რომლებიც რეგიონული ინტეგრაციების მიღმა იმყოფებიან და არ აქვთ საერთო ნაციონალური (რეგიონული ინტეგრაციის როგორიცაა: ევროკავშირი, ნაფტა, მერკოსური და სხვა) მიზანთან დაქვემდებარებული ქვემიზნების თანხვედრა, რაც კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში ვლინდება. ამ თვალსაზრისით გლობალიზაციის პროცესი მასშტაბის შიგა ეკონომიას აძლიერებს და საერთო კეთილდღეობის ზრდას უწყობს ხელს. წარმოების ფაქტორებისა და რესურსების ეკონომია დღეს სოციოეკოლოგიისა და კეთილდღეობის ზრდის ტოლფასია. ასეთი მდგომარეობა უპირველეს ყოვლისა ინტელექტუალური პროდუქტების წარმოებასა და მომსახურების სფეროს ეხება. მხოლოდ ინტეგრაციული გაერთიანებების საზღვრებში მიიღწევა ისეთი ზენაციონალური წესრიგის, პროცესისა და სექტორული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც ბიზნესში სოციალური პასუხისმგებლობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების რეკომენდაციების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. ინტერესთა კონფლიქტი რომელიც წარმოიქმნება აღმასრულებელ ხელისუფლებისა და ბიზნეს ჯგუფების ეკონომიკურ ინტერესებს შორის უმეტეს შემთხვევაში განვითარებას უზრუნველყოფს.

მასშტაბის გარე ეკონომიის მქონე დარგის რეგულირება სექტორული პოლიტიკის მხრიდან მინიმალურია და ფაქტიურად მხარდაჭერის შესაძლებლობებზე დადის (Elhanan Helpman and Paul Krugman. Trade Policy and Market Structure. Cambridge: MIT Press,1989. Laura d, Andrea Tyson. Who,s Bashing Whom? Trade Conflict in High-Technology Industries. Washington, D.C.: Institute for International Economics, 1992). იგივე უნდა გავიმეოროთ მასშტაბის შიგა ეკონომიის შესაძლებლობის არსებობის დარგის პირობებშიც. თუმცა დიდი ღია ეკონომიკის პირობებში სექტორული პოლიტიკა ექვემდებარება წესრიგის პოლიტიკას, რომელიც კონკურენციის პოლიტიკის საზღვრებში აყალიბებს კონკურენციის დაცვის, ხელშეწყობისა და ეროვნულ (შიგა) ბაზარზე კომპანიების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ რეგულაციებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მასშტაბის შიგა ეკონომიის ეფექტის არსებობა მომსახურების სფეროსა და ინტელექტუალური პროდუქტების წარმოების დარგებში. სწორედ აქ ვლინდება ინტეგრაციული გაერთიანებების განსაკუთრებული პოზიტიური შედეგები. ევროკავშირის საზღვრებში გატარებული წესრიგის, პროცესისა და სექტორული პოლიტიკის ეფექტიანობის დამადასტურებელია ერთიანი ვალუტის ევროს წარმატებული ფუნქციონირება. ევროკავშირის ფულადი პოლიტიკის მსხვილი გამტარებელი ევროსისტემა, რომელიც ევროს ზონის მასშტაბით ფულადი პოლიტიკის გატარებით მომსახურების პროდუქტებს ქმნის მასშტაბის შიგა ეფექტის პრინციპით მუშაობს. ინტეგრაციული გაერთიანებისთვის სახელმწიფობრიობის ფუნქციის შეძენა განაპირობებს სახელმწიფო მომსახურების სფეროში მასშტაბის გარე ეკონომიის ეფექტების წარმოქმნას, რომლებსაც ძალიან ძნელად შეელევა ნებისმიერი ევროსისტემაში შემავალი ქვეყანა (ამის ნათელი მაგალითია საბერძნეთი). მომახურების სფეროს ასეთ პროდუქტს წარმოადგენს ევროსისტემაში ევროპული ბსზრის ადექვატური საგადამხდელო სისტემის TARGET-ის შექმნა. იგი წარმოიქმნა უკვე არსებული ელემენტების საფუძველზე და მიზნად ისახავდა ფულადი პოლიტიკის ჰარმონიზაციის მინიმალური საზომის დამყარებას. TARGET-ის სისტემა ევროსისტემის საკრედიტო ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს ევროში საზღვარგადაცილებული გადახდები ისევე უნაკლოდ და იაფად მოახდინონ როგორც ქვეყნის შიგნით. იგი ხელს უწყობს მთელს ევროსისტემაში გადასახდელების ხელსაყრელი ხარჯებით (ფასის შემცირება), საიმედოობის მაღალი სტანდარტით (ხარისხის ამაღლება) და გადამუშავების მოკლე

დროში განხორციელებას (დროის ეკონომია). ასეთივე მნიშვნელოვან მომსახურების პროდუქტს წარმოადგენს დაცვის დამატებითი სისტემის (Securities Settlement System) ჩამოყალიბება რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის ფულადი პოლიტიკის ოპერაციების დროს ოპერაციული პროცესის მინიმალური პირობების შესრულებას და ფულის ბაზრის საზღვრების გაფართოვებას შერწყმის საფუძველზე (რ. გველესიანი ი. გოგორიშვილი ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი პირველი, გვ. 225).

არანაკლებ მნიშვნელოვანია კომპანიის მისსიის ჩამოყალიბებისთვის ქვეყანაში ინტელექტუალური პროდუქტების წარმოებაში მასშტაბის ეკონომიის ეფექტების არსებობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაანალიზება. ამ მიმართულებით მუშაობა დიდი ღია ეკონომიკის ქვეყნებში (განვითარებულ ქვეყნებში) მაღალი პოზიტიური ეფექტების მომტანია კომპანიების კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის. სულ სხვა სურათი გვაქვს მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში რომელთა დიდ უმრავლესობას სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების შეზღუდული შესაძლებლობების გამო ერთადერტი გზა აქვთ თავიანთი კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. ეს გზა ინტეგრაციულ გაერთიანებათა ინტელექტუალური პროდუქტების წარმოების პროცესებთან კოოპერირებასა და კომერციულ და არაკომერციულ საფუძველზე თანამშრომლობაში ძევს (ი. გოგორიშვილი. კომერციული და არაკომერციული საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ტენდენციები, ჟურნალი ბიზნეს ინჟინერინგი №2, 2012, გვ. 5-15). აღნიშნული თანამშრომლობის საფუძველს ინტელექტუალური პროდუქტების წარმოებაში მასშტაბის ეკონომიის ეფექტების მიღება წარმოადგენს. ამ პროცესს ყველაზე კარგად გრავიტაციის თეორია განმარტავს. განვითარებულ ქვეყნებში ინტელექტტევადი პროდუქტების წარმოების პროცესები ფრაგმენტაციას ექვემდებარება კაპიტალის სამუშაო ძალისა და დროის ეკონომიის მიზნით. ამდენად ფრაგმენტაციის პროცესში (რომელიც გულისხმობს ინტელექტტევადი პროდუქტების, მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს და ხორციელდება თანამშრომლობით კომერციულ საფუძველზე) მონაწილეობა ეფექტიანი გზაა მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების კომპანიებისთვის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისა და გაძლიერებისთვის. ეს შემადგენელი კომპანიის მისსიის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა განსაკუთრებით პოზიციის დამკვიდრებისა და განვითარების თვალსაზრისით.

კომპანიის მისსიის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია ეკონომიკურ სამართლებრივი ველის შესაძლო ცვლილების (მოლოდინის) ვარიანტების გათვალისწინება. ეს აქტივობა გულისხმობს ახალი ინსტიტუციური თეორიის საფუძველზე კვლევების ჩატარებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს პარტნიორებისა და კონკურენტების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და გაანალიზება. იგივე უნდა განხორციელდეს ინსტიტუციური გარემოს ყველა მთავარი ექსპლიციტური და იმპლიციტური ,,მოთამაშის" მიმართ.

კომპანიის მესაკუთრეთათვის მისსიის შემუშავების პროცესში ბუნების დაცვის პოლიტიკის საზღვრებში სახელმწიფოს მხრიდან ცნობილი და წარდგენილი უნდა იყოს მოთხოვნები სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის. ეს უნდა ხორციელდებოდეს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით რათა სოციოეკოლოგიური მდგომარეობა არ გართულდეს. როგორც წესი განვითარებად ქვეყნებში როგორც ქართველები ამბობენ ,,ურემი რომ გადაბრუნდება უსაფრთხო გზები მერე ჩნდება". სრულიად ნათელია, რომ ინიციატივა ,,უსაფრთხო გზების" ძიებისა კომპანიის ჩამოყალიბების საწყის სტადიაზე, მისი მისსიის შემუშავების პროცესში უნდა განისაზღვროს და გამყარდეს ვალდებულებათა სახით. დღეს არსებული დამოკიდებულება სოციოეკოლოგიის საკითხებისადმი სრულიად მიუღებელია. სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებისთვის პრევენციული შინაარსის ღონისძიებების დამკვიდრება და გატარება კომპანიების მისსიის ჩამოყალიბების პროცესებში, მათი როგორც ბიზნეს ერთეულების გაფორმების სტადიაზე წარსადგენ დოკუმენტაციაში უნდა ვლინდებოდეს. ისინი უნდა წარმოადგენდეს ინდიკატორულ მაჩვენებლებს რომელთა საფუძველზე შეგვიძლია სოციალური პასუხისმებლობის რეალიზების ხარისხზე ვიმსჯელოთ.

კომპანიის კონკურენტუნარიანობის დახასიათება გულისხმობს სპეციფიკური განმასხვავებელი მახასიათებლების ნაკრებს. მასში, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში შედის: კომპანიის განკარგულებაში არსებული ტექნოლოგიებისა და რესურსების უნიკალურობა და პერსონალის (მათ შორის მენეჯერების) ცოდნა, კვალიფიკაცია, გამოცდილება და კრეატიული უნარები. ამ ტიპის დახასიათება გვაძლევს წარმოდგენას კომპანიის საქმიანობის შესაძლო სფეროზე სადაც მას შესაძლებელია ძლიერი კონკურენტული პოზიცია გააჩნდეს. პრაქტიკულად ეს უნდა იყოს სოციალურად მნიშვნელოვანი საბაზრო მოთხოვნის ჩამონათვალი, რომლის დაკმაყოფილებასაც იგი შეეცდება.

კომპანიის მიერ უნდა განისაზღვროს საგადამხდელო მოთხოვნის მოცულობა იმ პროდუქტებსა და მომსახურებაზე, რომლებსაც მისი კონკურენტები ფარავენ. მოცემული ბაზრების კონიუნქტურის განსაზღვრა კომპანიის მისსიის მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ახალი ინსტიტუციური თეორიის საზღვრებში უნდა წარიმართოს კვლევა მის მიერ არჩეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების არსებობის შესახებ.როგორც წესი ამ შემთხვევაში საქმე ეხება სახელმწიფო ინსტიტუციებზე ლობისტური ჯგუფების ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრას. ამავე დროს ეკონო-

მიკურ ინტერესთა ჯგუფებს შორის კონფლიქტების პრევენციის შესაძლებლობათა გამოკვლევა პირველმნიშვნელოვანი ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული მხარდაჭერის მოპოვების ან აშკარა წინააღმდეგობის შესაძლებლობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მოძრაობების მხრიდან. ოპორტუნისტული ქცევის პრობლემებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია წინასწარ იქნას განსაზღვრული თვითდაცვის (self enforced) შესაძლებლობები. განსაკუთრებული წინააღმდეგობები, რომლებსაც მცირე ღია განვითარებადი ეკონომიკების კომპანიები ხვდებიან პარტნიორების მხრიდან უფრო კონკურენტებთან ურთიერთობას ჰგავს, რადგან ინტერესთა თანხვედრას პრაქტიკულად ძალზე იშვიათად აღწევენ. კომპანიის მისსიის განსაზღვრისას საკუთრებით უფლებათა საზღვრებში უნდა იქნას შეფასებული სუბიექტურ ღირებულებათა, პრინციპების, აღიარებული სამართლებრივი, მორალურ-ზნეობრივი, ეთიკური და სხვა შეზღუდვების სავარაუდო შედეგები.

კომპანიის მისსიის ჩამოყალიბების განსაკუთრებულ სფეროს განეკუთვნება კონკურენტებთან, შემკვეთებსა და პარტნიორებთან დამოკიდებულების საკითხები, რომელთა წინასწარი გამოკვლევა მომავალი წარმატებების საწინდარი უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით უნდა განვსაზღვროთ არჩეული საქმიანობის სფეროებში ინოვაციური ტექნოლოგიების არსებობისა და განვითარების პერსპექტივები. აღსანიშნავია რომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დაკონკრეტდეს (გამოთვლების ჩატარების საფუძველზე) კომპანიის მოსალოდნელი დანახარჯებისა და შემოსავლების შეფასების წესი. აღნიშნული წესით უნდა შედარდეს მოსალოდნელი შედეგები (პროგნოზები) და მესაკუთრეთა სავარაუდო მოლოდინები. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს ძირითადი (და არა სპეციფიკური) ბიზნეს მაჩვენებლების საფუძველზე.

ჩვენს მიერ აღნიშნული ოპერაციების ცვალებადი თანმიმდევრობით მრავალჯერადი განმეორების შედეგად უნდა განვიხილოთ კომპანიის მისსიის ცენტრალური საკითხი: არსებულ ვითარებაში შესაძლებელია თუ არა გავაკეთოთ პროგნოზი კომპანიის მისსიის რეალობაში გამოვლენის წარმატების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ამ საკითხზე დადებითი პროგნოზი მიიღება, მაშინ შესაძლებელია კომპანიის მისსია განხილული მოდელის (ნახაზი №1) მიხედვით ჩამოვაყალიბოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი(2012). ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი პირველი, გვ. 225
2. ი. გოგორიშვილი(2012). კომერციული და არაკომერციული საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ტენდენციები, ჟურნალი ბიზნეს ინჟინერინგი №2, 2012, გვ. 5-15
3. Freeman, Edward;Moutchnik, Alexander (2013): Stakeholder management and CSR: questions and answers. In: UmweltWirtschaftsForum, Springer Verlag, Bd. 21, Nr. 1.http://link.springer.com/article/10.1007/s00550-013-0266-3
4. Bulkeley, H. (2001). «Governing Climate Change: The Politics and Risk Society». Transactions of the Institute of British Geographers, New Series, Vol.26, No.4, pp. 430—447.
5. Fialka. J. (2006). «Politics & Economics: Big Businesses Have New Take on Warming; Some Companies Move From Opposition to Offering Proposals on Limiting Emissions». WallStreetJournal. pg.A.4.
6. Grace, D; S. Cohen (2005). Business Ethics: Australian Problems and Cases. OxfordUniversityPress. ISBN 0-19-550794-0.
7. Roux, M. (2007). «Climate conducive to corporate action: 1 All-round Country Edition». TheAustralian. Canberra, A.C.T. pg.14. online article

თანამედროვე ტრანსნაციონალური კომპანიები

***გუგული ყურაშვილი**, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
***ლაშა ვაშაკიძე**, სტუ-ს ფაკულტეტის დოქტორანტი*

რეზიუმე

საერთაშორისო მეწარმეობის ფორმები მრავალფეროვანია. საერთაშორისო ტრანსნაციონალური კომპანიების რიცხვი წლითიწლობით იზრდება. თუ მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს დარგობრივ ჭრილში განვიხილავთ, მათი უმრავლესობა ნავთობის და გაზის მრეწველობის საწარმოებია. თუმცა, ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ წინა წლებში ამ დარგის ტრანსნაციონალურ კომპანიებს მეტი ხვედრითი წონა ეკავათ, ვიდრე დღეს.

უკანასკნელ წლებამდე განვითარებადი ქვეყნები ძირითადად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ბაზირებული ტრანსნაციონალურ კომპანიების ქალიშვილი საწარმოების და ფილიალების მიმღები ქვეყნები იყვნენ. უკანასკნელ 15 წელიწადში შეიმჩნევა განვითარებული ქვეყნებიდან მსხვილი კომპანიების წილის ზრდა.

განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების ინტერნაციონალიზაციის (TNI) დონე განსხვავებულია წარმოების მიხედვით. ელექტორნული და კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი ტნკ-ების TNI საშუალოდ მცირედით მაღალია, ვიდრე მათი კოლეგების მსოფლიოს უდიდესი ტნკ-ების. ასევე ტელეკომუნიკაციის, ნავთობისა და ავტოსატრანსპორტო ნაწილების წარმოებაშიც მათი დონე უფრო დაბალია.

საერთაშორისო მეწარმეობის ფორმები მრავალფეროვანია. ისინი მოიცავენ საზღვარგარეთ შვილობილი ფირმებისა და ფილიალების, ასევე, სხვა ქვეყნების ფილიალებთან ერთობლივი საწარმოებისა და შერეული კომპანიების ადგილობრივი, სახელმწიფო და კერძო კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს. ყველა სახის საერთაშორისო წარმოებისთვის საერთოა ეკონომიკური საქმიანობის გატანა ეროვნული საზღვრების გარეთ, ე. ი. მისი ტრანსნაციონალიზაცია. ტრანსნაციონალიზაციის პროცესის გამოხატულებაა ტრანსნაციონალური კომპანიების წარმოქმნა და მსოფლიო ეკონომიკის სუბიექტებად მათი გადაქცევა.

საერთაშორისო ტრანსნაციონალური კომპანიების რიცხვი წლითიწლობით იზრდება. გასული საუკუნის 70-იან წლებში მათი რიცხვი მხოლოდ 7000 იყო, ამჟამად მათი რიცხვი 87000 ერთეულია 801000 შვილობილი კომპანიით. მაშასადამე, 1970 წლიდან დღემდე ტრანსნაციონალური კომპანიების რიცხვი 12,4-ჯერ არის გაზრდილი.[1]

"ფორბსმა" გამოაქვეყნა 10 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების 2012 წლის რეიტინგი 4 მაჩვენებლის მიხედვით. ეს მაჩვენებლებია რეალიზაცია, აქტივები, ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი და საბაზრო კაპიტალიზაცია. აქტივების მიხედვით რეიტინგში პირველი 10 ადგილი უკავიათ:

1. General Electric Co (აშშ);
2. Royal dutch Sheel (ნიდერლანდები);
3. BP (გაერთიანებული სამეფო);
4. ExxonMObill Corporation (აშშ);
5. Toyota Motor (იაპონია);
6. Total SA (საფრანგეთი);
7. GDF Suez F (საფრანგეთი);
8. Wodafone Groyn (გაერთიანებული სამეფო);
9. Enel SpaI (იტალია);
10. Telefonica SA (ესპანეთი).

აღსანიშნავია, რომ 11 წელიწადში რეიტინგში გარკვეული ცვლილებები მოხდა. კომპანიების ათეულში მოხვდა ორი ახალი კომპანია - "Enel Spal" და "Telefoncia SA", რომლებიც 2000 წლის რეიტინგულ სიაში საერთოდ არ ფიგურირებდნენ. ამასთან

1 ბაღიშვილი გ., საერთაშორისო შრომის დანაწილების მოდელის შემუშავება, დისერტაცია, 2013, გვ. 59.

აქტივების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა "General Electric"-მა, რომელსაც 2000 წელს ეკავა მე-8 ადგილი, მეორე ადგილი დაიკავა კომპანია "Royal Dutch Shell"-მა, რომელსაც 2000 წელს ეკავა პირველი ადგილი, მერვე ადგილზე გადმოვიდა კომპანია "Wodafone", რომელსაც 2000 წელს ეკავა მეცხრამეტე ადგილი და ა. შ.

რაც შეეხება საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებლით ჩატარებულ რეიტინგს, აქ ასეთი მდგომარეობაა (ცხრილი 1):

ცხრილი 1.

მსოფლიოს უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების რეიტინგი საბაზრო ღირებულების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი) 2012 წელს[2]

რეიტინგი	კომპანიის დასახელება	ქვეყანა	სექტორი	საბაზრო ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)
1	Apple	აშშ	ტექნოლოგიური მოწყობილობები და აღჭურვილობა	559002
2	Exxon Monil	აშშ	ნავთობი და გაზი	408777
3	PetroChina	ჩინეთი	ნავთობი და გაზი	278968
4	Microsoft	აშშ	პროგრამები და მოწყობილობები	270644
5	IBM	აშშ	კომპიუტერული პროგრამები და მომსახურება	241755
6	Industrial& Commercial Bank of China	ჩინეთი	საბანკო	236335
7	Royal Dutch Shell	დიდი ბრიტანეთი	ნავთობი და გაზი	222425
8	China Mobile	ჰონ-კონგი	მობილური ტელეკომუნიკაციები	220979
9	General Electric	აშშ	მრეწველობა	212318
10	Chevron	აშშ	ნავთობი და გაზი	211951
11	Wal-Mart Stores	აშშ	საცალო გაყიდვები	208358
12	Nestle	შვეიცარია	კვების პროდუქტები	207376
13	Berkshire Hathaway	აშშ	დაზღვევა	201135
14	China Construction Bank	ჩინეთი	საბანკო	193151
15	AT&T	აშშ	ტელეკომუნიკაცია	185155
16	Procter&Gamble	აშშ	საყოფაცხოვრებო პროდუქცია	185123
17	Samsung Electronics	სამხრეთ კორეა	ტექნოლოგიური მოწყობილობები და ტექნიკა	181774
18	Johnson&Johnson	აშშ	ფარმაცია	181390
19	Wells Fargo	აშშ	საბანკო	180178
20	BHP Biiliton	ავსტრალია - დიდი ბრიტანეთი	სამთო მრეწველობა	179523

აქტივების მოცულობით პირველ ათეულში მოხვედრილი კომპანიები, საკმაოდ უკანა პლანზე არიან ტრანსნაციონალიზაციის ინდექსით. ამ მაჩვენებლით "Electric"-ი 67-ე ადგილზეა, "Royal Dutch Shell"-ი - 31-ზე, "BP"-ი - 21-ზე და ა. შ. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი არის კომპანიის უცხოური აქტივების უცხოეთში რეალიზაციის და უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა წილების (კომპანიის შესაბამის საერთო მაჩვენებლებში) გაშუალებული მაჩვენებელი. რაც მაღალია ეს მაჩვენებელი, მით მაღალია უცხოური ფილიალების როლი ტრანსნაციონალური კომპანიის საქმიანობაში. ცხრილში მოცემული 10 უმსხვილესი კომპანიის სიაში ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი ყველაზე მაღალი აქვს კომპანია "Vodafone Groyn"-ს (90,2%). ამიტომ მას "ფორბსმა" რეიტინგში მე-10 ადგილი მისცა.

ამ ჩამონათვალიდან 12 კომპანია არის ამერიკის შეერთებული შტატების, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა მსოფლიოს მსხვილი წარმოების ლიდერია.

ცხრილიდან ჩანს, რომ 2012 წელს 2000 წელთან შედარებით კომპანიის საბაზრო ღირებულებით გამოთვლილ რეიტინგში პირველ ოცეულში ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ. ესენია: " Apple", " Microsoft", "Procter&Gamble" და სხვები.

თუ ამ მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს დარგობრივ ჭრილში განვიხილავთ, მათი უმრავლესობა ნავთობის და გაზის მრეწველობის საწარმოებია. თუმცა, ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ წინა წლებში ამ დარგის ტრანსნაციონალურ კომპანიებს მეტი ხვედრითი წონა ეკავათ, ვიდრე დღეს. მაგალითად, 50 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიიდან 1979 წელს 20 იყო ნავთობის და გაზის საწარმო, ხოლო 2012 წელს 20 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიიდან მხოლოდ 4 არის ნავთობის ამოღება-გადამუშავების სპეციალიზაციის. იგივე მოხდა ქიმიურ მრეწველობაში. 1999 წელს ამ დარგს ჰქონდა 7 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანია, რომლებიც ხვდებოდნენ 50 მსხვილი კომპანიის სიაში, ამჟამად ქიმიური საწარმო 20 უმსხვილეს კომპანიათა სიაში აღარ ფიგურირებს. ასევეა ელექტრონული მოწყობილობის და კომპიუტერების ხაზითაც კი. თუ 1999 წელს იყო 18 მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანია (ცხრილი 2), რომლებიც 50 მსხვილ საწარმოთა სიაში ხვდებოდნენ, ეხლა ოცეულის სიაში მოხვდნენ მხოლოდ "Microsofti" და "IBM".

2 წყარო: The Financial Times, Global 500, 2012, http://www.gfmag.com

ცხრილი 2

მსოფლიოს 100 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიის დარგობრივი კუთვნილება[3]

№	დარგების დასახელება	1990	1995	1999
1	ელექტრონული მოწყობილობა, კომპიუტერების წარმოება	14	18	18
2	ავტომრეწველობა	13	14	14
3	ნავთობმრეწველობა	13	14	13
4	კვების პროდუქტების წარმოება	9	12	10
5	ქიმიური მრეწველობა	12	11	7
6	ფარმაცევტული მრეწველობა	6	6	7
7	ვაჭრობა	7	5	4
8	ტელეკომუნიკაციები	7	5	4
9	მეტალურგია	2	5	3
10	მშენებლობა	6	2	1
11	მასობრივი ინფორმაცია	6	2	1
12	სხვა დარგები			

მსოფლიოს 500 უმსხვილეს კომპანიათა შორის 10 და მეტი კომპანია ეკუთვნის შემდეგ ქვეყნებს:[4]

აშშ-ს - 162 კომპანია;
იაპონია - 67 კომპანია;
საფრანგეთი - 38 კომპანია;
გერმანია - 37 კომპანია;
დიდი ბრიტანეთი - 33 კომპანია;
ჩინეთი - 24 კომპანია;
კანადა - 16 კომპანია;
ნიდერლანდები - 14 კომპანია;
სამხრეთ კორეა - 14 კომპანია;
შვეიცარია - 13 კომპანია;
იტალია - 10 კომპანია;
რუსეთი - 4 კომპანია.

მაშასადამე, მსოფლიოს 11 ქვეყანას ეკუთვნის მსოფლიოს 500 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების 85%, ანუ 428 კომპანია.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 500 უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიაზე მოდის "მსოფლიოს გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის 1/3 ნაწილი, ახალი ტექნოლოგიებით ვაჭრობის 4/5 ნაწილი. 500 ტრანსნაციონალურ კომპანია აკონტროლებს მსოფლიო ვაჭრობის 70%-ს, ხოლო მათგან 400 - ყველა პირდაპირი უცხოური კაპიტალდაბანდების ნახევარს. ტრანსნაციონალური კომპანიები უშუალოდ ქმნიან მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-ს".[5]

უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიები ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში არიან ბაზირებულნი. მათ შორის ლიდერობს აშშ. 2012 წლის მონაცემებით 10 უმსხვილესი კომპანიიდან ხუთი აშშ-ია (50 უმსხვილესი კომპანიიდან ოცდაათი აშშ-ია, 100 უმსხვილესი კომპანიიდან 55 აშშ-ია), ესენია: "Wal-Mart"-ი, "General Motorsi", "ExxonMobill"-ი, "Ford Motor"-ი და "General Electric". შემდეგ ადგილებზეა იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და სხვები.[6]

უკანასკნელ წლებამდე განვითარებადი ქვეყნები ძირითადად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ბაზირებული ტრანსნაციონალურ კომპანიების ქალიშვილი საწარმოების და ფილიალების მიმღები ქვეყნები იყვნენ. უკანასკნელ 15 წელიწადში შეიმჩნევა განვითარებული ქვეყნებიდან მსხვილი კომპანიების წილის ზრდა. 2004 წლის უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიათა ათეულში არცერთი კომპანია არ იყო განვითარებადი ქვეყნებიდან, 50 კომპანიაში მოხვდა მხოლოდ ერთი ("Samsung"-ი, სამხრეთ კორეა), ხოლო 100 კომპანიაში სამი ("Samsung"-ი, "China Mobile" - ჰონ-კონგიდან და "Газпром"-i რუსეთიდან).[7]

2006 წელთან შედარებით 2007 წელს განვითარებადი ქვეყნების ასი არასაფინანსო ტრანსნაციონალური კომპანიების აქტივები გაიზარდა 29%-ით, მსოფლიოს მსგავსი ასი ტრანსნაციონალური კომპანიისა კი მხოლოდ 16%-ით.[8] მაშინ როცა განვითარებადი ქვეყნების 100 უდიდესი არასაფინანსო ტნკ-ს მთლიანი აქტივების და დასაქმების ზრდა შესაბამისად შეადგენს 18% და 34%-ს, მსოფლიოს ასი უდიდესი არასაფინანსო ტნკ-ს მსგავსი მონაცემები მხოლოდ ერთ წელში შესაბამისად გაიზარდა 20% და 41%-ით.

განვითარებადი ქვეყნებიდან ტნკ-ების ეს დინამიზმი გამოწვეულია ახალი მოთამაშეების გამოსვლით ასპარეზზე. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე განვითარებადი ქვეყნებიდან 50 უდიდესი ტნკ-ს შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ მათგან 20 ტნკ-მ 1999 წლიდან და 2009 წლის ჩათვლით საკუთარი პოზიცია შეინარჩუნა ამ სიაში, ამჟამად მათ ჩამონათვალში 30 ახალი ტნკ შევიდა. ამ ტნკ-ებიდან შვიდმა უკვე თავისი ადგილი მოიპოვა მსოფლიოს 100 უდიდეს ტნკ-ს შორის, მაშინ როცა 1993 წელს მათგან არც ერთი არ იყო წარმოდგენილი.

3. თურქია გ., ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში, ჟ. «საქართველოს ეკონომიკა», №2, 2008, გვ. 105.

4 ფუტკარაძე რ., ტრანსნაციონალური კომპანიები და გლობალიზაცია, შრომების კრებული - «გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება, თბ., 2008, გვ. 130-131.

5. ჭითანავა ნ., გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, VIII ტომი, 2010, გვ. 93.

6. შენგელია თ., საერთაშორისო მენეჯმენტი, თბ., 2012, გვ. 47.

7. თურქია გ., ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში, ჟ. «საქართველოს ეკონომიკა», №2, 2008, გვ. 106.

8. მანველიძე ი., ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში, თბ., 2009, გვ. 103.

განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ებს შორის პირველ სამ ადგილს ჰონგ-კონგი, მექსიკა და სამხრეთ კორეა ინაწილებენ. 2007 წელს უცხოური აქტივების (83 მლრდ აშშ დოლარი) მოცულობით ჰონგ-კონგის კომპანიამ - "Hutchison Whampoa Limited" შეინარჩუნა ლიდერობა განვითარებადი ქვეყნების 100 ტნკ-ს შორის მთლიანი უცხოური აქტივების 11%-იანი მაჩვენებლით. მას მოსდევს მექსიკური "Cemex S.A.", სამხრეთ კორეული "LG Corp", "Samsung Electronics Co.", "Ltd.m" მალაიზიური "Petronas – Petroliam Nasional Bhd", სამხრეთ კორეული "Hyundai Motor Company" და ჩინური "CITIC Croup" ტნკ-ები.

თუმცა, განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც შეფასებულია მათი INT-ის მიხედვით არსებითად რჩება უფრო დაბალი, ვიდრე მსოფლიოს უდიდესი 100 უდიდესი ტნკ-ის: შესაბამისად, 54%-ი, 62%-ის საწინააღმდეგოდ. თუმცა, სხვაობა მათ შორის 1993 წლიდან შესამჩნევად მცირდება.

კომპანიების ნაციონალიზაციის თვალსაზრისით, აზია მათი გავლენის ზრდის კვალობაზე რჩება უდიდეს მშობლიურ რეგიონად. ჰონგ-კონგი და ტაივანი UNCTAD-ის 2007 და 2008 წლების რეიტინგულ მონაცემებში ინარჩუნებენ დომინანტ როლს განვითარებადი ქვეყნების 100 უდიდეს ტნკ-ს შორის. სინგაპური და ჩინეთი, თითოეული 11 კომპანიით ზრდის მათ რაოდენობას, სამხრეთ აფრიკა - 9, მალაიზია - 6, ბრაზილია - 3, მექსიკა - 5, სამხრეთ კორეა - 5, ინდოეთი - 2, ქუვეითი - 2, თითო კომპანიით სიაში მოხვდნენ კატარი, ვენესუელა, ტაილანი, ფილიპინები და თურქეთი.განვითარებადი ქვეყნების 100 ტნკ წარმოების სფეროში აქტიურობის მიხედვითაც სხვადასხვა სახეს ავლენენ. მათგან 19 ისე დაკავებულია ელექტრონულ და კომპიუტერულ წარმოებით, მათ მოჰყვება ნავთობის მრეწველობაში დაკავებული - 9, კავშირგაბმულობაში - 7, კვებისა და სასმელების წარმოებაში - 7, ტრანსპორტსა და შენახვების სექტორში - 6. აქ ასევე წარმოდგენილია დიევრსიფიცირებული წარმოების მქონე ტნკ-ები - 12. მსოფლიოს 100 უდიდეს ტნკ-სთან მიმართებით, მათ შორის ბევრად ძლიერი ტნკ-ების რიცხვი ხუთს აღწევს.

განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების ინტერნაციონალიზაციის (TNI) დონე განსხვავებულია წარმოების მიხედვით. ელექტორნული და კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი ტნკ-ების TNI საშუალოდ მცირედით მაღალია, ვიდრე მათი კოლეგების მსოფლიოს უდიდესი ტნკ-ების. ასევე ტელეკომუნიკაციის, ნავთობისა და ავტოსატრანსპორტო ნაწილების წარმოებაშიც მათი დონე უფრო დაბალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაღიშვილი გ., საერთაშორისო შრომის დანაწილების მოდელის შემუშავება, დისერტაცია, 2013, გვ. 59.
2. თურქია გ., ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში, ჟ. "საქართველოს ეკონომიკა", №2, 2008, გვ. 105.
3. ფუტკარაძე რ., ტრანსნაციონალური კომპანიები და გლობალიზაცია, შრომების კრებული - "გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება, თბ., 2008, გვ. 130-131.4
4.ჭითანავა ნ., გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, VIII ტომი, 2010, გვ. 93.
5. შენგელია თ., საერთაშორისო მენეჯმენტი, თბ., 2012, გვ. 47.
6. თურქია გ., ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში, ჟ. "საქართველოს ეკონომიკა", №2, 2008, გვ. 106.
7. მანველიძე ი., ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში, თბ., 2009, გვ. 103.
8.Unicat world investment report, Transnational Corporations, Vol. 21. No. 1, April, 2012.
9.www.globalizatios.kof.ethz.ch

კომერციული ბანკების სადეპოზიტო პოლიტიკის ანალიზი

ხათუნა შალამბერიძე, *აწსუ-ს ასოც. პროფესორი*

Commercial Banks' Deposit Policy Analysis

Summary

The country's economic stability, flexibility and efficiency of the financial market depends on how involved the state's commercial banks, central banks, corporations and the population distribution of the funds. As is known, the main basis for the activities of commercial banks borrowed funds represents.

The largest part of the funds a llocated to various terms of deposits coming. There fore, great importance is given to commercial banks to deposit funds dynamics analysis. Also, identify the key factors that will shape the trends of commercial banks in the deposit business. Effective deposit policy that is compatible with the basic principles of banking activity in the end of the bank guarantee for working results. The importance of the issue and lead to the fact that acertain part of the population is characterized by mistrust, and anegative attitude on the issue of money in the bank.

Keywords: depos it policy: Bank resources, deposit funds dynamics, form sand methods of mobilizing their effectiveness, deposit funds and the purposeful use of directions, the volume of deposits and the interest rates of the major factors.

საკვანძო სიტყვები: ბანკების სადეპოზიტო პოლიტიკა: საბანკო რესურსები, დეპოზიტური სახსრების დინამიკა, მათი მობილიზების ფორმებისა და მეთოდების ეფექტურობა, დეპოზიტური სახსრების გამოყენების მიზნობრიობა და მიმართულებები, დეპოზიტების მოცულობა და საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების ეფექტურ და მდგრად ფუნქციონირებაზე, იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას, სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოში, სადაც ფინანსური სისტემა ძირითადად საბანკო სექტორითაა წარმოდგენილი, მთელი ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ უკანასკნელის ლიკვიდურობაზე. საბანკო სისტემის ლიკვიდურობის ძირითადი წყარო საბანკო დეპოზიტებია.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობა, ფინანსური ბაზრის მოქნილობა და ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ კომერციული ბანკები როგორ მონაწილეობენ სახელმწიფოს, ცენტრალურ ბანკს, საწარმოებსა და მოსახლეობას შორის ფულადი სახსრების გადანაწილებაში. როგორც ცნობილია, კომერციული ბანკების საქმიანობის ძირითად საფუძველს მოზიდული სახსრები წარმოადგენს, ვინაიდან მათი წილი ბანკის რესურსებში დაახლოებით 75-80% აღწევს. ხოლო თავის მხრივ, მოზიდული სახსრების უდიდესი ნაწილი სხვადასხვა ვადით განთავსებულ დეპოზიტებზე მოდის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომერციულ ბანკებში დეპოზიტური სახრების დინამიკის ანალიზს. ასევე, იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც აყალიბებენ ტენდენციებს კომერციული ბანკების სადეპოზიტო საქმიანობისას. ეფექტური სადეპოზიტო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც თავსებადია საბანკო საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა წარმოადგენს საბოლოო ჯამში ბანკის საქმიანობის მაღალი შედეგების გარანტს. აღნიშნული საკითხის აქტუალობას აგრეთვე განაპირობებს ისიც, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ახასიათებს უნდობლობა, და ნეგატიური დამოკიდებულება ბანკში ფულის განთავსებასთან დაკავშირებით.

საბანკო სისტემის წინაშე არსებულ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა ხანგრძლივი ვადით. საბანკო სისტემა ამა თუ იმ ქვეყნის სპეციალიზებული დაწესებულებების ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც ისტორიულადაა ჩამოყალიბებული და კანონებითაა განმტკიცებული. ისევე, როგორც ფულადი და საფინანსო სისტემები, საბანკო სისტემაც ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელია. მის ჩამოყალიბებასა და გარდაქმნაზე გავლენას ახდენს იმ ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომლებიც მოცემულ რეგიონს ახასიათებს, მათ შორის: მოსახლეობის ეროვნული შემდგენლობა, მათი საქმიანობის სფეროები და დასაქმების დონე, მეზობელ ქვექნებთან ურთიერთობა, სავაჭრო გზები, ასევე ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალური გარემო. საბანკო სისტემა ფუნქციონირებს იმ კანონებისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ბაზაზე, რომელთა ერთობლიობით შექმნილი ინფრასტრუქტურა ამ სისტემას განამტკიცებს და არეგულირებს.

კომერციული ბანკი ერთის მხრივ მოიზიდავს იურიდიული და ფიზიკური პირების თავისუფალ ფულად სახსრებს, ახორციელებს საკუთარი სარესურსო

ბაზის ფორმირებას, მეორის მხრივ განათავსებს მათ თავისი სახელით დაბრუნების, ვადიანობისა და საფასურიანობის პირობებით. ამასთან კომერციულ ბანკს შეუძლია განახორციელოს ოპერაციები, მხოლოდ მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში. ამ ოპერაციათა სახეები დიდად არის დამოკიდებული ბანკის სარესურსო ბაზის თვისობრივ-ხარისხობრივ შემადგენლობაზე. ბანკებს, რომლებსაც გააჩნიათ მოკლევადიანი რესურსები არ შეუძლიათ განახორციელონ გრძელვადიანი საკრედიტო დაბანდებები, ამიტომ იმ სახსრების მოცულობა და შემადგენლობა, რომელსაც ფლობს კომერციული ბანკი განსაზღვრავს მისი საქმიანობის მასშტაბებსა და მიმართულებებს.

ნებისმიერმა კომერციულმა ბანკმა, რომელიც ორიენტირებულია ფინანსურ ბაზარზე გაზარდოს მომსახურების მოცულობა და კლიენტთა წრე, უნდა იქონიოს ისეთი სიდიდის საკუთარი კაპიტალი, რომ შეძლოს ნასესხებ სახსრებზე კლიენტების ყველა დასაბუთებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება და დროულად შეასრულოს აღებული ვალდებულებები. ამასთან, არ დაარღვიოს დადგენილი ნორმატივები და არ აიღოს საკუთარ თავზე ზედმეტი რისკი. საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის მთავარი ბერკეტია ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნების დადგენა და მათ შესრულებაზე კონტროლი. ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისა და უცხოეთის ბანკის ფილიალისათვის.

კონკრეტული კომერციული ბანკის რესურსების სტრუქტურა თავისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობით შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს სხვა კომერციული ბანკების რესურსებისგან ასევე მთლიანად რეგიონში ჩამოყალიბებულისაგან. ეს დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, კერძოდ როგორიცაა ბანკის ფუნქციონირების პერიოდი, მისი საწესდებო კაპიტალის მოცულობა, ბანკის საქმიანობის თავისებურებანი, საბანკო ლიკვიდობა, კლიენტთა რაოდენობა და ხარისხი, ბანკის პოლიტიკა დაკრედიტების სფეროში, მონაწილეობა საფინანსო ბაზარზე და ბოლოს საბანკო რესურსების ბაზრის მდგომარეობა.

თანამედროვე საბანკო პრაქტიკას დეპოზიტებისა და დეპოზიტური ანგარიშების დიდი მრავალფეროვნება ახასიათებს. ამას განაპირობებს, მწვავე კონკურენციის და ბაზრის სეგმენტირების პირობებში, რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ კლიენტთა სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნები საბანკო მომსახურეობაზე და საბანკო ანგარიშებზე და შესაბამისად მოიზიდონ მათი დანაზოგები და თავისუფალი ფულადი კაპიტალი.

საინტერესოა, რომ, ზოგადად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დეპოზიტების ზრდით აღინიშნებოდა როგორც ლარში, ისე დოლარში. ეროვნული ვალუტით დეპოზიტების ზრდა ძირითადად დაფიქსირდა ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშებზე. ვინაიდან აღნიშნული ანგარიშები წარმოადგენენ სახელფასე ანგარიშებს. ლარის რესურსის 64.7% მიმდინარე ანგარიშებზე მოდის.

საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების კვლევის პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008 წლის ცნობილი მოვლენების გავლენა საბანკო სისტემაზე, კერძოდ დეპოზიტურ საქმიანობაზე.

ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებებს შორის ფორსმაჟორულ სიტუაციებზე საბანკო სისტემა ყველაზე მგრძნობიარეა. მასზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მაკრო და მიკროეკონომიკური ფაქტორები და პირობები, არამედ, აგრეთვე პოლიტიკური რყევები და სხვ.

კომერციული ბანკების გარკვეულ ნაწილს არ გააჩნიათ საკმარისი ოდენობით ფული, ისინი იზიდავენ სახსრებს მოკლე ვადით, ხოლო განათავსებენ უფრო გრძელვადიან აქტივებში, რაც იწვევს ვადიანობის მიხედვით აქტივებსა და პასივებს შორის მნიშვნელოვან წყვეტას. გარდა ამისა, ბანკების მიერ მოზიდული სახსრების წყაროები ხასიათდებიან საკმაოდ დაბალი დივერსიფიკაციით და ვერ უზრუნველყოფენ საბანკო სექტორში მიმდინარე ზრდის ტემპების შენარჩუნებას საშუალოვადიან პერსპექტივაში. ასევე, პასივების სტრუქტურაც არ გამოიყურება სახარბიელოდ. ბანკების საკუთარი კაპიტალის დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს მის ხარჯზე საკრედიტო ოპერაციების გაფართოებას. ბანკების რესურსული ბაზა (მოზიდული სახსრები) საკმაოდ არასტაბილურია. საქართველოში არ არსებობს კანონი გამოუთხოვადი ანაბრების შესახებ, ასევე, არ არსებობს მოსახლეობის ანაბრების სახელმწიფო დაზღვევის სისტემა, რის გამოც საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პანიკამ საბანკო ანაბრები თითქმის გაანახევრა. ამგვარად, შეზღუდვები ლიკვიდურობაში არსებობდა თვით საბანკო სისტემის შიგნით და ომი მხოლოდ მისი კატალიზატორი აღმოჩნდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სისტემაში ლიკვიდურობის შენარჩუნების მექანიზმი საკმაოდ ცუდად მუშაობს. საბანკო სექტორის მარეგულირებელ ორგანოებს დაწესებული აქვს ლიკვიდურობის მხოლოდ ერთი სავალდებულო ნორმატივი - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც არ უნდა იყოს 30%-25%ზე ნაკლები. თეორიულად მან უნდა უზრუნველყოს ლიკვიდობის მარაგი ბანკის საშუალოვადიანი საჭიროებისათვის. საქართველოში თითქმის ყველა ბანკი მეტნაკლებად ასრულებდა ამ ნორმატივს, ხოლო ზოგიერთ მცირე ბანკში, რომელსაც არ გააჩნია მოზიდული სახსრები საკმარისი ოდენობა და ოპერირებს მხოლოდ საკუთარი სახსრებით, ამ ნორმატივის მაჩვენებელი სავალდებულო მინიმუმზე გაცილებით უფრო მაღალია. თუ რამდენად მისაღებია ასეთი მიდგომა, ეს ცალკე დისკუსიის საგანია, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სახის ბანკებს არ გააჩნიათ ფიზიკური პირების ანაბრები, საკითხი გადადის ლიკვიდურობის მართვის

სიბრტყიდან ზედამხედველობისა და რეგულირების სფეროში.

მეანაბრეებში შექმნილი აჟიოტაჟის ფონზე ბუნებრივად წინა პლანზე იწევს საკითხი, თუ რამდენადაა გამართლებული საზედამხედველო ორგანოების მიერ მხოლოდ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის მონიტორინგი და მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში მიღებული ათეულობით სხვა ნორმატივების და კოეფიციენტების უგულებელყოფა. საბანკო სისტემის დაბალი ლიკვიდურობის მიზეზი, გარდა სუსტი ზედამხედველობისა, არის მეტ წილ ბანკებში ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკის არქონა ან მისი არაჯეროვნად განხორციელება. საკრედიტო ბუმმა თავისი დაღი დაასო ბანკების ქცევას (თავისუფალი ფულის კრედიტებში ჩაბრუნება და ლიკვიდურობის პრობლემის უგულებელყოფა). შედეგად მივიღეთ საკმაოდ შერყეული და ეროვნული ბანკის ვალებში ჩაფლული საბანკო სისტემა.

მეანაბრეთა პანიკის შედეგად ბანკებში არსებული მოსახლეობის ანაბრები თითქმის განახევრდა, ასევე, მიმდინარე ანგარიშების მფლობელმა ბანკის მსხვილმა კლიენტებმა ინტენსიურად დაიწყეს ფულის გატანა საზღვარგარეთ, ბანკებს მნიშვნელოვნად შეუმცირდათ ან მთლიანად გამოელიათ ლიკვიდობა. ამის ფონზე საქართველოს რეიტინგების შემცირება იყო სიგნალი უცხოელი ინვესტორებისათვის, რომ მათ ფულს საფრთხე ემუქრება და მათაც არ დააყოვნეს და დაიწყეს ადვილად გადინებადი პორტფელური ინვესტიციების გატანა საქართველოს საბანკო სისტემიდან, რამაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. მძიმე სიტუაციაში მყოფი ბანკებისთვის ეროვნულმა ბანკმა დაიწყო სამაშველო ოპერაციების ჩატარება ლიკვიდობის მიწოდებისა და ბანკების სავალდებულო რეზერვების გახსნით. საბანკო კრიზისის დაწყებიდან ეროვნულ ბანკს სამი კვირა დასჭირდა იმისათვის, რომ მიეღო გადაწყვეტილება ისეთი აუცილებელი, მაგრამ მანამდე პრაქტიკულად მიძინებული ინსტრუმენტის ასამოქმედებლად.

შემდგომი წლები მეტ-ნაკლები სტაბილურობით ხასიათდებოდა დეპოზიტური სახსრების მოზიდვის მიმართულებით. 2012 წლის მეორე ნახევარში, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ზრდა 2011 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შენელებული იყო. 2012 წელს დეპოზიტების ყოველთვიური დინამიკა კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2013 წლის იანვარ-აპრილში დეპოზიტები გაზრდილია 2012 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თუმცა ზრდის ტემპი კვლავ შენელებულია. აღნიშნულ პერიოდში ზრდის შენელება განპირობებულია ეროვნული ვალუტით დეპოზიტების ზრდის მკვეთრად შენელებით (-1.4%, 1.4%, 6.7%, 8.4%) 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. უცხოური ვალუტით დეპოზიტები განაგრძობს ზრდას (21.6% 22.2%, 21%. 26.2%) და მისი ზრდის ტემპი აღემატება 2012 წლის შესაბამისი თვეების ზრდას. აღნიშნულ პერიოდში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0,3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და წლიური 8,1% შეადგინა. 2013 წლის აპრილის მონაცემებით კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობის დიდი ნაწილი (62.7%) უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ეს გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ლარიზაციის დონეზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონეტარული პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებასა და მისი ზეგავლენის ეკონომიკაზე გადაცემაში.

2014 წელს კი, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 144.2 მლნ ლარით (3.2%) და 4.6 მლრდ ლარი შეადგინა. უცხოური ვალუტით დეპოზიტებზე მიმდინარე ანგარიშების წილი 31.4% შეადგენდა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 3.1% (112.6 მლნ დოლარი) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს 3.75 მლნ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებული იყო იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტების მატებით.

2015 წლის იანვარში საქართველოს კომერციულ ბანკებში ლარში განხორციელებული დეპოზიტები 362 მილიონი ლარით შემცირდა, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 678 მილიონი ლარით გაიზარდა, საიდანაც აშშ დოლარში განხორციელებული დეპოზიტები 583 მილიონი ლარით, ევროში განხორციელებული დეპოზიტები კი 78 მილიონი ლარით გაიზარდა. ლარში დეპოზიტების შემცირება მიმდინარე ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე არსებული თანხის შემცირებამ განაპირობა, ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდა ძირითადად ვადიანი დეპოზიტების ზრდის შედეგია.

აღნიშნული სტატისტიკა უჩვენებს, რომ იანვრიდან მოსახლეობამ ლარში განხორციელებული დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში გადატანა დაიწყო. შედეგად, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი (უცხოურ ვალუტაში განხორციელებული დეპოზიტების წილი მთლიან დეპოზიტებში) 3.8 პუნქტით, 57.1%-დან 60.9%-მდე გაიზარდა. სადეპოზიტო ვალდებულებების ზრდა მთლიანად გამოწვეულია მიმდინარე ანგარიშების ზრდით. ამ პერიოდში ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 59.0 მლნ ლარით (1.3%) და 4 მილიარდ 47 მილიონი ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტით დეპოზიტების ზრდა მეტწილად დაფიქსირდა ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშებზე. ლარის რესურსის 62.4%-ი მიმდინარე ანგარიშებზე მოდის .

უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 0.3%-იანი (11.7 მლნ დოლარი) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს 3.67 მლრდ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდით. სავალუტო და ლარით დეპოზიტების ზრდის ტემპიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2015 წლის ივლისში 0.6%-ული პუნქტით გაიზარდა და 63%-ს გაუტოლდა. ივლისის ბოლოსთვის იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 55.4% და 78.3%-ს შეადგენდა.

კომერციული ბანკების მიერ იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან მოზიდული ჯამური დეპოზიტების საშუალო ვადიანობა 9.3 თვეს შეადგენს, საიდანაც ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების საშუალო ვადიანობა დაახლოებით 8 თვეს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტებისა კი დაახლოებით 10 თვეს უტოლდება. შედარებით უფრო მაღალია ცაკლე აღებული ვადიანი დეპოზიტების საშუალო განთავსების პერიოდი კომერციულ ბანკებში, რომელიც ეროვნული ვალუტისთვის 12,1 ხოლო უცხოურისთვის 13,2 თვეს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წელიწადში საქართველოს კომერციულ ბანკებში უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა თითქმის გასამმაგებულია და დღეისთვის 9.824 მილიარდ ლარს შეადგენს, საიდანაც უდიდესი წილი აშშ დოლარში განთავებულ დეპოზიტებზე მოდის — 8 მილიარდი ლარის ეკვივალენტი ლარში (რაც ლარის 65%-იან დოლარიზაციას განაპირობებს); მეორე საფეხურს ევრო იკავებს — 1.5 მილიარდი ლარის ეკვივალენტი ლარში; დეპოზიტებზე აგრეთვე განთავსებულია სხვა ვალუტებიც, ისეთები როგორიცაა — რუსული რუბლი, ბრიტანული ფუნტ-სტერნინგი, შვეიცარიული ფრანკი და სხვა, თუმცა მათი მოცულობა საკმაოდ მოკრძალებულია. უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 44% მოთხოვნამდე დეპოზიტებზე, ხოლო 56% კი ვადიან დეპოზიტებზე მოდის. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები დაახლობით 45%-ითაა გაზრდილი, რაც პრაქტიკულად მთლიანად ეროვნული ვალუტის გაუფასურებითაა გამოწვეული..

ეროვნული ვალუტით მოზიდული დეპოზიდების მაჩვენებელი ბოლო 5 წელიწადში ასევე გასამმაგდა, 2015 წლის სექტემბრში 100 მილიონითაა გაზრდილი და 2.4 მილიარდ ლარს შეადგენს. საიდანაც 1.4 მილიარდი ფიზიკური პირების, ხოლო დარჩენილი 1 მილიარდი ლარი იურიდიული პირების კუთვნილებაა. ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 1/3 მოთხოვნამდე, ხოლო 2/3 ვადიან დეპოზიტებზეა განთავსებული, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთებით 4.0% და 9.5%. ხოლო 2016 წელს თითქმის იგივე მდგომარეობაა უფრო ნაკლები საპროცენტო განაკვეთებით.

უცხოურ ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთები მცირდება, ლარში კი იზრდება. მეანაბრეებს, რომლებმაც ლარის დევალვაციის შიშით ეროვნული ვალუტაში გახსნილი ანაბარი დოლარში დააკონვერტირეს შემცირებულ საპროცენტო განაკვეთებს უნდა შეეგუონ, ან კონვერტაცია ახლა ლარში განახორციელონ, თუმცა, ვალუტების ხშირი კონვერტირებით უფრო მეტ ზარალს მიიღებენ.

ერთის მხრივ საბანკო დეპოზიტი კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და მსოფლიოში ინვესტირების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. მათთვის, ვისაც ფულის არა უბრალოდ შენახვა, არამედ გარკვეული სარგებლისმიღებაც სურთ, საბანკო დეპოზიტი კარგი მექანიზმია. საქართველოში ამ პროდუქტის მიმართ ნდობა არ არის ძალიან მაღალი, ვინაიდან ჯერ 20 წელიც არ არის გასული, რაც მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს 90-იან წლებში განვითარებული ჰიპერინფლაციის შედეგად ანაბრები გაუუფასურდათ და ფაქტობრივად გაუქრათ, თუმცა ბოლო წლებია, რაც დეპოზიდების ზრდის ტენდენცია საკმაოდ თვალშისაცემია და ეს ინსტრუმენტი იბრუნებს იმ მნიშვნელობას, რაც თანამედროვე მსოფლიოში გააჩნია - პასიური, მაგრამ ნაკლებად რისკიანი წყარო ინვესტიციისთვის.

ხოლო, მეორე მხრივ, კი კომერციული ბანკის ფინანსური სიძლიერის, გადახდისუნარიანობის, საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების ძირითადი კომპონენტია კომერციული ბანკი კაპიტალის ადეკვატურობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბანკის კაპიტალის არსსა და მიზნებს. თავის მხრივ, კი ბანკის კაპიტალის მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს ბანკში დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების შენახვის საიმედოობა, საბანკო საქმიანობის რისკებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა, რათა ბანკის ფინანსური დანაკარგების, ზარალისა და გაკოტრების შედეგებით გამოწვეული პროცესები არ გავრცელდეს სხვა ბანკებზე, არ მიიღოს სისტემური ხასიათი და მინიმუმადე იქნეს დაყვანილი სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობა, უზრუნველყოფილ იქნეს საბანკო საქმიანობის განხორციელება, გაიზარდოს საბანკო ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობები, როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე სამომავლოდ. ამასთან, იგი უნდა იძლეოდეს მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგებისა და ზარალის განეიტრალების საშუალებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია კომერციული ბანკების რესურსების მოზიდვის მიმართულებით საქმიანობის შემდგომი სრულყოფა და გაუმჯობესება. მიგვაჩნია, რომ ეფექტური სადეპოზიტო პოლიტიკა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს, დეპოზიტების სახეების სწორ შერჩევას, მათზე გონივრული საპროცენტო განაკვეთების დაწესებას და დეპოზიტური სახრების მუდმივ მონიტორინგსა და ანალიზს წარმოადგენს საბანკო საქმიანობის მაღალრენტაბელური შედეგების წინაპირობას.

დასკვნა

საქართველოს კომერციულ ბანკებში დეპოზიტური საქმიანობის ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ახასიათებენ სადეპოზიტო პოლიტიკას, დეპოზიტური სახსრების დინამიკას, მათი მობილიზების ფორმებისა და მეთოდების ეფექტურობას, გამოყენების მიზნობრიობასა და მიმართულებებს, დეპოზიტების მოცულობასა და საპროცენტო გა-

ნაკვეთებზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს. საკვლევი მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება განვსაზღვროთ ის ძირითადი ფაქტორები და ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელი და მნიშვნელოვანი იქნება კომერციული ბანკების სადეპოზიტო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებით, მოზიდული სახსრების სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.

უპირველეს ყოვლისა, კომერციული ბანკების საქმიანობის სტაბილურობისათვის აქტიური და პასიური ოპერაციების დაბალანსებულობის მაღალი დონის მიღწევა;

ეფექტური სადეპოზიტო პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება;

· ფიზიკური და იურიდიული პირების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზების სრულყოფილი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა;

დეპოზიტებზე გონივრული საპროცენტო განაკვეთებისა და ვადების დაწესება, რომელიც ერთი მხრივ მიმზიდველი და საიმედო იქნება მომხმარებლისათვის, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ბანკისათვის საკრედიტო რესურსების მობილიზებას ხანგრძლივი ვადით.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ნდობის ამაღლების მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა;

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის არსისა განსაზღვრა, ასევე მისი როლის კვლევა, თუ რამდენად აუცილებელი და მიზნობრივია მისი დანერგვა საქართველოს საბანკო სისტემაში. რა დადებითი და უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება ამ სისტემის შემოღება;

მეტად მნიშვნელოვანია საბანკო სისტემისა და ფულადი სახსრების განთავსების ალტერნატიულ საშუალებას ფასიანი ქაღალდების ბაზარს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა. საქართველოში საფონდო ბაზრის განვითარება შეამცირებს თუ არა საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების ოდენობას და რა გავლენა ექნება მას ფულადი ბაზრის სტრუქტურაზე;

ეკონომიკური და სავალუტო კრიზისების უარყოფითი შედეგების გავლენის შემცირება მობილიზებული ფულადი თანხების მოცულობასა და შემადგენლობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბანკო სისტემა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ყვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციასა და განვითარებაში. მისი წარმატებული თუ წარუმატებელი ფუნქციონირება ასახვას ჰპოვებს, როგორც ფინასური სისტემის სხვა მონაწილეების საქმიანობაზე, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებზე. მიმდინარე პერიოდში საქართველოს ეკონომიკის წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას. აუცილებელია, ერთი მხრივ, სახელმწიფომ და მეორე მხრივ, საფინანსო სექტორის ყოველმა მონაწილემ თავისი როლი შეასრულოს. ეკონომიკის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება კი ობიექტურად მოითხოვს, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკები მამოძრავებელ ბერკეტად გადაიქცეს, რომლის მეშვეობითაც ეროვნულ ეკონომიკაში უნდა მოხდეს დამატებითი ფულადი სახსრების საბანკო საკრედიტო რესურსების სახით გამოყენება, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა და ეროვნული მეურნეობის დინამიური განვითარების უზრუნველყოფაში კატალიზატორის როლის შესრულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლ.- საბანკო საქმიანობის საფუძვლები. თბილისი, ,,პოლიგრაფი'' 2012 (1046გვ.);
2. კოვზანაძე ი.- საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი 2013წ;
3. კოვზა ნაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. 2014 წ.
4. გოგოხია მ.- საბანკო საქმე (ლექციების კურსი) , თბილისი, ,,ინოვაცია“. 2008 (404გვ.);
5. ცაავა გ., ხანთაძე გ.- საბანკო საქმე, თბილისი , ,,დანი“ 2014 (600გვ.).

www.abg.gov.ge;
www.nbg.gov.ge;
www.geostat.ge;
www.georgianbanks.com;
www.lari.ge;
www.statistics.ge;
www.bog.ge;
www.worldpress.com;

ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთპარტნიორობის პერსპექტივები

ევგენი ბარათაშვილი,
სტუ-ს პროფესორი

თამარ ლაგვილავა,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი არამარტო გარკვეული ვალდებულებების შესრულებას, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახლებური ხედვისა და მიდგომების გაზიარებას გულისხმობს.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს (DCFTA), რომლის ამოქმედებით საქართველოში წარმოებული პროდუქციისათვის, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაიხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც 28 ქვეყანასა და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, პოლიტიკურ სტაბილურობას და მწვავე სოცილაური პრობლემების გადაჭრას.

საკვანძო სიტყვები: ევროინტეგრაცია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, შეთნხმება თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ

Economic Partnership Perspectives with European Union

Evgeni Baratashvili,
Professor of GTU
Tamar Lagvilava,
PHD of GTU

Summary

The EU integration process is not only the implementation of certain obligations, but also the sharing of a new vision and approach on the country's socio-economic development.

In the Association Agreement between the European Union and Georgia one important part is the Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA). Application of the DCFTA provides access to the world's largest market, encompassing 28 countries and 500 million consumers for Georgian products meeting European standards. All this provides a long-term economic growth, political stability and acute social problems.

Keywords: European integration, socio-economic development, the Agreement on Free Trade Area

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ დამოუკიდებლობის დეკლარირება გააკეთა, რეალურად, მაშინაც და მომდევნო, დაახლოებით, ათი წელი ვიყავით რუსეთის ნაწილი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ოცწლეულში საქართველოს ეკონომიკამ დიდი ცვლილებები განიცადა. განსაკუთრებით მძიმე გამოდგა დამოუკიდებლობის პირველი წლები, როცა ყოველგვარი გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე მყოფი ქვეყანა შეიარაღებულ კონფლიქტებში აღმოჩნდა ჩათრეული. მნიშვნელოვანი შეცდომები იქნა დაშვებული მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. საქართველოს ეკონომიკაზე 1998 წლის რუსეთის დეფოლტის უარყოფითმა გავლენამ, ხოლო შემდგომ ეკონომიკის რეფორმირებისას დაშვებულმა შეცდომებმა ქვეყანაში საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი გაამწვავა. 2003 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 52 პროცენტს საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა. რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას განაპირობებდა ის, რომ ყველაფერი მიბმული იყო რუსეთის ბაზართან. რუსეთს შეეძლო ნებისმიერ დროს ამ დეკლარირებული თავისუფლება დაესრულებინა. წლების განმავლობაში ჩვენ მუდმივად ვეძებდით საგარეო ვაჭრობაში პარტნიორს, ორგანიზაციას თუ ქვეყანას, რომელიც მხარს დაუჭერდა საქართველოს და ჩვენს ეკონომიკურ განვითარებას. მსოფლიო ხშირად ახსენებს ე.წ. „აზიურ ვეფხვებს", განვითარებულ აზიურ ქვეყნებს და არასდროს ვუსვამთ ხაზს იმას, რომ ეს ქვეყნები იმიტომ არიან წარმატებულნი, რომ მათი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ევროპაა. წლების განმავლობაში საქართველოს საზრუნავი იყო შეეცვალა ვაჭრობის გეოგრაფია, თავდაპირველად იყო GSP-ი, ანუ შეღავათიანი ტარიფები. შემდეგ

ევროპამ უფრო მეტი ასპარეზი მოგვცა და ე.წ. „GSP+"-ის რეჟიმში გადაგვიყვანა, რომლის ფარგლებშიც 7000 დასახელების საქონელზე მოხსნა საბაჟო გადასახადი. ტარიფების გარდა, დარჩა არასატარიფო ბარიერები, რომელმაც ხელი შეუშალა საქართველოს ბიზნესი შერწყმოდა ევროპას.

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა უმნიშვნელოვანესია ინვესტიციების ზრდის კუთხით: როცა ინვესტორი იღებს გადაწყვეტილებას, მოახდინოს ინვესტირება ამა თუ იმ ქვეყანაში, ის ითვლის ამ ქვეყნის ბაზრის მოცულობას. რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა, ინვესტორთა მხრიდან

მუდმივად მიმდინარეობს ორჭოფობა ინვესტირების თაობაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, საქართველო ხდება უკვე ევროპის ბაზრის ნაწილი და როცა ვინმე ინვესტირებას აკეთებს საქართველოში, ის იმანენტურად მოიაზრებს მთელს ევროპას, როგორც ბაზარს. ეს არის ძალიან დიდი შესაძლებლობა მოსახლეობისთვის. როდის იგრძნობს ამას მოსახლეობა? მინიმუმ 2-3 წლის შემდეგ. დრო სჭირდება იმას, რომ მოხდეს საწარმოების გადმოტანა ევროპიდან ან აზიიდან საქართველოში, მოხდეს ინვენტარიზაცია, ამუშავდეს და შემდგომ ეს ყველაფერი დაუბრუნდეს მოსახლეობას, როგორც მეტი შემოსავალი, სოციალური დაცვის მხრივ მეტი გარანტიები და, ბუნებრივია, მაღალი ხელფასი.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) სარგებლის მომტანი იქნება საქართველოსთვის იმ მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით, რომელთაც ექნებათ წვდომა უკეთესი ხარისხის პროდუქციასთან შიდა ბაზარზე და უფრო შორეული პერსპექტივით, გაეზრდებათ შემოსავლები ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად სტიმულირებული ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის გამო. შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების გამოყენების წარსული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ვაჭრობა ცალსახად იხრება იმ პროდუქტებისკენ, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული შეღავათები. შესაძლო მნიშვნელოვანი გამოწვევები, იქნება ასევე გაზრდილი იმპორტი ევროკავშირიდან და დამატებითი წნეხი ადგილობრივ მწარმოებლებზე, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, რასაც დაემატება გაზრდილი ღირებულება პროდუქტებზე ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მკაცრი მოთხოვნის გამო.

DCFTA შეთანხმების ამოქმედებით გამოწვეული შესაძლო გვერდითი ეფექტებისა და გამოწვევების შერბილების მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ რეკომენდაციები, მიმართული სამ ძირითად სექტორისკენ: საქართველოს მთავრობა, ევროკავშირი, საქართველოს პარლამენტი და არასამთავრობო ორგანიზაციები. საქართველოს მთავრობა და ევროკავშირი - ანალიტიკური არასამთავრობო ორგანიზაციების გამოყენებით ექსპერტიზისა და დამატებითი ადამიანური რესურსების კუთხით და საჯარო დიალოგების წარმართვის სტიმულირებისთვის აღნიშნულ პროცესში აუცილებელია საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის, მისი საექსპორტო პოტენციალის შეფასებით და იმ სექტორების განსაზღვრით, რომლებშიც საქართველო, შესაძლოა, კონკურენტულ უპირატესობას ფლობდეს. ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის შეფასება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მხრივ და უფრო მეტად პერსპექტიულ სფეროებზე აქცენტირება პირველ ხანებში, რაც მომდევნო პერიოდში დაგროვილი სარგებლის სხვა სფეროებზე გადანაწილებას გულისხმობს. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ევროკავშირის მიერ მოწოდებული ტექნიკური და ფინანსური დახმარების სწორ მიმართვაზე, ხელშესახები შედეგების მიღების მიზნით. ევროკავშირის ქვეყნებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ნავარაუდევი ზრდის შედეგად ადგილობრივ მწარმოებლებზე გამოწვეული წნეხის შერბილების მიზნით მთავრობამ უნდა შეიმუშავოს მიზნობრივი სექტორალური პროგრამები და ინიციატივები კონკურენტულ დარგებში ექსპორტის პოტენციალის ზრდის მიზნით. ეს ინიციატივები, უპირველესად, მიმართულ უნდა იქნას ადგილობრივი მწარმოებლების დახმარებისკენ, რათა მათ წარმატებით შეძლონ ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტიზაციის პროცედურების დაკმაყოფილება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება არასატარიფო ღონისძიებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. ამ მხრივ, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს დახმარებას სერტიფიცირების პროცედურებში, კონსულტაციების ჩატარებას, ფერმერების სახლებისა და ტრენინგცენტრების როლის ზრდას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საკვანძო მნიშვნელობის მქონეა მწარმოებლებისთვის, ტრენინგისა და განათლების პარალელურად. ასიმეტრიული ინფორმაციის დაძლევის ერთ-ერთი წარმატებული გზა შეიძლება იყოს სახელმძღვანელოს შექმნა მწარმოებლებისთვის, სადაც მოცემული იქნება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში. სახელმძღვანელო უნდა იყოს ძალზე კონკრეტული და შეიცავდეს ინფორმაციას სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებპორტალი თავდაპირველად სწორედ ამ მიზნით შეიქმნა, მაგრამ ამჟამად იგი ძალზე ფართოა და არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას სექტორალურ პროდუქტზე, პროდუქტის კოდის მიხედვით. საინფორმაციო კამპანია დაეხმარება აგრობიზნესში ჩართულ ადამიანებს, უკეთ გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და ასევე, უკეთ გაიაზრონ გამოწვევები. ევროკავშირის როლი აღნიშნულ პროცესში გულისხმობს ასოცირების შეთანხმების კონკრეტული მუხლების გარკვევით ახსნა-განმარტებას, რომლებიც ერთი წაკითხვით რთულია აღსაქმელად და რამდენადმე ურთიერთგამომრიცხავიც კია. ინფორმაცია საზოგადოებას უნდა გადაეცეს სამოქალაქო საზოგადოების სექტორების მეშვეობით, რომლებიც, თავის მხრივ, მას ბიზნესორგანიზაციებს და ფართო საზოგადოებას მიაწვდიან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად გადაჭარბებულად დიდი იმედები იმისა, რომ ქართული პროდუქცია დაიპყრობს ევროპულ ბაზარს, არ უნდა გვქონდეს. გარდა ევროკავშირის მიერ საკუთარი ბაზრის დაცვისა, ჩვენი ამჟამინდელი პოტენციალი ევროპულ ბაზარზე დასამკვიდრებლად მეტისმეტად სუსტია იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის უსუსტესი

რგოლი, ამ დარგში საქართველოში შრომის მწარმოებლურობა 60-ჯერ და მეტად ჩამორჩება ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებელს. თავად საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარი თითქმის 4/5-ით ოკუპირებულია იმპორტირებული საქონლით და პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს არა საგარეო ექსპანსია, არამედ შიდა სამომხმარებლო ბაზრის „რეკონკისტა" — სამამულო წარმოების პროდუქციის მიერ წამყვანი როლის დამკვიდრება შიდა სამომხმარებლო სასურსათო ბაზარზე. მაგალითად, ევროკავშირში, შეთანხმებით, შესაძლებელი გახდება 4.4 ათასი ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და 0.5 ათასი ტონა ფრინველის ხორცის შეტანა. მაგრამ თავად საქართველოში ხორცის მოხმარებაში ადგილობრივი წარმოების ხორცის წილი მხოლოდ 36 პროცენტია და ყოველწლიურად ხორციელდება 60 ათას ტონაზე მეტი ხორცის იმპორტი.

საქართველოში ისედაც დაბალი იმპორტის (საბაჟო) გადასახადებია და მათი მეშვეობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად მობილიზებული თანხა მხოლოდ დაახლოებით 90 მლნ ლარია — ამჟამინდელი საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 1.2 პროცენტი. შესაბამისად, ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების კლება დაახლოებით 25-30 მლნ. ლარი იქნება. მისი კომპენსირება შესაძლებელი იქნება იმით, რომ ექსპორტის ყოველწლიური მატება ბოლო წლებში 400 მლნ. აშშ დოლარს აღემატება და მხოლოდ აღნიშნული ნამატის წარმოებით მიღებული მოგების გადასახადი მნიშვნელოვნად აღემატება ბიუჯეტის მოსალოდნელ კლებას ევროკავშირიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადების შემცირებით.

ექსპერტები ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას ვარაუდობენ 1.7%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში — 4.3%-ით. ექსპორტის ზრდას, შესაბამისად, 9% და 12%-ით, ხოლო იმპორტისა — 4.4% და 7.5%-ით. მაგრამ არაფერი არაა ნათქვამი, არის თუ არა გათვალისწინებული აღნიშნულ ზრდაში სინერგიის ეფექტი, რაც შეიძლება შეთანხმების შედეგად შესაძლებლობებისა და მოთხოვნების ზრდამ გამოიწვიოს. საქართველოს ექსპორტი ბოლო 8 წლის მანძილზე (2006-2013 წლებში) საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა დაახლოებით 16.5%-ით ხოლო იმპორტი 15.7%-ით. ფაქტობრივად, გამოდის,რომ შეთანხმების შემდეგ ექსპორტის ზრდის ტემპი შემცირდება, ხოლო იმპორტისა - უცვლელი დარჩება. პროდუქციის ხარისხის ზრდა და ევროკავშირის (და, შესაბამისად, მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანა) გამოიწვევს უახლოეს წლებში არა მარტო ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, არამედ ევროკავშირში ექსპორტის რეალურ ზრდას საშუალოდ 1.5-2-ჯერ, ანუ 300-600 მლნ დოლარით, რაც ქვეყანაში მშპ-ის დაახლოებით 2%-იანი ზრდის ეკვივალენტი იქნება.

ევროკავშირში მოკლე დროში და დიდი რაოდენობით ვერ მოხდება ქართული პროდუქციის შეტანა. დღეისათვის ევროკავშირის ბაზარი, სტრუქტურირებული, გაჯერებული და საკმაოდ დაცულია იმისათვის, რომ მასში შესვლა და დამკვიდრება, მნიშვნელოვანი სეგმენტის მოპოვება შეძლონ ახალმა მოთამაშეებმა. ეს გარკვეულ წილად წააგავს იმ მოლოდინს, რაც საქართველოს წინა ხელისუფლებას გააჩნდა ჩინეთის ბაზრისადმი ქართული ღვინის ექსპორტის კუთხით. — ფაქტობრივად კი, ჩინეთის 1.5 -მილიარდიანი მოსახლეობის მქონე ბაზარმა 2006-2012 წლებში შეიძინა იმ ქართული ღვინის მხოლოდ 10%, რაც რუსეთის 143-მილიონიანმა ბაზარმა — მხოლოდ 2006 წლის პირველი 4 თვის მანძილზე (ემბარგოს გამოცხადებამდე). ამიტომ, ზოგადად 500 მლნ-იანი ბაზარი საინტერესო და მომხიბვლელია ქართული ეკონომიკისთვის, თუმცა იქ დამკვიდრება გულისხმობს თამაშის შესაბამის წესის, ადეკვატური ხარისხისა და მიწოდების პირობების დაცვას, უმკაცრესი კონკურენციის დაძლევას, რა მხრივაც ქართულ მხარეს ჯერ კიდევ მოუწევს სერიოზული და ხანგრძლივი მუშაობა. თუ პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი საერთო ევროპულ ბაზარზე ქართული პროდუქციის საგრძნობი ექსპანსიით ვერ მოხდება, მაშინ საბოლოო ჯამში, რა კონკრეტული სარგებელის მომტანი იქნება აღნიშნული შეთანხმება ზოგადად ქართული ეკონომიკისათვის და კონკრეტულად, რიგითი ქართველი მომხმარებლისთვის?

შეთანხმების ერთ—ერთი თვალსაჩინო შედეგია სავიზო რეჟიმის გაიოლება, აგრეთვე ქართული ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ზრდა, საშუალო და მცირე საწარმოების მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ახალგაზრდებისთვის ევროპული განათლების ხელმიწვდომობის გაუმჯობესება და ენერგეტიკის სფეროში ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს, გამყარებული სამართლებრივი ფონისა და კანონის უზენაესობის, ნებისმიერი ინსტიტუტის, სამსახურის და საჯარო მოხელის საქმიანობის ტრანსფარეტულობისა და პასუხისმგებლობის ზრდის ფონზე. ამავე დროს, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ხელშეკრულება შეიძლება განხილულ იქნას როგორც მთავარი ლეიტმოტივი არა იმდენად ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრების, საქართველოდან ექსპორტის წახალისების სტრატეგიაში, რამდენადაც საქართველოს შიდა ბაზარზე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ქართული სამამულო პროდუქციის წარმოებისა და დამკვიდრებისათვის, იმპორტირებული საქონლის ქართული პროდუქციით ჩანაცვლებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადეიშვილი გ., ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია. თბ., 1998.

2. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ., თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, გამომცემლობა ,,უნივერსალი'', თბ. 2011.

3. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ.2005,

4. არნანია-კეპულაძე თ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. თბ., 2009

5. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში https://eeas.europa.eu/delegations/georgia_ka

5. http://mfa.gov.ge/

An Evaluation of the Business and Financial Performance of the Company

ZhuzhunaTsiklauri -Shengelia, Professor of GTU

NatiaShengelia, . Professor of GTU

Summary

Business and Financial Performance play an important role together in the evaluation of a company and based on the results in the formation of the corresponding future strategy. Ratio analysis enable us to analyze the financial performance of the entities; while the business competitiveness and the macro and micro environment can be estimated with the help of the SWOT and Porter's 5 Forces models.All these techniquescan be regarded as a key management tool for assessing the company in a complex way, for evaluating as its financial health as well as its potential for growth and overcoming with the competitive pressures.

Keywords: Competitiveness, Business Analysis, Company, Financial Performance, Ratio Analysis, SWOT analysis, Porter's 5 Forces , Evaluation, Strategy.

* * * * * *

The estimation of the business and financial performance play a key role on the one hand for the business itself in order to help in the determining the strategies or developing plans, prognoses, on the other hand globally for the growth of economy. Ratio analysis enable us to analyze the financial performance of the entities; We can analyze the entity's business performance through understanding its macro and micro environment, the impact of the internal and external factors on the company, its competitiveness by using the different business models. There should be pointed out the SWOT(Strengths, Weaknesses, Opportunities and Threats)and Porter's 5 Forces Analysis techniques.

Ratio Analysis:

Ratio analysis is "an invaluable tool to a business management to determine the performance of a business entity and to take cost controlling measures as and when necessary, "a clear understanding about **profitability, liquidity, solvency and efficiency of business entity"** (Linkedin, 2014)**.**

The reason why I mentioned this accounting technique is that it helps "to learn more about a company's current financial health as well as its potential." (Zions Bank: zions business resoucre center, 1999-2005) Furthermore, it enable us: 1) toexamine theperformances of the company in comparison with the past periods in order to know the important changes that affected on it. 2) Also to compare its performance with its comparator from the same industry, to find out what was the main different successful project that my chosen company could have implemented and etc.

In the process of evaluation the following ratios can be used:

1. Profitability ratios:.Net Profit Margin, Operating Income Margin,Return on Investment (ROI), Return on Equity (ROE).Theyhelp to examine the revenues-its types and changes in its trend f.ex. Revenue Growth, % of R&D, Marketing Costs to Sales;the reasons why the profit or gross margin has increased, f.ex. due to the changes in marketing costs, fixed or variable costs, to reduce prices.
2. Liquidity ratios- Acid Test or quick, working capital, current ratios. By analyzing them it is easy to understand the company's "attempt to measure a company's ability to pay off its short-term debt obligations…... a company with a low coverage rate should raise a red flag for investors as it may be a sign that the company will have difficulty meeting running its operations, as well as meeting its obligations" (Investopedia.com : Richard Loth, 2016).
3. Leverage ratios-Debt to Equity, Interest Coverage ratio, Capitalization Ratio and etc. They explain how much the company is dependent on the loan.
4. Investor ratios- Dividend Yield, Price/Earnings Ratio, Price/Sales Ratio and etc. These are the ratios which the investors rely on.
5. Efficiency Ratios: Cash Turnover, Fixed Asset Turnover, Accounts Receivable Turnover, Days payable outstanding and etc.

To sum up, Ratio Analysis has as many advantages as well as some limitations.

Advantages:

- Provisions of Analysis of Financial Statement in a systematic approach;
- Understanding the relationships between various issues, highlighting the main changes;
- Enabling to compare various businesses, comparator companies.

Limitations:

- "Ratios deal mainly in numbers – they don't address issues like product quality, customer service, employee morale and so on (though those factors play an important role in financial performance);
- Ratios largely look at the past, not the future. However, investment analysts will make assumptions about future performance using ratios;
- Financial information can be "massaged" in several ways to make the figures used for ratios more attractive. For example, many businesses delay payments to trade creditors at the end of the financial year to make the cash balance higher than normal and the creditor days figure higher too" (http://www.tutor2u.net, 2015). One of this technique is known as "window-dressing".

SWOT Analysis :

"The SWOT analysis is a classic strategic planning tool originating from business and marketing analysis that encourages groups (or individuals) to reflect on and assess the **S**trengths, **W**eaknesses, **O**pportunities and **T**hreats of a particular strategy and how it can best be implemented" (BetterEvaluation, 2014). "The SWOT analysis headings provide a good framework for reviewing strategy, position and direction of a company or business proposition, or any other idea" (businessballs, 2016).

During the SWOT analysisthe company is analyzedquickly in a complex, systematic approach. From its advantages there should mentioned the following:

"Using a SWOT, you can:

- Understand your business better;
- Address weaknesses;
- Deter threats;
- Take advantage of your strengths;
- Develop business goals and strategies for achieving them" (Queensland Government, 2016).

Limitations:

"A SWOT analysismaybelimitedbecauseit:

- Doesn'tprioritiseissues;
- Doesn'tprovidesolutionsorofferalternativedecisions;
- Cangeneratetoomanyideasbutnothelpyouchooseewhichoneisbest;
- Canproduce a lotofinformation, butnotallofitisuseful" (Queensland Government, 2016).



From the strengths we can refer the leading position on the market, focus on innovations; Unsuccessful clinical trials may be the weakness for a pharmaceutical company; Strategic initiatives, such as creating joint ventures, diversions, extensionsare the opportunities for the company;Government regulations, uncertain R&D outcomes can be the threats.

Porter's Five Forces:

"This theory is based on the concept that there are five forces that determine the competitive intensity and attractiveness of a market. Porter's five forces help to identify where power lies in a business situation. This is useful both in understanding the strength of an organization's current competitive position, and the strength of a position that an organization may look to move into. Strategic analysts often use Porter's five forces to understand whether new products or services are potentially profitable. By understanding where power lies, the theory can also be used to identify areas of strength, to improve weaknesses and to avoid mistakes"(Chartered Global Management Accountant, 2013).

During "the fight for market share, competition is not manifested only in the other players. Rather, competition in an industry is rooted in its underlying economics, and competitive forces exist that go well beyond the established combatants in a particular industry. Customers, suppliers, potential entrants, and substitute products are all competitors that may be more or less prominent or active depending on the industry" (Porter, 1979).

So, Porter's 5 Forcesestimate the company's abilities, strategies in the market in comparison with its comparator, and then make assumptions about its strengths, weaknesses; whether it would be able to grow further, to overcome with the difficulties connected to the new legislation, new entrants, and substitutes.

Advantages are:

"Porter's five forces can help to inform decisions relating to:

- Whether to enter a specific industry;
- Whether to increase capacity in a specific industry;
- Whether to develop competitive strategies" (Chartered Global Management Accountant, 2013).

Limitations are:

- "Analyzing the perfect markets, not considering regulations broadly;
- Too narrow focus on the industries with multiple interrelations, product groups, by-products, segments and intermediaries;
- Less suitable for analyzing highly collaborative markets" (Recklies, 2015).

Finally, all the accounting techniques, such as ratio analysis and the business analysis models, that were discussed above: SWOT and Porter's 5 Forces are an important management tool for the evaluation the company in a complex way, toassess as its financial health as well as its potential for growth.

References:

1. BetterEvaluation, 2014. SWOT Analysis. [Online] Available at: http://betterevaluation.org/evaluation-options/swotanalysis.
2. businessballs, 2016. swot analysis. [Online] Available at: http://www.businessballs.com/swotanalysisfreetemplate.htm.
3. Chartered Global Management Accountant, 2013. ESSENTIAL TOOLS FOR MANAGEMENT ACCOUNTANTS. [Online] Available at: http://www.cgma.org/Resources/Tools/essential-tools/DownloadableDocuments.
4. http://www.tutor2u.net, 2015. Value and Limitations of Ratio Analysis. [Online] Available at: http://www.tutor2u.net/business/reference/value-and-limitations-of-ratio-analysis.
5. Investopedia.com : Richard Loth, 2016. Liquidity Measurement Ratios. [Online] Available at: http://www.investopedia.com/university/ratios/liquidity-measurement.
6. Linkedin, 2014. Importance of Ratio Analysis In Business Management. [Online] Available at: https://www.linkedin.com/pulse/20140909075041-59817714-importance-of-ratio-analysis-in-business-management.
7. Porter, M. E., 1979. How Competitive Forces Shape Strategy. Harvard Business Review, Issue 1979 March.
8. Queensland Government, 2016. Benefits and limitations of SWOT analysis. [Online] Available at: https://www.business.qld.gov.au/business/starting/market-customer-research/swot-analysis/benefits-limitations-swot-analysis [Accessed 25 August 2016].
9. Recklies, D., 2015. Porters Five Forces – content, application, and critique. [Online] Available at: http://www.themanager.org/2015/11/porters-five-forces/ [Accessed 11 September 2016].
10. thenest.com: Cory Mitchell, Demand Media, 1997-2016. What Is the Importance of Investor Ratios?. [Online] Available at: http://budgeting.thenest.com/importance-investor-ratios-23490.html.
11. Zions Bank: zions business resoucre center, 1999-2005. Why Use Financial Ratio Analysis?. In: A. Auerbach, ed. Business Builder 6-How to Analyze your Business Using Financial Ratios . s.l.: Edward Lowe Foundation, p. 5.

დამატებული ეკონომიკური ღირებულების უპირატესობანი

ირინა მამალაძე,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

Preferences of Economic Value Added

Irina Mamaladze,
Associated Professor of Gtu

Management realized on cost basis equires more independence for modern companies. At the end of 1980 ies appeared a new conception –company management based on economic value added (EVA) which today is the best conception and excepted by many companies.

EVA is a simple method and is meant that the from should create such flows of free cash owing to which the benefit exceeds necessary profitability norm. This made the methods to be popular in the whole world and academic circles as well.

To define the company efficiency is a key issue in management aspect. Material benefit of the company strategy etc are dependent on this.

One of the main differences of EVA from other indices of efficiency is that it does not take into consideration all cost expenses on business management –both explicit expenses and implicit expenses.

Corrections realized during EVA defining are used for various businesses: mining, service, financial and industry, because the value driver will always be assets of different types which are not considered in standard methodic of accounting.

It is necessary to define key factors of economic profit as a measure of strategic efficiency of company business in order to create effective system of management.

This is possible on the basis of econometric analysis.

The figure of EVA is simple to calculate on the one hand and on the other hand it enables us to estimate not only fundamental value but it may be used as the indicator of change and as that of company business efficiency at any time moment. Today theoretic and practitioner are particularly interested in this.

რეზიუმე

თანამედროვე კომპანიებისათვის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ღირებულების საფუძველზე განხორციელებული მართვა. ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა ახალი კონცეფცია — კომპანიის მართვა დამატებული ეკონომიკური ღირებულების (EVA®) საფუძველზე, რომელიც ამჟად უკვე ყველაზე უფრო კარგად დამუშავებული და მრავალ კომპანიაში მიღებული კონცეფციაა.

EVA® მარტივი მეთოდია და იმას გულისხმობს, რომ ფირმა გამუდმებით უნდა წარმოქმნიდეს თავისუფალი ფულადი სახსრების ისეთ ნაკადებს, რომელთა წყალობით მიღებული მოგება აჭარბებს შემოსავლიანობის აუცილებელ ნორმას. ამით ეს მეთოდი მეტად პოპულარული გახდა როგორც მთელი მსოფლიოს კომპანიებში ისე აკადემიურ წრეებშიც.

კომპანიის ეფექტიანობის განსაზღვრა საკვანძო საკითხია მართვის თვალსაზრისით: ამაზეა დამოკიდებული კომპანიის მესაკუთრეთა მატერიალური სარგებელი, მმართველი რგოლის ბონუსები, კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრა და ა.შ.

ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლებისაგან EVA® -ის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება ისაა, რომ იგი არ ითვალისწინებს ბიზნესის წარმართვაზე გაწეულ ყველა დანახარჯს – როგორც ფაქტიურს (აშკარას), ისე ალტერნატიულს (ფარულს).

EVA®-ის განსაზღვრის დროს განხორციელებულ კორექტირებებს სხვადასხვა ბიზნესისათვის იტყენებენ: მომპოვებელ, მომსახურე, საფინანსო თუ სამრეწველო, რადგან ღირებულების დრაივერი ყოველთვის იქნება სხვადასხვა ტიპის აქტივები, რომლებსაც ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტულ მეთოდიკებში არ ითვალისწინებენ.

ღირებულების მართვის ეფექტიანი სიტემის შექმნისთვის აუცილებელია ეკონომიკური მოგების, როგორც კომპანიის საქმიანობის სტრატეგიული ეფექტიანობის საზომის, საკვანძო ფაქტროების განსაზღვარ. ეს ეკონომეტრიკული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი.

EVA® მაჩვენებელი, ერთი მხრივ, ადვილად გასაანგარიშებელია, ხოლო მეორე მხრივ, არა მარტო ფუნდამენტური ღირებულების შეფასების საშუალებას გვიქმნის, არამედ მისი ცვლილების მაჩვენებლად და დროის ყოველ მომენტში კომპანიის საქმინობის ეფექტიანობის ინდიკატორადაც გამოდგება. სწორედ ამით იწევს იგი დღეს როგროც თეორეტიკოსთა ისე პრაქტიკოსთა განსაკუთრებულ ინტერესს.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მოგება, კომპანიის სტრატეგიული ეფექტიანობა, კომპანიის ღირებულება, კომპანიის ღირებულების მართვა.

* * * * * *

თანამედროვე კომპანიებისათვის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ღირებულების საფუძველზე განხორციელებული მართვა. ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა ახალი კონცეფცია — კომპანიის მართვა დამატებული ეკონომიკური ღირებულების (EVA®) საფუძველზე, რომელიც ამჟად უკვე ყველაზე უფრო კარგად დამუშავებული და

მრავალ კომპანიაში მიღებული კონცეფციაა.

EVA® მარტივი მეთოდია და იმას გულისხმობს, რომ ფირმა გამუდმებით უნდა წარმოქმნიდეს თავისუფალი ფულადი სახსრების ისეთ ნაკადებს, რომელთა წყალობით მიღებული მოგება აჭარბებს შემოსავლიანობის აუცილებელ ნორმას. ამით ეს მეთოდი მეტად პოპულარული გახდა როგორც მთელი მსოფლიოს კომპანიებში ისე აკადემიურ წრეებშიც.

კომპანიის ეფექტიანობის განსაზღვრა საკვანძო საკითხია მართვის თვალ-საზრისით: ამაზეა დამოკიდებული კომპანიის მესაკუთრეთა მატერიალური სარგებელი, მმართველი რგოლის ბონუსები, კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრა და ა.შ.

კომპანიის საქმიანობის და მისი მართვის ეფექტიანობის შეფასება მარტივი ბუღალტრული მაჩვენებლებით ვერ გვაძლევს ადეკვატურ პასუხს, რადგან ეს შეფასება ხშირად სამართლიანი არაა. ამის ალტერნატიული მიდგომა ეყრდნობა ფულადი ნაკადების დისკონტირების (DCF) ან შემოსავლიანობის შინაგანი ნორმის (IRR) მოდე-ლებს. თუმცა ასეთი მიდგომების დროს კომპანიების ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი პოსტპროგნოზულ პერიოდს უკავშირდება. მისი განსაზღვრა პრაქტიკაში სწორედ პროგნოზირების მნიშვნელოვანი სირთულეების გამოა პრობლემური. გარდა ამისა, ეს შეფასებები სტატიკურია და მხოლოდ მომავალ სიდიდეს ზომავს, EVA® კი ამის გარდა თვალნათლივ გვიჩვენებს იმასაც, თუ რა მოუტანა კომპანიამ თავის ინვესტორებს განვლილ პერიოდში. წინააღმდეგობრივი ხდება ბიზნესის ეფექტიანობის ის შეფასებებიც, რომლებიც შემფასებელი მულტიპლიკატორების გამოყენებით შეგვიძლია მივიღოთ. თუ კომპანიის ეფექტიანობის შესაფასებლად მოგების ზრდის ტემპებს (NOPAT) შევირჩევთ, მაშინ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი ცვლილების მიზეზი: მოგების ზრდის მაღალი ტემპები შეიძლება იყოს როგორც გამოყენებული კაპიტალის მაღალი შემოსავლიანობის (ROTC), ისე ახალი მნიშვნელოვანი ინვესტიციების (INV) შედეგი დაბალი შემოსავლიანობის პირობებში:

$$\frac{NOPAT_{t+1} - NOPAT_t}{NOPAT_t} = ROTC * \frac{INV}{NOPAT_t} \quad (1)$$

სადაც

$$ROTC = \frac{NOPAT}{TOTAL - CAPITAL} \quad (2)$$

NOPAT (Net operating profit after tax) – ოპერაციული მოგება დაბეგვრის შემდეგ.

დამატებული ეკონომიკური ღირებულება EVA® ეკონომიკური მოგების მაჩვენებელია. მას ანგარიშობენ გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი წმინდა ოპერაციული მოგებისა (NჭSAთ) და კომპანიაში მთელი დაბანდებული კაპიტალისთვის გადასახდელი თანხის სხვაობით, მოგებისა და კაპიტალის იმ სპეციალური შესწორებების გათვალისწინებით, რომლებიც EVA® კონცეფციაში საკუთარი კაპიტალის ეკვივალენტებს უწოდებენ.

$$EVA® = NOPAT_{ee} - WACC \times CE_{ee} \quad (3)$$

შეფარდებით მაჩვენებლებში ეს ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$EVA® = (ROTC - WACC) \times CE \quad (4)$$

$NOPAT_{ee}$ – დაბეგრილი და კორექტირებული საოპერაციო მოგება;

WACC (Weaghted Average Cost of Capital) – კაპიტალზე განხორციელებული საშუალო შეწონილი დანახარჯები;

CE_{ee} (Capital Employed) – ინვესტირებული კაპიტალის კორექტირებული თანხა;

ROTC (return of total capital) – ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობა.

ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლებისაგან EVA® -ის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება ისაა, რომ იგი არ ითვალისწინებს ბიზნესის წარმართვაზე გაწეულ ყველა დანახარჯს – როგორც ფაქტიურს (აშკარას), ისე ალტერნატიულს (ფარულს). ასე, რომ იგი თავიან-თი სახსრების დაბანდების ალტერნატიულ დანახარჯებთან იმ შემოსავლიანობის შედარების შესაძლებლობას უქმნის ინვესტორებს, რომელიც კომპანიის კაპიტალს შემოაქვს. ყველა დანახარჯის გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება კომპანიის ფუნდამენტური ღირებულების კორექტულად შეფასება, კომპანიის ზრდა კი ნებისმიერი კორპორაციის სტარტეგიის საბოლოო მიზანია.

გარდა ამისა, EVA®-ის გაანგარიშებისათვის ბუღალტრულ მონაცემებს კორექტი-რებული სახით იღებენ. ამის მიზანია რესურსების ნამდვილი მოცულობების და მათი გამოყენების სტრატეგიული მიმართულების ასახავა დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ამ გზით კი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ნაკლო-ვანებების აღმოფხვრა.

იმის მიუხედავად, მთელ კომპანიაზე ვსაუბრობთ თუ მის რომელიმე ბიზნეს-ქვედანაყოფზე, EVA® იძლევა შესაბამის დონეზე ღირებულების შექმნის გაკონტროლების შესაძლებლობას ინვესტირებული კაპირტალის რენტაბელობის (ROTC) ან ინვესტიციების ზრდის პროცესში მისი შემადგენელი კომპონენტების თანაფარდობიდან გამომდინარე, როდესაც ამ კომპანიას ან მის ქვედანაყოფს აქვს მოთხოვნილ შემოსავლიანობაზე მეტის მოტანის უნარი. მართალია, ეს პირობები საკმაოდ გამჭვირვალეა, მაგრამ

პრაქტიკაში ისე ხდება, რომ კომპანიები „ანგრევენ თავიანთ ღირებულებას“ და EVA®-ის უარყოფით მნიშვნელობებს გვიჩვენებენ: ამერიკის ბაზარზე ასე ემართება ყველა ფირმის 60%-ს, რუსეთისა კი – 40%.

EVA®-ის განსაზღვრის დროს განხორციელებულ კორექტირებებს სხვადასხვა ბიზნესისათვის იტყენებენ: მომპოვებელ, მომსახურე, საფინანსო თუ სამრეწველო, რადგან ღირებულების დრაივერი ყოველთვის იქნება სხვადასხვა ტიპის აქტივები, რომლებსაც ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტულ მეთოდიკებში არ ითვალის-წინებენ. მაგალითად, ნავთობისა და გაზის დარგში ისეთი კორექტირებები უნდა ჩავატაროთ, რომლებიც შემდეგ მომენტებს გაითვალისწინებენ: ამ დარგის კომპანიების ზრდის რეალურ დრაივერებად (65-80%) გვეველინება ნავთობისა და გაზის მარაგები, მათი მოპოვების დონე და ერთმანეთთან დაკავშირებული სხვა ნატურალური მაჩვენებლები. სტრატეგიული ეფექტიანობის ზომის კორექტული შეფასწებისთვის მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციაც უნდა ჩავატაროთ. EVA® upstream-ის (მომპოვებელი სეგმენტი) ან EVA® downsream-ის (გადამამუშავებელი სეგმენტი) გაანგარიშება უნდა ეყრდნობდეს სხვადასხვვა საფუძველს და სხვადასხვაგვარ კორექტორებებსაც მოითხოვს. პირველ შემთხვევაში ისინი ჯერ იმ საბადოების დამუშავებით განპირობებული დანახარჯების კაპიტალიზაციას ეკუთვნის, რომლებიც ცარიელია. მეორე შემთხვევაში კორექტირებები მთლიანობაში ისეთივე იქნება, როგორც მწარმოებელი კომპანიებისთვის. ამის პარა-ლელურად კომპანიის დეევერსიფიკაციის დონეც უნდა გავითვალისწინოთ.

ღირებულების მართვის სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია იმ პირების დაჯილდოება, რომლებიც თავიანთი გადაწყვეტილებებით გავლენას ახდენენ ბიზნესის სტრატეგიულ ეფეტიანობაზე. EVA®-ის მაჩვენებლების საფუძველზე აგებენ კომპანიის ხელმძღვანელებისა და მისი ცალკეული ქვედანაყოფების პასუხისმეგებელი პირების დაჯილდოების მექანიზმს, რომელსაც განსაზღვრავს მიღებულ სარგებელსა და რისკის დონეს შორის პირდაპირი დამოკიდებულება. ამ დამოკიდებულებას არა აქვს ის ზედა და ქვედა საზღვრები, რომლებიც ბუღალტრულ მაჩვენებლებზე დაფუძნებულ დაჯილ-დოების ტრადიციულ სისტემაში იყენებენ. კომპანიის ეფექტიანობის შეფასებისათვის და დაჯილდოებისათვის ერთიანი მაჩვენებლის გამოყენება იმას იწვევს, რომ მენეჯერებს უჩნდებათ ინვესტორებისთვის ღირებულების შექმნის სტიმულები, რაკი მეტი ღირებულება მეტი ბონუსების მომსაწავებელი იქნება მათთვის. მენეჯერთა გრძელვადიანი მოტივაციის შესანარჩუნებლად იყენებენ დამოკდიებულებას არა მაჩვენებელთა აბსოლუტურ სიდიდეებზე (რაც სხვა თანაბარ პირობებში მაჩვენებლის ხელოვნურად გადიდებისკენ უბიძგებს მათ), არამედ დროში მის ცვლილებაზე დამოკიდებულებას. ეს EVA®-ის უარყოფითი მნიშვნელობის შემთხვევაში თანხის გაცემის პრობლემებსაც ხსნის. უფრო მეტიც, პრაქტიკაში ყალიბდება „ბონუსების ბანკი“, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გადასახდელი ბონუსების დაგროვებას. თანხის გადახდა დაფუძნებულია ერთი და იმავე შედეგების დროს მიღებული სარგებლის ტოლობიდ პრინციპზზე. ერთი მხრივ, ამგვარი სისტემა იმის საშუალებას გვიქმნის, რომ უფრო მეტად დავაინტერესოთ მენეჯერები ფირმის მომავლით, ხოლო, მეორე მხრივ, შევარბილოთ იმ არასასიკეთო გარე ფაქტორების გავლენა, რომლებიც კომპანიის საქმიანობაზეც მოქმდებენ და აქვეითებენ EVA®-ს.

ბოლო ხანს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ღირებულებითი აზროვნების საფუძველზე მოწყობილი მართვა ყველა ქვეყანაში როდია ფართოდ გავრცელებული: ზოგან ღირებულებითი მიდგომის მხოლოდ ელემენტებს იყენებენ (უპირატესად — საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისთვის), სხვაგან კი ეს მიდგომა საერთად არაა პოპულარული. ერთ-ერთი მტავრი პრობლემა, რომელსაც ხელმძღვანელები ღირებულების საფუძველზე მართვის სისტემის შექმნაში ხედავენ, ესაა კომპანიის ცალკეული ფუნქციური ბიზნეს-ერთეულების მიხედვით მიზნების განაწილების სიძნელე და კონკრეტული დარგისთვის მართვის პრინციპების განსაზღვრის სირთულე. ამის გამო ამჯამად კომაპნიის საქმიანობის ეფექტიანობის ძირითად კრიტერიუმებად გვეველინება ნაირგვარი საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლები, მაგალითად, წმინდა მოგებადა ამონაგების ზრდის ტემპები. ერთიანი ღირებულებითი მიდგომის უკმარისობა იწვევს ეფექტანობის სხვადფასხვაგვარი კრტიტერიემბის გამიყენებას მართვის ცალკეული ელემენტებისატვის. მაგალითად, სარტეგიულ მიზნებს უპირატესად ისეთი ტერმინების ადგენენ, როგორიცაა ბაზრის წილი, ამონაგების ზრდა ან წმინდა მოგება, თანამშრომელთა მოტივაციისათვის კი — წმინდა მოგება ან ახალი კლიენტების მოზიდვა. ამგვარად, ფუნადამენტური ღიერბულების შესაქმნელად გამოსადეგ ორიენტირად ერთიანი მაჩვენებლის უქონლობამ ინტერესტა კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ქვედანაყიოფებს შორის და გააჩინოს ფირმი სტრატეგიუკლი ეფექტიანობის დაქვეიტების რისკი.

ამ პრობლემების მიუხედავად, მრავალკომპანიაში არსებობს ის ობიექტური წინაპირობრბი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ღიერბულების მართვის სისტემის დანერგვას. მათ შორისაა ღირებულებითი კრიტერიუმების გამოყენებას საინვესტიციო პროგრამების შეფასებაში (NPV-ს და IRR-ის საფუძველზე), უპირატესად დივიზიონური სტრუქტურა და საჭირო მონაცემთა შეგროვების საკმაოდ სრული სისტემები.

სრული ან ნაწილობრივი ღირებულებითი აზროვნების დანერგვა პირველ რიგში ვლინდება მმართველობით გადაწყვეტილებათა ხარისხის ამაღლებაში და ბიზნესის წმინდა ღირებუელბის გადიდებაში. თუმცა საბაზრო კაპიტალიზაციის გადიდებასთან ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის ზრდის შემთხვევები შედარებით მცირეა.

ღირებულების მართვის ეფექტიანი სიტემის შექმნისთვის აუცილებელია ეკონომიკური მოგების, როგორც კომპანიის საქმიანობის სტრატეგიული ეფექტიანობის საზომის, საკვანძო ფაქტროების განსაზღვარ. ეს ეკონომეტრიკული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი. ამ დროს კვლევის მიმართულებები შემდეგია:

– ეკონომიკური მოგების უნარის კვლევა საბაზრო კაპიტალიზაციასთან კავშირში;

- კომპანიის სტრატეგიულ ეფეტიანობაზე კორპორაციული მართვის გავლენის შესწავლა;
- მსხვილი კომპანიების მდგრადობისა და ზრდის ხარისხის ანალიზი ეკონომიკური მოგების საფუძველზე.

ამგვარი კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ეკონომიკური მოგების გამარტივებულ ფორმულას, რომელიც მხოლოდ კომპანიის სააქციო კაპიტალის მესაკუტრეთა ინტერესებს ითვალისწინებს. ეკონომიკური მოგება განისაზღვრება შემოსავლიანობის სპრედის მეშვეობით:

$$Spread = \frac{N}{E} - K_e \qquad (5)$$

სადაც NI არის წმინდა მოგება; E — ინვესტირებული საკუთარი კაპიტალი და K_e მესაკუთრეების მიერ მოთხოვნილი შემოსავლიანობა.

ჩატარებული რეგრესიული ანალიზის შედეგებით კეთდება შემდეგი დასკვნები ეკონომიკური მოგების დეტერმინანტების — როგორც ბიზნესის ღირებულების დრაივერების შესახებ.

უპირატესად ფინანსურ ფაქტორებზე ეკონომიკური მოგების სპრედის დამოკიდებულება ოპერაციულ რენტაბელობას, ამონაგების ზრდის ტემპების და კომპანიის საქმიანი რისკის მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს აქციონერტა შორის უცხოუელი ინვესტორების ყოფნის გამო.

მეორე მოდელი, რომლითაც კომაპნიის ღირებუელბის შექმნაში მისი ფინანსური არქიტექტურის ფაქტორების როლი ფასდება, ნატელს ხდის დადებით კავშირს სპრედისმ მაჩვენებელსა და კომპანიის კაპიტალის სიდიდეს შორის. უარყოფითი ფაქტორებიდან დადგენილია კომპანიისნ მესაკუთრეებს შორის ინსტიტუციური ინვესტორების ყოფნის და დირექტორთა საბჭოს სიდიდის მნიშვნელოვანი გავლენა.

EVA® მაჩვენებელი, ერთი მხრივ, ადვილად გასაანგარიშებელია, ხოლო მეორე მხრივ, არა მარტო ფუნდამენტური ღირებულების შეფასების საშუალებას გვიქმნის, არამედ მისი ცვლილების მაჩვენებლად და დროის ყოველ მომენტში კომპანიის საქმინობის ეფექტიანობის ინდიკატორადაც გამოდგება. სწორედ ამით იწევს იგი დღეს როგროც თეორეტიკოსთა ისე პრაქტიკოსთა განსაკუთრებულ ინტერესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი, უმცრ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, მეთორმეტე გამოცემა, „საქარტველოს მაცნე“, 2008. ნაწილი3, თავი 6
2. Брейли Р. Майерс С. Принципи корпоративных Финансов. ЗАО «Олимп-Бизнес». М. 2004. ст. Глава 29
3. Зви боди Роберт К. Мертон Финансы Изд. Дом Вильямс Москва Санкт-Петербург Киев 2005
4. www. nplg.gov.ge
5. www.statistics.ge
6. www.pbo.ge

რისკების მართვა ეკონომიკაში

აკაკი გვარუცაძე, *სტუ-ს ასოც. პროფესორი*

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში „რისკების მართვა ეკონომიკაში“ აღნიშნულია, რომ ეკონომიკა წარმოუდგენელია გარკვეული რისკების გარეშე. ეკონომიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკაში რისკების დადგომის ალბათობა. რისკი არის რაღაცის არ მიღების, მიზნის მიუღწევლობის ან რაღაცის დაკარგვის საშიშროების შემცველი პროცესი. რისკი, როგორც ეკონომიკური პროცესი, არის მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს.

რისკები მრავალნაირია. იმის მიუხედავად, რომ ყველანაირი რისკი საბოლოო ჯამში ეკონომიკური შედეგით ფასდება, მათ მაინც აჯგუფებენ: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ბუნებრივ, ტექნოლოგიურ და პიროვნულ რისკებად.

რისკების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას და დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება. იგი გულისხმობს სავარაუდოდ, რისკის გამოვლენის, რისკის შეფასების, რისკის მართვის მეთოდის შერჩევას და მისი გამოყენებითდმიღებული შედეგის შეფასებას.

რისკები ეკონომიკაში იმართება და რეგულირდება, როგორც სახელმწიფო, ისე ფირმის დონეზე. სახელმწიფო დონეზე მას არეგულირებს ქვეყნის მთავრობა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი რეგულირება მჟღავნდება საწარმოთა დოტაციურ დაფინანსებაში, ხოლო არაპირდაპირი საწარმოთა შეღავათიან დაბეგვრაში გადასახადებით.

საკვანძო სიტყვები: რისკები, ინოვაციური, თვითდაზღვევა, დოტაციური, რეგულირება, მართვა, სარისკო სიტუაცია

Risks Management in Economics

Akaki Gvarutsidze,
Associated professor of GTU

Summary

,,Risks management in Economics'' are marked in Scientific article, that innovative the ecomomic is inconceivable without risks. The globalization of the economic has strenghten more the probability of the risks in economics. The risk is the process of not receiving, of inaccessibility of the result or of danger of loss of something. The risk as the economocal process is the event, which must happen or must not happen.

The risks have many forms. Besides, that all the risk in total, is evaluated by economical result, they although are divided into groups: political, economical, naturad, technological and personal risks.

Risks management is the professional activity of one dunamic developed type and day by becomes more actual. It means supposedly the manifestation of the risk, the evalution of risk, the selection of the method of risk management and the evaluation of the result received by its use.

The risks are managed in economics and are regulated, as on the level of State as on level of firm. On State level the Government of the counrty regulates it, as by direct as also by indirect methods. The direct regulate reveals in the subsidized finansing of the enterprises, but undirect methods consist preferential taxation taxes of indirect ebterprises.

Keywords: risks, innovative, sulf insurance, subsides, adjustment, management, risk situation.

თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობა გარკვეული თვალსაზრისით სარისკო ბიზნესია. ეკონიმიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკურ საქმიანობაში სარისკო სიტუაციები. სწორედ ამიტომაა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკაში რისკების მართვის პრობლემებს.

თანამედროვე პირობებში სარისკო სიტუაციების სასწავლო კურსები „რისკმენეჯმენტის“ სახელწოდებით ჩამოყალიბდა.

ადამიანთა არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე გაბედული აღიარება იყო იმის თქმა, რომ მათ შეუძლიათ თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ სარისკო სიტუაცია. მართალია, რომ ღმერთი თავისათავად არ იძლევა რეალურად იმის ცოდნას, რა ელოდება მათ საქმიანობას სარისკო სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ ადამიანები აღიქვამენ მომავალ მოსალოდნელ არასასურველ სიტუაციებს და სწავლობენ მისი აღკვეთის ღონისძიებების მენეჯმენტს.

განვითარების ყველა ეტაპზე ადამიანთა საქმიანობას თან ახლდა გარკვეული სარისკო სიტუაცია. მათი ნაწილი ადამიანთა არასწორი გადაწყვეტილებების შედეგი იყო, მეორე ნაწილი კი ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობდა.

რისკი არის რაღაცის არ მიღების, მიზნის მიუღწევლობის ან რაღაცის დაკარგვის საშიშროების შემცველი პროცესი. რისკი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, არის მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს.

ეკონომიკაში რისკებს წარმოქმნის ფუნდამენტური, კონიუნქტურული და შინაგანი ფაქტორები. ფუნდამენტურ ფაქტორებს მიეკუთვნება კონკრე-

ტული ქვეყნის და აგრეთვე, მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კონიუნქტურულ ფაქტორებს – ბაზრის მდგომარეობა, ხოლო შინაგან ფაქტორებს, ვენჩურული ფირმის შინაგანი გარემო.

რისკები მრავალნაირია. იმის მიუხედავად, რომ ყველანაირი რისკი საბოლოო ჯამში, ეკონომიკური შედეგით ფასდება, მათ მაინც აჯგუფებენ. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ბუნებრივ, ტექნოლოგიურ და პიროვნულ რისკებად.

რისკების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას და დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება. იგი მოიცავს სავარაუდოდ, რისკის გამოვლენას, რისკის შეფასებას, რისკის მართვის მეთოდის შერჩევას და მისი გამოყენებით მიღებული შედეგის შეფასებას.

რისკები ეკონომიკაში იმართება და რეგულირდება, როგორც სახელმწიფო ისე ფირმის დონეზე. სახელმწიფო დონეზე მას არეგულირებს ქვეყნის მთავრობა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი რეგულირება მჟღავნდება საწარმოთა დოტაციურ დაფინანსებაში, ხოლო არაპირდაპირი საწარმოთა შეღავათიან დაბეგვრაში გადასახადებით.

რისკების მართვის სისტემა მოიცავს:

საკადრო, მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ, ინფორმაციულ, სამართლებრივ აუცილებლობას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მართვის ნებისმიერი სისტემის ფუნქციონირება.

რისკის მართვის ობიექტი, სარისკო ინვესტიციები, ეკონომიკური და სოციალური სარისკო ურთიერთობები, რომლებიც რისკის რეალიზაციის პროცესში წარმოიქმნება (ურთიერთობა დამქირავებელს და კრედიტოს შორის, სამეწარმეო სუბიექტებს შორის და სხვა).

მართვის სუბიექტი – ადამიანთა სპეციალური ჯგუფი (სტრუქტურული ქვეგანყოფილება: განყოფილება, რისკის სამსახური ან მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი და ა.შ.), რომელიც ახორციელებს მართვის ობიექტის ფუნქციონირებას მმართველობით ზემოქმედების სხვადასხვა ხერხებით და მეთოდებით.

მართვის პროცესში მართვის სუბიექტი ეყრდნობა ობიექტურად არსებულ პრინციპებს და სხვადასხვაგვარი მეთოდებით ზემოქმედებს მართვის ობიექტებზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს დასახული მიზნების და ამოცანების შესრულება.[1]

რისკის მართვა, როგორც სისტემა, შედგება ორი ქვეისისტემისაგან: მართვადი ქვესისტემა, რომელიც მოიაზრება მართვის ობიექტად და მმართველი ქვესისტემა, რომელიც წარმოგვიდგება მართვის სუბიექტად. რისკის მართვის სისტემაში მართვის ობიექტს მიეკუთვნება: რისკის დაშვება, კაპიტალის სარისკო ჩადება და რისკის რეალიზაციის პროცესში ეკონომიკური ურთიერთობა ისეთ მეურნე სუბიექტებს შორის, როგორიცაა: მეწარმე და პარტნიორები, კრედიტორი და დებიტორი, დამზღვევი და მზღვეველი, კონკურენტები და ა.შ. რისკის მართვის სისტემაში მართვის სუბიექტად კი მიჩნეულია ადამიანთა სპეციალური ჯგუფი (მეწარმე, ფინანსური მენეჯერი, რისკ-მენეჯერი, დაზღვევს სპეციალისტი და სხვ.), რომელიც სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ახდენს გავლენას მართვის ამა თუ იმ ობიექტზე.

ბევრ ფირმაში შემოღებულია რისკ-მენეჯერის თანამდებობა, რომლის მოვალეობას წარმოადგენს ამა თუ იმ სახის რისკის შემცირება. რისკ-მენეჯმენტის მმართველობითი ფუნქცია დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებებით დროული და კომპლექსური მანიპულირება. აღსანიშნავია, რომ ინოვაციურ საქმიანობაში მნიშვნელოვანია არა რისკების თავიდან აცილება, არამედ მათი მინიმიზაცია, რაც შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მეთოდების გამოყენებით:

რისკების განაწილების მეთოდი გულისხმობს თანაინვესტორთა მოძიებას, რათა მიღწეულ იქნას რისკების შემცირება მათი გადანაწილებით პროექტის მონაწილეობაზე. მხარე, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტულ რისკზე, კარგად უნდა ერკვეოდეს მის სპეციფიკაში, რათა გონივრულად შეაფასოს და აკონტროლოს იგი. ამასთან, იგი უნდა იყოს ფინანსურად მდგრადი იმისათვის, რომ გაუძლოს რისკების სავარაუდო უარყოფით გავლენას. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ძლიერია თანაინვესტორთა ჯგუფი, მით ნაკლებია პროექტის შეჩერების ალბათობა ამა თუ იმ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო.

დივერსიფიკაციის მეთოდი საშუალებას იძლევა, ინვესტიციათა მრავალფეროვნების ხარჯზე შემცირებულ იქნას პორტფელური რისკები, რაც გულისხმობს ერთ საინვესტიციო პროექტის გაერთიანებას იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველა პროექტის მომგებიანობის ერთდროული ცვლილება ერთი და იმავე მიმართულებით. რისკიანი ფინანსური აქტივებისაგან შემდგარი პორტფელები შეიძლება ისეთნაირად იქნას ფორმირებული, რომ თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ერთ-ერთი პროექტი აღმოჩნდება წამგებიანი, სხვების მიერ მიღებულმა მოგებამ კომპანია გაკოტრებისგან გადაარჩინოს. დივერსიფიკაცია გულისხმობს ასევე, პროდუქციის გარკვეულ სახეობაზე მოთხოვნის შემცირებით გამოწვეული რისკის თავიდან აცილების მიზნით ფირმის მიერ სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებას;

დაზღვევა, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, წარმოადგენს რისკის შემცირების ყველაზე გავრცელებულ ფორმას და გულისხმობს რისკის სხვაზე გადაცემას გარკვეული გასამრჯელოს ფასად, რაც ნიშნავს ზარალის განაწილებას სადაზღვევო ურთიერთობების მონაწილეთა შორის. დაზღვევის შემთხვევაში იქმნება სპეციალური სადაზღვევო ფონდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ზარალისა თუ დანაკარგის ანაზღაურების მიზნით. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიაში ფიზი-

1 ბენიძე ნ. შონია ნ., ბიწაძე ჯ. რისკები და დაზღვევა. თბ., 2010. გვ. 75-76.

კური და იურიდიული პირები დებენ თანხებს იმისათვის, რომ რისკით გამოწვეული ზარალის შემთხვევაში დამზღვევმა მიიღოს გარკვეული კომპენსაცია. კერძო სადაზღვევო კომპანია წარმოადგენს კომერციულ საწარმოს. საქონელი, რომლითაც ის ვაჭრობს, საფინანსო დახმარებაა. იმისათვის, რომ შეძლონ ფუნქციონირება, სადაზღვევო კომპანიებმა უნდა დაფარონ საკუთარი დანახარჯები, რომლებიც შედგება სადაზღვევო პოლისების ასანაზღაურებელი თანხების, ადმინისტრაციული დანახარჯები,ს ლიკვიდურობისა და გადასახადებისაგან. სადაზღვევო კომპანიებში დიდ როლს თამაშობენ ის ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავენ სადაზღვევო დანაკარგებისა და პრემიების მოცულობას. მათ აქტუარები ეწოდება. ისინი ადგენენ სადაზღვევო ცხრილებს, სადაც აისახება სხვადასხვა სტიქიური მოვლენის ალბათობა და იყენებენ მათ სადაზღვევო პრემიების დასადგენად. სადაზღვევო აგენტები არიან სადაზღვევო კომპანიების ის თანამშრომლები, რომლებიც წყვეტენ, თუ რომელი რისკები, რა თანხებში უნდა იქნეს დაზღვეული. აღსანიშნავია, რომ დაზღვევა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირთა დიდი რაოდენობა განიცდის ანალოგიურ რისკს.

რისკის დაზღვევასთან ერთად გამოიყენება დაზღვევა, რომელიც გულისხმობს პირდაპირი მზღვეველის მიერ დაზღვეულისაგან სადაზღვევო ხელშეკრულებით აღებული რისკის გარკვეული ნაწილის სხვა მზღვეველისთვის გადაცემას ისე, რომ ამ უკანასკნელს დაზღვეულთან სამართლებრივი ურთიერთობა გააჩნია. გადაზღვევის დროს მაქსიმალურად იზღუდება სადაზღვევო კომპანიის ზარალი და ის გაკოტრებისაგან დაცულია. გადაზღვევის მიზანია რისკების განაწილების გზით დამზღვევის დაბალანსებული პორტფელის შექმნა, სადაზღვევო ოპერაციების ფინანსური მდგომარეობისა და რენტაბელობის უზრუნველყოფა, ზეგავლენა პირდაპირი მზღვეველის გადახდისუნარინობის მაჩვენებელია გაუმჯობესებაზე, ლიკვიდური აქტივების შეთავაზება უშუალოდ მზღვეველისათვის სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, დანაკარგის სწრაფი რეგულირებისათვის გადაზღვევის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა სადაზღვევო კომპანიების რისკის ასაღებად საკმარისი ფინანსური თანხები არ გააჩნიათ. გადაზღვევა რეგულირდება ხელშეკრულების ფორმით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ერთი სადაზღვევო კომპანია - ,,ცედენტი" გადასცემს დასაზღვევად მიღებული რისკის ნაწილს სხვა კომპანიას - ,,ცესიონერს". გადაზღვევის ხელშეკრულება პირდაპირ მზღვეველსა და გადამზღვეველს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველია, რომელშიც მოცემულია გადაზიდვების წესები და დებულებები.

რეზერვირება, რომლის დროსაც საწარმო ქმნის სპეციალურ ფონდებს (ძირითადად მოგებიდან) საბრუნავი საშუალებების ნაწილის ხარჯზე. იგი წარმოადგენს სარეზერვო ფონდის შექმნის დეცენტრალიზებულ ფორმას სამეურნეო სუბიექტში, ამიტომაც განიხილება, როგორც დანაკარგის დაფარვაზე საშუალებების რეზერვირება და ხშირად თვითდაზღვევას უწოდებენ. რეზერვირების შემთხვევაში აუცილებელია ოპტიმალური მარაგის განსაზღვრა, ხოლო თუ დანაკარგებმა გადააჭარბა დაგროვილ რეზერვს, რაც მოსალოდნელია დაუგეგმავი რისკის პრიობებში, საწარმომ უნდა გამონახოს მათი კომპენსაციისათვის დამატებითი სახსრები.

ჰეჯირება წარმოადგენს ბაზარზე არასასურველი ფასის კონიუნქტურის რისკის შემცირების ეფექტიან საშუალებას. ვადიანი კონტრაქტების დადებით მეწარმე თავს იცავს ბაზარზე ფასების რყევისაგან, რითაც ამცირებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის სავარაუდო შედეგების გაურკვევლობის დონეს.

ლიმიტირება გულისხმობს შეზღუდვის სისტემის გარკვეულ წესებს, რომლებიც გამოიყენება კაპიტალდაბანდებების განსაზღვრის, საქონლის კრედიტში გაყიდვის, სესხის გაცემის და სხვა შემთხვევაში, მისი საშუალებით ხდება ფულადი სახსრების ზღვრული დონის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ რისკის მინიმიზაციის მეთოდების კონკრეტული არჩევანი დამოკიდებულია მეწარმისა და რისკ-მენეჯერის გამოცდილებასა და ინოვაციური ფირმის შესაძლებლობაზე. ხშირად სასურველი შედეგის მისაღებად გამოიყენება არა ერთი, არამედ, რისკების შემცირების მეთოდთა ერთობლიობა ინოვაციური პროექტის განხორციელების ცალკეულ ეტაპზე. რაც, საბოლოო ჯამში, კომპანიის ეფექტიანი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნა

თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობა გარკვეული თვალსაზრისით სარისკო ბიზნესია. ეკონომიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერება სარისკო სიტუაციები. სწორედ ამიტომაა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების მენეჯმენტის პრობლემებს.

რისკი, როგორც ეკონომიკური პროცესი არის მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს. რისკების ნაწილი ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში არასწორი მოქმედების შედეგი იყო, ხოლო ნაწილი კი მისი ქმედების გარეშე არსებობდა. იმის მიუხედავად, რომ ყველანაირი რისკი საბოლოო ჯამში, ეკონომიკური შედეგით ფასდება, მათ მაინც აჯგუფებენ: პოლიტიკურ, ბუნებრივ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პიროვნულ რისკებად.

რისკების მართვის ამოცანა დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე.

რისკების მართვის სისტემა მოიცავს:

საკადრო, მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ, ინფორმაციულ, სამართლებრივ აუცილებლობას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მართვის ნებისმიერი სისტემის ფუნქციონირება.

მართვის პროცესში მართვის სუბიექტი ეყრდნობა ობიექტურად არსებულ პრინციპებს და სხვადასხვაგვარი მეთოდებით ზემოქმედებს მართვის ობიექტებზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს დასახული მიზნების და ამოცანების შესრულება.

რისკების მართვა, როგორც სისტემა, შედგება ორი ქვესისტემისაგან: მართვადი ქვესისტემა, რომელიც მოიაზრება მართვის ობიექტად და მმართველი ქვესისტემა, რომელიც წარმოგვიდგება მართვის სუბიექტად.

თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობაში აუცილებელია არა რისკების თავიდან აცილება, არამედ მათი შედეგების მინიმიზაცია, რაც შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მეთოდების გამოყენებით:

- რისკების განაწილების მეთოდი;
- დივერსიფიკაციის მეთოდი;
- დაზღვევა, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა;
- რეზერვირება;
- ჰეჯირება;
- ლიმიტირება.

ეკონომიკურ საქმიანობაში ხშირად სასურველი შედეგის მისაღებად გამოიყენება არა ერთი, არამედ რისკების შემცირების მეთოდთა ერთობლიობა, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ. აბრამია თ., ცაავა დ. რისკოლოგია. თბ., 2007.
2. ლაზვიაშვილი ნ., ,,რისკმენეჯმენტი" (სახელმძღვანელო), თბ., 2010.
3. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ. რისკები და დაზღვევა. თბ., 2010.
4. Пикфорд Д., Управление рисками М., Вершина, 2004, gv. 6.

ეკონომიკის კლასტერული განვითარება სინერგეტიკის თეორიის კონტექსტში

ნელი სესაძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ
ვალიდა სესაძე ,
მეცნიერებათა დოქტორი, სტუ

რეზიუმე

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ თანამედროვე პროცესებისადმი (გლობალიზაცია, დინამიური პროცესები, მსოფლიო ფინანსური კრიზისი) მეტად ადექვატურია სინერგეტიკის თეორია. იგი ასაბუთებს ეკონომიკის ზრდისა და სტაბილიზაციის შესაძლებლობას კრიზისის პირობებში ეკონომიკური სისტემების (ეროვნული/რეგიონული ეკონომიკის, დარგების, საწარმოთა) თვითორგანიზების მექანიზმის საფუძველზე. სინერგეტიკის თეორიის, ეკონომიკის განვითარების კლასტერული კონცეფციის ფორმირებისა და განვითარების ევოლუციური რის საფუძველზე, სტატიაში განხილულია კლასტერები, როგორც გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული კომპანიების ჯგუფი, რომელთათვისაც დამახასიათებელია ეკონომიკურ ინტერესთა ერთობა, ეკონომიკის განვითარების კლასტერული კონცეფცია, სინერგეტიკული ეფექტების შინაარსი და ფორმები. ჩამოყალიბებულია კლასტერული ორგანიზაციის უპირატესობები ეკონომიკისათვის.

საკვანძო სიტყვები: სინერგეტიკის თეორია, კლასტერული წარმონაქმნი, სინერგეტიკული ეფექტები.

Cluster Development of The Economy in The Context of The Theory of Synergy

Neli Sesadze,
Doctor of Economics Sciences
Georgian Technical University

Valida Sesadze
Doctor of Technical Science
Georgian Technical University

Summary

The article concludes that the most adequate to modern processes (first of all, the global crisis) the theory of synergy. It justifies the stabilization and economic growth on the basis of the mechanism of self-organization and the development of economic systems (national / regional economy, industries, companies) in the crisis. Based on the theory of synergy, on an evolutionary approach, formation and development of the cluster concept of development of the economy, as well as taking an approach that clusters are concentrated geographically group of industrial companies and related organizations are characterized by common economic interests and complementary to each other, the article examines the cluster concept economic development, content and form synergies. Formulated advantages of cluster organization for businesses, regions and the whole national economy.

Keywords: synergetic theory, the cluster concept of economic development, the forms of synergetic effects of the cluster organization of economy.

თანამედროვე პირობებში როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა. გლობალიზაციის, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის და მზარდი საერთაშორისო კონკურენციის ფონზე ობიექტურ აუცილებლობას ეროვნული ეკონომიკის მართვის ტრადიციული თეორიის თანამედროვე, ალტერნატიული კონცეფციებით შეცვალა წარმოადგენს, რომელიც სპეციალიზაციისა და კოოპერაციის უახლეს უპირატესობებს ეფუძნება.

თანამედროვე პროცესებისადმი (უპირველეს ყოვლისა მსოფლიო კრიზისისადმი) მეტად ადექვატურია სინერგიზმის თეორია. იგი ასაბუთებს სტაბილიზაციის და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას კრიზისის პირობებში ეკონომიკური სისტემის თვითორგანიზების მექანიზმის საფუძველზე. სინერგიზმის მკვლევარებია ნობელის პრემიის ლაურეატი ი. პრიგოჟინი, გ. ხაკენი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თვითორგანიზება წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი სისტემის კრიზისიდან გამოსვლას. [1;2]

სინერგეტიკის კვლევის ობიექტი მისი ბუნების მიუხედავად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- სისტემის გახსნილობა-გარე სამყაროსთან ნივთიერების, ინფორმაციისა და ენერგიის გაცვლის შესაძლებლობა;
- სისტემის არაწრფივი განვითარება;
- უწონასწორობა- პარამეტრების გარკვეული მნიშვნელობების შემთხვევაში სისტემა გადადის კრიტიკულ მდგომარეობაში, მდგრადობის დაკარგვა;
- სისტემის ევოლუციის რამდენიმე გზა განვი-

თარების ნებისმიერ ეტაპზე;

- სისტემაში მიმდინარე პროცესების კოგერენტულობის (შეთანხმებულობის) შესაძლებლობა;

კლასტერების განვითარება შესაძლოა განხილულ იქნას სინერგეტიკული თეორიის პოზიციიდან. კლასტერული წარმონაქმნები რთული ღია სისტემებია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინტენსიური, დინამიური ურთიერთკავშირი, ენერგიის, ნივთიერებათა და ინფორმაციის გაცვლის პროცესი., არაწრფივობა, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი კავშირები. მათში მიმდინარეობს რთული პროცესები, იქმნება კრიტიკული და ქაოტური რეჟიმები.

კონკურენტებზე უპირატესობის მოსაპოვებლად და წამყვანი პოზიციების შესანარჩუნებლად კომპანიებისათვის მხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება აღარ არის საკმარისი. საჭიროა ეროვნული ეკონომიკების (რეგიონების) მომიჯნავე დარგებს შორის მჭიდრო სამეურნეო კავშირების დამყარება, რაც არაფორმალური ჯგუფების - კლასტერების წარმოქმნას უწყობს ხელს.

კლასტერული მიდგომა - ეს პირველ რიგში ეკონომიკაში მართვის ახალი ტექნოლოგიაა, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ რეგიონის ან ცალკეული დარგის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობა და მწარმოებლურობა გაზარდოს.

ეროვნული ეკონომიკის კლასტერიზაციის იდეა ეკონომიკურ ლიტერატურაში გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გახდა პოპულარული, როცა მაიკლ პორტერმა ნაციონალური, სახელმწიფო და რეგიონალური კონკურენტუნარიანობის თეორია შეიმუშავა. მ. პორტერის განმარტებით „კლასტერი არის გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული ფირმებისა და ორგანიზაციების ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ განსაზღვრულ სფეროში და ახასიათებთ კონკურენტუნარიანობის ზრდისა და საერთო განვითარების ორმხრივად ხელსაყრელი ერთობა".[4]

კლასტერთა უმრავლესობა ძირითადად მზა პროდუქციის ან სერვისის კომპანიების, წარმოების სპეციალიზირებული ფაქტორების მიმწოდებლების, მექანიზმებისა და ნაწარმის დამაკომპლექტებლების, მომსახურებით სერვისების, ფინანსური ინსტიტუტების, თანმხლებ დარგებში ფირმების არაფორმალური გაერთიანებაა. კლასტერის ტერიტორიული მოქმედების ზონა შესაძლოა ვრცელდებოდეს ერთი ქალაქისა ან რეგიონის, ერთი ქვეყნის ან რამდენიმე მეზობელი ქვეყნის საწარმოო ჯგუფებს შორის.

მსგავსი დინამიური სისტემების მართვა გარეგანი ცენტრალიზებული ზემოქმედების მეთოდებით შეუძლებელია. თვითორგანიზების პროცესებზე მიზნობრივი ზემოქმედების გზების შემუშავება და გამოყენება რთულ დინამიურ სისტემებში, როგორსაც წარმოადგენს კლასტერი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა. რაც უფრო რთულია კლასტერული სისტემა მით უფრო მაღალ დონეზეა თვითორგანიზების პროცესები. თვითორგანიზება შესაძლოა დაიწყოს მხოლოდ იმ სისტემებში, სადაც ურთიერთმოქმედი ელემენტების საკმარისი სიმრავლეა. წინააღმდეგ შემთხვევაში სინერგეტიკული ურთიერთქმედებიდან მიღებული ეფექტები იქმება არასამარისი სისტემის ელემენტების კოოპერატიულ-კოგერენტული ქცევისათვის და სისტემის თვითორგანიზებისათვის.

არაწრფივ დინამიური სისტემების მართვაში გამოიყენება დადებითი უკუკავშირების პრინციპი, რომლის თანახმადაც ცვლილება, რომელიც მიმდინარეობს სისტემაში გროვდება და ძლიერდება.

სისტემის ელემენტთა მდორე ცვლილებები იწვევს მათ ხარისხობრივ ცვლილებებს, რაც ბოლოვდება ახალი სტრუქტურის, ერთიანი სისტემური თვისებების მქონე სისტემის ჩამოყალიბებით. სინერგეტიკის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ რთული სისტემები თვისობრივად იცვლიან თავის მაკროსკოპულ მდგომარეობას მიკროდონეზე მიმდინარე ცვლილებების გამო. ეს უკანასკნელი ცვლილებები წარმოადგენს რაოდენობრივ ცვლილებებს, რაც აღიწერება სისტემის მმართველი პარამეტრებით (წესრიგის პარამეტრები).

მმართველი პარამეტრების ცვლილების შედეგად შესაძლოა მიღწეულ იქნას მათი კრიტიკული მნიშვნელობა, რის გამოც სისტემა სპონტანურად გადადის ახალ თვისებრივ მდგომარეობაში.

სინერგეტიკის ძირითადი მეთოდია სისტემის ელემენტებისა და მმართველი პარამეტრების ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების გათვალისწინება.[5]

კლასტერები სინერგეტიკის თვალსაზრისით წარმოადგენს თვითორგანიზებად, არაწრფივ, ღია, რთულ დისიპაციურ სისტემას. მსგავს სისტემებში განვითარება ექვემდებარება არაწრფივ კანონებს. გარემოსა და სისტემას შორის იქმნება დადებითი უკუკავშირი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს წონასწორობიდან გადახრის პროცესს.

დინამიური დისიპაციური სტრუქტურები სისტემის მომავალი მდგომარეობის გარდასახვას, კერძოდ ფრაქტალებს წარმოადგენს. ბიფურკაციის წერტილში (განტოტების წერტილში) მიმდინარეობს ფრაქტალების შერჩევის პროცესი. შედეგად ყალიბდება წესრიგის, მდგრადი დინამიური მდგომარეობის პარამეტრები. ამ მდგომარეობაში სისტემა შეიძლება იმყოფებოდეს მანამ, სანამ შემთხვევითი ფლუქტუაციების გამო იგი არ აღმოჩნდება არამდგრად მდგომარეობაში. ეს მიზეზები უკავშირდება დისჰარმონიას, სისტემის შიდა მდგომარეობის შეუსაბამობას გარე სამყაროს პირობებთან. სისტემა კარგავს მდგრადობას, უბრუნდება ქაოტურ მდგომარეობას, მის წინაშე განვითარების მრავალი გზა ჩნდება.

ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში ახალი სტრუქტურა (ფრაქტალი) გარდაიქმნება ახალ მაკროსტრუქტურაში -ატრაქტორი (მიზანი). ამასთან ერთად, სისტემა გადადის თვისობრივად ახალ ორგანიზაციულ მდგომარეობაში და განაგრძობს მოძრაობას ბიფურკაციის ახალ წერტილამდე, შემდგომ ფაზურ გადასვლამდე.

ბიფურკაციის წერტილში მცირე გადახრებმაც კი

შესაძლოა გამოიწვიოს სისტემის სერიოზული შეშფოთება. ამიტომ თვითორგანიზებადი სისტემებისათვის არ შეიძლება განვითარების გარკვეული გზის თავსმოხვევა.

სინერგეტიკის და სიტემათა თეორიის მიხედვით კლასტერული წარმონაქმნის, ისევე როგორც სხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კვლევის ძირითადი ამოცანაა ამ სისტემათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა და დასაბუთება ამ თეორიათა კონცეპტუალური აპარატის საფუძველზე. ეს შესაძლებელს ხდის გამოყენებულ იქნას ამ თეორიათა მათემატიკური აპარატი, რაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ანალიზისა და პროგნოზირების სფეროში უდიდეს პერსპექტივებს ხსნის.

კლასტერის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა სინერგიის ეფექტის არსებობა.

მარკეტინგის სინერგიზმი: -ეკონომია მარკეტინგის ცენტრალიზაციის შედეგად.

ინვესტიციური სინერგიზმი-ინოვაციური პროექტების ერთობლივი დაფინანსება.

წარმოების ორგანიზაციის სინერგიზმი- სუბმოიჯარებთან თანამშრომლობა, მომხმარებლების მოზიდვა პროდუქციის კონსტრუირებისა და დამუშავების პროცესში;

ადამიანური კაპიტალის განვითარების სინერგიზმი- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები;

მართვის სინერგიზმი- კლასტერის სუბიექტთა გაერთიანება არაკომერციულ ორგანიზაციებში. [3]

ამრიგად, ქსელური თანამშომლობა ქმნის კონკურენტულ უპირატესობას, რაც მეტად ძლიერდება კლასტერში სინერგეტიკული ეფექტის წყალობით. შედეგად მიმდინარეობს ეკონომიკური სისტემის თვითორგანიზება.

სინერგეტიკული ეფექტების შეფასებისათვის გამოიყენება ეკონომეტრიკული მიდგომა (Panel Data Regression), NPV, DCF (დისკონტირებული ფულადი ნაკადები), ჭAჩჩ მაჩვენებელი;

შემოსავლის მეთოდის შემთხვევაში განისაზღვრება შესაძლებელი სინერგია ფულად ნაკადებში, ხოლო შემოწმების კრიტერიუმს კი წარმოადგენს ფულადი ნაკადების შედარება სინერგიის შემდეგ და სინერგიამდე. □∑DCF□_syn>∑DCF შემთხვევაში მიღწეულ იქნა დადებითი სინერგეტიკული ეფექტი.

ბიზნესის ღირებულება პროგნოზულ პერიოდში გამოითვლება გორდონის მოდელით:

$$V_{term} = \frac{CF_n * (1 - g)}{WACC - g}$$

სადაც:

CF_n — საპროგნოზო პერიოდის ბოლო წლის ფულადი ნაკადია;

g —კომპანიის ზრდის ტემპია პოსტპროგნოზულ პერიოდში;

WACC —დისკონტირების განაკვეთია;

პროგნოზული ფულადი ნაკადების გამოთვლისათვის გამოიყენება ფორმულა

$$FCF = EBIT - Tax + D\&A - \Delta NWC - CAPEX$$

სადაც:

EBIT —კონპანიის მოგებაა გადასახადის გადახდამდე;

Tax- გადასახადების სიდიდე;

D&A — საამორტიზაციო ანარიცხები;

ΔNWC — ინვესტიციის ეკონომია საბრუნავ სახსრებში;

CAPEX —კაპიტალდაბანდება.

რადგანაც სინერგიის შეფასება წარმოებს მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ამიტომ აუცილებელია ფულადი ნაკადების დისკონტირება, რისთვისაც გამოიყენება ფორმულა:

$$DCF_t = \sum_{t=0}^{n} \frac{CF_t}{(1 + WACC)^t}$$

$$WACC = r_d * (1 - \tau) * \frac{D}{D + E} + r_e * \frac{E}{D + E}$$

სადაც:

rd -შემოსავლიანობის განაკვეთია ნასესხ კაპიტალზე;-

re - -შემოსავლიანობის განაკვეთია საკუთარ კაპიტალზე;-

D —ნასესხი სახსრების სიდიდე;

E —საკუთარი სახსრების საბაზრო ღირებულება;

τ — მოგების გადასახადის განაკვეთი;

კლასტერული ინტეგრირებული სტრუქტურის ეფექტური ფუნქციონირების ექსპრეს-ანალიზი შესაძლოა განხორციელდეს ქულათა შეფასების მეთოდით, რაც ასეთ სახეს ღებულობს:

$P = \sum ki \times Bi$ (*i იცვლება 1 – დან n – მდე*)

P — სინერგეტიკული ეფექტის რეალიზაციის პოტენციალის ინტეგრალური ქულობრივი შეფასება;

Ki —სინერგეტიკული ეფექტის რეალიზაციის i-კრიტერიუმის წონითი კოეფიციენტი;

Bi —კლასტერული სტრუქტურის ეფექტურობის i- კრიტერიუმის მნიშვნელობა ქულებში.

ეკონომიკის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების კლასტერული კონცეფცია აქტიურად გამოიყენება ბრიტანეთში, გერმანიაში, დანიაში, ნიდერლანდებში, ფინეთში, ბელგიაში, საფრანგეთში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ რეგიონული ინოვაციური კლასტერების ფორმირება და განვითარება 2001 წელს ქვეყნის ნაციონალური პრიორიტეტების ნუსხაში იქნა შეყვანილი.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკის განვითარებისადმი კლასტერულ მიდგომებს, მას ეძღვნება სამეცნიერო შრომები, სტატიები, დისერტაციები, სადაც გამოკვეთილია დარგები, რომელთა გაერთიანებით შესაძლოა სინერგეტიკული ეფექტის მიღება. ასეთ დარგებად მიჩნეულია ტურიზმი და მასთან დაკავშირებული სფეროები. შემუშავებულია მსგავ-

სი კლასტერების ჩამოყალიბების მეთოდიკა. [8]

ნაციონალური ავიაკომპანიების განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის შემუშავებულია საავიაციო, ტურისტული და სასოფლო-სამეურნეო კლასტერის სტრუქტურა.[7]

საქართველოს რეგიონების განვითარების გრძელვადიან გეგმებში (ქვემო ქართლის რეგიონების განვითარების სტრატეგია 2013-2021 წლებისათვის) დასახულია მრეწველობისათვის სისტემური ხელშეწყობის ღონისძიებები, მათ შორის აღსანიშნავია სამრეწველო განვითარების ან სხვა ტიპის კლასტერების განვითარების შესაძლებლობათა შესწავლა და გამოვლენა..[6[

თანამედროვე ეტაპზე მიზანშეწონილია ყურადღება დაეთმოს საქართველოს რეგიონების განვითარებისათვის პერსპექტიული კლასტერების შერჩევასა და ჩამოყალიბებას, მათი რეგიონული განვითარების სტრატეგიების შემუშავებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Хакен ГСинергетика М.: Мир, 1985.
2. Курдюмов С.П.Синергетика начала нелинейного мышдения. Сайт Курдюмова С.П. (ელექტრონული რესურსი)http://spkurdyumov.ru/
3. Мясников А.А. Синергетические эффекты в современной экономике Ведение в проблематику М.: ЛЕНАНД, 2011
4. Porter, M.E. “Clusters and the New Economics of Competition”, Harvard Business Review, Vol. 76, Issue 6, Nov/Dec 1998
5. სესაძე ვ. სესაძე ნ. სინერგეტიკა, ეკონომიკური პროცესების კვლევა. სტუ. თბილისი. 2013.-გვ.161.
6. საქართველოს მთავრობის განკარგულება N 1365 2013 წლის 13 სექტემბერი ქ. თბილისი(ქვემო ქართლის რეგიონების განვითარების სტრატეგია 2013-2021 წლებისათვის
7. რეგიონალური ავიაბაზრების ათვისების მეთოდოლოგიის შემუშავება ტექნიკურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა სრულყოფის გზით დისერტაცია; ალექსი ნონიაძე 2014
8. ტურიზმის ინდუსტრიაში კლასტერის ფორმირება და რეგიონული ტურისტული ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლება დისერტაცია; მერაბ დიასამიძე

შრომის შედეგების შეფასების თავისებურებები საჯარო სფეროს ორგანიზაციებში

***გენადი იაშვილი**, სტუ-ს პროფესორი, დოქტორი*
***ბესიკ შერაზადიშვილი**, სტუ-ს მოწვეული მასწავლებელი,*
საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

შესრულებული სამუშაოს შეფასება წარმოადგენს ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ თავიანთი თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებისა და ორგანიზაციის მიზნების მიღწევის ეფექტურობის განსაზღვრას. სამუშაოს შესრულების შეფასების მთავარი მიზანია თანამშრომელთა შრომის გაუმჯობესება მუშაობის პროცესში. თუმცა, თანამშრომლების შრომითი ნაყოფიერების მონიტორინგის გარდა, შესრულებული სამუშაოს შეფასება კიდევ რამდენიმე, უაღრესად მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, შეფასების პროცედურა უფრო ნათელს და გასაგებს ხდის თანამშრომლისთვის იმას თუ რა მოლოდინები არსებობს მის მიმართ ორგანიზაციაში. რა ვალდებულებების შესრულებას აკისრებს ხელმძღვანელი და რა სტანდარტები არსებობს მათი შესრულების კუთხით.

თანამედროვე მსოფლიოში განუზომელია ორგანიზაციების ინტერესი შეფასების ინსტრუმენტების, კრიტერიუმების შესახებ. აღსანშნავია, რომ როდესაც ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო პრაქტიკის გადმოღება ხდება, გასათვალისწინებელია იმ კონკრეტული სახელმწიფოს თავისებურებები რომელშიც ხდება შეფასების სისტემის დანერგვა. სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვა გამოწვევის წინაშე შეიძლება დადგეს, თუმცა ზოგადად, ევროპის ქვეყნების მასშტაბით, ტექნიკური ტიპის გამოწვევები ნაკლებად პრობლემურია, ვიდრე მენეჯმენტის პრობლემები.

მოცემულ ნაშრომში განხილულია შრომის შედეგების შეფასების თავისებურებები საჯარო სფეროს ორგანიზაციებში.

საკვანძო სიტყვები: შრომის შედეგები, შეფასების თავისებურებები, შეფასების კრიტერიუმები, საჯარო სამსახური.

Personal Assessment System Characteristics in Public Field

Genadi Iashvili,
Professor of GTU,
Doctor of Technical Sciences

Besik Sherazadishvili,
Invited Lecturer of GTU,
Doctor of Public Administration

Summary

Assessment of the personal's work process, is determination of efficiency job commitments and reach the goals of organization. The main goal of performance evaluation of employee's, is improvement of employees work's process. However, in addition of employees labor productivity monitoring, personal assessment systems have some more, very important purposes. First of all, the assessment procedure makes it more clear and understandable to the employee, what are the expectations of the organization. What are the standards and obligations imposed by the head of their organization.

In the modern world, the interest of evaluation instruments and criterias are extremely important. Should be noted, that when it's going transmission the international practice by organization, it's to take into account the specific features of the State, where the evaluation system should be implemented.

Various states can come in a variety of challenges, but in general, in the European countries, the type of technical challenges are less problematic than the management problems.

In this paper is discussed the characteristics and results of personal assessment system of public field organizations.

Keywords: Results of the work, personal assessment system, appraisal criteria, public field organizations.

შესრულებული სამუშაოს შეფასება წარმოადგენს ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ თავიანთი თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებისა და ორგანიზაციის მიზნების მიღწევის ეფექტურობის განსაზღვრას. სამუშაოს შესრულების შეფასების

მთავარი მიზანია თანამშრომელთა შრომის გაუმჯობესება მუშაობის პროცესში. თუმცა, თანამშრომლების შრომითი ნაყოფიერების მონიტორინგის გარდა, შესრულებული სამუშაოს შეფასება კიდევ რამდენიმე, უაღრესად მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, შეფასების პროცედურა უფრო ნათელს და გასაგებს ხდის თანამშრომლისთვის იმას თუ რა მოლოდინები არსებობს მის მიმართ ორგანიზაციაში, რა ვალდებულებების შესრულებას აკისრებს ხელმძღვანელი და რა სტანდარტები არსებობს მათი შესრულების კუთხით. ეს, ერთი შეხედვით, ისედაც ნათელი ინფორმაცია, ხშირად არც ისე ნათელია თანამშრომლებისთვის, რის გამოც მატულობს პროფესიული სტრესი და იკლებს სამუშაოს ეფექტიანობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შეფასების პროცესის ფარგლებში არსებითად უმჯობესდება კომუნიკაცია თანამშრომლებს, ადამიანური რესურსების მართვის ერთეულებსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს შორის. გარდა თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებისა, შეფასება შესაძლებელს ხდის: კადრებით ეფექტურ დაკომპლექტებასა და თანამშრომელთა განვითარების პროგრამის შემუშავებას. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობები თავს იჩენენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესრულებული სამუშაოს შეფასება მიზნად ისახავს ორგანიზაციაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ შემდგომ გამოსწორებას.

შესრულებული სამუშაოს შეფასების არაერთი მეთოდი არსებობს, თუმცა განურჩევლად იმისა თუ რომელ მათგანს აარჩევს ორგანიზაცია, შემაჯამებელი შეფასება დაახლოებით ერთსა და იმავე ექვს საფეხურს მოიცავს. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

N1. შეფასების მიზნების ფორმულირება - ნებისმიერი კომპლექსური პროცესი იწყება მიზნის ფორმულირებით. შეფასების გლობალური მიზანია თითოეული თანამშრომლის მიერ ორგანიზაციის საქმიანობაში შეტანილი წვლილის განსაზღვრა. თუმცა ყოველი კონკრეტული შეფასება, შესაძლოა საკუთარი, უფრო ვიწრო მიზნით იყოს წარმართული. მაგალითად, შეფასება შეიძლება ხორციელდებოდეს თანამშრომელთა დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. შეფასების შედეგებს აგრეთვე იყენებენ ორგანიზაციაში არსებული კადრების შერჩევის და/ან პროფესიული განვითარების პროგრამების შეფასებისთვის. ჩვენი აზრით, შეფასების მიზანი უმეტეს შემთხვევაში უნდა იყოს საკადრო თვალსაზრისით ორგანიზაციაში არსებული ობიექტური სურათის მიღება, შემდგომი ანალიზისთვის, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს სისტემატიურად.

N2. შეფასების კრიტერიუმების ფორმულირება - შეფასების კრიტერიუმები ის მახასიათებლებია, რომელთა მიხედვითაც შემდგომში მოხდება თანამშრომლების შეფასება. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ კრიტერიუმებად გამოყენებულ იქნას მხოლოდ ის მახასიათებლები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია სამუშაოს ხარისხიანად შესრულებასთან. მიუღებელია ხელმძღვანელის თუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენლის ინდივიდუალური შეხედულებების შესაბამისად არარელევანტური კრიტერიუმების შემოღება.

3. შეფასების სტანდარტების აღწერა - შეფასების ობიექტურობისთვის აუცილებელია, რომ თითოეული კრიტერიუმი აღწერილი იყოს მაქსიმალურად ზუსტად, რათა განურჩევლად იმისა, თუ ვინ აფასებს თანამშრომელს, ყველა ერთსა და იმავე განმარტებას ეყრდნობოდეს. თანამშრომლებს უნდა ესმოდეთ, თუ რა კრიტერიუმებით ფასდებიან ისინი; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საკმაოდ დაბალი ნდობა ექნებათ შეფასების პროცესის და შემფასებლების მიმართ.

4. მონაცემების შეგროვება - ინფორმაციის მოპოვება შეიძლება თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელისგან, კოლეგებისგან, აგრეთვე მისი დაქვემდებარებული პირებისაგან. ბოლო დროს საკმაოდ პოპულარული ხდება უშუალოდ თანამშრომლების გამოკითხვაც. მიღებული შედეგების დამუშავებისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით არ არის რეკომენდებული ინფორმაციის

წყაროების და/ან შეფასების მეთოდების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდა. ჩვენი აზრით, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა შეგროვების პროცესი წარიმართოს სიფრთხილით, ობიექტურად და არ მოხდეს კოლეგებისგან მიღებული მონაცემების არასწორი აღქმა.

5. შეგროვებული მონაცემების დამუშავება - თითოეული თანამშრომლის საქმიანობის შესახებ ადეკვატური დასკვნების გამოტანისთვის საჭიროა წინა საფეხურზე მიღებული ინფორმაციის დამუშავება; მისი სტრუქტურირება იმგვარად, რომ მკაფიოდ ჩანდეს რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს ყოველ კონკრეტულ თანამშრომელს და რა მიმართულებით არის საჭირო რეაგირების მოხდენა. შეგროვებული ინფორმაციის არასწორად დამუშავება ჩრდილს აყენებს მთლიანად შეფასების პროცესს, აქცევს მას დროისა და ენერგიის ფუჭ ხარჯვად.

6. შეფასების შედეგების მართვა - შეფასების კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს თანამშრომლების დაწინაურებას, წახალისებას. მიუღებელია შეფასების შედეგების პირდაპირ დაკავშირება თანამშრომელთა დასჯასთან. აღნიშნული უნდა იყოს მხოლოდ უკიდურესი ზომა, რომელსაც ორგანიზაცია მიმართავს გამონაკლის შემთხვევებში, იმ თანამშრომლებთან, რომლებიც, მათ განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების მიუხედავად, ვერ აუმჯობესებენ სამუშაოს ხარისხს რამდენიმე შეფასების ციკლის განმავლობაში. ჩვენი აზრით, შეფასების შედეგების დადება საფუძვლად თანაშრომლის დაწინაურებისათვის, მნიშვნელოვანდ აამაღლებს დასაქმებულთა მოტივაციას.

იმისათვის, რომ შეფასების პროცესის ზემოთ აღწერილი თითოეული საფეხური ეფექტიანად წარიმართოს, მნიშვნელოვანია თანამშრომლებთან აქტი-

ური კომუნიკაცია. ისინი უნდა იყვნენ ინფორმირებულები და მაქსიმალურად ჩართულები შეფასების პროცესის თითოეული ეტაპის განხორციელებაში, განსაკუთრებით, კრიტერიუმებისა და სტანდარტების დადგენაში. შეფასების წარმატებისთვის აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის რგოლსა და სხვა ერთეულებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის აწყობა.

თანამედროვე მსოფლიოში განუზომელია ორგანიზაციების ინტერესი შეფასების ინსტრუმენტების, კრიტერიუმების შესახებ. ვხვდებით მრავალ სამეცნიერო პუბლიკაციას, რომლებშიც განხილულია თანამშრომლების შეფასების საკითხები. [1,2] აღსანიშნავია, რომ როდესაც ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო პრაქტიკის გადმოღება ხდება, გასათვალისწინებელია იმ კონკრეტული სახელმწიფოს თავისებურებები რომელშიც ხდება შეფასების სისტემის დანერგვა. სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვა გამოწვევის წინაშე შეიძლება დადგეს, თუმცა სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებით გამოკვეთილია, რომ ზოგადად, ევროპის ქვეყნების მასშტაბით, ტექნიკური ტიპის გამოწვევები (მაგალითად: ფორმულარების სწორად გამოყენება) ნაკლებად პრობლემურია, ვიდრე მენეჯმენტის პრობლემები (მაგალითად: შეფასების ინტერვიუების სწორად წარმართვა).

განვიხილოთ პერსონალის შეფასების ფორმები და მეთოდები:

თანამშრომელთა „რუბრიკით“ შეფასების მეთოდი: რუბრიკის ფორმა წარმოადგენს ერთგვარ ცხრილს, რომელშიც ერთ მხარეს მოქცეულია შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები/ქვეკრიტერიუმები, ხოლო მეორე მხარეს წარმოდგენილია თითოეული კრიტერიუმის სტანდარტი მისი საუკეთესო (იდეალური) და უარესი აღწერით. ყოველ კონკრეტულ კრიტერიუმთან მიმართებით თანამშრომლის მიერ მიღებული შეფასება ჯამდება საბოლოო შეფასების მისაღებად. იმისდა მიხედვით, თუ როგორია თანამშრომლის ქცევა ყოველ კონკრეტულ კრიტერიუმთან მიმართებით, მან შეიძლება დაიმსახუროს 3, 2 ან 1 ქულა. მისი საბოლოო შეფასება კი, მიღებული იქნება ყველა კრიტერიუმის ფარგლებში მინიჭებული ქულების ჯამით. შეფასების რუბრიკას, როგორც წესი, ავსებს თანამშრომელი თვითონ, და მისი ხელმძღვანელი. შემდეგ კი ისინი ერთად განიხილავენ მიღებულ შედეგებს; რუბრიკის არსებითი უპირატესობა მისი ინფორმაციულობაა. თითოეული ქულის მიღმა აქ წარმოდგენილია დეტალური აღწერა ქცევისა, რომლისთვისაც თანამშრომელი იმსახურებს ამ კონკრეტულ შეფასებას, რაც უადვილებს მას ქცევის კორექტირებას თუ სასურველი ქცევის შენარჩუნებას. ხარისხიანი რუბრიკის შემუშავებისთვის საჭიროა კრიტერიუმებისა და სტანდარტების კარგად გაანალიზება. გარდა ამისა, ყველაზე მარტივი პოზიციის შემთხვევაშიც კი, რუბრიკა შეიძლება მოიცავდეს ათზე მეტ კრიტერიუმს, რომლებიც დეტალურად უნდა გაიწეროს გრადაციების (ქულების) მიხედვით.

გამოკითხვის მეთოდი: შეფასების მიზნით მუშავდება სპეციალური კითხვარის ფორმა, რომელშიც სამუშაოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კრიტერიუმების შესახებ კითხვები არის მოცემული. შედეგების დამუშავების პროცესის გამარტივებისთვის, თითოეულ პასუხს მინიჭებული აქვს გარკვეული რიცხვითი მნიშვნელობა (ქულა), შესაბამისად, თანამშრომლის საბოლოო შეფასების მიღებისთვის საკმარისია ქულების მარტივი დაჯამება. ხანდახან, კითხვარი პირობითად იყოფა რამდენიმე თემატურ ნაწილად (შეფასების კრიტერიუმების მიხედვით), თითოეულ ნაწილში კი მოქცეულია შეკითხვები ერთი კონკრეტული კრიტერიუმის ან ახლომდგომ კრიტერიუმთა ჯგუფის შესახებ. ამგვარად, შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ თანამშრომლის ზოგადი შეფასება(მთლიანი კითხვარის ჯამური ქულის დაანგარიშება), არამედ იმის გამოვლენაც თუ რა მიმართულებით საჭიროებს ის განვითარებას; რა კრიტერიუმებში (კრიტერიუმთა ჯგუფში) აჩვენა მან ყველაზე დაბალი შედეგი. კითხვარის უმთავრესი უპირატესობა არის ის, რომ მისი ფორმატი ნათელი და გასაგებია ყველასათვის, შესაბამისად, მისი შევსება შედარებით ადვილი და კომფორტულია შემფასებლებისთვის. თუმცა მეთოდის ნაკლად, ხშრად ასახელებენ გამოცდილების საჭიროებას. სხვაგვარად, ნაკლებად გამოცდილ შემფასებლებს, როგორც წესი, უჩნდებათ ბუნებრივი ტენდენცია ერთნაირად შეაფასონ ყველა თანამშრომელი, ან ერთნაირად (პოზიტიურად) შეაფასოს კონკრეტული თანამშრომელი ყველა კრიტერიუმის მიხედვით. მეთოდის ნაკლად ასევე ხანდახან მიუთითებენ თავისუფალი ინტერპრეტაციების/სუბიექტურობის მაღალ ხარისხს. რუბრიკისგან განსხვავებით, კითხვარში არ არის წარმოდგენილი თითოეული კრიტერიუმის/შეკითხვის განმარტება, შესაბამისად დიდია ალბათობა იმისა, რომ ყოველი კონკრეტული შემფასებელი საკუთარ ინტერპრეტაციებს მისცემს ყოველ შეკითხვას.

მართვა მიზნების მიხედვით: ეს მეთოდი შედარებით უფრო პოპულარულია კერძო სექტორში, თუმცა უკანასკნელ პერიოდში მის მიმართ ინტერესი საჯარო ორგანიზაციებშიც მატულობს. ამ მეთოდის უნიკალურობა არის ის, იგი მთელ ყურადღებას შედეგებს უთმობს. ამ მეთოდის გამოყენებისას შემფასებელს აინტერესებს ის, თუ რა შედეგებს მიაღწია თანამშრომელმა შესაფასებელ პერიოდში და არა ის, თუ რას აკეთებდა, რა რუტინას მიჰყვებოდა. მეთოდის ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია დაგეგმვის და მონიტორინგის პროცესის ცოდნა მეთოდი გულისხმობს თანამშრომლისთვის კონკრეტული მიზნების დასახვას და შესაფასებელი პერიოდის ამოწურვის შემდეგ ამ მიზნების მიღწევის კუთხით მისი პროგრესის შეფასებას.

360-გრადუსიანი შეფასება: 360—გრადუსიანი შეფასება გულისხმობს თანამშრომლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას არა მხოლოდ ხელმძღვანელისგან, არამედ მისი კოლეგების, დაქვემდებარებული პირების, ორგანიზაციის გარეთ მყოფი პარტნიორების და

მის ირგვლივ არსებული სხვა პირებისაგან. ამ მეთოდს ასევე უწოდებენ მრავალრაკურსიან, მრავალ წყაროზე დაფუძნებულ უკუკავშირს. მისი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროდან ერთგვარად ანეიტრალებს ერთი კონკრეტული წყაროს შესაძლო ტენდენციურობას. 360—გრადუსიანი შეფასებისას შემფასებლებიც უფრო ნაკლებად გრძნობენ შეფასებასთან დაკავშირებულ „სიმძიმეს“, რადგან ხვდებიან, რომ მათი პასუხები განხილული იქნება სხვების პასუხებთან ერთად. აგრეთვე შესაფასებლებიც უფრო მეტად ენდობიან შედეგებს, რაკი იციან, რომ ხელმძღვანელის თუ კოლეგის სუბიექტური მოსაზრებები არსებითად ვერ შეცვლიან მათ საერთო, ობიექტურ შეფასებას. 360-გრადუსიანი შეფასების შედეგები ზოგიერთ ორგანიზაციში სხვადასხვა ადმინისტრციული საკითხების გადასაწყვეტადაც გამოიყენება, როგორიცაა დაწინაურება, ხელფასების გაზრდა და ა.შ. ასეთ შემთხვევებში 360- გრადუსიანი უკუკავშირი გამოიყენება საერთო შეფასების მიზნებისათვის და მას ხშირად „360-გრადუსიან მიმოხილვას“ უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეპოქაში პერსონალის მართვის მეთოდები, მათ შორის შეფასების სისტემებიც განიცდიან სწრაფ ტრანფორმაციას რათა მოერგონ ახალ მოთხოვნებს, ამ ეტაპზე შემუშავებული ვერცერთი შეფასების სისტემა ვერ იქნება ცალსახად ოპტიმალური ვარიანტი ყოველი ორგანიზაციისთვის. თუმცა, ჩვენს მიერ ჩამოყალიბდა იმ კრიტერიუმების ჩამონათვალი, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს შემუშავებული ნებისმიერი შეფასების სისტემა:

1) შემუშავებული შეფასების სისტემა უნდა განიხილებოდეს თანამშრომლების მიერ როგორც სამართლიანი და მიღებული შედეგები უნდა გამოირჩეოდესსანდოობის მაღალი დონით;

2) შეფასების პროცედურა განსახორციელებლად არ უნდა იყოს ზედმეტად ხარჯიანი;

3) შეფასების პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს შემფასებლის ანონიმურობის დაცვას, რადგან ამ შემთხვევაში შეფასების ობიექტურობის დონე მნიშვნელოვნად იზრდება.

როგორც წესი, მაქსიმალურად ობიექტური შეფასების მისაღებად უფრო ეფექტურია რამოდენიმე შეფასების წყაროს ერთდროულად გამოყენება. მნიშვნელოვანია აგრეთვე შემფასებლის ანონიმურობის დაცვა, რადგან ამ შემთხვევაში შეფასების ობიექტურობის დონე მნიშვნელოვნად იზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო“. საჯარო სამსახურის ბიურო. თბილისი, 2013 წ.

2. Statistisches Bundesamt (2010): Personal des Öffentlichen Dienstes. Fachserie 14 Reihe 6, Wiesbaden. 2010.

შიგა აუდიტის როლი და სარგებლიანობა სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი ხარჯვისათვის

დეზდემონა მაღლაკელიძე
აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნათელა ვაშაკიძე
აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ძლიერი შიდა აუდიტი არის ინსტრუმენტი რითაც მივიღებთ სახელმწიფო სახსრების მიზნობრივ, გამჭვირვალე და ეფექტურ ხარჯვას. მიუხედავათ პოზიტიური განვითარებისა, შიდა აუდიტის სუბიექტების მხრიდან ნაკლებადაა ყურადღება კონცენტრირებული დაწესებულებებში თაღლითობის რისკის გამოვლენაზე და მისი მართვისაკენ მიმართული ღონისძიებების შეფასებაზე, არადა აღნიშნული საქმიანობა აუცილებელია შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად.

შიდა აუდიტის სუბიექტის დამოუკიდებლობა წარმოადგენს მისი სრულყოფილი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას. კვლევის შედეგად გამოვლინდა, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა კომუნიკაციის პრობლემა შიდა და გარე აუდიტორებს შორის, და ამასთანავე გარე აუდიტორების მიერ შიდა აუდიტის შედეგების გათვალისწინება.

ამრიგად, შიდა აუდიტი მნიშნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოებრივი მართვის გაუმჯობესებაში. თუმცა, როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, საჭიროებს გაუმჯობესებასა და განვითარებას, რათა მოხდეს რისკების მინიმუმადე დაყვანა და დახარჯული რესურსით მიღებულ იქნას მაქსიმალური ეფექტი, რაც შიდა კონტროლის დანერგვა / გაუმჯობესებასა და სახელმწიფო რესურსების რაციონალურ ხარჯვაში გამოიხატება. შიდა აუდიტის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია დაცულ იქნას აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის საკითხები, რაც მოიცავს შიდა აუდიტორების დამოუკიდებლობას და ობიექტურობას. აუდიტორებმა არ დაუქვემდებარონ აუდიტის საკითხებზე დაკავშირებული მსჯელობა სხვებს. შიდა აუდიტის ეფექტიანობის შეფასება შეუძლებელია კონტროლის გარემოს შესწავლისა და შეფასების გარეშე. კონტროლის გარემოს ჩამოყალიბება და დახვეწა დაწესებულების ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა.

საკვანძო სიტყვები: კონტროლი, შიდა აუდიტი, აუდიტორი, საბიუჯეტო ორგანიზაცია. აუდიტორული შემოწმება. კონტროლის გარემო, აუდიტი.

The Role of Internal Audit and its Beneficial Effect on the Target-Oriented Expenditures of the State Budget

Dezdemona Maghlakelidze
Associate Professor of Akaki Tsereteli State University

Natela Vashakidze
Associate Professor of Akaki Tsereteli State University

Summary

A strong internal auditing is an instrument, by means of that we will achieve the target-oriented, transparent and effective expenditures of the state budget. In spite of a positive development, on the part of internal audit unit, there is much less attention paid to the detection of the risk of fraudulence in institutions and the focus upon the evaluation of the activities directed towards its management is rather weak. It is no surprise that the activity mentioned is essential regarding the international standards of internal audit.

The independence of the internal audit unit presents an essential condition for its ideal function. As a result of the study, the following important issues have been revealed: the problem of communication between internal and external auditors, and considering the results of internal auditing by external auditors.

Thus, internal auditing plays an important role in improving the state governance. Though, in accordance with the study results, it requires improvement and development in order to minimize risks and maximize the effect through the resources expended on, that is, the implementation/improvement of internal control and rational expenditure of the state resources. It is crucial to apply the rules consistent with the international standards of audit in order to perfect internal audit system, including the independence of internal auditors and their objectiveness. Auditors should not subordinate the discussion over the issues of audit to others. It is impossible to evaluate the efficiency of internal audit without learning about the control environment and the assessment. The head of the institution is in a position of responsibility to form and harness the control environment.

Keywords: Control, Internal Audit, Auditor, Budget Organization, Audit Control, Control Environment, Audit

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული, მეცნიერულად გააზრებული და დასაბუთებული საბიუჯეტო- საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისა და ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შემოსავლების ოპტიმალური და სამართლიანი განაწილების ეფექტიანი მექნიზმის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია პრაქტიკაში დამკვიდრდეს საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის საერთაშორისო დონეზე აპრობირებული ფორმა აუდიტი და მისი ცალკეული სახეობები, კერძოდ შიდა აუდიტის სისტემა. საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკაში შიდა აუდიტი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სახეობას სახელმწიფო ბიუჯეტის კონტროლის სფეროში, ასევე იგი მნიშნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოებრივი მართვის გაუმჯობესებაში. თუმცა, როგორც კვლკევის შედეგად დადგინდა, შიდა აუდიტი საჭიროებს გაუმჯობესებასა და განვითარებას, რათა მოხდეს რისკების მინიმუმადე დაყვანა და დახარჯული სახელმწიფო რესურსით მიღებულ იქნას მაქსიმალური ეფექტი.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების მიერ შემუშავებული ნორმებისა და წესების ზუსტმა განმეორებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული სიძნელეები და პრობლემები. აღნიშნული განპირობებულია ყველა ქვეყანაში საბიუჯეტო პროცესისა და არსებული კანონმდებლობის თავისებურებებით. აღნიშნული და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც სრულყოფას საჭიროებს. თავისი ხასიათიდან გამომდინარე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა, ამ ხარჯების კონტროლი და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა ყოველთვის იყო და არის ფართო საზოგადოების ინტერესის საგანი. გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ შეგვესწავლა საქართველოში შიდა აუდიტის პრობლემები, საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებდობა და რიგი პრობლემების გადაჭრის გზები.

შიდა აუდიტის განვითარება სახელმწიფო სექტორში ეფუძნება საქართველოს კანონს „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ". აღნიშნული კანონის შესაბამისად სახელმწიფო სექტორში იქმნება შიდა აუდიტის სუბიექტები, რომლებიც აუდიტს განახორციელებენ შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ზემოთ ხსენებული სტანდარტები შემუშავებულია შიდა აუდიტორთა საერთაშორისო ინსტიტუტის (Institute of Internal Auditors-IIA) მიერ, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ ავტორიტეტს წარმოადგენს შიდა აუდიტის პროფესიის კვლევაში, განვითარებასა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შიდა კონტროლი რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება, ესენია: კონტროლის გარემო, რისკის მენეჯმენტი, კონტროლის ღონისძიებები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ზედამხედველობა და მონიტორინგი.

შიდა აუდიტში რისკზე ორიენტირებული მიდგომების დამკვიდრებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია და მისი ოპტიმალური მოდელის შემუშავება ორგანიზაციების მმართველობითი სისტემის უმაღლესი რგოლის უმთავრეს პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

შიდა აუდიტის სუბიექტმა, სისტემატიური და თანამიმდევრული მიდგომის გამოყენებით, უნდა შეაფასოს და წვლილი შეიტანოს მმართველობითი, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებაში. შიდა აუდიტის მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ იგი არა მხოლოდ ფინანსურის, არამედ შესაბამისობის, სისტემურობის, ეფექტიანობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით შემოწმებასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას გულისხმობს. მისი განხორციელების დროს ხდება - ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება, საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენით მიზნით. კარგად ფუნქციონირებადი შიდა აუდიტი ეს არის ორგანიზაციის შიგნით დამოუკიდებელი, ობიექტური სტრუქტურა, რომელიც ეწევა საკონსულტაციო საქმიანობას დაწესებულების ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით. შიდა აუდიტი ეხმარება დაწესებულებას, რათა მან თავის მიზნებს მიაღწიოს სისტემების რეგულარული გადასინჯვის გზით, ასევე პროცედურების, ოპერაციების, მენეჯმენტის, კონტროლის და რისკის მენეჯმენტის გაუმჯობესების შესახებ შეთავაზებული რეკომენდაციების განხორციელების მეშვეობით.

ამრიგად, ძლიერი შიდა აუდიტი არის ინსტრუმენტი რითაც მივიღებთ სახელმწიფო სახსრების მიზნობრივ, გამჭვირვალე და ეფექტურ ხარჯვას. შიდა აუდიტის მნიშვნელობა ვლინდება მის უნარში, მიღწეულ იქნას დაწესებულებაში სათანადო ეთიკისა და ღირებულებების გავრცელების ხელშეწყობა, დაწესებულების საქმიანობის შედეგების მართვის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა და ასევე გარე და შიდა აუდიტორებსა და ხელმძღვანელობას შორის ინფორმაციის გაცვლა და მათი საქმიანობის კოორდინაცია.

საქართველოში 2012 წლისათვის უკვე ჩამოყალიბებულ იქნა შიდა აუდიტის სუბიექტების (IA – Internal Audit) და ჰარმონიზაციის ცენტრი (CHU – Central Harmonization Unit), მათი სრულყოფა და განვითარება წამოადგენს შეუქცევად პროცესს. შიდა აუდიტის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ჰარმონიზაციის ცენტრი აგრძელებს პილოტურ პროექტებს და უზრუნველყოფს როგორც შიდა აუდიტის, ასევე ფინანსური მართვისა და კონტროლის კოორდინირებასა და ჰარმონიზებას. ჰარმონიზაციის ცენტრს არ შეუწყვეტია შიდა აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. მიუხედავათ პოზიტიური განვითარებისა, შიდა აუდიტის სუბიექტების მხრიდან ნაკლებადაა ყურადღება კონცენტრირებული დაწესებულებებში თაღლითობის რისკის გამოვლენაზე და მისი მართვისაკენ მიმართული ღონისძიებების შეფასებაზე, არადა აღნიშნული საქმიანობა აუცილებელია შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების

თანახმად. ამავე სტანდარტის მიხედვით, შიდა აუდიტორებს მოეთხოვებათ ჰქონდეთ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უმთავრესი რისკების, კონტროლის მექანიზმებისა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული აუდიტის მეთოდების საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ შეასრულონ დაკისრებული ფუნქცია, რასაც განაზღვრავს შიდა აუდიტის სტანდარტების, მე-6 მუხლის 4-ე და 5-ე პუნქტი. (www.ia.ge). დღეის მდგომარეობით დაწესებულების მასშტაბით ზემოაღნიშნული რისკების გამოვლენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება უმეტესად არ ხორციელდება, არადა ამ რისკების გამოვლენა, მათი მართვის ხარისხის შეფასება და შესაბამისად აუდიტორული შემოწმებების ინტენსიური განხორციელება აღნიშნული რისკების შემცველ კერებზე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა დაწესებულებებისათვის მათი მიზნების მიღწევის გზაზე ეთიკურად, კანონიერად, ეკონომიურად და პროდუქტიულად ფუნქციონირებისათვის.

ჰარმონიზაციის ცენტრის დიდი ძალისხმევისა და მონდომებისა, ფინანსური თუ ადამიანური რესურსებით შეზღუდვების გამო, ვერ ხერხდება პილოტური პროექტებით, ტრენინგებითა და საჭირო ღონისძიებებით მთლიანად მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებათა დაკმაყოფილება და მათი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით აღჭურვა, ვინაიდან ჰარმონიზაციის ცენტრი თანამშრომლობს მხოლოდ რამოდენიმე დონორ ორგანიზაციასთან, რაც არ არის საკმარისი არსებული ტრეინინგ-საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებისათვის, შედეგად კრიტიკულად მნიშვნელოვანია აუდიტის სუბიექტების მცდელობა და მონდობება საჭირო კონტაქტებისა თუ ფინანსური რესურსების მოძიების საქმეში. დღეს საქართველოში, შიდა აუდიტის სუბიექტები ჩამოყალიბებულია უმეტეს სამინისტროებში, შიდა აუდიტის სუბიექტები ასევე 2014 წლიდან შეიქმნა რიგ მუნიციპალიტეტებში. შიდა აუდიტის სუბიექტები ასევე შექმნილია, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და სამინისტროებში, ქალაქ თბილისის მერიასა და ზოგიერთ სსიპ-ებში. ამჟამად, სამინისტროებში მიახლოებით 110 აუდიტორია, სადაც 26% ქალია და 74% მამაკაცი.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შიდა აუდიტის სუბიექტის დამოუკიდებლობა წარმოადგენს მისი სრულყოფილი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას. რას გულისხმობს ორგანიზაციული დამოუკიდებლობა? როგორც ვიცით, ორგანიზაციული დამოუკიდებლობა მიიღწევა მაშინ, როდესაც შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და აქვს მასთან პირდაპირი ურთიერთობა და კომუნიკაცია. შიდა აუდიტის სუბიექტი შიდა აუდიტის საქმიანობის განსაზღვრის, სამუშაოს შესრულების და შედეგების წარდგენის დროს დამოუკიდებელი უნდა იყოს ჩარევისგან. ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შესწავლილი იქნა სამინისტროების მიერ 2014 წლისათვის წარმოდგენილი წლიური ანგარიშები და 2015 წლის გეგმები. მინდა აღვნიშნოთ, რომ მთლიანობაში, ამ ეტაპისათვის, ამოცანა მიღწეულია. ორგანიზაციებს დამოუკიდებლად შედგენილი აქვთ წლიური და სტრატეგიული გეგმები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება აუდიტორული შემოწმებები. თუმცა ჯერჯერობით ყველა აუდიტის სუბიექტი არ იყენებს რისკზე დაფუძნებულ აუდიტის დაგეგმვის მეთოდებს, ასევე აუდიტის სუბიექტები კვლავ ახორციელებენ ინსპექტირებას, რაც არ არის ორიენტირებული ორგანიზაციაში პრიორიტეტული რისკების გამოვლენასა და შეფასებაზე, ფუნქციონალური დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ აუდიტის მიერ შეუმჩნეველი და შეუფასებელი დარჩება მნიშვნელოვანი რისკები, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მოუტანოს როგორც სამინისტროების ფინანსურ რესურსებს, ასევე მათ რეპუტაციას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა კომუნიკაციის პრობლემა შიდა და გარე აუდიტორებს შორის, და ამასთანავე გარე აუდიტორების მიერ შიდა აუდიტის შედეგების გათვალისწინება. მოცემულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ვიხელმძღვანელოთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, რომლის მიხედვითაც გარე და შიდა აუდიტორს შორის კომუნიკაცია შეიძლება ყველაზე ეფექტური იყოს მაშინ, როდესაც შიდა აუდიტორებს გარე აუდიტორებთან პირდაპირი კომუნიკაციის უფლება და შესაძლებლობა აქვთ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა არის ის, რომ შიდა აუდიტორების მიერ ჩატარებული სამუშაო გარე აუდიტორების მოცულობაზე ან არ ახდენს გავლენას, ან ამცირებს სამუშაოს მოცულობასა და ვადებს. აღნიშნულს მივყავართ იმ პრობლემამდე, რომელიც სახელმწიფო რესურსების არარაციონალურ ხარჯვას გულისხმობს. შიდა აუდიტის მუშაობის შესაფასებლად გამოიყენება აგრეთვე თუ რამდენად არსებობს ამ სფეროში საკმარისი და კვალიფიციური კადრები. შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ შეაფასონ თაღლითობის რისკი და მისი მართვის ღონისძიებები.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც შიდა აუდიტორთათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, არის აუდიტის ობიექტის დამოკიდებულება შიდა აუდიტის სამსახურთან, მათთან თანამშრომლობის საკითხი და აუდიტორთა გაცემული რეკომენდაციების მათ მიერ აღიარება. აუდიტის სამსახურების მიერ 2015 წელს უმეტესად ჩატარებულია შესაბამისობის აუდიტი. შესაბამისობის აუდიტის ჩატარების დროს სასურველი იქნებოდა კონკრეტული კანონმდებლობისა თუ ნორმატიული აქტების მუხლების მითითება, რათა რეკომენდაციას არ ქონდეს ზოგადი ხასიათი და ეყრდნობოდეს შესაბამის საფუძველს. შესაბამისად, შიდა აუდიტორისათვის უფრო მარტივი ხდება რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. რაც შეეხება ობიექტის თანამშრომლობას შემოწმების პერიოდში, აუდიტორთა

შეფასებით, ძირითადად დადებითად მიმდინარეობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს პრობლემები, როგორც არასრული ინფორმაციის, ასევე დაგვიანებით მოწოდების კუთხით, რაც საბოლოო ჯამში ხელს უშლის აუდიტის პროცესს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ობიექტის ნეგატიური ან უარყოფითი დამოკიდებულებისა, უმეტეს შემთხვევაში, იგი მაინც ეთანხმება შიდა აუდიტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, და აუდიტორის მიერ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანი და მისაღებია მათთვის.

ამრიგად, შიდა აუდიტი მნიშნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოებრივი მართვის გაუმჯობესებაში. თუმცა, როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, საჭიროებს გაუმჯობესებასა და განვითარებას, რათა მოხდეს რისკების მინიმუმადე დაყვანა და დახარჯული რესურსით მიღებულ იქნას მაქსიმალური ეფექტი, რაც შიდა კონტროლის დანერგვა / გაუმჯობესებასა და სახელმწიფო რესურსების რაციონალურ ხარჯვაში გამოიხატება. შიდა აუდიტის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია დაცულ იქნას აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის საკითხები, რაც მოიცავს შიდა აუდიტორების დამოუკიდებლობას და ობიექტურობას. აუდიტორებმა არ დაუქვემდებარონ აუდიტის საკითხებზე დაკავშირებული მსჯელობა სხვებს. შიდა აუდიტის ეფექტიანობის შეფასება შეუძლებელია კონტროლის გარემოს შესწავლისა და შეფასების გარეშე. კონტროლის გარემოს ჩამოყალიბება და დახვეწა დაწესებულების ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 . საქართველოს კანონი ,,ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“. თბ. 2012წ.

2. საქართველოს კანონი„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ თბ. 2012წ.

3. http://www.matsne. gov.ge

4. www.ia.ge

ახალი პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მართვა

ქეთევან კიწმარიშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკაში სიახლეების მწარმოებელთა და მომხმარებელთა უფლებები გათანაბრებულია. ისინი თვითონ პოულობენ თავის ადგილს ბაზარზე. ამასთან, მათი მოტივაციის ამოსავალია ფინანსური მოგება და სამომხმარებლო ეფექტის მაქსიმიზაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კავშირი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ხორციელდება რეალური, ბაზრის მიერ განპირობებული ფინანსური და ფასისმიერი კრიტერიუმების მეშვეობით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომხმარებელს არჩევანის შესაძლებლობა აქვს სიახლებთან მიმართებაში. სწორედ მომხმარებელი ირჩევს პროდუქციის ყველა მისაღებ (პრიორიტეტულ) თვისებებს. ახალი პროდუქციის ხარისხი განისაზღვრება, როგორც მომხმარებელთა მოთხოვნებთან შესატყვისობის ხარისხი. ხარისხის მაჩვენებლები (ტექნიკურ-ეკონომიკური, საექსპლუატაციო და სხვა პარამეტრები), რომლებიც ტექნიკური პირობებით განისაზღვრება, კონტროლდება მწარმოებლის მიერ. პროდუქციის ტექნიკური დონე კონტროლდება სასიცოცხლო ციკლის შემდეგ სტადიებზე: შემუშავებისას; წარმოებისას; ექსპლუატაციისას.

Management of Quality and Technical Level of New Production

Ketevan Kitsmarishvili,
Associated Professor of GTU

Summary

The rights of consumers and manufacturers of novelties in the market economy are equaled. They find their places in the market themselves. Moreover, their motivations occur from financial profit and maximization of consumer's effect. In other words, communication between the manufacturer and the consumer is carried out through real, financial and price criterion that is conditioned by market. It should be considered that consumer has opportunity of choice toward the novelties. It is the consumer who chooses all acceptable (priority-oriented) features of the production. The quality of new product is defined as the quality of conformance of consumers. Quality indexes (technical-economical, exploitative or other parameters), which are defined by technical conditions, are being monitored by the manufacturer. Technical level of the production is being monitored after life cycle on following stages: during processing, producing and exploitation.

საბაზრო ეკონომიკაში სიახლეების მწარმოებელთა და მომხმარებელთა უფლებები გათანაბრებულია. ისინი თვითონ პოულობენ თავის ადგილს ბაზარზე. ამასთან, მათი მოტივაციის ამოსავალია ფინანსური მოგება და სამომხმარებლო ეფექტის მაქსიმიზაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კავშირი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ხორციელდება რეალური, ბაზრის მიერ განპირობებული ფინანსური და ფასისმიერი კრიტერიუმების მეშვეობით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომხმარებელს არჩევანის შესაძლებლობა აქვს სიახლებთან მიმართებაში. სწორედ მომხმარებელი ირჩევს პროდუქციის ყველა მისაღებ (პრიორიტეტულ) თვისებებს. ახალი პროდუქციის ხარისხი განისაზღვრება, როგორც მომხმარებელთა მოთხოვნებთან შესატყვისობის ხარისხი.

ხარისხის მაჩვენებლები (ტექნიკურ-ეკონომიკური, საექსპლუატაციო და სხვა პარამეტრები), რომლებიც ტექნიკური პირობებით განისაზღვრება, კონტროლდება მწარმოებლის მიერ.

პროდუქციის ტექნიკური დონე კონტროლდება სასიცოცხლო ციკლის შემდეგ სტადიებზე:

- შემუშავებისას;
- წარმოებისას;
- ექსპლუატაციისას.

ტექნიკური დონის შეფასებას ახდენს მწარმოებელი და მომხმარებელი. მწარმოებლებს შეუძლიათ ორიენტაცია აიღონ საუკეთესო სამამულო და მსოფლიო ანალოგიებზე, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებზე, საცდელი ნიმუშების წინასწარი და მიმღები გამოცდა-შემოწმების შედეგებზე.

პროექტის ტექნიკური დონის ამაღლება ნიშნავს მასში ახალი, მაგრამ მანამდე რეალიზებული სამენიერო-ტექნიკური ცოდნის ხორცშესხმას, რამაც ახალი ნაწარმის ექსპლუატაციის დროს დადებითი ეფექტი უნდა უზრუნველყოს.

სხვადასხვა „ნიშაში“ დისპონირებული მანქანებისა და დანადგარების ტექნიკური დონის შეფასებისას გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომა. ეს ნიშნავს, რომ გათვალისწინებულია არა მარტო საწარმოო ოპერაცია, რასაც მანქანა ასრულებს, არამედ ის „ნიშაც“ სადაც მისი რეალიზება ხდება.

თითოეულ ტექნიკურ სიახლეში ხორცშესხმულია მოცემული მომენტისთვის არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნა. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა არ ექვემდებარება უშუალო რაოდენობრივ შეფასებას, ამიტომ ის პირობით ხასიათს ატარებს, იმ მანქა-

ნებისა და დანადგარების შედარების საფუძველზე, რომლებიც ანალოგიურ საწარმოო ფუნქციებს ასრულებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაფასებელი ნაწარმის ტექნიკური დონე დგინდება ტექნიკური შესაძლებლობების კუთხით, საუკეთესო, მსოფლიო დონესთან შედარების გზით.

განასხვავებენ ტექნიკურ და ტექნიკურ-ეკონომიკურ დონეს. ტექნიკური დონის უკან ესმით ახალ პროდუქციაში დაგროვილი ცოდნის ხორცშესხმის ხარისხი, ფუნქციონალურ დანიშნულებასთან შესაბამისად საწარმოო მიზნების ყველაზე სრულად და ზუსტად განხორციელების შესახებ.

ტექნიკურ-ეკონომიკური დონე კი გულისხმობს პროდუქციაში სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ხორცშესხმის ხარისხს, საწარმოო მიზნების სრულად და ზუსტად, ყველაზე ეკონომიური გზით შესრულების შესახებ.

მომხმარებლის პოზიციიდან ტექნიკურ-ეკონომიკური დონე წარმოადგენს კომპრომისს, ამ დონიდან მიღებული მოგებასა და შესაბამისი დანადგარის შეძენაზე დანახარჯს შორის. მწარმოებლის პოზიციიდან კი — ეს არის კომპრომისი განსაზღვრული ხარისხით სრულყოფილი ნაწარმის გამოსაშვებ ფასსა და მისი უზრუნველყოფისთვის გაწეულ ხარჯებს შორის. ამ გაგებით საქმე ეხება კონკურენტუნარიან ტექნიკურ დონეს და არა ტექნიკურ-ეკონომიკურ დონეს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებობს კონკრეტული ტექნიკის სახეობათა კონკურენტუნარიანობის ერთიანი დონე.

მანქანებისა და დანადგარების დადებითი მხარეების შეფასებისას ითვალისწინებენ არა მარტო ტექნიკურ, არამედ ეკონომიკურ მახასიათებლებსაც. ტექნიკური დონის ამაღლება — ეს არის პროცესი, რომელიც რესურსების დამზოგველი ტექნიკის შექმნასა და პრაქტიკაში დანერგვას უკავშირდება. სხვა სიტყვებით, ჩასანაცვლებელ ანალოგებთან შედარებით ახალ ტექნიკას როგორც წარმოებაში, ასევე ექსპლუატაციაში უნდა გააჩნდეს უფრო მაღალი მწარმოებლურობა, სიმძლავრე, სანდოობა და ეკონომიურობა. ამასთან, სხვადასხვა საწარმოო „ნიშებში“ განკუთვნილ ტექნიკას უყენებენ შესაბამის მოთხოვნებს. ასე მაგალითად, ზოგიერთი მანქანისთვის მნიშვნელოვანია მწარმოებლურობის ზრდა, სხვა ტიპისთვის კი — სიმძლავრის ან ფუნქციონალური დანიშნულების სხვა პარამეტრის ზრდა და ა.შ. ტექნიკის სრულყოფის პროცესი დაკავშირებულია მისი სანდოობის ზრდასთან. სანდოობა ნაწარმის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი თვისებაა, რომელიც მწარმოებლურობასთან ერთად განსაზღვრავს მის ეფექტიანობას. სანდოობას მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე საზღვრავენ.

ტექნიკის სრულყოფაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს სამეცნიერო უზრუნველყოფის დონე. სწორედ სამეცნიერო-კვლევით ეტაპზე ეყრება საფუძველი სიახლეთა პოტენციალს, რომელიც საპროექტო-კონსტრუქტორული სამუშაოების გავლით მატერიალიზდება წარმოებაში.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ტექნიკური დონისა და ხარისხის მართვის სისტემები სნორედ სამეცნიერო და კონსტრუქტორული სამუშაოების პროცესში აქცენტს აკეთებენ შეცდომების აღმოფხვრაზე, რათა თავიდან აცილებულ იქნას ან აღმოიფხვრას იგი წარმოების ბოლო სტადიამდე.

ტექნიკური დონისა და ხარისხის მართვის პრევენციული კონცეფცია პერსპექტიულია ყველა მწარმოებლისთვის. ამისთვის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს:

- ისეთი საწარმოო დანადგარის არსებობას, რომელიც თავისი მახასიათებლებით შეძლებს პროდუქციის აუცილებელი დონის უზრუნველყოფას.
- დანადგარების აღჭურვას კონტროლის, დიაგნოსტიკის და სამუშაოების მარეგულირებელი მიკროპროცესორებით.
- დანადგარების მუშაობის ინფორმაციულ, პროგრამულ და აპარატულ უზრუნველყოფას.
- მუშაობის სტაბილური რეჟიმის შესანარჩუნებლად საწარმოო სიმძლავრის აუცილებელი რეზერვის არსებობას.
- ეფექტური ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის უზრუნველყოფას, რომლის სანდოობის კრიტერიუმს ტექნოლოგიური პროცესების პარამეტრების სტაბილურობა და წუნის არარსებობა წარმოადგენს.

დეფექტების ადრეულ სტადიაზე გამოვლენა ხელს უწყობს პროდუქციის მაღალი ტექნიკური დონისა და ხარისხის მიღწევას. მსოფლიო ტექნიკური დონის მიღწევის განმსაზღვრელ წინაპირობას კვალიფიციური კადრების არსებობა წარმოადგენს.

იაპონიის გამოცდილება ადასტურებს, რომ მხოლოდ ქვეყანაში შექმნილი დანადგარებისა და მანქანების ტექნიკური დონეზე და მუშაობის ხარისხზე, პასუხისმგებლობის გრძნობის მიზნობრივი გამომუშავება დაეხმარა ამ ქვეყანას ტექნოლოგიური თვალსაზრისით ლიდერის პოზიციების დაკავებაში მსოფლიოში. დღესდღეობით იაპონიას ჰყავს ყველაზე კომპეტენტური პერსონალი მსოფლიოში პროდუქციის ტექნიკური დონის, ხარისხის მართვის და მეცნიერების ფლობისა და მისი გამოყენების კუთხით.

საქართველოში სამამულო პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლების ერთ-ერთი გზა არის მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სასერთაშორისო თანამშრომლობა, კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა და უცხოეთში ლიცენზიების ყიდვა.

მოცემულ კონტექსტში ლიცენზიაში იგულისხმება უცხოელი კონტრაგენტებისთვის განსაზღვრული ანაზღაურების საფასურად ნაწარმის, სამრეწველო ნიმუშების, ნოუ-ჰაუს, ტექნიკური დოკუმენტაციისა და სხვა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და ინჟინერინგის ტიპის მომსახურების გამოყენების უფლების გადმოცემა.

ლიცენზიები შეიძლება გაიყიდოს საკუთარ სიახ-

ლეზეც, რაც ხელს შეუწყობს გარკვეული ტიპის პროდუქციაზე ტექნიკური დონის კონტროლს.

მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სერტიფიკაციის სისტემა. სერტიფიკაცია ფართოდაა გავრცელებული მსოფლიო პრაქტიკაში. ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია, საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია (სეკ), ევროპის ეკონომიკური კომისია (ეეკ) და სხვა.

სერტიფიკაცია — წარმოადგენს ქმედებათა კომპლექსს, რომელთა მეშვეობითაც დამოუკიდებელი მხარე ამოწმებს პროდუქციის შესაბამისობას განსაზღვრულ ნორმატიულ-ტექნიკური მოთხოვნებთან. პროდუქციაზე სერტიფიკატის (დოკუმენტის) არსებობა, რომელიც გაცემულია ავტორიტეტული, ნდობის მქონე ორგანოს მიერ, აადვილებს საგარეო ხელშეკრულებების დადებას, პროდუქციის გატანას მსოფლიო ბაზარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში პროდუქცია სერტიფიკატის გარეშე, ვერც შიდა ბაზარზე იქნება წარდგენილი. სერტიფიცირება გულისხმობს ტიპური გამოცდა-შემოწმების ჩატარებასა და სახელმწიფოს მხრიდან სერტიფიცირებულ პროდუქციაზე კონტროლს, მისი ნიმუშების პერიოდული შემოწმების გზით.

ტიპური გამოცდის ჩატარების შემდეგ გაიცემა შესაბამისობის სერტიფიკატი, ხოლო წარმოების პირობების შემოწმების შემდეგ, პროდუქციაზე სერტიფიკატის გარდა, გაიცემა წარმოების ატესტატი, რომელიც ადასტურებს წარმოების შესაძლებლობას, რომ მას შეუძლია განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს შესაბამისი ხარისხი.

ახალი პროდუქციის მსოფლიო ტექნიკურ დონესთან შესაბამისობის შეფასების პროცესი მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:

1. შეფასებისთვის აუცილებელი მაჩვენებლების ნომენკლატურის განსაზღვრას.
2. ანალოგთა ჯგუფების ფორმირებას და მათი მაჩვენებლების მნიშვნელობის დადგენას.
3. ანალოგთა ჯგუფიდან საბაზო ნიმუშების გამოყოფას.
4. შესაფასებელი ნიმუშის საბაზოსთან შედარებას.

მაჩვენებელთა ნომენკლატურა, რაც გამოიყენება შეფასებისთვის, უნდა უზრუნველყოფდეს ერთი სახეობის პროდუქციის სხვადასხვა ნიმუშების შესადარირსობას. ის ფორმირდება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. შეფასების მაჩვენებლების გარდა, ნომენკლატურა შეიცავს მაკლასიფიცირებელ მაჩვენებლებს (მოცემული სახეობის პროდუქციის დანიშნულება და განოყენების სფერო). ეს მაჩვენებლები შესაძლებელს ხდის მსოფლიო ბაზარზე არსებული ნიმუშების მიკუთვნებას შესაფასებელი ნაწარმის ანალოგების ჯგუფთან. საკლასიფიკაციო მაჩვენებლებს განეკუთვნება: პროდუქციის ტიპოზომების პარამეტრები (ძრავის სიმძლავრე, ტვირთამწეობა და სხვა); პროდუქციის დამატებითი თვისებებისა თუ მოწყობილობების არსებობის მაჩვენებლები (მაგალითად, მაცივარი ხმოვანი სიგნალით); მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ პროდუქციის გამოყენების სფეროს; მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ მომხმარებელთა ჯგუფს და ა.შ. გამომუშავებული პროდუქციის შეფასებისას ანალოგთა ჯგუფში შედის პერსპექტიული და ექსპერიმენტული ნიმუშები, რომელთა მსოფლიო ბაზარზე გასვლა მოსალოდნელია შესაფასებელი პროდუქციის გამოშვების პერიოდში. გამოსაშვები პროდუქციის შეფასებისას ამ ჯგუფში შედის მსოფლიო ბაზარზე რეალიზებადი ნიმუშები.

პერსპექტიული ნიმუშების მაჩვენებელთა მნიშვნელობის პროგნოზის გასაკეთებლად ტარდება:

- მაჩვენებელთა მნიშვნელობის ცვლილებათა ჩამოყალიბებული ტენდენციების ანალიზი.
- საპატენტო გამოკვლევები და პერსპექტიული ტექნიკური გადაწყვეტების რეალიზაციის ვადების შეფასება, რომლებიც მიმართულია მოცემული სახეობის პროდუქციის მაჩვენებელთა გაუმჯობესებაზე.

საბაზისო ნიმუშების ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ, ხორციელდება მათი წყვილ-წყვილი შედარება შესაფასებელ ნაწარმთან. შედარების შედეგები შეიძლება იყოს:

- შესაფასებელი პროდუქცია ჩამოუვარდება საბაზო ნიმუშს, თუ ის ერთი მაჩვენებლით მაინც ჩამოუვარდება მას და არც ერთი მაჩვენებლით არ უსწრებს;
- შესაფასებელი პროდუქცია უტოლდება საბაზო ნიმუშს, თუ მათი მაჩვენებლების ყველა მნიშვნელობა ემთხვევა ერთმანეთს;
- პროდუქცია აღემატება მსოფლიო დონეს, თუ ის აღემატება თითოეულ საბაზო ნიმუშს.

მანქანებისა და დანადგარების ტექნიკური დონის შეფასება სერიული წარმოების სტადიაზე გულისხმობს დაკვირვებას სერტიფიცირებაზე. სერტიფიცირების მაჩვენებლები წარმოადგენს საერთაშორისო აღიარების ინდიკატორს.

ახალი პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მართვის განხილული მიმართულებები გამჭოლი ხასიათისაა მიკროდან-მაკრომდე. თუმც, მიკროდონეზე არსებობს ახალი პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მართვის შიდა სისტემა. სასარგებლოა არჩევითი მეთოდის გამოყენება, როცა ტარდება სასერტიფიკაციო გამოცდა და ფასდება ახალი პროდუქცის გამძლეობა, სანდოობა. არჩევითი მეთოდის გამოყენება ასევე შესაძლებელია მისი გამოყენების ტექნოლოგიური პროცესების სტაბილურობის კონტროლისთვის.

ახალი პროდუქციის შეფასებისას გასათვალისწინებელია კავშირი ახალი პროდუქციის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის.

სტატისტიკური თეორია გვაძლევს კონტროლის ორ ძირითად მეთოდს: დისკრეტულსა და უწყვეტს. დისკრეტული მეთოდით ნაწარმის შემოწმება ხორციელდება პარტიის მიღებისა და წარმოებიდან გა-

მოსვლისას. მუდმივი (უწყვეტი) კონტროლი კი წარმოადგენს რეგულარულ დაკვირვებას წარმოების პროცესის მიმდინარეობასა და შედეგებზე.

მწარმოებელი აკონტროლებს ახალი ტექნიკის ხარისხს წარმოების ყველა სტადიაზე. მომხმარებლის მიერ შეძენილი ახალი ტექნიკის ხარისხი ფასდება მისი საშუალებით წარმოებული პროდუქციის ხარისხის მიხედვით.

ხარისხის გასაკონტროლებლად გამოიყენება ე. წ. მცირე ამორჩევა. მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანი რაოდენობიდან (გენერალური - N) აირჩევა ერთეულთა მცირე რაღაცა რიცხვი – n (არჩევითი ერთობლიობა უნდა იყოს არა უმეტეს 20). თითოეული ამორჩევისთვის გამოითვლება საშუალო მაჩვენებელი ($\tilde{X}$), ან წილი (W), და ამორჩევითი დისპერსია (δ2):

$$\tilde{\chi} = \frac{\sum_{i=1}^{n} x_i}{n}; \quad \delta^2 = \frac{\sum_{i=1}^{n} (x_1 - \tilde{x})^2}{n-1}$$

$W \frac{m}{n}$ m — წუნის (უარის რაოდენობა.

$$\delta_w^2 = \frac{w(1-w)}{n-1}$$

სიდიდეს n-1 ეწოდება დისპერსიის თავისუფლების (r) ხარისხის რიცხვი, ეს არის ვარიანტების რაოდენობა, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ნებისმიერი მნიშვნელობა საშუალო სიდიდის უცვლელობის პირობებში.

მცირე ამორჩევისას გენერალური ერთობლიობის დისპრესია უცნობია, ამიტომ მისი შეფასებისთვის გამოიყენება მცირე არჩევითი დისპერსია (δ2). მცირე ამორჩევის შედეგების მიხედვით გენერალური ერთობლიობის პარამეტრების შეფასებისათვის გამოიყენება მეცნიერ სტიუდენტის განაწილება (t - kriteriumi). n-ის ყველა მნიშვნელობისთვის სტიუდენტის განაწილების ცხრილებში არსებობს t - ფუნქცია და მისი განაწილება.

მცირე ამორჩევის საშუალო და ზღვრული შეცდომა გამოითვლება ფორმულებით:

$$\mu_{\text{მ.ა.}} \frac{\delta}{\sqrt{n-1}},$$

სადაც $\delta = \sqrt{\delta^2};$

$$\Delta = t\mu_{\text{მ.ა.}},$$

სადაც t — ნორმირებული გადახრაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. კიწმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016 წ.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.
4. http: //www.russba.ru/

ბუღალტრული აღრიცხვის როლი, მნიშვნელობა და ბუღალტერიის წარმოება კომპანიებში

ელგუჯა კონჯარია,
ასოცირებული პრფესორი

რეზიუმე

ადამიანთა საზოგადოების არსებობის საფუძველს მატერიალური დოვლათის წარმოება წარმოადგენს. ადამიანის მიზანმიმართულ საქმიანობას მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების მიზნით სამეურნეო საქმიანობა ეწოდება.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების, სამეურნეო ფაქტების ცვლილების შესახებ ინფორმაციას, გამოხატულ ფულად ერთეულში. ბუღალტრული აღრიცხვა საშუალებას იძლევა განისაზღვროს სამეურნეო სუბიექტის ქონება, მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და საბოლოო ფინანსური შედეგი. ბუღალტრული აღრიცხვისათვის დამახასიათებელია საწარმოს დაარსებიდან მიმდინარე პერიოდამდე მასში მომხდარი ოპერაციების განუწყვეტელი აღრიცხვა, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

Summary

The production of material is called the main thing of exist of society Human's real work is called wealth of material's production, delivering and sing.

Financial account is undertaking's econimical resource's and size's origin information about changing of forming facts.

Financial account gives existance of whole capital, incomes, expance and final financial result.

The main characteristic of financial farming form beginning to and with chronological categories on proper forming.

* * * * * *

ბუღალტერის პროფესიას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მისი მრავალფეროვანი ისტორია მეტყველებს, იმაზე, რომ ზუსტი აღრიცხვის გარეშე წარმოუდგენელია საწარმოს სრულყოფილი მართვა, შეუძლებელია დადებითი ფინანსური აღრიცხვის უზრუნველყოფა, მისი ისტორიის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის ევოლუცია, თეორიისა და პრაქტიკის მიზანმიმართული სრულყოფა.

ბუღალტრულ აღრიცხვას ნებისმიერი ტიპის საწარმოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი ასეთი დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ბუღალტერიის ანგარიშებს დიდ ყურადღებას უთმობენ როგორც ხელმძღვანელი პირები, ასევე სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოებაც. ყველა მათგანს აქვს მიზეზი იმისა, თუ რატომაა საჭირო ბუღალტრული ინფორმაცია მათთვის. მაგალითად კომპანიის ხელმძღვანელობას ეს ინფორმაცია აძლევს საშუალებას, რომ მიიღონ გადაწყვეტილებები ახალ პროექტებთან დაკავშირებით, წაახალისონ თუ არა კომპანიის მუშაკები და სხვა. რაც შეეხება სახელმწიფო სტრუქტურებს, (საგადასახადო სამსახური, სტატისტიკის სამსახური) მათი ინტერესი სხვა მიზეზითაა გამოწვეული. მაგალითად, სტატისტიკის დეპარტამენტს აინტერესებს ამა თუ იმ ფირმის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, რამდენი მუშახელი ჰყავს დაქირავებული, რათა შემდგომ დაითვალოს სახელმწიფოში უმუშევრობის დონე, გაიგოს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, რაც საჭიროა ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლის დასათვლელად და ა.შ. რაც შეეხება საგადასახადო სამსახურებს, მათი ძირითადი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ მოახდინონ სახსრების მობილიზება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში. ასევე ზუსტად იქნას დათვლილი მომავალი წლის ბიუჯეტის შემოსავლები (კერძოდ, საგადასახადო შემოსავლები) .

ბევრი მსხვილი კომპანია ყოველწლიურად აქვეყნებს თავის ფინანსურ ანგარიშს, რათა ერთი მხრივ დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი მისი კომპანიისადმი და, მეორეს მხრივ, მოახდინოს ფირმის პოპულარიზაცია, მიიზიდოს მეტი კლიენტი.

ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია გადმოსცეს ინფორმაცია ყველასათვის გასაგები ენით. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ციფრებით, ამისათვის მსოფლიოში ბევრი ქვეყანა შეთანხმებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე მათ შორის საქართველოც. ეს სტანდარტები გულისხმობს იმას, რომ ყველა სახის ბუღალტრული ინფორმაცია, იქნება ეს შემოსავალი, ხარჯი, ბალანსი თუ სხვა, აღინიშნება რიცხვებით. სწორედ ამის დამსახურებაა ის, რომ ნებისმიერი ეროვნების ინვესტორს შეუძლია თარჯიმნის გარეშე ერთი თვალის გადავლებით, გაიგოს თუ რა ხდება მისთვის საინტერესო ფირმაში.

ბუღალტერიაში საანგარიშო წლად მიიჩნევა კალენდარული წელი, ანუ მთელი წელი დაწყებული 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიების ბუღალტრული ინფორმაციაით დაინტერესებულია საგადასახადო სამსახური. საგადასახადო კოდექსის თანახმად ყველა კომპანია ვალდებულია საგადასახადო ინსპექციას აბაროს დეკლარაციები. არსებობს სხვადასხვა სახის დეკლარაციები. ისინი ზოგადად შეიძლება დავყოთ ორად: გადასახ-

ადის სახეობის მიხედვით და პერიოდულობის მიხედვით.

გადასახადის სახეობის მიხედვით დეკლარაცია არსებობს იმ კონკრეტული გადასახადისთვის, რომლის გადამხდელიცაა ესა თუ ის კომპანია, პერიოდულობის მიხედვით დეკლარაცია შეიძლება იყოს ყოველთვიური და წლიური. წლიური დეკლარაციებია: მოგებისა, ქონებისა და საშემოსავლო (წლიური საშემოსავლო გადასახადის ფორმას სხვა ფორმა აქვს ყოველთვიურისგან განსხვავებით) დეკლარაციები. ყოველთვიურია დეკლარაციები: საშემოსავლო, დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის გადასახადის დეკლარაციები.

საწარმოში ფულადი სახსრების მოძრაობა (შემოსვლა, გასვლა) აღირიცხეა სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერებით.

შემოსავლის ორდერი უნდა შეივსოს მაშინ, როდესაც საწარმოში შემოდის ფული.

საწარმოში ფულის შემოსვლა შეიძლება მოხდეს საქონლის რეალიზაციის შედეგად, სესხის დაბრუნების დროს, ბანკიდან ფულის გამოტანის დროს და ა.შ. აღნიშნულ ორდერში უნდა ჩაიწეროს თუ ვისგან არის თანხა მიღებული, რა მიზეზით, რამდენი, რომელ თარიღში და ა.შ. ეს ორდერი შედგება ორი ნაწილისაგან. ⅀პირველი ნაწილი რჩება ორგანიზაციაში, ხოლო მეორე გადაეცემა თანხის შემომტანს. ამ ორი ნაწილის შუაში მოსახევი ხაზია, რომელზეც მოხევამდე ერტყმევა ორგანიზაციის ბეჭედი.

რაც შეეხება გასავლის ორდერს, ის ერთიანია. ეს ორდერი გამოიწერება მაშინ, როდესაც საწარმოდან გადის ფულადი სახსრები (მაგალითად, რამის შესაძენად, მივლინებაში წასვლის დროს, ხელფასების გაცემის დროს და ა.შ) ამ ორდერს თან უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს რომ ეს თანხა იმისთვისაა დახარჯული, რისთვისაც გაიცა საწარმოდან (მაგალითად: დღგ, ანგარიშ-ფაქტურა, სახელფასო უწყისი, სასაქონლო ზედნადები, თანხის ანგარიშზე შეტანის საბუთი და ა.შ.). ჩგასავლის ორდერში უნდა მიეთითოს გამოწერის თარიღი, მიზნობრიობა, თანხის მიმღები პიროვნების მონაცემები. ⅀ორდერი დამოწმებული უნდა იყოს საწარმოს დირექტორისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერებით. თანხის გატანის დროს კი ხელს აწერს ფულის გამცემი მოლარე. ზემოთ ნახსენები ორდერები თავს იყრიან სალაროს წიგნში. სალაროს წიგნის გახსნამდე წიგნი უნდა დაილუქოს — გაიხვრიტება ორგან, გაეყრება, ზონარი, დაეკვრება ზედ ფურცელი, გაკეთდება მთავარი ბუღალტრისა და დირექტორის ხელმოწერები და დაერტყმევა ორგანიზაციის ბეჭედი. სალაროს წიგნის თითოეული ფურცელი თავიდანვე გადანომრილი უნდა იყოს, რადგან არ მოხდეს ფურცლის ამოხევა. წიგნის ყველა ფურცელზე ორი იდენტური ცხრილი და მონაცემებია დაბეჭდილი. ეს ფურცელი უნდა გადაიკეცოს ორ ტოლ ნაწილად, ჩაიდოს შუაში კოპირებადი ქაღალდი და ისე მოხდეს მისი შევსება. ⅀პირველ გადაკეცილ გვერდზე შევსებული ინფორმაცია კოპირდება მეორე გვერდზე, რომელიც დღის დასრულების შემდეგ უნდა მოიხეს და თან დაერთოს ბუღალტერიაში შესულ დოკუმენტებს. დღის დასრულების შემდეგ ხდება სალაროს შემოსავლებისა და ხარჯების დაჯამება, ხდება სალაროს ნაშთის გამოანგარიშება. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ ოპერაციებს აკეთებს მოლარე ან მოლარის არ არსებობის შემთხვევაში ბუღალტერი.

სალაროს წიგნის წარმოება სავალდებულოა ყოველ დღე, როცა კი არის ფულადი სახსრების შემოდინება ან გადინება საწარმოს სალაროდან. მასში ჩანაწერის გადაშლა ან ამოფხეკვა დაუშვებელია. თუ მოხდება შეცდომა, ის უნდა გადაიხაზოს ისე, რომ ჩანდეს თურ რა არის შეცდომით ჩაწერილი და ამის მერე მოხდეს სწორი ინფორმაციის ჩაწერა.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით ყველა ორგანიზაცია ვალდებულია, რომ ბანკში ჰქონდეს ერთი სალარო ანგარიში მაინც, ვინაიდან გადასახადების გადახდა წარმოებს მხოლოდ გადარიცხვით. საგადასახადო დავალება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: თარიღი, ფულის გადამრიცხველი ორგანიზაციის დასახელება, მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი, ორგნიზაციის საბანკო ანგარიში. თუ ბიუჯეტში ვრიცხავთ დამატებით უნდა მიეთითოს, რომ ირიცხება სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში და რაც მთავარია, უნდა მიეთითოს გადასახადის სახელი და კოდი. თუ თანხას არ ვრიცხავთ ბიუჯეტში და ვრიცხავთ სხვაგან (იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან) , უნდა მივუთითოთ მიმღების დასახელება, ანგარიშის ნომერი, მომსახურე ბანკი, მომსახურე ბანკის კოდი და დანიშნულება. საგადასახადო დავალებაში თანხა მიეთითება როგორც ციფრებით, ასევე სიტყვიერად. საგადასახადო დავალება მოწმდება ხელმომწერის ან ხელმომწერების მიერ და ერტყმევა ორგანიზაციის ბეჭედი. ხელმომწერი აღნიშნავს ორგანიზაციის თანამშრომელს (როგორც წესი დირექტორი ან ბუღალტერი, ან ორივე ერთად) , რომელსაც თავისი ხელმოწერა (ფაქსმილიე) დამოწმებული აქვს ნოტარულად და წარდგენილი აქვს ბანკში. საგადასახადო დავალებაზე შეიძლება გაკეთდეს მაქსიმუმ ორი ხელმოწერა.

შესაძლებელია გადასახადებისა და სხვა გადარიცხვების განხორციელება კომპიუტერის დახმარებით, რაც თავიდან აგვაცილებს საგადასახადო დავალების შევსებასა და ბანკში წარდგენას.

როდესაც ჩვენი ორგანიზაცია ყიდის საქონელს სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ მეწარმე ფიზიკურ პირზე, მოთხოვნის შემთხვევაში, ჩვენ ვალდებული ვართ მყიდველს გამოვუწეროთ სასაქონლო ზედნადები, ხოლო თუ დღგს გადამხელებიც ვართ, მაშინ უნდა გამოვუწეროთ დღგ ანგარიშ ფაქტურაც. სასაქონლო ზედნადები. დღგ ანგარიშ ფაქტურისგან განსხვავებით, არ არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი. რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეძენა შესაძლებელია საკანცელარიო მაღაზიებში და მისი გაფუჭების შემთხვევაში შეგვიძლია გადავაგდოთ, რაც დაუშვებელია დღგ ანგარიშ-ფაქტურაზე. დღგ ფაქტურა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია და გასცემს მხ-

ოლოდ საგადასახადო ინსპექცია. ყველა ფაქტურას აქვს საკუთარი რიგითი ნომერი და სერია ცალკე ნომრით. ის შედგება 4 ერთნაირი ინფორმაციის მატარებელი ფურცლისგან. პირველ გვერდზე შეტანილი ინფორმაცია ავტომატურად გადადის დანარჩენ სამ გვერდზეც. როდესაც ხდება ფაქტურის გამოწერა, გამოწერილი ფაქტურის მეოთხე ეგზემპლარი დეკლარაციასთან ერთად უნდა წარედგინოს საგადასახადო ინსპექციას მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგება — ზარალის უწყისი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

< "როგორც ბიზნესის მფლობელი, ვიღებ თუ ვკარგავ შემოსავალს?"

< თუ ვიღებ — რამდენს ?

< თუ ვკარგავ — რამდენს ?

... ..ასაბუთებს კომპანიის შემოსავლებსა და გასავლებს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აანალიზებს არის თუ არა ბიზნესი მომგებიანი. ამასთან, იგი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ გადაწყვეტილება ბიზნესში რეინვესტირების შესახებ.

მოგება — ზარალის უწყისის წაკითხვის შემდეგ, შეიძლება განისაზღვროს ბიზნესის მიერ მიღებული შემოსავლის წყაროები და გაწეული დანახარჯების მიზნობრიობა. რაც საშუალებას მოგცემთ გავაანალიზოთ ბიზნესის წარმადობა.

შემდეგი ფორმულის გამოყენებით მარტივად შეძლებთ გამოითვალოთ ბიზნესის მოგება ან ზარალი:

სუფთა შემოსავალი = შემოსავლები — გასავალი

მოგება — ზარალის უწყისი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

< მოგება — ზარალის უწყისის პერიოდისათვის მთლიანი შემოსავლების თანხას;

< მოგება — ზარალის უწყისის პერიოდისათვის მთლიანი გასავლების თანხას;

< მოგება — ზარალის უწყისის პერიოდისათვის სუფთა შემოსავლის თანხას.

ამ ინფორმაციით შევიტყობთ:

| გაიზარდა თუ შემცირდა შემოსავლები დროის მოცემული პერიოდისათვის;

| გაიზარდა თუ შემცირდა ხარჯები დროის მოცემული პერიოდისათვის;

| გაიზარდა თუ შემცირდა მოგება დროის მოცემული პერიოდისათვის;

მოგება-ზარალის უწყისის შესადგენად საჭიროა:

| შემოსავლები განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში;

| დანახარჯები განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში;

1. გავიანგარიშოთ მთლიანი შემოსავალი პერიოდის განმავლობაში: აღნიშნული წარმოადგენს მონაცემებს მთლიანი გაყიდვების შესახებ დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

მთლიანი შემოსავალი = შემოსავალი მომსახურების გაწევისთვის, შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან, შემოსავალი პროდუქტის გაყიდვიდან.

2. გავიანგარიშოთ მთლიანი ხარჯები პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს პერიოდის განმავლობაში გაწეული ხარჯების მთლიან ოდენობას.

მთლიანი ხარჯი =

| ხელფასები;

| საკანცელარიო საქონელი\ფორმები;

| საწვავი და ავტომანქანის შენახვა;

| საოფისე და საწმენდი მასალები;

| წყალი

| ელექტროენერგია

| საკომუნიკაციო ხარჯები (ტელეფონი)

| ცვეთა;

| მოგების გადასახადი;

| სხვა ხარჯები

3. გავიანგარიშოთ სუფთა შემოსავალი გადასახადების გადახდამდე: აღნიშნული გვიჩვენებს თვის განმავლობაში ბიზნესის სუფთა შემოსავალს გადასახადების გაანგარიშებამდე.

სუფთა შემოსავალი გადასახადების გადახდამდე = შემოსავალი — ხარჯები

4. გავიანგარიშოთ სუფთა შემოსავალი: სუფთა შემოსავალი არის ბიზნესის მოგება ან ზარალი, მოგება-ზარალის უწყისის პერიოდისათვის.

სუფთა შემოსავალი = სუფთა შემოსავალი გადასახადების გადახდამდე — გადახდილი გადასახადები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. თევდორაძე, ნ. ლოლაშვილი, კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა თბილისი 2013.
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.
3. AAACA F3. ფინანსური აღრიცხვა — სახელმძღვანელო თბილისი 2006.
4. AACA F7. — სახელმძღვანელო თბილისი 2009.
5. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე , ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი, "ბუღალტრული აღრიცხვა" თბილისი 2011 წ.
6. ე. ხარაბაძე "ფინანსური აღრიცხვა" თბილისი 2009.

ბალანსის შედგენის თვალსაზრისები და საბალანსო თეორიები

ნაზი გვარამია,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

Opinions and the Ories of Balancing the Balance Sheet

Summary

Scientific thesis covers the important role of accounting in the issues of management theory and practice improvement on the modern stage. Mainly, by point of view of finding out economic information, methodic and analyze aspects in financial management.

Characterization of classic balance theories is discussed in the scientific thesis (statistic, dynamic organic) follow from the balance creation, which fully gives the imagination for its legal side.

Analyze and views of founder scientists of classic balance theories are given in the research and development tendencies of abovementioned theories are given as a conclusion in compliance with the modern requirements.

Keywords: accounting, balance, analyze.

* * * * * *

ბუღალტრულ აღრიცხვას, როგორც "ბიზნესის საერთაშორისო ენას" მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული თანამედროვე მართვის სისტემაში. იგი აქტიური მონაწილეა მმართველობითი პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში, ბუღალტერმა კი ითავსებს დაგეგმვას, პროგნოზირებას, გადაწყვეტილებათა მიღებას, მმართველობითი სამსახურების ინფორმაციათა კონტროლის, ანუ მას წარმოექმნა დამატებითი ფუნქციები მართვისა და სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში. აქედან გამომდინარე, ცალსახაა თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი როლი ზოგადად მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საკითხებში, კერძოდ ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავების, ანალიზის მეთოდოლოგიური და მეთოდური ასპექტების თვალსაზრისით. სამეცნიერო ნაშრომში განვიხილავთ კლასიკური საბალანსო თეორიების დახასიათებას ბალანსის შედგენის მიზნიდან გამომდინარე, რაც სრულად გვაძლევს წარმოდგენას ასევე მის სამართლებრივ მხარეზე.

საბალანსო თეორიები საბალანსო არსის, ამოცანებისა და შინაარსის ასახვის თვალსაზრისებია. ყველა ამ თეორიას ერთი საერთო ასპექტი აერთიანებს: განისაზღვროს ბალანსის მთავარი მიზანი და გამოკვლეულ იქნას მიზანზე ორიენტირებული საბალანსო ღირებულებები. ბალანსის განსხვავებული ამოცანები განაპირობებენ სხვადასხვა საბალანსო თეორიებს. გამოვყოფთ მათგან რამოდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანს:

- სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები;
- დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორია;
- ორგანული საბალანსო თეორიები.

სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები: სტატიკური საბალანსო მოძღვრების თანახმად, ბალანსი ემსახურება ქონების სწორად დადგენას. მოგება კი არის "ქონების მატება". მთავარი ყურადღება ექცევა დროის გარკვეული მომენტისათვის ქონებისა და ვალდებულებების შემადგენლობის განსაზღვრას. როდესაც ვეხებით სტატიკურ საბალანსო თეორიებს, არ ვგულისხმობთ ყველა წვრილმანის თვალსაზრისით მონოლითურ საბალანსო თეორიას. სტატიკური საბალანსო თეორია თავის დასაბამს იღებს გასული საუკუნის ბოლოსათვის არსებული საბალანსო თვალსაზრისებიდან, რომელიც ახასიათებდა მაშინდელ კომერციულ რეალობას. ამ თვალსაზრისს სასამართლო წარმოებაში ლიკვიდაციის სტატიკას უწოდებდნენ. ამგვარად საბალანსო თვალსაზრისი ამოდის ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული ფაქტიური გაკოტრების მდგომარეობიდან და ბალანსში ასახულ ქონებას განიხილავს როგორც კრედიტორთათვის ხელმისაწვდომს (სალიკვიდაციო ქონება), თუ საჭირო იქნება საწარმოს ლიკვიდაცია. ლიკვიდაციის სტატიკის მიზანია ვალების დაფარვის კონტროლი. ბალანსის შედგენის მეშვეობით უნდა შემოწმდეს ექნება თუ არა უნარი მეწარმეს საწარმოს სავარაუდო ლიკვიდაციისას დაფაროს ყველა არსებული ვალი. "არსებულ ვალად" ჩაითვლება არსებული ვალდებულებები გარეშე პირთა მიმართ. შიდა ვალდებულებები არ წარმოადგენენ ლიკვიდაციის შემთხვევაში დასაფარ ვალებს.

ჰერმან ვიეტ სიმონმა განავითარა "საქმის გაგრძელების" სტატიკა. ბალანსის შედგენის დროს უნდა ამოვიდეთ წარმოების უწყვეტობის პრინციპიდან. თუ დაბალანსების საფუძველი იქნება წარმოების უწყვეტობის პრინციპი, მაშინ წარმოების საშუალებათა ღირებულება გადააჭარბებს გასხვისების პოტენციურ ღირებულებას. აქტივაციის უნარი წარმოების უწყვეტობის პრინციპზე აგებულ ბალანსში აქვს ყველა იმ ქონებრივ ღირებულებას, რომელთაც დადებითი წვლილი შეაქვთ შემოსავლების ფორმირებაში. ამდენად აქტივების წრე ფართოვდება. სიმონის შეხედულებით სამართლის თვალსაზრისით პასივაციის უნარი გააჩნიათ ვალებსაც. სტატიკოსები ძირითადად უარყოფენ დანახარჯებისათვის ანარიცხების ფართო პასივაციას. ახალი სტატიკური საბალანსო თეორიის

წარმომადგენლებად უპირველეს ყოვლისა ითვლებიან ნიკლიში და ლე კუტრე. თუ სიმონი დასაშვებად თვლიდა საბრუნავი კაპიტალის შეფასებას უფრო მაღალი საბაზრო ღირებულებებით, ახალი სტატიკის წარმომადგენლები ძირითად ორიენტაციას შეძენის ღირებულებაზე იღებენ. ბალანსი გაგებულია როგორც კაპიტალის დეპოზიციური ანგარიში.

დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები: დინამიკური მოძღვრების თანახმად, ბალანსის შედგენის ძირითად მნიშვნელობას უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მოგებისა და ზარალის დადგენა. დინამიკური საბალანსო თეორიის ფუძემდებლად ითვლება ევგენი შმალენბახი, რომელიც 1819 წელს დაუპირისპირდა სტატიკოსების თვალსაზრისს იმ საკითხებში, რომ მოგება განეხილა, როგორც ქონების გაზრდა. შედეგის დინამიკური ანგარიშგების საშუალებით მეწარმე ღებულობს ინდიკატორებს რენტაბელობის კონტროლისათვის. დინამიკური ბალანსის არსი ორი ძირითადი პრინციპით განისაზღვრება:

- პერიოდის შესაბამისი, მოგების ექსტრემალური განსაზღვრა;
- შედარების პრინციპი.

დინამიკური საბალანსო თეორიის ძირითად პუნქტს შეადგენს პერიოდების შესაბამისი შემოსავლებისა და გსავლების დაპირისპირება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. აღნიშნულ თეორიაში შმალენბახი ეწევა სიფრთხილის პრინციპის პროპაგანდას, რაც ემსახურება დინამიკურ ბალანსში დაუგეგმავი ჩანაწერების თავიდან აცილებას, რომლებიც განსაკუთრებით უშლიან ხელს ანგარიშგებაში შედეგების შესადარისობას. შმალენბახი იყენებს აგრეთვე რეალიზაციის პრინციპს, მაგრამ ეს პრინციპი არ არის შექმნილი დინამიკური საბალანსო თეორიის მიხედვით, პირიქით, იგი ამცირებს კიდევაც დინამიკური მოგების მნიშვნელობას. ვალბმა განავითარა შმალენბახის დინამიკური საბალანსო თეორია საფინანსო-ეკონომიკურ ასპექტში. იგი განასხვავებს ანგარიშების ორ კლასს: საანგარიშსწორებო ანგარიშებს და საშედეგო ანგარიშებს.

ორგანული ბალანსის თეორია: გერმანიაში გასული საუკუნის 20-იან წლებში სწრაფ ინფლაციაზე რეაგირებას წარმოადგენდა **ფრიც შმიდტის** მიერ შექმნილი ორგანული ბალანსის თეორია, რომლის ძირითად არსს წარმოადგენს ინფლაციური პროცესების განვითარების გათვალისწინება მატერიალური ფასეულობების ღირებულებისა და მოგების დადგენის დროს. შმიდტი თავის თეორიას ორგანულს უწოდებს, რადგან მეწარმეს, როგორც ერთიანი ეკონომიკური სივრცის ნაწილს, შეუძლია განსაზღვროს თავისი ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში. შმიდტს ბალანსის შედგენის საშუალებით სურს შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გადმოსცეს მეწარმის ქონებრივი მდგომარეობა საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ამისათვის ის აფართოებს აქტივაციის საზღვრებს და ობიექტივაციის მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე ახდენს არამატერიალური აქტივების აქტივაციას. მატერიალური ფასეულობები ორგანულ ბალანსში აისახება მოცემული დღისათვის არსებული შეძენის ღირებულებით, ამით კი ირღვევა რეალიზაციის პრინციპის მოთხოვნა. შმიდტის მიხედვით სამეურნეო წლის მოგება წარმოადგენს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ნამეტს რეალიზებული პროდუქციის ღირებულებაზე, რომელიც შეფასებულია რეალიზაციის დღისათვის არსებული ფასებიდან გამომდინარე.

სამეცნიერო ნაშრომში შევეცადეთ განგვეხილა კლასიკური საბალანსო თეორიები და შესაბამისად წარმოგვედგინა ბალანსის შედგენის თვალსაზრისები, უკვე არსებული და აპრობირებული მიდგომები ამ ასპექტით.

დასკვნის სახით დავსძენთ, რომ სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) და დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები დღესაც ვითარდება არსებული მოთხოვნების შესაბამისად. თანამედროვე პრაქტიკაში საბალანსო კანონი გულისხმობს როგორც სტატიკურ (ქონებაზე ორიენტირებულ), ისე დინამიკურ (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებულ) ბალანსს, ამასთან უპირატესობა ენიჭება სტატიკურ თვალსაზრისს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.გვარამია. ბუღალტრული აღრიცხვის, როგორც ინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია /თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში/, შრომების კრებული. თბ, 2015 წ. გვ. 55-59
2. ზ. ლიპარტია, ნ. გვარამია, ე. ლანჩავა. ეკონომიკური ანალიზი. თბ., 2007 წ.
3. ნ. ძიმცეიშვილი, ნ. გვარამია, მ. ნაჭყებია. ფინანსური ანგარიშგება. თბ.,2007 წ.
4. Баканов М.И., Мельник М. В., Шеремет А. Д. Теория экономического анализа. Учебник.: Финансы и статистика, 2006 г.
5. Downes Y., Goodman E. Y. Dictionary of Finance and Investment Terms, 2006.

აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია და მათი შემცირების მექანიზმები

ნინო ფაილოძე, *სტუ-ს პროფესორი*
იაშა მურვანიძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვას; ფინანსური კონტროლი მნიშვნელოვანია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის. ფინანსური კონტროლის მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას და დასკვნის გამოტანა, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნების და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: რისკის მართვა, რისკის კატეგორიები, ფინანსური კონტროლი, შიდა და გარე რისკი.

Классификация рисков и механизмы ее сокращения связанные с учетом и контролем

Резюме

Управление учетом включает обзор составления финансового учета, связанного с риском внутреннего контроля и с управлением системы рисков. Финансовый контроль важен для любой организации. Целью финансового контроля является принятие правильного решения, а именно, содержит ли финансовый учет какую-нибудь существенную неточность и вынесение заключения. Подготовлен ли финансовый учет в соответствии с запросами, установленными законом и стандартами финансового учета.

* * * * *

რისკი არის იმ შედეგის დადგომის ალბათობა, რომელიც წარმოადგენს გადახრას დაგეგმილი/მოსალოდნელი შედეგიდან და უარყოფითად მოქმედებს დაწესებულების მიზნების მიღწევაზე. რისკი განსაზღვრავს ნებისმიერ მოვლენას, რომლის შედეგადაც კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგები შესაძლებელია მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდეს.

რისკი განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლების კომბინაციით:

ა) მოხდენის ალბათობა;

ბ) გავლენა (მოხდენის შემთხვევაში).

პირველ რიგში, უნდა განიხილებოდეს და იმართებოდეს რისკები, რომელთა მოხდენის ალბათობა და გავლენა ყველაზე მაღალია. რიგითობით ყოველი შემდეგი უნდა იყოს რისკი ნაკლები მოხდენის ალბათობითა და გავლენით. პრაქტიკაში ეს პროცესი გაცილებით რთულია, რადგან არსებობენ რისკები, რომელთა მოხდენის ალბათობა არის მაღალი, მაგრამ დაბალია გავლენა და/ან პირიქით. ასეთ შემთხვევებში უნდა განხორციელდეს რისკების პრიორიტეტებად დალაგება დაწესებულების მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, რათა არ მოხდეს შეცდომის დაშვება.

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს, რომელშიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებს დაწესებულების თითოეული თანამშრომელი. რისკის მართვა წარმოადგნეს დაწესებულების სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

რისკის მართვა მოიცავს პრაქტიკულად ყველა რისკს, რომელიც ეხება დაწესებულების საქმიანობას წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

რისკის მართვის შინაარსის განსაზღვრა მოიცავს დაწესებულების მიზნების, ამოცანების, სტრატეგიის, მასშტაბის და პარამეტრების განსაზღვრას. ასევე, მთლიანად რისკის მართვის პროცესის განხორციელების მასშტაბისა და საზღვრების დადგენას, როგორიც არის:

- დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების, მის მიერ განხორციელებული ქმედებების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- იმ გადაწყვეტილებების განსაზღვრა, რომელთა მიღებაც ხორციელდება დაწესებულების მიერ მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორცილების მართვის პროცესში;
- დაწესებულების საქმიანობის მოქმედების დროისა და ადგილის განსაზღვრა;

• რისკის მართვის ღონისძიებების მოცულობის წინასწარი განსაზღვრა, რაც არ გამორიცხავს შემდგომში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას და სხვ.

რისკის მართვის შინაარსის ჩამოყალიბების ეტაპებზე შესაძლოა განხილული იყოს შემდეგი სპეციფიკური საკითხები:

• დაწესებულების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების როლი და მათი პასუხისმგებლობა რისკის მართვის პროცესში;

• დაწესებულებაში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებების ურთიერთკავშირი.

თითოეულმა დაწესებულებამ უნდა მოახდინოს თავისი სპეციფიკისა და მიზნებიდან გამომდინარე რისკების დაყოფა კატეგორიებად, საიდანაც ნათლად გამოჩნდება რისკის წარმოშობის წყარო (იხ. ცხრილი 1.).

ცხრილი 1. რისკის კატეგორიები

სტრატეგიული რისკები	ეს კატეგორია ეხება დაწესებულების გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც შეიძლება „დაზარალდნენ" შემდეგი რისკებით, როგორიცაა პოლიტიკური რისკები, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებები და დაწესებულების რეპუტაციის რისკი.
ოპერაციული რისკები	ამ კატეგორიაში ერთიანდება ის ყოველდღიური რისკები, რასაც დაწესებულება აწყდება თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას.
ფინანსური რისკები	ამ კატეგორიას მიეკუთვნება ფინანსების ეფექტურ მართვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკები და ასევე გარე ფაქტორები: საკრედიტო ხელმისაწვდომობა, სავალუტო კურსი, საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა და სხვა მიმდინარე პროცესები.
ცოდნის მართვა	ამ კატეგორიაში შედის ცოდნითი რესურსების ეფექტურ მართვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკები. ამ კატეგორიაში გარე ფაქტორები შეიძლება იყოს ინტელექტუალური საკუთრების უნებართვოდ ან ბოროტად გამოყენება, კონკურენტული ტექნოლოგიები. შიდა ფაქტორები - შეიძლება იყოს სისტემის არასწორი მუშაობა ან საჭირო პერსონალის გადინება.
შესაბამისობა	ეს კატეგორია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა, საქმიანობის მარეგულირებელი საკითხები.

რისკის მართვის საწყის ეტაპზე საჭიროა მოხდეს რისკების შიდა და გარე ფაქტორების მიხედვით დაყოფა.

შიდა რისკს წარმოადგენს დაწესებულების შიდა რესურსების შედეგად წარმოქმნილი რისკი, ხოლო გარე რისკს წარმოადგენს გარე ფაქტორების ზემოქმედებით წარმოქმნილი რისკი.

დაწესებულებაში რისკი შეიძლება დაიყოს სტრატეგიულ, ფინანსურ, ოპერაციულ და სხვა რისკებად. ასეთი კატეგორიის რისკები შეიძლება იყოს როგორც შიდა ან გარე ფაქტორით გამოწვეული, ასევე ორივე ფაქტორის ზემოქმედებით.

ძირითადი შიდა ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების რისკის მართვის ღონისძიებებზე არის:

• დაწესებულების მმართველობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციები და ანგარიშვალდებულების ფარგლები;

• დაწესებულების შესაძლებლობები რესურსებისა და ცოდნის თვალსაზრისით (დრო, პროცესები, ადამიანური რესურსები, სისტემები, დაწესებულების კაპიტალი, ტექნოლოგიები და სხვა);

• დაწესებულების მიზნები, ამოცანები და მათ მისაღწევად არსებული სტრატეგია და პოლიტიკა.

• ინფორმაციული სისტემები, ინფორმაციის მოძრაობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი (როგორც ფორმალური ისე არაფორმალური);

• დაწესებულების მიერ გამოყენებული სამართლებრივი აქტები, სტანდარტები, ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელოები;

• სახელშეკრულებო ურთიერთობების ფორმა და მოცულობა და სხვა.

გარე ფაქტორებს წარმოადგენს:

• ეკონომიკური, სოციალური, მარეგულირებელი, კულტურული, ფინანსური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნების მიღწევაზე;

• დაწესებულების საქმიანობით დაინტერესებული დაწესებულების გარეთ არსებული პირები, ასევე მათთან ურთიერთობა, მათი მოლოდინი და აღქმა.

რისკის მართვის პროცესი არის კოორდინირებული და თანმიმდევრული უწყვეტი ქმედებების ერთობლიობა. მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილები დამოკიდებულია დაწესებულების სპეციფიკაზე, მის მიზნებსა და სტრატეგიაზე, თუმცა რისკის მართვის პროცესის ზოგადი სტრუქტურა ყველა დაწესებულებაში იდენტურია.

ეფექტურ რისკის მართვას სჭირდება დაწესებულების სტრუქტურის მუდმივი გადახედვა და ანგარიშების მომზადება, რისკის ეფექტური იდენტიფიკაციისა და შეფასებისთვის, ასევე საჭირო კონტროლის ღონისძიებების და შესაბამისი საპასუხო ღონისძიებების არსებობის დასადგენად. მონიტორინგი ასევე მოიცავს რეგულარულ შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის განხორციელებას, რათა აღმოჩენილ იქნას დაწესებულების სტრუქტურისა და საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობები. ვინაიდან ორგანიზაციული გარემო მუდმივად იცვლება მისი შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, დაწესებულების სისტემაში დგება შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

მონიტორინგის პროცესი უნდა იყოს მარწმუნებელი იმისა, რომ დაწესებულების საქმიანობის შესაბამისი კონტროლის ღონისძიებები არსებობს და არსებული პროცედურები ყველასთვის გასაგებია და სრულდება.

მონიტორინგი წარმოადგენს რისკის მართვის პასიურ ეტაპს. იგი უკვე წარმოქმნილ რისკს განიხილავს, შეისწავლის ყველა ცვლილებას და შემდეგ იწყება რისკის შემცირებაზე მუშაობა.

რისკების მინიმიზაციისათვის აუცილებელია ორგანიზაცია დეტალურად ახორციელებდეს მომხდარი რისკების გამომწვევი ფაქტორების ანალიზს, რისკის წინასწარ გამოვლენას, რისკის შეფასებას, რისკის მონიტორინგსა და მუდმივ კონტროლს.

ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებას ახდენს რისკების შემცირებით. კომპანიის აქტივების ლიკვიდურობა მისი კაპიტალის ღირებულებაზე ახდენს ზეგავლენას. კომპანიის მიერ მაღალი ხარისხის სანდოობის მქონე ფინანსური ინფორმაციის დროული გასაჯაროება ამცირებს ინვესტორთა (ან კრედიტორთა) წაგების რისკს, რაც ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრებზე მეტი ფინანსური სახსრების მოზიდვას ან/და ზრდის მათზე წვდომის შესაძლებლობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, 24 ივნისი. 2016 წელი;
2. ბასილაია კ., ლიპარტია ზ. „ფინანსური კონტროლი“ სახელმძღვანელო, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერ¬სალი“, თბ., 2009 წ.;
3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) ბუღალტრული აღრიცვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ბასს) და ინტერპრეტაციების ჩათვლით 2010 წლის მდგომარეობით, საქართველოს ბაფი, თბ. 2011 წ.
4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N644. 2011 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი;
5. საქართველოს კანონი N5447 „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ 2011 წლის 9 დეკემბერი;
6. www.mrdi.gov.ge;
7. www.geostat.ge;
8. http://www.ifac.org/.

საავტომობილო პარკის რაციონალური ფორმირების შესახებ

ვალერიან ხარიტონაშვილი,
სტუ-ს პროფ.,
ლევან ბუბუტეიშვილი,
სტუ-ს პროფ.,

რეზიუმე

კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ავტომობილიზაციის პროცესი მიმდინარეობს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, ძირითადად, ექსპლუატაციაში ხანგძლივად ნამყოფი შემცირებული საექსპლუატაციო ვადების ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტით, რაც ამცირებს მოძრაობისა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, ხოლო საკანონმდებლო ნორმები ეწინააღმდეგება ქვეყანაში საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას. დასაბუთებულია საავტომობილო პარკის რაციონალური ფორმირების პროცესის დაჩქარების მიზანშეწონილობა ავტომობილების იმპორტზე საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმების დაზუსტებით, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვას და საავტომობილო პარკის რაციონალური ფორმირების პროცესის დაჩქარებას, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: სავტომობილო პარკი, მოძრაობის უსაფრთხოება, ავტომობილის იმპორტზე გადასახადი.

About The Rational Forming of Park of Motor Transport

Valerian Kharitonashvili,
Levan Bubuteishvili

Summary

The process of motorization in Georgia develops the import of vehicles from foreign countries, mainly, by the vehicles of former in exploitation protracted ремя, with mionectic their term by service, that reduces safety of motion and ecological safety, and legislative norms conflict with the public policy of development of motor transport in a country. Expediency of process of the rational forming of park of motor transport is reasonable by clarification of import taxes cars, that will provide the protection of rights for потребителей and acceleration of the rational forming of park of motor transport taking into account safety of motion and ecological safety.

* * * * *

მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონის მიუხედავად საქართველოს საავტომობილო პარკში იზრდება ავტოსატრანსპორტო (ას) საშუალებების რაოდენობა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან (ევროპა, იაპონია, აშშ) ექსპლუატაციაში ნამყოფი ას საშუალებების იმპორტით. ამავე დროს, საავტომობილო პარკის ზრდასთან ერთად მცირდება საგზაო მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლები. უახლოეს მომავალში ეს პრობლემა უფრო გაღრმავდება და მას დაემატება ას საშუალებების უტილიზაციის პრობლემაც. ამ პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ჩვენს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზაში მეცნიერულად დაუსაბუთებულ ნორმების არსებობა, რის გამოც იგი ვერ უზრუნველყოფს საავტომობილო ტრანსპორტის პარკის რაციონალურად განვითარების მართვას და რეგულირებას.

2015 წლის მონაცემებით საქართველოში საავტომობილო პარკი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 8%-ით, 10 წელზე მეტი საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადის ავტომობილების რაოდენობა შეადგენს მთლიანი პარკის 20% (552,0 ათასამდე ერთეულს), ხოლო 3 წლამდე – 3%-ს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების (სსშ) რაოდენობამ შეადგინა 6432, დაშავდა 9187 ადამიანი, ხოლო დაღუპულთა რაოდენობამ შეადგინა 602 ადამიანი. მკვეთრად მოიმატა „მარჯვენასაჭიანი“ ავტომობილების იმპორტმა და შეადგინა მთელი იმპორტის 33 %. იმ დროს, როცა “მარჯვენასაჭიანი” ავტომობილის მართვისას რისკის ხარისხი გაცილებით მეტია, ვიდრე “მარცხენასაჭიანისა” [1].

საავტომობილო პარკის საშუალო საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადა და სსშ-ის შედეგად 1000 სულ მოსახლეზე დაშავებულთა და დაღუპულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებს. ამრიგად, საავტომობილო პარკის მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საგზაო მოძრაობისა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

საავტომობილო პარკის რაციონალური ფომირების პროცესის მიზნით საკანონმდებლო ორგანოს მიერ შეტანილი იქნა ცვლილებები საგადასადო კოდექსში მსუბუქი ავტ ომობილების იმპორტზე ძრავას 1 სმ^3 მუშა მოცულობის მიხედვით [2].



ნახ. მსუბუქი ავტომობილის აქციზის განაკვეთები ძრავას 1 სმ³ მუშა მოცულობაზე გამოშვების წლის მიხედვით
1 - კოდექსში ცვლილების შეტანამდე, 2 - კოდექსში ცვლილების შეტანის შემდეგ, 3 - შემოთავაზებული

ნახ.-ზე მოცემულია მსუბუქი ავტომობილების აქციზის განაკვეთები ძრავას 1 სმ³ მუშა მოცულობაზე გამოშვების წლების მიხედვით.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, მსუბუქი ავტომობილის დაბეგვრის კოეფიციენტის k დამოკიდებულება ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის დროსთან, ანუ საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადასთან, საგადასახადო კოდექსში (როგორც ცვლილებების შეტანამდე, ისე ცვლილებების შეტანის შემდეგ), ახალი ავტომობილისათვის საექსპლუატაციოდ ვარგისობის შესაბამისი აქციზის განაკვეთის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ექსპლუატაციაში ხანგრძლივად ნამყოფი ავტომობილისა. ამდენად, ქვეყანაში საავტომობილო პარკის რაციონალური ფორმირების პროცესის მიზნით საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა შეუძლებელია არსებითი გავლენა მოახდინოს აღნიშნულ პროცესზე.

როგორც ნახ-დან ჩანს, გადასახადის მრუდი 2 არ ემორჩილება არავითარ კანონზომიერებას. მაგალითად, 1 წლამდე ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომობილის გადასახადი მეტია ვიდრე 12 წელზე მეტი ვადით ექსპლუატაციაში ნამყოფ ავტომობილზე, ანუ გაუარესებული ტექნიკური პარამეტრების მქონე ავტომობილზე გადასახადი მნიშვნელოვნად ნაკლებია ვიდრე უკეთესი ტექნიკური პარამეტრების ავტომობილზე, რაც წარმოადგენს ნონსენსს.

მიუხედავად იმისა, რომ უწყვეტად მიმდინარეობს ავტომობილის კოსტრუქციის სრულყოფა, რაც მიმართულია ავტომობილის საიმედოობის გაზრდაზე და გარე უარყოფითი ეფექტების შემცირებაზე, როგორც წესი, ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლების მნიშვნელობა მცირდება მისი საექსპლუატაციოდ გამოსადეგობის ვადის (განარბენის კმ, ან წელი) გაზრდით, ამიტომ უკეთესი მახასიათებლები გააჩნია ახალ ავტომობილს. საიმედოობის თეორიიდან ცნობილია, რომ ექსპლუატაციის პროცესში ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობის პარამეტრების ცვლილება ხასიათდება ლორენცის კლასიკური მრუდით, რომელსაც გააჩნია ორი გარდამავალი — მიმუშავების და პროგრესული ცვეთის პერიოდი, ეს უკანასკნელი კი იწყება ავტომობილის საექსპლუატაციოდ ვარგისობის დადგენილი ვადის ბოლო პერიოდში. ამიტომ ცხადია, რომ ავტომობილის იმპორტზე გადასახადიც უნდა იზრდებოდეს ავტომობილის საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადის შემცირების შესაბამისად, როგორ ეს ნაჩვენებია ნახ-ზე, წრფე 3. შემოთავაზებული მეთოდით შესაძლებელია აგრეთვე პარკში "მარჯვენასაჭიანი" ავტომობილების რაოდენობის შემცირება.

ამრიგად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ას საშუალების იმპორტზე დადგენილი გადასახადი ეწინააღმდეგება საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების პოლიტიკას, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინებით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პარკის რაციონალური ფორმირების პროცესის ხელშეწყობას. უფრო მეტიც, დადგენილი გადასახადი სტიმულს აძლევს მფლობელებს შეიძინონ საზღვარგარეთის ქვეყნებში ექსპლუატაციაში ხანგრძლივად ნამყოფი, შემცირებული საექსპლუატაციო-ტექნიკური მახასიათებლების მქონე ავტომობილები და შემოიტანონ საქართველოში, რაც ცხადია ხელს უწყობს უცხო ქვეყნებში და არა საქართველოში უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტას, შესაბამისად საქართველოში უკვე არსებული პრობლემის უფრო გაღრმავებას. გარდა იმისა, რომ საგადასახადო კოდექსის აღნიშნული ნორმები ეწინააღმდეგება საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას. ამავე დროს, ნაცვლად იმისა, რომ საქართველო თანდათან მიუახლოვდეს ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმატივებს (რაც დეკლარირებულია საქართველოს მთავრობის მიერ) საგადასახადო კოდექსის არსებული ნორმები უფრო მეტად აშორებს საქართველოს ევროპის ქვეყნებში არსებული ნორმებისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილობა ავტომობილების იმპორტზე საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმების დაზუსტებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საავტომობილო პარკი. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სტასტიკა. www.police.ge

2. საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

3. ვ.ხარიტონაშვილი. საავტომობილო ტრანსპორტის ეფექტურობა. მეცნიერება. თბ., 2005. 210 გვ.

საავტომობილო ტრანსპორტის ექსტერნალის ანალიზი

ვალერიან ხარიტონაშვილი,
სტუ-ს პროფესორი
ნინო ჭიჭინაძე,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საავტომობილო ტრანსპორტზე ექსტერნალის ანალიზისა და მათი შემცირების მიმართულებების დამუშავებული კლასიფიკაცია გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მობილობის განვითარება უნდა განხორციელდეს პირადი სატრანსპორტო საშუალებებით მობილობის შეზღუდვით, მსხვილ ქალაქებში სატრანსპორტო პოლიტიკა უნდა განისაზღვროს არა ავტომობლების შესაძლო რაოდენობის პროგნოზირებით, არამედ ქალაქების განტვირთვა უნდა განხორციელდეს ავტომობილიზაციის პროცესის ისეთი მართვით, რაც უზრუნველყოფს ექსტერნალის შემცირებას, რეგიონებში მოსახლეობის პერსპექტიული დასაქმების და ქალაქში ავტომობილების რაოდენობის საგზაო ქსელის შესაძლო გამტარუნარიანობის შესაბამისობის გათვალისწინებით, რაც შესაძლებელია სატრანსპორტო გადასახადების სისტემის რეგულირებით, ექსტერნალის ინტერნალიზაციით, რისთვისაც საჭიროა დამუშავებულ იქნეს ექსტერნალის შეფასების მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: საავტომობილო ტრანსპორტი, ექსტერნალი, ავტომობილიზაცია.

The Analysis of an Eksternalis on the Motor Transport

V.Kharitonashvili,
N.Chichinadze

Summary

The analysis of an eksternalis on the motor transport and an assessment developed classifications the direction of their decrease shows that ravity mobility of the population it has to be carried out by restriction of use of personal vehicles, the transport policy in the large cities has to be formed not on the forecast of possible number of cars at the population in the future, and on management of automobilization processes that will provide decrease in an eksternaliya, taking into account reduction in compliance of number of cars in the city of capacity of a street road network perhaps by change by regulation of system of transport taxes for what it is necessary to develop eksternalis assessment methods.

Keywords: road transport externalities, motorization.

* * * * * *

ევროკავშირის პოლიტიკის ფორმირების პროცესში ავტოსატრანსპორტო პრობლემების განსჯისას უფრო და უფრო ხშირად წამოიჭრება ცნება "გარე დანახარჯები", რომელიცწარმოიქმნება როცა საზოგადოების ერთი წევრის საქმიანობის შედეგად არ არის უზრუნველყოფილი ამ საქმიანობის ნეგატიური გავლენის გათვალისწინება სხვისი საქმიანობის კეთილდღეობაზე.ყველა სახის საქმიანობას, რომელიც იყენებს საზოგადოებრივ სიკეთეს (გარემო რესურსები, საგზაო ქსელი) თან სდევს ექსტერნალური ეფექტები.გარე ეფექტი (ექსტერნალი - ეხტერნალიტიეს) წარმოიქმნება საბაზრო ოპერაციებში, მაგრამ არ აისახება საბაზრო ფასებში. ყველა გარე ეფექტი იწვევს რესურსების არარაციონალურ განაწილებას და თავის ასახვას პოულობს საზოგადოებრივი სარგებლის დანაკარგებში [1].

უკანასკნელ წლებში, მრავალ ქვეყანაში დაისახა ღონისძიებები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაფინანსების მიზნობრივი წყაროს ახალი მოსაკრებლებისა და გადასახადების სახეებით. ინვესტიციების დაფინანსებისათვის ფართოდ იყენებენ მომხმარებლისაგან პირდაპირ მოსაკრებელს, რაც იძლევა სასურველ სოციალურ-ეკონომიკურ უკუგებას. სატრანსპორტო ინვესტიციების დაფინანსება ,,გამომყენებელი იხდის" პრინციპის სამართლიანი განხორციელება უნდა მოხდეს გადაზიდვებზე მომსახურების დანახარჯების განსაზღვრით და სატრანსპორტო სისტემის ჯამური სატრანსპორტო დანახარჯების მინიმიზირებით ,,გარე დანახარჯების" გათვალისწინებით [2].

საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისას ადგილი აქვს შიგა და გარე დანახარჯებს. შიგა დანახარჯები -თანხა, რომელსაც იხდის ავტომფლობელი ავტოსატრანსპორტო...საშუალებების (ას) ექსპლუატაციისათვის. გარე დანახარჯები- სოციალურ-ეკონომიკური დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია გარემოზე და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე საავტომობილო ტრანსპორტის ნეგატიურ გავლენასთან. ამასთან ას საშუალების მფლობელი არ ანაზღაურებს საზოგადოებაზე მიყენებულ სოციალურ-ეკონომიკური ზარალს, რომელიც გამოწვეულია საფრთხეებით.

ეკონომიკურ მეცნიერებაში დამკვიდრდა დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულება, რომელიც შეისწავლის ავტოტრანსპორტის ექსტერნალს. ცნობილ კვლევებში გამოყოფენ ავტოტრანსპორტის შემდეგი სახის ექსტერნალურ ეფექტებს: მიწათსარგე-

ბლობაზე გავლენა; პარკირებაზე დანახარჯების გადაუხდელი ნაწილი; საგზაო საცობები; ჰაერის დაბინძურება; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების (სსშ) რისკი; მიწის ღირებულება; ინფრასტრუქტურული გარე ეფექტები; წყლის დაბინძურება; საგზაო მოძრაობის რეგულირება; ბარიერის ეფექტი; ხმაურით დაბინძურება; ტრანსპორტის სხვადასხვაგვაროობის გავლენა; ნარჩენები.

რადგან ინდივიდი არ არის დაინტერესებული გარე უარყოფითი ეფექტების შემცირებაში, საჭიროა მათზე პრევენციული ღონისძიებების გატარება. განვითარებულ ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ორი მიმართულებით: სსშ-ისა და ეკოლოგიური გარე უარყოფითი ეფექტების მინიმიზირებით, გამონაბოლქვზე სტანდარტების დადგენით და პირადი ტრანსპორტით მგზავრობაზე მოთხოვნის მართვით (გზებზე ტრანსპორტის რაოდენობის რეგულირება).

იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომობილიზაციის პროცესის მართვა არ ხორციელდება საავტომობილო ტრანსპორტის მდგრადი განვითარების მიმართულებით, ამის შედეგად საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის დეფიციტიქალაქში ვლინდება მრავალრიცხოვან საცობებში, სსშ-ის შედეგად ტრამვატიზმში, გარემოს ნეგატიურ ეკოლოგიურ მდგომარეობაში და საზოგადოებრივი ტრანსპორტის დეგრადაციის პირობებში.

საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირების საჭირო ელემენტი - საავტომობილო გზები იქმნება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე. მრავალ ადგილას მოძრაობის ინტენსიურობა წინააღმდეგობაში მოდის საგზაო ქსელის გამტარუნარიანობასთან. დაუტვირთავი უფასო გზა გარდაიქმნა უფასო დატვირთულ გზად - საერთო ხელმისაწვდომ რესურსად თავისი პრობლემებით, რომელიც თან ახლავს მოცემულ სახის სიკეთეს.

საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის საექსპლუატაციო მახასიათებლები გაცილებით დაბალია ვიდრე სხვა ეკონომიკურადგანვითარებულ ქვეყნებში, რაც დაკავშირებული ას საშუალებების გაზრდილ საექსპლუატაციო ვადებთან და შესაბამისად მათ ტექნიკურ მდგომარეობასთან, მოხმარებული საწვავისა და სათადარიგო ელემენტების დაბალ ხარისხთან. საავტომობილო ტრანსპორტის საიმედოობის, ეფექტური ექსპლუატაციისა და მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გაზრდის პრობლემა მოითხოვს გადაუდებელ გადაწყვეტას, რისთვისაც საჭიროა უდიდესი კაპიტალდაბანდებები, რაც შეუძლებელია უახლოეს პერიოდში.

გარე დანახარჯების ტოლფასი გადასახადების შემოღების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნება ისეთი ზემოქმედების ფაქტორებით, როგორიცაა გარემოს დაბინძურება მავნე ნივთიერებებით, ხმაურით, სსშ-ით და ა.შ. გამოწვეული შედეგების სოციალური დანახარჯების სრული ანაზღაურება. ასეთი გადასახადების შემოღება ნიშნავს პრინციპის "დამაბინძურებელი იხდის" განხორციელებას, რაც შეესაბამება სატრანსპორტო სექტორში ევროკავშირის მიერ რეალიზებულ სამართლიანი და ეფექტური ფასწარმოქმნის პოლიტიკას. დანახარჯებისა და შედეგების ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ინსტრუმენტი მართვადი გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოს დაბინძურებით და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით (სსშ) საზოგადოებაზე მიყენებული ფაქტობრივი დანახარჯების შეფასების მეთოდების სრულყოფა წარმოადგენს კვლევის მნიშვნელოვან ობიექტს.

სატრანსპორტო პოლიტიკის მთავარი ასპექტის ფორმულირება, სატრანსპორტო მომსახურების ,,გარე დანახარჯების" რეგულირების საკითხი და მათი გათვალისწინება მთლიან სატრანსპორტო დანახარჯებში წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას.

საავტომობილო ტრანსპორტზე გარე უარყოფითი ეფექტების კლასიფიკაცია მოცემულია ნახ.1-ზე, ხოლო მათი შემცირების მიმართულებების კლასიფიკაცია - ნახ.2-ზე.



ნახ. 1. გარე უარყოფითი ეფექტების კლასიფიკაცია



ნახ. 2. გარე უარყოფითი ეფექტების შემცირების მიმართულებების კლასიფიკაცია

საავტომობილო ტრანსპორტის გარე დანახარჯების შემცირება შესაძლებელია ას საშუალებების პარკის რაციონალური ფორმირების პროცესის დაჩქარებით, შეფერხებების შემცირებით,

საგზაო ქსელის ცალკეული ელემენტების ნაწილობრივი რეკონსტრუქციის ღონისძიებების რეალიზაციით: გზაჯვარედინების, უსაფრთხოების კუნძულების გადაგეგმარება, ავტობუსების გაჩერებების მოწყობით; საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების დაყენებით (ნიშნები, შუქნიშნები, მონიშვნები); საგზაო მოძრაობის ავტომატიზებული სისტემების რეალიზებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სოციალურად ორიენტირებული გრაფიკებთ; აგრეთვე სხვა დასხვაგვარი შეზღუდვებით (სიჩქარის, ცალკეული სახის ტრანსპორტით მოძრაობა) და სხვადასხვა ღონისძიებების გამოყენებით (მოძრაობის ზოლში ტრანსპორტის გაჩერება და დგომა).

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ღონისძიებებმა შესაძლებელია გაზარდოს ან შეამციროს ზიანი და გარე დანახარჯები, რომელიც ადგება გარემოს და მოსახლების ჯანმრთელობას. გარე დანახარჯების შემადგენლობაზე პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია, რომლის ცვლილება გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასეთი ღონისძიებების განხორციელების მიზანშეწონილობის განხილვისას.

თანამედროვე საზოგადოება მოითხოვს სატრანსპორტო სისტემებისაგან მომსახურების ხელმისაწვდომობის საჭირო დონის ამაღლებას, რაც ფიზიკურად შესაძლებელია სატრანსპორტო ქსელის სრულყოფით, ხოლო ეკონომიკურად - სატრანსპორტო სისტემების ეფექტური ფუნქციონირებით და საზოგადოების განვითარების სოციალურ მაჩვენებელზე ორიენტირებით.

სატრანსპორტო სისტემების განვითარება შეუძლებელია საავტომობილო ტრანსპორტის ნეგატიური შედეგების აღმოფხვრისა და მის მიერ შექმნილი პრობლემების გადაწყვეტის გარეშე. შეიძლება გამოყოფილ იქნეს საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია მისი ეფექტური განვითარება: საავტომობილო ტრანსპორტს მნიშვნელოვანი გავლენა გარემოს დაბინძურებაზე; ნავთობპროდუქტების გაზრდილი მოხმარება; საგზაო ქსელის განვითარება; საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის, უტილიზაციის პროცესების ორგანიზაციის სრულყოფა; ტრანსპორტზე განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება.სატრანსპორტო ქსელის გაფართოებასთან ერთად არანაკლებ აქტუალურია არსებული საგზაო ქსელის მოდერნიზაციის აუცილებლობა გამტარუნარიანობისა და მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით. მნიშვნელოვანი რეზერვებია საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფაში. ამრიგად, მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობის სუბიექტების მქონე სატრანსპორტო სისტემების ეფექტური მუშაობისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს ლოგისტიკური პრინციპები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bruno De Borger, Stef Proost. Reforming Transport Pricing in the Eurohean Union: a Modeling Aproach. Bodmin, 2002. p.424.

2. Глобальный план осуществления “Десятилетия действий по обеспечению безопасности дорожного движения 2011–2020 гг. Резолюция 64/2551, принятой Генеральной Ассамблеей Организации Объединенных Наций. http://www.who.int/roadsafety/decade

ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენების კონცეფციის თეორიული ასპექტები

ნატო თუშიშვილი,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ადამიანური რესურსების გამოყენებისა და ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტიანობის შეფასება შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ტენდენციები და ასევე, ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ახდენენ სხვადასხვა სახის ზემოქმედებას კომპანიის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევაში.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციას საფუძვლად უდევს იმ კაპიტალდაბანდების ეკონომიკური მიზანშენონილობა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანური რესურსების მოზიდვასთან, მათ ყოველმხრივ განვითარებასა და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებასთან. აქედან გამომდინარე, ავტორი კომპანიის ადამიანური რესურსების ეფექტიანობის ერთ-ერთ მაჩვენებლად ინვესტიციების რენტაბელურობის მაჩვენებელს მიიჩნევს.

ავტორის მიერ დასაბუთებულია კომპანიის ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის ჩატარების აუცილებლობა და მას კომპანიის მიერ ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენების დიაგნოსტიკის და შეფასების ინსტუმენტის რანგში იხილავს.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, ადამიანური რესურსების აუდიტი.

The Theoretical Aspects of the Concept of Efficient Use of Human Resources

Nato Tushishvili,
PhD student of Gtu

Summary

The rate of the effectiveness of human resources and human resources management system makes it possible to identify trends and also, the main factors that have affected the company faced a variety of objectives.

The article emphasizes that the concept of the company's human resources management is based on the economic feasibility of capital investments, which is connected with the attraction of human resources, with its comprehensive development and application of improved efficiency.

Therefore, the index of profitability of investments we will consider as one of the indicator of the effectiveness of the company's human resources.The author is substantiated the necessity of the company's human resources internal audit. The author considers the company's human resources internal audit as the diagnosis and evaluation instrumentof the company's human resources effective use.

Keywords: Human resources management, Efficient use of human resources, Human resources audit.

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან პრობლემებად მიჩნეულია შრომით რესურსებთან დაკავშირებული პრობლემები. კომპანიის დონეზე ისინი პერსონალის მართვის სისტემაში ვლინდება. დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პერსონალის მართვის თანამედროვე ფორმების პრაქტიკული გამოყენების საკითხები, რომელიც კომპანიის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა.

საერთაშორისო თეორიასა და პრაქტიკაში მართვის სისტემის განვითარების ისტორიულმა და სოციალურ-ეკონომიკურმა წანამძღვრებმა, მართვის ძირითადი სამეცნიერო სკოლების ფორმირებამ და განვითარებამ გამოიწვია თვისებრივი ცვლილებები როგორც საერთოდ მენეჯმენტში, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში [1, გვ. 623].

ადამიანური რესურსების მართვის ძირითად კონცეფციას წარმოადგენს პოსტულატი იმის თაობაზე, რომ კომპანიის პერსონალი ერთ-ერთი ძირითადი რესურსია, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობაზე, კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მთლიანობაში მისი სამეურნეო საქმიანობის წარმატებაზე [2, გვ. 87]. მოცემულმა მიდგომამ შეცვალა არსებული თეორიები, რომელიც პერსონალს განიხილავდა როგორც დანახარჯს, რომლის შემცირებაც არსებით აუცილებლობას წარმოადგენდა.

ადამიანური რესურსების მართვის თეორია კომპანიის პერსონალში ინვესტირებისა და მისი განვითარებისადმი მიდგომაა. ის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტაინობის, კომპანიის ადამიანური რესურსების მდგომარეობას და მათი გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობის შეფასების შემუშავების აუცილებლობას განაპირობებს.

ადამიანური რესურსების თეორიის მნიშვნელოვანი ამოსავალი მომენტი ადამიანური რესურსების „ფასეულობაში", მათ მნიშვნელობაში არსებული განსხვავებებია[3, გვ. 462]. მხედველობაში გვაქვსთანამშრომელთაშესაძლებლობას, მოიტანოს მეტი ან ნაკლები დამატებული ღირებულება კომპანიას. ფასეულობებშიგანსხვავება განისაზღვრება თანამდებობის ხასიათით და იმ თანამშრომელთაინდივიდუალური თავისებურებებით, რომელთაც ერთნაირი თანამდებობა უკავიათ.

ამასთან დაკავშირებით ჩატარებული იქნა სპეციალური კვლევები. ერთ-ერთ მათგანში, რომლისავტორები არიან ცნობილი მკვლევარებიფ. შმიდტი, დ. ხანტერი და კ. პირლმანი, გამოყვანილი იქნა თანამშრომელთაშორის ფასეულობაში განსხვავების ფულადი შეფასება, ანუ, ეს იყო „განსხვავება, თუ რა მოაქვს კომპანიის კარგ თანამშრომელსსაშუალოსთან შედარებით". აქ მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ფულადი შეფასების დამოკიდებულება თვით თანამდებობის ხასიათზე (მაგალითად, შესაბამისი

შეფასებები საშუალო რგოლის მენეჯერისა იყო სამჯერ მაღალი, ვიდრე პროგრამისტისა). მეორე, უმრავლეს პროფესიასა და თანამდებობასთან მიმართებაში გამოვლენილი იქნა ფირმისთვის თანამშრომელთა-ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავებები ინდივიდუალური ფასეულობის მიხედვით. გადახრა შეადგენს თანამდებობრივი სარგოს 40-დან 70 პროცენტამდე. ფირმისთვის კარგი მენეჯერების ფასეულობის განსხვავება საშუალოსთან შედარებით განსაზღვრული იყო 30 ათასი აშშ დოლარით [4, გვ. 345].

მკვლევართა დიდი ნაწილის მოსაზრებით, ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თანამშრომლები განხილულ უნდა იყვნენ როგორც საწარმოს კონკურენტულ ბრძოლაში მიღებული მონაპოვარი. აქედან გამომდინარე, საწარმოს სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის სასიცოცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სხვა რესურსებთან ერთად და მათთან მჭიდრო ურთიერთკავშირში განვითარდეს ადამიანური რესურსები და აუმაღლდეთ მათ მოტივაცია, [5, გვ. 78].

მ. არმსტრონგი ადამიანური რესურსების მართვას განმარტავს როგორც სტრატეგიულ და მიზნობრივ მიდგომას ორგანიზაციის ყველაზე უფრო ფასეული აქტივების მართვისადმი, სახელდობრ,ადამიანებისადმი, რომელთაც ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეაქვთ თავიანთი წვლილი ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში [6, გვ. 25].

თანამედროვე პიროებებში ადამიანური რესურსების კონცეფციის რეალიზებისას, მართვის მოცემული სფერო მოიცავს მმართველობით გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება კომპანიის, დამსაქმებლისა და დასაქმებულების ურთიერთდამოკიდებულებას. ეს ნიშნავს, რომ ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა სულ უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული კომპანიის განვითარების სტრატეგიასთან.აქედან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვა თავის უმთავრეს მიზნად ისახავს კომპანიის სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობისა და შედეგიანობის ამაღლებას და თანამშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ადამიანური რესურსების მართვის კონცეფცია თითოეულ კომპანიაში კონკრეტიზირდება და რეალიზდება პერსონალის მენეჯმენტის მეშვეობით. საწარმოს სიდიდისა და ზომის მიუხედავად, ყველა მათგანში ობიექტურად არსებობს და ხორციელდება პერსონალთან დაკავშირებული მართვის ფუნქციები.

იმისათვის, რომ უფრო ზუსტად იქნას გაგებული ტერმინი „ადამიანური რესურსების მართვა“, აუცილებელია განვასხვაოთ ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები ადამიანური რესურსების მართვის სისტემის აგებულების პრინციპებისგან.

ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები წარმოადგენს წესებს, ძირითად დებულებებს და ნორმებს, რომლებიც უნდა დაიცვან ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა პერსონალის მართვის პროცესში. ეს პრინციპები ასახავს ობიექტურად მოქმედი ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს, ამიტომ თავად ეს პრინციპებიც წარმოადგენს ობიექტურს [38, გვ. 164].

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის აგების პრინციპები, თავის მხრივ წარმოადგენს წესებს, ძირითად დებულებებს და ნორმებს, რომლებიც უნდა დაიცვან კომპანიის პერსონალის მართვის ქვედანაყოფების ხელმძღვანელმა და სპეციალისტებმა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ფორმირებისას.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის აგების პრინციპები უნდა განვასხვაოთ მოცემული მართვის სისტემის აგების მეთოდებისგან. პირველი მუდმივია და ატარებს სავალდებულო ხასიათს, ხოლო მეთოდების ერთობლიობა შეიძლება იცვლებოდეს პრინციპების დაცვის პირობების ცვლილებებთან დამოკიდებულებაში. პრინციპი შესაძლებელს ხდის, ჩამოყალიბდესმეთოდების სისტემა და თითოეული მეთოდი ცალკეულად, მაგრამ მეთოდს არა აქვს ასეთი ზემოქმედება პრინციპზე, რამდენადაცამ უკანასკნელს აქვს ობიექტური ბუნება.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის აგებულების ყველა პრინციპის რეალიზება ხდება ურთიერთმოქმედებაში. მათი შეხამება დამოკიდებულია საწარმოს პერსონალის მართვის სისტემის ფუნქციონირების კონკრეტულ პირობაზე.

კომპანიის ადამიანური რესურსების გამოყენებისადა თავად ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტიანობისშეფასებას, ჩვენი აზრით, შეუძლია დიდწილად განსაზღვროს მართვის პროცესის მოცემული ელემენტის ორგანიზების თავისებურებები.

ადამიანური რესურსების გამოყენებისადა ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტიანობის შეფასებაშესაძლებლობას იძლევა გამოვლინდესტენდენციები და ასევე, ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ახდენენ სხვადასხვა სახის ზემოქმედებას კომპანიის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევაში.

ასეთი მიდგომით, შეიძლება დამტკიცდეს, რომ საწარმოს ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციას საფუძვლად უდევს იმ კაპიტალდაბანდების ეკონომიკური მიზანშეწონილობა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანური რესურსების მოზიდვასთან, მათ ყოველმხრივ განვითარებასა და გამოყენების ეფექტიანობისამაღლებასთან. აქედან გამომდინარე, რიგი თანამედროვე ავტორებისა, კომპანიის ადამიანური რესურსების ეფექტიანობის ერთ-ერთ მაჩვენებლად განიხილავს ინვესტიციების რენტაბელურობის მაჩვენებელს (ღჩ). მოცემული შეფარდებითი მაჩვენებელი გამოიყენება ადამიანური რესურსების მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ სფეროში და ახასიათებს ღონისძიებებში დახარჯული ინვესტიციების უკან დაბრუნებითობას [7, გვ. 57, 81, 151].

ჩვენი შეხედულებით, მოცემული მაჩვენებლის გამოყენება მისაღებია იმ კაპიტალდაბანდების შეფასებისათვის, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს:

- პერსონალის შერჩევის პროცედურებთან,

ანუ კომპანიის მოთხოვნების შესაბამისად, კანდიდატების შერჩევის პროცესის ორგანიზებასა და ვაკანტურ თაამდებობაზე თანამშრომლებით დაკომპლექტების პროცედურების ორგანიზებასთან;

- თანამშრომელთა უწყვეტი სწავლების უზრუნველყოფასა და პერსონალის შრომისუნარიანობის მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან, განსაკუთრებით მათი პროფესიონალური უნარ-ჩვევების ამაღლების სფეროსთან დაკავშირებული ხარჯების;
- თითოეული მუშა-მოსამსახურის შრომითი პოტენციალის ფორმირებასა და განვითარებასთან, იმ პროფესიონალური და პიროვნული უნარ-ჩვევების გამოვლენისა და განვითარებისათვის, რის საშუალება და შესაძლებლობაც არის თითოეულ თანამშრომელში;
- თანამშრომელთა პროფესიონალური საქმიანობის ეფექტიანობის განვითარებისა და ამაღლებისთვის ორგანიზაციული პირობების შექმნასთან.

ჩვენი აზრით, სანარმოს ადამიანური რესურსების ეფექტაინი გამოყენების შეფასებასთან დაკავშირებით, განსაკუთღებით საინტერესოა ე. ფლემჰოლცის [8, გვ. 78] ადამიანური რესურსების ანალიზის კონცეფცია (ჰუმან ღესოურცეს Aცცოუნტინგ). მოცემული კონცეფციის განვითარება განპირობებულია პერსონალისადმი, როგორც კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსისადმიდამოკიდებულებისწარმოშობით და განვითარებით, რომლის ეფექტაინი გამოყენების შემთხვევაშიჩნდებაკომპანიის სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვები.

როგორცცნობილია, კომპანიაში გამოყენებული ნებისმიერი რესურსიხასიათდება მისი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობით. აქედან გამომდინარე, ჩნდება ისეთი ინსტრუმენტის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელებს მისცემს შესაძლებლობას, უფრო მეტად ეფექტიანად გამოიყენოს ადამიანური რესურსები, მოახდინოს მათი ეფექტაინობის შეფასება და სხვა რესურსების გამოყენების ეფექტიანობასთან შედარება.

ე. ფლემჰოლცმა საკუთარ კვლევებში ჩამოაყალიბა ადამიანური რესურსების ანალიზის სამი ძირითადი ამოცანა:

- ადამიანური რესურსების სპეციალისტებისთვის, სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებისა და საწარმოს ხელმძღვანელებისათვის ადამიანური რესურსების მართვის სფეროში გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება;
- ხელმძღვანელების უზრუნველყოფა ადამიანური რესურსების ღირებულების რაოდენობრივი გაზომვის მეთოდებით, კონკრეტული გადაწყვეტილების ეფექტიანობის ამაღლებისათვის;
- ხელმძღვანელობის მოტივირება, განიხლიონ თანამშრომლები არა მარტო დანახარჯების თვალსაზრისით, რომლის მინიმიზირებაც არის სასიცოცხლოდ აუცილებელი, არამედ განიხილოს ისინი როგორც აქტივი, რომლისოპტიმიზირებაც უნდა მოხდეს [8, გვ. 78].

მოცემული მიდგომის გამოყენებით, ჩვენი შეხედულებით, ადამიანური რესურსების ანალიზი ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანური რესურსების ეფექტაინი გამოყენების შეფასება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანურ რესურსებზე ინფორმაციის გამოვლენის, შეფასების და იმ პირთათვისმიწოდების პროცესი, რომლებიც ღებულობენ გადაწყვეტილებებს კომპანიაში.

მოცემულ კონტექსტში, ჩვენი აზრით, კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დიაგნოსტიკისა და ეფექტიანი გამოყენების შეფასების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს კომპანიის ადამიანური რესურსების შიდა აუდიტი.ის საშუალებას მისცემს კომპანიებს ადამიანური რესურსების მართვის სფეროში აამაღლონ შეფასებითი ღონისძიებების ეფექტიანობა, გამოავლინონ პრობლემები და დასახონ ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების პერსპექტივები.

გამოყენებული ლიტერეტურა:

1. Одегов, Ю. Г. Оценка эффективности работы с персоналом: методологический подход: Учебно-практическое пособие, Ю. Г. Одегов, К.Х. Абдурахманов, Л. Р. Котова. М.: Издательство «Альфа-Пресс», 2011;
2. Мыльников, Д. П. К вопросу об управлении человеческими ресурсами на предприятии, как условие роста эффективности экономики труда, сборник научных трудов, Мурманск: МАЭУ, 2010.
3. Alderfer, C.P. The Methodology of Organizational Diagnosis ,Professional Psychology.1980. No 11;
4. Colbert B. A. The Complex Resource-Based View: Implications for Theory and Practice in Strategic Human Resource Management , Academy of Management Review. — 2004. No. 29(3).
5. Травин, В.В., Магура, М.И., Курбатова, М.Б. Управление человеческими ресурсами: Модуль 4: учеб.- практич. пособие, 3-е изд. М.: Дело, 2011;
6. Аренс, А., Лоббек, Дж. Аудит; пер. с англ. ; гл. ред. серии проф. Я. В. Соколов. М.: Финансы и статистика, 1995;
7. Одегов, Ю. Г. Оценка эффективности работы с персоналом: методологический подход: Учебно-практическое пособие, М.: Издательство «Альфа-Пресс», 2011;
8. Управления персоналом: учебник,под ред. Т. Ю. Базарова, Б. Л. Еремина. 2-е изд., перераб. и доп. М.: ЮНИТИ, 2009.

სადაზღვევო საქმის საინფორმაციო სისტემების აგების ძირითადი პრინციპები

გიორგი მაისაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სადაზღვევო საქმის საინფორმაციო სისტემების აგების ძირითადი პრინციპები. გარდა ამისა, განხილულია დაზღვევის ცნებებთან „ფინანსები“ და „კრედიტი“ დამაკავშირებელი კვანძები.

ავტორი განიხილავს დაზღვევის ძირით ფუნქციებს, დარგებს, სფეროებს და ახდენს მათ კლასიფიკაციას. ავტორი აღნიშნავს, რომ სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობის სფერო განსხვავდება ეკონომიკური დარგების მიხედვით.ნაშრომის ბოლოს ავტორი განიხილავს საინფორმაციო სისტემებში რეალიზებულ ძირითად ფუნქციურ ამოცანებს. ავტორი მიიჩნევს, რომ დაზღვევის სრული ტექნოლოგია ითვალისწინებს დიდი და ურთიერთდაკავშირებული მონაცემების მასივებს.

The Basic Principles of the Insurance Information System

George Maisashvili,
PHD Student of GTU

Summary

The paper deals with the basic principles of insurance business information system. In addition, insurance concepts are discussed in the “Finance” and “Credit” for connecting nodes.

The author discusses the sole insurance functions, industries, sectors, and on their classification. The author notes that the insurance organizations in the field of different economic sectors.

At the end of the work the author discusses the information system implemented in the main functional tasks. The author believes that the technology provides for full insurance and a large array of interrelated data.

თავისი წარმოშობითა და შინაარსით დაზღვევა ატარებს ნიშნებს, რომელიც აკავშირებს მას ცნებებთან „ფინანსები“ და „კრედიტი“. კერძოდ, ეს ახება ფულადი ფონდების განაწილება-გადანაწილებასა და მიღებული სესხის დაბრუნებას.

დაზღვევის ფუნქციებში შედის:

- ფულადი სახსრების სპეციალიზებული ფონდების შექმნა;
- მოქალაქეებისთვის ზარალის ანაზღაურება, ანუ მათი მატერიალური უზრუნველყოფა;
- ზარალის მინიმიზაცია და სადაზღვევო შემთხვევის პრევენცია.

დაზღვევა:

1. აგროვებს,
2. აჯგუფებს და
3. განაზოგადებს ინფორმაციას საკუთარი საქმიანობის ოპტიმიზაციის მიზნით. სადაზღვევო საქმიანობის მართვის ყველა საინფორმაციო პროცედურა

ეფუძნება სადაზღვევო პროცესის ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და მისადმი სისტემურ მიდგომას.

ფუნქციებისა და ფუნქციური ამოცანების მრავალფეროვნება შეიძლება დალაგებულ და წარმოდგენილ იქნას ურთიერთდაკავშირებული საინფორმაციო სისტემების სახით.

სადაზღვევო საქმის კლასიფიცირება შეიძლება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- საქმიანობის სფერო;
- ჩატარების ფორმები;
- დაზღვევის სახეების, ანუ დარგების მიხედვით.

სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობის სფერო განსხვავდება ეკონომიკური დარგების მიხედვით, ანუ განასხვავებენ: შიდა, გარე და შერეულ სადაზღვევო ბაზარს. ეს არის დაზღვევის, როგორც ეკონომიკური საქმინობის, ორგანიზაციული კლასიფიკაცია.

დაზღვევის ჩატარების ფორმა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან აუცილებელი (ანუ, კანონით გათვალისწინებული); ხოლო ორგანიზების ფორმების მიხედვით დაზღვევა გვევლინება, როგორც:

- სახელმწიფო,
- სააქციო,
- ურთიერთ- და
- კოოპერაციული დაზღვევა. დაზღვევის ძირითდი ფორმებია:
- ქონების დაზღვევა;

- პირადი დაზღვევა;
- პასუხისმგებლობის დაზღვევა და
- ეკონომიკური რისკების დაზღვევა.

სადაზღვევო კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიები მიმართულია იმ სისტემების დანერგვაზე, რომლებიც მოიცავს პროცესის ყველა ელემენტს და გარანტირებულად უზრუნველყოფს სრულ უსაფრთხოებას ინფორმაციის დამუშავების ყველა ეტაპზე.

სადაზღვევო კომპანიის საინფორმაციო სისტემების რეალიზაცია ეფუძნება შემდეგი ამოცანების ავტომატიზებულ შესრულებას:

- სადაზღვევო;
- ფინანსური;
- საბუღალტრო და სხვა.

საინფორმაციო სისტემებში რეალიზებული ძირითადი ფუნქციური ამოცანებია:

1. სადაზღვევო ხელშეკრულების დადების პროცესი. ამ დროს ხდება წინა პერიოდში დადებული ხელშეკრულებების შემოწმება თითოეული დასაზღვევისა თუ გადახდილი სადაზღვევ თანხის მიხედვით, სატარიფო ნიხრების მაკორექტირებელი კოეფიციენტების, განსაკუთრებული პირობებისა და სადაზღვევო აგენტის საკომისიოს გათვლა; მონაცემთა ბაზაში ხელშეკრულების შეტანა მისი შემდგომი დამუშავებისათვის;

აუცილებელი თანმდევი დოკუმენტაციის შექმნა და მხარეებისთვის გადაცემა.

2. დამატებითი ხელშეკრულების გაფორმება. ამ ეტაპზე ხდება შეცვლილი პირობების გათვალისწინებით ხელშეკრულების ხელახალი გაფორმება და ამ დროს მხედველობაში მიიღება ობიექტების, ნიხრების და სხვათა ცვლილება. ამის შემდეგ ხდება სახეცვლილი პირობების საინფრმაციო (მონაცემთა) ბაზაში ფიქსირება.

3. ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება. ამ ეტაპზე ხდება შესაბამისი ინფორმაციის გადამოწმება და საკომისიო გადასახადების შემოწმება თუ დადგენა.

4. სადაზღვევო პრემიისა თუ მისი ნაწილის შეტანა. ფულადი სახსრების გადარიცხვა ანგარიშებზე, ხოლო ხელახალი დაზღვევის არსებობის შემთხვევაში - გადამზღვეველთან ანგარიშსწორება.

5. სადაზღვევო ხელშეკრულების დასრულება. ინფორმაციის ბაზებში გადატანა რეზერვების ფორმირებისა თუ სხვა ანგარიშწორებათა შესასრულებლად.

6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომა. ზარალის ანაზღაურების გადახდა, გადახდების გატარება, ხელშეკრულების მიხედვით გადაანგარიშება ან ხელშეკრულების შეწყვეტა, სადაზღვევო შემთხვევების ბაზის ჩამოყალიბება.

7. სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმება. დასაზღვევთან ანგარიშწორება, ფულადი სახსრების გატარება, სახელშეკრულებო ბაზაში ცვლილებების შეტანა.

8. საბაზისო სატარიფო განაკვეთების (ნიხრების) გადაანგარიშება. მონაცემთა ბაზაში დაზღვევის ამ კონკრეტული სახის მიხედვით ყველა ხელშეკრულების გადამოწმება, სტატისტიკური ტაბულების დახმარებით ანგარიშსწორება.

9. სარეზერვო ფონდის გაანგარიშება. ანგარიშების მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი, სადაზღვევო ხელშეკრულებებში ჯამურ თანხებში და რაოდენობრივ ნაწილში მომხდარი ცვლილებების დაფიქსირება, არსებული ვალდებულებების მიხედვით ანგარიშსწორება.

10. სადაზღვევო ორტფელის ანალიზი. სადაზღვეო ბაზრის ტენდენციების დადგენა, საკუთარი საქმიანობის ანალიზი, შემდგომი განვითარების ტრენდების პროგნოზირება; შესაძლო მმართველობითი გადაწყვეტილებების ანალიზი.

11. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. მაჩვენებლებში ტენდენციებისა და ურთიერთკავშირების გამოვლენა, განვითარების არსებული და შესაძლო ვარიანტების ანალიზი.

12. შიდა ბუღალტერიის დანერგვა. კომპანიის თანამშრომელთა ხელფასების დაანგარიშება, საკუთარი ქონების აღრიცხვა და ა.შ.

დაზღვევის სრული ტექნოლოგია ითვალისწინებს დიდი და ურთიერთდაკავშირებული მონაცემების მასივებს:

- დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებებს,
- სადაზღვევო პოლისებს,
- საბროკერო ხელშეკრულებებს,
- სადაზღვევო წარმომადგენლების სახელფასო დოკუმენტებს,
- საგადასახადო დავალებებს,
- საკასო ორდერებსა და საბუღალტრო გატარებებს,
- სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ შეტანილ განცხადებებს,
- სადაზღვევო შემთხვევათა აქტებსა და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2008.
2. გოგოლაშვილი გ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2010.
3. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფო რეგულირება, თბილისი, 2000.
4. http://www.gpih.ge/geo/home/index.php
5. http://daezgvie.wordpress.com/2015/02/28/58/
6. http://etibeglarashvili.blogspot com/2015/04/2001-8.html
7. http://b-k.ge/main/print:page,1,219-gpi-holding-giorgi-kvirikadze.html

საداზღვევო ორგანიზაციის რისკ-მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძვლები

მიხეილ ჩაკაბერია,
სტუ-ს დოქტორანტი

Методологические основы риск-менеджмента в страховой организации

В современных условиях экономическое поведение страховых компаний непосредственно связано с выбором специализации своей деятельности, методов и форм осуществления страхования в рамках законодательства. Особенность страховой деятельности обусловлена необходимостью преодоления неопределенности, при которой не всегда есть возможность количественно и качественно оценить риски, а, следовательно, и предполагаемый финансовый результат. В связи с этим большое значение получает знание прогрессивных методов управления риском в хозяйственной деятельности страховщика.

Таким образом, системный риск способен негативно воздействовать не только на страхование, но и на другие отрасли экономики, включая производство. В случае системного риска вероятность наступления кризиса в экономике значительно возрастает.

Развитие экономических отношений подтверждает факт, что эффективная защита от подобных негативных явлений - страхование, которое снижает воздействие внешних и внутренних отрицательных факторов, способствует поддержанию экономического воспроизводства, вовлечению новых ресурсов и, следовательно, приближает экономику к парето-оптимальному состоянию.

Выбор в пользу или против страхования вынужден делать практически каждый хозяйствующий субъект. При этом потенциальный результат от страхования может быть весьма значительным. Даже если вероятность наступления страхового события не слишком велика, но ожидаемая сумма выплат по страховому возмещению превышает расходы на страхование, все-таки имеет смысл страховаться.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, რისკი, ეკონომიკური საქმიანობა, გაურკვევლობა.

* * * * * *

თანამედროვე პირობებში სადაზღვევო ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობა დამოკიდებულია მათ სპეციფიკაზე, მეთოდზე და კანონის ფარგლებში დაზღვევის განხორციელების ფორმებზე. სადაზღვევო საქმიანობის მიზანია იმ გაურკვევლობების გადალახვა, როდესაც შეუძლებელია რაოდენობრივად და ხარისხობრივად რისკის შეფასება. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებამზღვეველის მიერ რისკების მართვის პროგრესული მეთოდების გამოყენებას.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ეკონომიკური საქმიანობის განვითარებასთან ერთად სავარაუდო რისკების რაოდენობა არა მარტო იზრდება, არამედ რთულდება. კონკურენციის პირობებში კომპანიები ტვირთბრუნვის დასაჩქარებლად სხვადასხვა მასალის მარაგების შესაძენად, როგორც წესი, იღებენ კრედიტს. ასეთ შემთხვევებში წარმოიქმნება კრედიტის ან საერთოდ, ან გრაფიკის შესაბამისად ვერ დაბრუნების რისკი.გარდა ამისა, დროებით თავისუფალი თანხების განთავსება დეპოზიტებზე ან ფასიანი ქაღალდებში მათი დაბანდება,ინფლაციის ტემპებიდან გამომდინარე წარმოქმნის არასაკმარისი საპროცენტო შემოსავლების რისკს.ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებისას საკურსო ცვლილებების გამო წარმოიქმნება არახელსაყრელი სავალუტო კურსის რისკი. ეს ყველაფერი შეიცავს რეალურ ფინანსურ და მატერიალურ დანაკარგების საშიშროებას. მათი დაბალანსებისა და კომპანიის ეფექტურად მართვისათვის შეისწავლება რისკების მახასიათებლები, სტრუქტურა და დგინდება რისკის დადგომის ალბათობა.

თეორიულ დონეზე რისკების შესწავლა დაიწყესევროპელმამათემატიკოს-მეცნიერებმაXIX საუკუნის დასაწყისში: იაკობ ბერნული, ლაპლას პიერ, პუასონ სიმეონი, კარლ გაუსი.

ი. ბერნული (1690 წ) იკვლევდა აზარტულ თამაშებში შემთხვევით შედეგებს. მეცნიერის აზრით შემთხვევითი შედეგები ექვემდებარებოდა კანონებს, კერძოდ მათემატიკურ განზოგადებას. ორი სხვადასხვა შედეგის დადგომის თამაშების განხილვისას ბერნულიმ აღმოაჩინა შემთხვევით რიცხვების ორობითი განაწილება და ჩამოაყალიბა ალბათობა. იმისდამიხედვით თუ რა შედეგი დადგება (მოგება, წაგება) მან გაყო ალბათობა შანსზე (მოგება) და რისკი (წაგება).

ბერნულის კვლევა გააგრძელეს ლაპლასმა და გაუსმა, რომ;ებმაც შემოიღეს დისპერსია - რამდენადაა გაფანტული შემთხვევითი სიდიდის მნიშ-

ვნელობები მისი მათემატიკური ლოდინიდანდა რომ-ლის მიხედვითარის შესაძლებელი რისკის შეფასება. პუასონმა (1813 წ) დაადგინა იშვიათი მოვლენების კანონზომიერება დაბალი ალბათობის შედეგების გაანალიზებით.

სწორედ ამ მეცნიერების დასკვნები დაედო საფუძვლად რისკ მენეჯმენტს და რისკების თეორი-ას. პრაქტიკაში მეოცე საუკუნის ოციან წლებში გაჩ-ნდა თეორიები, რომლებმაც დააკავშირეს რისკები ეკონომიკურ პროცესებთან. ამ სფეროში ძირითადი მიღწევები დაკავშირებული ალფრედ მარშალის (Al-fred Marshall; 1842–1924), ჯონ მეინარდკეინის(John Maynard Keynes), ფრანკ ნაიტის (Frank Knight), კენეტ ერროუას (“Ken” Aerrou) ნაშრომებთან.

ა. მარშალი განიხილავდა რა კომპანიების დონ-ეზე ფინანსურ რისკს მეწარმეობის კონტექსტშიდა აღნიშნავდა რომ, რისკი ძირითადად განპირობებუ-ლია ნედლეულის, მზა პროდუქციის ფასების ცვ-ლილების, ახალი გამოგონებების და კონკურენციის პირობების შეცვლით.მიკროეკონომიკური ფაქტორე-ბის გათვალისწინებით უფრო ღრმა განმარტება რისკების შესახებ გააკეთა ჯონ მეინარდ კეინსმა. იგი მიუდგა ამ საკითხის განხილვას ინვესტიციის ჩამდები სუბიექტების მხრიდან და გამოყო სამი ძირ-ითადი რისკი:

- მეწარმეობის რისკი - ინვესტორის მიერ მოსალოდნელი მოგების არ მიღება;
- კრედიტორის რისკი - კრედიტის ვერ დაბ-რუნების;
- კურსის შეცვლის რისკი - სავალუტო კურსის შესაძლო ცვლილება.

გარდა ამისა, ჯონ მეინარდ კეინსი აღნიშნავს რომ, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ასევე სხვა რისკებიც შეიძლება გადაიხლართონ. მაგალითად კრედიტის ამღები რისკიან პროექტში მონაწილეო-ბისას ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება დაბალ პროცენტში კრედიტი, ვინაიდან, რენტაბელურობა გაზარდოს, ხოლო კრედიტის გამცემი კი, ვინაიდან პროექტი რისკიანია, ცდილობს მაღალ პროცენტში გასცეს სახსრები. შედეგად რისკების დაზღვევები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს არსობრივად.

მიუხედავად იმისა რომ კეინსის და მარშალის დაკვირვებები ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მათ უკან არ იდგა არანაირი მათემატიკური საფუძვლები. მეტიც, მარშალი და კეინსი მიზანმიმართულად თავს არიდებდნენ მათემატიკურ გაანგარიშებებს და აცხ-ადებდნენ რომ, რისკი არის ორ სუბიექტს შორის ნდობის ხარისხის გამოხატულება და მისი ასახ-ვა ციფრობრივად შეუძლებელია. ასეთი მიდგომა ძალიან ზღუდავდა რისკის მართვის შესაძლებლობას ვინაიდან დამზღვევის მხრიდან რისკი პირველ რიგში არის პოტენციური ფინანსური დანაკარგების მომტა-ნი. საბოლოოდ რისკს გააჩნია ფინანსური სიდიდე და იგი გამოიხატება გარკვეული ფინანსური სიდიდით.

ფ. ნაიტი 1924 წელს კვლავ უბრუნდება რისკის მათემატიკურადინტერპრეტირებასმისი გაზომვადო-ბის დასადგენად. ნაშრომში „რისკი, გაურკვევლობა და მოგება“ იგი იძლევა დეტალურ განსაზღვრებას რისკის კატეგორიების შესახებ და ასხვავებს მათ გაურკვეველი მოვლენებისაგან. რისკი და გაურკვევ-ლობა განხილულია ნაიტის მიერ სამ კონტექსტში:

- დაზღვევა;
- თამაშის და მეწარმეობის თეორია;
- რისკების გავლენის მექანიზმი მეწარმეობის საქმიანობაზე და ეკონომიკაზე ზოგადად.

ფ. ნაიტის აზრით რისკი არსებობს და ვლინდება ობიექტურად იმაზე, რაზეც დაყრდნობით იკვეთება ორი ძირითადი ალბათობა, მათ შორის, აპრიორული და სტატისტიკური ალბათობა. აპრიორული (ობიექ-ტური) ალბათობა ნიშნავს როდესაც საბოლოო სა-ვარაუდო შედეგების რაოდენობა დადგენილია წინასწარ. სტატისტიკური ალბათობა განისაზღვრე-ბა ერთგვაროვანი მონაცემებიდან ამორჩევის მე-თოდით. აქედან გამომდინარე ფ. ნაიტი საუბრობს რისკზე, როგორც მოსალოდნელისაგან განსხვავებუ-ლი შედეგის დადგომის ალბათობაზე. აქვე ფ. ნაიტი სამართლიანად ამჩნევს, რომ ადამიანები ხშირად ღე-ბულობენ გადაწყვეტილებას ყოველგვარი მათემა-ტიკური და სტატისტიკური ცხრილების გამოყენების გარეშე, ისინი ხელმძღვანელობენ საკუთარი შეფასე-ბებით და ფაქტებით. ამასთანავე, ხანგრძლივად ერ-თიდაიგივე საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღება იძლევა სტატისტიკურ გამოცდილებას, რომლის გამოყენებით შესაძლებელია რისკის შეფასება ცი-ფრობრივად.

კ. ერროუ 1970 იან წლებში ანვითარებს ნაიტის იდეებს. ღებულობს რა რისკის მათემატიკურ გათ-ვლებს როგორც ობიექტურ მოვლენებს. კ. ერროუ ხაზს უსვამს, რომ რისკის არსის გაგებაში მნიშ-ვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი არასრულფასო-ვანი ცოდნა მომავლისა, ჩვენს მიერ მიღებული გად-აწყვეტილების მიხედვით დამდგარი შედეგებისა და არა თვით გარემოების ხშირი ცვლილებების ფაქტი.

თანამედროვე გაგება რისკის კატეგორიისა არის ხანგრძლივი მიზანმიმართული მეცნიერული კვლევ-ების პროგრესის შედეგი. ესე იგი, რისკი - რთული მოვლენაა, რომელსაც გააჩნია არათანხვედრი და ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო რეალური საფუძველი, რაც განაპირობებს რისკის განმარტების რამოდენიმე შეხედულებას.

რისკის თვისებების ანალიზი იძლევა საშუალებას გამოვავლინოთ მისთვის დამახასიათებელი ძირითა-დი მომენტები :

- გაურკვევლობას- რომელიც განპირობებუ-ლია შემთხვევითი მოვლენებით და თავიც მხრივ გადამწყვეტ როლს თამაშობენ პროცესის შედეგებზე;
- ალტერნატიული გადაწყვეტილებების არსე-ბობა;
- შესაძლებლობა მოსალოდნელი შედეგისაგან, სავარაუდო შედეგის პროგნოზირებისა;
- სავარაუდო ზარალის პროგნოზირება;
- სავარაუდო ზარალის ან მოგების დადგომის ალბათობის ანგარიში.

ჩვენთვის ცნობილია, რომ დაზღვევის არსიდან

გამომდინარე, რისკი არის შემთხვევითი პროცესების დადგომის შედეგად არასასურველი შედეგის მიღების პოტენციური საშუალება. ამასთან რისკის ხარისხი განისაზღვრება პოზიტიური, ნეგატიური და ნეიტრალური ფაქტორების შერწყმისაგან. მასზე ასევე მოქმედებს სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელია დაზღვევის პროცესისათვის.

შესაძლებელია გამოიყოს რისკის ფაქტორები, რომლებიც გაურკვევლებისას მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკურ საქმიანობაზე. როგორც წესი, მათ ყოფენ შიდა და გარე ფაქტორებად.

გარე ფაქტორებს განეკუთვნებიან - არასტაბილური საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, საბაზრო პირობების ცვალებადობა, არასრული, არაზუსტი, მოძველებული ინფორმაცია ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლებისა რეგიონში, მსოფლიოში;ბუნებრივი კატასტროფების და კლიმატური პირობების მოქმედება.

შიდა ფაქტორებს განეკუთვნებიან - არასტაბილური საბაზრო ეკონომიკა ქვეყანაში;პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება;საგანგებო სიტუაციებში კომპანიის ხელმძღვანელები არ მოქმედებენ სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით ან საერთოდ არ გააჩნიათ გეგმა;არასრულფასოვანი და არასწორი ინფორმაცია მონაწილე მხარეების ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებენ დაზღვევის ობიექტზე რისკი იყოფა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. ჯგუფები დაყოფილია სხვადასხვა კრიტერიუმებით. ტერიტორიული თვალსაზრისით იყოფა როგორც გლობალური, რეგიონალური და ლოკალური.

მაშასადამე, ეკონომიური ურთიერთობების განვითარება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დაზღვევა წარმოადგენს უარყოფითი მოვლენებისაგან დაცვის მექანიზმს. იგი უზრუნველყოფს გარე და შიდა ფაქტორების გავლენის შემცირებას და ხელს უწყობს წარმოების პროცესს, შესაბამისად ეკონომიკას უქმნის პარიტეტულად-ოპტიმალურ გარემოს.

გარდა ამისა, უპირობოა, რომ სადაზღვევო მექანიზმის გამოყენებისაკენ ან არ გამოყენების არჩევანის წინ დგას ყველა სუბიექტი. დაზღვევის შედეგი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი და ზოგ შემთხვევაში გადამრჩენი ფაქტორიც კი იყოს ამა თუ იმ სუბიექტისათვის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რისკის დადგომის ალბათობა ძალიან მცირეა, მაინც ღირს დაზღვევა და გარანტირებულად მოგების მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენიძე ნ, შონია ნ, ბიწაძე ჯ. - რისკებიდა-დაზღვევა, თბილისი, 2010 წ
2. ვერულავა თ. - ჯანმრთელობის დაზღვევის ისტორია, ილიაუნი, თბილისი
3. Стрельников Н. В. - РИСК-МЕНЕДЖМЕНТ В СТРАХОВОЙ ОРГАНИЗАЦИИ, Москва - 2013
4. Хачатурян К.С. - Страхование. Москва 2010
5. Ермасов С. В. - Страхование. Люберцы 2011
6. Симония т. - Особенности медицинского страхования в Грузии. Актуальные проблемы экономики, социологии и права. Пятигорск 2015
1. Спринсян Т. - здравоохранения швейцарии. 2015
2. http://insurance.gov.ge/

რისკების გათანაბრების პრესპექტივები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში

ზვიად ვეკუა,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების შედეგად კონკურენტული სადაზღვევო მოდელი, რომელიც მიზნად ისახავდა დარგში საბაზრო რეგულატორების განვითარებას, თანდათანობით იცვლება ერთი გადამხდელის სისტემით. სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით დაზღვეულებს უფლება არ აქვთ აირჩიონ მათთვის სასურველი სადაზღვევო კომპანია.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებისაგან განსხვავებით დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში შემუშავებულ იქნა კონცეფცია "რეგულირებადი კონკურენტული სადაზღვევო მოდელის" შესახებ. რეგულირებადი კონკურენტული სადაზღვევო ბაზრის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მზღვეველის სახით მოქმედებს მრავალი სადაზღვევო ორგანიზაცია და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულს შეუძლია გააკეთოს არჩევანი მომგებიან და არამომგებიან სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის.

საქართველომ უდავოდ უნდა გაიზიაროს ის გამოცდილება, რომელიც ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკით დაგროვდა. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა საშუალებას მოგვცემს ღრმად გავაანალიზოთ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი პრობლემები, რომლებიც შემდგომ სრულყოფას, ფართო განხილვას და გადაუდებელ გადაწყვეტას, ასევე სადაზღვევო სისტემის ორგანიზაციის პრინციპების გადასინჯვას მოითხოვს. ამ ანალიზის შედეგი უნდა იყოს სისტემის რეფორმის რამდენიმე შესაძლო მოდელის შემუშავება. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ითვალისწინებს რეგულირებადი კონკურენციის სისტემაში რისკის გათანაბრების სქემების მიმოხილვას, ამ კუთხით მიმდინარე რეფორმების შედეგების შესწავლას.

Summary

As a result of the current reforms in the healthcare system, concentrate insurance model wich aimed the development of the market regulators in the field, this system is gradually changing as a single-payer system.The insurer's which are insured by state programs are not allowed to choose preferred insurance company.

The current reforms - in the healthcare system of Georgia unlike in some western European country have been developed the concept of "regulative competitive insurance model". the main point of the adjustable competitive insurance market is that insurance organization function as the insured and the insurers can make a choice between the profitable and non-profitable services which are offered by insurance companies, whit in the state program.

Georgia undoubtedly will have to share the experience, which have been accumulated in the field of the health care insurance by the practice of various countries. Study of international experience will allowed us to analyze the facing problems of the health care systems which requires further improvement extensive discussion and urgent solutions. As well as the insurance system requires the revision of the organization' principles. The result of this analysis should be several possible forming model of the system reforms. Analysis of international experience provides the risk equalization overview of the scheme, the study of the current reforms in the system of the competition.

* * * * * *

რეგულირებადი კონკურენტული სადაზღვევო ბაზრის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მზღვეველის სახით მოქმედებს მრავალი სადაზღვევო ორგანიზაცია და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულს შეუძლია გააკეთოს არჩევანი მომგებიან და არამომგებიან სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის. (4)

"რეგულირებადი კონკურენციის" მოდელის დანერგვა 1993 წლიდან, ნიდერლანდებში დაიწყო. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის კონკურენციაზე დაფუძნებული სისტემა შემდეგ სხვა ქვეყნებშიც განვითარდა - გერმანია, ბელგია, შვეიცარია, ისრაელი, ჩეხეთი, სლოვაკეთი.

სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის რეგულირებადი კონკურენციის მოდელის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება სახელმწიფო რეგულირებას. ჯანმრთელობის დაზღვევის რეგულირების თვალსაზრისით ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის ფინანსური რისკების კორექციის, გათანაბრების (რისკ ადჯუსტმენტ) სქემა.

რისკის გათანაბრების მიზანია სადაზღვევო ორგანიზაციებში დაზღვეულთა ჯანმრთელობის სხვადასხვა სტატუსის გამო ხარჯების მკვეთრი განსხვავების შემცირება. ამით სადაზღვევო კომპანიებს აქვთ რისკთა შერჩევის ნაკლები სტიმული, ანუ მათ შორის კონკურენცია ხორციელდება არა რისკების შერჩევაზე, არამედ ფასზე და ხარისხზე, რაც თავის მხრივ ზრდის დაზღვეულთა სამედიცინო მომსახ-

ურების ხელმისაწვდომობას. რისკის გათანაბრების სქემა წარმატებით დაინერგა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა განიხილება როგორც ეროვნული სოციალური უსაფრთხოების სისტემა და ჯანდაცვის ფინანსური დაცვის მექანიზმი, სადაც ხორციელდება მოსახლეობის დიდ ნაწილში სამედიცინო რისკის და ფინანსური სახსრების გაერთიანება და სადაც შენატანების (პრემიები) ზომა არ არის დაკავშირებული დაზღვეული პირის რისკის დონესთან, და გამოყოფილია სხვა სავალდებულო (კანონით დადგენილი) გადასახადებისაგან. რისკის გათანაბრება სწორედ ამ პრობლემის გადაჭრისაკენ გადადგმული ნაბიჯია. ის გამოიყენება ევროპის უმეტეს ქვეყანაში და გულისხმობს სახელწიფი ჩარევას, ფონდების ფორმირებას და მთელი მოსახლეობის სადაზღვევო სისტემაში ჩართვას სისტემის შიგნით ჯვარედინ სუბსიდირებას, მდიდარსა და ღარიბს, მაღალრისკიანსა და დაბალრისკიანს შორის. დაცულია რისკის კორექციის (რისკ ადჯუსმენტ) სქემა;დამქირავებლებს და დაქირავებულებს აქვთ გარკვეული პასუხისმგებლობა სადაზღვევო ფონდის მართვაში, თუმცა ამას ყოველთვის არ აქვს ადგილი;რამდენიმე ფონდის არსებობისას დაზღვეულებს შესაძლებლობა აქვთ (ან არ აქვთ) ამოირჩიონ მათთვის სასურველი ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდი; პაციენტებს უფლება აქვთ ამოირჩიონ ექიმი ან სამედიცინო დაწესებულება; სხვადასხვა ფონდებს შესაძლოა განსხვავებული, ან ერთნაირი ბაზისური პაკეტი გააჩნდეთ; ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის ფონდებს უფლება არ აქვთ ბენეფიციარებს უარი უთხრან გაწევრიანებაზე. (1)

არსებობს სამი განსხვავებული გზა რითაც სახელმწიფოს შეუძლია რისკის რეგულირება. (3)

1) სადაზღვევოვო კომპანიებისთვის რისკის რეგულირების ვაუჩერის გადაცემა:



2) დაზღვეულს გადაეცემა სუბსიდია გათანაბრების ფონდიდან:



3) რისკების გათანაბრება:



1) MC-აუცილებელი შენატანი 2) P- პრემია 3) S- სუბსიდია

ჯანდაცვის სისტემის ჰოლანდიური მოდელის ძირითადი ელემენტები :

- სავალდებულო ბაზისური სამედიცინო დაზღვევა, რომლის შესყიდვას ახორციელებენ კერძო სადაზღვევო კომპანიები;
- დამზღვევისა და სადაზღვევო პროდუქტების ყოველწლიური შერჩევა მომხმარებლების მიერ;
- ღია გაწევრიანება ყველასათვის;
- პრემიების სუბსიდირება მოხუცებისა და მაღალი რისკის მქონე ავადმყოფი პირებისათვის, რისკების გათანაბრების სისტემის მეშვეობით;
- წლიური ნებაყოფლობითი ფასდაკლებები 500 ევრომდე, თითოეული პირისათვის;
- მზღვეველებს უფლება აქვთ გაყიდონ დაზღვევის სხვა სახეები (მაგ. დამატებითი დაზღვევა);
- მზღვეველები თავიანთი მომხმარებლებისათვის ჯანდაცვის სერვისების აქტიური შემსყიდველებს წარმოადგენენ;
- ზოგადი პრაქტიკის ექიმებს აქვთ მეკარიბჭის ფუნქცია;
- მზღვეველებს უფლება აქვთ გააფორმონ შერჩევითი კონტრაქტები ექიმებთან და საავადმყოფოებთან;
- ნებადართულია ჯანდაცვის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და შერჩეულ პროვაიდერთა ორგანიზაციების მომსახურებები;
- გადასვლა მართვად კონკურენციაზე (1)

ნიდერლანდების სადაზღვევო მოდელის მეტნაკლებად სრულად ათვისება დაიწყეს ევროპის სხვა ქვეყნებში. ჯერჯერობით საფრანგეთი და გერმანია ვერ „ბედავს“ გაატაროს ეს სისტემა. მიმდინარეობს დისკუსია აშშ-ს სადაზღვეო მოედელში რისკის გათანაბრების სწემის ჩართვაზე. მიმაჩნია რომ საქართველოში ჯერ მსგავსი სქემის დანერგავ არაა მიზანშეწონილი. ჰოლანდიის სახელმწიფო და საზოგადოება თანდთან, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოჩენილი ხარვეზების შედეგად მივიდა ამ ცვლილების გატარების აუცილებლობამდე. აღსანიშნავია რომ აქცენტი კეთდება ხარისხის და კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე. საქრთველოში კი არათუ მაღალ სტანდარტზე, საჭიროების ნორმალურად დაკმაყოფილებაზეც კი პრობლემა იქმნება. ასევე სჭიროა ინფორმაციული ნაკადების დახვენა და გაუმჯობესება, ჩვენს ქვეყანაში მომხმარებელის უმეტესობა არათუ პაკეტების ავკარგიანობაში არამედ, მისი არსში არაა გარკვეული, ამიტომაც ეფექტურობაზე და ხარისხზე

ჯერ საუბარი ნაადრევია. ასევე აღინიშნა რომ ნიდერლანდების მოსახლეობის 90%-ზე მეტი მიუხედავად საბაზისო პაკეტის არსებობისა მაინც იძენს დამატებით კერძო დაზღვევის პოლისს, რაც საქართველოში არარეალური და შეუძლებელი მგონია ისევ და ისევ ინფორმირებულობის და დაზღვევისგან მიღებული სარგებლის გაუაზრებლობის გამო. რისკის გათანაბრების სქემა საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მზარდ სუბსიდირებას რაც ასევე საეჭვოა მერყევი ბიუჯეტის პირობებში. თუმცა შესაძლოა დაინერგოს შესაბამისი სქემის საპილოტე პროგრამა, რომელიმე რეგიონში ან დასახლებულ პუნქტში, რამეთუ სამომავლოდ გათვალისწინებული და შესწავლილი იქნას ის რისკები და დეტალები რაც აღნიშნული პრინციპის დანერგვას მოჰყვებოდა თან. (2)

გამოყენებული ლიტერატურა:

1) თენგიზ ვერულავა — "ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის ძირითადი თავისებურებები" http://heconomic.wordpress.com/2010/07/11/tengiz-verulava-12/

2) თენგიზ ვერულავა — "ჯანდაცვის დაფინანსების სისტემები, დაფინანსების წყაროები" http://heconomic.wordpress.com/2010/07/07/tengiz-verulava-10/

3) Nigel rice, Peter Smith-Approaches to Capitation and Risk Adjasment in health Care:An International Survey. Octomber 2009.

4) P.M.M.Van de ven, F.T. Shunt-Universal Mandatory Health Insurance In The Netherlands: A Model For The United States? http://content.healthaffairs.org/content/27/3/771.full

სტატისტიკური მეთოდის 6 σ (ექვსი სიგმა) გამოყენება თბილისის საავტობუსო ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების ხარისხის შესაფასებლად

დავით კბილაძე
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

შორენა მეტრეველი
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბიზნესის გაძღოლაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების კარგი გამოცდილებაა დაგროვილი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 6 სიგმას სტატისტიკური მეთოდის გამოყენება პროდუქციის (მომსახურების) ხარისხის კონტროლის სქემაში. მოცემული მეთოდის დანერგვას საქართველოს ბიზნესმენთა საქმიანობაში ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. ამის შესახებ პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ ჩატარებული ერთობლივი, სახდელი გამოკვლევების შედეგებიც მეტყველებს, რომელიც თბილისის საავტობუსო ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების ხარისხის შეფასებას მიეძღვნა.

საკვანძო სიტყვები: ვარიაცია, 6 სიგმა, შერჩევითი დაკვირვება, პროდუქცია (მომსახურება), ხარისხის კონტროლი, მენეჯერული გადაწყვეტილება.

Usage of Statistical Method (6 Sigma) for Evolution of Service of Quality for Passengers in Buses of Tbilisi

David Kbiladze
Shorena Metreveli

Summary

Good experience is accumulated regarding usage of statistical methods in Business Management in countries of market economy. In this regard, special attention should be paid to 6 Sigma, usage of statistical method in control of production (service) quality. Implementation of this method in businessmen activities can bring a lot of benefit. Results of joint, experimental, research conducted by professors and students show the same, above mentioned research was devoted to evaluation of service quality for passengers who are using the bus.

Keywords: Variation, 6 sigma, Selective observation, Production (services), Quality control, Managerial decision.

* * * * * * *

თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში მოღვაწე ბიზნესმენებს, ეკონომისტებს, მენეჯერებს სულ უფრო მეტად სჭირდებათ უტყუარი სტატისტიკური ინფორმაციის მოშველიება როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი პერიოდებისათვის სწორი მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილების მიღებაში. აქედან გამომდინარე შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ სტატისტიკური წიგნიერებისა და სტატისტიკური სწავლების ფორმები და მეთოდები მუდმივი განახლების პროცესშია და სულ უფრო დიდი დოზით ირებს პრაგმატულ ხასიათს. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ავტორების მიერ განხორციელებული აქტივობები სტატისტიკის სფეროში გამოცემული სახელმძღვანელოები, შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები მაქსიმალურად დაუკავშირონ მომავალ ბიზნესმენთა და მენეჯერთა არჩევანს მათ სრულფასოვან სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში.

ბიზნესის გაძღოლაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ამჯერად შევჩერდით 6 σ (ექვსი სიგმას) მეთოდის გამოყენებაზე პროდუქციის, მომსახურების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების სფეროში.

ბერძნული ასო σ "სიგმა" სტატისტიკაში ცნობილია, როგორც ძირითად მაჩვენებელთა ნომინალური (საშუალო, ნორმატიული) მაჩვენებლისაგან გადახრის კვადრატი (კვადრატული გადახრა). თავიდანვე უნდა განვაცხადოთ და ასევეა აღნიშნული მოცემულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოებში, რომ რაც უფრო მცირეა მოცემული მაჩვენებლის ვარიაბელურობა, მით უფრო კარგია იგი მომხმარებლისათვის.

სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში σ (სიგმას) მრავალმხრივი გამოყენება აქვს. იგი გამოიყენება პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკური კანონზომიერებების გამოსავლენად. ასე მაგალითად[1]: ქალთა პერანგების რეალიზაციისას პატარა ზომის ტანსაცმელს ქალების ნაკლები პროცენტული

1 დ. კბილაძე, შ. მეტრეველი. სტატისტიკა, სახელმძღვანელო, გამომც."უნივერსალი" თბ. 2015 წ. გვ. 363

რაოდენობა ატარებს. ქალების წონის (X) გადიდებასთან ერთად ქალების პროცენტული რაოდენობა (f) თანდათან იზრდება. თუ S ზომა მსოფლიოში მიღებულია ზრდასრული ადამიანის ყველაზე პატარა ზომის ტანსაცმლად. შემდეგ მოდის M , შემდეგ L , შემდეგ XL, 2XL, 3XL. ესე იგი ქალების წონის ზრდასთან ერთად ვლინდება შემდეგი კანონზომიერება: ყველაზე პატარა ზომის ტანსაცმელს ატარებს ქალების ნაკლები პროცენტული რაოდენობა. შემდეგ ქალების წონის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნა L და XL ზომის ტანსაცმელზე და ალბათ მოცემული ზომის ტანსაცმელის ქალების ყველაზე მეტი რაოდენობა ატარებს. შემდეგ ქალების წონის მატებასთან ერთად, შესაბამისად, კლებულობს მოთხოვნა 2XL და 3XL ზომის ტანსაცმელზე. აღნიშნული გამოვსახოთ ნახაზის სახით.

ნახაზიN 1



ჯიდევ უფრო ფართო გამოყენება აქვს σ (სიგმას) როგორც ვარიაციულ მაჩვენებლის დატვირთვას პროდუქციის მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმებისას. ასე მაგალითად[2]: მსოფლიოში ცნობილი კომპანიის "GE" გენერალური დირექტორი ჯეკ უელჩი აღნიშნავს, რომ სტატისტიკური მეთოდის 6 σ (სიგმას) გამოყენებამ მის ფირმას 1997 წელს მისცა 2 მილიარდი აშშ დოლარის ეკონომია. ასეთივე წარმატებული შედეგები აქვს სხვა ცნობილ ფირმებს, მაგალითად "Motorola"–ს.

6 σ სიგმას) მეთოდის გამოყენებისას მოცემული მაჩვენებლის გაბნევა თავსდება დასაშვები სივრცის (მოედნის, არეალის და ა.შ.) ნახევარში, ასსეტ პირობებში წუნდებული პროდუქციის ან მომსახურების მიღების ალბათობა მცირეა, რაც მილიონ ერთეულზე რამოდენიმე ერთეულს შეადგენს (იხ. ცხრილი).

ცხრილი N 1

სიგმის დონე და ხარისხი[3]

სიგმას დონე	დეფექტების რიცხვი მილიონ ერთეულზე
6	3,4
5	233
4	6210
3	66807
2	308537
1	690000

თუ ვიმუშავებთ 99,9997 % დონეზე დეფექტები ფაქტობრივად არ იქნება. როგორც მოცემული მასალიდან ჩანს 6 სიგმას მუშაობის პირობებში წუნდებული პროდუქციის რაოდენობა მილლიონ ერთეულზე ფაქტობრივად აღარ არსებობს.

6 σ (სიგმას) მეთოდის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ლექცია-სემინარებზე გაშუქების შემდეგ, წინამდებარე სტატიის ავტორებს გაუჩნდათ იდეა სტუდენტებთან ერთად ჩაეტარებინათ საცდელი სტატისტიკური შერჩევითი გამოკვლევა თბილისის საავტობუსო ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების ხარისხის შესაფასებლად.

საცდელი გამოკვლევის ჩასატარებლად შედგა კვლევის ჩატარების დიზაინი. დაკვირვების ობიექტად შეირჩა სვლა-გეზების მიხედვით საავტობუსო ტრანსპორტი, ხოლო დაკვირვების ერთეულად სტუდენტები, რომლებიც თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან უმაღლეს სასწავლებლებში და უკან გადაადგილდებიან რამოდენიმე საავტობუსო - სატრანსპორტო საშუალებით.

გამოკვლევის მიზანი იყო გაგვენსაზღვრა დედაქალაქის საავტობუსო ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების ხარისხი რესპოდენტების (სტუდენტების) აზრის გათვალისწინებით. კვლევის დიზაინი ითვალისწინებდა:

1) მომსახურების ხარისხის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლას, ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემით, როგორიცაა:

- დანიშნულების ადგილზე მისასვლელად სჭირდება ორზე მეტი რაოდენობის ტრანსპორტის გამოცვლა;
- ავტობუსში ასვლის შესაძლებლობა მეორე და მეტი მცდელობისას;
- მგზავრობის შესაძლებლობა ფეხზედგომით.

2) საავტობუსო ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, ისეთ კითხვებზე ინფორმაციის მიღებით, როგორიცაა:

- პიკის საათებში სატრანსპორტო საშუალებათა დამატება;
- ავტოპარკის განახლება;
- ელექტრო ტრანსპორტის აღდგენა.

2 Пит Панде, Ларри Холп. Что такое «шесть сигм»? Революционный метод управления качеством. 2-е изд., Москва 2005г. Стр. 16.

3 Пит Панде, Ларри Холп. Что такое «шесть сигм»? Революционный метод управления качеством. 2-е изд., Москва 2005г. Стр. 24.

სტატისტიკური კითხვარის პირველი წყების პასუხებით გამოვლინდა საავტობუსო მომსახურების სფეროში არსებული დეფექტები. კერძოდ, დანიშნულების ადგილზე მისასვლელად სჭირდება ორზე მეტი რაოდენობის ტრანსპორტის გამოცვლა 100 მგზავრს, ავტობუსში ასვლის შესაძლებლობა მეორე და მეტი მცდელობისას ჭირდება 120 მგზავრს, ხოლო ფეხზედგომით მგზავრობა უწევს 300 მგზავრს. იმისათვის რომ განვსაზღვროთ σ (სიგმას) დონე მგზავრობით უკმაყოფილო გამოკითხული სტუდენტების საერთო რიცხვს ვყოფთ მთლიანად გადაყვანილი სტუდენტების - 5000 რაოდენობაზეგამრავლებულს დეფექტების რიცხვზე, შესაბამისადვღებულობთ მაჩვენებელს DPO (დეფექტების რიცხვი ერთშესაძლებლობაზე) რაც შეადგენს 0,036. მოცემული მაჩვენებელი წარმოადგენს წუნდებული მომსახურების რიცხვს. კვლევის შედეგები ექვივალენტურია 36000 დეფექტის 1 მილიონ გადაყვანილ მგზავრზე (DPMO - Defects Per Million Opportunities) რაც ზემომოტანილი ცხრილის მიხედვით მდებარეობს 3.25 სიგმასთან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევა ასევე ითვალისწინებდა სტუდენტების აზრის შესწავლას საქალაქო საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გასაუმჯობესებლად, რაც შესაძლებელია გაანგარიშებულ იქნეს პროფესორ ბიკენტი გაბიძაშვილის მიერ შემოთავაზებული ინტეგრირებული სტატისტიკური მაჩვენებლის გამოყენებით[4]:

$$K = \frac{\sum K_i}{n},$$

სადაც K - ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ინტეგრირებული კოეფიციენტია, K_i – იური ფაქტორის სუბინდექსი, ხოლო n - ფაქტორთა რიცხვი. სუბინდექსი შეიძლება გაანგარიშებული იქნეს

შემდეგი ფორმულით: $K_i = \frac{x_i - x_{\min}}{x_{\max} - x_{\min}}$

ზემოაღნიშნული კვლევის დროსდასმული იქნა შემდეგი საკითხი, შესაბამისი სავარაუდო პასუხებით: რას ისურვებდით მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გასაუმჯობესებლად?

1) პიკის საათებში ავტობუსების ან მიკროავტობუსების დამატება;
2) ავტოპარკის განახლება;
3) ელექტრო ტრანსპორტის დამატება.

კვლევის შედეგების ანალიზისას საჭიროა ცალკეული სუბინდექსის გაანგარიშება. კვლევის შედეგად მივიღეთ,რომ პიკის საათებში ავტოტრანსპორტის დამატებას უპირატესობა მიანიჭა 147 რესპოდენტმა, ავტოპარკის განახლებას 97, ხოლო ელექტრო ტრანსპორტის დამატებას 109.

შედეგად, პირველი ფაქტორის სუბინდექსი იქნება:

$$K_1 = \frac{147-97}{147-97} = 1;$$

მეორე $K_2 = \frac{97-97}{147-97} = 0$

ხოლო მესამე: $K_3 = \frac{109-97}{147-97} = 0,24$

შესაბამისად ინტეგრირებული მაჩვენებელი იქნება: $K = \frac{1+0+0,24}{3} = 0,41$ ანუ გამოკითხულთა 41 % თვლის, რომ სასაურველი იქნება ცვლილებების შეტანა მგზავრობის გასაუმჯობესებლად.

ამრიგად, სტატსიტიკური მეთოდის 6 სიგმა გამოყენებას, საქართველოს ბიზნესმენთა მიერ პროდუქციის (მომსაცურების) ხარისხის კონტროლის შესწავლაში დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, ბიზნესის გაძღოლის და სხვა მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისას. სასურველია, ზემოთ აღნიშნულს სტუდენტები უკეთ დაეუფლონ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გავლისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. გაბიძაშვილი, დ.კბილაძე., ბიზნესმენთა ქცევის ტაქტიკა და სტრატეგია ეკონომიკურად განუსაზღვრელობის პირობებში. ჩგამ."უნივერსალი" თბ., 2010 წ.
2. დ. კბილაძე, შ. მეტრეველი. სტატისტიკა, სახელმძღვანელო, გამ. "უნივერსალი" თბ.,2015 წ.
3. ПитПанде, ЛарриХолп. Чтотакое «шестьсигм»? Революционныйметодуправлениякачеств твом. 2-еизд., Москва 2005 г.

4 ბ. გაბიძაშვილი, დ.კბილაძე., ბიზნესმენთა ქცევის ტაქტიკა და სტრატეგია ეკონომიკურად განუსაზღვრელობის პირობებში. ჩამომც."უნივერსალი" თბ., 2010. ჩგვ. 193-195.

პიარისა და რეკლამის როლი ბიზნესის განვითარებაში

ნანი მამფორია,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, განავითაროს კეთილგანწყობილი ურთიერთობა საზოგადოებასა და ორგანიზაციას შორის. პიარი ასრულებს მთავარ როლს ბიზნეს გარემოში, რათა დამყარდეს სტაბილური ურთიერთკავშირი კომპანიასა და საზოგადოებას შორის. ასევე, პიარის ფუნქციაა, გააუმჯობესოს საკომუნიკაციო არხები და აღმოაჩინოს მუდმივად ახალი გზები, რათა მოხდეს ინფორმაციის ურთიერთგაცვლა. საზოგადოებასთან ურთიერთობა ეფექტურად ეხმარება კომპანიებს, მიიტანონ ინფორმაცია პოტენციურ მომხმარებლებამდე პროდუქტისა თუ მომსახურების შესახებ.

პიარის სისტემა ეხმარება ბიზნესს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში. ასევე, პიარი არის მედიატორი და კომუნიკატორი საზოგადოებასა და კომპანიას შორის. ეფექტურად დაგეგმილი პიარ კომპანია განაპირობებს ბიზნეს კომპანიის წარმატებას. ბიზნესისთვის ასევე მნიშვნელოვანია კომუნიკაციების კომპლექსურობა: მარკეტინგი, პიარი, რეკლამა, პრომოუშენი – ეს ყველაფერი ჩამოყალიბებული სისტემაში და დროში განაწილებული უზრუნველყოფს ბიზნეს კომპანიის წარმატებულ განვითარებას, უქმნის მას დადებით იმიჯსა და რეპუტაციას. დადებითი რეპუტაცია იწვევს საზოგადოების ნდობას, რაც აუცილებელი ფაქტორია კომპანიის სტაბილურობისა და კონკურენტუნარიანობისთვის.

პიარის ძირითადი საქმიანობის დიდი ნაწილი დამყარებულია მედიასთან ურთიერთობის განვითარებასა და შენარჩუნებაზე. მედიას მნიშვნელოვანი როლი აქვს ჩვენს საქმიანობაში. ასრულებს რა მედიატორის ფუნქციას, მედია გვეხმარება, ჩვენი გზავნილი მივიტანოთ მომხმარებლებამდე.

პიარ სპეციალისტი ამზადებს სხვადასხვა პიარ დოკუმენტებს მედიასთან აქტიური ურთიერთობის დასამყარებლად და მომხმარებლების ინფორმირებისთვის.

რატომ არის პიარში კამპანიები მნიშვნელოვანი? ხშირ შემთხვევაში, თუ პიარი არ არის რეგულარული და თანმიმდევრული, მას არ აქვს ეფექტი. მხოლოდ ერთი ღონისძიება ვერ გვაძლევს სასურველ შედეგს, ხოლო კამპანია თავისი მოქნილობით ზუსტად ამ ეფექტზეა ორიენტირებული.

საკვანძო სიტყვები: პიარი, ბიზნესი, მედია, კამპანიები, კომპანია, საზოგადოება, ეფექტი, მომხმარებელი, სპეციალისტი.

PR and Advertising Role in the Development of Business

Nani Mamporia, Associated professor of GTU

Summary

Public relations is one of the main function, To develop friendly relations between the community and the organization PR plays a major role in the business environment in order to establish a stable relationship between the companies and the society. Also PR function, improve communication channels and new ways to detect continuously, in order to exchange information. Public Relations effectively helps companies deliver information to potential consumers about the product or service PR system helps businesses in shaping public opinion and in the formation. PR is also a mediator and communicator between the company and society. Effectively planned PR campaign due to the company's business success. Business is also important for the complexity of communications: marketing, PR, advertising, promotion - it's all set up in the system and the time allocated to ensure the successful development of the company's business, it creates a positive image and reputation. Positive reputation leads to public confidence, which is critical for the company's stability and competitiveness.

PR main activity is based in large part on the maintenance and development of media relations. Media has an important role in our work. What role of mediator, the media can help us articulate our message to consumers.

PR PR specialist prepares a variety of documents, media and consumer information for dasamqreblad ties.

Why is the PR campaigns are important? In many cases, if the PR is not a regular and consistent, it has no effect. Only one event will not give us the desired result, and the flexibility of his campaign is focused on exactly this effect.

Keywords: PR, business, media, campaigns, company, society, effects, user, specialist.

* * * * * * *

ცივილიზებულ სამყაროში შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ბიზნესის განვითარება მოხდეს ხელშემწყობი პირობების გარეშე. ხელშემწყობ პირობებში, მოიაზრება, როგორც მატერიალური მხარე, ასევე, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც საზოგადოების გათვითცნობიერებას უწყობენ ხელს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც დომინირებს კონკურენტუნარიანი გარემო, მნიშვნელოვანია სარეკლამო კომუნიკაციების გამოყენება. რეკლამა ადამიანის ფსიქოლოგიაზე ზემოქმედების ყველაზე ეფექტური საშუალებაა და ამიტომაც

მასზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება. რეკლამაზე გაზრდილი მოთხოვნილება გამოწვეულია, როგორც შემოქმედებითი სტრატეგიის პოზიციიდან, ასევე, სარეკლამო საშუალებების პოზიციიდან. რეკლამის შექმნა არის შემოქმედებითი მუშაობის შედეგი. კრეატიულობა ანუ შემოქმედებითი მიდგომა ორიგინალური, ყველასაგან განსხვავებული ახალი ბრენდის შესაქმნელად მოითხოვს ამ მიმართულებით სარეკლამო სტრუქტურების აქტიურ მუშაობას.

პიარის ძირითადი მიზანია კომპანიასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი ურთიერთობების დამყარება, რაც საერთო წარმოდგენების, ინტერესების გამოვლენასა და ურთიერთგაგების მიღწევას გულისხმობს. საზოგადოების ინფორმირება რომ მოხდეს, საჭიროა არსებობდეს, როგორც ინფორმაციის გამცემი, ისე ამ ინფორმაციის მიმღებიც. ეს ყოველივე კი დაფუძნებულია სიმართლეზე, ცოდნასა და სრულ ინფორმირებაზე.

პიარი მარკეტინგს ეხმარება მის წინაშე მდგომი ბევრი ამოცანის გადაწყვეტაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამიზნე სეგმენტის ინტერესების, მოთხოვნებისა და პრიორიტეტების გამოკვლევას, რაც არსებითად ზემოქმედებს პროდუქციისა და მომსახურების სტაბილურ გასაღებაზე. პიარის დახმარებით ეფექტური კომუნიკაციის შექმნა გარე სამყაროსთან წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს კონკურენციის პირობებში. პიარი, როგორც საბაზრო მოღვაწეობის მიმართულება, გაიზარდა და დასავლეთში უკვე გამოეყო მარკეტინგს.

მარკეტინგული საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პიართან. 80-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ორმაგი განმარტება მარკეტინგ-ფაბლიქ რილეიშენზი, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ გამოკვეთილიყო პიარის როლი, რომ ის მარკეტინგის შემადგენელი ნაწილია და არა ერთი და იგივე. მარკეტინგული საქმიანობა ნამდვილად არ არის პიარ საქმიანობის იდენტური პროცესი.

პრაქტიკულ მარკეტინგში სარეკლამო კომუნიკაციები და საქონლის გასაღების სტიმულირება განიხილება, როგორც ორი მჭიდროდ დაკავშირებული და ამასთან პოტენციური უკვე არსებული მყიდველისადმი საქონლისა და მომსახურების შესახებ სპეციალური შეტყობინების საშუალებები, აგრეთვე ეფექტური ხერხი, დაარწმუნო ისინი, გააკეთონ შენაძენი.

კორპორაციის მენეჯერები დარწმუნებულნი არიან, რომ მარკეტინგი არის რეკლამის სინონიმი და არა პიარის. მათი აზრით, ფართო მაშტაბიანი მარკეტინგი მოითხოვს ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოების დიდ ფენაზე, რისთვისაც საჭიროა სარეკლამო კამპანიის განხორციელება. ხომ არ არის მარკეტინგი რეკლამა, რომლის განხორციელებისათვის დიდი თანხებია საჭირო? ახალი პროდუქციის შექმნა და მისი საზოგადოებამდე მიტანა იმდენად დიდ თანხებს მოითხოვს, რომ მის განხორციელებაზე შესაძლოა ფირმამ უარი თქვას. ამის მაგალითები უამრავია მსოფლიოში. ფირმები ახალი ბრენდის შექმნაზე ფულის დახარჯვას ამჯობინებენ ძველი ბრენდის რეკლამირებას. სანამ ახალი ბრენდი არ მიიღებს მყარ რეკომენდაციას, მისი რეკლამირება აზრს კარგავს. ამიტომ აუცილებელია პიარის და რეკლამის სწორი შერწყმა. არ უნდა გამოვიყენოთ სარეკლამო კამპანია მანამ, სანამ არ ამოვწურავთ ყველა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, სანამ ცნობილი არ გახდება საზოგადოებისათვის ის ბრენდი, რომლის გამოშვებასაც ვაპირებთ. ის სტრატეგიული მიმართულება, რაც ხელს შეუწყობს ახალი ბრენდის წინ წაწევას მომავალში, კლიენტის ნდობის და მიზიდვის ყველაზე კარგი საშუალება იქნება. თუ ადამიანი არ ენდობა რეკლამას და იგი მას თვლის, როგორც ფირმისათვის სასარგებლო დანამატს, ბუნებრივია, მისი ნდობა რეკლამისადმი უფრო დაბალია. დღეს, როცა ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ეწევიან ფართომასშტაბიან სარეკლამო კამპანიას, საზოგადოების დარწმუნების ფაქტორი საგრძნობლად კლებულობს. რაც მეტია რეკლამის რაოდენობა, მით ნაკლებია შანსი იმისა, რომ კონკრეტული განცხადება შესამჩნევი გახდეს. რეკლამების მოცულობის ზრდის ტენდენცია ამცირებს მის ეფექტურობას და გაზრდილი ფასები კი მის რენტაბელობას. მაგალითად, ამერიკის სარეკლამო სააგენტოს ასოციაციის 30 წამიანი რეკლამის განთავსება ტელეარხებზე ღირს საშუალოდ 343 ათასი დოლარი, ხოლო საკვებ პროდუქტებზე და სასმელებზე 530 ათასი დოლარი. გაზრდილი ფასი არა მარტო ძვირადღირებული სიამოვნებაა, არამედ ეჭვის ქვეშ აყენებს მისი ზემოქმედების საშუალებას მომხმარებელზე. ბუნებრივია, მომხმარებელს უჩნდება კითხვა, რატომ ხარჯავს კომპანიის ხელმძღვანელი ამდენ თანხას რეკლამაზე, ეს ხომ არ არის ხალხის მოტყუების ერთ-ერთი საშუალება? განსაკუთრებით მაშინ, როცა კომპანია რეკლამაზე ხარჯავს დიდ თანხას და ღებულობს გაცილებით ნაკლებ მოგებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო რეკლამის გამოყენების შემთხვევაშიც კი საბაზრო კონკურენციის პირობებში, შეუძლებელია გაზრდილი ფასების შენარჩუნება. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა შესაძლებლობას იძლევა შევამციროთ საწარმო ხარჯები და შესაბამისად პროდუქციის ფასები. ამის ნათელი მაგალითია მობილური ტელეფონების, ციფრული კამერების და კომპიუტერების ფასების მკვეთრი დაცემა. პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ამჟამად საშუალოდ ღირს 700-800 დოლარი, უფრო მეტად მწარმოებლურია, ვიდრე გამოსათვლელი მანქანა, რომლის შეძენისათვის 30 წლის წინ იხდიდნენ 1 მილიონ დოლარს. მოთხოვნა-მიწოდებას შორის თანაფარდობის დარღვევამ უფრო მეტად საჭირო გახადა რეკლამის გამოყენების აუცილებლობა, რაც გამოიხატა ბრენდის ცნობადობისათვის საზოგადოების ყურადღების მიპყრობაში.

სარეკლამო სააგენტოების შემოქმედებითი მუშაობის მიზანია გაუწიოს რეკლამირება ახალ ბრენდს, და არა უკვე ცნობილ ,,მოძველებურ“ ბრენდს. რე-

კლამა უნდა ასოცირდებოდეს ახალთან და ორიგინალურთან. რეკლამის მიზანია მომხმარებლის დარწმუნება იმაში, რომ რეკლამირებული ბრენდი არის ახალი საქონლის ნიმუში და ამ პროდუქციისათვის შექმნილი რეკლამა არის ახალი სიტყვა სარეკლამო ხელოვნებაში. მოუნდება თუ არა მომხმარებელს რეკლამირებული საქონლის ყიდვა, თუ მას მოეწონება მისი რეკლამა — ეს უკვე მეორე საკითხია, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დოზით მოხდა მომხმარებლის დარწმუნება.

ხშირად ბრენდის რეკლამა და თვით ბრენდის სასაქონლო სახე ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ამ შემთხვევაში მომხმარებელი უფრო ენდობა თავის ინტუიციას და ირჩევს უკვე აპრობირებულ საქონელს, ან ისეთს, რომელსაც თვლის პრაქტიკული ვიზუალური თვალსაზრისით უფრო საინტერესოდ. შესაძლოა ასეთი საქონლის რეკლამა არ იყოს ჯეროვნად მიმზიდველი, მიუხედავად ამისა, ირჩევს იმას, რაც მას მეტად მოსწონს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს რეკლამის კრეატიულობას, რადგან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები თანაბარი სიძლიერით არ აღიქვამენ რეკლამის შინაარსს. პირდაპირ რეკლამას უფრო ექვემდებარებიან ახალგაზრდები, რომელთაც მოსწონთ სარეკლამო კლიპები და ყოველგვარ სიახლეს ღებულობენ ენთუზიაზმით და გაანალიზების გარეშე. რაც შეეხება შუა ასაკის მომხმარებელს, იგი სარეკლამო კლიპებში მოითხოვს უფრო დამაჯერებელ არგუმენტს, თუ იგი ამას ვერ ღებულობს კრეატიული რეკლამიდან, მაშინ მისთვის რეკლამა შეიძლება გადაიქცეს ანტირეკლამად. ხშირად რადიო და ტელე არხებზე ერთი და იგივე რეკლამა გადის დროის მცირე ინტერვალებში და ჩართულია რეიტინგულ გადაცემებში, რაც ავალდებულებს მსმენელს იძულებით მოუსმინოს სარეკლამო კლიპს. ბუნებრივია, მაყურებელთა ნაწილში ეს მომენტი იწვევს გაღიზიანებას. მეორეს მხრივ, ასეთი რეკლამები ემსახურება როგორც ბრენდის, ასევე რეიტინგული გადაცემის რეკლამირებას, რაც მომგებიანია როგორც სარეკლამო კომპანიებისათვის, ასევე რადიო და ტელეარხებისათვის, პოპულარობის და ფინანსური თვალსაზრისით.

რეკლამა სჭირდება ახალ პროდუქციას, მას უნდა ჰქონდეს თავისი სერთიფიკატი, რომლის მისაღებად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. რადიო და ტელეარხებით რეკლამირებული პროდუქცია უმეტესად ემსახურება ბაზარზე მის გასაღებას. ხშირ შემთხვევაში ახალი პროდუქციის შექმნა და საზოგადოებამდე მიტანა დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

ჩნდება კითხვა: ახალი პროდუქციის რეკლამირებისას რომელს ენიჭება უპირატესობა – პიარს თუ რეკლამას? პროფესიონალები თვლიან, რომ უკვე არსებული ბრენდის დასაცავად მნიშვნელოვანია რეკლამა, მაგრამ ახალი ბრენდის ბაზარზე დამკვიდრებისათვის უფრო დადებით ეფექტს იძლევა პიარის გამოყენება.

ყოფილ სსრკ-ში პროდუქციის რეკლამირებისათვის არსებობდა ე. წ. ,,ხარისხის ნიშანი“, რომელიც წარმოადგენდა ადამიანების დარწმუნების საუკეთესო საშუალებას. მომხმარებელი ხარისხის ნიშნის მქონე პროდუქციას შედარებით უპირატესობას ანიჭებდა, თუმცა ხარისხის ნიშნის მქონე პროდუქციის გამოშვება მასიურ წარმოებაში დარღვევებით ხდებოდა, ამიტომაც მკვეთრად იყო გამოხატული უნდობლობის ფაქტორი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ წარმოების ხელმძღვანელობას არ ევალებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების დარეგულირება, რადგან იგი იურიდიულად მისი მართვის ფუნქციებში არ შედიოდა. ასევე პროდუქციის რეკლამირების საკითხში იგი პასიურ პოზიციას იკავებდა, რადგან ცენტრალიზებული მმართველობა, საგეგმო კომიტეტი იღებდა პასუხისმგებლობას გამოშვებული პროდუქციის გასაღებაზე. 90-იან წლებში მიმდინარე მოვლენების შემდეგ საქართველო გახდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული იდეების მქონე რესპუბლიკა და მან აირჩია ეკონომიკის განვითარების დასავლური მოდელი, რაც ითვალისწინებდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ბაზარიც და სახელმწიფოც არსებითია ეკონომიკაში.

საბაზრო ეკონომიკის დამაარსებელი ვალტერ იოკენი (გერმანია) აღნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებს მხოლოდ თავისუფლების პირობებში, ადამიანი ღებულობს იმ გადაწყვეტილებებს, რამაც შეუძლია სარგებლობა მოუტანოს მას და მის ახლობლებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობის გამო არ არის საკმარისი მარკეტინგის სტრატეგიისა და ტაქტიკის ცოდნა, აუცილებელია სარეკლამო კომუნიკაციების გამოყენებაც. დღის წესრიგში დადგა სხვადასხვა სარეკლამო საშუალებების ერთდროული გამოყენება, რაც წარმოადგენს ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებს (იმკ), სადაც ხდება სხვადასხვა სარეკლამო მეთოდების შეჯამება და შერწყმა პროდუქციის შეფუთვიდან დაწყებული და საზოგადოებამდე დამთავრებული.

ახალი ეპოქა წარმოუდგენელია სარეკლამო კომუნიკაციების გარეშე. ეს არის სარეკლამო კომუნიკაციების ეპოქა. მომხმარებლის დადებითი შეხედულების შესაქმნელად ამა თუ იმ სასაქონლო მარკაზე, საკმარისი არ არის მხოლოდ სარეკლამო კომუნიკაციების გამოყენება, არამედ ასევე საჭიროა მივიღოთ ზომები გასაღების სტიმულირების მისაღწევად. რეკლამა და გასაღების სტიმულირება ფლობს იმ პოტენციალს, რომელიც ხელს უწყობს მნიშვნელოვანი და ლოიალური კლიენტურის მოზიდვას და ასევე მომხმარებლის ყურადღების მიპყრობას.

იმ შემთხვევაში თუ რეკლამა ემსახურება წარმოების იმიჯის ამაღლებას, მაშინ წარმოება ცდილობს თავისი პროდუქციის რეკლამირებით წინ აღუდგეს კონკურენტ ფირმებს. მიზანშეწონილია რეკლამირებისათვის შემდეგი მეთოდების გამოყენება: მასობრივი საინფორმაციო საშუალებები (რადიო,

ტელევიზია, გაზეთები, საქმიანი ჟურნალები); ცნობარები; ტელემარკეტი; მონაწილეობა გამოფენებში, კონფერენციებში, ბაზრობებზე; რეკლამის განთავსება სავაჭრო ჟურნალებში და ა. შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკლამასა და პიარს ორივეს დამოუკიდებელი ფუნქციები გააჩნია, აუცილებელია ბიზნესის ხელშეწყობისა და წარმატებისთვის და საბოლოოდ – ეკონომიკის აღორძინებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Райс Эл., Райс Лора - Расцвет пиара. М., 2006 г.
2. Росситер Д., Перси Л. - Реклама и продвижение товаров. М., 2001 г.
3. http: //www.gaccg.corgia.org /FrameCraftgeo. Html
4. http://hereti.webnode.com/products/
5. http://lawtheses.com/pravovoe-obespechenie-bezopasnosti-turizma-po-rossiyskomu-zakonodatelstvu
6. http://www.wttc.org/eng/Tourism_Research/Tourism_Economic_Research/

INTERNET MARKETING – COMPANY AND CUSTOMERPERSPECTIVES

Natia Beridze, PhD student of
Batumi Shota Rustaveli State University;

Gela Mamuladze, Professor of
Batumi Shota Rustaveli State University

Summary

The foundation of the Internet has offered new advanced business transactions and models for the world economy. Internet marketing is born to adapt to this rapid development of online business. Especially, online advertising has been achieving many successes. According to IDC, the total worldwide spending on Internet advertising will reach USD 65.2 billion in 2008, which represents nearly 10% of all ads spending across all media. It is predicted that this number will be over USD 106 billion in 2011.Internet marketing is defined as the application of the Internet and related digital technologies in conjunction with traditional communications to achieve marketing objectives (Chaffey, D., Ellis-Chadwick, F., Johnston, K. and Mayer, R. 2006, 8). In reality, there are some alternative terms for Internet marketing such as e-marketing (electronic marketing) or digital marketing even though they have a broader scope since they include electronic customer relationship management systems (e-CRM systems) as well.

Keywords: Internet marketing; e-marketing; customer relationship management systems; multi-channel marketing; online sales;

How important is Internet marketing to the success of an organization? There are no exact answers for this question. It depends on the nature of one company business line. There are many companies currently using the Internet as their main business transaction such as DELL, AirAsia, et. However, companies such as UPM, the world's leading forest products producer only uses the Internet as a media to introduce the company and its products to customers via its website. Besides that, during the whole purchasing decision making process, customers not only use the Internet in isolation to search for products but other media such as print, TV, direct mail and outdoor as well. These media still play an extremely important role for the marketers to communicate with customers, for example, direct or face – to – face marketing more or less helps marketers build up the trust in customers and encourage them to purchase the products. Therefore, it is better to use the Internet as part of a multi-channel marketing strategy which "defines how different marketing channels should integrate and support each other in terms of their proposition development and communications based on their relativemerits for the customer and the company." (Chaffey et al. 2006, 5)

The 21st century is predicted to be a century of technologies when everyone, every company, every organization apply them to make their works become much easier and more effective. The popularity of using the Internet, together with the improvement of computer hardware and software industries, completely boost the development of e-marketing in the whole process of buying from pre-sale to sale to post-sale and further development of customer relationship. New comers in this area have to consider very carefully the use of these modern channels. Since, the role of Internet marketing is to support the multi-channel marketing which is the combination of digital and traditional channels at different points in the buying cycle (Chaffey et al. 2006, xiv - xv). They have to understand which the main marketing channel is and which the supportive marketing channel is. Below is some results drawn from different articles and researches which touch upon different parameters that make many companies pursue Internet marketing.

What are factors which drive many companies to apply the Internet marketing and how does the size of a company relate to these drives? Bengtsson, Boter, Vanyushyn (2007, 27) who conducted a survey with various Swedish companies of different sizes, give their readers a set of quite satisfactory answers to these questions. Depending on the number of employees, the authors categorized them into three different sizes: small, medium and large (turnover and profit should be taken into consideration). They figure out that different factors drive different size companies to adopt Internet marketing including willingness to cannibalize, entrepreneurial drivers, management support, and market pressure. Besides that, they also find out which of these factors drive what size of companies.

Nowadays, many companies have to take the pros and cons of Internet marketing channels and traditional marketing channels into consideration seriously to decide which channel is suitable and more effective for their companies. By comparing and contrasting between companies' motivations to choose between Internet channels and traditional channels, Jaeki Song and Zahedi F.M (2006, 222-238) in their study "Internet marketing strategies: Antecedents and implications", indicate that Internet marketing is another good choice for any companies. And what attracting customers is a reasonable price provided by companies. The results are only drawn from some successful websites. Failure websites, the reasons of failure, and many risks that consumers have to face when using Internet marketing for example Internet security, scammers etc. also need to be discussed.

When entering an Internet marketing zone, a company should recognize some important issues such as different target customers, another way to contact customers, Internet security, new competitors, etc. According to Chaffey et al.(2006, 20), to be successful in Internet marketing, a stra-

tegic approach is needed to manage the risks and deliver the opportunities available from online channels. Based on their experiences of strategy definition in a wide range of companies, they suggest a process for development and implement Internet marketing with different separated steps: Defining the online opportunity, selecting of the strategic approach and delivery result online. The authors also affirmed that the key strategic decisions for e-marketing are the same as strategic decisions for traditional marketing including selecting target customer groups, specifying how to deliver value to these groups. Segmentation, targeting, differentiation and positioning are all keys to effective digital marketing.

Online sales are not only saving a huge amount of money by reducing store operating costs but also decrease remarkably the fuel consumption needed for traditional sales that contribute a lot to the environment protection program. This was once discussed in details by Chen, Christine Y. and Greg Lindsay in their article "Will Amazon (.com) Save the Amazon?" (2000, 224-225). According to the authors, Internet marketing not only contribute to save space by promoting paperless office but provide easy shipping of products than tradition sales channels as well. When a company advocates for its customers, the customers will in turn advocate for the company. In other words, to be successful, a company has to apply any means to satisfy its customer's interests. By using variety of examples, he proved that many firms of different sizes and business fields were using many techniques to fulfill customer's needs and interests. However, factors such as costs, quality and diversification of commodities should be taken into consideration to have a precise picture of how to advocate customers in general. Chiu Yu Bin, Lin Chieh Peng and Tang Ling Land (2005, 416-435) in their work named "Gender differs: assessing a model of online purchase intentions in e-tail service" figured out how important the role of gender was in online retailing. They concluded that female consumers tended to give lower evaluation to theeffortlessness of online purchasing than male consumers. It means that if a company wants to retain and increase number of male customers, it should pay attention on user-friendliness seriously. According to Chiu et al. (2005, 416-435), the right products should be offered to male consumers whenever they order them and companies should respond to inquiries in a timely fashion. This will more or less strengthen the male customers' attitudes and intentions of purchasing. To increase a number of female customers, companies should provide them with a fashionable user guide, for instance, they can attract these target customers with the effectiveness of visual effects and wonderful background music.

In fact, customers also have their own opinions and attitude towards Internet marketing. There are some works which concern what would interest consumers to pursue e-marketing and be willing to use it as well as what would prevent them from using it.In an effort to understand New Zealand consumers more, Chung W. and Paynter J. (2002, 2402-2411), based on their work, drew a conclusion that it was a must for companies to have privacy policy statements under their website to protectconsumer privacy information, to make sure that their customers' information cannot be misused. Some solutions were also discussed in this study to protect customers' privacy. For the authors, solutions such as legislation, self regulationand technical solutions had be combined together to maximize its effectiveness.

The fact is that any consumer is influenced by different factors in his or her decision making process of purchasing products or services. According to George Joye F (2002, 165-180), many customers feel confident to make an order only when they have made a few purchases. They are afraid their privacy can be revealed and misused without their acknowledgment. If buyers do not trust the company which provides online sales services, they will never want to make any online buying decisions. In addition, e-marketing helps consumers to have more different means to search for products' designs, functions, features, specifications, prices etc. so they can compare and contrast products and services before giving their final decisions. Davidson Alistair and Copulsky Jonathan (2006, 14-22) found out that online customers would purchase via the Internet with web maven reviews influencing their mind set. Kim D.J, Kim W.J and Han J.S (2007, 591-603) with their study about online travel agency service came to conclude that the top priority factor which affected customers' decision making in purchasing was lowest price, security, ease of navigation of the website and fast loading time of the website.External factors such as third party recognition also are very important. A company and its website can gain customers' trust easily if a recognized third party certifies that the website is secured. In addition, guarantee terms also contribute to build trust in customers' minds. However, the study can bring more precise results if the participants come from different group ages.

According to Liebermann Yehoshua and Stashevsky Shmuel (2002, 291-300), the factors which can prevent customers from using and believing in e-commerce include: Internet credit card stealing, fear of supplying personal information, pornography and violence, vast Internet advertising, information reliability, lack of physical contact, not receiving Internet products purchased, missing the human factor when Internet purchases are made, Internet usage addiction. The participants for this study come from different genders, group ages, high/low education background, and different marital status. Other variables are also examined for example Internet user/non user, bought online/not bought online and heavy/light Internet user.The purchasing habits of male customers are partially different from female customers. This is also true in e-commerce. Male consumers prefer fast loading speed websites, secured websites (their privacy is better protected). Meanwhile, female customers have confidence to purchase via the Internet mostly because they listen to other females. This can be considered as a big difference between males and females in perceiving Internet marketing.

Based on our study, the Internet not only brings different image to all the elementsof the marketing mix but has brought a new way to approach potential customers in a very interesting, creative and cost effective way as well. Moreover, according to many articles by different researchers, it figures out many parameters that make companies and consumers pursue Internet marketing. The Internet absolutely has been offering new opportunities to adapt to the marketing mix. Instead of providing real products, companies use pictures of products with full descriptions to encourage the customers to be confident to make a purchasing decision. Besides that, companies not only are able to reduce product prices by passing by store space and staff costs but also provide customers with new methods of payment. In addition to this, using the Internet also creates a new method of distributing products. About the Promotion element of the marketing mix, it has been diversified in many aspects by Internet applications. Nowadays, there are more and more companies using Internet marketing as a new communication channel to attract customers. Companies of different size can be driven by different factors. Particularly, using Internet marketing contributes a lot to the environmental protection. Besides that, they have to study how to be successful when applying Internet marketing as well as analyzing the advantages and disadvantages of Internet marketing in order to decide what is their main marketing channel between traditional and Internet marketing channels. In fact, this digital marketing forces companies to pay more attention on how to protect their customer privacy and to build confidence in their customers so that they do not hesitate in making purchases. Moreover, companies must understand that like traditional marketing, understanding gender as a factor in purchasing behavior plays a very important role in the success of Internet marketing. To customers, their privacy is one of the most important issues that influence on whether they make online purchasing decisions or not. They are also interested in evaluating the Internet merchants based on competence through professional websites, security and integrity. During the whole decision making process of purchasing, the consumers are affected by a number of factors such as lowest price, security, ease of navigation of the website, fast loading time of the website,especially reviews from web mavens. Internet credit card stealing, fear of supplying personal information, pornography and violence, vast Internet advertising, information reliability, lack of physical contact, not receiving Internet products purchased, missing the human factor when Internet purchases are made,Internet usage addiction are serious problems that prevent consumers from purchasing online. In addition to that, a big difference between males and females in perceiving Internet marketing is another important parameter which needs to be understood precisely.

References:

1. Alistair, D. and Copulsky, J. Managing webmavens: relationships withsophisticated customers via the Internet can transform marketing and speedinnovation. Journal: Strategy and Leadership, Issn 10878572, Volume 34, Issue 3,Pages 14-22, Provider Catchword, Year 2006
2. Bengtsson, M., Boter, H. and Vanyushyn, V. 2007. Integrating the Internet andMarketing Operations. Journal: International Small Business Journal, Issn:02662426, Volume 25, Issue 1, Pages 27, Provider Proquest
3. Chaffey, D., Ellis-Chadwick, F., Johnston, K. and Mayer, R. 2006. Internet Marketing: Strategy, Implementation and Practice. Third edition, PearsonEducation Limited
4. Chen, C. Y. and Greg, L. 2000. Will Amazon(.com) Save the Amazon?, Journal:Fortune, Issn 00158259, Volume 141,Issue 6,Pages 224-225, Provider Ebsco
5. Chiu, Y. B., Lin, C. P. and Tang, L. L. 2005. Gender differs: assessing amodel of online purchase intentions in e-tail service. Issn 09564233, Volume16, Issue 5, Pages 416-435, Provider Proquest
6. Chung, W. and Paynter, J. 2002. An evaluation of Internet banking in NewZealand. Journal: System Sciences 2002. HICSS Proceedings of the 35thAnnual Hawaii International Conference, Pages 2402-2411, Provider IEEE61
7. Chung, W. and Paynter, J. 2002. Privacy issues on the Internet. Journal: System Sciences 2002. HICSS Proceedings of the 35th Annual HawaiiInternational Conference, Pages 2501-2509, Provider IEEE
8. George, J. F. Influences on the intent to make Internet purchases. Journal: InternetResearch, Issn 10662243, Volume 12, Issue 2, Pages 165-180, Provider: Proquest,Year 2002
9. Jaeki, S. and Zahedi, F.M. 2006. Internet market strategies: Antecedents andimplications. Journal: Information and Management. Issn 03787206, Volume43, Issue 2, Pages 222-238, Provider Elsevier
10. http://www.atlassolutions.com/pdf/RankReport.pdf
11. http://www.nielsen-netratings.com/pr/pr_070919.pdf

მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტები და პერსონალის ქოუჩინგი, როგორც მარკეტინგული კამპანიების ეფექტიანობის ძირითადი კომპონენტი

თორნიკე გურული,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მარკეტინგული კამპანიების ეფექტიანობა მკვეთრადაა დამოკიდებული საცალო ქსელებში მომხმარებელთან კომუნიკაციაზე. კომპანიები სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებენ იმისათვის, რომ ცალკეული გზავნილები ზუსტად იქნას მიტანილი მომხმარებლამდე. აღნიშნული პროცედურის სიზუსტისათვის მნიშვნელოვანია მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტები. სტატიაში მიმოხილულია ცაკლეული პარამეტრები და მათი წონები, თუ რა განაპირობებს მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტების წარმატებით დანერგვას ორგანიზაციებში. სტატიაში ავტორი გვთავაზობს პერსონალის ქოუჩინგს, როგორც ადამიანური რესურსების განვითარების ყველაზე ეფექტური ფორმას მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტების დანერგვისათვის.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებელთან კომუნიკაცია, პერსონალის ქოუჩინგი, მარკეტინგული ეფექტიანობა

Customer Relations Standards and Staff Coaching as a Main Component for Marketing Campaigns Effectiveness

Summary

The effectiveness of marketing campaigns is mostly depends on customer communication in retail. Companies organize some activities to deliver different messages to the customers. For this delivering are very important customer communication standards. The article reviews special parameters and their weights what influence successful implementation of customer relations standards in retail chains. The author in the article offers "Staff Coaching" as an effective form of human resources development for implementation customer communication standards.

Keywords: Customer Relation, Staff Coaching, Marketing Campaigns Effectiveness

საცალო ქსელებში მომხმრებელთან ურთიერთობის სტანდარტები და პერსონალის ქოუჩინგი, როგორც მარკეტინგული კამპანიების ეფექტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი უმნიშვნელოვანესი თემაა, რადგანაც დღემდე საქართველოში აღნიშნული თემატიკა არავის უკვლევია. როგორც ცნობილია, ქსელური კომპანიები ასეულობით ათასობით ლარს ხარჯავენ მარკეტინგული კამპანიების წარმოებისათვის. გაწეული დანახარჯი გარკვეულწილად უზრუნველყოფს მომხმარებელთა ნაკადების ზრდას სავაჭრო ობიექტებში. სავაჭრო ობიექტში მოსულ მომხარებელს პერსონალი ხვდება, რომელთა კომუნიკაციაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კამპანიების ეფექტიანობა.

მარკეტინგული კამპანიების ეფექტიანობა ბევრ პარამეტრზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ეფექტიანი მომსახურებაა. სავაჭრო ობიექტებში ადამიანებს რამდენიმე ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი აქვთ. ეს შეიძლება იყოს ცალკეული პროდუქტი თუ მომსახურება, რომელიც აუცილებელია მომხმარებლისათვის და მას ეს კომპანია მომხმარებლისათვის სასარგებლო პირობებით სთავაზობს. ეს შეიძლება იყოს კომპანიის იმიჯი და მომხმარებელი მხოლოდ იმიტომ დადიოდეს ამა თუ იმ ობიექტში, რომ შეიქმნას განსაკუთრებულობის განცდა. ამ შემთხვევაში ბრენდი ახდენდეს მასზე ზეგავლენას. ზოგადად, ადამიანის გადაწყვეტილებებზე, თუ სად შეიძინონ პროდუქტი როგორც რაციონალური, ასევე ემოციური პარამეტრები ახდენენ ზეგავლენას. რაციონალური პარამეტრი შეიძლება ბევრი იყოს: ფასი, ადგილმდებარეობა, სარგებელი, სანდრო პერსონალი. ემოციური პარამეტრიც ასევე შეიძლება ბევრი იყოს: კომფორტული გარემო, რომელიც მიტოვებს განცდას, რომ ეს ობიექტი ჩემზე ზრუნავს, განწყობა, რომელიც სუფევს სავაჭრო ობიექტში, პერსონალის კეთილგანწყობა და ა.შ.

იმისათვის, რომ მარკეტინგული კამპანიები ეფექტიანად იყოს მიტანილი მომხმარებელთან, მნიშვნელოვანია პერსონალის ჩართულობა მომხმარებელთან კომუნიკაციის დროს. მომხმარებელთან კომუნიკაციის დროს კამპანიის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას აუცილებელია ნდობის გამოწვევა.

ეფექტის მომცემი მომსახურება სწორედ მომხმარებლის კმაყოფილებაზე აწყობილი. კმაყოფილება კრებითი პარამეტრია, რომელიც რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. კმაყოფილება მოიცავს მომხმარებლის სურვილების, არჩევანის, წარმოდგენის რაციონალურ და ემოციური პარამეტრების ერთობლიობას. ადამიანები უდიდეს წილად იმ ადგილებში ყიდულობენ მათთვის საჭირო მომსახურებასა თუ პროდუქტს, რომელშიც კარგად გრძობენ თავს. ეფექტიანი მომსახურება სწორედ მომხმარებლის კარგად გრძნობაზეა აწყობილი. ე.წ. „კარგად გრძნობა" საქართველოში მოღვაწე საცალო ქსელებმა

დაასტანდარტეს და ცალკეულ პუნქტებად გაწერეს. თითქმის არ არსებობს საცალო მიმართულებით მოვაჭრე კომპანია, რომელსაც მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტები არ ჰქონდეს გაწერილი.

ყოველწლიურად კომპანია IPM ატარებს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევას, რომლის მიზანია მომხმარებლის კმაყოფილების მაფორმირებელი ატრიბუტების წონის განსაზღვრა სამომხმარებლო კმაყოფილების ფორმირებაში. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წონები წლების მიხედვით ცვალებადია.

ცხრილში მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული კომპონენტის წონა მომხმარებლის კმაყოფილების ფორმირებაში.

კომპონენტი	წონა
თანამშრომლის მობილიზებულობა და კომპეტენცია	15
პროფესიული უნარები	11
დამშვიდობების პროცედურა	10
კეთილგანწყობა – თავაზიანობა	7
კომუნიკაციის უნარ–ჩვევები	7
შეფერხების მოგვარება	10
დახვედრა ობიექტში ვიზიტისას	5
თვითკონტროლი და კონფლიქტური სიტუაციების მართვა	8
გადამისამართება	7
პერსონალის ვიზუალური იერსახე	6
დამატებითი პროდუქტის შეთავაზება	5
ერგონომიული გარემო	3
თანამშრომლის სამუშაო გარემო	4
ექსტერიერის შეფასება	2

ცალკეული ორგანიზაციები ინტენსიურად მუშაობენ მომსახურების ოპტიმიზაციაზე თავიანთ ორგანიზაციებში, ითვალისწინებენ რა ზემოთმოცემულ მომსახურების კრიტერიუმებს. კომპანიებს აქვთ დანერგვისა და შემოწმების სხვადასხვა მეთოდები. საქართველოში მომსახურების დანერგვის ძირითად ინსტრუმენტად მომსახურების სტანდარტების მიხედვით პერსონალის დატრენინგებას მიიჩნევენ. შემოწმებას კი იდუმალი მყიდველის ინსტრუმენტით ახორციელებენ. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება მენეჯერთა თქმით მხოლოდ მოკლევადიანია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ახალი მეთოდების შეტანა პერსონალისათვის უკეთესი მომსახურების მიზნით. პერსონალის განვითარების ერთ-ერთ მეთოდს ქოუჩინგი წარმოადგენს.

ქოუჩინგი დღეისათვის სხვადასხვა კონტექსტში და სრულიად სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით გამოიყენება. საწყისი მნიშვნელობით ქოუჩი (coach) ნიშნავს ეტლს, ეკიპაჟს. სიტყვის საწყისი მნიშვნელობა სიმბოლურად კარგად გადმოგვცემს ქოუჩინგის არსს: ეტლი დამხმარე საშუალებაა ერთი ადგილიდან მეორემდე გადაადგილებისათვის და მიზნის მისაღწევად. აშშ-ში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ქოუჩინგი აღნიშნავდა პერსონალზე და განვითარებაზე ორიენტირებული მართვის სტილს, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლები პიროვნულად ვითარდებიან და შრომის უნარს იუმჯობესებენ. 80-იანი წლების შუა პერიოდიდან, ქოუჩინგის ცნებამ ხელმძღვანელთა ორგანიზაციის გარეთა კონსულტირების მნიშვნელობა შეიძინა. თავიდან ქოუჩინგი უკავშირდებოდა მხოლოდ უმაღლესი დონის ხელმძღვანელების კონსულტირებას. დღესდღეობით კი ბევრ კომპანიაში ქოუჩინგი პერსონალის განვითარების ღონისძიებების შემადგენელი ორგანული ნაწილია. თუ ქოუჩინგი თავიდან ცალკეული ხელმძღვანელების სოციალური კომპეტენციების განვითარებას ეხებოდა, ბოლო ათწლეულში მისი გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა - სტრუქტურული და სტრატეგიული ცვლილებების ფარგლებში ქოუჩინგი დღეს ბევრ კომპანიაში ჩამოყალიბდა, როგორც საკვანძო პირებისა და ხელმძღვანელთა გუნდის სისტემატური განვითარების გეგმა.

მნიშვნელოვანია, რომ ქოუჩინგით უფრო ადვილად ხდება პერსონალისათვის მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტების მიტანა, ვიდრე ტრენინგით. ტრენინგის მეშვეობით რთულია კლასში სწავლებისას პერსონალის ქცევის შეცვლა, როცა ქოუჩინგი ამის საშუალებას იძლევა.

არის რამდენიმე ფაქტორი თუ რატომ შეიძლება იყოს მარკეტინგული აქტივობების მიტანა პრობლემატური მომხმარებლებისათვის. მათი აღმოფხვრა ტრენინგის საშუალებით გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ქოუჩინგით. ესენია:

- პერსონალის სიზარმაცე და არაკმარისი სოციალური კომპეტენციები - ამის ზოგად მიზეზი შეიძლება იყო მომსახურე პერსონალის მხრიდან მომხმარებლის უპატივცემულობა: არ ჩქარობს, უყურადღებოა როგორც მოთხოვნის დაზუსტების, ასევე ამ მოთხოვნის შესრულების პროცესში და ა.შ.
- კონკრეტული ქცევის განხორციელებისათვის საჭირო პროცესის გამართულობის დაბალი დონე
- პერსონალის არასაკმარისი კომპეტენცია

მარკეტინგული აქტივობები შესაძლებელია დავიყვანოთ საათის ტიპის მექანიზმზე, რომელიც 12 ძირითადი პარამეტრისაგან შედგება. სერვისის საათი შემდეგნაირად გამოიყურება:



პირველ ადგილას კომპეტენცია დგას. თუ მომხმარებელმა სავაჭრო ობიექტში შესაბამისი პროდუქტის შესახებ ინფორმაცია ვერ მიიღო, მაშინ რთულია

მარკეტინგული აქტივობის ეფექტიანობის შესახებ საუბარი. შეუძლებელია საუბარი მომხმარებელთან კომუნიკაციის ხარისხზე, თუ პერსონალმა არ იცის პროდუქტი, რომელსაც ყიდის. მეორე ადგილას არის მომსახურების სისწრაფე. მომხმარებელს არ მოსწონს, როდესაც ის ბევრ დროს კარგავს რიგებში, ან აქვს რაღაც პრობლემა, რომლის მოგვარებასაც ის სავაჭრო ობიექტისაგან ელის. მესამე ადგილას პერსონალური მომსახურებაა. ყველა ადამიანისათვის მნიშვნელოვანია ორი პარამეტრი: აღიარება და ზრუნვა. პერსონალური მომსახურება აღიარების ერთ-ერთი გამოხატულებაა. შემდეგ პარამეტრი სანდროობაა. ინიციატივა ის პარამეტრია, რომელსაც მეხუთე ადგილასაა სერვისის საათზე. კარგი სერვისის შემჩნევა მაშინაც შეიძლება, როცა მომხმარებელს ინიციატივიანი პერსონალი ემსახურება. ეს ინიციატივა განაპირობებს მომხმარებლის მარკეტინგული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხს. შეუძლებელია ყველა მომხმარებელი სხვადასხვა მედიებით გავხადოთ ინფორმირებული. ამიტომ მნიშვნელოვანია, თანამშრომელთა ინიციატივა იყოს ერთ-ერთი ინსტრუმენტი ცალკეული მარკეტინგული აქტივობების მომხმარებლისთვის მისატანად. მომხმარებელი დეტალებს აკვირდება. ვოლმარტის დამფუძნებელი სემ ვალტონი ამბობს, რომ რითეილი ესაა დეტალებზე ორიენტირებულობა. მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი დეტალებზეა ორიენტირებული და ამიტომ მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას კომუნიკაციის დაგეგმვის დროს, თუ რა სიხშირითა და რა ფორმით იქნება მიწოდებული დეტალების შესახებ ინფორმაცია მომხმარებლისათვის. მეშვიდე პარამეტრად პატიოსნებაა მითითებული. მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია, რომ თუ რაღაც შეცდომა იქნა სავაჭრო ობიექტის მხრიდან დაშვებული, ეს შეცდომა აღიარებული იქნას. მთავარი ის კი არაა, რომ შეცდომა დაუშვეს, მთავარია, თუ როგორი კომუნიკაცია განხორციელდა შეცდომის დაშვების შემდეგ, რათა ეს საკითხი გადაჭრილიყო. მხოლოდ მერვე პარამეტრად სახელდება თავაზიანობა. მოთმინება შემდეგი პარამეტრია, რომელიც სერვისის საათზე მოხვდა. რაც არ უნდა პრობლემის წინაშე იყოს მომხარებელი, მნიშვნელოვანია, მოთმინებით შეხვდეს მას პერსონალი. საცალო ვაჭრობაში არ არსებობს არაადეკვატური შეკითხვები, არსებობს მხოლოდ არაადეკვატური პასუხები. საცალო ქსელებში მომხმარებელთან კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვანია ანონიმურობა. ეს ანონიმურობა ქმნის მომხმარებლის კომფორტის ზონაში ყოფნის აუცილებლობას. არსებობენ სფეროები, რომელშიც ანონიმურობა უფრო მეტად მნიშვნელოვანია. ესაა უპირველეს ყოვლისა მედიცინა. მეთერთმეტე პარამეტრი მოქნილობაა. თუ მომხმარებელს პატარა დეტალის მოგვარება უნდა, რომელიც დიდ ბიუროკრატიულ ჩარევას მოითხოვს, ეს მას ნებისმიერ მარკეტინგულ აქტივობის ეფექტიანობას დაავიწყებს. ხშირია შემთხვევები, როცა ზედმეტი ბიუროკრატიის გამო ცალკეულ საცალო ქსელებს არამოუქნელი მენეჯმენტი ჰყავს და რაც შემდგომში მისი გაყიდვების კლებას და ბაზრის წილის შემცირებას იწვევს. ბოლო პარამეტრი დახმარების სურვილია. ესაა მომხმარებლის მოლოდინების გადაჭარბება. ყოველთვის, როცა მომხარებელს ნაკლები მოლოდინი აქვს და მისი მოლოდინი გადაჭარბებული იქნება, მისცემს საშუალებას მას, უფრო მეტი პოზიტიური მოყვეს ორგანიზაციაზე და გაიზარდოს მიჯაჭვულობის ხარისხი, რაც მომდევნო მარკეტინგული აქტივობის წარმატების გარანტიაა.

დასკვნა

სტატიაში განხილული თემებიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგ დასკვნები:

1. მარკეტინგული აქტივობის ეფექტურობის განსასაზღვრად, უმნიშვნელოვანესია მომხმარებელთან კომუნიკაციის სტანდარტებში ჩასმული იქნას მარკეტინგული აქტივობის კომუნიკაცია მომხმარებელთან.
2. მომხმარებელთან კომუნიკაციის სტანდარტები აგებული იქნას სხვადასხვა პარამეტრების წონებზე დაყრდნობით, რომლებიც საზოგადოების განვითარების დონეზე არის მიბმული.
3. მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტების დანერგვის დროს გათვალისწინებულ იქნას სერვისის საათის პარამეტრები.
4. შესაძლებელია, მომხმარებელი მხოლოდ იმიტომ არ მივიდეს სავაჭრო ობიექტზე, რომ ბრენდის რაციონალურმა თუ ემოციურმა დაპირებამ ნაკლებად იმოქმედოს მასზე. ასეთ შემთხვევაში მარკეტინგული კამპანიის ეფექტიანობა და სერვისის უზრუნველყოფა ერთმანეთთან კორელაციაში არ არიან.
5. მნიშვნელოვანია მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტების მიტანა პერსონალამდე. პერსონალამდე მიტანის ერთ-ერთ ეფექტიან ფორმად შეიძლება იქნას მიჩნეული ქოუჩინგი. ქოუჩინგის მეშვეობით პერსონალი ყველაზე უფრო მიზანმიმართულად და ეფექტურად ვითარდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brandt/Schneider: Handbuch Kundenbindung, Berlin, 2001
2. Bruhn, M: Kundenorientirung. Muenchen, 1999
3. Haeske, U: Beschwerden und Reklamationen managen. Weinheim, 2001
4. Satir V, Selbstwert und Kommunikation. Stuttgart 2002
5. Strauss, Neuhaus: Das Unzufriedenheitspotenzial unzufriedener Kunden. Marktforung und Management, 40 Jg, Nr. 4. Stuttgart 1996
6. sonari, servisis Tvisobrivi kvleva, 2016
7. IPM, servisis raodenobrivi kvleva, 2015
8. biznesi: adamianebi, meTodebi, strategiebi № 3, - [redaqtori: amiran babunaSvili], - ISSN 1512-4487,- maisi, 2007

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების პარადიგმის განვითარების წინაპირობა

ნინო დგვეფაძე,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ტრადიციული მარკეტინგული პარადიგმის სახეცვლილების შესწავლა და IMC-ის კონცეფციის ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად არის მიჩნეული მარკეტინგის სფეროში მოღვაწე მკვლევარებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. IMC-ს კონცეფციის სახეცვლილება და მისი მუდმივი განვითარება განპირობებულია მუდმივი ტექნოლოგიური ინოვაციებით, ახალი საკომუნიკაციო არხების დაბადებით და მედია არხების ფრაგმენტაციით. დიჯიტალიზაცია და ინფორმაციული კავშირები გარდაქმნიან უშუალოდ კომუნიკაციის არსს, რომელიც აკავშირებს მომხმარებელს და ბრენდებს. მედიის დიჯიტალიზაცია წარმოადგენს კომუნიკაციების ისტორიის ცვლილების ფაზას (1) და სწორედ ეს ტრანსფორმაციის ფაზა ხდის IMC-ს საინტერესოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მარკეტინგის სფეროში მოღვაწე მკვლევარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები, მედია ფრაგმენტაცია, დიჯიტალიზაცია, ტექნოლოგიური ინოვაციები, მარკეტინგის ევოლუცია.

The Background of Integrated Marketing Communication Paradigm Development

Nino Dgvepadze, Phd of Gtu

Summary

Traditional Marketing paradigm shift research, IMC concept development and its transformation are among one of the main themes for the Marketing sphere researched from over the world. IMC concept development and its' constant change is due to the breakthrough techinological innovation, new communication channel development and its fragmentation. Digitalization and informational links transform the nature of communication itself that connect consumers and brands. Media digitalization is the transformation phase in communication history (1) and this transformation phase makes IMC interesting for the Marketing researchers from all over the world.

Keywords: Integrated Marketing Communications, media fragmentation, digitalization, tecnological innovations, marketing evolution.

ტრადიციული მარკეტინგული თეორიების სახეცვლილების საჭიროებაზე ფიქრი და მსჯელობა მკვლევარებმა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს. საკომუნიკაციო მიქსის ინტეგრაციის აუცილებლობა სწორედ თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიების ზემოქმედებამ განაპირობა და, შესაბამისად, "ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები" (შემდგომში: IMC) ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და განხილვადი საკითხი გახდა მარკეტინგის სფეროში. მისი პირველი კონცეპტუალიზაცია კი მე-20-ე საუკუნის 80-იან წლების დასაწყისიდან დაიწყო.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამძაფრებულმა კონკურენციამ, სადისტრიბუციო არხების კონსოლიდირებამ და ტექნოლოგიურმა წინსვლამ ლოჯისტიკის, ტრანსპორტირების და კომუნიკაციის მხრივ, გამოიწვია ადგილობრივი ბიზნესების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა და გლობალიზაცია. სწორედ ამ პერიოდში, ინფორმაციული ტექნოლოგიებით მიღებული ძალაუფლება ნელ-ნელა მწარმოებლებიდან/მარკეტერებიდან რითეილერებზე, ხოლო რითეილერებიდან მომხმარებელზე გადავიდა (2). მედიის მულტიპლიკაციის, მისი დემასიფიკაციის და თანამედროვე საზოგადოებაში ინტერნეტის ღირებულების ზრდამ კი, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო ტექნოლოგიური ინოვაციებით (3,4,5) დააჩქარა მარკეტერების მიერ მარკეტინგული კომუნიკაციების ახალი კონცეფციების ძიება. ტექნოლოგიური ევოლუციის ფონზე მასობრივი რეკლამის დაუძლურებამ და მისდამი ნდობის დაკარგვამ, სამიზნე აუდიტორიის ფრაგმენტაციამ, მულტიკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებამ, მარკეტერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უფრო მეტად ხარჯეფექტურობის აუცილებლობამ, მომხმარებლის ერთგულების ჩამოყალიბების საჭიროებამ და ურთიერთობათა მარკეტინგული მიდგომის ჩამოყალიბებამ დღის წესრიგში დააყენა კომუნიკაციების ინტეგრირების საჭიროება. ბრენდების დიფერენციაციის დაბალმა დონემ კი გაამყარა რწმენა, რომ ბრენდების კონკურენტული უპირატესობა საკომუნიკაციო არხების ეფექტური გამოყენების და მათი ინტეგრაქციის გზით მომხდარიყო. ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში მკვლევარები შულცი, ტენენბაუმი და ლაუთერბუნი აცხადებენ, რომ "ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციებისადმი მზარდი ინტერესი გახდა 90-იანი წლების და 21-ე საუკუნის მარკეტინგის ერთადერთი მდგრადი კონკურენტული უპი-

რატესობა ორგანიზაციებისათვის" (6).

ამ გარემოში დაიბადა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების კონცეფცია, რომლის წარმოშობაც თავიდანვე აიტაცეს მკვლევარებმა და აღიარეს, რომ IMC-ს აქვს პოტენციალი, რომ მოახდინოს მარკეტინგული კომუნიკაციების ფუნდამენტური ცვლილება და უფრო მეტიც, ის შესაძლებელია გახდეს მარკეტინგის ევოლუციის შემდგომი ნაბიჯი (7, 8, 9). ამ სფეროში მოღვაწე თანამედროვე მკვლევარების აზრით "არ არსებობს ეჭვი იმისა, რომ IMC გახდა მარკეტინგული მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თანამედროვე კონცეფცია" (10).

კომუნიკაციის ხმაური, რომელსაც რეკლამის ზეწოლა იწვევს მივყავართ მომხმარებლის გაღიზიანებამდე და მათი მხრიდან რეკლამისადმი თავისარიდების ქცევისკენ, რაც ქმნის გარემოებას, როდესაც რეკლამის როლი ტრადიციულ, არადიფერენცირებულ და არაპერსონალიზებულ მედიაში სულ უფრო და უფრო სუსტდება მომხმარებლის ყურადღების მოპოვების მხრივ. ტრადიციული მასმედიის კომუნიკაციები, რომლებსაც შეუძლიათ ცნობადობის და შეხედულებების ცვლილების სტიმულირება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ახერხებენ მოთხოვნის სტიმულირებას და მასზე პირდაპირ ზემოქმედებას. მომხმარებლის ქცევაზე პირდაპირი ზემოქმედების მოხდენის საშუალების მქონე მარკეტინგული სტრატეგიების საჭიროებამ კიდევ უფრო გააუფერულა მასობრივი რეკლამის როლი. მომხმარებლამდე კომუნიკაციის ეფექტურად მიღწევის მიზნით სულ უფრო და უფრო მეტი არხის და მედიის გამოყენება უწევს მარკეტერს და, შესაბამისად, ამ არხების ინტეგრაციის მოდელის დახვეწა და განვითარება სულ უფროდაუფრო აქტუალური ხდება. ხარჯეფექტურობაზე და შედეგების გაზომვაზე ორიენტირებულობამ, მარკეტინგული საკომუნიკაციო მიქსის ისეთ არხებზე გააკეთა აქცენტირება, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მომხმარებლის ქცევაზე და რისი შეფასებაც ზუსტად არის შესაძლებელი. სწორედ ესეთ არხებს წარმოადგენენ პირდაპირი მარკეტინგი და ინტერაქტიული მარკეტინგი.

ფილიპ კოტლერის და ქევილ ლეინ ქელერის მიხედვით თანამედროვე ბიზნეს სამყაროში კომპანიები პროდუქტებსა და სერვისებს სხვადასხვა პირდაპირი და არაპირდაპირი არხებით ყიდიან. მასობრივი რეკლამის ძალაუფლების დაკარგვის პარალელურად მარკეტერებს უწევთ კომუნიკაციის ახალი არხების აღმოჩენა, როგორიცაა მაგ. გამოცდილებითი, გართობითი (ე.წ. entertainment) და ვირუსული მარკეტინგი. თანამედროვე ბიზნეს სამყაროში სწორედ მომხმარებელი არის იმის განმსაზღვრელი თუ რა ტიპის პროდუქტი ან სერვისი უნდა კომპანიისგან და სად და რა ფორმით სურს მას მისი შეძენა (11).

კომუნიკაციის ახალმა ტექნოლოგიებმა, რომელიც გამყარებულია სოციალური მედიით შეცვალეს, როგორც ინფორმაციის მიმოცვლის სიჩქარე, ისე ადამიანთა შორის დიალოგის ბუნება, მათი ინტერაქცია ბიზნესთან, კორპორაციებთან და მთავრობასთან (12). თანამედროვე მომხმარებელი იყენებს ელ. ფოსტას, პოდკასტებს, ბლოგებს, მობლოგებს, ვლოგებს, სოციალურ ქსელებს და სხვა ტიპის დიჯიტალურ მედია არხებს, რაც საშუალებას აძლევს მას პირდაპირი კომუნიკაცია მოახდინოს კომპანიასთან და ჩაერთოს მასთან დიალოგში. "ინტერნეტის შინაარსი ვირტუალურად არაკონტროლირებადია. ნებისმიერს შეუძლია თქვას ან აჩვენოს რაღაც "კარიბჭის მცველის", გამომცემელთა და პროდიუსერთა გარეშე, რომლებიც ამა თუ იმ მასალის ტრადიციული მედია არხებით პუბლიკაციისთის მიწოდების ნებართვას იძლეოდნენ" ამტკიცებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ცნობილი მკვლევარები დენის ლ. უილკოქსი და გლენტ ტ. კამერონი (13). შესაბამისად, თანამედროვე სამყაროს მიერ შემოთავზებული მუდმივი ცვლილებები იწვევს არა მარტო IMC-ი კონცეფციის მუდმივ დახვეწა-განვითარებას, არამედ მასში შემავალი დისციპლინების სახეცვლილებას (მაგ. საზოგადოებასთან ურთიერთობა და რეკლამა) და ახალი დისციპლინების დამატებას.

IMC-ს ერთ-ერთი ყველაზე ციტირებული ადრინდელი განმარტების თანახმად "IMC წარმოადგენს მესიჯის სტრატეგიულ კონტროლს და მასზე გავლენას, რომელიც ახალისებს მიზნობრივ დიალოგს და აყალიბებს მომხმარებელსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის მომგებიან ურთიერთობებს" (14). აღნიშნულ განმარტებაში მკვლევარი ხაზს უსვამს IMC-სადმი სტრატეგიულ მიდგომას. მკვლევარები და პრაქტიკოსები უკვე რამოდენიმე ათწლეულია განიხილავენ და იკვლევენ IMC-ს ტრანსფორმაციას თანამედროვე ბიზნეს გარემოში მომხდარი ცვლილებების პარალელურად, თუმცა "IMC-ის პარადიგმა კვლავ ბუნდოვანია მის განმარტებასა და გამოყენების შეზღუდვებთან მიმართებაში" (15).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Frank Mulhern, (2009) "Integrated Marketing Communications: from Media Channels to Digital Connectivity", Journal of Marketing Communications, Vol. 15, Nos. 2-3, April – July, 85 – 101.
2. Schultz Don. E., and Schultz Heidi F. (1998), Transitioning Marketing Communication into Twenty-first Century. Journal of Marketing Communications Vo. 4 pp. 8-26.
3. Pillota, .J., Schultz, D.E., Drenik, G., and Rist, P. (2004) Simultenious media usage: a critical consumer orientation to media planning. Journal of Consumer Behaviour, 3 (3), 285-292.
4. Peltier, J.W., Schibrowsky, J.A., and Schultz, D.E. (2003) Interactive integrated marketing communication: combining the power of IMC, the new media and database marketing. International Journal of Advertising, 22 (1), 93-115.
5. Fill, C. (2001) Essentially a matter of consistency: integrated marketing communications. The Marketing Re-

viw, 1 (4), 409-425.

6. Schultz, D.E., Tennenbaum, S.I. and Lauterborn, R.F. (1992), Integrated Marketing Communications: Putting it Together and Making it Work. Lincolwood IL.: NTC Business Books.

7. Phelps, J.E., and Jonson, E. (1996) Entering the quagmire: examining the "meaning" of integrated marketing communications. Journal of Marketing Communications, 2 (3), 159 – 172.

8. Kliachko J. (2005) Towards a new definition of integrated marketing communications (IMC). International Journal of Advertising, 24 (1), 7-33.

9. Lee, T.J. (2002) Integration, Say Hello to Integrity. Strategic Communication Management, 6 (5), 11.

10. "The Evolution of Integrated Marketing Communications, the Customer-driven Marketplace" edited by Don. E. Schultz, Charles H. Patti and Philip J. Kitchen, 2011. Taylor and Francis, USA and Canada

11. Philip Kotler, Kevin Lane Keller (2012), "Marketing Management", 14th edition. Pearson Education, pp. XVII (A), pp. 478 (B), 479 (C), 480-481 (D), 17-24 (E), 21 (F), 21-22 (G)

12. Hayes Darrell C., Hendrix Jerry A., and Kumar Pallavi D (2013) "Public Relations Cases", 9th edition. Wadsworth, USA, pp. 92.

13. დენისლ. უილკოქსი, გლენტტ. კამერონი (2009), "საზოგადოებასთან ურთიერთობა - სტრატეგია და ტაქტიკა" (ქართული თარგმანი), დიოგენე, 2011, გვ. 344 (ა), გვ. 174 (ბ), გვ. 185 (გ).

14. Duncan, Thomas, Caywood, Clarke, "The concept, process and evolution of Integrated Marketing Communications" in Thorson, E., Moore, J., "Integrated Communication Synergy of Persuasive Voices", Lawrence Erlbaum Associates, Mahwah, NS, 1996, pp. 13-34.

15. LucijaPorcu, Salvador del Bario-Garcia and Philip J. Kitchen (2012). How Integrated Marketing communications (IMC) Works? A theoretical review and an analyses of its main drivers and effects. Communication Y Sociedad, Vol. XXV. No 1 – 313-348.

მარკეტინგის ევოლუცია: მარკეტინგ 1.0-დან მარკეტინგ 3.0-მდე

ნინო მამულაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Эволюция маркетинга: От маркетинга 1.0 до маркетинга 3.0

Резюме

Маркетинг прошёл долгий путь эволюции. Сначала был маркетинг 1.0, где главное место было отведено продукту. Компании производили то, что они хотели. Нужды потребителя не были предусмотрены.

Потом был маркетинг 2.0. Компании начали изучать нужды и потребности потребителя. Это период, где важную роль играет потребитель. Все компании стремятся ориентироваться на потребителя и производят тот продукт, в котором он нуждается. В развитых странах большие компании до сих пор успешно используют маркетинг 2.0.

В настоящее время мы являемся свидетелями развития маркетинга 3.0. Он рассматривает людей не только как потребителей, а как полноценных человеческих сушеств со своими стремлениями, нуждами и потребностями. Он ориентируется на разум, сердце и душу человека. Он стремится разрешить глобальные проблемы всего человечества.

Парадокс глобализации и технология новой волны (дешёвые компьютеры, мобильные телефоны, недорогой интернет и программное обеспечение) является главной причиной развития маркетинга 3.0.

Ключевые слова: маркетинг; эволюция; маркетинг 1.0; маркетинг 2.0; маркетинг 3.0; потребители; потребности; нужды; продукт; технология новой волны.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი; ევოლუცია; მარკეტინგი 1.0; მარკეტინგი 2.0; მარკეტინგი 3.0; მომხმარებლები; მოთხოვნილებები;საჭიროებები; საქონელი; ახალი ტალღის ტექნოლოგიები.

მარკეტინგული საქმიანობა გულისხმობს მთელი სამეურნეო საქმიანობის ორიენტაციას მომხმარებელზე, მისი ინტერესების, გემოვნების და სურვილების მაქსიმალურად გათვალისწინებას. ტერმინი — მარკეტინგი წარმოიშვა ინგლისური სიტყვიდან ,,მარკეტ", რაც ბაზარს ნიშნავს. მარკეტინგი, როგორც წარმოებისა და რეალიზაციის მართვის სისტემა, ერთი მხრივ, გულისხმობსბაზრის საგულდაგულო და ყოველმხრივ შესწავლას, მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და გემოვნების ცოდნას, წარმოების ორგანიზაციას და ამ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფიელბას. მეორე მხრივ, მარკეტინგი — ესაა აქტიური ზემოქმედება ბაზარზე და არსებულ მოთხოვნილებებზე, ამ მოთხოვნილებათა ფორმირების პროცესზე.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო შეიცვალა ტექნოლოგიების ევოლუციის წყალობით. შეიცვალა თვით მარკეტინგიც.მარკეტინგმა ევოლუციის პროცესში განვლო რამდენიმე ეტაპი. თავდაპირველად არსებობდა მარკეტინგი 1.0, შემდგომ გაჩნდა მარკეტინგი 2.0 და ახლა ჩვენ ვართ მარკეტინგი 3.0-ის განვითარების მომსწრეები.

დიდი ხნის განმავლობაში მარკეტინგი თითქოს არც არსებობდა. ხალხმა არ იცოდა მისი არსებობის შესახებ. ამ მეცნიერებასთან ხალხს არ ჰქონდა შეხება. ადამიანები მთლიანად იყვნენ დამოკიდებულნი ბუნებაზე. ეს იყო საკმაოდ რთული პერიოდი და თანამედროვე ადამიანისათვის ის შესაძლოა ყოფილიყო ჯოჯოხეთი დედამიწაზე.

დროთა განმავლობაში სიტუაცია შეიცვალა, რადგან ადამიანები მოწყდნენ ბუნებას, ადამიანები, ობიექტებიდან, რომლითაც მანიპულირებდა ბუნება, გადაიქცნენ სუბიექტებად, რომლებიც თავად წყვეტდნენ საკუთარ ბედს. ადამიანებში გაჩნდა იდეები და დაიწყო მათი განვითარება. ამ იდეების განვითარებამ გამოიწვია ეკონომიკის, საქონლის, ბაზრის გამოჩენა, რამაც შესაბამისად გამოიწვია მარკეტინგის ჩამოყალიბება, როგორც ბაზარზე სამოქმედო ინსტრუმენტისა. მართალია, ის ტექნოლოგიები, რომლებიც იმდროისათვის გამოიყენებოდა ბაზარზე მოქმედებისათვის ჯერ კიდევ არ იწოდებოდნენ მარკეტინგად, თუმცა ეს უკვე მეტნაკლებად იყო მარკეტინგი 1.0 და სწორედ მაშინ მოხდა იმ მარკეტინგის დაბადება, რომელსაც დღესდღეობით ჩვენ ვუწოდებთ მარკეტინგს. ეს იყო მარკეტინგის ყველაზე ადრეული და პრიმიტიული ფორმა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროისათვის არსებულ პრობლემებს შესანიშნავად უმკლავდებოდა, ფირმებმა, რომელთაც აითვისეს მარკეტინგი დღესდღეობით არიან ლიდერები.

მარკეტინგი 1.0-ის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არსებულიყო საჭირო საქონელი და ეპოვათ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჭირდებოდათ ეს საქონელი.მარკეტინგი 1.0, ესარის იმ ადამიანების ძიების ინსტრუმენტი, რომელთაც არ აქვთ საქონელი. ამ პერიოდისათვის მოთხოვნილებების ჩამოყალიბება ხდებოდა საკმაოდ სწრაფად, პრობლემა არც არსებობდა, თუმცა პრობლემას წარმოადგენდა საქონლის მიღება, რადგანაც ამ პერიოდისათვის ტექნოლოგიები არ იყო საკმარისად განვითარებული. ლიდერი იყო ის ვისაც ჰქონდა საქონელი. მარკეტინგი 1.0-ის ტექნოლოგიების საშუალებით გამოვლინდა ადგილები, სადაც არის საჭირო საქონელი და ასევე მოხდა ამ საქონელზე ფასების დადგენა. აქ ხდებოდა საქონლის შეძენა და გასაღების ბაზარზე

მიწოდება. თანამედროვე ადამიანების თვალით თუ შევხედავთ ამას, ყველაფერი თითქოს მარტივადაა. დღეს ეს ბუნებრივად გამოიყურება, თუმცა იმ პერიოდის ადამიანებისათვის ეს ნამდვილი სასწაული და აღმოჩენა იყო. ზოგიერთებს თავში აზრადაც კი არ მოსდიოდა ის, რომ ამის გაკეთება შეიძლებოდა. სწორედ ამ მიზეზის გამო მარკეტინგ 1.0 აძლევდა ძალიან დიდ ეფექტს მათ ვინც მოირგო იგი და შესაბამისად მათ მიიღეს მაღალი მოგებაც.

კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენებოდა იმ პერიოდისათვის იყო — მოსახლეობის ინფორმირება საქონლის გაყიდვაში არსებობის შესახებ. ეს ფაქტი უკვე საკმარისი იყო იმისთვის, რომ მომხდარიყო მომხმარებლების დაინტერესება. მარკეტინგი 1.0-თვის ეს ფაქტიურად წარმოადგენდა რეკლამას. საკმარისი იყო მხოლოდ იმის გამოცხადება, რომ საქონელი გაყიდვაშია და იგი ახდენდა მომხმარებლების ნაკადის მოზიდვას, თუმცა ეს საქონელი სხვა ადგილას ფაქტიურად მაინცარ არსებობდა. რეკლამის ეს სახეობა დღესაც გამოიყენება. მაგალითად, უბრალო განცხადება გაზეთში ან ვებ-გვერდზე რამოდენიმე სიტყვით, რომ იყიდება საქონელი და სწორედ ეს არის მარკეტინგი 1.0-ის რეკლამა. თუმცაღა, დღესდღეობით იგი არც ისე ეფექტურია, რადგან უკვე ათასობით მსგავსი ტიპის განცხადებაა. როდესაც განცხადება იყო ერთი, ყველა მიდიოდა ერთ გამყიდველთან, მაგრამ როცა ბევრია, მომხმარებელს უწევს არჩევანის გაკეთება თუ ვისთან იყიდოს საქონელი. ეს მეთოდი დღეისათვის ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხევავში, თუ მომხმარებელს შევთავაზებთ განსაკუთრებულ საქონელს, ისეთს, რომლის შეთავაზებასაც სხვები ვერ შეძლებდნენ.

განვითარებულ ქვეყნებში მარკეტინგის ეს სახეობა დიდი ხანია უკვე აღარ გამოიყენება, რადგან ის რისი გაკეთებაც შეიძლებოდა მისი საშუალებით ყველაფერი გაკეთებულია. განვითარებულ კვეყნებში მარკეტინგ 1.0-მა თავისი პოზიციები დაუთმო შედარებით უფრო ახალ ვერსიას, მარკეტინგ 2.0-ს. განვითარებულ ქვეყნებში მარკეტინგის მეტნაკლებად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მარკეტინგი 2.0. ბევრისათვის ის მხოლოდ მარკეტინგია, ყოველგვარი ვერსიის გარეშე და ფირმები, რომლებიც იყენებენ მარკეტინგ 2.0-ს, წარმოდგენაც კი არ აქვთ იმის შესახებ, რომ იგი არის სწორე ეს ვერსია. Eეს განპირობებულია იმით, რომ მარკეტინგ 2.0-ის მარკეტოლოგები საკმაოდ ახალგაზრდები არიან და არ მოსწრებიათ ის დრო, როდესაც ხდებოდა მარკეტინგის წარმოშობა. განვითარებულ ქვეყნებში ადამიანები ძალიან პრაქტიკულები არიან და აქედან გამომდინარე მათთვის არავის უსწავლებიათ მარკეტინგ 1.0, მათ ასწავლეს 2.0. შესაბამისად მარკეტინგი 1.0-ზე საუბარი არც იყო, ან რატომ ისაუბრებდნენ, როცა აღარ ხდებოდა მისი გამოყენება. ადამიანებს უბრალოდ აძლევდნენ ინსტრუმენტებს კონკრეტული დავალებების გადასაწყვეტად აქ და ახლავე. ადამიანები დავალებას ასრულებდნენ წარმატებით, ღებულობდნენ ანაზღაურებას და მათ სხვა არაფერი ადარდებდათ ან რატომ უნდა დაეხარჯათ დრო იმაზე, რაც შემდგომში აღარ გამოადგებოდათ?

მარკეტინგი 2.0 — ეს არის მარკეტინგის ყველასათვის მისაღები ფორმა. მისი მთავარია პრინციპია — შეისწავლე ადამიანების საჭიროებები და მოთხოვნილებები და დააკმაყოფილე ის. მარკეტინგი 1.0-ში სთავაზობდნენ იმას, რასაც აწარმობდნენ, მაგრამ მარკეტინგი 2.0-მა გახსნა ეპოქა, სადაც ხდებოდა ადამიანების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლა. მათ ვინც შეძლეს მისი ათვისება, ბაზარზე საკმაოდ თავდაჯერებულად გრძნობენ თავს. ხოლო, მათ ვინც ვერ შეძლეს უკვე დიდი ხანია გაკოტრდნენ ან იმყოფებიან ზღვარზე. მათ ვინც საფუძვლიანად აითვისეს მარკეტინგ 2.0 გახდნენ ბაზრის ლიდერები და ინარჩუნებენ ლიდერობას. მართალია, ისიც რომ მათ საფრთხეს უქმნით ის ფირმები, ვინც დაიწყეს მარკეტინგი 3.0-ის ათვისება, თუმცაღა, კონკურენციისათვის მათთვის ჯერ კიდევ საკმარისია მარკეტინგი 2.0.

მარკეტინგი 2.0-ის ალგორითმი ძალზედ მარტივია. სხვადასხვა სახის ინსტრუმენტების საშუალებით ხდება მომხმარებელთა შესწავლა, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების წარმოჩენა. შემდეგ ამ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე დაყრდნობით ხდება საქონლის შემუშავება და ისეთი ფასების დადგენა, რომლის გადასახდელადაც მომხმარებლები არიან მზად. საქონელი გადადის მიმოქცევის სფეროში და იყიდება ადვილად, რადგანაც ის ნამდვილად ჭირდება მომხმარებელს. გამყიდველები ფაქტიურად არც იყენებენ ძალისხმევას, რომ გაყიდონ მარკეტინგ 2.0-ის ალგორითმით წარმოებული საქონელი, ეს საქონელი ფაქტიურად თვითონ ყიდის საკუთარ თავს.

გამყიდველებს მხოლოდ ისღა დარჩენიათ უთხრან მომხმარებლებს არის თუ არა ეს საქონელი გაყიდვაში და მიიღონ თანხა. ეს არის ის ძირითადი მახასიათებლები, რითაც განსხვავდება მარკეტინგი 2.0-ის კონცეფციით დამზადებული საქონელი, მარკეტინგი 1.0-ის კონცეფციით დამზადებული საქონლისაგან. იმისათვის, რომ მოხდეს მარკეტინგი 1.0-ის კონცეფციით დამზადებული საქონლის გაყიდვა, გამყიდველს სჭირდება საკმაოდ დიდი ძალისხმევა.

მარკეტინგი 2.0 მარკეტინგი 1.0-თან შედარებით არის არამარტო ახალი შეხედულება, არამედ ახალი შესაძლებლობები. თუკი მარკეტინგი 1.0-ის საშუალებით დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში შეიძლება გაიყიდოს 1 საქონელი, დროის იგივე მონაკვეთში მარკეტინგი 2.0-ის საშუალებით შეიძლება გაიყიდოს ათი ან მეტი საქონელი. ამგვარად, საგრძნობლად მცირდება ხარჯები გაყიდვებზე და იზრდება მათი გაყიდვების სისწრაფე. იმისათვის, რომ გავყიდოთ მარკეტინგი 1.0-ის მიხედვით წარმოებული საქონელი, საჭიროა გამყიდველების მთელი არმია, რადგანაც თითოეული საქონელი იყიდება ინდივიდუალურად. იმისათვის, რომ გავყიდოთ მარკეტინგი 2.0-ის მიხედვით წარმოებული საქონელი, გამყიდველი ფაქტიურად არ არის საჭირო, საჭიროა მხოლოდ მო-

ლარე, რომელიც იღებს ფულს და უშვებს საქონელს. ის იძლევა შესაძლებლობას მოხდეს საქონლის მსხვილი პარტიების რეალიზაცია. სწორედ, მარკეტინგი 2.0-მა გახადა შესაძლებელი გიპერმარკეტების ჩამოყალიბება. მის გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც, თითოეულ საქონელთან საჭირო გახდებოდა გამყიდველების განთავსება და მათი რაოდენობის გამო შეუძლებელი გახდებოდა იქ გადაადგილება.

მარკეტინგი 2.0 გაცილებით უფრო ეფექტურია ვიდრე 1.0, შესაბამისად მისდამი მოთხოვნებიც უფრო სერიოზულია. მარკეტინგი 1.0-ის შემთხვევაში შესაძლებელია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვაწარმოოთ ერთი და იგივე საქონელი, ხოლო მარკეტინგი 2.0-ში ჩნდება სასიცოცხლო ციკლის ცნება, რაც გულისხმობს იმას, რომ გაიყიდება ის საქონელი, რომელიც ახალია, შემდეგ კი ის უინტერესო გახდება. საქონლის აქტიური გაყიდვა გრძელდება 1-დან 3 წლამდე, შემდეგ კი მიდის დაცემისკენ. იგი ასევე ეფექტურია, რადგან ახალი საქონლის ხარჯზე გვაძლევს დიდი მოგების მიღების შესაძლებლობას.

მთლიანობაში, მარკეტინგი 2.0 ბიზნესისათვის, ეს არის რამოდენიმე წინ გადადგმული ნაბიჯი. მაგალითისათვის შევადაროთ: მარკეტინგი 2.0 — ეს არის ტელევიზორი რადიოსთან შედარებით. ეს არის მობილური ტელეფონი ხაზიან ტელეფონთან შედარებით და ა.შ. იგი აფართოებს შესაძლებლობებს მარკეტინგი 1.0-თან შედარებით და ა.შ. ის გვაძლევს იმას, რისი მოცემაც არ შეუძლია 1.0-ს. სწორედ მარკეტინგი 2.0-მა გახადა სამყარო ისეთი, როგორსაც ახლა ვხედავთ.

თანამედროვე პერიოდში ჩვენ ვართ მარკეტინგი 3.0-ის განვითარების მომსწრეები, იგივე ფასეულობების ეპოქისა. ახლა, ფირმები ადამიანებს განიხილავენ არა როგორც უბრალოდ მომხმარებლებს, არამედ როგორც სრულყოფილ არსებებს, რომელსაც გააჩნიათ საკუთარი აზრები, ემოციები და სული. თავის მხრივ, მომხმარებლებიც გამუდმებით ეძებენ გზას, რათა მოახდინონ თანამედროვე გლობალიზებული სამყაროს გაუმჯობესება.ამ რთულ სამყაროში ჩვენ გვჭირდება ფირმა, მისია, ხედვა და ფასეულობები, რომელიც მიმართულია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, ეკონომიკური და ეკოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. შეძენილ საქონელში მომხმარებლები ეძებენ არამარტო საკუთარი ფუნქციონალური და ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არამედ ადამიანური სულის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მარკეტინგი 2.0-ის მსგავსად, მარკეტინგი 3.0 ორიენტირებულია მომხმარებელთა საჭიროებების შეცნობასა და მათ დაკმაყოფილებაზე. თუმცაღა, ფირმები, რომლებიც იყენებენ მარკეტინგი 3.0-ს, გააჩნიათ მისია, ხედვა და ფასეულობები, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია მსოფლიოსთვის. ასეთ კომპანიებს სურთ გადაჭრან მთლიანად კაცობრიობის პრობლემები. მარკეტინგი 3.0 მარკეტინგის კონცეფციას სწევს ადამიანური მისწარაფებების, ფასეულობების და სულის დონეზე. მარკეტინგი 3.0 ეფუძნება ცნებას, რომ მომხმარებლები არიან ყოველმხრივ განვითარებული ადამიანური არსებები, სწორედ ამიტომაც ყველა მათი მოთხოვნა და იმედები იმსახურებს ყურადღებას. ამგვარად, მარკეტინგი 3.0 ადამიანური სულის მარკეტინგს უმატებს ემოციურ მარკეტინგს.

მსოფლიო კრიზისის პირობებში, მარკეტინგი 3.0 მიიჩნევა მომხმარებლებთან მიმართებაში ყველაზე სწორ მიდგომად, რადგანაც ისინი უფრო მძაფრად შეიგრძნობენ სწრაფ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიური ცვლილებების და არასტაბილურობის გავლენას. დაავადებები გარდაიქმნება პანდემიად, სიღარიბის მასშტაბები იზრდება, ჩვენს ირგვლივ გარემო ნადგურდება. ფირმები, რომლებიც იყენებენ მარკეტინგი 3.0-ს ადამიანებს სთავაზობენ ამ პრობლემების გადაჭრას და აძლევენ მათ იმედს და ეხებიან მომხმარებლების სულის ყველაზე ღრმა და შორეულ წერტილებს. თანამონაწილეობამ, გლობალიზაციის პარადოქსებმა და შემოქმედმა საზოგადოებამ განაპირობა მარკეტინგი 3.0-ის საქმიანი ლანდშაფტის წარმოშობა.

ბოლო ასწლეულის განმავლობაში ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა მომხმარებლები, ბაზარი და მარკეტინგი. სამრეწველო რევოლუციის დროს წარმოების ტექნოლოგიების განვითარების შედეგად წარმოიშვა მარკეტინგი 1.0. საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტის განვითარების შედეგად კი მარკეტინგი 2.0. დღესდღეობით კი ახალი ტალღის ტექნოლოგიები წარმოადგენენ მარკეტინგი 3.0-ის წარმოშობის მთავარ მიზეზს.

2000-იანი წლების დასაწყისში საინფორმაციო ტექნოლოგიები შეიჭრნენ ძირითად ბაზრებზე და განვითარდნენ და სწორედ მას უწოდეს შემდგომში ახალი ტალღის ტექნოლოგიები, რაც გულისხმობს: იაფ კომპიუტერებს, მობილურ ტელეფონებს, არც თუ ისე ძვირ ინტერნეტს და პროგრამულ უზრუნველყოფას. ისინი ინდივიდებს და ადამიანთა ჯგუფებს აძლევს საშუალებას მოახდინონ ერთმანეთთან კავშირის დამყარება და ინფორმაციის გაცვლა. ამ ეპოქაში ადამიანები ქმნიან სიახლეებს და თავად მოიხმარენ ამ სიახლეებს, იდეებს და გართობას. ახალი ტალღის ტექნოლოგიები მომხმარებელს აძლევს შანს გახდნენ ,,პროფესიონალი მომხმარებლები".

ამგვარად, როგორც ვხედავთ მარკეტინგმა განიცადა საკმაოდ სერიოზული ტრანსფორმაცია. საქართველოს შემთხვევაში, ძალზედ მცირეა იმ ფირმების რაოდენობა რომელიც იყენებს მარკეტინგს. რამდენიმე მსხვილი კომპანია მართალია იყენებს მას, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათ რეალურად არც კი იციან რომელ სახეობას იყენებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მამულაძე 2011: მამულაძე გ., ,,მარკეტინგის საფუძვლები", თბილისი.
2. Котлер 2011: Котлер Ф. ,,маркетинг 3.0 От продуктов к потребителям и далее – к человеческой душе", Москва;
3. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1797
4. http://www.noomarketing.net/marketing-1.0
5. http://www.noomarketing.net/marketing-2.0
6. http://book-online.com.ua/read.php?book=3734&page=3

Importance of the Team in a Workplace

Zurab Mushkudiani,
Doctor of Business Administration,
Invited specialist of Akaki Tsereteli State University

Summary

In the business environment nearly all individuals within an organization will belong to one or more groups or teams. A team is a set of people with a range of different skills who will ideally have objectives that contribute to the overall corporate strategy of the business. Conducting and managing work-groups is a challenge in itself as different employees have different views, while some group members do not share the same goals and values

We have learnt teamwork practices of these Georgian companies: Credit info Georgia, the only active Credit Bureau in Georgia; NCIB and CEO of JSC Alliance Group Holding ; Credit info International GmbH; TBC Bank; Bank of Georgia; Procredit Bank; The business world is all about taking decisions under uncertainty. If they say that uncertainty troubles them and they find it difficult to decide in the absence of extensive data, they would make question their suitability to pursue a business program.

Keawords: Team, workplace, banking, management, business world,

In the business environment nearly all individuals within an organization will belong to one or more groups or teams. A team is a set of people with a range of different skills who will ideally have objectives that contribute to the overall corporate strategy of the business. They will usually have somebody who is identified as the team leader. Functioning in unison to pursue a common goal is what team members abide by once they understand how to work in a team. This kind of working atmosphere brings together employees in the most fruitful manner.

Despite their differences and even dislike for a team member, they are forced into situations where trusting and working with others cannot be avoided. This acts as the most efficient form of team bonding.There are many employees who are not familiar with the concept of working in harmony with others. For such folks, the presence of team members they can depend upon and the collective spirit of working together acts as a motivation to modify their approach towards work and become more cooperative.Since work-related tensions are shared, responsibilities are not shrugged-off and there is lesser insecurity about being honest with one's performance. As a result, the overall quality & speed of work tend to gallop ahead.The importance of teams that perform well cannot be underestimated. It is generally accepted by high achieving organizations that to be effective one needs to:Create a motivated team; Give team members a brief alongside objectives;Appoint a leader of the team;, Manage the team;, Provide them with authority;Monitor the progress of the team;Ensure effective communications streams (lack of communication can be the one of the biggest issues and failures within organizations).

They must encourage employees to collaborate and cooperate in making collective decisions because it is the positive attitude of employees and effective teamwork that will help firms climb to the top.There are many employees who are not familiar with the concept of working in harmony with others. For such folks, the presence of team members they can depend upon and the collective spirit of working together acts as a motivation to modify their approach towards work and become more cooperative. Since work-related tensions are shared, responsibilities are not shrugged-off and there is lesser insecurity about being honest with one's performance. As a result, the overall quality & speed of work tend to gallop ahead.Ensure effective communications streams (lack of communication can be the one of the biggest issues and failures within organizations).Company has-not to use a phony failure experience. They should identify an experience when they tried their best and yet failed. And they were the reason for the failure. It won't count as their failure if they did not stop someone else from doing the wrong thing that led to the failure.Team doesn't focus so much on proving the learning from the failure that they end up showing the failure as an achievement.

The business world is all about taking decisions under uncertainty. If they say that uncertainty troubles them and they find it difficult to decide in the absence of extensive data, they would make question their suitability to pursue a business program. Similarly, they should avoid traits and experiences that question their leadership skills and ability to persuade others and get things done. Many people don't like working in groups when one substitute will apply to the whole group. They don't mind working in this type of setting because all of the work is divided amongst the team.

Each company is made up of various departments. Sometimes these departments must work together in creating a project or task for the organization, such as the production department working closely with the accounting department to create products on a budget. These departments must work together as a team to meet the company's goals and objectives, despite having very different functions within the organization.Important reason for teamwork in an organization is the different backgrounds and ethnicities of people working in a single organization. Each employee has a different background or experience, meaning each of them can perform differently on any given tasks. Teamwork is important as these differences get ironed out, so all employees think and perform with the same goal in mind.

However, there is a cost associated with assigning decision rights to teams. Each team member must carry equal responsibility in getting the job done. One of the challenges facing teams is low productivity of some members as they estimate that other team members contribute fully to the completion of their collective tasks. Hence, they may decide to shirk. "Team members bear the full costs of their individual efforts, but share the gains that accrue to the team. This arrangement encourages team members to free-ride on the efforts of others[1]". [Brickly, Smith, and Zimmerman, p. 380].

They must encourage employees to collaborate and cooperate in making collective decisions because it is the positive attitude of employees and effective teamwork that will help firms climb to the top.There are many employees who are not familiar with the concept of working in harmony with others. For such folks, the presence of team members they can depend upon and the collective spirit of working together acts as a motivation to modify their approach towards work and become more cooperative.Working in a team has its most transparent advantages in the form of people being able to complete assignment faster. Once a proper team structure is established, delegation of work, conducting quality checks, getting accurate updates and accomplishing more volumes on a daily basis is easily accomplished. Since work-related tensions are shared, responsibilities are not shrugged-off and there is lesser insecurity about being honest with one's performance. As a result, the overall quality & speed of work tend to gallop ahead.We have learnt teamwork practices of these Georgian companies: Credit info Georgia, the only active Credit Bureau in Georgia; NCIB and CEO of JSC Alliance Group Holding (AGH); Credit info International GmbH; TBC Bank; Bank of Georgia; Procredit Bank; Bank Republic (SocieteGenerale Group) and National Credit Information Bureau Ltd. (NCIB).

The strongest asset of Alliance Group Holding Company is the talent and passion of their employees to achieve the maximum results in the most challenging economic conditions. In all of their activities, they place an overriding emphasis on the intellectual strength, experience and integrity of their partners and employees. This talent and passion, combined with their corporate culture of excellence, transparency and social responsibility make Alliance Group Holding a dynamic, growing and reliable partner for shareholders, customers, employees and the local economy.Alliance Group Holding considers corporate social responsibility a sustainable management tool that they incorporate in their daily activities. Company's internal policies provide for no discrimination on any basis, respect for human and labor rights, gender equality, environmental protection, transparency and accountability; there are the cornerstones of our company activities.

All actions are governed by the fundamental resolve to act responsibly on behalf of future generations to ensure economic, environmental and social progress.The Social Committee has been set up for determining the social policy of the Group, to plan, organize and supervise all social-related projects initiated or funded by the company. The members of the Social Committee are the Heads of Departments and chaired by the CEO.In 2011, the Social Committee identified the following three CSR themes for AGH and its affiliated companies where the Group will target its social initiatives:Promote awareness on ethical business among young leaders; Support rehabilitation and restoration of Georgian cultural heritage monuments; Contribute to environmental projects.The fundamental goal of educational activities is to promote the concept of ethical business and raise awareness about the principles of corporate social responsibility among young leaders and to foster the values of corporate citizenship in different communities of Georgia.

The ProCredit Bank Georgia's management underwent a number of changes in 2012. The management team was also expanded to include three members of the Extended Management.Six essential principles guide the operations of the ProCredit institutions:Transparency: They provide transparent information to their customers, to the general public and to employees. For example, we ensure that customers fully understand the terms of the contracts they conclude with us, and we engage in financial education in order to raise public awareness of the dangers of in transparent financial offers.A culture of open communication: We are open, fair and constructive in our communication with each other, and deal with conflicts at work in a professional manner, working together to find solutions.

Social responsibility and tolerance: We offer our clients sound, well founded advice. Before offering loans to our clients, we assess their economic and financial situation, their business potential and their repayment capacity. On this basis we help them to choose appropriate loan options from which they can genuinely benefit, and to avoid becoming over indebted. Promoting a savings culture is another important part of our mission, as we believe that private savings play an especially crucial role in societies with relatively low levels of publicly funded social welfare provision. And we are committed to treating all customers and employees with fairness and respect, regardless of their origin, color, language, gender or religious or political beliefs.Service orientation: Every client is served in a friendly, competent and courteous manner. Our employees are committed to providing excellent service to all customers, regardless of their background or the size of their business. High professional standards: Employees take personal responsibility for the quality of their work and always strive to grow as professionals.

A high degree of personal integrity and commitment: Complete honesty is required of all employees in the ProCredit group at all times, and any breaches of this principle are dealt with swiftly and rigorously.These six values represent the backbone of our corporate culture and are discussed and actively applied in our day-to-day operations.

1 Brickly, J., Smith, C., and Zimmerman, J., Managerial Economics and Organizational Architecture, McGraw-Hill Irwin, 2009

Moreover, they are reflected in the ProCredit Code of Conduct, which transforms the group's ethical principles into practical guidelines for all staff. To make sure that new employees fully understand all of the principles that have been defined, induction training includes sessions dedicated to the Code of Conduct and its significance for all members of our team. Regular refresher training sessions help to ensure that employees remain committed to our high ethical standards and are kept abreast of new issues and developments which have an ethical dimension for our institution. These events allow existing staff to analyses recent case studies and discuss any grey areas.

We also ensure that requests for loans are evaluated in terms of the applicant's compliance with ethical business practices. No loans are issued to enterprises or individuals if it is suspected that they are making use of unsafe or morally objectionable forms of labor, in particular child labor. Another aspect of ensuring that our institution adheres to the highest ethical standards is our consistent application of best practice systems and procedures to protect ourselves from being used as a vehicle for money laundering, the financing of terrorism or other illegal activities. Staff members are trained to apply the "know your customer" principle, and to carry out sound monitoring and reporting in line with the applicable regulations. Anti-money laundering and fraud prevention policies are regularly updated and exercised throughout the group to ensure compliance with local and international regulatory standards.

Bank Republic, as a member of the international group SociétéGénérale, acts in accordance with the group's general development strategy. The bank aims to provide proper and sustainable financing to the Georgian economy, ensure relevant solutions to the needs of its clients, while adhering to the CSR principles. Bank Republic offers professional challenges and career development opportunities to its staff.Bank Republic's stable development is based on capability to build and maintain sustainable relationship with clients and partners thanks to fair and professional attitude of their staff. Corporate culture based on team spirit approach, reflected in values is the key to future success. In 2012, Bank Republic announced a shift to relationship banking. In accordance with the group's general strategy, Bank Republic embarked on the new brand platform, expressed in the slogan "each of us matters." This new approach is based on the team spirit principle, the main idea being that the bank employees, its partners, suppliers and clients are perceived to be the same team, where each member matters and where the overall success depends on the team members.

The new inclusive approach implies the philosophy of maintaining long-term trust-based relations with the customer, making them feel a part of the team and serving their best interests.Within the framework of the new brand platform, Bank Republic implemented the internal and external campaigns, the aim of which was to introduce the new brand platform to the audience, have them fully informed about its essence and strengthen the team belonging among them.Bank Republic strictly adheres to the corporate standards and principles, pursuant to the Corporate Governance Code. The responsibilities are effectively separated within the Bank to make sure the decision-making process is smooth, the shareholders rights are safely protected, and the information is public and transparent. The implementation of the best practice of the corporate governance is the key to the loyal prosperity and overall success of the Bank.

The Bank acknowledges corporate governance principles established in the international practice of corporate governance: information disclosure and transparency; equality of shareholders; shareholders' rights and basic ownership functions; duties and responsibilities of the Supervisory Council; role of stakeholders in corporate governance; ensuring effective system of corporate governance. BR fully acknowledged and put into practice ABG (Association of Banks of Georgia) corporate governance code for banks in 2009.At Bank Republic the authority has been successfully delegated between the Board of Directors and Supervisory Council. In general, the major decisions are adopted and significant policies are approved by the Supervisory Council. The corporate strategy, important action plans, risk management policy, annual budget and business plans of Bank Republic are approved by the Supervisory Council, which is equally involved in the supervision of the capital expenditure, procurement and recovery of capital investments through the assets sale. In addition to that, the competence of the Supervisory Council includes the monitoring of the governance. It appoints and controls thereof the candidates for the positions prescribed by the law. The Supervisory Council properly monitors the activities of the directors and is competent to check the accounting ledgers. So, each company is made up of various departments. Sometimes these departments must work together in creating a project or task for the organization, such as the production department working closely with the accounting department to create products on a budget. These departments must work together as a team to meet the company's goals and objectives, despite having very different functions within the organization.

Another important reason for teamwork in an organization is the different backgrounds and ethnicities of people working in a single organization. Each employee has a different background or experience, meaning each of them can perform differently on any given tasks. Teamwork is important as these differences get ironed out, so all employees think and perform with the same goal in mind. However, there is a cost associated with assigning decision rights to teams. Each team member must carry equal responsibility in getting the job done. One of the challenges facing teams is low productivity of some members as they estimate that other team members contribute fully to the completion of their collective tasks.

Hence, they may decide to shirk. Team members bear the full costs of their individual efforts, but share the gains that accrue to the team. This arrangement encourages team members to free-ride on the efforts of others" While respon-

sible team members invest sufficient time and effort, others wait to receive equal reward and recognition for results derived from teamwork. Likewise, time can be an issue when it comes to making collective decisions: To conclude, team decision-making can pose a challenge to managers; it is the way organizations deal with such challenges that would eventually lead to success. Conducting and managing work-groups is a challenge in itself as different employees have different views, while some group members do not share the same goals and values. Still, team members must work together to invoke workable ideas and make informed decisions. Managers, presented with these challenges, must find ways to create a balance between benefits and costs of assigning decision rights to teams.

The importance of teams that perform well cannot be underestimated. It is generally accepted by high achieving organizations that to be effective one needs to:Create a motivated team; Give team members a brief alongside objectives; Appoint a leader of the team; Manage the team; Provide them with authority; Monitor the progress of the team;Ensure effective communications streams (lack of communication can be the one of the biggest issues and failures within organizations).Companies have-not to use a phony failure experience. They should identify an experience when they tried their best and yet failed. And they were the reason for the failure.

Team doesn't focus so much on proving the learning from the failure that they end up showing the failure as an achievement. Even if they bring in a follow up experience to prove the learning make it short and crisp.If decision to join team is a well thought out one they need not worry about sharing a weakness or a failure that could prove detrimental to their admission.What could be a disastrous weakness or failure?The business world is all about taking decisions under uncertainty. If they say that uncertainty troubles them and they find it difficult to decide in the absence of extensive data, they would make question their suitability to pursue a business program. Similarly, they should avoid traits and experiences that question their leadership skills and ability to persuade others and get things done.Many people don't like working in groups when one grade will apply to the whole group. They don't mind working in this type of setting because all of the work is divided amongst the team. If everyone knows what they have to do in order to complete the assignment to the best of their ability, then the grade will reflect the effort of the individual, and most importantly the entire group.If they find that a group member or group members are not fulfilling their task(s), then one will pull them aside and let them know. However, if that does not work, the next step is to notify the instructor and request that the slackers be removed from the group.

References:

1. Belbin, R. M. Team Roles at Work, Butterworth-Heinemann. 1993
2. Leigh L. Thompson, Making the Team4th Edition Published by Prentice Hall. 2011.- 464 pp. ISBN-10: 0136090036
3. GRAŽULIS, VLADIMIRAS. TEAMWORK - THE ASSUMPTIONS OF THE THEORETICAL CONSTRUCT ADAPTATION IN ORGANIZATIONACTIVITY (LITHUANIAN CASE). Human Resources Management & Ergonomics. Volume VI ,2/2012pp. 78-94. ISSN 1338-4988
4. Glenn M. Parker, Richard P. Kropp. 50 Activities for Team Building.HDR Press, 1992.ISBN-0-87425-174-5
5. Fisher, S. G., Hunter, T. A. and Macrosson, W. D. K. ' The Distribution of Belbin Team Roles among UK Managers', Personnel Review, vol. 29, no. 2, 2000, pp. 124–40
6. Lencionii, Patrick. Overcoming the Five Dysfunctions of a TEAM. San Francisco, CA: Jossey Bass, 2005.
7. Heathfield, Susan M. Twelve tips for Team building: How to Build Successful Work Teams. 23 July 2009. http://humanresources.about.com/od/involvementteams/a/twe%20lve_tip_team.htm
8. Prof. Dr. Zayed, Adel Mohamed and Prof. Dr. Kamel, Mostafa Mostafa.Teams and Work Groups. s.l. : CAPSCU, 2005. 977-223-989-2.
9. Sviridova L.V. Professional team management formation problems in the process of organization's innovative development. Monograph. Novgorod. JSC «vek», 2009. - 184. ISBN 978-5-9901479-3-5
10. 10. Beruashvili N. The role of teams in organizations. Strategy and organization. Synergy Group. May, 2013.

მიწისქვეშა ნაგებობების შეფასების აუცილებლობა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის

თამაზ შამათავა, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

განვითარების დონის მიუხედავად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და მოსახლეობის მზარდი სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებები ნებისმიერი ქალაქის მესვეურთ აიძულებს, პერიოდულად ეძებონ ქალაქების სტრუქტურული სრულყოფისა და საქალაქო ტერიტორიების რაციონალურად გამოყენების გზები. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც მიწაზე კერძო საკუთრების გამო ქალაქებს ერთმევათ ტერიტორიული გაფართოების საშუალება და ისინი იძულებული ხდებიან დასჯერდნენ არსებულ ტერიტორიას, ხოლო სივრცით განვითარებას მისცენ არა ჰორიზონტალური არამედ ვერტიკალური ხასიათი. შესაბამისად საქალაქო ტერიტორიების შეზღუდულობა და მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნილებათა უსაზღვრო ზრდა აიძულებს ქალაქის მესვეურთ მუდმივად იზრუნონ არსებული განაშენიანების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციაზე და ასევე მიწისქვეშა ურბანული გარემოს გამოყენებასა და განვითარებაზე. მიწისქვეშა სივრცის ათვისება - თანამედროვე ურბანული განვითარების ბუნებრივი პროცესია. დღეს, ტერიტორიების უკმარისობა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის. უმეტესი ქვეყნები მიწისქვეშა პოტენციალს დიდი წარმატებით იყენებენ.

საკვანძო სიტყვები: მიწისქვეშა ნაგებობები, მიწისქვეშა ურბანული განვითარება, მიწისქვეშა განაშენიანება, ქალაქის ვერტიკალური განვითარება.

The Necessity of Assessing Underground Facilities for Sustainable Economic Development

Tamaz Shamatava, PHD Student of Gtu

Summary

Despite the level of development, scientific-technical progress and population's increasing socio-cultural requirements, force every city to find different ways of structural improvement and rational ways for utilizing its territories. This problem is more severe in countries with market economy, where private property of lands does not allow cities to develop horizontally, so the process of development takes place vertically. The lack of territories and the rapid growth of people's modern requirements force authorities to periodically reconstruct and modernize cities and also use and develop the underground urban spaces. Using of underground spaces is a natural process of modern urban development. The lack of territories is the main problem throughout the world. Most countries use underground potential with great success.

Keywords: underground structures, underground urban development, underground development, vertical development of a city.

* * * * * *

ურბანიზაცია გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს წარმოადგენს. ტერმინი ურბანიზაცია ლათინური სიტყვაა („URBS") და ქალაქს ნიშნავს. ეს არის პროცესი რომლის დროსაც ხდება ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა ქვეყნის მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში და ქალაქური ცხოვრების წესის ფართოდ გავრცელება. დღეს-დღეობით მსოფლიოს ქალაქებში ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 52%. ქალაქების ტერიტორიისა და მოსახლეობის ზრდის პროცესები დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებასთან, XX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით სწრაფად დაიწყო ზრდა განვითარებადი ქვეყნების ქალაქებმა. ეს პროცესი განაპირობა, ჯერ ერთი მოსახლეობის რაოდენობის ბუნებრივმა მატებამ („დემოგრაფიული აფეთქება") და მეორე მრეწველობის განვითარებამ, რის შედეგადაც მოსახლეობის დიდმა რაოდენობამ თავი მოიყარა ქალაქებში. ქვეყნის სტატისტიკური უწყების მონაცემებით 2006 წელს საქართველოს ქალაქებში ცხოვრობდა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი - 52,4%, ხოლო 2016 წელს - 57,4%.[1]

ადამიანმა დიდი ხნის წინათ დაიწყო მიწისქვეშა სივრცის ათვისება. ჯერ კიდევ პალეოლითის ეპოქაში პირველყოფილი ადამიანის საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა მღვიმეები. მსოფლიო ურბანისტიკა იყენებს მიწისქვეშა პოტენციალს საკმაოდ დიდი წარმატებით. განვითარებულ ქვეყნებში, მიწისქვეშა ნაგებობების ფართობი მიწისზედა ობიექტების საერთო ფართობის ერთ მეოთხედს აღწევს. ამ მიმართულებით მსოფლიოში ლიდერობს კანადა, ქალაქებში ათვისებულია უზარმაზარი მიწისქვეშა ფართები, რომლებიც გამოყენებულია როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სხვადასხვა სახის სოციალური ზონებით. მაგალითისათვის, მონრეალში გაშენებულია დაახლოებით 12 მილიონი კვადრატული მეტრი მიწისქვეშა ნაგებობები, ტორონტოში დაახლოებით 6 მილიონი კვადრატული მეტრი, ევროპის ქვეყნებს - ისეთებს როგორებიცაა ჰელსინკი, მიუნხენი, პარიზი და სხვა ასევე აქტიურად აქვთ

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო - http://geostat.ge

ათვისებული მიწისქვეშა ტერიტორიების რესურსი. პირველ რიგში, ბუნებრივია, მიწისქვეშ გადის მაგისტრალები (საავტომობილო და სარკინიგზო), რაც ხელს უწყობს გზებზე სატრანსპორტო მოძრაობის შემსუბუქებას და იძლევა მიწისზედა გათავსიფლებული ტერიტორიის უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალებას.

საქართველოში, არ არსებობს საჭირო ნორმატიული ბაზა, არ არის საკმარისი ინფორმაცია უკვე არსებული მიწისქვეშა ნაგებობების შესახებ. ამ სფეროში ნაკლები განვითარების ერთ- ერთი მთავარი მიზეზი მაღალი ხარჯებია. რაც უფრო ღრმად ხდება მიწისქვეშა მშენებლობა მით უფრო იზრდება მშენებლობის თვითღირებულება. მიწისქვეშ ერთი სართულიც კი საშუალოდ 10% ით აძვირებს პროექტს, ხოლო სამი სართულის შემთვევაში ხარჯი 40%-ითაც კი შეიძლება გაიზარდოს. შესაბამისად, საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის შემთხვევებში ადგილი გვაქს არასაკმარის პარკირების ადგილებთან, რაც იწვევს მიწისზედა სივრცის (ეზოების, საცხოვრებელთან მისასვლელების, საბავშო მოედნების) გამოყენებას პარკირებისათვის, ეს უკანასკნელი კი იწვევს სხვადასხვა ნორმების დარღვევას. ხარჯები დამოკიდებულია სამშენებლო მოედნის ჰიდროგეოლოგიური მდგომარეობაზე, ისევე როგორც მასზე უკვე არსებული კომუნიკაციების მოცულობასა და პარამეტრებზე. ასევე დამატებით ხარჯებს წარმოადგენს მიწისქვეშა კომუნიკაციების სპეციალური საინჟინრო სისტემებით აღჭურვა (სახანძრო, სავენტილაციო და ა.შ.). შესაბამისად მატერიალური ხარჯები მიწისქვეშა მშენებლობისას ორჯერ უფრო დიდია ვიდრე მიწისზედა სამუშაოებისას. მიწისქვეშა განაშენიანების ზოგიერთი მომხრეები, ამტკიცებენ რომ მიწისქვეშ შესაძლებელია პრაქტიკულად ნებისმიერი სახის და დანიშნულების ობიექტის გადატანა, მაგალითად: სასტუმროები, მუზეუმები, საგამოფენო კომპლექსები, უნივერსიტეტები, ადმინისტრაციული ობიექტები, სამედიცინო დაწესებულების ცენტრები, ავტოფარეხები, საცავები და ა.შ. თუმცაღა ამის მოწინააღმდეგები მიიჩნევენ, რომ მიწისქვეშ უნდა გადიოდეს მხოლოდ ქალაქის ტექნიკური ნაწილი, კომუნიკაციები. ქალაქის ეკონომიკიდან გამომდინარე თანამედროვე ქვეყნებში სულ უფრო ხშირად გამოიყენება მიწისქვეშა ავტოსადგომები და ფარეხები. ავტოფარეხების და პარკინგების განსაკუთრებული საჭიროება იგრძნობა ქალაქის ცენტრში, რომელზეც მოდის მოსახლეობის 30%-40%.[2]განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ თბილისში. აუცილებელია საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში უფრო აქტიურად გაიშალოს მუშაობა მიწისქვეშა პარკინგების მოსაწყობად, რადგან ქუჩებში საპარკინგო ადგილას გაჩერებული ავტომობილები აფერხებს გადაადგილებას. ამ პრობლემის მოგვარების მრავალი ხერხი არსებობს. ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია მიწისქვეშა საავტომობილო სადგომების მშენებლობა, რაც კომპაქტურია, მოითხოვს მცირე ტერიტორიებს, თითქმის არ არღვევს საცხოვრებელი რაიონების ცხოვრების რიტმს და მოსახერხებელია მანქანების მფლობელთათვის. ასეთი მიწისქვეშა ნაგებობა შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე იარუსიანი, შესაძლებელია მოეწყოს პანდუსების მეშვეობით საცხოვრებელი სახლების ქვეშ. ხმაურისგან დასაცავად ეწყობა ბგერითი იზოლაცია.

საქართველო მდიდარია ეგზოტიკური მიწისქვეშა კარსტული მღვიმეებით, რომლებიც იქცევენ ადგილობრივი და საზღვარგარეთის ტურისტების ყურადღებას. ამდენად დიდია ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები. საქართველომ 2016 წლის მეორე კვარტალში 1,501,877 საერთაშორისო მოგზაური მიიღო, რაც +11.6%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ექვსი თვის ჯამური მონაცემებით საქართველოს 2,636,313 უცხოელი ეწვია, ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით +12.9%-ია.[3]აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის რომ მომავალში ტურისტების რაოდენობა დინამიურად გაიზარდოს რადგან ეს გულისხმობს მეტ დასაქმებას, მეტ შემოსავალს ქვეყანაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპელეოლოგიური ტურიზმის განვითარებას. განსაკუთრებულ სოციალურ, ეკონომიკურ და ტქენიკურ ეფექტს იძლევა სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ურთიერთ შეხამებული განთავსება. მსხვილ ქალაქებში მიწისქვეშა სივრცის გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია მათი ფართო შესაძლებლობების გამო. მიწის ქვეშ შეიძება განლაგდეს მრავალფეროვანი, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, ამიტომ აუცილებელია გავითვალისწინოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება მიწისქვეშა სივრცეების მაღალი ტექნოლოგიების, ახალი თაობის ნაგებობებისა და არქიტექტურული სიახლეების დანერგვის საქმეში. საქართველოს დიდ ქალაქებში მიწისქვეშა სივრცის გამოყენების შესანიშნავი შესაძლებლობები არსებობს, რაც დღეს სრულიად გამოუყენებელია, თუ არ ჩავთლით თბილისის მეტროპოლიტენს და რამოდენიმე სავაჭრო ცენტრის ქვეშ არსებულ პარკინგებს. მიწისქვეშა სივრცის აქტიური გამოყენება საშალებას გვაძლევს: მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქალაქის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სტუქტურა, გავათავისუფლოთ მიწის ზედაპირი მრავალი დამხმარე ნაგებობისაგან, რაციონალურად გამოვიყენოთ ქალაქის ტერიტორია, საცხოვრებელი სახლების, პარკების, სკვერების, სტადიონების, ქვეითთა ანუ „უავტომობილო“ ზონების მოსაწყოდ. გაუმჯობესდეს მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება, გადაწყდეს ავტოსადგომთა პრობლემა, ეფექტურად გადაწყდეს საინჟინრო მოწყობილობათა ობიექტები, გაუმჯობესდეს ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, შენარჩუნდეს ძვირფასი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები. საჭიროების შემთხვევაში მი-

2. Colliers International Georgia - http://www.colliers.com/kage/georgia

3. საქართველოს ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტი - http://gnta.ge/

წისქვეშა ობიექტები შეიძლება გამოყენებულ იქნას სამოქალაქო თავდაცვისათვის. მაგალითისათვის, იყალთო-ბახტრიონის გორა ერთმანეთისაგან ყოფს ვაკესა და საბურთალოს, საირმის გორა აცალკევებს საბურთალოს ქუჩასა და ყაზბეგის გამზირზე მოძრავ ინტენსიურ სატრანსპორტო ნაკადებს. ამ გორების ქვეშ გვირაბების მოწყობას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სატრანსპორტო კავშირები. მინიმუმამდე დაიყვანოს ავტომობილთა ზედმეტი გარბენი, შეამციროს მოძრაობის ინტენსივობა, ხმაური და გამონაბოლქვის რაოდენობა. მსოფლიოს გამოცდილება გვიჩვენებს: მიწისქვეშა ნაგებობების ტექნიკური და ეკონომიკური დონის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ მიწისქვეშა სივრცის ათვისების მაღალ-ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა.სიჭინავა, პ.კოღუაშვილი, დ.ეგიაშვილი, ა.მესხიშვილი — უძრავი ქონების ეკონომიკა, სახელმძღვანელო. "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი 2013წ.
2. გ. გობეცია, ნ.ტურაბელიძე, ფ.ქვაცაბაია — მოკლე სალექციო კურსი საგანში: უძრავი ქონების შეფასება, თბილისი 2007წ.
3. Оценка объектов недвижимости : учебник / А.А. Варламов, С.И. Комаров ; Под общ. ред. А.А. Варламова. - М. : ФОРУМ, 2010 - 288 с. : ил: - (Высшее образование)
4. Оценка стоимости недвижимости. Грибовский С.В., Иванова Е.Н.,
5. Львов Д.С., Медведева О.Е. — М.: ИНТЕРРЕКЛАМА, 2003. — 704 с.

დაგეგმვის მეთოდების თავისებურებები საბიუჯეტო დაგეგმვის სისტემაში

მაია გრძელიძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საბიუჯეტო დაგეგმვა და პროგნოზირება, ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდები, მათი თავისებურებები და საზღვარგარეთის ქვეყნებში საბიუჯეტო დაგეგმვის მეთოდის შერჩევის უპირატესობანი. დაგეგმვის მეთოდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სირთულით, მონაცემების რაოდენობით, დროისა და საშუალებათა დანახარჯებით, პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტების შერჩევისას მიღებული ინფორმაციის სარგებლიანობით და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდები, საბიუჯეტო დაგეგმვა და პროგნოზირება.

Peculiarities of Planning Methods in Budgetary Planning system

Maia Grdzelidze, Phd student of GTU

Summary

The article describes Budgetary Planning, Planning Methods, the Peculiarities of Planning Methods and Advantages of Budgetary Planining Methods Selection in Foreighn States. Planning Methods differ from each other by the complexity, by the amount of data, by the time requested and by the means of production, by the efficiency of choosing different scenarios of strategy and so on.

Keywords: Budget of Planning Methods, Budgetary planning and forecasting

* * * * * *

მკვლევართა უმრავლესობა დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემას ახასიათებს, როგორც დაგეგმვის, პროგრამების შემუშავების ძალისხმევისა და საბიუჯეტო სისტემის პროცესთა ინტეგრაციის რაციონალურ საშუალებას. პროგრამის შემუშავება ნიშნავს სამუშაოთა გრაფიკის შედგენას და ამ პროგრამების რეალიზაციისათვის აუცილებელი ცალკეული პროექტების შესაძლებლად უფრო ეფექტიან შესრულებას. ბიუჯეტის შედგენა – ეს არის მიზნების, პროგრამებისა და პროექტების ფულადი სიდიდეების სახით წარმოდგენის პროცესი, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მათი განხილვისათვის. ამრიგად, დაგეგმვა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბიუჯეტირებისა და საბიუჯეტო პროცესის საფუძველი.

ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში აუცილებელი შემადგენელი ნაწილია პროგნოზირება, რომელიც წინ უსწრებს დაგეგმვის პროცესს. პროგნოზირების მთავარი დანიშნულებაა - გამოავლინოს ჩატარებული ანალიზის საფუძველზე სახელმწიფოს გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის ეროვნული მეურნეობის კანონზომიერი განვითარება.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგნოზირების სისტემა, დაგეგმვისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამები ქვეყნის და მისი რეგიონების მნიშვნელოვანი კომპონენტია სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საერთო სისტემაში და განხორციელების ეფექტური ფინანსური და ეკონომიკური ინსტრუმენტი პოლიტიკაში. იგი ეფუძნება სახელმწიფო ეკონომიკურ ბრუნვაში მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას, რათა მივაღწიოთ დასახული მიზნების მაქსიმალურ ეფექტიანობას შეზღუდული რესურსების პირობებში. პროგნოზის სისტემა შედგება ინდიკატური გეგმების და პროგრამებისგან, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეს.

საბიუჯეტო დაგეგმვაში გადასაწყვეტი პრობლემების მრავალსტრუქტურირების პირობებში გამოიყენება გეგმების, პროგრამებისა და პროგნოზების დამუშავების რამდენიმე მეთოდის მომცველი მეთოდოლოგია.

დაგეგმვისა და პროგნოზირების მეთოდოლოგია - მეთოდების, მითითებების და პრინციპების ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება ბიუჯეტის წინასწარი დაგეგმვის კვლევისა და ანალიზის განხორციელების დროს ბიუჯეტირების მმართველობის ყველა დონეზე, რაც ეფუძნება ძირითად სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებს მოცემულ ეტაპზე.

საბიუჯეტო დაგეგმვის ძირითად მეთოდებად გამოიყენება: საბალანსო მეთოდი, ნორმატიული მეთოდი, სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, ინდექსის მეთოდი, შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების მეთოდი, პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები.

საბალანსო მეთოდის - არსი მდგომარეობს გეგმის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებლებს შორის ბალანსის მიღწევაში, მათი შეთანხმებისა და შეხამების უზრუნველყოფაში [2, გვ. 78]. გ.პ. პოლიაკი და ვ.ვ. კარჩევსკი იძლევიან დაზუსტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მაჩვენებლების ურთიერთკავ-

შირის რომელი ფორმა უნდა იყოს უზრუნველყოფილი: ყოველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რგოლის ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის ტოლობა, ხელისუფლების ფედერალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის პროპორციულობა [4, გვ. 125-126]. აღნიშნულმა მკვლევარებმა საბალანსო მეთოდი განსაზღვრეს როგორც „ცენტრალური საბიუჯეტო დაგეგმვის ხაზით წარმოებული მთელი მუშაობაში“ [4, გვ. 126].

ნორმატიული მეთოდი - დაფუძნებულია ნორმებისა და ნორმატივების სისტემის განსაზღვრასა და გამოყენებაზე. ტ.მ. კოვალევა გამოყოფს ამ მეთოდის ისეთ მნიშვნელოვან უპირატესობას, როგორიცაა დაგეგმვის პროცესში მკვეთრი დამოკიდებულების დადგენა დასახარჯ რესურსებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის [2, გვ. 78], რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბიუჯეტო დაგეგმვაში.

სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეთოდი - დაგეგმვაში დაფუძნებულია ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილებად დაყოფასა და დანაწევრებაზე, მათში პერსპექტიული განვითარების მთავარი პრობლემების განსაზღვრაზე, სისტემის ამა თუ იმ შემადგენელ ნაწილში დადებითი და ნეგატიური ფაქტორების გავლენასა და გათვალისწინებაზე [2, გვ. 79].

ეკონომიკური ანალიზის მეთოდი - შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს გეგმურ მაჩვენებელთა შესრულების ხარისხი გასული პერიოდისათვის ფაქტობრივ მონაცემებთან მათი შედარების გზით. ამასთან, აქცენტი კეთდება შემოსავლების ზრდის რეზერვების გამოვლენაზე, ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განსაზღვრაზე, გეგმის მოსალოდნელი შესრულების გაანგარიშებაზე.

ინდექსის მეთოდის - საფუძველია სხვადასხვა მაჩვენებლების გამოყენება, რომელიც ასახავს ფასების დინამიკას, ცხოვრების სტანდარტების დინამიკას, მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს.

შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების მეთოდის - დროს ხარჯების დაგეგმვა ხორციელდება მიღწეულ შედეგებთან მჭიდრო კავშირში. შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისას, საბიუჯეტო პროცესი ორიენტირებულია გაზომვადი შედეგების მიღწევაზე და არა პროგრამის/უწყებისათვის გამოყოფილი რესურსების ოდენობასა და მათ კონტროლზე.

პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება უზრუნველყოფს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის შეზღუდული რესურსების ეფექტურ განაწილებას მათი პრიორიტეტულობის მიხედვით და საბიუჯეტო ხარჯვასთან დაკავშირებით სათანადო კონტროლის განხორციელებას. თუ ტრადიციული ორგანიზაციული სტრუტურის მქონე საბიუჯეტო პროცესში ჯერ ხდება ასიგნებების გამოყოფა მხარჯავი დაწესებულებებისათვის, ხოლო შემდგომში მათი გადანაწილება კატეგორიების მიხედვით (შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ), პროგრამული ბიუჯეტირების დროს აქცენტი იცვლება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვიდან ამ რესურსების გამოყენებით მიღწეული შედეგებისაკენ.

შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისას, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის ისე შესრულების ეტაპზე, საზოგადოება იღებს ინფორმაციას დაგეგმილი და მიღწეული შედეგების შესახებ, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის - არსი მდგომარეობს მეურნეობისა და მისი ცალკეული რგოლების განვითარების მიზნის ფორმირებაში, რესურსების განაწილებასთან მათი შემდგომი შეთანხმებით, რათა უზრუნველყოს საჭირო ვადებში უფრო მეტი ეფექტის მიღწევა [3, გვ. 38]. პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვა ამოდის საბიუჯეტო საშუალებათა ადმინისტრირების საქმიანობის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან და, როგორც წესი, რაოდენობრივად გაზომვად შედეგებზე საბიუჯეტო რესურსების მიმართვის აუცილებლობიდან, დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე იმავდროული მონიტორინგითა და კონტროლით, საბიუჯეტო დაგეგმვისა და ფინანსური მენეჯმენტის შიდაუწყებრივი პროცედურების ხარისხის უზრუნველყოფით [2, გვ. 80].

პროგრამულ-მიზნობრივი ხარჯების მეთოდი, პირველ რიგში, ხელს უწყობს ერთიანი მიდგომის შენარჩუნებას რაციონალურად გამოიყენოს სახსრები ყველაზე უფრო აქტუალურ ამოცანებზე, და, მეორე, არის ცალკეულ ტერიტორიებზე ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრების ინსტრუმენტი. პროგრამულ - მიზნობრივი მეთოდი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნორმატიული, ბალანსის და ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებთან.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები - გამოყენების სფეროს წარმოადგენს დაგეგმვა სტანდარტული და სტრუქტურირებული პრობლემების პირობებში [3, გვ. 39]. მოცემული მეთოდის არსი მდგომარეობს ფინანსური მოდელების აგებაში თეორიული დებულებებისა და რეალური ეკონომიკური პროცესების ცალკეული ელემენტების თანაფარდობის რაოდენობრივი განსაზღვრის საფუძველზე, დასაგეგმი პერიოდის განმავლობაში [2, გვ. 79].

საბიუჯეტო დაგეგმვის ზემოთ განხილული მეთოდები საერთოა დაგეგმვის მთელი სისტემისათვის ქვეყანაში. ტ.მ. კოვალევა, საბიუჯეტო დაგეგმვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების მიზნით, გვთავაზობს ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა პერმანენტული, ვარიანტული, რეზერვირების მეთოდები.

პერმანენტული მეთოდი ვარაუდობს საშუალოვადიან საბიუჯეტო დაგეგმვას და ბიუჯეტის ურთიერთკავშირს დროში შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლების მიხედვით. პერმანენტულობა საბიუჯეტო დაგეგმვაში საბიუჯეტო სტაბილურობის გარ-

ანტიაა.

ვარიანტული მეთოდი გულისხმობს ნებისმიერი დონის ბიუჯეტის ორ ვარიანტად შედგენას. ეს აუცილებელია ეროვნულ საექსპორტო საქონელზე მსოფლიო ფასების ცვლილებებისა და ქვეყნის შიგნით ეკონომიკაში ცვლილებებისაგან ბიუჯეტების დაცვისათვის.

რეზერვირების მეთოდის არსი მდგომარეობს საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო რეზერვების შექმნაში სახელმწიფოს ამოცანების მაქსიმალური რეალიზაციის, ქვეყანაში ნეგატიური შედეგების გამორიცხვის უზრუნველსაყოფად. საბიუჯეტო რეზერვები უზრუნველყოფენ საბიუჯეტო საშუალებების გარანტირებულ მიღებას, თუმცა მინიმალური მოცულობით და ნაწილობრივ იცავენ საგადასახადო დატვირთვის ზრდისაგან.

გარდა ამისა, არსებობს საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების საშუალოვადიანი პროგნოზირების ოთხი ძირითადი მეთოდი: ექსპერტული ანალიზი (პროგნოზირება), დროითი მწკრივების პროგნოზები მათი საკუთარი დინამიკის საფუძველზე (ტრენდის მეთოდი), დეტერმინისტული პროგნოზები (დეტერმინირების მეთოდი), ეკონომეტრიკული პროგნოზირება.

ექსპერტული პროგნოზირება - ემყარება შემოსავლების მოცემული კონკრეტული წყაროების კარგად მცოდნე სპეციალისტის მიერ ნაკარნახევ საშემოსავლო შემოსულობათა სიდიდეებს. **დროითი მწკრივების ანალიზზე დაფუძნებული პროგნოზირება** - ვარაუდობს შემოსავლების პროგნოზს მისი წარსული დინამიკიდან გამომდინარე. **დეტერმინისტული პროგნოზირება** - გულისხმობს პროცენტული ცვლილების საფუძველზე საშემოსავლო შემოსულობათა თანხის პროგნოზირებას სოციალურ, ეკონომიკურ ან სხვა ცვლადში, რომლისგანაც უშუალოდ არის დამოკიდებული შემოსავლების ნაკადი. დაბოლოს, **ეკონომეტრიკული პროგნოზირება** - ეს არის შემოსავლების პროგნოზი სტატისტიკურად შეფასებული მაჩვენებლების საფუძველზე ერთი ან რამდენიმე ცვლადის პირობებში, რომლებიც გამოდიან პროგნოზულ ფაქტორებად.

საზღვარგარეთის ქვეყნებში პროგნოზირების ამა თუ იმ მეთოდის შერჩევისას ამოდიან ფინანსური პრობლემების მასშტაბებიდან და სირთულიდან. მაგალითად, ავსტრიის ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს შემოსულობების პროგნოზირებას შედარებით წვრილი საშემოსავლო წყაროებიდან (აქციზი ლუდზე, სიგარეტსა და ავტომობილებზე) მარტივი დროითი ტრენდის დახმარებით. ისეთი გადასახადებისათვის კი, რომლებიც დამოკიდებულია საწარმოს შემოსავლის ან მოგების ანალოგიური ცვლადებისაგან, აქ გამოიყენება დეტერმინისტული მიდგომა.

საბიუჯეტო შემოსულობათა საშუალოვადიანი პროგნოზების აგებისათვის საზღვარგარეთის ქვეყანების უმრავლესობაში სარგებლობენ ეკონომეტრიკული მოდელებით. მაგალითად, კანადის ფინანსთა დეპარტამენტი შემოსავლების პროგნოზირებას ანხორციელებს ე.წ. „კანადური ეკონომიკურ-ფისკალური მოდელით“, რომელიც შედგება 500-ზე მეტი განტოლებისაგან. კანადის მთავრობისათვის პროგნოზების აგებისას თავის გამოყენებას პოულობს მიკროიმიტაციური მოდელი, ექსპერტული და რეგრესიული ანალიზი.

ახალი ზელანდია საბიუჯეტო შემოსულობათა საშუალოვადიანი პროგნოზების აგებისას იყენებს ოცდასამი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის პროგნოზს. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზები გამოიყენება ეკონომეტრიკულ მოდელებში გადასახადის ოცდაორი სახიდან საბიუჯეტო შემოსულობათა პროგნოზების მიღებისათვის.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეცნიერებს შორის არ არსებობს ერთიანი მიდგომა შემოსავლების პროგნოზირებისათვის საუკეთესო მეთოდის არჩევის საკითხში, რადგან განსაზღვრულ სიტუაციაში ყველა მეთოდს აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები. ძირითადი მოთხოვნები, როდესაც რომელიმე მეთოდს ვირჩევთ, არის სიზუსტე, დროულობა და მიღებული შედეგები. შერჩეულმა მეთოდმა, ერთის მხრივ, უნდა უზრუნველყოს ფუნქციური სისრულე, საიმედოობა და საკმარისად ზუსტი პროგნოზული გაანგარიშებები, და მეორეს მხრივ შეამციროს დრო და ფინანსური რესურსები პროგნოზირების პროცესში (უნდა იყოს ეკონომიკურად ეფექტური).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Поспелов Г.С. Программно-целевое планирование и управление: Учебное пособие. – М., - 2008.
2. Ковалёва Т.М. Бюджетная политика н бюджетное планирование в Россиской Федерации: Учеб. пособие. М.: КНОРУС, 2009.
3. Государственные финансы: Учеб. пособие / Г.К. Мультан, П.Ф. Киреева, О.Л. Пузанкевич и др.; Под ред. Г.К. Мультана. Минск: БГЭУ, 2005.
4. Финансово-бюджетное планирование: Учебник /Под ред. проф. Г.Б. Поляка. М.: Вузовский учебник, 2007.
5. Руднева Е.В. Целевые комплексные программы: организационно экономический механизм: учебное пособие для ВУЗов. - М., - 2007.
6. Эффективность бюджетных расходов на муниципальном уровне / Под ред. А.М. Лаврова. — М., - 2009.

ეკონომიკური განვითარების საწარმოთა პარტნიორული მოდელის არსი

პარმენ ლემონჯავა,
სტუ-ს პროფესორი

ნატო გეგენავა,
სტუ-ს პროფესორი

ECONOMIC DEVELOPMENT PARTNER MODEL'S ESSENCE

Summary

Economic development at global scale and in terms of growth is known economic development general effective model of market economy, bur in some respects of narrow resources where is need to find an additory model. Here at, in our opinion it is important to pay attention to the affiliate model of public-private enterprises of still thoroughly undeveloped states.

At the present stage in the world is used the model of economic development through the partner model of public-private enterprises.

The greater part of public-private enterprises economic development in this process, emerged as independent economic entities, which on the base of partner take the path of economic development. Hence, it is important to share economic experience of public-private enterprises partner model with those countries which does not have it, particularly it's Georgia.

Usage of partner modal of public-private enterprises economic development particularly necessary in small and medium-sized business, as their budgeting is very scarce, low production economic effectiveness, for this reason needs help from the state. Public-private partner enterprises is also interested in usage of above mentioned model, as both's economic interests overlap with each other. In spite of existence of verious forms correlation with public-private partner enterprises, economic consensual service must be realized, and to developed better, which means legal settlement between the enterprises of public partnership of enterprises service partner areas. Relation with public-private enterprises must comply with in favour of common interests of both subjects, which basis should be developed and thorough legislation of consensual services.

საკვანძო სიტყვები: პარტნიორული, მოდელი, ეფექტიანი, დაუმკვიდრებელი, სუბიექტები, მენეჯმენტი, იურიდიული, ნორმატიული, მეთოდი, დამატებითი, გამოცდილება, მწირი, მცირე, საშუალო, უტყუარი, ინტერესები, დახმარება, კონცესიური, კანონმდებლობა, გამოცდილება, გაუმჯობესება.

მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის თვალსაზრისით ცნობილია ეკონომიკური განვითარების საბაზრო ეკონომიკის ზოგადი ეფექტიანი მოდელი, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით შეზღუდული რესურსების პირობებში საჭიროა სხვა დამატებითი მოდელის ძიებაც. ამიტომ, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ საფუძვლიანად დაუმკვიდრებელი სახელმწიფო – კერძო საწარმოთა პარტნიორულ მოდელზე სათანადო ყურადღების გამახვილება.

ნებისმიერი პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკის წარმატებით მშენებლობის შემდეგ განსაკუთრებლი ყურადღება მიექცა ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო-კერძო საწარმოთა პარტნიორული მოდელების გზით განვითარების მნიშვნელობას.

ეკონომიკური განივთარების სახელმწიფო-კერძო საწარმოთა დიდი ნაწილი ამ პროცესში ჩამოყალიბდნენ, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც წარმატებით დაადგნენ პარტნიორული მზრუნველობის საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკურ განივთარების გზას. ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ ამ საფუძველზე მიეცათ მათ, ახალი დამოუკიდებელი მენეჯმენტის, ნორმატიული იურიდიული ბაზის შექმნისა და მისი შესაბამისი ახალი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობა და ამით საზოგადოების ცხოვრების დონის რამდენადმე ამაღლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალება.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში წარმატებით გამოიყენება სახელმწიფო-კერძო საწარმოთა პარტნიორული მოდელის გზით ეკონომიკური განვითარების მეთოდი. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო-კერძო საწრმოთა პარტნიორული მოდელით ეკონომიკური განვითარების გამოცდილების გავრცელება იმ ქვეყნებში, სადაც არა აქვს მას ადგილი.

ამჟამად, რეალურად საქართველოში ეკონომიკური განვითარება მიმდინარეობს ძირითადად ორი სახის საკუთრების საწარმოთა სახით, მაგრამ ჩვენი აზრით საფუძვლიანი და ეფექტიანი იქნება სახელმწიფო-კერძო საწარმოთა პარტნიორული განვითარების მოდელზე განსაკუთრებული ყურა-დღების გამახვილება და სამეურნეო საქმიანობაში პრაქტიკულად გამოიყენება, რადგან ეს მოდელი ეკონომიკური განვითარების დამატებით ფაქტორებში მნიშვნელო-

ვანია.

სახელმწიფო-კერძო საწარმოთა ეკონომიკური განვითარების პარტ-ნიორული მოდელი ქმნის დიდ შესაძლებლობას წარმოების დანახარჯების შემცირებისათვის, რადგან მას შეუძლია დიდ სახელმწიფო საწარმოებში გამოყენებული მეცნიერული კვლევების შედეგების გამოცდილების გაზიარების და მათი ყველა სახის წარმოების საშუალებათა ეფექტიანად გამოყენება.

სახელმწიფო კერძო-საწარმოთა ეკონომიკური განვითარების პარტნიორული მოდელის გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა მცირე და საშუალო განვითარების საწარმოებში, რადგან მწირია მათი დაფინანსება, დაბალია წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა და საჭიროებენ სახელმწი-ფოსაგან ყოველმხრივი სახის დახმარებას.

სახელმწიფო კერძო-სწარმოთა ეკონომიკური განვითარების პარტნიორუ-ლი მოდელის გამოყენება საერთოდ და კერძოდ, ქვეყნის სამეურნეო პროცესში ქმნის შესაძლებლობას განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებში რესურსების გამოყენების დროს წარმოშობილი რისკების აცილების ან შემცირების, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ადვილად გადაჭრის, საერთოდ ყველა სახის შესრულებულ სამუშაოებზე ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პრობლემების ადვილად გადაწყვეტის საშუალებას.

ბუნებრივია, რომ მცირე და საშუალო საწარმოთა დიდ ნაწილს არ აქვს საქონლისა და მომსახურების დიდი, რაოდენობით წარმოების საშუალება. აქედან გამომდინრე ამ საწარმოებს სჭირდებათ სახელმწიფოსაგან დახმარების თვალსაზრისით ხელშეწყობა, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ ეძლევათ შესაძლებლობა გაზარდონ წარმოების გადიდების შანსი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ურთიერთობის შემთხვევაში სახელმწიფოებიც დაინტერესებულნი არიან, რადგან მათ ეძლევათ შესაძლებლობა მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დამატებით უტუარი წყარო. ასე, რომ სახელმწიფო და კერძო პარტნიორული სწარმოებიც ამ ურთიერთობის მოდელის გამოყენებით დაინტერესებულია და თანამშრო-მლობა სასარგებლოა, რადგან აქ ორივეს ეკონომიკური ინტერსები ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო-კერძო საწარმოთა პარტნიორული ურთიერთობა, ჩვენი აზრით უნდა განისაზღვროს მოკლე პერიოდით, რადგან ამით საშუალება მიეცემათ არახელსაყრელი ურთიერთობის შემთხვევაში უმტკივნეულოდ გაუქმდეს მათ შორის გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობა.

სახელმწიფო-კერძო საწარმოთა პარტნიორული ურთიერთობების საფუძვლიანად მიმდინარეობის საფუძველს წარმოადგენს, სახელმწიფოს პარტნიორული უზრუნველყოფის საწარმოებზე უძრავი ქონების, როგორც მოკლევადიან ისე ხანგრძლივი დროით კერძო ბიზნესის განვითარებისათვის გადაცემა. სახელმწიფოს ასეთი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, კერძო პარტნიორულ საწარმოებს მიეცემათ კონკრეტულად დასახული ღონისძიებების განსახორციელებლად გამოცდილი სამუშაო ძალის მოზიდვის საშუალება.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს ზოგიერთ ქვედარგის საწარმოებში საქონ-ლისა და მომსახურების სახეების ნაწილის წარმოება შეიძლება გადაცეს კერძო პარტნიორულ საწარმოებს, რადგან მათი წარმოება აქ გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება იყოს ეფექტიანი და საჭირო ვიდრე პარტნიორ სახელმწიფოში.

სახელმწიფო-კეძო საწარმოთა პარტნიორული მოდელით შეიძლება და აუცილებელიც არის სახელმწიფომ, მის პარტნიროობის ქვეშ მყოფი საწარმოე¬ბზე გასწიოს ფინანსური დახმარება. მნიშვნელოვანია პარტნიორ სახელმწიფომ საწარმოებში ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით კერძო ინვესტიციების მოზიდვაში ქმედითი დახმარება გაუწიოს, ამ საწარმოებში საქველმოქმედო საქმიანობას პირდაპირი ინვესტირების გზით.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორული საწრმოებთან სხვადასხვა ფორმის სახით ურთიერთობის არსებობის მიუხედავად, ჩვენი აზრით საერთოდ უნდა განხორციელდეს და უფრო განვითარდეს კონცენსიური მომსახურება, რომელშიც იგულისხმება სახელმწიფო საწარმოებსა და მომსახურების პარტნიორული დარგების საწარმოებს შორის ურთიერთობების სამართლე-ბრივი გზით მოგვარება.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორულ საწარმოებთან ურთიერთობის კონცენსიური მომსახურება უნდა ემყარებოდეს ორივე სუბიექტის ერთობლივ სასარგებლო ინტერესებს, რომლის საფუძველი უნდა იყოს კონცენსიური მომსახურების საფუძვლიანი განვითარებული კანონმდებლობა.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორულ სწარმოთა ეკონომიკური განვითარების დამატებით მოდელის მასშტაბურად დანერგვისა და გამოყენების სრულყოფის საკითხი საქართველოში, საბაზრო ეკონომიკური განვითარების საერთო ზოგადი მოდელის პირობებში დაუყოვნებლად მოითხოვს მოგვარებას, რადგან ამ მოდელის გამოყენება ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდის პროცესში განაპირობებს დანახარჯების შემცირებას, წარმოების რაოდენობრივ ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი აუდიტორულ საქმიანობაში

***გიორგი სულაშვილი**, სტუ-ს ასისტენტ პროფესორი*
***ჟანა გაბარაევი**, სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

IT სისტემები თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. ამ სფეროს განვითარებამ მნიშვნელოვანი წილი შეიტანა ეკონომიკის გლობალიზაციაში, კავშირების გამყარებაში და ინფორმაციის სწრაფ გაცვლაში, რაც თავისთავად შეეხო თანამედროვე ეკონომიკის ყველა სფეროს. აუდიტშიც, როგორც თანამედროვე ეკონომიკის ერთ ერთი ინსტიტუტი აქტიურად დაიწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება როგორც აუდიტის ჩატარების პროცესში ასევე შედეგების შეფასებისას. აუდიტის განვითარების და ბუღალტრული აღრიცხვის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შემუშავება და განვითარება რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროს განვითარებას და არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

საკვანძო სიტყვები: IT სიტემა, შიდა აუდიტი, ელექტრონული საბუთები.

Роль информационных технологий в аудиторской деятельности

Георгий Сулашвили,
Жанна Габараеви

Резюме

IT системы стало неотъемлемой частью современной экономики. Развитие этой сферы ускорило процессы глобализации в экономике, налаживание связей ,быстпый обмен информацией и т.д. Аудит как неотъемлемая часть современной экономики начала активно использовать компьютерные технологии как в процессе проведения аудита, так и на завершающем этапе. Для развития аудита и бугалтерской отчетности необходимо создавать и развивать компютерные программы, благодаря которым улучшится финансовая отчетность хозяйственных субьектов.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებამ გამოიწვია ახალი ეკონომიკის ინსტიტუტების შექმნა და განვითარება, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს და არეგულირებს სამეურნეო და სამეწარმეო სუბიექტების ურთიერთობას. ამ ინსტიტუტებს შორის მნიშვნელოვანი როლი უნდა დაიკავოს აუდიტმა, რომელიც არის საბაზრო ურთიერთობების განუყოფელი ნაწილი. საქართველოში აუდიტორული საქმიანობის განვითარებამ ცხადყო რომ შეუძლებელია გადმოტანილ იქნას პირდაპირ კაპიტალისტური ქვეყნებში გამოყენებული აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია პოსტსაბჭოთა რეორგანიზაციის პირობებში მყოფ ეკონომიკის პირობებში. ამიტომ საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აუდიტორული საქმიანობის კონცეფციაზე და სტანდარტების შემუშავებაზე საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ძირითადი ნაწილი

აუდიტი თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელ და მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რომელიც გვევლინება სახელმწიფოებრივი მართვის ელემენტად. მისი ფორმა კი განისაზღვრება არამარტო სახელმწიფოებრივი, არამედ არასახელმწიფოებრივი კონტროლის სახით. კონტროლი ეს არის გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერი პროცესისათვის აუცილებელი და დასკვნითი ეტაპი. იგი აღიარებულია მეთოდად, რომელიც უზრუნველყოფს მართვის სტრუქტურების მიერ დასახული მიზნების განხორციელებას, ეკონომიკური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიმართულების დადგენას, ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოვლენას და მათი შედეგების კორექტირებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი როლი ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირებაში. იგი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მმართველობითი ფუნქციის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობა. აღსანიშნავია, რომ კონტროლი ეს არის დამოუკიდებელი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ობიექტის ფუნქციონირების პროცესისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესაბამისობის შემოწმება. კონტროლის მთავარი კრიტერიუმია ის, რომ იგი ხორციელდება ერთიანი პრინციპის საფუძველზე, რომელიც მისაღებია კონტროლის ყველა სუბიექტისათვის, მათი ინტერესებისა და საქმიანობის მასშტაბების მიუხედავად. კონტროლის ღონისძიებები არის ჩამოყალიბებული პროცედურები, რომელიც ხორციელდება მართვის ყველა დონეზე. კონტროლის ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს რისკების მინიმუმამდე დაყვანისკენ და ამასთან ერთად - ეფექტიანი. კონტროლის ღონისძიებები ეფექტიანიად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი არის: შესაბამისი, თანმიმდევრულად განხორციელებადი, სრულყოფილი, დანახარჯების თვალსაზრისით ეფექ-

ტიანი და კონტროლის მიზნებთან უშუალოდ დაკავშირებული. ჩამოყალიბებულია კონტროლის ორგანიზების შემდეგი სტრუქტურა:

- სახელმწიფო კონტროლი,
- უწყებრივი კონტროლი,
- შიდასამეურნეო კონტროლი,
- დამოუკიდებელი არაუწყებრივი კონტროლი,

- როგორც კონტროლის ორგანიზების სტრუქტურიდან ჩანს, იგი ფართო ცნებაა და მოიცავს სახელმწიფო, სამეურნეო-ეკონომიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა მხარეს. შიდა კონტროლის აუცილებლობა და სრულყოფა განპირობებულია გამომდინარე იქიდან, რომ კონტროლის სისტემის დანერგვით ორგანიზაცია უზრუნველყოფს რისკების მართვას, მის მინიმიზებასა და შესაბამისად მიზნების მიღწევას, რაც თავის მხრივ გამოიხატება რესურსების ეფექტურად, ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენებაში, რაც საბოლოო ჯამში ზრდის მწარმოებლურობას და ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირებაზე. შიდა კონტროლის სისტემის დანერგვასა და განვითარებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფო მართვის სისტემაში. შიდა კონტროლი, რომელიც შიდა აუდიტის ფორმით ვლინდება საჯარო სექტორში, სისტემატიზებული, დისციპლინური მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისაკენ. შიდა აუდიტის საქმიანობა მოიცავს: შიდა კონტროლის მონიტორინგს,ფინანსური და საოპერაციო ინფორმაციის შემოწმებას, საოპერაციო საქმიანობის განხილვას, კანონმდებლობასთან შესაბამისობის განხილვას, რისკის მართვას, მმართველობას.

ძირითადი მიზანი აღნიშნული კონცეფციის განვითარების არის ფუქციონალური აუდუტის შექმნა,რომელიც პასუხობს თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებს,აუდიტის მეთოდების დახვეწა და შესაბამისობაში მოყყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან.

შიდა აუდიტის მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ იგი არა მხოლოდ ფინანსურს, არამედ შესაბამისობის, სისტემურს, ეფექტიანობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით შემოწმებას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, შიდა აუდიტის განხორციელების დროს ხდება - ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენით მიზნით (ფინანსური აუდიტი); სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფო ქონებრივი ღირებულებების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი (შესაბამისობის აუდიტი); სახელმწიფო პროგრამების შედგენის, საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენებისა და მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ანალიზი და შეფასება (ეფექტიანობის აუდიტი); ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება (სისტემური აუდიტი); ინფორმაციული ტექნოლოგიების ადეკვატურობისა და სისტემის უსაფრთხოების დაცულობის შემოწმება და შეფასება სისტემის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული სახის აუდიტი და შესაბამისი რეკომენდაციები ორგანიზაციას საშუალებას აძლევს პრაქტიკაში დანერგილი ინფორმაციული ტექნოლოგიები არ იყოს საფრთხის შემცველი და რისკის ქვეშ არ აყენებდეს ორგანიზაციის საქმიანობას (ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი).

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სერიოზულ ნაბიჯებს დგამს ამ სფეროს განსავითარებლად.

აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში სას—ის მიზანს წარმოადგენს lთ აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელი ელექტრონული სისტემის დანერგვა და განვითარება სათანადო ტექნიკური ინფრასტრუქტურის ბაზის შექმნით, რაც გულისხმობს შესაბამისი პროგრამული ლიცენზიებისა და მათი დანერგვისათვის საჭირო სერვისების შეძენას. აუდიტის განვითარების გეგმა მოიცავს COBIT—ისა და CAATs—ის აუდიტორული პროგრამების ლიცენზირებული ვერსიების მოპოვებას, ამასთანავე, დაგეგმილია IT აუდიტისათვის საჭირო პროგრამული ბაზის შექმნა. თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ინტეგრაცია ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის ელექტრონულ სისტემებში თაღლითობისა და არასწორი მართვის საკითხების დროულ იდენტიფიცირებას. გარდა ამისა, სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია აუდიტორებისათვის სრულყოფილი მატერიალურ—ტექნიკური ინფრასტრუქტურის შექმნასა და შემდგომი განვითარება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აუდიტის ობიექტებიდან მიღებული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და შენახვისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების არსებობა ორგანიზაციაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას, როგორც მონაცემთა მოძრაობისა და შენახვის უსაფრთხოება, ასევე, მათი ანალიზისა და დამუშავების პროცესის სისწრაფე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავისი მანდატისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით გეგმავს აქტიურ თანამშრომლობას სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რითაც წვლილს შეიტანს როგორც არსებული გამოწვევების დაძლევაში, ასევე, ორგანიზაციულ ზრდასა და განვითარებას. აღნიშნული მიზნის ფარგლებში უპირველეს ამოცანას წარმოადგენს INTOSAI-ს WGITA-ს (IT აუდიტის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი) გაერთიანებაში გაწევრიანება. აღნიშნული ჯგუფი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების

საერთაშორისო ორგანიზაციის მეერ ჩამოყალიბებულ ჯგუფს, რომლის მიზანიციაა IT აუდიტის განვითარება და ინოვაციების დანერგვა. აღნიშნულ ჯგუფში ინტეგრაცია სას—ს მსოფლიოს წამყვანი აუდიტორული ოფისების თანამედროვე და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას მისცემს. ამასთანავე, აუდიტის განვითარების მიზანია IT აუდიტის სფეროს განვითარებაში წვლილის შეტანა საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებში მონაწილეობის გზით. სას—ის მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფოს საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების განვითარებას, რისთვისაც პირველ ეტაპზე დაგეგმილია IT კითხვარების შემუშავება. აღნიშნული კითხვარები შესაძლებელს გახდის საჯარო სექტორში არსებული IT გარემოს, გამოწვევებისა და რისკების იდენტიფიცირას. ამასთანავე, კითხვარები საშუალებას მისცემს სას—ს ფინანსური, შესაბამისობის, ან ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების პროცესშივე მოახდინ უწყებებში არსებული IT გარემოს ზოგადი შესწავლა, რისკების იდენტიფიცირება და შემდგომი აუდიტის შესაბამისი მიმართულებით დაგეგმვა. გარდა ამისა, გარემოს ანალიზისა და რისკების იდენტიფიცირების შემდგომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულების ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებას მისცემს სას—ს მუდმივი მონიტორინგის გზით მოახდინოს არსებული რისკების განეიტრალება და შესაძლო საფრთხეების პრევენცია. საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალოების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ—ერთი მიზანია სახელმწიფო უწყებებში IT ინოვაციებისა შემუშავებისა და დანერგვის პროცესის მხარდაჭერა. ამ მიმართულებით სამსახურის ამოცანას წარმოადგენს აღნიშნული ინოვაციებისა და ახალი სერვისების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შესახებ გამართულ კონსულტაციებში მონაწილეობა და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.

დასკვნა

IT სიტემების განვითარებამ ხელი შეუწყო საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებში, რაც გამოიწვია აუდიტის ჩატარებისას საინფორმაციო სისტემების გამოყენების აუცილებლობა.სახელმწიფო აუდიტის სამსახური მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ამ სფეროს განსავითარებლად რაც დადებითად აისახება აუდიტის ჩატარების ხარისხზე.ელექტრონული დოკუმენტბრუნვაზე გადასვლა და ელექტრონული სერვისების განვითარებამ აუცილებელი გახადა აუდიტორების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება , რაც არსებითად ზრდის აუდიტის ხარისხს და ამცირებს აუდიტორულ რისკებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) http://sao.ge/files/chvens_shesaxeb/IT-strategy.pdf
2) Rs.ge
3) Федорова, Г.В. Информационные технологии Москва 2008
4) http://gaap.ru/articles/Sushnost-i-rol-auditorskih-uslug/
5) Международные стандарты аудита/Под ред. Ж.А. Кеворковой. – М.: Юрайт, 2014. – 464 с. – ISBN 978-5-9916-3086-3.

გადაწყვეტილების მიღების თავისებურებები ბიზნეს-პროცესების მართვის სფეროში

დალი სეხნიაშვილი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
თამარ აბუაშვილი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
დავით სიჭინავა,
სტუ-ს დოქტორანტი

Peculiarities of Decision Making in the Field of Business Process Management

Dali Sekhniashvili,
Associate Professor of GTU
Tamar Abuashvili,
Associate Professor of GTU
David Sichinava,
PhD student of GTU

Summary

The number of actors in the management process is determined by the management style, which is dominated by one or the other level of the company's management. There are many approaches to the influence on the management style of the decision making process.

The authors of the article describe the 4 style of decision-making: analytical, directive, conceptual and behavioral. The article is discussed in details basic factors: organizational, personal and informative factors affecting on the decision-making process.

Keywords: Decision making, business process management, management style

* * * * * * *

ინფორმაციულ საუკუნეში კომპანიებს კოლოსალური მოცულობის ინფორმაციასთან უწევთ მუშაობა და მისი რაოდენობა საოცარი სისწრაფით იზრდება. დღეს მრავალი ექსპერტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მსოფლიოში ინფორმაციის მოცულობის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მცირდება ადამიანების მიერ ინფორმაციის მართვის შეაძლებლობა, ხოლო ინფორმაციის მოცულობის ექსპონენციალური ზრდის შენარჩუნების პირობებში კი, შესაძლოა საქმე მივიდეს ადამიანის მიერ ინფორმაციის მართვის სრულ შეუძლებლობამდეც. [1] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არ შეუძლიათ უარი თქვან არასტრუქტურირებულ ინფორმაციასთან მუშაობაზე, ან არ გაითვალისწინონ ის საკუთარ საქმიანობაში. ასეთ სიტუაციაში უფრო მეტ აქტუალობას იძენს ისეთ ფორმატებში ინფორმაციასთან მუშაობის შედეგების წარდგენის შესაძლებლობა, რომლებიც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ყველაზე ეფექტური და დროული მმართველობითი გადაწყვეტილება. ასეთ სისტემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ განუსაზღვრელობის ან რისკის, საგანგებო სიტუაციების პირობებში გადაწყვეტილების მიღებისათვის, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იყოს შემჭიდროვებულ ვადებში ან არასრული მონაცემების ქონის პირობებში, ხოლო თვით გადაწყვეტილებას კი აქვს სერიოზული შედეგები როგორც ადამიანისეული კაპიტალის კეთილდღეობის, ასევე, კომპანიის ფინანსური სტაბილურობისათვის.

მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაძლოა მონაწილეობას იღებდეს როგორც ერთი გადაწყვეტილების მიმღები პირი, ასევე რამდენიმე აქტორიც, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი საქმიანობა მმართველობის სხვადასხვა დონეზე. ამასთან, ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის რეკომენდირებულია ამ პროცესში რამდენიმე აქტორის ჩართვა. ასე, მაგალითად, ი. მიტრიფი და ჰ. ლინსტოუნი აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირის პროფესიონალიზმისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის სიზუსტის მიუხედავად, ეს უკანასკნელი (გადაწყვეტილების მიღების პროცესი) ყოველთვის იქნება ამ პროცესში ჩართული აქტორის სუბიექტური პოზიციის დიდი გავლენის ქვეშ. [2] ამგვარად, რაც უფრო მცირე ოდენობის აქტორი იღებს მონაწილეობას მოცემულ პროცესში, მით უფრო ნაკლებად კომპლექსური იქნება მიღებული გადაწყვეტილება. ამგვარად, ყოველმხრიად ეფექტიანი გადაწყვეტილების მისაღებად, აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში რამდენიმე აქტორის ჩართვა და მათთვის ინფორმაციული დატვირთვის თანაბარი განაწილება.

აქვე გვინდა ავღნიშოთ, რომ აქტორების რაოდენობა, უპირატესად, მმართველობის იმ სტილით განისაზღვრება, რომელიც კომპანიის მართვის ამა თუ იმ დონეზე დომინირებს. არსებობს მრავალი მიდგომა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მართვის სტილის გავლენის შესახებ, თუმცა, ჩვენი კვლევის კონტექსტში უფრო მეტ ინტერესს იწვევს ა. როუს და ჯ. ბოულგარიდესის [3, გვ. 3-9] მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც შემდგომ ადაპტირებულ იქნა მ. მარტინსონის და რ. დევისონის [4; გვ. 284-300] მიერ. თეორია გადაწყვეტილების მიღების პროცესს განიხილავს განუსაზღვრელობისა და ინფორმაციული

დატვირთვის მოცულობის, ასევე კოგნიტიური პროცესის სირთულის გათვალისწინებით. გამოყოფენ გადაწყვეტილების მიღების 4 სტილს: ანალიტიკურს, დირექტიულს, კონცეპტუალურსა და ქცევითს.

სქემა 1. გადაწყვეტილების მიღების სტილი (შედგენილია ავტორების მიერ ა. როუს და ჯ. ბოულგარიდესის, მ. მარტინსონის, რ. დევისონის თეორიების საფუძველზე)

ანალიტიკური სტილი ხასიათდება განუსაზღვრელობისა და რისკის, ასევე მაღალი ინფორმაციული დატვირთვის პირობებისადმი ტოლერანტობის (მოთმინების) მაღალი დონით, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მეტად დაბალია. გადაწყვეტილების მიმღები პირის კოგნიტური თავისებურებებიდან ა. როუ და ჯ. ბოულგარიდესი გამოყოფენ ახალი მიღწევებისადმი სწრაფვას და შედგზე ორიენტაციას. ამასთან, პროცესის კოგნიტიური სირთულის მიუხედავად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დიდი მოცულობის ინფორმაციისა და ალტერნატივების ყოველმხრივ სისტემურ ანალიზსა და დეტალებს. თანაც, პროცესში აქტიურად ირთვება ინფორმაციის დამატებითი, ახალი წყაროები.

დირექტიული სტილი ორიენტირებულია იმ-ათზე, ვინც გადაწყვეტილებაში მიღებისას ხელმძღვანელობს ინფორმაციის მინიმალური მოცულობით, როგორც წესი, მხოლოდ დამუშავებული მონაცემებით და შინაგანი ინფორმაციით. ინფორმაციული დატვირთვა საკმაოდ დაბალია, რის გამოც გადაწყვეტილების მიღების სისწრაფეც მაღალია. ამასთან, გადაწყვეტილების მიმღები პირების კოგნიტური თავისებურებებიდან უნდა გამოვყოთ შემდეგი: ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამარტივება და შედეგზე ორიენტაცია, ამასთან დაკავშირებით, სულ უფრო ნაკლებად გაითვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე სხვა აქტორების პოზიციები.

კონცეპტუალური სტილი ხასიათდება გაურკვევლობისადმი ტოლერანტობის მაღალი ხარისხით, დიდი ინფორმაციული დატვირთვითა და კოგნიტური სირთულით, რადგანაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიმდინარეობს დიდი მოცულობის ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, განიხილება სხვადასხვა პოზიციები, ფასდება სხვადასხვა ალტერნატივები, განსაკუთრებით გრძელვადიანი დაგეგმვისას, ამასთან აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი სხვა აქტიორებიც. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ახასიათებთ ინტუიციური გადაწყვეტილებების მიღება და ახალი მიღწევებისადმი სწრაფვა.

ბიჰევიორალური (ქცევითი) სტილი გულისხმობს ჯგუფურ მუშაობას შედარებით დაბალი კოგნიტური სირთულით და გადაწყვეტილების მიღების პროცესის აქტორებს შორის ინფორმაციული დატვირთვის თანაბარი განაწილებით. ამასთან, გადაწყვეტილება, მნიშვნელოვანწილად, მიიღება სხვა აქტორებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. აქ, გარკვეულწილად, შეინიშნება გადაწყვეტილების ძლიერი დამოკიდებულება სხვების მოსაზრებებზე. კოგნიტური თავისებურებებიდან უნდა გამოვყოთ კომუნიკაციაზე ორიენტაცია და გადაწყვეტილების ძიების პროცესი კოლექტიური შრომის ფარგლებში.

მენეჯმენტის სხვადასხვა დონეზე, სიტუაციისა და მართვის სტილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების პროცესისადმი განსხვავებული მიდგომები გამოიყენება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ქმედებების თანამიმდევრობის და ეტაპების რაოდენობასაც. როგორც წესი, გამოიყენება კომპლექსური მრავალეტაპიანი ალგორითმები, თუმცა, ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ გადაწყვეტილების მიღების ეტაპის კომპლექსურობა განისაზღვრება არა ეტაპების რაოდენობით, არამედ გადაწყვეტილების მიმღების პირის მიერ განსახორციელებელი ქმედებების რაოდენობითა და შრომატევადობით. მაგ., ცნობილი მკვლევარი მ. მაკგრატი გამოყოფს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ორ ეტაპიან ალგორითმს, სადაც გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა განახორციელოს რიგი თანამიმდევრული ქმედებები (პირველ ეტაპზე მიმართულების, მიზნის განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღების კონტექსტისა და დროითი ჩარჩოების განსაზღვრა; მეორე ეტაპზე - განხილვა, ანალიზი, შეფასება, ალტერნატიული ვარიანტების არჩევა და უშუალოდ გადაწყვეტილების მიღება). ამასთან მ. მაკგრატი განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს სიტუაციის წინასწარ ანალიზს იმის განსაზღვრისათვის, თუ რისკენ იქნება მიმართული გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების მიღების მრავალეტაპობრივ ალგორითმებს შორის უნდა გამოვყოთ ცნობილი მეცნიერის რ. დაფტის მიერ შემოთავაზებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის პროცესის ტიპური ალგორითმი. აქ გამოყოფილია რვა ეტაპი და ისინი გაერთიანებულია სამ დიდ ბლოკში, კერძოდ: პრობლემის იდენტიფიკაცია, პრობლემის გადაწყვეტა და გადაწყვეტილების ეფექტიანობის შეფასება. პირველ ბლოკში შედის: გადაწყვეტილების მიღების გარემოს ანალიზი, პრობლემის იდენტიფიკაცია, მიზნების განსაზღვრა, პრობლემის დიაგნოსტიკა, მეორე ბლოკი მოიცავს: ალტერნატივების შემუშავებას, შეფასებას, არჩევას, გადაწყვეტილების მიღებას და რეალიზაციას. მესამე ბლოკში შედის: რეალიზაციაზე კონტროლი, უკუკავ-

შირის მიღება და გჰადაწყვეტილების ეფექტიანობის შეფასება.

ვფიქრობთ, რომ მმართველობითი გადაწყვეტილების პროცესზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები სამ დონედ შეიძლება დავყოთ: ორგანიზაციული, პიროვნული და ინფორმაციული.

ორგანიზაციული დონე მოიცავს გადაწყვეტილების მიღების პირობებს (განსაზღვრულობა, რისკი, განუსაზღვრელობა), შიდა და გარე გარემო, ეკონომიკური პირობები, ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, რესურსების არსებობა, მართვის დონე, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა.

პიროვნული დონე მოიცავს: გადაწყვეტილების მიმღები პირის მართვის სტილს, პიროვნულ თვისებებს და კომპეტენციებს (კომუნიკატიური, მმართველობითი, ანალიტიკური უნარები, ინიციატივიანობა, ინფორმაციასთან მუშაობის უნარი), პასუხისმგებლობის დონე.

ინფორმაციული დონე მოიცავს გადაწყვეტილების მიმღები პირის ხელთ არსებულ ინფორმაციას, ინფორმაციის დამატებით წყაროებთან მუშაობის აუცილებლობას, მიღებული ინფორმაციის რაოდენობას და ხარისხს, ინფორმაციის სტრუქტურირების ხარისხს და ინფორმაციის ფორმალიზებულობას.

ყურადღებას ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ ბოლო წლებში უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სწორედ ინფორმაციული დონის ფაქტორები. მაგ., 2012 წელს International Data Corporation მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, „ციფრული ინფორმაციის მოცულობა გაორმაგდება ყოველ 2 წელში“ . ინფორმაციული ნაკადის მსგავსი გადიდება არსებით გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე და აყალიბებს სრულიად ახალ კონტექსტს, უწინარეს ყოვლისა, კომპანიებში გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის მეთოდებზე. ჩნდება ისეთი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გამოყენების აუცილებლობა, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციების მიერ მონაცემების ეფექტიან შეგროვებას, ხარისხიან ანალიზს და ინფორმაციის წარდგენას, ხოლო გადაწყვეტილების მიმღებ პირს მისცემს საშუალებას დაძლიოს ინფორმაციული გადატვირთვის და მმართველობითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემები. აქვე ავღნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, ინფორმაციული გადატვირთვის ცნების ქვეშ გვულისხმობთ პროცესს, რომლის დროსაც შემოსული (მიღებული) ინფორმაციის მოცულობა და ხარისხი აღემატება ადამიანის უნარს, გადაამუშაოს ის მოთხოვნად პერიოდში.

ინფორმაციული გადატვირთვის მიზეზია სრულიად ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინფორმაციის ძირითადი წყაროების მრავალფეროვნება: ინტერნეტი, ინტრანეტი, მონაცემთა ბაზები, მონაცემთა საცავები, ექსტრანეტი, ელექტრონული ფოსტა და სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს როგორც შიდა წყაროებიდან (ე-მაილ (პირადი, დეპარტამენტების), განცხადებები, ანგარიშები, ბრძანებები, საბუღალტრო დოკუმენტები, ოქმები) და გარე წყაროებიდან (ანალიტიკური მასალები, ფაქსი, ელ-ფოსტა, სარეკლამო პროდუქცია).

გადაწყვეტილების მიმღები პირის მუშაობისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყველა ამ წყაროდან მიღებული ინფორმაციის მოცულობა, მისი გადაცემის სიჩქარე და აღქმის/დამუშავების დრო.

გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიმღები პირის ფსიქოფიზიკური მდგომარეობაც. კერძოდ, მკვლევარები ჯ. იაკობი, ნ. მალჰოთრა და ჯ. მაიერი გამოყოფენ გადაწყვეტილების მიმღები პირის მუშაობაში ფსიქოფიზიკური მდგომარეობის შემდეგ ნეგატიურ ცვლილებებს: სტრესი, დაბნეულობა, პანიკა და შფოთვა, შრომისუნარიანობის დაქვეითება და გადაწყვეტილების მიმღები პირის გადაჭარბებული გაღიზიანებადობა. თუ დროულად არ შემცირდა ინფორმაციული, კოგნიტური დატვირთვის დონე, ფსიქოფიზიკური დატვირთვა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ნეგატიურად აისახება მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ამ გარემოებას ადასტურებს მ. სტოქსის და ა. ჰარელის, ასევე, ს. შპეიერის, ჯ. ვალაკიჩის და ი. ვესის კვლევები, სადაც დადასტურებულია, რომ მიუხედავად შეგროვილი და დამუშავებული ინფორმაციის ხარისხისა და მოცულობისა, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების ეტაპის წარმატებით განხორციელებისა, ინფორმაციული გადატვირთვა, ნებისმიერ შემთხვევაში, რომელიმე ეტაპზე მაინც გამოიწვევს მიღებული გადაწყვეტილების ხარისხის დაქვეითებას. ვფიქრობთ, რომ ინფორმაციული გადატვირთვის წარმოქმნის ფაქტორები შესაძლოა 4 კატეგორიად დაიყოს: ინფორმაციული, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული, ინდივიდუალური და ტექნოლოგიური.

ინფორმაციულ ფაქტორებად ითვლება ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ინფორმაციის მახასიათებლებთან (მისი მოცულობა, სტრუქტურირება, ხარისხი, ფორმალიზების დონე, აქტუალობა, სანდოობა და სხვ.). ცნობილი მეცნიერები ჩ. სიმპსონი და ლ. პრუსაკი თვლიან, რომ ინფორმაციის სიზუსტის, გასაგებობის, ლოგიკურობის, ლაკონურობისა და სისტემურობის ამაღლებით შესაძლებელია ინფორმაციის დამუშავების სიჩქარისა და ეფექტიანობის გაზრდა.

ინდივიდუალური ფაქტორები მოიცავს გადაწყვეტილების მიმღები პირის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მის შესაძლებლობებს: მიიღოს, აღიქვას, დაამუშავოს, წარადგინოს და გადასცეს ინფორმაცია. ამასთან, ჯ. იაკობი, ჯ. გელბრეიტი, ჰ. საიმონი და სხვები აღნიშნავენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო გადაწყვეტილების მიმღები პირის უნარს გადაამუშაოს ინფორმაცია, არამედ მის გამოცდილებას, კომპეტენციას და მოტივაციასაც.

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ კატეგორიაში შედის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის სტრუქტურასთან, ორგანიზაციული

პროცესის დაგეგმვასთან, მართვის დომინირებულ სტილთან, მართვის დონესთან, დროებით შეზღუდვებთან, მენეჯერის დატვირთვასთან. ინფორმაციული გადატვირთვა შეიზლება გამოიწვიოს საქმიანობის კონტექსტის ხშირმა ცვლილებებმა, მაგალითად, თუ მენეჯერები ხშირად მუსაობენ ერთდროულად რამდენიმე მიმართულებაზე, უძღვებიან რამდენიმე პროექტს ან მუშაობას უთავსებენ სხვა საქმიანობას.

ტექნოლოგიური მიმართულება მოიცავს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და მათი გამოყენების თავისებურებებთან (აქტუალობა, გამოყენების მოხერხებულობა, საიმედოობა, აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლურობა) ფაქტორებს. უნდა აღვნიშნოთ ახალი ტექნოლოგიების გავლენას ადამიანის ინფორმაციულ დატვირთვაზე ორმაგი ბუნება აქვთ. ერთი მხრივ, ახალი ტექნოლოგიები მნიშვნელოვანწილად ამარტივებენ ინფორმაციის ანალიზსა და დამუშავებას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ქმნიან პლატფორმას ახალი ინფორმაციის შექმნისათვის.

ინდივიდუალური ფაქტორები, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია მენეჯერის ცოდნასთან, უნარებთან, კომპეტენციასა და გამოცდილებასთან. ამ დონეზე ინფორმაციული გადატვირთვის დაძლევის ყველაზე ეფეტური ღონისძიებებია ტრენინგები და პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება გადაწყვეტილების მიმღები პირის ინფორმაციული მომზადებულობის, წიგნიერების ამაღლებაზე, ინფორმაციასთან მუშაობის უნარების ამაღლებაზე, თაიმმენეჯმენტის ეფექტური მეთოდების შესწავლაზე, მათ შორის პერსონალური ინფორმაციის მართვის წესების შესწავლაზე.

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ დონეზე ინფორმაციული გადატვირთვის თავიდან არიდების ეფექტური ღონისძიებებია: სამუშაო პროცესების ორგანიზაციის მეთოდები, მუშაობისთვის კეთილსასურველი ატმოსფეროს, გარემოს შექმნა, მართის შესატყვისი სტილის შერჩევა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მეთოდიკები, რომლებიც კოლექტიურ საქმიანობაზეა მიმართული, რადგან დამატებითი აქტორების მოზიდვა საშუალებას იძლევა განაწილდეს და შემცირდეს ინფორმაციული დატვირთვა, თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ დამატებითი აქტორების ჩართვა, პირიქით, ზრდის ინფორმაციულ დატვირთვას გადაწყვეტილების მიმღებ პირზე. მიუხედავად ამისა, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მრავალ შემთხვევაში მსგავსი მეთოდიკები არის ინფორმაციული გადატვირთვის დაძლევის საკმაოდ ეფექტური საშუალება. ისინი საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას ექსპერტთან ურთიერთქმედება და კონსულტაციები ინფორმაციის გადამუშავების თაობაზე, შუამავლების მონაწილეობა ფასილიტაციისათვის, მუშაობის პროცესის მოდერაცია, ასევე სხვა ინსტრუმენტების გამოყენება კოლექტიური მუშაობისათვის. მაგალითად, ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული ხდება ბიზნეს პროცესების გეიმფიკაციის მეთოდები. მაგალითად ა. დიქსითის და ბ. ნეილბაფის მიერ შემუშავებული მოდელი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის წარდგენას თამაშის სახით.

რეალურ ცხოვრებაში ინფორმაციული გადატვირთვის მიზეზები სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა იყოს სხვადასხვა ფაქტორების მთელი კომპლექსი. ამასთან, ინფორმაციული გადატვირთვის თავიდან აცილების მეთოდების ეფექტურობაც შესაძლოა იცვლებოდეს სწორედ სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ კვლავინდებურად სტაბილური რჩება მოთხოვნა ისეთ ხარისხიან ინსტრუმენტულ-ტექნოლოგიურ გადაწყვეტებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ეფექტიან ინფორმაციულ-ფუნქციურ მხარდაჭერას მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дзялошинский И.М. Доклад заведующего научно-учебной лабораторией исследований в области бизнескоммуникаций НИУ ВШЭ, http://opec.ru/1736536.html. ukanasknelad iqna gadamowmebuli 15.08.2016
2. Mitroff I.I., Linstone H. A. The unbounded mind. Oxford: Oxford University Press, 1993.
3. Martinsons M.G., Davison R. M. Strategic decision making and support systems: Comparing American, Japanese and Chinese management, Decision Support Systems. 2007.

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება ეკონომიკური სწავლების პროცესში

ტარიელ კიკვაძე, *სტუ-ს პროფესორი*
დავით გეგია, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების ამოცანათა ფართო კლასის გადასაწყვეტად და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების ჩვევების გამოსამუშავებლად წარმატებით გამოიყენება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდები და შესაბამისი გამოყენებითი პროგრამების პაკეტები. აქედან გამომდინარე, ჩანს რაოდენ აქტუალურია მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება როგორც ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ასევე საინჟინრო სფეროებში. ამის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

თანამედროვე ეკონომიკური განათლების მიღება და სტუდენტების მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე. სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება აძლიერებს მოცემული დისციპლინის შესწავლის მოტივაციას, რაც ხელს უწყობს შესასწავლი მასალის ეფექტურ ათვისებას.

სტატიაში გაანალიზებულია ინტერაქტიული სწავლების სამი ტიპი. მოყვანილია ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებაზე დაფუძნებული ლაბორატორიული სამუშაოების საკმაოდ ფართო სპექტრი, რომლებიც ინტერაქტიულ რეჟიმში დანერგილია და დანერგვის ეტაპზეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტში.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, ინტერაქტიული მეთოდები, მათემატიკური მოდელები, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება.

Summary

For the purposes of economic analysis and wide variety of prognosis needed in taking range of effective managerial decisions the practice of using economic-mathematic modelling methods become utmost handy. After the careful consideration of this matter, it becomes more than obvious that the preparation of the capable specialists in economic or business or engineering fields becomes essential. Without such studies the sustainable development of the country becomes impossible.

The educational process of students and teaching the practice of incorporating professional skills depends absolutely on the efficiency of learning process. The interactive methods used in the learning process, will make sure the efficiency of the educational process which will therefore enhance the ability of the students grasping the very best of the educational program.

The article analyzes three methods of interactive learning. It offers the wide variety of economic-mathematical modelling practices which are being implemented interactively in economic engineering department of the Georgian Technical university.

Keywords: motivation, interactive methods, mathematical modelling, economic-mathematical modelling.

* * * * * *

როგორც ეკონომიკაში, ისე ბიზნესში ანალიზისა და პროგნოზირების თეორიულ ბაზასა და პრაქტიკულ ინსტრუმენტს მათემატიკური მოდელირება წარმოადგენს. მოდელირების პროცესში, პირველ ყოვლისა, ძირითადი სირთულე რეალობის ადეკვატური მათემატიკური მოდელების აგებაში მდგომარეობს და არა იმ აუცილებელ გათვლებში, რომელიც მათი საშუალებით უნდა განხორციელდეს.

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოება განიცდის კონკურენტუნარიანი და მაღალი კვალიფიკაციის ახალგაზრდა სპეციალისტების მწვავე დეფიციტს აღნიშნულ სფეროში, რადგანაც უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების მიერ მიღებული ეკონომიკური განათლება ხშირად რეალობისაგან მოწყვეტილ, თეორიულ ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მთავარი აქცენტი გაკეთდეს სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდების დანერგვის საფუძველზე, რაც სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ხვედრითი წილის მნიშვნელოვან გაზრდას გულისხმობს.

იტერაქტიული მეთოდების გამოყენება აძლიერებს მოცემული დისციპლინის შესწავლის მოტივაციას, რაც ხელს უწყობს შესასწავლი მასალის ეფექტურ ათვისებას. გარდა ამისა, სწავლების შედეგები მაქსიმალურად უახლოვდება პრაქტიკული საქმიანობის სფეროებს, სტუდენტები იძენენ გუნდთან ერთად მუშაობის უნარ-ჩვევებს.

სწავლების ინტერაქტიული მეთოდი გულისხმობს ურთიერთობებს არა მხოლოდ სტუდენტებსა და მასწავლებელს, არამედ უშუალოდ სტუდენტებს შორისაც. მასწავლებლის როლი ამ დროს მდგომარეობს სტუდენტების მუშაობის მიმართულების განსაზ-

ღვრასა და კონტროლში სასწავლო მიზნების მისაღწევად. ასეთი მეთოდების გამოყენებისას ხორციელდება რეალური ცხოვრებისეული და პროფესიული სიტუაციების მოდელირება, პრობლემების გადაწყვეტის გზების ერთობლივი ძიება, სტუდენტი აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროცესში, გამოიმუშავებს საკუთარ სასწავლო სტრატეგიას.

სადღეისოდ მეცნიერები და პედაგოგები გამოყოფენ ინტერაქტიული სწავლების სამ ტიპს.

პირველი ტიპი ემყარებას სტუდენტისა და სასწავლო დისციპლინის ურთიერთობას. იგულისხმება, რომ ამ დროს სტუდენტი ზრდის თავისი ინტელექტუალური განვითარების დონეს "თავის თავთან ურთიერთობის" გზით სახელმძღვანელოდან, ლექციებიდან თუ ტელეგადაცემებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ამისათვის მას უნდა გააჩნდეს სასწავლო აუდიო და ვიდეო საშუალებები, კომპიუტერული პროგრამები და ტექსტები. სწავლების ეს ტიპი, თავისი არსით, არ გულისხმობს სტუდენტისა და მასწავლებლის ურთიერთობას.

ინტერაქტიული სწავლების მეორე ტიპი კი სტუდენტისა და მასწავლებლის მჭიდრო ურთიერთობას გულისხმობს. მასწავლებელი სასწავლო დისციპლინის პროგრამის შესაბამისად ხელს უწყობს სტუდენტს შესასწავლი მასალის ათვისების მოტივაციის ამაღლებაში. სტუდენტი სწავლობს ინფორმაციულ მასალას, რომელშიაც ასახულია მიღებული ცოდნის გამოყენების ხერხები, გარკვეულ მიდგომებს მოდელირებისადმი. შემდგომ, მასწავლებელი ქმნის სიტუაციას, რომელშიაც სტუდენტს საშუალება ეძლევა დამოუკიდებლად გამოიყენოს მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარ-ჩვევები. სასწავლო პროცესის ეფექტურობის განსაზღვრისა და აუცილებლობის შემთხვევაში მასში კორექტივების შეტანის მიზნით მასწავლებელი აფასებს სტუდენტების მუშაობას, საჭიროებისამებრ მასწავლებელმა შეიძლება გაუწიოს დახმარება სტუდენტებს მათი მომზადების დონის გათვალისწინებით.

სწავლების ამ ფორმის პირობებში სტუდენტს თვითონ შეუძლია გამოიმუშავოს საგნის შესწავლის საუკეთესო სტრატეგია მასწავლებლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებელი უნდა ურთიერთობდეს თითოეულ სტუდენტთან. ეს მას საშუალებას მისცემს განსაზღვროს სტუდენთა მოტივაციის ხარისხი, დროულად აღმოფხვრას მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მასალის ათვისებას. პედაგოგის როლი განსაკუთრებით აქტუალურია სტუდენტის მიერ ახალი ცოდნის მიღების გამოყენების შეფასების ეტაპზე, შესასწავლი დისციპლინის გაცნობა და საკუთარი მოტივაციის განსაზღვრა სტუდენტს მასწავლებლისაგან დამოუკიდებლადაც შეუძლია, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად კი მას დახმარება ესაჭიროება.

ინტერაქტიული მეთოდის მესამე ნაირსახეობის გამოყენებისას სტუდენტი ურთიერთობს ჯგუფთან მასწავლებელთან ერთად, ან მის გარეშე. სტუდენტის სწავლება ჯგუფში მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც ბიზნესის სფეროში აუცილებელია ეფექტური ურთიერთობები ჯგუფურ პროექტებში.

არსებობს ინტერაქტიური სწავლების სხვადასხვა მეთოდი, ისეთები, როგორიცაა დისკუსიები, დებატები, მრგვალი მაგიდები, ცასე-სტუდყ, საქმიანი თამაშები, მასტერ-კლასები და ა.შ.

ეკონომიკური განათლების სრულყოფის მიზნით ინტრეაქტიული სწავლების დანერგვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში. კერძოდ, საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტში ფუნქციონირება დაიწყო ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიამ, რომელშიც დამუშავდა და სასწავლო პროცესში დაინერგა რიგი ლაბორატორიული სამუშაოებისა.

მრავალფეროვანია სპექტრი მათემატიკური მეთოდებისა და მოდელებისა, რომელთაც ეფუძნება ზემოაღნიშნული ლაბორატორიული სამუშაოები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია წრფივი პროგრამირების მეთოდზე, როგორც მათემატიკური პროგრამირების ყველაზე უკეთ შესწავლილ ნაწილზე. დამუშავებულია ამოცანებიც, რომლებშიც გამოიყენება დინამიკური და არაწრფივი პროგრამირების მეთოდები. გარდა ამისა, გამოყენებულია იმიტაციური მოდელირებისა და მატრიცული თამაშების შესაძლებლობებიც.

ქვემოთ მოგვყავს არასრული ჩამონათვალი იმ ამოცანებისა რომლებიც დანერგილია და დანერგვის ეტაპზეა სასწავლო პროცესში:

- წრფივი პროგრამირების ამოცანის ამოხსნა გრაფიკული ხერხით;
- ღია და დახურული ტიპის ტრანსპორტული ამოცანები;
- პარეტოს სიმრავლის ფორმირების ამოცანა;
- ოპტიმალური კაპიტალდაბანდების ამოცანა დინამიკური პროგრამირების მეთოდის გამოყენებით;
- მოხმარების ნეოკლასიკური ამოცანა ლაგრანჟის მეთოდის გამოყენებით;
- ფირმის მაქსიმალური მოგების მიღების ამოცანა, რომელიც შეესაბამება წარმოების ოპტიმალურ მოცულობას;
- ოპტიმალური ფასწარმოქმნის ამოცანები;
- დარგთაშორისი (ლეონტიევის) მატერიალური ბალანსის ცხრილის აგების ამოცანები;
- ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანები რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში ვალდის, ჰურვიცის, სევიჯის, ლაპლასისა და სხვა კრიტერიუმების გამოყენებით;
- მატრიცული თამაშების გამოყენებითი ამოცანები;
- ექსპერტული შეფასებების ამოცანები (ჯამური რანგების მეთოდი, უმრავლესობის წესი და სხვ.);
- მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებითი ამოცანები;

- მოთხოვნის მოდელირებისა და მარაგების მართვის ამოცანები;
- მასობრივი მომსახურების ამოცანები;
- ქსელური დაგეგმვისა და მართვის ამოცანები;
- წყვილური და მრავლობითი რეგრესიის მოდელების აგების ამოცანები;
- ნდობის ინტერვალების აგებისა და ჰიპოთეზათა სტატისტიკური შემოწმების ამოცანები;
- დროითი მწკრივების ანალიზის ამოცანები.

ლაბორატორიული სამუშაოები ტარდება ინტერაქტიულ რეჟიმში. ამასთან, სასწავლო პროცესში გამოიყენება ინტერაქტივის ზემოაღწერილი სამივე ტიპი.

ლაბორატორიის ბაზაზე შესაძლებელია გარკვეული კომერციული მოტივაციების არსებობაც უკვე შემუშავებული მოდელების ადაპტირებისათვის ან ახალი მოდელების შესაქმნელად.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღწერილ სასწავლო-სამეცნიერო მეთოდიკებსა და ტექნოლოგიებს თვისობრივად ახალ დონეზე შეუძლია აიყვანოს ეკონომიკური და ბიზნეს-დისციპლინების სწავლების პროცესი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტ. კიკვაძე, თ. ბერიძე. ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები. სახელმძღვანელო,"ტექნიკური უნივერსიტეტი", 173 გვ, თბილისი, 2009.
2. ტ. კიკვაძე, თ. ბერიძე. ეკონომეტრიკის საფუძვლები. სახელმძღვანელო, "ტექნიკური უნივერსიტეტი", 194 გვ, თბილისი, 2011.
3. ტ. კიკვაძე, დ. გეგია. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდები სახელმძღვანელო,"ტექნიკური უნივერსიტეტი", 200 გვ, თბილისი, 2016.
4. Активные и интерактивные формы проведения занятий при подготовке бакалавров сферы обслуживания: учебно-методическое пособие.- М.: Издатель Степаненко, 152 с, 2011.
5. Гура В.В., Турик Л.А., Терновая И. П. и др. Интерактивные технологии обучения в подготовке социальных педагогов/под. Ред. В. В. Гуры.- Таганрог: Изд-во Таганрог, гос. пед. Ин-та, 108 с, 2010.
6. Кларин М. В. Инновации в мировой педагогике: обучение на основе исследования, игры и дискуссии (Анализ зарубежного опыта). Рига: НПЦ «Эксперимент», 158 с, 2011.

ინფორმაციული სისტემების როლი ფინანსურ აღრიცხვასა და კონტროლში

მალხაზ სულაშვილი,
ინჟინერიის აკადემიური დოქტორი, სტუ
იაშა მურვანიძე,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

დღეს ისე, როგორც არასდროს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებულობა გასაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რადგან XXI საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკა და მთელი კაცობრიობა მენეჯმენტის სფეროში მოელის სერიოზულ ცვლილებებს. ახალი ინფორმაციული რევოლუცია უკვე მიმდინარეობს ბიზნესში და დაიწყო ბიზნესისათვის აუცილებელი ინფორმაციით. როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები აღნიშნავენ, ის უეჭველად შეეხება ყველა საზოგადოებრივ ინსტიტუტს, ის რადიკალურად შეცვლის აზრს, რომელსაც ცნება „ინფორმაციაში" დებდნენ საწარმოები და ცალკეული თანამშრომლები. დღეს რევოლუციური ცვლილებები მიმდინარეობს არა ტექნოლოგიაში, არამედ კონცეფციებში. თუ დღევანდლამდე ინფორმაციული ტექნოლოგიის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა: მონაცემების შეგროვება, შენახვა, გადაცემა და წარდგენა, ახალმა ინფორმაციულმა რევოლუციამ სიმძიმის ცენტრი გადაიტანა ინფორმაციის ხარისხზე. აქედან გამომდინარე ახალი ინფორმაციული რევოლუციის დედააზრია — ინფორმაციის მნიშვნელობა და დანიშნულება, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიის სრულყოფას ანიჭებს, რათა მაქსიმალურად ამაღლდეს პირველადი აღრიცხვის მონაცემთა ოპერატიულობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფა, სამართლებრივი უზრუნველყოფა, ტექნიკური უზრუნველყოფა.

Роль информационной системы в учёте финансов и контроля

Резюме

Сегодня, как никогда, организация бухгалтерского учёта приобретает особенную актуальность, т.к. в XXIвеке мировая экономика и всё человечество в сфере менеджмента ждёт серьёзные перемены. Новая информационная революция уже происходит в бизнесе и началась для бизнеса обязательной информацией. Как отмечают учёные мирового значения, это обязательно каснётся всех общественных институтов. Это радикально изменит смысл, когда понятие «в информации» давали производители и отдельные сотрудники. Сегодня революционные изменения происходят не в технологии, а в концепциях. Если до сих пор информационные технологии в основном представляли задачу: сбор данных, хранение, передача и предоставление, то новая информационная революция центр тяжести перенесла на качество информации. Отсюда смысл новой информационной революции – значение и назначение информации это то, что особое значение присваивается методологии бухгалтерского учёта, т.к. максимально повышается оперативность, соответствие, надёжность и сравнение первичных сведений учёта.

* * * * * *

როცა 40-იანი წ. ბოლოსა და 50-იანი წ. დასაწყისში კომერციულ ორგანიზაციებში პირველად გამოჩდა ელექტრონული გამომთვლელი მანქანა (ეგმ), პრაქტიკულად თავში არავის მოსვლია, სხვადასხვა მანქანებს შორის, გაენაწილებინა მონაცემების დამუშავება. მომხმარებლები გახარებულები იყვნენ, რომ მანქანებმა მათ ააცილეს თავიდან ხელით ინფორმაციის დამღლელი დამუშავება. გამოთვლითი ტექნიკის განვითარების შესაბამისად გაჩნდა ერთ ან რამდენიმე კომპიუტერზე სხვადასხვა დავალებების შესრულების შესაძლებლობა და მონაცემთა გადაცემა ერთი დანართიდან მეორეში, რაც წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იყო. 80-იან წლებში პერსონალური კომპიუტერების გამოჩენამ პატარა კომპანიებს, რომელთაც არ გააჩნიათ მაღალკვალიფიციური მმართველობითი და ტექნიკური პერსონალი, მათ აღრიცხვის წარმოებისა და მონაცემთა დამუშავების საშუალება მისცა. პროგრამული უზრუნველყოფის ამ კატეგორიის მომხმარებელთათვის შეიქმნა ახალი, კომერციული ტიპის დანართები, რამდენიმე სხვადასხვა ფუნქციის მაინტეგრირებელი - ინფორმაციული სისტემები, რომელიც რამდენიმე კერძო დანართს ერთხელ შეყვანილი მონაცემების მანიპულირების საშუალებას აძლევდა. ინფორმაციული სისტემა ობიექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გადაცემისა და დამუშავების საკომუნიკაციო საშუალებების ერთობლიობას წარმოადგენს. ინფორმაციული სისტემების დანერგვა საწარმოებისა და ფირმების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტურების ამაღლების მიზნით ხორციელდება შემდეგი გზით:

. რუტინული ინფორმაციის დამუშავება და შენახვა;

. საოფისე სამუშაოების ავტომატიზაცია;

. გადაწყვეტილებების მიღებისას ფირმის სპე-

ციალისტების მოქმედებების მოდელირებაზე დაფუძნებული, მართვის პრინციპულად ახალი მეთოდების გამოყენება (ხელოვნური ინტელექტის, საექსპერტო სისტემების და ა.შ. მეთოდები);

ტელეკომუნიკაციების თანამედროვე საშუალებების (ელექტრონული ფოსტა, ტელე-კონფერენციები), გლობალური და ლოკალური გამოთვლითი ქსელების და ა.შ. გამოყენება.

მონაცემთა დამუშავების ამოცანები უზრუნველყოფენ ჩვეულებრივ რუტინულ დამუშავებასა და ინფორმაციის შენახვას (რეგულარული ან მოთხოვნითი) შეჯამებული ინფორმაციის გაცემის მიზნით, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს ობიექტის მართვისთვის. ხელოვნური ინტელექტის მეთოდები (ალგორითმები) აუცილებელია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვე-ტილების მღების დროს. თანამედროვე ცნება პერსონალური კომპიუტერის გამოყენებას გულისხმობს ინფორმაციის გადამუშავების ძირითადი ტექნიკური საშუალების დარგში. მსხვილ ორგანიზაციებში ინფორმაციულ სისტემებში ტექნიკურ ბაზად შეიძლება გამოყენებული იქნეს მეინფრეიმი და სუპერკომპიუტერი. ამას გარდა, ინფორმაციული სისტემების ტექნიკური განსახიერება თავის თავად არაფერს წარმოადგენს, თუ არ იქნება გათვალისწინებული ადამიანის როლი, რომლისთვისაც განკუთვნილია წარმოებული ინფორმაცია და რომლის გარეშეც შეუძლებელია მისი მიღება და წარდგენა[1].

ინფორმაციულმა სისტემებმა შეიძლება იმუშაონ შემდეგ ძირითად რეჟიმში: საპაკეტო რეჟიმი, ინტერაქტიური რეჟიმი, დროის რეალური მასშტაბის საპაკეტო რეჟიმისთვის დამახა¬სია¬თებელია ის, რომ დამუშავების შედეგები გადაეცემათ მომხმარებლებს ეგრეთ წოდებული დავალებათა პაკეტების შესრულების შემდეგ. ასეთი საპაკეტო რეჟიმის სისტემების მაგალითებია სტატისტიკური ანგარიშგების, საგადასახადო ინსპექცი¬ების, საანგარიშო-სალაროს ცენტრების, ბანკების და ა.შ. სისტემები. ასეთი რეჟიმის ნაკლია მომხმარებლის ინფორმაციის დამუშავების პროცესისგან განკერძოებულობა, რაც ამცირებს მმართველობით გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობას[2].

საპაკეტო რეჟიმის ძირითდ ნაკლს შემდეგი გარემოებები წარმოადგენენ: ინფორმაციის მომხმარებელი განკერძოებულია მისი დამუშავების პროცესისაგან, ამიტომაც შეიძლება გაჩნდეს ეჭვი საწყისი მონაცემების სისწორეში და (ან) ანგარიშებში ეცემა მიღებული გადაწყვეტილებების ოპერატიულობა ანგარიშების შესაძლო შეფერხებასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია ეგრეთწოდებული დავალების „პაკეტირებით“.

ინტერაქტიურ (დიალოგურ) რეჟიმში მუშაობისას ხდება შეტყობინებათა გაცვლა მომხმარებელსა და სისტემას შორის. მომხმარებლის მოთხოვნების შედეგების გააზრების შემდეგ შეყავს სისტემაში მიღებული გადაწყვეტილებები შემდგომი დამუშავებისთვის. დიალოგური რეჟიმი საჭიროა მრავალვარიანტული ლოგიკის მქონე მართველობითი ამოცანების გადაწყვეტისთვის, როდესაც მომხმარებელს შეუძლია გადაწყვეტის ყველაზე პერსპექტიული ვარიანტის განსაზღვრა.

რეალური დროის რეჟიმი გამოიყენება სწრაფად მიმდინარე პროცესების სამართავად, მაგალითად, SWIFT-ის ტიპის გლობალურ საერთაშორისო ქსელებში საბანკო ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების, აგრეთვე უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესების სამართავად.

ეკონომიკაში, გამოყენების სფეროს მიხედვით ინფორმაციული სისტემები შემდეგი სახით იყოფა:

- საბანკო ინფორმაციული სისტემები;
- საბუღალტრო ინფორმაციული სისტემები;
- სტატისტიკური ინფორმაციული სისტემები;
- საფონდო ბაზრის ინფორმაციული სისტემები;
- საწარმოს (ფირმის)ინფორმაციული სისტემები

და სხვა.

ინფორმაციული სისტემების უზრუნველყოფის ნაწილი შედგება უზრუნველ-ყოფის შემდეგი სახეებისაგან:

1) ინფორმაციული უზრუნველყოფა,
2) პროგრამული უზრუნველყოფა,
3) ტექნიკური უზრუნველყოფა,
4) სამართლებრივი უზრუნველყოფა,
5) ლინგვისტური უზრუნველყოფა.

ინფორმაციული უზრუნველყოფა წარმოადგენს ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ერთიანი სიტემის, დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემის, ორგანიზაციაში მოძრავი ინფორმაციული ნაკადების სქემების და მონაცემთა ბაზების შექმნის მეთოდოლოგიის ერთობლიობას. ინფორმაციული უზრუნველყოფის ქვესისტემის დანიშნუ¬ლებაა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის დროული ფორმირება და გაცემა.

პროგრამული უზრუნველყოფა - ეს პროგრამული საშუალებების ერთობლიობაა ინფორმაციული სისტემების შექმნისა და ექსპლუატაციისათვის.

ტექნიკური უზრუნველყოფა - წარმოადგენს ტექნიკური საშუალებების კომპლექსს, რომელიც გამოიყენება ინფორმაციული სისტემების ფუნქციონირებისათვის.

სამართლებრივი უზრუნველყოფა - წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც ინფორმაციული სისტემების შექმნისა და ფუნქციონირების რეგლამენტირებას ახდენს. ისინი მოიცავენ დამკვეთისა და ინფორმაციული სისტემების დამამუშავებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთდამოკი¬დებულების ნორმატიულ აქტებს. სამართლებრივი უზრუნველყოფა დაირთავს დოკუმენტისთვის იურიდიული ძალის მინიჭებას, რომელიც მიღებულია გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, ურთიერთობების სამართლებრივი დარეგულირების საშუალებები, პერსონალური უფლება, მოვალეობა და პასუხისმგებლობა (მათ შორის ინფორმაციის

დროულობა და დამუშავების სიზუსტე), ინფორმაციის გამოყენების წესები, დავების გადაწყვეტის წესი მის უტყუარობასთან დაკავშირებით და სხვა.

ლინგვისტური უზრუნველყოფა - წარმოადგენს ენობრივი საშუალებების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება ინფორმაციული სისტემების შექმნისა და ექსპლუატაციის სხვადასხვა სტადიაზე დამუშავების ეფექტურობის ასამაღლებლად ადამიანის და ეგმ ურთიერთობის უზრუნველყოფისთვის.

ვინაიდან ორგანიზაციაში არსებობს სხვადასხვა ინტერესები, განსაკუთრებულობები და დონეები, არსებობენ ინფორმაციული სისტემების სხვადასხვა სახეები. არც ერთ სისტემას არ შეუძლია სრულად უზრუნველყოს ორგანიზაციის მოთხოვნები ყველა ინფორმაციასთან დაკავშირებით. ინფორმაციული სისტემების სახეები, რომლებიც საფუძვად უდევს ორგანიზაციას: სტრატეგიული, მმართველობითი, ცოდნა და ექსპლუატაციური, შემდეგში იყოფა ფუნქციონალურ დარგებად გაყიდვისა და მარკეტინგის, წარმოების, ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ადამიანური რესურსების სახით. სისტემები იქმნება, რათა ემსახურონ ამ სხვადასხვა ორგანიზაციულ ინტერესებს.

სხვადასხვა ორგანიზაციული დონეები ემსახურებიან საინფორმაციო სისტემების ოთხ მთავარ ტიპს: სისტემები ექსპლუატაციური დონითა და სწავლების დონით, მართვის დონის სისტემები და სისტემები სტრატეგიული დონით[3].

ექსპლუატაციური დონის სისტემები ეხმარებიან ოპერაციების მმართველებს, თვალს ადევნებენ ორგანიზაციის ელემენტარულ მოქმედებებს, ისეთი როგორიცაა გაყიდვა, გადახდა, დეპოზიტის განაღდება, გადახდის უწყისი, ახდენენ გადაწყვეტილებისა და მასალების ნაკადის კრედიტირებას ფაბრიკაში. ამ დონეზე სისტემის ძირითადი მიზანია ტრანსაქციების ნაკადის გატარება ორგანიზაციის გავლით. იმისათვის, რომ პასუხი გასცეს ამ სახის კითხვებს, ინფორმაცია უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი, ოპერატიული და ზუსტი.

ცოდნის დონის სისტემები ხელს უწყობენ ორგანიზაციაში მომუშავეებსა და მონაცემთა გადამამუშავებლებს. ცოდნის დონის სისტემების მიზანია, დაეხმაროს საქმიან ფირმას განახორციელოს ახალი ცოდნის ინტეგრირება ბიზნესში და დაეხმაროს ორგანიზაციას დოკუმენტების ნაკადის მართვაში.

მართვის დონის სისტემები შემუშავებულია, რათა ემსახუროს საშუალო მენეჯერების კონტროლს, მართვას, გადაწყვეტილების მიღებასა და ადმინისტრაციულ ქმედებებს. ისინი განსაზღვრავენ კარგად მუშაობენ თუ არა ობიექტები და პერიოდულად ატყობინებენ ამის შესახებ მაგალითად, მართვის სისტემა გადაადგილებებით ატყობი¬ნებს საქონლის საერთო რაოდენობის გადაადგილების, სავაჭრო განყოფილებისა და კომპანიის ყველა განყოფილებაში მომსახურეებისთვის დანახარჯის დაფინანსების თანაბარი მუშაობის შესახებ, იმის აღნიშვნით თუ სად აღემატება ფაქტიური გასავალი ბიუჯეტს. მართვის დონის ზოგიერთი სისტემა მხარს უჭერს გადაწყვეტილების უჩვეულო მიღებას. მათ გააჩნიათ კონცენტრაციის მოხდენის ტენდენცია ნაკლებ სტრუქტურულ გადაწყვეტილებებზე, რომელთათვისაც საინფორმა¬ციო მოთხოვნები ყოველთვის არ არის ნათელი. ეს სისტემები ხშირად პასუხობენ კითხვებს: „რა იქნება თუ?“ რა მოუვა საწარმო კალენდარულ გეგმას, თუ ჩვენ გავაორმაგებთ გაყიდვას დეკემბერში? რა მოუვა ჩვენს დივიდენდებს, თუ გადახდის გადავადება მოხდება ექვსი თვით? ამ კითხვებზე პასუხებს ხშირად ითხოვენ. ახალ მონაცემებს ორგანიზაციის გარე ან მონაცემებს შიგნიდან, რომელთა მიღებაც არ ხდება ექსპლუატაციური დონის მქონე სისტემებიდან[4].

სტრატეგიული დონის სისტემები ეს დამხმარე ინსტრუმენტია მაღალი დონის ხელმძღვანელთათვის, რომლებიც ამზადებენ სტრატეგიულ კვლევებს და ხანგრძლივ ტრენდებს ფირმასა და საქმიან გარემოში. მათი ძირითადი დანიშნულებაა მოიყვანონ შესაბამისობაში ცვლილებები ექსპლუატაციის პირობებში არსებულ ორგანიზაციულ შესაძლებლობებთან როგორი იქნება დასაქმების დონე ხუთი წლის შემდეგ? როგორია ხანგრძლივი საწარმო ფინანსური ტრენდები და სად არის აღმავლობა და ვარდნა? როგორი ნაწარმი უნდა ვაწარმოოთ ხუთი წლის შემდეგ?

ინფორმაციული სისტემები შეიძლება ასევე იყოს დიფერენცირებული ფუნქციონალური სახით. მთავარი ორგანიზაციული ფუნქციების, გაყიდვისა და მარკეტინგის, წარმოების, ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ადამიანური რესურსების მსგავსის, მომსახურება ხდება საკუთარი ინფორმაციული სისტემებით. დიდ ორგანიზაციებში თითოეული ამ მთავარი ფუნქციის ქვეფუნქციას ასევე გააჩნია საკუთარი ინფორმაციული სისტემები. მაგალითად, წარმოების ფუნქციას შეიძლება გააჩნდეს მარაგების მართვის, პროცესების მართვის, ქარხნების მომსახურების, ავტომატიზირებული დამუშავებისა და მოთხოვნების მატერიალური დაგეგმარების სისტემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ფაილოძე, ჯ. ალანია, ზ. ლიპარტია, ვ. კეკენაძე, ო. ხუციშვილი, გ. სულაშვილი. საბუღალტრო საქმე, ტ. I, მესამე გამოცემა, (თეორია, ფინანსური აღრიცხვა), თბილისი: სტუ, 2013წ. გვ.360;
2. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბილისი ,28 ოქტომბერი 1994 წელი;
3. სურგულაძე გ., ურშაძე ბ. საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება. თბილისი, 2014;
4. არუთინოვი ე .საინფორმაციო სისტემები საწარმოს მართვაში. თბილისი, 2013.;
5. Хохлов А. Е.“Экономические и бухгалтерские информационные системы”;
6. Ильина О.П. Информационные технологии бухгалтерского учета: Учебник. СПб.: Питер, 2002. — 688 с.;
7. www.mrdi.gov.ge;
8. www.geostat.ge.

ხმის ამომცნობი სისტემების აგების მაგალითები

კონსტანტინე კამკამიძე, *სტუ-ს პროფესორი*
ალექსანდრე მელაძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

დღეს დღეისობით, ხმის ამომცნობი სისტემები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამინის ცხოვრებაში. ასეთი სისტემები არის ძალიან მოსახერხებელი, ბევრი ადამიანი (ჩემი ჩათვლით) ტექსტს წერენ მსგავსი სისტემებით. მისი გამოყენება საკმაოდ მარტივია, შენ ესაუბრები მიკროფონს და ტექსტი იწერება ავტომატურად. როცა ვწერთ თეზიზს ან მსგავს დიდ ტექსტს, მსგავსი სიტემები ძალიან გვეხმარება, იმიტომ რომ ისინი გამორიცხავენ შეცდომებს და ასევე არიან პროგრესულები, ლექსიკონი რომელზეც სისტემაა დაყრდნობილია ყოველწუთას იზრდება და ვითარდება.

საკვანძო სიტყვები: ხმის ამომცნობი სისტემები, ციფრული სიგნალი, ანალოგური სიგნალი, ხმა, ტექსტი, კონვერტაცია, მოდელირება, ანალიზი.

Summary

Voice recognition software is fantastic and many people like me could not write (or work) without it. In fact when it works it is pure magic. You simply talk into the microphone and the words appear on the screen in front of you. Hands free. Amazing! When you're writing a thesis or a long article it really comes into its own, because it progressively learns the vocabulary and expressions of the project and error is minimal.

Keywords: Speech recognition systems, Digital signal, Analog signal, Voice, Text.

ძირითადი ტექსტი

ტექსტის ამოცნობა ერთერთი ყველაზე კომპლექსური და რთულ პრობლემას წარმოადგენდა. რადგან ის დამოკიდებულია ენის გრამატიკაზე, მის ლინგვისტურ მახასიათებლებზე და ცოდნაზე, რომლის შექმნა კომპიუტერული ტექნიკისთვის საკმაოდ რთულია. ასეთი სისტემის შესაქმნა მოითხოვს საკმაოდ გამოცდილ ლინგვისტებს, მათემატიკოსების და პროგრამისტების ჩართულობას.

სისტემის ასაგებად ჩვენი მთავარი მიზანია :

1) შევქმნათ სისტემა რომელიც ავტომატურად გადმოიყვანს ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვას(ანალოგურ სიგნალს), კომპიუტერულ სიგნალში(ციფრულ სიგნალში).

2) მიღებული სიგნალი გადავიყვანოთ ტექსტში

3) მიღებული ტექსტით, მოვძებნოთ არსებულ ლექსიკონში, შესაბამისი ტექსტი

4) ნაპოვნი ტექსტის მიხედვით მივიღოთ გადაწყვეტილება



რატომაა ასეთი რთული ტექსტის ამომცნობის შექმნა ?

1) ნებისმიერ ენას აქვს საკმაოდ დიდი რაოდენობის სიტყვები. ადამიანს რომელის ტვინსაც შეუძლია მრავალი ოპერაციის გაკეთება, მასაც კი საკმაო დრო სჭირდება რომ ენა შეისწავლოს .

2) როდესაც ადამიანები საუბრობენ ქუჩაში ან ერთდროულად, არის საკმაოდ დიდი ხმაური, ეს დიდი პრობლემას უქმნის სიტყვების აღქმას. ამ პრობლემას მეცნიერები უწოდებენ „კოქტეილის წვეულების(cocktail party)" პრობლემას.

3) როდესაც ადამიანები საუბრობენ სწრაფად , ისინი ერთმანეთის მიყოლებით ამბებენ სიტყვებს, ძალიან რთულია გაიგო როდის დამთავრდა ერთი წინადადება და დაიწყო მეორე.

4) ყველა ადამიანს აქვს უნიკალური ხმა, ასევე ხმა ყოველთვის იცვლება ზრდასთან ერთად, პერიოდულად. როგორ ხვდება ჩვენი ტვინი ყველა ადამიანის ნათქვამს ? (მაგალითად ბურთს აქვს ერთიდაიგივე მნიშვნელობა, ამას იტყვის 10 წლის ბავში თუ 60 წლის მამაკაცი)

არსებობს რამოდენიმე მიდგომა, რომელიც შეიმუშავეს მეცნიერებმა, რის საშუალებითაც შესაძლებელია ტექსტის ამოცნობა, თითოეული მათგანი დანერგილია სხვადასხვა სისტემებში ესენია:

1) მარტივი ნიმუშის დამთხვევა(Simple pattern matching)

2) ნიმუშის და ლექსიკონის ანალიზი (Pattern and feature analysis)

3) ენის მოდელირება და სტატიკური ანალიზი (Language modeling and statistical analysis)

4) ხელოვნური ნეირონული ქსელი

გავნიხილოთ თითოეული მათგანი:

მარტივი ნიმუშის დამთხვევა (Simple pattern matching)

ეს მეთოდი არის ყველაზე მარტივი მიდგომა. ამ შემთხვევაში უბრალოდ გვაქვს ძალიან მცირედი ბაზა(ლექსიკონი), და ხდება უბრალოდ შედარება . ანალოგური სიგნალი გადადის ციფრულ სიგნალში ,

ბაზაში გვაქვს მცირედი ლექსიკონი არსებული ციფრული სიგნალების და ხდება უბრალო დადარება .

ნიმუშის და ლექსიკონის ანალიზი (Pattern and feature analysis)

ასეთი სისტემები არიან საკმაოდ მდგრადი რადგან მათ აქვთ საკმაოდ მცირედი ლექსიკონი. ასეთ მარტივ ლექსიკონში შესაბამისობის პოვნაც საკმაოდ მარტივია. ასეთი სისტემები ადრე გამოიყენებოდა სხვადასხვა სფეროებში, სამედიცინო, პროგრამულ და ა.შ. ისინი ძირითადად ასრულებდნენ ბრძანებებს. თუმცა საკმაოდ მოუხერხებელია ასეთი სისტემის არსებობა. ვინ მოიხმარს თუ ყიდვის დროს უნდა დაასწავლო სისტემას ყველა მოსალოდნელი სიტყვა რასაც წარმოვთქვამთ ?

ტექსტის ამოცნობის პროცესი

ტექსტის ამომცნობი სისტემა უსმენს სიტყვების ნაწილს რომელიც შემოდის მიკროფონიდან. პირველი ეტაპია რომ მან ანალოგური სიგნალი გადაიყვანოს ციფრულ სიგნალში, ყოველი სიტყვა გადაყავს და ახდენს მთლიანი წინადადების დიგიტიზაციას(ქმნის სპექტოგრამებს) იხ.სურ.2



სურ.2. სპექტოგრამა

სურ.2 ზე მოცემული სამი სახის გრაფი. ჩაწერილია სიტყვა „გამარჯობა“ 3 ინტენსივობით 5-10 წამის სხვაობით. პირველ ეტაპზე შედარებით დაბალ ხმაზე, მეორე ცდაზე უფრო ხმამაღლა მარა შედარებით ნელი ტემპით, მესამე შემთხვევაში ხმამაღლა. შესაბამისად გრაფიკი გვაჩვენებს ჰორიზონტალურ ღერძს რომელიც არის დრო თუ რამდენი ხანი იწერებოდა. ვერტიკალური ღერძი აჩვენებს სიმაღლეს ქვევიდან-ზემოთ. ფერი აჩვენებს ენერგიის ზომას, რაც უფრო ხმამაღლაა ჩაწერილი უფრო ენერგიულია და დიდი მაჩვენებელია. მოცემული გრაფიკით შეგვიძლია ავაგოთ სიტყვის ანალოგი და ჩვენს არსებულ ბაზაში არსებულ ანალოგებს დავადაროთ. ზუსტად დამთხვევის შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ ადამინიც კი ვინ ჩაწერა. ეს მიდგომა საკმაოდ გავრცელებულია ბანკებში სადაც ავტორიზაციას ხმის მიხედვით ატარებენ. მომხმარებელი როდესაც რეკავს ის წინასწარ ჩაწერილ სიტყვას იმეორებს ტელეფონში და მისი ვალიდურობა დასტურდება .

სტატიკური ანალიზი

მოყვანილი მეთოდების მიუხედავად მთავარი პრობლემა მაინც რჩება. როგორ ახდენს ადამიანი სხვადასხვა ადამიანის მიერ , ერთიდაიგივე სიტყვის გაანალიზებას ? ერთიდაიგივე სიტყვას მილიონობით ადამიანი სხვანაირად გადმოსცემს. თვითონ ერთი კონკრეტული ადამიანიც კი ერთ სიტყვას პერიოდულად სხვადასხვანაირად ამბობს. ასევე თუ ჩვენ ჩავწერთ დიდ ლექსიკონს, ეს ასევე გაგვიზრდის ერთნაირი სიტყვების მოხვედრის ალბათობას. მაგალითად ინგლისურ ენაში როდესაც ვამბობთ „to'' რა იგულისხმება ამ მომენტში, სიტყვა “to” ან „too“ ან „two” , ეს პრობლემა დიდი ხნის მანძილზე აწუხებდათ მეცნიერებს . საბოლოოდ მივიდნენ დასკვნამდე რომ უნდა შეექმნათ გარამტიკული მოდელი. სადაც შეტანილი იქნებოდა ყველა ის ნიუანსი რასაც ენის გარამატიკა მოიცავდა, ესენია ზმნის ხმარების წესები თო მაკავშირებელი სიტყვები. ყველა ის წესი რაც ასე ვთქვათ რაღაც ლოგიკურ „ფორმულაში“ ჯდება .

ხელოვნური ნეირონული ქსელი

ადამიანს დროთაგანმავლობაში ეცვლება ხმა, შეიძლება გაცივდეს, ამ დროს სისმტემამ მაინც უნდა გაიგოს მისი საუბარი. ადამიანის ტვინს შეუძლია ძალიან სწრაფად მოახდინოს ადამიანის გაგება. ეს პრობლემა ამოუხსნელი რჩებოდა სანამ რუსმა მათემატიკოსმა Andrey Markov-მა 1970 წელს აღმოაჩინა მიდგომა, რომელსაც ეწოდა Hidden Markov Model(HMM) , რომლის საშუალებით შეძლეს ეს პრობლემა გარკვეულწილად მოეგვარებინათ. HMM ყოველი ახალი მიდგომისთვის ის აკეთებს ახალ ანალიზს, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ის სწავლობს და აცნობიერებს სიტყვის აგების ზუსტ სპექტოგრამს. რაც უფრო მეტი ადამიანი იღებს მონაწილეობას და წერს ერთიდაიგივე სიტყვას მით უფრო ზუსტია HMM-ის მიღებული შედეგი .

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Speech and Language Processing: An Introduction to Natural Language Processing, Computational Linguistics, and Speech Recognition by Daniel Jurafsky, James Martin. Prentice Hall
2. Voice Recognition by Richard L. Klevans and Robert D. Rodman. Artech House, 1997. A short introduction to the science of voice recognition.
3. Statistical Methods for Speech Recognition by Frederick Jelinek. MIT Press, 1997.
4. Fundamentals of Speech Recognition by Lawrence R. Rabiner and Biing-Hwang Juang.
5. Speech Recognition: Invited Papers Presented at the 1974 IEEE Symposium by D. R. Reddy (ed).
6. A sound start for speech tech: by LJ Rich. BBC News, 15 May 2009. Cambridge University's Dr Tony Robinson talks us through the science of voice recognition.

ახალი ენერგო სიმძლავრეების ეფექტიანობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში

დავით ბაქანიძე, *სტუ-ს დოქტორანტი*
გურამ ამყოლაძე, *სტუ-ს პროფესორი*

New Energy Capacity Factor of the Country's eEconomic Cevelopment

Davit Bakanidze, Phd student of Gtu
Guram Amkoladze, Professor of Gtu

Summary

Theme reflects the hydro potential energy-resources and consumption situation in our country. Theme expedites about the hydroelectric power stations that are built and repaired in the last 15 years, alternative energy sources, current hydro projects and new wired connections with neighbor countries. Mentioned the new substation project of Akhaltsikhe, that is linking the country's energy system to Turkey's energy system and its construction was made possible energy exports to Turkey. Discussed about the new capacity with its technical specifications, a new substations that should include in the distribution system with the necessity of the projects. Such energy development that we have in last 15 years in Georgia have never been before. It is inherent, the small and mini hydropower renovation and new construction, the example may be Nabeghlavi HEPP in Guria. Also , there are many planted projects, which are going the geological research in this stage. According to all of the above-mentioned, we can say that the country aims for energy independence. That can reflect at country's economy. Will be reduced a big indicator of employment and there will be a great demand for the technical educated people. Such kind of energy development we can be the sustainable energy exporter country.

* * * * * *

ქვეყანაში არსებული 26 ათასი მდინარის ჰიდროენერგიის პოტენციალიდან მხოლოდ 20 % მდეა გამოყენებული. ვართ ენერგიის იმპორტიორი ქვეყანა, როცა ამხელა ჰიდროენერგიის პოტენციალის პირობებში უნდა ვიყოთ ექსპორტიორები. გამოყენებული სიმძლავრეები არის მოძველებური და არასტაბილური მისი ამორტიზირებული მდგომარეობით. მაგრამ უკვე წლებია საქართველოს ენერგეტიკა ახალ აღმავლობას განიცდის.

ბოლო 15 წლის განმავლობაში დაიწყო ქვეყნის ჰიდროენერგიის პოტენციალის გამოყენება ახალი სიმძლავრეების ასაშენებლად და ძველი სიმძლავრეების გასარემონტებლად. დარგის ასაღორძინებლად მოწვეულია ინვესტორები და ენერგეტიკა გახდა დღესდღეისობით წარმატებული ბიზნეს და ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი სფერო. ბოლო 15 წლის განმავლობაში ბევრი ინვესტიციები შემოვიდა: ჩინეთიდან, თურქეთიდან ავსტრალიიდან, ნორვეგიიდან, ინდოეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. აშენდა რამდენიმე თბო სადგური, რომლის ექსპლუატაცია მარტივია ძველ თბოელექტრო სადგურებთან შედარებით. მაგ. გარდაბნის გაზოტურბინები, გარდაბნის ახალი თბოელექტრო სადგური და ტყიბულის თბოელექტრო სადგური.

ყურადღება ექცევა ალტერნატიული ენერგიის გამოყენებას დაწყებულია ქარის ელექტრო სადგურის მშენებლობა და მიმდინარეობს რამდენიმე პროექტის განხილვა მზის ელექტრო სადგურის მშენებლობის თაობაზე.

ყურადსაღებია აგრეთვე ინვესტიციების ჩადება ძველი ჰიდროელექტრო სადგურების გასარემონტებლად. სწორი და ახალი დაპროექტების შემთხვევაში მოხდა ძველი სიმძლავრეების გაზრდა. სხვადასხვა რეგიონებში გარემონტდა და ახალი სიმძლავრეებით შევიდა ექსპლუატაციაში: რიცეული ჰესი, ალაზანი ჰესი 1, ტირიფონი ჰესი, იგოეთი ჰესი, რუსთავი ჰესი და სხვა. ჩატარდა ქვესადგურების რემონტი და მონტაჟ-გაწყობითი სამუშაოები. შეიცვალა საკომუტაციო მოწყობილობები და ახალი ტექნოლოგიებით შევიდა ექსპლუატაციაში დარგის დიდი ქვესადგურები: დიდუბე 220, კოხრა, ლისი 220, ქსანი 500 და სხვა. შესრულდა სისტემის უსაფრთხოების (სარელეო დაცვის) ძველი მოწყობილობების ახლით შეცვლის სტრატეგია. GES-მა მისი ყველა ქვესადგური აღჭურვა ციფრული მოწყობილობებით, რომელმაც ჩაანაცვლა მექანიკური მოწყობილობები. ,,ენერგო პრო ჯორჯია" დაიწყო არსებული ძველი კომუტაციის შეცვლა ახლით, რაც ნამდვილად მისასალმებელია. სს ,,თელასის" მფლობელობაში არსებული თითქმის ყველა 40-ვე ქვესადგურიში უახლესი აპარატურაა დამონტაჟებული და მისი ექსპლუატაცია ხდება კომპიუტერული ტექნოლოგიებით.

რაც შეეხება მშენებლობას. დღევანდელი დღის გადმოსახედიდან საქართველოში შეიძლება ითქვას ჰიდროენერგიის პოტენციალის გამოყენების ბუმია. მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, შენდება ჰესები და რამოდენიმე მათგანი უკვე შესულია ექსპლუატაციაში. მაგ: ფარავნი ჰესი 87 მგვტ, ალაზანი ჰესი 2 — 6 მგვტ, რაჭა ჰესი-7 მგვტ, ხადორი ჰესი 2-8,5 მგვტ, ლარსი ჰესი-19 მგვტ, ფშაველა ჰესი-0.5 მგვტ, ლოპოტა ჰესი-2 მგვტ, ოკამი-1,6 მგვტ , ახმეტა ჰესი-9,5 მგვტ, მარნეული ჰესი-2 მგვტ და სხვა.

მიმდინარეობს საინვესტიციო პროექტების განხორციელება შემდეგ ჰესებზე: კირნათი ჰესი-51,25 მგვტ, ხელვაჩაური ჰესი 1-47,48 მგვტ, შუახევი ჰესი-187 მგვტ, კინტრიშა ჰესი - 5 მგვტ, შაქშაქეთი ჰესი

-1.5 მგვტ, ქარის ელ სადგური-20,7 მგვტ, მტკვარი ჰესი-53 მგვტ და სხვა. სულ ქვეყანას 2020 წლისათვის შეემატება 1878 მგვტ ელ. ენერგია და 6 247 გვტ. სთ ელ.ენერგიის გამომუშავება.

რაც შეეხება გადაცემის შესაძლებლობებს. აშენდა ახალი სატრანზიტო ქვესადგური ახალციხე თურქეთთან, კერძოდ ბორჩხას ქვესადგურთან დამაკავშირებელი 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზი და ახალციხის ქვესადგური „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის" პროექტის ფარგლებში აშენდა. ქვესადგურში მუდმივი დენის ჩანართი (Back to Back) დამონტაჟდა, განხორციელდა ახალციხის, ზესტაფონისა და გარდაბნის ქვესადგურების ურთიერთმაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების "ვარძია 500" და "ზეკარი 500" მშენებლობა/რეაბილიტაცია.

პროექტი "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" და მისმა შვილობილმა კომპანიამ "ენერგოტრანსი" განახორციელა: ახალციხის ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოები "SIEMENS-Austria"-მ შეასრულა, მუდმივი დენის ჩანართის მონტაჟი – „SIEMENS-Germany"-მ, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა/რეაბილიტაცია კი – ინდურმა კომპანია KEC International-მა.

ახალი გადამცემი ხაზისა და ქვესადგურის ოპერირებას „ენერგოტრანსი" განახორციელებს.

„შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის" პროექტის საინვესტიციო ღირებულება 300 მლნ ევროს შეადგენს. აქედან, ახალციხის 500/400/220 კვ ქვესადგურის მშენებლობასა და მუდმივი დენის ჩანართის მონტაჟზე 158,8 მლნ ევრო დაიხარჯა. პროექტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა და საქართველოს მთავრობამ დააფინანსეს: მათ შორის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)80 მლნ ევრო; ევროპის საინვესტიციო ბანკი — 80 მლნ ევრო; გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) —100 მლნ ევრო; საქართველოს მთავრობა —53 მლნ ევრო და NIF–ის(ევროკავშირი) გრანტი— 8 მლნ ევრო.

პროექტის განხორციელების სამუშაოები 2010 წლის 1 სექტემბერს დაიწყო, ხოლო 2013 წლის აპრილში დასრულდა. მუდმივი დენის ჩანართის (HVDC) ტესტირება მიმდინარე წლის ნოემბერის ბოლოს დამთავრდა.

საქართველო პირველი ქვეყანაა კავკასიის რეგიონში, სადაც მუდმივი დენის ჩანართი დამონტაჟდა. მსოფლიოში რამდენიმე ქვეყნის ენერგოსისტემებში გამოყენებულია ანალოგიური ტიპის ჩანართი (HVDC). მუდმივი ძაბვის თითოეულ ჩანართში შედის გამმართველი და ინვერტორული სადგურები, რომლებზეც 500 კვ ცვლადი დენი გარდაიქმნება მუდმივ დენად, ხოლო შემდეგ კვლავ ცვლად, მაგრამ უკვე 400 კვ ძაბვის დენად, რომელიც მიეწოდება თურქეთს.

ახალი გადამცემი ხაზი თურქეთთან ერთიან ენერგეტიკულ სისტემას შექმნის, ამასთან თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში ელექტროენერგიის საექსპორტო შესაძლებლობებს გაზრდის.ასევე, უზრუნველყოფს საქართველოს ენერგოინფრასტრუქტურის განვითარებას, ქვეყნის ენერგოსისტემის მუშაობის მდგრადობას; სამხრეთ საქართველოს რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების ისაიმედობის გაუმჯობესებას; ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის ეფექტიანად განხორციელებას; ელექტროენერგიის დანაკარების მნიშვნელოვან შემცირებას.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თანერ ილდიზმა, აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრმა ნატიკ ალიევმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას ახალი ინტერკონექციის გახსნის შესახებ (500/400/220 კილოვოლტიანი ახალციხის ქვესადგური და 400 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი „ახალციხე-ბორჩხა".

გარდა ამისა, TEIAS-ის ხელმძღვანელმა ქემალ ილდირმა და „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" რეაბილიტაციის მმართველმა სულხან ზუმბურიძემ ხელი მოაწერეს შეხვედრის ოქმს - თურქეთისა და საქართველოს ენეგოსისტემებს შორის შემდგომი ინტერკონექციის დაგეგმვის შესახებ.

ქვესადგურ ახალციხესთან მიერთებულ იქნა ახალი ჰიდრო ელექტრო სადგური ფარავანი ჰესი-87 მგვტ სიმძლავრით. მისი წლიური გამომუშავება შეადგენს 420 მლნ კვტ.სთ. ჰესის სათავე ნაგებობა განთავსებული მდინარე ფარავანზე და 14 კმ-იანი გვირაბით და 418 მ დაწნევით წყლის მიწოდება ხდება ფრენსისის ტიპის 2 ცალ ტურბინაზე. გენერატორები ბლოკურად არის ტრანსფორმატორებთან მიერთებული რომელთა სიმძლავრეა 52 მვა. ელ ენერგიის გადაცემა ხდება გ/ხ ფარავანი 220-ით ახალციხის ქვესადგურში. ფარავანი ჰესი ელ. ენერგიის გადაცემას ახდენს როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის საზღვრებს გარეთ. გაფორმებული ხელშეკრულებებით ხდება დაბალანსება ექსპორტირებულ და ქვეყნის შიგნით გადაცემულ ელ. ენერგიაზე. გარკვეული თანამშრომლობის შედეგად GES და ფარავანჰესის მფლობელი კომპანია ,,საქართველო ურბან ენერჯი" კონტრაქტით გათვალისწინებულ თვეებში, ახდენენ უწყვეტ ექსპორტს თურქეთის რესპუბლიკასთან. რაც ორივე მხარისთვის მისაღებია.

სისტემასთან კავშირში ახალციხის ქვესადგურით შევა აგრეთვე მტკვარი ჰესი - 53 მგვტ. „მტკვარი ჰესის" პროექტი სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვარზე ხორციელდება. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა $113 მლნ ამერიკულ დოლარს უტოლდება. ჯამური დადგმული სიმძლავრე 53 მგვტ-ია, ხოლო ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 255 მლნ კვტ.სთ. „მტკვარი ჰესის" ექსპლუატაციაში შესვლა 3 წელიწადში იგეგმება. პროექტში ინვესტიციას საქართველოს თანაინვესტირების ფონდი ახორციელებს.

,,მტკვარი ჰესის" პროექტი გაჩერებული იყო ფინანსური პრობლემების გამო, სახელმწიფოს მხრიდან

და საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით მოხდა მისი განახლება და დაგეგმილია მისი ექსპლუატაცია 2019 წელს დაიწყოს.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში დაგეგმილია აგრეთვე 3 ჰესის მშენებლობა: აბული ჰესი, არაკალი ჰესი და ახალქალაქი ჰესი.

აბული ჰესი-22.2 მგვტ მდინარე ფარავანზე. ახალქალაქის რაიონში. 116,2 მლნ კვტ.სთ ელ.ენერგიის გამომუშავებით. დაგეგმილი პროექტიდან გამომდინარე ჰესის დაწნევა იქნება 184 მ. დამონტაჟდება 2 ცალი სამფაზა სინქრონული გენერატორი 12 მგვტ სიმძლავრით თითოეული. 34,5 კვ-იანი გადამცემი ხაზის სიგრძე იქნება 2 კმ. წყლის ხარჯი 17 მ3/წმ. ინვესტიცია შეადგენს 50 მლნ-მდე დოლარს. მისი ტარიფი გათვალისწინებულია 7.5 ცენტი/კვტსთ.

არაკალი ჰესი-17,5 მგვტ მდინარე ფარავანზე. ახალქალაქის რაიონში. 96,22 მლნ კვტ.სთ გამომუშავებით. დაგეგმილი პროექტიდან გამომდინარე ჰესის დაწნევა იქნება 89 მ. დამონტაჟდება 2 ცალი სამფაზა სინქრონული გენერატორი 8,5 მგვტ სიმძლავრით თითოეული. 34,5 კვ-იანი გადამცემი ხაზის სიგრძე იქნება 5 კმ. წყლის ხარჯი 24 მ3/წმ. ინვესტიცია შეადგენს 39 მლნ-მდე დოლარს. მისი ტარიფი გათვალისწინებულია 7.5 ცენტი/კვტსთ

ახალქალაქი ჰესი-15 მგვტ მდინარე ფარავანზე და კორხის წყალზე. ახალქალაქის რაიონში. 85 მლნ კვტ. სთ გამომუშავებით. დაგეგმილი პროექტიდან გამომდინარე ჰესის დაწნევა იქნება 70 მ. დამონტაჟდება 2 ცალი სამფაზა სინქრონული გენერატორი 7,3 მგვტ სიმძლავრით თითოეული. 34,5 კვ-იანი გადამცელი ხაზის სიგრძე იქნება 4,5 კმ. წყლის ხარჯი 25 მ3/წმ. ინვესტიცია შეადგენს 25,5 მლნ-მდე დოლარს. მისი საექსპორტო ტარიფი გათვალისწინებულია 8,0 ცენტი/კვტსთ.

მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში 3 ჰესის გაშვებაა დაგეგმილი, — კინტრიშა ჰესის, ქართლის ქარის ელექტროსადგურისა და სკურდიდის ჰესების ამუშავება მიმდინარე წლის ბოლოს იგეგმება.

ჰესის ექპლუატაციაში შესვლა იგეგმება მომდევნო წელს. აქედან ორი, — რაჩხა ჰესი და ლუხუნი ჰესი 2 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება და მომდევნო წელს ექსპლუატაციაში გაეშვება, მდინარე ჭოროხზე მდებარე ჰესები, — კორნათი ჰესი და ხელვაჩაური ჰესი 1. მიმდინარე წლის ბოლოს იგეგმება დარიალი ჰესის მშენებლობის დასრულებაც, რომელიც მდინარე თერგზე მდებარეობს, ჰესის საინვესტიციო ღირებულება 105 მილიონ დოლარს შეადგენს, სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 108. მგვტ. იქნება. ჰესი ექპლუატაციაში მომდევნო წლის დასაწყისში შევა. კახეთში, მდინარე ჩელთიზე მდებარე, შილდა ჰესი 1-ის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში შესვლა 2017 წელს იგეგმება. მომავალ წელს დასრულდება საგურამო ჰესის და კასლეთი ჰესი 2-ის მშენებლობაც, რომელიც სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში მდებარეობს.

ამ ეტაპზე ლიცენზირების ეტაპზე იმყოფება, ხუდონ ჰესიც, რომლის მშენებელი კომპანია "ტრანს ელექტრიკა ჯორჯიაა". ჰესი მდინარე ენგურზე უნდა აშენდეს, მისი დადგმული სიმძლავრე 702 მეგავატი იქნება, წლიური გამომუშავება კი 1,5 მლრდ კვტ.სთ.

უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება ქვესადგურის „ხორგა" მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პროექტი. ეს იქნება მდგრადი, ტექნიკურად დახვეწილი და ენერგეტიკული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც სამომავლოდ ფოთის ინდუსტრიული ზონის ელექტროენერგიით მომარაგებას განახორციელებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ელექტროენერგიის დივერსიფიცირებაში.

პროექტის განხორციელების შედეგად, შესაძლებელი გახდება პოტენციურ საექსპორტო ბაზართან დაკავშირება, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას განახორციელოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში.

ამ ეტაპზე, ხორგის ქვესადგურში დასასრულს უახლოვდება პირველადი მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები. თებერვლის თვეში, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ექსპლოატაციის და ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციის ჯგუფების მიერ, დასრულდება „პალიატომი-2"-ის ხორგას ქვესადგურში შეჭრის სამუშაოები.

პარალელურ რეჟიმში განხორციელდება ელექტროგადამცემი ხაზების: „ხორგა-1,2" და „ფოთი-1,2" შესვლა ქვესადგურში „ხორგა". ელექტროგადამცემ ხაზზე შეიცვლება ოპტიკის ნაწილიც. სამუშაოების დასრულება თებერვლის ბოლომდეა დაგეგმილი. ქვესადგურის მშენებლობას კონტრაქტორი კომპანია "Siemens Austria" ახორციელებს. პროექტი სრულად 2016 წლის პირველ ნახევარში დასრულდება.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებით მიმდინარე „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის" ფარგლებში, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" მარნეულის რეგიონში, ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 500 კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობას იწყებს.

ახალი ქვესადგური არსებულ, 220/110 კვ ქვესადგურს „მარნეული" 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით დაუკავშირდება, რომელსაც სსე საკუთარი ძალებით აშენებს. 500 კვ ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოებს თურქული კომპანია "ბესტი" განახორციელებს. ქვესადგურის დადგმული სიმძლავრე 660 მეგავოლტამპერი იქნება. პროექტის ღირებულება 20 მილიონ აშშ. დოლარს შეადგენს. პროექტი 2016 წლის მეორე ნახევარში დასრულდება.

ამჟამად საქართველოში ლიცენზირებისა და მშენებლობის ეტაპზე 27 ჰიდროელექტროსადგურია. მათი სავარაუდო ჯამური საინვესტიციო ღირებულება, 3,231 მილიარდი დოლარია, სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 1,878 მგვტ-ი, სავარაუდო წლიური გამომუშავება კი, 6,247 გვტ.სთ.

ამრიგად ქვეყანაში მიმდინარეობს ენერგო რესურსების გამოყენება და ელ ენერგიის გამო-

მუშავების მაჩვენებელი წლიდან წლამდე მატულობს. ექსპლუატაციაში შედის ახალი სადგურები და ქვეყნის ენერგო სტრუქტურა უფრო და უფრო მდგრადი ხდება. ხორციელდება ექსპორტები სხვადასხვა მეზობელ ქვეყნებთან და მომხმარებლების დაკმაყოფილება ელ. ენერგიით ძირითადად აღარ არის დამოკიდებული იმპორტზე. 2015 წლის მონაცემებით საქართველოს მოხმარება იყო 10871,8 მლნ კვტსთ, ხოლო მიწოდება 10365,1 მლნ.კვტსთ. თურქეთთან ექსპორტმა 419,5 მლნ. კვტსთ, სომხეთთან იმპორტმა 15,7 მლნ.კვტსთ, რუსეთთნ იმპორტმა 341,4 მლნ. კვტსთ და აზერბაიჯანთან იმპორტმა 101,7 მლნ. კვტსთ. ეს ყველა მონაცემი შეიცვლება 2025 წლისთვის და იმპორტზე დამოკიდებულობის პროცენტული მაჩვენებელი ნოლს გაუტოლდება. საქართველოს ენერგეტიკა ამოვა ენერგო იმპორტიორის სტატუსიდან და გავხდებით ექსპორტიორი ქვეყანა, რომელსაც ექნება საშუალება ექსპორტი აწარმოოს არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებთან არამედ გავიდეს ევროპა-აზიის ბაზარზე და მოახდინოს ქართული ელ. ენერგიის ექსპორტირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.energy.gov.ge
2. www.gnerc.org
3. http://www.gtu.ge/
4. Energynews.ge
5. http://energyplatform.ge/
6. Energopro.ge

არაწრფივი დინამიკა ეკოლოგიურ პროცესებში

გელა ჭიკაძე, *სტუ-ს პროფესორი*
ვლადიმერ კეკენაძე, *სტუ-ს პროფესორი*
ირმა კუცია, *სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილი ეკოლოგიური პროცესების მოდელები გაანალიზებულია სინერგეტიკული მიდგომის თვალსაზრისით, რომელიც ემყარება მნივნელოვან პრაქტიკულ შედეგებს და ახალ ხედვას. ეკოლოგიური პროცესების მართვის მიზნით ეკოლოგიური პრობლემები განხილულია ახალი მეთოდოლოგიური პოზიციიდან. ნაჩვენებია, თუ როგორ გარდაიქმნება ერთი ტიპის ბიფურკაცია მეორეში შესაბამისი მმართველი ზემოქმედების შემოტანით. ეკოლოგიური პროცესის მმართველი პარამეტრების შერჩევის გზით მდგომარეობის სივრცეში შესაძლებელია სასურველ ატრაქტორზე გასვლა და უზრუნველყოფილ იქნეს თვითორგანიზება — მიზიდვა ინვარიანტულ მრავალსახეობისაკენ (ატრაქტორისაკენ) ნებისმიერი საწყისი მდგომარეობის დროს.

საკვანძო სიტყვები: არაწრფივი სისტემები, სისტემების მართვა, ეკოლოგიური პროცესი, სინერგეტიკა.

Nonlinear Dynamics of Ecological Processes

G.Chikadze,Professor of Gtu
V.Kekenadze, Professor of Gtu
I.Kutsia, Professor of Gtu

Summary

The models of ecological processes offered by authors rely on representations of synergetrics which give important practical applications, and a new view. The generalizations offered in article create a basis for approach to the solution of environmental problems. From uniform methodological positions of nonlinear dynamics it is possible to analyse the wide range of the phenomena covering various environmental problems which lean on the principles of integrity and nonlinearity. By the choice of the operating parameters of ecological processes the exit to a desirable attractor and self-organization of system is carried out.

Keywords. Nonlinear systems, control systems, ecological process, synergetics

სინერგეტიკა ადგენს საერთო კანონზომიერებებს და ქმნის თეორიულ მოდელს ევოლუციის, თვითორგანიზაციის, ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური, ეკოლოგიური, სოციალური და გამოთვლითი სისტემებისათვის.

სინერგეტიკა დისციპლინათა შორისი მიმართულებაა მეცნიერებაში, რომელიც შეისწავლის რთული სისტემების თვითორგანიზებისა და ევოლუციის საერთო კანონზომიერებებს. შინერგეტიკის ზოგადსასისტემო კანონზომიერებათა დადგენამ ნათელყო ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების სისტემათა მოწყობის ერთიანი— საყოველთაო სურათი.

მართვის სინერგეტიკული თეორია გვაძლევს საშუალებას ახლებურად დაისვას და შემდეგ ეფექტურად ამოიხსნას არაწრფივი სისტემების მართვის ისეთი ამოცანები, რომელთა ამოხსნაც ვერ ხერხდება მართვის თეორიის კლასიკური მეთოდებით. როგორც ცნობილია, დინამიკური სისტემის ფუნქციონირების პროცესში მისი წონასწორული მდგომარეობები სისტემის პარამეტრების ცვლილების გამო ხშირად კარგავენ მდგრადობას, რის შედეგადაც სისტემაში წარმოიშობიან მიულევადი, მცირე ამპლიტუდის მქონე პერიოდული რხევები. პარამეტრების ასეთ მნიშვნელობას უწოდებენ სისტემის ბიფურკაციის წერტილებს. ბიფურკაციის მომენტში სისტემა ხდება სტრუქტურულად არამდგრადი, რაც დაკავშირებულია მისი ფაზური პორტრეტის ცვლილებასთან. ე.ი. სტრუქტურულად არამდგრადი სისტემები მგრძნობიარენი არიან მცირე გარეშე ზემოქმედებაზეც კი. ამისათვის მნიშვნელოვანი ხდება სხვადასხვა ბუნების მქონე ობიექტების მართვა არაძალისმიერი მართვის თანამედროვე შესაძლებლობების გამოყენებით. ბიფურკაციის წერტილების ამოცანებს ვხვდებით მართვის თეორიაში, მექანიკაში, ბიოლოგიაში და ა.შ. ,[1,2].

სტატიაში წარმოდგენილია არაწრფივი დინამიკური ობიექტების მართვის ეფექტური კანონების სინთეზის სინერგეტიკული მეთოდი, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ეკოლოგიური სისტემის მართვის ამოცანების გადაწყვეტისას, რომლებშიც შესაძლოა წარმოიქმნეს ბიფურკაციისა და ქაოსის მოვლენები. აქვე განხილულია მართვის თეორიის მეთოდების გამოყენების მაგალითი მარტივი არაწრფივი ობიექტისათვის, რომელშიც მართვის ფუნქციონირების გარეშე წარმოიქმნება კატასტროფული მოვლენები.

განვიხილოთ რომელიმე ბიოლოგიური პოპულაციის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნების ამოცანა, რომელიც საკვების მოპოვების კონკურენციის გათვალისწინებით აღიწერება შემდეგი სახის განტოლებით [1,3]:

$$\dot{x}(t) = \alpha x - \beta x^2 - \mu \ , \qquad (1)$$

სადაც: x -პოპულაციის კონკრეტულ სახეობაში წარმომადგენელთა რაოდენობაა; α, β -დადებითი რიცხვებია; μ -მმართველი პარამეტრია. (1) განტოლებით შეიძლება, კერძოდ, აღვწეროთ თევზჭერის მოდელი. μ -ამ შემთხვევისათვის წარმოადგენს თევზჭერის კვოტას. თავდაპირველად დავუშვათ,

რომ $\mu = \mu_0$ - წინასწარ მოცემული სიდიდეა. მოვძებნოთ თევზჭერის შესაძლო მაქსიმალური კვოტა. ამისათვის (1) განტოლების მარჯვენა მხარე გავაწარმოოთ x - ის მიხედვით და შედეგი გავუტოლოთ ნულს, მივიღებთ:

$$x_{\max} = \frac{\alpha}{2\beta} \quad \text{და} \quad \mu_0 = \frac{\alpha^2}{4\beta} \ . \tag{2}$$

გამოვიკვლიოთ (1) განტოლება თვისობრივად. ამისათვის თავდაპირველად შევისწავლოთ მისი სტაციონალური მდგომარეობა:

$$\alpha x_s - \beta x_s^{\ 2} - \mu = 0 \, . \tag{3}$$

(3)-დან განვსაზღვროთ დამოკიდებულება $x_s(\mu)$:

$$x_s = \frac{\alpha \pm \sqrt{\alpha^2 - 4\beta}}{2\beta} \ , \tag{4}$$

რომლის გრაფიკული სახეც $\alpha = \beta = 1$ პირობის შემთხვევაში წარმოდგენილია ნახ. 1-ზე.

$x_s(\mu)$ დამოკიდებულების გრაფიკს გააჩნია ორი ტოტი, რომლებიც ერთმანეთს ერწყმებიან μ და x_s იმ მნიშვნელობებისათვის, რომლებიც განსაზღვრული არიან (2) პირობით. ამ მოვლენას უწოდებენ ბიფურკაციულს და "წერტილს, რომლის კოორდინატებიც გამოითვლებიან (2) გამოსახულებით, უწოდებენ სისტემის ბიფურკაციულ წერტილს.



ნახ.1

გამოვიკვლიოთ სისტემა ამ წერტილის მიდამოში. ამისათვის შემოვიღოთ გადახრა $y = x - q_0$ და ჩავსვათ პოტენციალური ფუნქციის გამოსახულებაში, რომელსაც ჩვენი შემთხვევისათვის აქვს სახე:

$$V = \frac{\mu - 1}{2} x^2 + \frac{1}{4\beta} x^4 \ . \tag{5}$$

მარტივი გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ მოძრაობის განტოლებას:

$$\dot{y}(t) = \alpha q_0 - \beta q_0^2 + (\alpha - 2\beta q_0) y - \beta y^2 - \mu \tag{6}$$

სადაც: q_0 -წერტილის კოორდინატაა.

უკანასკნელი განტოლების თვისება დამოკიდებულია μ მმართველ პარამეტრის მნიშვნელობაზე. შევირჩიოთ ოპტიმალური მნიშვნელობა $\mu = \mu_0$ და $q_0 = x_{\max}$, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზჭერის მაქსიმალურ კვოტას. შედეგად მივიღებთ განტოლებას

$$\dot{y}(t) = -\beta q_0^2 \, , \tag{7}$$

რომლის ამონახსნსაც აქვს სახე:

$$y(t) = \frac{y_0}{\beta q_0^2 t + 1} \ . \tag{8}$$

(8) გამოსახულებიდან ჩანს, რომ (7) განტოლების ამონახსნი მდგრადია (როცა $y = 0$) საწყისი პირობებისათვის $y_0 = x_0 - x_{\max} > 0$, და არამდგრადია (როცა $y \to 0$) პირობებისათვის $y_0 < 0$. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნა: (7) საწყისი განტოლების ამონახსნი, რომელიც აღწერს პოპულაციის მდგომარეობას მდგრადია, როცა $x_{\max} = \frac{\alpha}{2\beta}$ მხოლოდ იმ საწყისი პირობებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას $x_0 > x_{\max}$, და არამდგრადია, როცა $x_0 < x_{\max}$.

ამრიგად, თევზჭერის კვოტის ოპტიმიზაციას $u = \mu_0 = const$ ხისტი მართვის შემთხვევაში მივყავართ დამყარებული მდგომარეობის არამდგრადობამდე, რაც მცირე ფლუქტუაციების არსებობის შემთხვევაში იწვევს პოპულაციის განადგურებას, კატასტროფას. ეს კი შედეგია ბიფურკაციის წერტილით გამოწვეული მოვლენისა, რომელიც შეესაბამება თევზჭერის მაქსიმალურ ხისტ გეგმას. აღწერილი მოვლენა შეისწავლება თანამედროვე არაწრფივი სისტემების დინამიკასა და სინერგეტიკაში [1].

ახლა ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება მართვის თეორიის გამოყენებით თავიდან ავიცილოთ პოპულაციის კატასტროფული განადგურება, რომელიც გამოწვეული იყო თევზჭერის მაქსიმალურად ხისტი გეგმით. გამოვიყენოთ (6) განტოლება და μ მმართველი პარამეტრი განვიხილოთ როგორც y -ის ფუნქცია. ე.ი. ხისტი გეგმა $\mu = \mu_0$ შევცვალოთ უკუკავშირით:

$$\mu(y) = -\alpha q_0 + \beta q_0^2 - \gamma \mu \ . \tag{9}$$

უკანასკნელი გამოსახულების გათვალისწინებით

(6) განტოლება მიიღებს სახეს:

$$\dot{y}(t) = (\alpha - 2\beta q_0 - \mu)y - \beta y^2 \quad (10)$$

თუ შემოვიტანთ აღნიშვნას $\eta = \alpha - 2\beta q_0 - \mu$, მაშინ (10) განტოლება ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\dot{y}(t) = \eta y - \beta y^2, \quad (11)$$

რომლის ამონახსნიცაა:

$$y(t) = \frac{\eta y_0}{\eta e^{-\eta t} - \beta y_0 (e^{-\eta t} - 1)}. \quad (12)$$

თუ შევირჩევთ $\eta < 0$, ე.ი. $\gamma > \alpha - 2\beta q_0$, მაშინ (12) გამოსახულებიდან მივიღებთ, რომ როცა $t \to \infty$, მაშინ გადახრა $y \to 0$. ეს კი ნიშნავს რომ (12) გამოსახულება ასიმპტოტურად მდგრადია $y = 0$ -ის მიმართ. აქედან გამომდინარეობს, რომ $\mu(y)$ მართვა უზრუნველყოფს პოპულაციის მოცემულ q_0 დონეზე შენარჩუნებას. ამასთან ეს მნიშვნელობა შეიძლება იყოს ოპტიმალურიც $q_0 = x_{\max} = \frac{\alpha}{2\beta}$.

$\mu(y)$-ის გათვალისწინებით (1) განტოლება $x(t)$ საწყისი ცვლადის მიმართ შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$\dot{x}(t) = (\alpha - y)x - \beta x^2 + \frac{\alpha}{2\beta} - \frac{\alpha^2}{2\beta} \quad (!3)$$

თუ დავუშვებთ, რომ $\gamma = \beta q_0 = \frac{\alpha}{2}$, მაშინ (!3) განტოლება მიიღებს სახეს:

$$\dot{x}(t) = \left(\frac{\alpha}{2} - \beta x\right)x, \quad (14)$$

რომელიც აღწერს კრიტიკულ ბიფურკაციას და წარმოადგენს ცნობილ ლოგისტიკურ განტოლებას [2]. ამ განტოლების ამონახსნს აქვს სახე:

$$x(t) = \frac{\alpha x_0}{\alpha e^{-\frac{\alpha}{2}t} - 2\beta x_0 \left(e^{-\frac{\alpha}{2}t} - 1\right)}. \quad (15)$$

იგი ასიმპტოტურად მდგრადია

$$x_s = \frac{\alpha}{2\beta}$$

ატრაქტორის მიმართ და შეესაბამება თევზჭერის ოპტიმალურ კვოტას. ნებისმიერი საწყისი პირობების შემთხვევაში სინთეზირებული სისტემა ყოველთვის გამოდის ამ მდგომარეობაზე, რაც მტკიცდება ნახ. 2-ზე წარმოდგენილი მრუდებით, რომლებიც მიღებული არიან სისტემის მოდელირების შედეგად.



ნახ. 2

ამრიგად, (γx) უკუკავშირის შემოტანით მართვის კანონმა საშუალება მოგვცა გადავსულიყავით ბიფურკაციიდან (რომელიც მომავალში გამოიწვევდა კატასტროფას) ლოგისტიკურ განტოლებაზე, რომელსაც გააჩნია თვითორგანიზების თვისება. ამასთან, შესაძლებელია განვახორციელოთ ჭევზჭერის მოცემული კვოტა, რომელიც შესაძლებელია იყოს მაქსიმალურიც. უკუკავშირში γ კოეფიციენტის მცირე გადახრა გამოიწვევს მწარმოებლურობის მცირე დაწევას და არა კატასტროფას, ხისტი გეგმის $u = \mu_0 = const$ არჩევის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ფაქტი გამოვლენილი იქნა თევზჭერის მარტივ მაგალითზე, იგი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ისეთი არაწრფივი სისტემის მართვის ამოცანების გადაწყვეტისას, რომლებშიც შესაძლოა წარმოიქმნეს ბიფურკაციისა და ქაოსის მოვლენები. ცხადია, რომ (μ) მმართველი პარამეტრის შერჩევის გზით შესაძლებელია სისტემა ნებისმიერი საწყისი პირობებიდან გავიყვანოთ მისი მდგომარეობათა სივრცის სასურველ ატრაქტორზე და ვუზრუნველყოთ მიმართული თვითორგანიზება-მიზიდვა ინვარიანტული მრავალსახეობისაკენ (ატრაქტორისაკენ).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მართვის თეორია, სინერგეტიკა. პროფ. ა.გუგუშვილის და პროფ. რ.ხუროძის რედაქციით. ნაწ.3, თბილისი, 2000. 869გვ.
2. ვ.სესაძე, ნ.სესაძე. სინერგეტიკა, არაწრფივი სისტემების სინთეზი. თბილისი, 2009. 189 გვ.
3. Колесников А.А. Синергетическая теория управленияю. М.:Энергоатомиздат, 2004.320с.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი გარდამავალ პერიოდში

თამარ ჩაჩანიძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

Georgian Stock Exchange in Transition Period

Tamar Chachanidze, *Phd Student of Gtu*

Summary

Successful functioning of the Stock Exchange is an important factor for the financial stability of the Country. Accordingly, the article discusses the present critical situation of Georgian Stock Exchange; Also the possible ways out of the crisis. Georgian Stock Exchange development and growth trend observed since its foundation until 2008. But when the annual stock turnover exceeded 100 million GEL, this has led to the interest of the world›s leading Stock Exchange Markets in acquisition of Georgian Stock Exchange or its integration in a unified trading platform. However, when the NASDAQ OMX addressed serious investment proposal to the shareholders of Georgian Stock Exchange, certain financial groups have a serious resistance to the implementation of the deal and the chance of this most important development of Georgian Stock Exchange was missed.

In conclusion we can say that the Economic Development and Progress needs developed and prosperous Securities Market and Stock Exchange! What the government should promote!

საკვანძო სიტყვები: / Keywords:

ფასიანი ქაღალდები — Securities
საფონდო ბირჟა — Stock Exchange
აქციები — Shares
ინვესტიციები — Investments
ინვესტორები — Investors

ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზეა დამოკიდებული, ესენია: ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო სექტორი.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი (იგივე საქართველოს საფონდო ბირჟა — სსბ) საბანკო სექტორისგან განსხვავებით კრიზისულ მდგომარეობაშია. შედეგად ვღებულობთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხებას. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სავალალო მდგომარეობის მთავარი მიზეზებია: საკანონმდებლო ხარვეზები და ქვეყანაში არსებული არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა.

როგორც აღვნიშნეთ, საფონდო ბირჟები წარმოადგენს სახელმწიფოთა ეკონომიკური დონის განმსაზღვრელ ინდიკატორს. როდესაც საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების მოცულობა მცირდება, ეს ქვეყნის ეკონომიკის ვარდნაზე მიგვანიშნებს. მაგალითად: 2007 წელს ბელგიის საფონდო ბირჟაზე გარიგებების მოცულობამ შეადგინა 256 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო 2008 წელს ფინანსური კრიზისის შედეგად დაეცა 211 მილიარდ აშშ დოლარამდე. დიდი ბრიტანეთის მაჩვენებელი 10,3 ტრილიონიდან — 6,5 ტრილიონ აშშ დოლარამდე დაეცა. რაც შეეხება საქართველოს, საფონდო ბირჟის გარიგებათა მოცულობის მაჩვენებლებით შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური დონის განსაზღვრა [1].

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გარიგებების მოცულობა ზრდის ტემპით 2008 წლამდე ხასიათდებოდა, ხოლო ამ პერიოდის შემდგომ, თითქმის შეწყვიტა განვითარება, რაც გამოწვეული იყო "ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონში" განხორციელებული ცვლილებებით, რამაც საბირჟო გარიგებების ბირჟის გარეთ გადანაცვლება დაუშვა, შედეგად გარიგებების 95%-მა გაუმჭვირვალე გარემოში გადაინაცვლა, ამან კი, გამოიწვია, ერთის მხრივ კორუფციის რისკი, ხოლო მეორეს მხრივ, ძლიერი საბანკო სისტემის მიერ კონკურენტი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მთელი ინფრასტრუქტურის დაუფლება.

აგრეთვე, მოიხსნა შეზღუდვა საფონდო ბირჟის აქტივების მესაკუთრეობაზე, რის შემდეგაც ქვეყანაში არსებულმა ერთადერთმა ძლიერმა საფინანსო ინსტიტუტმა, საბანკო სექტორმა, შეისყიდა საფონდო ბირჟის აქტივების 58%, საიდანაც 46% მარტო საქართველოს ბანკზე მოდის. რეალურად მოხდა ისე, რომ ბანკებმა კონკურენტი დარგის განვითარება ხელოვნურად შეაფერხეს [2].

ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებას ემატება ისიც, რომ საქართველოში სააქციო საზოგადოებები ძალიან მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს საფონდო ბირჟა განვითარებისა და ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა მისი დაფუძნებიდან 2008 წლამდე, ხოლო როდესაც წლიურმა საბირჟო ბრუნვამ 100 მილიონ ლარს გადააჭარბა, ამან გამოიწვია მსოფლიოს წამყვანი ბირჟების მხრიდან საქართველოს საფონდო ბირჟის შეძენის ან ერთიან სავაჭრო პლატფორმაში მისი ინტეგრირების სურვილი. 2007 წელს NASDAQ OMX-მა საქართველოს საფონდო ბირჟის აუქციონერებს სერიოზული საინვესტიციო წინადადებით მიმართა, თუმცა, საქართველოში მოქმედმა გარკვეულმა ფინანსურმა ჯგუფებმა ამ გარიგების რეალიზებას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია და საფონდო ბირჟის განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი შანსი საქართველომ ხელიდან გაუშვა.

შედეგად ვღებულობთ იმას, რომ:

2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 129 კომ-

პანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა კაპიტალიზაციამ მიაღწია 1,14 მილიარდ დოლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 3255,42 ლარს [3].

2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით 129 კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 0,88 მილიარდ დოლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 1386,71 ლარს [4].

2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით კი 128 კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 0,653 მილიარდ დოლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 35,2 ლარს, რაც საკმაოდ მცირე და მიზერულია [5].

NASDAQ-OMX-ის საქართველოს საფონდო ბირჟაზე შემოსვლის შემთხვევაში, ის ადგილობრივი კომპანიები, რომლებიც ცდილობენ უცხოეთის საფონდო ბირჟებზე განათავსონ თავიანთი აქციები, უკვე შეძლებენ, მიიღონ რეალური შანსი, განახორციელონ საერთაშორისო შეთავაზება ქვეყნის შიგნით.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე NASDAQ-OMX-ის, როგორც სტრატეგიული ინვესტორის შემოყვანა სასურველია, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს საქართველოს საინვესტიციო ბაზრის ავტორიტეტის გაზრდას საერთაშორისო მასშტაბით.

ბირჟის შესყიდვის იდეა მსოფლიოსთვის ახალი არ არის, რადგანაც ნებისმიერი ინვესტორი ცდილობს, ხელში ჩაიგდოს ახალი მომხმარებელი, რათა მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი შემოსავლები. საბირჟო ბიზნესის თავისებურებიდან გამომდინარე, ინვესტორი ბაზრის დაცემის ან აღმასვლის შემთხვევაში უფრო დიდ ფულს იშოვის, ვიდრე სხვა სფეროდან. პირველად ბირჟის შესყიდვის იდეა ამერიკელებს გაუჩნდათ, რომლებმაც მსოფლიოს უმსხვილესი ბირჟის — ლონდონის საფონდო ბირჟის შესყიდვა გადაწყვიტეს, მაგრამ თვითონ ბირჟამ უარი განაცხადა. რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, ამერიკულმა NASDAQ-მა ბირჟის აქციების ყიდვა გადაწყვიტა და 25%-ს დაეპატრონა. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაც ცდილობს ევროპაში შეჭრას. ამ მიზნით მან უკვე შეისყიდა ფრანგული Euronext-ი, NASDAQ-მა მთლიანად შეისყიდა შვედური ბირჟა, რომელიც თავის მხრივ სკანდინავიის და ბალტიისპირეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითად ნაწილს აკონტროლებდა. ასე რომ, საქართველოს საფონდო ბირჟით დაინტერესება ჩვენი ქვეყნისთვის მისაღებია, რადგანაც უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟის ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას [6].

საქართველოს საფონდო ბირჟის სიცოცხლისუნარიანობა და წარმატებული ფუნქციონირება აუცილებელია, ვინაიდან:

· ამით დაინტერესებულია როგორც უმსხვილესი ინვესტორი, ასევე ადგილობრივი მეწარმე — ინვესტორს, რომელსაც აქვს თავისუფალი თანხა ნებისმიერი რაოდენობით, სურს ამ თანხის თუნდაც მინიმალური პროცენტით, მაგრამ აუცილებლად საიმედოდ დაბანდება. ადგილობრივი მეწარმისთვის კი წარმოების განსავითარებლად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ფულადი სახსრების მოზიდვა რაც შეიძლება დაბალი პროცენტით;

· ეს მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე მეწარმისთვის — ვინაიდან ნაკლები საგადასახადო ზეწოლითაა შესაძლებელი ბიუჯეტში თანხების მოზიდვა;

· ამით დაინტერესდება მოსახლეობაც, როგორც კი მოხდება საფონდო ბირჟების მნიშვნელობის შესახებ სწორი ინფორმაციის მათზე მიწოდება. ქართული საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილს თუ აქვს სურვილი, შეიძინოს ამა თუ იმ კომპანიის აქციები. ამის მიზეზია როგორც ინფორმაციია არქონა, ასევე კომპანიათა მიერ გამოშვებული აქციებისა და კორპორაციული ობლიგაციების სიმცირეც. ამას ემატება ქვეყანაში დანაზოგების არარსებობა და ფასიანი ქარალდების არამიმზიდველობაც. დანაზოგის მფლობელს ურჩევნია, ფული შეინახოს ან ბანკში, ან უძრავ ქონებაში დააბანდოს, ვინაიდან თვლის, რომ ასე უფრო უსაფრთხოა ფულის შენახვა.

საქართველოს საფონდო ბირჟის წარმატებული ფუნქციონირებით დაინტერესება, პრაქტიკულად, ზემოთაღნიშნულთაგან, არცერთის მხრივ არ შეიმჩნევა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე საუბრისას, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი ანჟელა პროგოჟინა ამბობს, რომ: "ჩვენ ყველას გვსურს განვითარებული საფონდო ბირჟის არსებობა, თუმცა რეალურად არავის არ აქვს ინტერესი, დააბანდოს თავისი სახსრები საფონდო ბირჟაზე, რადგანაც ჩვენ არ ვიცით, ვის მფლობელობაში იმყოფება იქ წარმოდგენილი ფირმები და რამდენად მომგებიანი არიან ისინი" — განაცხადა პროგოჟინამ და ამის ერთ-ერთ მიზეზად საკანონმდებლო ბაზის განუვითარებლობა დაასახელა. მისი თქმით, არსებული მდგომარეობით, ერთადერთი მოთამაშე, რომელსაც ეს ინფორმაცია გააჩნია, არის საბანკო სექტორი, შესაბამისად, საქართველოში განვითარებულია მხოლოდ საბანკო დაკრედიტების ინსტიტუტი — როგორც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის საშუალება. "სანამ ეს სიტუაცია არ შეიცვლება, საფონდო ბირჟა ვერ განვითარდება" — აღნიშნა მან [7].

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლისათვის აუცილებლად სჭირდება განვითარებული და წარმატებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საფონდო ბირჟა! შესაბამისად, ქვეყნის ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს საფონდო ბირჟის განვითარებას და მის წარმატებულ ფუნქციონირებას! ამისთვის აუცილებელია, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე დაბრუნდეს. ეს კი პირველ რიგში შესაძლებელია კანონ-

მდებლობაში სერიოზული ცვლილებების შეტანით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://legalclinic.iliauni.edu.ge/index.php/ (inaxa 15.08.2016.).
2. http://bfm.ge/finansebi/rogor-gavzardot-fasiani-qaghaldebis-bazris-likviduroba-saqartvelos-safondo-birdjaze/ (inaxa 21.09.2016.)
3. გიორგი ლოლაძე — "ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში — პრობლემები, გამოწვევები და პერსპექტივები". დეკემბერი, 2015წ. https://idfi.ge/ge/securities-market-georgia (inaxa 12.05.2016.).
4. http://news.ge/ge/news/story/143359 (inaxa 06.06.2016.).
5. http://www.gse.ge/ (საქართველოს საფონდო ბირჟა).
6. ბიზნესი და კანონმდებლობა 2009, №4. საქართველოს საფონდო ბირჟის ფუნქციონირების მექანიზმები — ნ. შონია.
7. http://bpi.ge/index.php/riski-da-safondo-bazari-ratom-ver-vitardeba-saqartveloshi-safondo-birdja/ (inaxa 23.09.2016.).

ინვესტიციების როლი იმერეთის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში

ბექა ბიბილური
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დანეგვა მიჩნეულია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როცა იგი ეკონომიკის საქონელმწარმოებელ დარგებში ხორციელდება. ნაშრომში გაანალიზებულია ინვესტიციების დანერგვის მიმდინარეობა იმერეთისა, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. ინვესტიციებისა და მოსახლეობის შემოსავლების ურთიერთკავშირის ემპირიული კვლევის შედეგად ნაჩვენებია თუ რა შედეგის მოტანა შეუძლია ინვესტიციების დანერგვამ მოუტანოს მოსახლეობას შემოსავლების ზრდის მხრივ.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის შემოსავლები, კორელაციური კავშირი.

Роль инвестиции в экономичесом развитии Имеретинского региона

Резюме

Внедрение прямых иностранных инвестиций считается одним из важнейшим социально-экономическим фактором развития региона. Это особенно эффективно, когда оно осуществляется в области продуктопроизводительной сфере экономики. В работе проанализированно внедрение инвестиций в Имеретинской, Рача-Лечхумской и Нижне Сванетской регионах. На основе эмпирических исследований взаимосвязи между доходоми населения и инвестиций показано, какой результат можно получить от внедрения инвестиций в сфере роста доходов населения.

Ключевые слова: инвестиции, социально-экономическое развитие, доходы населения, кореляционная связь.

* * * * * *

ინვესტიციები მსოფლიოში, ისე როგორც საქართველოში მიჩნეულია ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ძირითად ინსტრუმენტად. მისის როლი განსაკუთრებით დიდია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და მისი რეგიონებისათვის.

იმერეთის რეგიონის სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებში მიზანშეწონილად მიმაჩნია ინვესტიციების მოზიდვა უპირველეს ყოვლისა ეკონომიკის საქონელმწარმოებელ და შემდგომ მომსახურების დარგებში. თუ მოცემული კუთხით კრიტიკული თვალთახედვით გავაანალიზებთ რეგიონში საინვესტიციო გარემოს, შევნიშნავთ რომ კერძო სექტორში არაკონკურენტუნარიანია, არასაკმარისადაა განვითარებული ადამიანური კაპირალი, შეზღუდულია ფინანსური რესურსები.

საინვესტიციო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რეგიონის, სოციალურ - ეკონომიკურ სტაბილურობას და იგი დამოკიდებულია აგრეთვე მთლიანად ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა იმერეთის რეგიონში 2013 წელს - 58 882.0 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2014 წელს კი - 26 363.7 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. ღოგორც ვხედავთ წინა წელთან შედარებით სახეზეა მოცემული მაჩვენებლის მნიშვნელოვანი შემცირება. ამ მაჩვენებლით იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონს საქართველოს 8 რეგიონს შორის მე-6 ადგილი უჭირავს.

რეგიონში ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისთვის, ტერიტორიული დიფერენციაციის დონის დასადგენად საჭიროა მაქსიმალურად ობიექტური ანალიზური კვლევების, მრვალგანზომილებიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის, პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს რეგიონის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებების განსაზღვრა. იმერეთის მხარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისას მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმოთ უცხოური ინვესტიციების დონისა და მოსახლეობის შემოსავლებს კავშირის შესწავლას. ამ მიზნით გამოვავლინეთ, თუ როგორ მოქმედებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველწლიური მოცულობის ცვალებადობა მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების ცვალებადობაზე.

ურთიერთკავშირის გამოკვლევისას ძირითადი ყურადღება დავუთმოთ მოვლენათა თეორიულ და თვისებრივ ანალიზს. მისი დასკვნების დამტკიცებისთვის, ურთიერთკავშირის გამოვლენისა და რაოდენობრივი დახასიათებისთვის კი გამოვიყენეთ სტატისტიკის სპეციფიკური ხერხები და მეთოდები. კერძოდ: პარალელური მწკრივების, ანალიზური დაჯგუფების, საბალანსო, კორელაციისა (ლათინური სიტყვა correlation -დან, რაც ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულებას, შეფარდებას) და რეგრესიული (ლათინური სიტყვა regressus -იდან, რაც ნიშნავს უკუსვლას, დაქვეითებას) ანალიზის მეთოდები .

რეგრესიის ან სოციალურ-ეკონომიკური მოვ-

ლენების კავშირის სტატისტიკური მოდელი გამოიხატება შემდეგი ფორმულით (ფუნქციით):

$$\overline{Y}_x = f(x_1, x_2, ...x_k)$$

რეგრესიული განტოლების პარამეტრების შეფასება $(a_0, a_1, a_2.....)$ ხორციელდება უმცირეს კვადრატთა მეთოდით, რომლის საფუძველშიც დევს: მოსაზრება გამოსაკვლევი ერთობლიობის დაკვირვებების დამოუკიდებლობის შესახებ და მოდელის (a_0, a_1) პარამეტრების მოძებნა, რომლის დროსაც ემპირიული მნიშვნელობების თეორიულისაგან გადახრების კვადრატების ჯამი მინიმუმამდე დადის.

$$\Sigma(y - y_x)^2 \to \min$$

თუ მოვლენებს შორის კავშირი წრფივი ფორმისაა $\overline{y_x} = a_0 + a_1 x$, პარამეტრების გაანგარიშება ხდება ნორმალურ განტოლებათა სისტემის საფუძველზე:

$$\begin{cases} na_0 + a_1 x = \Sigma y \\ a_0 \Sigma x + a_1 \Sigma x^2 = \Sigma xy \end{cases}$$

განტოლებათა სისტემის ამოხსნით მივიღებთ a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობებს, მათი დახმარებით კი - ემპირიულ განტოლებას. ეკონომიკური თვალსაზრისით, a0 არის საშედეგო მოვლენის რაღაც საწყისი მნიშვნელობა, ხოლო a1 გვიჩვენებს, თუ რამდენი ერთეულით შეცვლის საშედეგო მოვლენას მიზეზობრივი მოვლენის ერთი ერთეულით ცვლილება.

ანალიზის ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა დავუთმეთ დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების განსაზღვრას. ჩვენ შემთხვევაში დამოკიდებული ცვლადი (X) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაა იმერეთის რეგიონში, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადი, კი მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები შესაბამისი რეგიაონის მიხედვით 2011 -2015 წლებში (Y).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება იმერეთის რეგიონში მოტანილია N 1 ცხრილში

2011 -2015 წწ (მილიონი ლარი)

ცხრილი N 1

წელი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. ლარი)	ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (მლნ.ლარი)
2011	-24.809	131.895
2012	62.375	153.215
2013	97.944	166.585
2014	46.556	175.613
2015	13.643	176.476

წყარო: geostat.ge

ფუნქციის ამოსახსნელად ავაგეთ დამხმარე ცხრილი, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ a0 და a1 პარამეტრების მნიშვნელობები. მიღებული გაანგარიშებები გადავამოწმეთ სტატისტიკური პროგრამის - SPSS -ის დახმარებით.

ჩვენი მონაცემებით მივიღეთ, რომ:

$$\overline{xy} = \frac{\Sigma xy}{n} = 6636.82 \; ; \quad \overline{x} = \frac{\Sigma x}{n} = 39.142; \quad \overline{y} = \frac{\Sigma y}{n} = 160.76;$$

$$a_0 = \overline{y} - a_1 \overline{x} = 153.1;$$

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\overline{x^2} - (\overline{x})^2} = 0.195913$$

ამდენად, განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\overline{y_x} = 153.1 + 0.195913 X$$

ესე იგი, იმერეთის რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 1 მილიონი ლარით გაზრდა წელიწადში გამოიწვევს იმერეთის მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების 0.195913 მილიონი ლარით ზრდას, რაც თავისთავად განაპირობებს რეგიონის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ამ განტოლების მეშვეობით ვიპოვეთ მოსწორებული (ŷ) დონეები და დადგინდა, რომ მოსწორებული დონეების ჯამი (∑ ŷ) უდრის 804 -ს, ემპირიული დონეების ჯამიც (∑y) 804-ის ტოლია. ეს კი მიუთითებს ფუნქციის სიზუსტეზე, რადგან აკმაყოფილებს ამოცანის მინიმიზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა). ∑(y - ŷ)2 = (804 - 804)2 = 0.

ეკონომიკური მოვლენების ეფექტური ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის სიმჭიდროვის ხარისხი. არსებობს სიმჭიდროვის ხარისხის შეფასების რამდენიმე სახის კორელაციის კოეფიციენტი: კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, ფეხნერის კოეფიციენტი, სპირმენის რანგების კორელაციის კოეფიციენტი, დეტერმინაციის კოეფიციენტი, დ. იულას ასოციაციის კოეფიციენტი, კ. პირსონის კონტინგენციის კოეფიციენტი, ემპირიული და თეორიული კორელაციის დამოკიდებულება და სხვა. მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც მერყეობს (-1 დან +1 მდე)[1]. კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დადგენა გულისხმობს, გაზომოს, თუ როგორ მოქმედებს საშედეგო მოვლენის განვითარებაზე ანუ ვარიაციის ცვლილებაზე მიზეზობრივი ფაქტორის (წყვილადი კორელაცია) ან ფაქტორების (მარავლობითი კორელაცია) ~~ვარიაციული ცვ~~ალებადობანი.

1 კბილაძე, შ. მეტრეველი. სტატისტიკა, სახელმძღვანელო, გამ. "უნივერსალი" თბ., 2015 წ. გვ. 256

წრფივი კავშირის შემთხვევაში, კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიხასიათებს კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც შემუშავებულ იქნა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ინგლისელი სტატისტიკოსის, ბიოლოგისა და ფილოსოფოსის კარლ პირსონის (1857-1936 წწ) მიერ. კორელაციის წრფივი კოეფიციენტის გასაანგარიშებელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე :

$$r = \frac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\sigma_x \sigma_y}$$

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით, სადაც x -პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაა იმერეთის რეგიონში, ხოლო y -მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები, ეს მონაცემები როგორც უკვე ავღნიშნეთ შეადგენს:

$$\overline{xy} = \frac{\Sigma xy}{n} = 6636.82; \qquad \overline{x} = \frac{\Sigma x}{n} = 39.142;$$

$$\overline{y} = \frac{\Sigma y}{n} = 160.76$$

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\Sigma(x - \overline{x})^2}{n}} = 41.93;$$

$$\sigma_y = \sqrt{\frac{\Sigma(y - \overline{y})^2}{n}} = 16.683$$

კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს:

$$r = \frac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\sigma_x \sigma_y} = \frac{6636.82 - 39.142 * 160.76}{41.93 * 16.683} = 0.4924$$

მსოფლიოს სტატისტიკაში მიჩნეულია, რომ თუ კოეფინიენტის მნიშვნელობა 0 დან 0.3 -მდეა - კავშირი სუსტია, 0.3-დან 0.6-მდე- ზომიერია, ხოლო თუ 0.6 დან 1-მდეა, მაშინ კავშირი ძლიერია. ჩვენს მაგალითზე კორელაციის წრფივი კოეფიციენტი r = 0.49-ის ტოლია, რაც ზომიერ კავშირს ასახავს და პროცენტებში 49%-ია, რაც მიუთითებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებსა და მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების ზომიერ კორელაციურ კავშირზე.

ქვენების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბიზნესის წარმოებისათვის ქვეყანაში და შესაბამისად რეგიონის დონეზე საჭიროა შემდეგი მიმართულებებით გააქტიურება: ინფრასტრუქტურის განვითარება, სტაბილური საქმიანი გარემოს შექმნა, შესაბამისი საკადრო პოლიტიკის სრულყოფა, საინიციატივო ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავება, სტაბილური ფინანსური მდგომარეობის ხელშეწყობა. ინვესტიციური პროექტების განხორციელებისთვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ფაქტორები: რეგიონის ეკონომიკური ზრდა, საქმიანი გარემოს სრულყოფა, კვალიფიციური მუშახელით უზრუნველყოფა, სტიმულირება და რეგულირება, რაც გამოიწვევს იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას.

და ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის ზრდისათვის. მომავალში რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვაწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რამდენად წარმატებულად გააგრძელებს და გააძლიერებს ადგილობრივი მთავრობა არსებულ საინვესტიციო პოლიტიკას, რათა ხელი შეუწყოს მათ მოზიდვას ინვესტიციების დაცვის ზომების განხორციელებითა და სტაბილური, პროგნოზირებადი ბიზნესგარემოს შექმნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., კოღუაშვილი პ., ჩადუნელი გ., გალახვარიძე ნ., მახარაშვილი ი., კვაბზირიძე თ., საქართველოს ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ., 2016.
2. კბილაძე, შ. მეტრეველი. სტატისტიკა, სახელმძღვანელო, გამ. "უნივერსალი" თბ., 2015 წ.
3. კაკულია რ., ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები. „ეკონომიკური პროფილი". N N 3 2007
4. გაბიძაშვილი ბ., კბილაძე დ.- „ბიზნესმენთა ქცევის ტაქტიკა და სტრატეგია ეკონომიკურად განუსაზღვრელობის პირობებში" თბ. 2010 წ.
5. ბარათაშვილი ე., ვეშეპიძე შ., რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, 2002.

ლიდერობის როლი ინოვაციის წახალისებაში

***რუსუდან ქუთათელაძე**, სტუ-ს პროფესორი*
***ლევან ბუაძე**, სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

ინოვაციების ინიციაციას, განვითარებისა და დანერგვის პროცესების წარმართვა შეუძლიათ ძველ და დიდ ტრადიციულ ორგანიზაციებს, რომლებიც ფლობენ აუცილებელ და საჭირო ორგანიზაციულ ცოდნას და ამიტომაცაა, რომ ისინი ხელს უწყობენ ინოვაციების ყოველმხრივ განვითარებას.

ინოვაციური პროცესის სრულყოფილად შესრულება ასეთ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს გაარღვიოს მუდმივად ცვალებადი ბაზრის კონკურენტული გარემო, რომ თავისი მოწინავე ადგილი დაიჭიროს.

საონოვაციო პირობების შექმნა და მისი ეფექტიანი მართვა წარმატებით შეუძლია იმ მოწინავე აზროვნების მქონე ლიდერებს (ორგანიზაციის მართვის ყველა დონის ლიდერებს) რომლებიც აიყოლიებენ და გაუძღვებიან თანამშრომლებისა და მიმდევრების იმ ნაწილს, რომლებიც აგენერირებენ ინოვაციურ იდეებს. ლიდერების მეშვეობით ხდება ამ იდეების პრაქტიკული განხორციელება, რისთვისაც ისინი იყენებენ შეფასებისა და სტიმულების სისტემას.

ლიდერობის როლი ინოვაციების განვითარებაში იმით გამოიკვეთება ,რომ ისინი კონცენტრირებას აკეთებენ მთავარზე, თუ რა უნდა მოგვცეს არსებულმა ინოვაციამ და წყვეტენ ორ პრინციპულ საკითხს: პირველი სისტემის მართვა რომელიც ამცირებს რისკებსა და ზრდის პროდუქტიულობას, მეორე სისტემით ხდება ექსპერიმენტის წახალისება და ცოდნის გაზრდა მომავალ ბიზნესში.

საკვანძო სიტყვები: ლიდერობა, ორგანიზაცია, მცირე ბიზნესი, ინოვაცია, წახალისება, რისკები, სტიმული.

Role of Leadership in Innovations

R.Kutateladze, Professor of Gtu
L.Buadze,Phd of Gtu

Summary

Old and traditional large companies that possess the necessary and required organizational knowledge can initiate, drive and implement innovations and, hence, they tend to promote its development.

Constant push for innovations allows such companies to stay afloat and remain relevant in ever changing market based competition.

Innovations do not happen on its own and it is companies' leaders (at all levels of hierarchy) who create a fertile ground for innovations to flourish. They lead and encourage company staff to generate innovative ideas and support processes for those ideas to be implemented through an elaborate system of incentives and rewards.

The role of leadership in development of innovations is centered around its ability to achieve important objectives: first, of managing systems that reduce risks and maximizes benefits and, second, encouraging experimentation and knowledge creation for future businesses.

Keywords: leadership, organization, small business, innovation, incentives, risks, stimulus

* * * * * *

ძველი და დიდი კომპანიების უმეტესობა, რომლებიც დაფუძნებულია მართვის ეფექტურობაზე და ეყრდნობა მასში არსებულ ძირითად კომპეტენციებს, მათ მიერ ზედმეტ რისკებზე წასვლა და ახალი მიდგომების გამოყენება არ ითვლება აუცილებლად მაღალი ეფექტიანობისა და პროგნოზირებადი საქონლისა (პროდუქტებისა) და მომსახურების მოწოდებისათვის. ასეთ ორგანიზაციებში ლიდერობა და არსებული ინსტიტუციონალური კულტურა ახალისებს ეფექტიანობას და სტაბილურობას და, ნაკლებად, რისკების თავზე აღებას, რაც პრინციპში თვისობრივად ეწინააღმდეგება ინოვაციების განვითარებას.

როდესაც ასეთი ორგანიზაციები ცდილობენ მეტი ინოვაციის დანერგვას, სად არის ის საწყისი, რომელიც ამას განაპირობებს? სად არის ის სტიმული და მოტივაცია, რომელიც დაძლევს იმ მოჯადოებულ წრეს სადაც ასეთი ორგანიზაციები იმყოფებიან?

პრინციპში არ არსებობს ისეთი უნიკალური რეცეპტი, რომელიც გამოიწვევს ინოვაციას, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არის გარკვეული ფაქტორების ერთობლიობა რომელთა გამოყენებით შეიძლება მიიღონ ასეთი შედეგი, განსაკუთრებით დიდ და უმეტესად ძველ და ტრადიციულ ორგანიზაციებში.

პირველი ასეთი ელემენტი არის ლიდერობა. როგორც დევიდ ჰორსი [1] აღნიშნავს თავის სტატიაში, ბიზნეს ლიდერები ხშირად ვარაუდობენ რომ ინოვაციის მიზანია იდეების გენერირება, მაშინ როცა პრინციპში არც ერთი ორგანიზაცია ამის ნაკლებობას საერთოდ არ განიცდის. მაგრამ, აი როგორ უნდა იქნას გამოყენებული იდეები ეს არის ყველზე დიდი გამოწვევა და ლიდერის როლი მის განვითარებაში არის ერთ ერთი მთავარი, რაზეც მისი კონცენტრირება უნდა მოხდეს. უნდა გვახსოვდეს რომ ორგანიზაციებში იდეები იბადება, თუმცა მისი გადაცემა არ მისდევს საბაზრო პრინციპებს თვით ორგანიზაციის შიგნით და შესაბამისად თუ ის არ მოხვდა განვითარების სტრატეგიაში და არ მიეცა სათანადო ყურადღება და რესურსები,მაშინ ისინი მოკვდებიან. თუ იდეის გენერატორი, ერთხელ და ორჯერ ვერ დაინახავს შედეგს, მისთვის ეს აღიქმება როგორც სიგნალი იმისა, რომ ორგანიზაცია ხელს არ

უწყობს ინოვაციებს, რაც შემდგომში პოტენციურად ორგანიზაციას ძვირი დაუჯდება იმ დაკარგული შესაძლებლობების სახით, რომლის მიღებაც მას შეეძლო.

თუმცა ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ იდეები საერთოდ მოდის ქაოტურად და მისი უმეტესობა ალბათ გამოუყენებელი დარჩება, თუმცა ის რაც პოტენციური და ღირებულია სავსებით შესაძლეველია შეეწიროს მართვის არსებული სისტემის სიხისტეს, რომლიც გაჯერებულია გარკვეული ნორმებით, ტრადიციებითადა შეხედულებებით.

ასე რომ, თუ გვინდა, რომ ეს შეიცვალოს, ეს უნდა მოხდეს მმართველობის ზემო ეშელონებიდან. როგორც სკოტ ენთონი [2] აღწერს, ლიდერებმა უნდა გადაწყვიტონ თუ როგორ მართონ ორი განსხვავებული სისტემა: პირველი, რომელიც დღევანდელ ბიზნესში შეამცირებს რისკებსა და გაზრდის პროდუქტიულობას და მეორე, რომელიც წაახალისებს ექსპერიემენტებს და გაზრდის ცოდნას მომავალ ბიზნესში. აქ არ არსებოს ან ერთი ან მეორე, აქ უნდა მოხდეს ერთიც და მეორეც.

კარლ რონი [3] თავის სტატიაში ამტკიცებს, რომ კომპანიები, რომლებიც ფიქრობენ, რომ აქვთ ინოვაციის პრობლემა, მათ ის არ აქვთ, მათ აქვთ ძირითადად ლიდერობის პრობლემა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკმარისი არ არის კონცენტრირება მოხდეს მარტო ლიდერობის ზედა ეშელონებზე. ეს არის ლიდერობის გამოწვევა ყველა დონეზე, და შეიძლება უფრო კრიტიკული იყოს ორგანიზაციების შუა მენეჯმენტში, მაგალითად დეპარტამენტის, ფუნქციების და დივიზიების ხელმძღვანელების დონეზე.

მეორე შემადგენელი არის შესაფერისი ორგანიზაციული კულტურა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ინოვაცია სერიოზულ გამოწვევას უყენებს არსებულ ნორმებს, წესებს, ტრადიციებს, და შიდა ინტერესებს. ნებისმიერი ინოვაცია იწვევს დაძაბულობას სხვადასხვა ჯგუფებსა და მათ ინტერესებს შორის და შეიძლება წინააღმდეგობაში შევიდეს კომპანიის "ძველი გვარდიასთან", რამაც შეიძლება სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს პროცესებს. ის ასევე ქმნის კონფლიქტს ორ დროებით რეალობას შორის, რომლებიც პირობითად შეიძლება დახასიათებლი იქნას, როგორც "აქ და ახლა" და "იქ და ხვალ".

ლიდერებს შეუძლიათ შექმნან სტიმულები და ამით აიყოლიონ თანამშრომლები და „აანთონ ცეცხლი" თუმცა შექმან ისეთი შესაფერისი კულტურა, რომელიც გამოიწვევს ინოვაციას. ეს იგივეა, რომ შექმნა უწყვეტი საწვავი მარაგი, რაც გააგრძელებს „ცეცხლს. "არასწორი კულტურა" შეიწოვს ჟანგბადს ამ „ცეცლიდან" რომელიც ლიდერმა დაანთო.

იმისათვის რომ შეიქმნას "სწორი კულტურა" ლიდერებმა უნდა გადადგან პირველი ნაბიჯი არა მარტო კომუნიკაციაში, არამედ იმის დემონსტრირებაში, რომ სწორი ღირებულებები, ისეთი როგორიცაა თანამშრომლობა, ინფორმირებული რისკების აღება, და ღიაობა ახალი იდეებისადმი. ამისათვის ლიდერებმა ასევე უნდა შექმან სწორი სტიმულირების სისტემა ამ ღირებულებებისადმი.

ლიდერებმა ღირსეულად უნდა დააფასონ და წაახალისონ ის თანამშრომლები და მიმდევრები, რომლებთაც თავი გამოიჩინეს ახალი იდეების გაზიარებაში, მათ გამოცდაში იმ დროსაც კი, როდესაც ამ იდეებმა არ გაამართლეს. ის მენეჯერები, რომლებმაც ასევე აღმოუჩინეს დახმარება თანამშრომლებს, ასევე უნდა იმსახურებენ წახალისებას. ასეთ სიტუაციაში იქმნება ახალი კულტურა და ის საწვავი რომელიც უთუოდ გაარღვეს ბარიერებს და წინ წაწევს ორგანიზაციებს ინოვაციების განვითარებაში, ინიციაციასა და მათ დროულად დანერგვაში.

მესამე კომპონენტი არის რისკების თავის თავზე აღება და წარუმატებლობის შიშის დაძლევა. არავის არ სიამოვნებს წარუმატებლობა, თუმცა ინოვაცია თავის განსაზღვრებით ნიშნავს რომ წარუმატებლობა მისი თანმდევია.

აუცილებელია რომ ორგანიზაციაში შეიქმნას ისეთი გარემო, რომ ყველა რისკის აღება დაფუძნებული უნდა იყოს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებზე. იმისათვის რომ წახალისდეს ინოვაცია, საჭიროა რისკების მართვა და არა მისი აცილება. აუციელბელია, რომ განვითარდეს ისეთი პროცესები, რომლებიც ეფუძნება სწრაფი ცოდნის შეძენას სხვადასხვა იდეების ტესტირების დროს. თუ წარუმატებლობა გარდაუვალია, აუცილებელია რომ მინიმიზირებული იქნას მისი შედეგები. კომპანიებს ასევე შეუძლიათ რისკების განაწილება სხვადასხვა ინოვაციური პორტფელების შექმნის გზით, რასაც აქტიურად იყენებენ ვენჩურული კაპიტალის ფირმები. ეს შესაძლებლობას ქმნის განაწილდეს რისკები და შედეგები იმისთვის რომ ყველა კვერცხი ერთ კალათში არ ჩაიდოს.

ასევე აუცილებელია, რომ რისკების შედეგები მინიმიზიებული იყოს თანამშრომლებზე. ინოვაციაზე დამღუპველად მოქმედებს თამაშრომელთა შიში, რომ წარუმატებელი ინოვაცია გავლენას მოახდეს მათ კარიერაზე. აუცილებელია შეიცვალოს დაჯილდოების სისტემა, რომელიც მხოლოდ ახალისებს წარმატებას და ასევე უნდა დაფასდეს ის მცდელობები, რომელთაც თუნდაც წარუმატებლობის შემთხვევაში დიდი წვლილი შეაქვთ ორგანიზაციული ცოდნის მიღებასა და განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. David Magellan Horth, Jonathan R. Vehar. Stuck in the Middle: Why Innovation Dies and What to Do About It

https://www.td.org/Publications/Blogs/Learning-Executive-Blog/2015/04/Stuck-in-the-Middle-Why-Innovation-Dies-and-What-to-Do-About-It

2. Scott Anthony, Your Innovation Problem Is Really a Leadership Problem, February 13, 2013, https://hbr.org/2013/02/your-innovation-problem-is-really-a-leadership

3. Bob Johansen and Karl Ronn, The Reciprocity Advantage: a New Way to Partner for Innovation and Growth, Berrett-Koehler Publishers, 2014, ISBN-13: 978-1626561069, ISBN-10: 1626561060

4. გ. ამყოლაძე, მ. ლომსაძე-კუჭავა, ჯ. დუგლაძე, ინოვაციური პროცესები, ინოვაციური ასპექტები, თბილისი 2015.

ევროკავშირის კიბერ-უსაფრთხოების სტრატეგია ღია, უსაფრთხო და დაცული კიბერ-სივრცისათვის

შოთა ქვაჩაკიძე,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე, ინტერნეტმა და ზოგადად საინფორმაციო სისტემებმა, ფართოდ მოიცვა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება დამოკიდებულია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მუშაობაზე. ღია და თავისუფალი კიბერსივრცე ხელს უწყობს პოლიტიკურ და სოციალურ ჩართულობას მსოფლიოს მასშტაბით. მან შეამცირა ბარიერები ქვეყნებს, საზოგადოებებსა და მოქალაქეებს შორის, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ინფორმაციისა და იდეების გაზიარება მთელი მსოფლიოსთვის. იმისათვის, რომ კიბერსივრცე დარჩეს ღია და თავისუფალი, მნიშვნელოვანია, რომ იგივე ნორმები, პრინციპები და ღირებულებები, რომლებიც ძალაშია რეალურ სივრცეში, გადატანილი იქნას ონლაინ რეჟიმშიც.ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობა დაცული უნდა იყოს კიბერსივრცეში.

ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ კიბერ-უსაფრთხოების სტრატეგიაში მისი (ევროკავშირის) ხედვა წარმოდგენილია ხუთი სტრატეგიული პრიორიტეტის სახით: კიბერ მდგრადობის მიღწევა; კიბერდანაშაულის მკვეთრად შემცირება; კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება, რომელიც დაკავშირებულია საერთო უსაფრთხოებასა და თავდაცვის პოლიტიკასთან; კიბერუსაფრთხოების ინდუსტრიული და ტექნოლოგიური რესურსების შექმნა; თანმიმდევრული საერთაშორისო კიბერპოლიტიკის შემუშავება (ევროკავშირის სივრცისთვის), რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის ძირითად ღირებულებებთან. ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული კიბერ სტრატეგია, ასახავს ევროკავშირის ხედვას და საჭირო ქმედებებს, დაფუძნებულს მოქალაქეთა უფლებებზე და ევროკავშირის ონლაინგარემოს უსაფრთხოებაზე.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული უსაფრთხოება, კიბერ უსაფრთხოება, ევროკავშირი, ინტერნეტი, კიბერპოლიტიკა.

Cybersecurity Strategy of the European Union: An Open, Safe and Secure Cyberspace

Shota Qvachakidze, Phd of Gtu

Summary

Over the last two decades, the Internet and more broadly cyberspace has had a tremendous impact on all parts of society. Our daily life depend on information and communication technology working seamlessly. An open and free cyberspace has promoted political and social inclusion worldwide; it has broken down barriers between countries, communities and citizens, allowing interaction and sharing of information and ideas across the globe. For cyberspace to remain open and free, the same norms, principles and values that the EU upholds offline, should also apply online. Fundamental rights, democracy and the rule of law need to be protected in cyberspace.

In the EU cyber-security strategy, the EU vision presented is in five strategic priorities: Achieving cyber resilience, drastically reducing cybercrime, developing cyberdefence policy and capabilities related to the Common Security and Defence Policy, develop the industrial and technological resources for cybersecurity, establish a coherent international cyberspace policy for the European Union and promote core EU values. In Cyber strategy offered by the EU, is vision of EU and the necessary actions, based on citizens' rights and EU cyberspace.

Keywords: Information security, cybersecurity, European Union, internet, cyberspace.

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე, ინტერნეტმა და ზოგადად საინფორმაციო სისტემებმა, ფართოდ მოიცვა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, დამოკიდებულია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მუშაობაზე. ღია და თავისუფალი კიბერსივრცე ხელს უწყობს პოლიტიკურ და სოციალურ ჩართულობას მსოფლიოს მასშტაბით; მან შეამცირა ბარიერები ქვეყნებს, საზოგადოებებსა და მოქალაქეებს შორის, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ინფორმაციისა და იდეების გაზიარება მთელი მსოფლიოსთვის. იმისათვის, რომ კიბერსივრცე დარჩეს ღია და თავისუფალი, მნიშვნელოვანია, რომ იგივე ნორმები, პრინციპები და ღირებულებები, რომლებიც ძალაშია რეალურ სივრცეში, გადატანილი იქნას ონლაინ რეჟიმშიც. ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობა დაცული უნდა იყოს კიბერსივრცეში. ჩვენი თავისუფლება

და კეთილდღეობა უფრო და უფრო დამოკიდებულია ინოვაციურ ინტერნეტსივრცეზე, მაგრამ „ონლაინ თავისუფლება“ აგრეთვე მოითხოვს უსაფრთხოებასა და დაცვას. კიბერსივრცე დაცული უნდა იყოს ინციდენტების, მუქარის და უკანონო გამოყენებისაგან. ამ კუთხით, მთავრობას აქვს რამდენიმე ძირითადი ამოცანა: უზრუნველყოფილ იქნას ხელმისაწვდომობა და ღიაობა, დაცული იქნას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები „ონლაინ“ და შენარჩუნებული იყოს საიმედოობა ინტერენტსივრცეში. თუმცა აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორი ფლობს და ოპერირებს კიბერსივრცის მნიშვნელოვან ნაწილში და ნებისმიერმა ინიციატივამ, რომელიც მიზნად ისახავს ამ სფეროში წარმატებას, მნიშვნელოვანია აღიაროს მისი წამყვანი როლი. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გახდა ეკონომიკური ზრდის ხერხემალი და წარმოადგენს კრიტიკულ რესურსს, რომელსაც ეყრდნობა ყველა ეკონომიკური სექტორი. ამჟამად ის ეფუძნება კომპლექსურ სისტემას, რომელიც ინარჩუნებს მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას ისეთ ძირითად სექტორებში, როგორებიცაა: ფინანსები, ჯანდაცვა, ენერგეტიკა და ტრანსპორტი. [1]

უკანასკნელი წლის ევრობარომეტრმა აჩვენა, რომ ევროპელების თითქმის მესამედი არ არის დარწმუნებული ინტერნეტბანკით განხორციელებული ოპერაციებისა და ონლაინშესყიდვების უსაფრთხოებაში. აბსოლუტურმა უმრავლესობამ ასევე განაცხადა, რომ ისინი ერიდებიან პირადი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსებას უსაფრთხოების პრობლემების გამო. ევროკავშირის მასშტაბით, ინტერნეტის ყოველი 10 მომხმარებლიდან ერთი უკვე გახდა თაღლითობის მსხვერპლი. უკანასკნელმა წლებმა აჩვენა, რომ ერთის მხრივ ციფრულ სამყაროს მოაქვს უზარმაზარი სარგებელი და ამასთან იგი არის საკმაოდ დაუცველი. ინციდენტები, იქნება ეს განზრახ თუ შემთხვევით, იზრდება საგანგაშო ტემპით და შეიძლება შეაფერხოს მოსახლეობისთვის ისეთი არსებითი მომსახურებების მიწოდება, როგორებიცაა: წყალმომარაგება, ჯანდაცვა, ელექტროენერგიის ან მობილური კომუნიკაციით მომსახურება. საფრთხეებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული წარმოშობა - მათ შორის: სისხლის სამართლის, პოლიტიკურად მოტივირებული. ასევე გასათვალისწინებელია ბუნებრივი კატასტროფები და შემთხვევითი შეცდომები. ევროკავშირის ეკონომიკა უკვე დაზარალდა კერძო სექტორის თუ ფიზიკური პირების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებებისაგან. კიბერ-კრიმინალები იყენებენ სულ უფრო და უფრო დახვეწილ მეთოდებს საინფორმაციო სისტემებში შესაღწევად და მონაცემების მოსაპარად. ეკონომიკური ჯაშუშობის ზრდა კიბერსივრცეში ახალი კატეგორიის საფრთხეებს უქმნის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობებსა და კომპანიებს. ეს ფაქტორი ხსნის, თუ რატომ დაიწყეს მსოფლიოს მასშტაბით მთავრობებმა კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის განვითარება და მიიჩნიეს კიბერსივრცე, როგორც მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხი.

კიბერ უსაფრთხოების პრინციპები:[2]

უსაზღვრო და მრავალფუნქციური ინტერნეტი, დღესდღეობით გახდა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი გლობალური პროგრესისათვის. ის ძირითადი კანონები და ნორმები, რომლებიც გამოიყენება რეალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ასევე ვრცელდება კიბერსივრცეშიც. ფუნდამენტური უფლებების დაცვა, გამოხატვის თავისუფლება, პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა კიბერ სივრცეში მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური, როდესაც ის ეფუძნება ევროკავშირის ძირითად ღირებულებებს, ევროკავშირის ქარტიის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ნებისმიერი ინფორმაციის გაცვლა, რომელიც ეხება პირად მონაცემებს, შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ევროკავშირის შესაბამის კანონთან მონაცემთა დაცვის შესახებ და მოიცავდეს სრულყოფილ ანგარიშს ამ სფეროში ადამიანის უფლებების შესახებ. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად „ციფრულ“ სამყაროში უწევთ დღევანდელ დღეს მოქალაქეებს ცხოვრება, ციფრულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას მოქალაქეებისთვის. ყველას უნდა ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომა და შეეძლოს ინფორმაციული ნაკადების შეუფერხებელად მიღება. ინტერნეტით სარგებლობა გარანტიას უნდა იძლეოდეს მისით (ინტერნეტით) მოსარგებლე თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებისათვის. ქვეყანაში დემოკრატიული და ეფექტური ხელისუფლების პირობებში, ციფრული სამყარო არ კონტროლდება მხოლოდ ერთი პირის მიერ. დღესდღეობით, არსებობს რამდენიმე დაინტერესებული მხარე, რომელთაგან ბევრია კომერციული და არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი ჩართულნი არიან ინტერნეტრესურსების მართვის, სტანდარტების შემუშავების და ინტერნეტის სამომავლო განვითარების საქმეში. არსებობს საერთო პასუხისმგებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას საინფორმაციო უსაფრთხოება სხვადასხვა სფეროში, რადგან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ადამიანის უფრო და უფრო მზარდი დამოკიდებულების პირობებში, გაზრდილია ხარვეზებიც, რომლებიც უნდა იქნას სათანადოდ განსაზღვრული, ზედმიწევნით გაანალიზებული, შემცირებული და გამოსწორებული. ყველა შესაბამისმა პირმა, იქნება ის საჯარო ხელისუფლების წევრი, წარმომადგენელი კერძო სექტორიდან, თუ უბრალოდ მოქალაქე, უნდა გაიაზროს ეს საერთო პასუხისმგებლობა, მიიღოს ზომები, რათა დაიცვას საკუთარი თავი და საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს კოორდინირებულ მოქმედებებში საერთო კიბერუსაფრთოხების გაძლიერებისათვის. ევროკავშირის ხედვა წარმოდგენილია ხუთი სტრატეგიული პრიორიტეტის სახით:

კიბერ მდგრადობის მიღწევა;

კიბერდანაშაულის მკვეთრად შემცირება;

კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება, რომელიც დაკავშირებულია საერთო უსა-

ფრთხოებასა და თავდაცვის პოლიტიკასთან

კიბერუსაფრთხოების ინდუსტრიული და ტექნოლოგიური რესურსების შექმნა;

თანმიმდევრული საერთაშორისო კიბერ-პოლიტიკის შემუშავება (ევროკავშირის სივრცისთვის), რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის ძირითად ღირებულებებთან.

კიბერ მდგრადობის მიღწევა: იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ევროკავშირის კიბერ მდგრადობას, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ორგანოებმა და კერძო სექტორმა განავითარონ ერთმანეთთან ეფექტური თანამშრომლობა. დადებით შედეგებზე საქმიანობის დაფუძნება, შესაძლებელს გახდის, რომ სამომავლოდ შემცირებული იქნას კიბერ რისკები და საფრთხეები. ეს გააუმჯობესებს ევროკავშირის შიდა უსაფრთხოებას. აღსანიშნავია, რომ კერძო აქტორებისთვის ჯერ კიდევ არ არსებობს ეფექტური წახალისების მექანიზმები, რათა მათ უსაფრთხოების სისტემებში მეტი ინვესტირება მოახდინონ. ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული კანონმდებლობა, მიზნად ისახავს ძირითადი სფეროების მოთამაშეებისათვის (კერძოდ, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, საბანკო, საფონდო ბირჟები, ინტერნეტგაყიდვების მომსახურება, ასევე, საჯარო ადმინისტრაციები) მათ წინაშე მდგარი კიბერრისკების შეფასებას და საიმედო და სტაბილური ქსელებისა და საინფორმაციო სისტემების მეშვეობით შესაბამისი რისკების მართვის უზრუნველყოფას. კიბერკულტურის გაძლიერება გააძლიერებს ბიზნესის შესაძლებლობებსა და კონკურენტუნარიანობას კერძო სექტორში.

კიბერდანაშაულის მკვეთრად შემცირება: რაც მეტად „ციფრულ“ სამყაროში ვცხოვრობთ, მით მეტი შესაძლებლობები არსებობს კიბერ კრიმინალებისთვისაც. კიბერდანაშაული დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ფორმაა და ყოველდღიურად მსოფლიოში მილიონზე მეტი ადამიანი ხდება მისი მსხვერპლი. კიბერდანაშაულის ქსელები ხდება სულ უფრო და უფრო დახვეწილი და ჩვენც შესაბამისი საოპერაციო ინსტრუმენტები და შესაძლებლობები უნდა გაგვაჩნდეს მათთან გასამკლავებლად. კიბერდანაშაული მაღალმომგებიან და დაბალი რისკის საქმიანობებებს მიეკუთვნება და კიბერდამნაშავეები ხშირად ახერხებენ ანონიმური დომენების გამოყენებას. კიბერდანაშაულმა არ იცის საზღვრები და შესაბამისად მთავრობებმა გლობალურად და ერთმანეთთან თანამშრომლობით უნდა ებრძოლონ მის მზარდ საფრთხეს. ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს უნდა გააჩნდეთ ძლიერი და ეფექტური კანონმდებლობა კიბერდანაშაულის დასაძლევად. ევროპის საბჭოს კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ (აგრეთვე ცნობილი როგორც ბუდაპეშტის კონვენცია) არის სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობის ეფექტურობას. ამჟამად, ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოს არ აქვს ოპერატიული შესაძლებლობები, იმისათვის, რათა ეფექტურად უპასუხოს კიბერდანაშაულს. ყველა წევრ ქვეყანას სჭირდება კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ეროვნული ერთეული.

კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება, რომელიც დაკავშირებულია საერთო უსაფრთხოებასა და თავდაცვის პოლიტიკასთან: კიბერუსაფრთხოება აგრეთვე ჩართულია თავდაცვის განზომილებაში. იმისათვის რომ გაიზარდოს წევრი ქვეყნების საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების გამძლეობა, კიბერუსაფრთხოების განვითარება კონცენტრირებული უნდა იყოს კიბერ საფრთხეების გამოვლენაზე და ეფექტურ რეაგირებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საფრთხეები მრავალმხრივია, სამოქალაქო და სამხედრო საზოგადოებებს შორის აუცილებელია მეტი ეფექტური კომუნიკაცია (სინერგია). ეს ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული კვლევებისა და განვითარებისაკენ, აგრეთვე, ევროკავშირში მთავრობებსა და კერძო სექტორს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობისაკენ. გაორების თავიდან აცილების მიზნით, ევროკავშირი შეისწავლის შესაძლებლობებს საიმისოდ, თუ როგორ მიმართონ ევროკავშირმა და “ნატომ” ერთობლივი ძალისხმევა იმ საინფორმაციო ინფრასტრუქტურების გაუმჯობესებისაკენ, რომლებზედაც დამოკიდებულია ორივე ორგანიზაცია.

კიბერუსაფრთხოების ინდუსტრიული და ტექნოლოგიური რესურსების შექმნა: ევროპას გააჩნია შესანიშნავი შესაძლებლობები კვლევებისა და განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ აპარატურული და პროგრამული კომპონენტების წარმოება მოხდეს ევროკავშირის ფარგლებში და ინფრასტრუქტურული მოწყობილობებიც იყოს უფრო საიმედო რათა გარანტირებული იქნას პირადი მონაცემების დაცვა. მაღალი დონის უსაფრთხოება მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთლიანი ჯაჭვი (მაგალითად: პროგრამული აღჭურვილობის მწარმოებლები, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერები, მომსახურების პროვაიდერები) მიიჩნევს უსაფრთხოებას როგორც პრიორიტეტს. კერძო სექტორი საჭიროებს წახალისებას, რათა განავითაროს მაღალი დონის კიბერუსაფრთხოება, მაგალითად, სათანადო კიბერუსაფრთხოების მაჩვენებელი ეტიკეტების არსებობა შესაძლებლობას მისცემს კომპანიებს რომ წარმოაჩინონ ეს ფაქტორი და ამით მიიღონ კონკურენტული უპირატესობა. მთავარი აქცენტი მიმართული უნდა იყოს საიმისოდ, რომ წახალისდეს რისკის მენეჯმენტი და შემუშავდეს უსაფრთხოების სტანდარტები და გადაწყვეტილებები. ასევე შესაძლოა შეიქმნას ევროკავშირის მასშტაბით ნებაყოფლობითი სერთიფიცირების სქემები.

თანმიმდევრული საერთაშორისო კიბერპოლიტიკის შემუშავება (ევროკავშირის სივრცისთვის), რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის ძირითად ღირებულებებთან: ღია, თავისუფალი და უსაფრთხო კიბერსივრცის შენარჩუნება გლობალური გამოწვევაა, რომელშიც ევროკავშირი უნდა ჩაერთოს შესაბამის საერთაშორისო პარტნიორებთან, ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან და სამო-

ქალაქო საზოგადოებასთან ერთად. საერთაშორისო კიბერსივრცის პოლიტიკაში ევროკავშირის მიზანია, ხელი შეუწყოს ინტერნეტის ღიაობასა და თავისუფლებას. მიმართოს ძალისხმევა კიბერსივრცეში ქცევის ნორმების განსავითარებლად და არსებული საერთაშორისო კანონების შესასრულებლად. ევროკავშირი აგრეთვე აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ძალისხმევაში კიბერუსაფრთხოების მისაღწევად. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდის პირობებში მნიშვნელოვანია მსოფლიოში დემოკრატიული რეფორმების განხორციელება და მათი პოპულარიზაცია. გაზრდილ გლობალურ კომუნიკაციებს არ უნდა ახლდეს ცენზურა. ევროკავშირი ხელს უწყობს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვას და საერთაშორისო ინიციატივების წახალისებას რათა გაუმჯობესდეს გლობალური კოორდინაცია ამ სფეროში.

ამრიგად, ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული კიბერ სტრატეგია, ასახავს ევროკავშირის ხედვას და საჭირო ქმედებებს, დაფუძნებულს მოქალაქეთა უფლებებზე და ევროკავშირის ონლაინგარემოს უსაფრთხოებაზე. ეს ხედვა შეიძლება გაანალიზდეს მხოლოდ მრავალი მხარის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) "Joint Communication to the european Parliament, the council, european economic and social commitee and the committee of the regions Cybersecurity Strategy of the European Union: An Open, Safe and Secure Cyberspace". Brussels, 7.2.2013.

2) Kim Andreasson - "Cybersecurity: Public Sector Threats and Responses". USA. New York. 2011.

ექსპერიმენტული ეკონომიკის წარმოშობის წინაპირობები და მისი სამეცნიერო მიმართულებად აღიარება

რუსუდან ქინქლაძე,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

Prerequisites of Emergence of Experimental Economy and its Recognition as Scientific Direction

Rusudan Kinkladze, Associated professor of Gtu

Summary

The article deals with the background of emergence of a new current of economic thought, named «experimental economics». It analyzes the evolution of the point of view of science community on the use of experimental methods in economics, interdisciplinary connections of this current and the functions of experimenting in economics. The article proposes the validation of acknowledgement of experimental economics as the new scientific current and accentuation of its contribution to the economic science.

საკვანძო სიტყვები: ექაპერიმენტული ეკონომიკა, ექსპერიმენტი, ექსპერიმენტული მეთოდები, ეკონომიკური ფსიქოლოგია, ქცევითი ეკონომიკა.

არც ისე შორეულ წარსულში გავრცელებული იყო მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკურ თეორიაში კონკრეტული ექსპერიმენტის განხორციელება შეუძლებელია, რომ ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, დაცულია ექსპერიმენტებისგან. უკეთეს შემთხვევაში ეკონომისტებს თავისი თეორიების შემოწმება შეეძლოთ მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზის საფუძველზე. მაგრამ დღეისათვის ბერნენ სმიტის ექსპერიმენტები ეკონომიკაში ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი მეთოდი გახდა. ისინი გამოსახავენ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შინაარს, მათი დახმარებით შესაძლებელია მოვლენაზე მოქმედ ფაქტორებს შორის არსებული ურთიერთკავშირის, მათი ზემოქმედებისა და შედეგების გაგება, მყარი ტენდენციების გამოვლენა, მოვლენის მოსალოდნელი განვითარების პროგნოზირება. ნათელი გახდა ექსპერიმენტული მეთოდების შესაძლებლობები მონაცემთა მოპოვების როგორც ახალი წყაროს, ახალი აღმოჩენების წინასწარ განჭვრეტის, თეორიის სტიმულირებისა და პრაქტიკაში განხორციელების შესახებ, რომლის შედეგადაც საქმიანობის ეს სფერო უკვე ეკონომიკური კვლევების მნიშვნელოვანი ელემენტია.

ექსპერიმენტული ეკონომიკა - ეკონომიკური მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულებაა, რომლის ინტენსიური განვითარება გასული საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში დაიწყო. მის მეთოდოლოგიას დასაბუთებული ეკონომიკური თეორიისა და საბაზრო მექანიზმების კვლევების შემოწმებისათვის ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება დაედო საფუძველად.

ექსპერიმენტული ეკონომიკა შეიძლება განიმარტოს როგორც ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ექსპერიმენტის კონტროლირებად პირობებში ეკონომიკური აგენტების ქცევა და მოხდეს ეკონომიკური თეორიების წინასწარგანჭვრეტა. ეკონომიკური ექსპერიმენტი არის „ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ხელოვნური კვლავწარმოება უფრო ხელსაყრელ პირობებში და მათი შემდგომი პრაქტიკული ცვლილებები“ [1.გვ.11].

ეკონომიკაში ექპერიმენტის გამოყენების ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ მივიღოთ მონაცემები ეკონომიკური სუბიექტების ქცევის შესახებ ლაბორატორიის კონტროლირებად პირობებში, ქცევათა მრავალი ასპექტიდან შევარჩიოთ სწორედ ის, რომელიც დასახული ამოცანის გადასაწყვეტადაა საჭირო. ასევე იგი საშუალებას იძლევა შევისწავლოთ სიტუაციები, რომლებიც თეორიის არასრულყოფილი განვითარებიდანაა მიღებული.

ტერმინი „ექსპერიმენტული ეკონომიკა“, ელვინ როტას თანახმად (ავტორი კრებულისა „Handbook of experimental economics“) პირველად გამოყენებულ იქნა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გერმანელი მეცნიერის ჰან საუერმანის მიერ [2.გვ19]

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ექსპერიმენტული ეკონომიკის მინიმუმ სამ ფუნქციას. ეს ფუნქციები ეფუძნება ექსპერიმენტის სამ კატეგორიას, რომელიც განხილული აქვს ელვინ როტას თავის ნაშრომში „Handbook of experimental economics“. მისი მოსაზრებით, ექსპერიმენტის ეს კატეგორიები დამოკიდებულია იმაზე თუ რითია ისინი მოტივირებული და ვისი დაჯერებაა საჭირო [2,გვ22]:

1. თეორიის შემეცნებითი ძალის შეფასება - ჰიპოტეზების ტესტირება, რომელიც შემუშავებულია როგორც ფორმულირებული თეორიის, ისე კვლევის ინდუქციური მეთოდის ინტუიციური ამონარიდების სახით. ექპერიმენტი საშუალებას იძლევა შეიქმნას ეკონომიკურ თეორიაში აღწერილი სიტუაცია ხელოვნურად კონტროლირებად პირობებში, იმის შესამოწმებლად შეესაბამება თუ არა ეკონომიკური აგენტების რეაური ქცევა თეორიის მიერ განსაზღვრულ კანონზომიერებებს. შემდგომში ექსპერიმენტის შედეგები უნდა იქნას აღწერილი სპეციალურ ლიტერატირაში და ექსპერიმენტალისტებსა და თეორიტეკოსებს შორის დიალოგის საგნად იქცეს. რეალურად თეორიის უარყოფა ხშირად ემსახურება არა მის დისკრეტიზაციას, არამედ თეორიის მოდიფიკაციას ახალი ფაქტორების გათვასისწინებით.

2. ახალი ცოდნის წარმოება - კანონზომიერებათა ძიება ეკონომიკური სუბიექტების ფაქტიურ ქცევაში და სიტუაციის შედარებით ნაკლებად ცნობილი თეორიული თვალსაზრისის შესწავლა. დღეისათვის არსებობს ფენომენები, რომელთა ასახნელად მისაღები თეორია არ არსებობს. ასეთ შემხვევაში ექსპერიმენტულმა ეკონომიკამ შეიძლება მოცემული სიტუაციის შინაარსი უფრო კარგად გასაგები გახდეს თუ მისი გახილვა მოხდება ექსპერიმენტის ფარგლებში. ასეთ ექსპერიმენტებში პირველ რიგში წარმოებს დიალოგი თავად ექსპერიმენტის ჩამტარებლებს შორის მიღებული შედეგების შესახებ, რომლითაც შესაძლებელი ხდება ისეთი „განმარტების მოძიება“, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ემპირიული ფაქტების საფუძველზე ახალი თეორიის ფორმირება.
3. პირველი ორი ფუნქცია ურთიერთდაკავშირებულია იმ თვალსაზრისით, რომ განსაზღვრული ჰიპოტეზის უარყოფის დროს ექსპერიმენტის მსვლელობისას ხდება ახალი ჰიპოტეზის ფორმირება, რომელიც ამ ექსპერიმენტის შედეგებს ეფუძნება.
4. გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება - ექსპერტიზის ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურებისათვის რეკომენდაციების ფორმირებას. ასეთი ექსპერიმენტები გულისხმობს ექსპერიმენტის ჩამტარებელ და სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ პირთა შორის დიალოგს. ამ ფუნქციაში ვლინდება ეექსპერიმენტული ეკონომიკის ნორმატიული ხასიათი. დღეისათვის ბევრ ქვეყანაში არა მარტო სახელმწიფო ორგანოები, არამედ კერძო ფირმებიც კი იყენებენ ექსპერიმენტული ეკონომიკის ძირითად პოსტულატებს ბაზარზე ფასების ფორმირების, სტრატეგიული სწავლების, მოლაპარაკებების ან ინფორმაციის გაცვლის სფეროში.

ამ სამ ძირითად ფუნქციას შეიძლება დავუმატოთ მეოთხე - სწავლების ფუნქცია. ექსპერიმენტულმა ეკონომიკამ, ექსპერიმენტის საშუალებით არსებული თეორიის, მათ შორის ძალიან აბსტრაქტულისაც კი, თვალსაჩინოდ და ინტერაქტიული ახსნა-განმარტების შეთავაზებით, შეიძლება გააუმჯობესოს ეკონომიკის სწავლების პროცესი. მოცემულ შემთხვევაში საჭიროა განვასხვავოთ ექსპერიმენტის ორი სახეობა - სამეცნიერო, რომელიც მოწოდებულია რეალური მონაცემების გასაანალიზებლად და სწავლების, რომლის მიზანი სუფთა პედაგოგიური ხასიათისაა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მეორე პირველის ასლს წარმოადგენს, მის მიმართ არსებული მოთხოვნები ძლიერ განსხვავდება [3, გვ.19].

თანამედროვე ეტაპზე მრავალი მეცნიერი აღიარებს ექსპერიმენტულ ეკონომიკას, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელ ნაწილს. მაგრამ ასეთ აღიარებამდე ისინი რა თქმა უნდა გარკვეული წლების შემდეგ მივიდნენ, რადგან როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ისინი ეკონომიკური მეცნიერების ექსპერიმენტულ ხასიათს უარყოფდნენ, შეუძლებლად მიაჩნდათ რა ეკონომიკური მოვლენების შესწავლისათვის ექსპერიმენტის ჩატარებას. მაგალითად, ნეოკლასიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი - ვილიამ ჯევონსი თვლიდა, რომ ადამიანის სუბიექტური შეგრძნებების პირდაპირი გაზომვა შეუძლებელია, ხოლო ეკონომიკურ მეცნიერებაში საჭიროა დავკმაყოფილდეთ დაკვირვების მეთოდის გამოყენებიდან მიღებული ირიბი დასკვნებით. ამ მოსაზრებას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საჭირო მოწყობილობათა არარსებობით ხსნიდნენ.

1985 წელს პოლ სამუელსონი თავის ცნობილ წიგნში - „ეკონომიკა: წინასწარი ანალიზი“, წერდა, რომ ეკონომისტებს არ შეუძლიათ თავის კვლევებში გამოიყენონ ისეთი კონტროლირებადი ექსპერიმენტები, რომელსაც ქიმიკოსები ან ბიოლოგები იყენებენ, მათ მხოლოდ მაგალითად, ასტროლოგების მსგავი დაკვირვების ჩატარება შეუძლიათ [3,გვ.8]. ცნობილი მეცნიერი კარლ ბლაუგი 1973 წელს ბრიტანიკის ენციკლოპედიაში წერდა: „არ არსებობს ისეთი ლაბორატორია, რომელშიც ეკონომიკას თავისი ჰიპოტეზის ტესტირება შეეძლება“[4,გვ.268]. მსგავს მოსაზრებებს იზიარებდნენ ბევრი ცნობილი მეცნიერი - ჯონ სტიუარტ მილლი, ლიონელ რობერტი, მილტონ ფრიდმანი, ვილიამ ნორდჰაუსი და მრავალი სხვა. მაგრამ მას შემდეგ შეხედულებები ექსპერიმენტული ეკონომიკისადმი შეიცვალა. დღეისათვის მათი მტკიცებულებებს აღარ გააჩნია საფუძველი. ლაბორატორიული ექსპერიმენტები თავისი ადგილი დაიმკვირეს ეკონომიკური მეცნიერების ინსტრუმენტებს შემადგენლონაში.

ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან განსხვავებით, ექსპერიმენტული ტრადიცია ზუსტ მეცნიერებებში ჯერ კიდევ ფიზიკის სფეროში ფრენსის ბეკონისა და გალილეო გალილეის პირველი ექსპერიმენტებიდან ჩამოყალიბდა XVII საუკუნის დასაწყისში. ორი საუკუნის შემდეგ ექსპერიმენტების ჩატარება დაიწყეს ქიმიაში. მაგ., ბიოლოგია, რომელშიც ასევე დიდხანს მიაჩნდათ რომ არ გამოდგებოდა ექსპერიმენტების ჩასატარებლად, ექსპერიმენტული მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრში გახდა. პირველი სოციალური მეცნიერება, სადაც დაიწყო ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენება XX საუკუნეში, იყო ფსიქოლოგია.

ამრიგად, ექსპერიმენტებს ეკონომიკაში წინ უსწრებდა ექსპერიმენტები ფსიქოლოგიაში. ამასთან დაკავშირებით გასაოცარი აღარ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ პირველი ექსპერიმენტები ჩატარებულ იქნა გადაწყვეტილების მიღების პრობლემებზე მომუშავე ფსიქოლოგების მიერ.

შემდეგომში ეკონომისტები მჭიდროდ თანამშომლობდნენ ფსიქოლოგებთან და სწორედ ასეთი თანამშრომლობით აიხსნება პირველი ეკონომიკური ექსპერიმენტების წარმოშობა.

ამასთან, ექპერიმენტების წარმოშობას ხელი შეუწყო XX საუკუნის 50-იან წლებში მიკროეკონომიკაში მიმდინარე ევოლიციურმა მოვლენებმა, რომლებმაც

ეკონომიკური სუბიექტების სტრატეგიული ქცევის ახალი კუთხით შესწავლის შესაძლებლობა შექმნეს [6]. მიჩნულია, რომ თამაშთა თეორია იყო ეკონომიკაში ექსპერიმენტის წარმოშობის ძირითადი ე.წ. „დრაივი“. იმავდროულად უმეტესობა მეცნიერებებისა - ჯონ ნეში, მარტინ შუბიკი. ტომას შელინგი ექპერიმენტს იყენებდნენ თავიანთი თეორიების, მოსაზრებების დასაბუთების ან პარადოქსების ილუსტრირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ფონ ნეიმანი მაგ., არასდროს ინტერესდებოდა თამაშთა თეორიის ექსპერიმენტებით და თვლიდა, რომ მოცემული თეორია გამოსადეგია არა ინდივიდუალური, არამედ სოციალური ქცევის კანონზომიერებათა აღწერისათვის [5.გვ.117[.

ექსპერიმენტული ეკონომიკის წარმოშობის ასახსნელად საჭიროა პირველ რიგში გავიგოთ იმ დროის მეცნიერული კონტექსტი. მხოლოდ მეორე მოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკა „მორალური მეცნიერებიდან“ ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ მეცნიერებად გარდაიქმნა. მათემატიკა, სტატისტიკა და მოდელირება ანალიზის ძირითადი ინსტრუმენტები და ამავე დროს შესწავლის ობიექტი ხდება [5]. სწორედ მოდელირების განვითარებამ შეასრულა მნიშველოვანი როლი ექსპერიმენტული ეკონომიკის წარმოშობაში [6,გვ.5].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია ექსპერიმენტული ეკონომიკის წარმოშობა, დარგთაშორისი კვლევების განვითარება და პირველ რიგში ფსიქოლოგიის ეკონომიკაზე გავლენა წარმოადგენს. მე-20 საუკუნეში მიკროეკონომიკური თეორიის წარმოშობისა და განვითარების დროს ფსიქოლოგიას, რომელიც მხოლოდ ჩანასახის პროცესში იმყოფებოდა, ჯერ კიდევ მეცნიერების სტატუსი არ გააჩნდა. ამასთან დაკავშირებით მეცნიერებს, რომლებიც მიკროეკონომიკის შექმნაზე მუშაობდნენ, არ გააჩნდათ საშუალება გამოეყენებინათ ფსიქოლოგიური კვლევები ინდივიდების ქცევის მოდელის შემუშავებისათვის. შემგომში ეკონომიკურ მეცნიერებაში აუცილებელი გახდა ემპირიული მონაცემების დახმარებით შეეცვალათ მოდელები, რათა მასში ფსიქოლოგიური მონაცემების შეტანით მოეხდინათ ადმიანის რეალურ ქცევებთან მიახლოება. მაგრამ ეკონომიკა არა ამ გზით, არამედ უფრო რთული მოდელებისა და ეკონომეტრიკული ანალიზის გამოყენების გზით განვითარდა. ეკონომიკურ მეცნიერებაში მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყეს ფსიქოლოგიური კვლევების შემოტანა. მრავალი მეცნიერი დღეისათვის აღიარებს ინდივიდთა ქცევის ეკონომიკურ მოდელებში ფსიქოლოგიური ფაქტორების ინტეგრაციის აუცილებლობას.

ამ მიმართულებით მე-20 საუკუნის ბოლოს შეიქმნა დარგთშორისი ხასიათის მქონე მეცნიერების ახალი სფერო - ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის ურთიერთკავშირით წარმოიშვა ეკონომიკური ფსიქოლოგია და ქცევითი ეკონომიკა. პირველი ფსიქოლოგიის საფუძველზე ვითარდებოდა და ინდივიდებისა და ინდივიდთა ჯგუფების ქცევის ასახსნელად როგორც ფსიქოლოგიის, ისე ეკონომიკის მეთოდებს იყენებდა. მეორე კი ამ საკითხს სხვა კუთხით ხსნიდა. ასეთი მიდგომა, რომელიც ეკონომიკაზეა დაფუძნებული, მიზნად ისახავდა ეკონომიკური მოდელების გაგებას და სახეცვლილების შესწავლას მათში ფსიქოლოგიური ელემენტების შეტანით.

ფსიქოლოგია და ეკონომიკა მსგავსი მეცნიერებებია, რამდენადაც მათი შესწავლის საგანია ადამიანის საქმიანობა (ქმედება). მათ შორის ძირითადი განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ფსიქოლოგია მეტწილად ეკონომიკურ ქცევას შეისწავლის ინდივიდუალურ, ხოლო ეკონომიკა - აგრეგირებულ დონეზე. ეკონომიკური მეცნიერება შეისწვლის პირდაპირ კავშირებს მიზეზსა და შედეგს შორის, მაშინ როცა ფსიქოლოგია სწავლებაში - აღქმა და შეფასებაა ჩართული [1. გვ. 974]. თავდაპირველად ტრადიციული მიკროეკონომიკური მოდელები სრულყოფილი ინფორმაციის, მობილობისა და კონკურნციის პირობებში იქმნებოდა, მაგრამ ეკონომიკური თეორიაში თანდთან ისთი ცნებების შემოტაანა დაიწყეს, როგორიცაა მოლოდინები და შეფასება, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სუბიექტები რესურსების მობილიზებისა და მაქსიმალური სარგებლიანობის მიღწევის პროცესში.

სარგებლიანობის ფუნქციის ტრადიციული თეორია დამოკიდებულია ინდივიდებისათვის შეთავაზებული სიკეთის რაოდენობასა და მისი სარგებლიანობის შეფასებაზე, მაგრამ უპირატესობა არაა ფიქსირებული და სტაბილური. მათ ფორმირებაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი. სარგებლიანობის ფუნქციის ტრადიციული თეორიის წინაპირობებს (საქონლის ზღვრული ალტერნატივა და სარგებლიანობის მაქსიმიზაცია) წარმოადგენს ისეთი მოდელები, რომლებიც რეალობასთან არასაკმარისადაა მიახლოებული [8. გვ.975]. დღეისათვის მრავალი ეკონომისტი თანხმდება ახალი ეკონომიკური თეორიის შემუშავების აუცილებლობაზე, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღების კუთხით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებები.

ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის კვეთაში კვლევის მამოძრავებელ ძალას კოგნიტური ფსიქოლოგია წარმოადგენს, რადგანაც მისი პოსტულატები ყველაზე მარტივად ეკონომიკურ კვლევებში გამოიყენება. გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ექსპერიმენტული ეკონომიკის ერთერთ ძირითადი საკითხია, სწორედ კოგნიტური ფსიქოლოგიის დახმარებით შეისწვლება.

ამჟამად ექსპერიმენტული ეკონომიკა სამეცნიერო საზოგადოების მიერ ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელ მიმართულებადაა აღიარებული. პოლ სამუელსონის წიგნის - „ეკონომიკა: შესავალი ანალიზში“ უკანასკნელ გამოცემაში თითქმის ერთი ფურცელი მთლიანად მიძღვნილია ექსპერიმენტული ეკონომიკისადმი. თამანედროვეობის ერთერთი ცნობილი ეკონომისტი არიელ რუბენშტეინი წერს: „ექსპერიმენტული ეკონომიკის წარმატები უტყუარია. ექსპერიმენტული ეკონომიკა გახდა ორტოდოქსული

ეკონომიკის ნაწილი“ [14].

ვერნონ სმიტისა და დანიელ კანემანისთვის ეკონომიკაში 2002 წელს ნობელის პრემიის მინიჭება ექსპერიმენტული ეკონომიკის საყოველთაო აღიარებაზე მიანიშნებს. თავად ვერნონ სმითი, რომელსაც თამამად შეიძლება ექსპრიმენტული ეკონომიკის ფუძემდებელი ვუწოდოთ, განსაზღვრავს მას როგორც ეკონომიკური მეცნიერების მიმართულებად [2].

ის რომ ექსპერიმენტული ეკონომიკა გახდა დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულება მიუთითებს ის გარემოებებიც, რომ არსებობს სპეციალური ჟურნალი (ექსპერიმენტული ეკონომიკის სახელწოდებით 1998 წ.), სპეციალური სამეცნიერო ასოციაცია, სხვადასხვა სახელმძღვანელოები და სავარჯიშო ე.წ. „hendbukebi“, სპეციალური საიტები (ჩარლზ ხოლტისა და ელვინ როტას საიტი) და ა.შ.

ამრიგად, ახალი სამეცნიერო მიმართულების ჩამოყალიბების ორ ვარიანტს განასხვავებენ პირველი, უფრო მარტივი ვარიანტია, როცა ცალკეული მიმართულების გამოყოფა და მისი დამოუკიდებლად განვითარება ხდება. მეორე ვარიანტი, ითვალისწინებს მეცნიერების დამოუკიდებელ სფროებს შორის ურთიერთქმედებას და ახალი კვლევითი მიდგომის წარმოშობას. სწორედ ეკონომიკისა და ფიქოლოგიის კვეთაზე დარგთაშორისი კვლევის განვითარება წარმოადგენს ქცევითი ეკონომიკის შექმნის წინაპირობას, ხოლო ასეთი დარგთაშორისი მიდგომის გამოყენებამ საფუძველი დაუდო ექპერიმენტული ეკონომიკის არებობას.

მოცემული მიმართულების გამოყოფა ნიშნავს ეკონომიკაში თეორიული ჰიპოთეზების ემპირიული შემოწმებისა და ინდივიდებისა თუ ბაზრის რეალურ ქცევასთან შესაბამისობის შეფასების საფუძველზე თეორიულ მათემატიკური მოდელების შემუშავებასთან დაკავშირებით აქცენტების შერწყმას.

დღეისათვის ეკონომიკური ექსპერიმენტები გამოიყენება ეკონომიკის მრავალ სფეროში, როგორიცაა ინდივიდუალური ქცევა, თამაშთა თეორია, ინფორმაციის ეკონომიკა და საყოველთაო სარგებელი. ექსპერიმენტულ მოდელებს გააჩნიათ საშუალება დაამატოს ირიბად მაინც, პრაქტიკულად მიკროეკონომიკის ყველა სფეროში კვლევის უფრო ტრადიციული მეთოდები. ექსპრიმენტულმა ეკონომიკამ მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს ინდივიუაური და ჯგუფური ქცევის შესწავლით და დაამტკიცა ზოგიერთი ეკონომიკური მოდელის არამართებულობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Нуреев Р. М. Вернон Смит – основоположник экспериментальной экономики [Текст], М.: Ирисэн Мысль, 2006, с.9-22
2. Kagel, J.H. The Handbook of experimental economics [Text] / J.H. Kagel, E.E. Roth. – Princeton, New Jersey: Princeton University Press, 1995. – 740 p.
3. Eber, N. L’économie experimentale [Text] / N. Eber, M. Willinger. – Paris: Editions La Découverte, 2005. – 123 p.
4. Enciclopaedia Britannica [Text]. – 15th ed. – 1973. – Vol. 6.
5. Poundstone, W. Prisoner’s dilemma [Text] / W. Poundstone. – N. Y.: Anchor,1992. Morgan, M.S. Economics, in The Cambridge history of science [Text]. / M.S. Morgan. – Vol. 7 : The modern social science (eds.: Porter T., Ross D.). – Cambridge: Cambridge University Press, 2003. P. 275-305.
6. Guala, F. Experimentation in economics [Text], in Maki U. (ed.), The handbook of the philosophy of science, vol. 13: Phylosophy of economics / F. Guala. – Elsevier, 2012. – P. 597–640.
7. Ван Раай. В. Ф. Экономика и психология. СПБ.: Экономическая школа. 2002. Т. 2. С. 973- 990
8. Rubinstein, A. A theorist’s view of experients [Text] / A. Rubinstein // European Economic Review. – 2001. – Vol. 45. – P. 615–628.

მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი

დავით ჯაფარიძე, სტუ-ს პროფესორი
ნინო გიორგიშვილი, სტუ-ს პროფესორი
ირაკლი ბიჭიაშვილი, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიოში ენერგეტიკის განვითარებისადმი მიძღვნილი ცნობილი მეცნიერების შრომები და საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზული მონაცემები, დადგენილია ენერგეტიკის განვითარების მსოფლიო ტენდენციები და ენერგორესურსების წარმოება-მოხმარების პროგნოზული მაჩვენებლები. საქართველოში ენერგეტიკის განვითარების ტენდენციების მეცნიერული კვლევის საფუძველზე განსაზრვრის მიზნით, პროგნოზირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, შესრულებულია ენერგორესურსების წაროების საშუალოვადიანი პროგნოზი. მიღებული პროგნოზული პარამეტრები დაზუსტებულია ექსპერტული შეფასებით, რომელშიც გათვალისწინებულია 2016-2020 წლებში ენერგორესურსების წარმოების ზრდის გეგმიური მაჩვენებლები და რეგულირებადი ტრენდით ექსპონენციალური გამოთანაბრების მეთოდით განსაზღვრულია ენერგორესურსების წარმოების ზედა და ქვედა ზღვრები. ჩატარებული კვლევებით გამორკვეულია, რომ საშუალოვადიან პერიოდში საქართველოში მოსალოდნელია განახლებადი ენერგორესურსების, ელექტროენერგიის წარმოების სწრაფი ტემპებით ზრდა, გაიზრდება აგრეთვე ნახშირის წარმოება. მოსახლეობის გაზიფიკაციის გაფართოების ხარჯზე შემცირდება შეშის მოხმარება. ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მოპოვება პრაქტიკულად დარჩება არსებულ დონეზე, მომავალში შესაძლებელია აღნიშნული ენერგორესურსების მოპოვების კლებაც.

საკვანძო სიტყვები: ენერგორესურსების წარმოება; ენერგომატარებლები; ელექტრიფიკაცია; პროგნოზირება; ფაქტორი; რეგრესია; მათემატიკური მოდელი.

World Energy Sector Development Trends and Mid-term Forecasting of Energy Resources Production in Georgia

D.JAPARIDZE, Professor of Gtu
N. GIORGISHVILI, Professor of Gtu
*I. BICHIASHVILI.*Professor of Gtu

Summary

Article provides the analyses of works done by scientists regarding future development of energy sector and forecasted data provided by International Energy Agency. In this article trends of energy sector future developments and forecasted parameters of energy resources supply-demand have been estimated. Using advanced forecasting methods mid-term forecasting of energy resources production has been done, results are verified based on specialists' assessments.Using trend-adjusted exponential smoothing methodupper and lower margins of energy resources production have been set for 2016-2020 period. According to the research we can safely say that in mid-term period higher production level of renewable energy resources as well as electricity is expected, production of coal will also increase significantly. Due to expansion of gasification process consumption of wood will step-down. Level of fuel and natural gas production will retain, in future production level of mentioned energy resources may fall a bit.

Key words: energy resources production, energy carriers, electrification, forecasting, factor, regression, mathematical model

მსოფლიო ენერგეტიკა ამჟამად განიცდის უპრეცედენტო ცვლილებებს. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს [11] მონაცემების და ენერგეტიკის განვითარების პროგნოზირებისადმი მიძღვნილი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების [6,7,8,9,10,11] კვლევების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ უახლოეს 10 წელიწადში ენერგეტიკის განვითარებაში დომინირებადი იქნება შემდეგი ტენდენციები:

1. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდა;
2. ბუნებრივი გაზის გამოყენების მატება და არატრადიციული გაზის ამოღების მკვეთრი ზრდა;
3. სუფთა ნახშირის ტექნოლოგიის კომერციალიზაცია;
4. ატომური ენერგიის მსოფლიო აღორძინება;
5. განახლებადი ენერგეტიკის განვითარება;
6. ენერგოეფექტურობის ამაღლება.

წამყვანი ეკონომისტების პროგნოზით [8,12,13] 2030 წლამდე მოსალოდნელია პლანეტის მოსახლეობა გაიზარდოს 1,3 მილიარდი ადამიანით, მთლიანი შიდა პროდუქტი ორჯერ, ხოლო ენერგომატარებლებზე მოთხოვნა 36%-ით. ენერგომოხმარების მთელი მასშტაბის 93% მოვა ქვეყნებზე, რომლებიც არ შედიან ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციაში. სურ.№1-ზე მოცემულია მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის და პირველადი

ენერგომატარებლების მოხმარების პროგნოზული ანალიზი.



სურ.№1 მოსახლეობის ზრდა, შემოსავალი და ენერგიის მოხმარება (1990-2030წწ).

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებში მოსახლეობის და ენერგომატარებლების მოხმარების ზრდა თითქმის არ შეიმჩნევა. ძირითადად აღნიშნული მაჩვენებლების ზრდა ამ ორგანიზაციაში არ შემავალი ქვეყნების ხარჯზე მოვა. ექსპერტების შეფასებით [8,13] ელექტროენერგიაზე მოთხოვნა აფრიკაში, ჩინეთსა და ინდოეთში გაიზრდება სოფლის რაიონების ელექტრიფიკაციის განვითარების შესაბამისად. ელექტრომობილების და ჰიბრიდული ავტომობილების გამოყენების გაფართოების კვალდაკვალ განვითარებულ ქვეყნებშიც გაიზრდება მოთხოვნა ელექტროენერგიაზე. 2020 წლისათვის მსოფლიოში ელექტრიფიკაციის დონე მიაღწევს 80 %-ს.

ენერგიის მოხმარების ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იქნება ინდუსტრიალიზაცია. სურათ.№2 მოცემულია ენერგორესურსების მოხმარების პროგნოზი რეგიონების, ენერგიის პირველადი მოხმარების და სათბობის სახეების მიხედვით.



სურ.№2.მსოფლიოში ენერგორესურსების მოხმარების პროგნოზი (1990-2030წწ)

სურათ №2-ზე მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ 2030 წელს პირველადი ენერგიის მსოფლიო მოხმარების თითქმის 80% მოვა მოპოვებით სათბობზე, თუმცა საპროგნოზო პერიოდში უფრო სწრაფად გაიზრდება განახლებადი ენერგორესურსების მოხმარება. იგი საშუალოდ 8% -ით მოიმატებს. სამომავლოდ მკვეთრად შეიცვლება ენერგიაზე მოთხოვნის გლობალური განაწილება. ერთის მხრივ იქნება სტაგნაცია ევროპაში, მეორეს მხრივ-იქნება მკვეთრი ზრდა აზიაში, სადაც თავმოყრილია ენერგიაზე მოთხოვნის 60%, აგრეთვე აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში და ლათინურ ამერიკაში. 2030 წლისათვის ჩინეთი გახდება ნავთობის უმსხვილესი მომხმარებელი. იგი გაუსწრებს ა.შ.შ-ს, სადაც ნავთობის მოხმარება დაიყვანება მინიმუმამდე. ამ მომენტიდან ინდოეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ახალი აღმოსავლეთი და აფრიკის ნაწილი სახარიდან სამხრეთით მსოფლიო მოთხოვნის ზრდის ძირითადი ლოკომოტივები იქნებიან.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსოფლიოში ენერგომატარებლების წარმოების პროგნოზული ანალიზი. იხ. სურათ №3.



სურ.№3.მსოფლიოში ენერგორესურსების წარმოების პროგნოზი (1990-2030წწ).

სურათ. №3-ზე წარმოდგენილი ენერგომატარებლების წარმოების პროგნოზული ანალიზიდან ირკვევა, რომ პირველადი მოპოვებითი რესურსების წარმოებაში ძირითად როლს შეასრულებენ ქვეყნები, რომლებიც არ შედიან ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციაში. მათ წილად მოდის მიწოდების თითქმის 80%-ი. ამ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზრდება ენერგორესურსების არა მხოლოდ მოხმარება, არამედ წარმოებაც. წარმოების ყველაზე მეტი მატება მოდის აზიაწყნარი ოკეანის რეგიონზე, თუმცა ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ ამ რეგიონში აქტიურად გამოიყენება ნახშირი და რესურსების მოპოვება ხელმისაწვდომია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირის მარაგების დიდი მოცულობის გამო მის წარმოებაში პრობლემები არ იქნება. კვლევებით [8,11,13] დადგენილია, რომ 2040 წლისათვის მსოფლიოში მოთხოვნა ნახშირზე გაიზრდება 15%-ით. ამ მატების ორი მესამედი მოვა უახლოეს ათწლეულზე. ჩინეთში მოთხოვნა

ნახშირზე მიაღწევს მთელი მსოფლიო მოთხოვნის 50%-ს. 2030 წლიდან შემცირდება მოთხოვნა ნახშირზე განვითარებულ ქვეყნებში. მათ შორის ა.შ.შ-ში, სადაც ელექტროენერგიის წარმოებაში ნახშირის მოხმარება შემცირდება ერთი მესამედით. მეორე ადგილზე გავა ინდოეთი და იგი 2020 წლისათვის გახდება ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელი. 2040 წლისათვის ჩინეთზე, ინდოეთზე, ინდონეზიაზე და ავსტრალიაზე მოვა ნახშირის წარმოების 70%-ზე მეტი. ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურებში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა და აგრეთვე შორეულ პერსპექტივაში CO_2 გამონაბოლქვისმართვისა და შენახვის პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება გახდეს დაბალნახშირბადიან ენერგეტიკაზე გადასვლის ეფექტური საშუალება.

დადგენილია, [6,8,13] რომ ენერგომატარებლებს შორის ელექტროენერგიის წარმოება წარმოადგენს ყველაზე სწრაფად მზარდს. იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში მოსალოდნელია ელექტროენერგიაზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა, საჭირო გახდება აშენდეს 7200 გიგა ვატი სიმძლავრის გენერაციის ობიექტები. მთელს მსოფლიოში ქმედითი ღონისძიებები გატარდება ელექტროენერგიის წარმოებაში განახლებადი ენერგორესურსების გამოსაყენებლად. ამ სახით ელექტროენერგიის წარმოების წილი გაიზრდება მთელი გენერაციის ერთი მესამედით. 2040 წლისათვის განახლებადი ენერგორესურსების ბაზაზე ელექტროენერგიის წარმოების წილი 50%-ს მიაღწევს. ამავე დროს ბიოსათბობის გამოყენება სითბოს გამოსამუშავებლად გაიზრდება ორჯერ და დღე-ღამეში 4,6 მილიონ ბარს მიაღწევს. განახლებადი ენერგორესურსების გამოყენება ელექტროენერგიის წარმოებაში ყველაზე მეტად გაიზრდება განვითარებად ქვეყნებში და იგი ახლო მომავალში 37%-ს მიაღწევს. ჩინეთში, ინდოეთში, ლათინურ მაერიკაში და აფრიკაში გენერაცია განახლებად რესურსებზე გაიზრდება 34%-ით. მათ შორის ჰიდროენერგეტიკა 30%-ით. მზის ენერგეტიკა 18%-ით, ევროპის ქვეყნებში ქარის ენერგიის გამოყენება მიაღწევს 20%-ს. ამჟამად იაპონიაში ზაფხულის პერიოდში მზის ენერგიის გამოყენება შეადგენს 37%-ს.

აღსანიშნავია, რომ ატომური ენერგეტიკა ეროვნული სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს იმ ქვეყნებშიც კი რომლებიც ახორციელებენ ატომური ელექტროსადგურების ეტაპობრივ დახურვას და ეძებენ მათ შემცვლელს. 2040 წლისათვის ატომურ სადგურებზე ელექტროენერგიის წარმოება 2013 წელთან შედარებით გაიზრდება 60%-ით. მსოფლიოში ელექტროენერგიის წარმოებაში ატომური ენერგიის წილად მოვა 12%-ი. 2040 წლისათვის ჩინეთის წილად მოვა ატომური გენერაციის ზრდის 40%-ი. ინდოეთში, კორეაში და რუსეთში ზრდა იქნება 30%-ი. ა.შ.შ-ში ატომური ენერგიის წარმოება გაიზრდება 16%-ით. ევროკავშირში შემცირდება 10%-ით.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემებით [10] მოთხოვნა ბუნებრივ გაზზე 2030 წლისათვის გაიზრდება 50%-ით. გაზის წარმოების და მოხმარების ზრდა ძირითადად კონცენტრირებული იქნება ქვეყნებში, რომლებიც არ შედიან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში. სურათ №4-ზე ნაჩვენებია ბუნებრივი გაზის მოპოვების პროგნოზი რეგიონების მიხედვით.



სურ.№4. ბუნებრივი გაზის მოპოვების პროგნოზი (1990-2030წწ) რეგიონების მიხედვით (მლრდ კუბ.ფუტი დღე-ღამე)

სურათ. №4-ზე ნათლად ჩანს, რომ გაზის ამოღების ზრდის 37%-ი მოდის ფიქლის გაზზე.

გაზზე მოთხოვნის ძირითადი რეგიონები იქნებიან ჩინეთი და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ხოლო განვითარებად ქვეყნებში გაზი იქნება სათბობის ძირითადი სახე. ენერგეტიკულ ბალანსში ამას ხელს შეუწყობს ა.შ.შ-ს მიერ შემოღებული შეღზუდვები ელექტროსადგურებში ჩ2 გამოფრქვევაზე. გაზის მოპოვება გაიზრდება ყველგან (გარდა ევროპისა). არასტანდარტულ რესურსებზე მოვა თითქმის 60%-ი. გაზის იმპორტზე მოთხოვნა გაიზრდება აზიის ქვეყნების უმეტეს ნაწილში, აგრეთვე ევროპაში. გაზის მყიდველთა დამაჯერებლობას გაზრდის დეფიციტურ რეგიონებში თხევადი გაზის მიწოდების გასამმაგება.

მრავალ ქვეყანაში იზრდება ინტერესი ენერგოეფექტურობის ამაღლების მიმართ. განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში აქტიურად ამუშავებენ და ნერგავენ ენერგოეფექტურობის ამაღლების ღონისძიებებს საყოფაცხოვრებო ელექტრო-ხელსაწყოებში, აწესებენ კონტროლს მათ მინიმალურ ელექტროწარმადობაზე და ნერგავენ შესაბამის ენერგოსტანდარტებს. ტექნოლოგიები მიმართული სათბობის მოხმარების შემცი\რებაზე და ნახშირორჟანგის გამოფრქვევაზე. ისეთი ღონისძიებები როგორიცაა: მწვანე შენობები, სუფთა ტრანსპორტი მოგვევლინებიან საკვანძო ტექნოლოგიურ საშუალებებად ენერგოეფექტურობის ამაღლებასა და CO_2 გამოფრქვევის მოცულობების შემცირებაში.

ამ საქმეში წინა პლანზე იწევს სატრანსპორტო

სფეროში ენერგოეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტა. ამჟამად საავტომობილო ბაზრის სამი მეოთხედი ექცევა სათბობის სტანდარტების ქვეშ. იმ პირობებშიც კი, როდესაც 2040 წლისათვის ავტომობილების წარმოება გაიზრდება ორჯერ, ტრანსპორტზე ნავთობის საწვავზე მოთხოვნა გაიზრდება მხოლოდ ერთი მეოთხედით, რაც საშუალებას მისცემს მსოფლიოს ნავთობზე მოთხოვნა დღე-ღამეში შეამციროს 23 მილიონ ბარელამდე.

მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები [8,12,13] თვლიან, რომ 2030 წლისათვის ძრავის სათბობზე მოთხოვნა დაახლოებით 5%-ით დაკმაყოფილდება ბუნებრივი გაზის ხარჯზე, 5%-ით ბიოსაწვავის ხარჯზე, ელექტროენერგიის წილი იქნება 2%-ი. უფრო გრძელვადიან პერიოდში სიტუაცია შეიცვლება. ტრანსპორტზე ენერგომატარებლებზე მოთხოვნის ანალიზი [11] მოცემულია სურათ.№5-ზე.



სურ.№5. ტრანსპორტზე ენერგორესურსების მოხმარების პროგნოზი (1990-2030წწ).

სურათ.№5 -იდან ჩანს 2030 წლისათვის ნავთობის საწვავის ხარჯი ერთი ავტომობილის 100 კმ-იან გარბენზე ა.შ.შ.-ში 5 ლიტრზე ნაკლები იქნება, ჩინეთში 4,5 ლიტრი, ევროკავშირის ქვეყნებში 3,5 ლიტრი. ავტომობილებზე საწვავის ხარჯის და CO_2 შემცირების ამოცანის გადაწყვეტა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, თუმცა ქვეანაში ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი არ კეთდება.

მსოფლიოში ენერგეტიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციების უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ცხრილი №1-ში მოცემულია ენერგორესურსების უმსხვილესი მომხმარებელი ქვეყნების გენერაციის სტრუქტურის ანალიზი.

ცხრილი №1. ენერგორესურსების უმსხვილესი მომხმარებელი ქვეყნების წარმოების სტრუქტურის პროგნოზული ანალიზი.(უახლოესი 10 წელიწადი)

ქვეყანა	ჩინეთი	ინდოეთი	ბრაზილია	ა.შ.შ.	რუსეთი
ჰესები	15%	25%	80%	6%	16%
ატომური ელექტრო სადგურები	2%	3%		20%	15%
თბოელექტრო-სადგურები		65%			
ნახშირზე მომუშავე ელ.სადგურები	80%		1%	48%	19%
გაზზე მომუშავე ელ.სადგურები	1%		9%	21%	48%
მაზუთზე მომუშავე ელ.სადგურები	1%		3%		2%
არატრადიციული	1%	7%	1% -ქარის 4%-ბიომასა		
გენერაციის სხვა სახეები				5%	

საქართველოში ენერგორესურსების წარმოების განვითარების ტენდენციების და 2020 წლამდე მათი წარმოების რეალური მოცულობების დადგენის მიზნით შესრულებულია ქვეყანაში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი. ამ პროგნოზის მაღალი სიზუსტით განხორციელების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ამ ნაშრომის ავტორების მიერ დამუშავებული პროგნოზირების რეგრესული ანალიზის, მრავალფაქტორიანი და ნეირონული ქსელების ჰიბრიდული მოდელი.[5]

ამ მოდელით საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიან პერიოდში პროგნოზის განსახორციელებლად მოძიებულ იქნა 2007-2015 წლების სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ენერგორესურსების წარმოებისა და მასზე მოქმედი სავარაუდო ფაქტორების შესახებ [1,2,3]. შედეგები შეტანილია ცხრილ №2 და ცხრილ №3-ში.

ცხრილი №2. საქართველოს ენერგეტიკული რესურსების წარმოების სტატისტიკური მონაცემები 2007-2015 წწ[1,2,3,4,]

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ელ. ენერგია	მლნ. კვტ.სთ	8,346	8,451	8,408	10,058	10,105	9,695	10,059	10,370	10,833
ნავთობი[1]	ტონა	63,850	51,660	52,731	50,413	48,942	44,061	51,018	52,120	50,047
ბუნებრივი აირი[2]	1000 მ3	17,776	13,828	12,165	8,148	5,758	5,380	5,424	8,657	10,148
ნახშირი	ტონა	18,891	58,275	168,451	267,664	352,872	421,755	371,847	275,058	177,560
შეშა	მ3	805,423	818,231	697,461	798,881	595,433	447,479	626,243	595,359	445,020

ცხრილი №3. ელექტროენერგიისა და შეშის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების სტატისტიკური მონაცემები 2007-2015 წწ[1,2,3,4]

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ელექტროენერგიის იმპორტი	მლნ. კვტ.სთ	433	649	255	222	471	615	484	59	699
ელექტროენერგიის ექსპორტი	მლნ. კვტ.სთ	626	680	749	1,524	931	528	450	604	660
პ.უ.ი.- ენერგეტიკის სექტორში	მლნ. აშშ. დოლარი	362.58	294.86	-2.13	21.88	203.95	179.40	244	189.	65.31
ბუნებრივი გაზის მოხმარება	მლნ. კუბური მეტრი	1,684	1,463	1,184	1,094	1,750	1,933	1,907	2,19	2,4
შეშის ნარმოება	კუბ ური მეტრი	805,423	818,2	697,4	798,8	595,4	447,479	626,	595,3	445
ელექტროენერგიის მოხმარება	მლნ. კვტ.სთ	8,603	8,930	8,533	10,141	10,383	10,087	10,34	11	11,
ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი	აშშ. ცენტი/კვტ.სთ დღგ-ს ჩათვლით	8.12	8.12	8.12	7.97	7.97	7.58	7.58	8.20	8.62
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	აშშ. დო ლარი/ლარი	1.6707	1.4902	1.67	1.7826	1.6860	1.6513	1.6	1.76	
მშპ-ს რეალური ზრდა	პროცენტული ცვლილება %	12.58	2.61	-3.74	6.2	7.19	6.4	3.32	4.62	2.8
ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მოხმარება	მლნ. კუბური მეტრი	980.8	1078.5	886.8	889.2	1086.4	1189.8		1579	
ურბანიზაციის დონე	%	53%	53%	53%	53%	53%	53%	54%	54%	57%

მითითებულ ცხრილებში შეტანილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჩატარდა კორელაციური ანალიზი. კორელაციის შედეგები მოცემულია ცხრილ №4-ში.

ცხრილი №4. ელექტროენერგიის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციური მატრიცა.

ფაქტორები	ელექტროენერგიის წარმოება	ელექტროენერგიის იმპორტი	ელექტროენერგიის ექსპორტი	პ.უ.ი. ენერგეტიკის სექტორში	ბუნებრივი გაზი მოხმარება	შეშის წარმოება	ელექტროენერგიის მოხმარება	ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი	საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	მშპ-ის რეალური ზრდა
ელექტროენერგიის წარმოება	1.000									
ელექტროენერგიის იმპორტი	-0.020	1.000								
ელექტროენერგიის ექსპორტი	0.125	-0.356	1.000							
პ.უ.ი. ენერგეტიკის სექტორში	-0.331	0.284	-0.502	1.000						
ბუნებრივი გაზის მოხმარება	0.615	0.304	-0.619	0.233	1.000					
შეშის წარმოება	-0.670	-0.313	0.413	0.250	-0.761	1.000				
ელექტროენერგიის მოხმარება	0.986	0.008	0.016	-0.244	0.706	-0.698	1.000			
ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი ტარიფი ტარიფი	0.096	0.007	0.099	-0.243	0.240	-0.004	0.139	1.000		
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	0.662	0.161	0.072	-0.478	0.556	-0.551	0.646	0.652	1.000	
მშპ-ს რეალური ზრდა	0.050	0.079	0.089	0.617	0.176	0.127	0.053	-0.157	-0.075	1.000

ცხრილი №5. შეშის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციური მატრიცა.

ფაქტორები	შეშისწარმოება	ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მოხმარება	ურბანიზაციისდონე
შეშის წარმოება	1.000		
ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მოხმარება	-0.690	1.000	
ურბანიზაციის დონე	-0.580	0.134	1.000

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში წარმოებული ენერგორესურსებიდან ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ნახშირის წარმოებას უმნიშვნელო წილი უკავია ენერგორესურსების მთლიან წარმოებაში, ამ რესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზირება ჩატარებულია ავტორეგრესული მეთოდით [18] ცხრილ №2-ში მოცემული მონაცემების საფუძველზე. ამავე მეთოდით არის ჩატარებული ელექტროენერგიისა და შეშის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების საშუალოვადიანი პროგნოზირება. შედეგები შეტანილია ცხრილში №6 და №7.

ცხრილი №6. ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ნახშირის წარმოების პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელები

ენერგორესურსი	პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელი
ნავთობი	Y_t=40432.8223631174+0.10432080102644 2Yt-1+0.0818645775241203Yt-2
ბუნებრივი აირი	Y_t=2969.59353995853+1.11622294697542Yt-1-0.458041819975042Yt-2
ნახშირი	Y_t=97058.7319735181+1.44796250072751Yt-1-0.85457604756966Yt-2

ცხრილი №7. ენერგეტიკული რესურსების წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელები

ფაქტორი	პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელი
ელექტროენერგიის იმპორტი 3	Y_t=0
ელექტროენერგიის ექსპორტი	Y_t=789.975193574696+0.378938100723352Y_{t-1}-0.392634997479875Y_{t-2}

პ.უ.ი. ენერგეტიკის სექტორში	Y_t=210.495569984267+0.169196317323099Y_{t-1}-0.583783984981085Y_{t-2}
ბუნებრივი გაზის მოხმარება	Y_t=257.527676629157+0.686708072223146Y_{t-1}+0.301623958879744Y_{t-2}
შეშის წარმოება	გამოყენებულია ხელოვნური ნეირონული ქსელების მეთოდი
ელექტროენერგიის მოხმარება	Y_t=2392.06178642462+0.545458601047022Y_{t-1}+0.256232484030564Y_{t-2}
ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი	Y_t=9.73086896037924+0.891712900237678Y_{t-1}-1.11067047743373Y_{t-2}
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	Y_t=0.804334990959998+1.04338625746767Y_{t-1}-0.460932583109392Y_{t-2}
მშპ-ს რეალური ზრდა	Y_t=6.56345784436357+0.0347220665215313Y_{t-1}-0.580955204861623Y_{t-2}
ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მოხმარება	Y_t=-23.7375866716233+1.20956961320583Y_{t-1}-0.122475356147879Y_{t-2}
ურბანიზაციის დონე	Y_t=0.108+0.8Y_{t-1}+0Y_{t-2}

პროგნოზირების ავტორეგრესულ მოდელებში Y_t-1, Y_t-2 არის საპროგნოზო ფაქტორების წინა 2 წლის მაჩვენებლები.

მე-6 და მე—7 ცხრილებში მოცემული პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელების გამოყენებით გამოთვლილია შესაბამისი ენერგორესურსის წარმოების და ფაქტორების საპროგნოზო მაჩვენებლები. შედეგები შეტანილია შესაბამისად მე—8 და მე—9 ცხრილებში.

ცხრილი №8. ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ნახშირის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლები 2016-2020წწ.

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2016	2017	2018	2019	2020
ნავთობი	ტონა	49,920	49,738	49,708	49,690	49,686
ბუნებრივი აირი	1000 მ³	10,332	9,854	9,236	8,766	8,524
ნახშირი	ტონა	119,102	117,775	165,811	236,499	297,803

ცხრილი №9. ელექტროენერგიისა და შეშის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების საპროგნოზო მაჩვენებლები 2016-2020წწ.

ფაქტორი	ზომის ერთეული	2016	2017	2018	2019	2020
ელექტროენერგიის იმპორტი	მლნ.კვტ.სთ	0	0	0	0	0
ელექტროენერგიის ექსპორტი	მლნ.კვტ.სთ	803	835	791	762	768
პ.უ.ი.- ენერგეტიკის სექტორში	მლნ. აშშ. დოლარი	110.66	191.09	178.23	129.09	128.29
ბუნებრივი გაზის მოხმარება	მლნ. ჯკუბური მეტრი	2,568	2,746	2,918	3,089	3,259
შეშის წარმოება	ჯკუბური მეტრი	437,871	425,101	412,706	400,699	389,048
ელექტროენერგიის მოხმარება	მლნ.კვტ.სთ	11,371	11,488	11,572	11,648	11,710
Eელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი	აშშ. ცენტი/ კვტ.სთ დღგ-ს ჩათვლით	8.31	7.57	7.24	7.79	8.63
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	აშშ. დოლარი/ ლარი	2.3641	2.2224	2.0334	1.9016	1.8512
მშპ-ს რეალური ზრდა	პროცენტული ცვლილება %	4.0	5.1	4.4	3.8	4.1
ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მოხმარება	მლნ. კუბური მეტრი	1,826.30	2,003.33	2,199.37	2,414.93	2,651.66
ურბანიზაციის დონე	%	56%	56%	56%	55%	55%

ელექტროენერგიისა და შეშის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების პროგნოზული მაჩვენებლების დადგენის შემდეგ შესაძლებელი გახდა ელექტროენერგიისა და შეშის წარმოების პროგნოზირება მრავალფაქტორიანი მოდელისა და ხელოვნური ნეირონული ქსელების მეთოდის საშუალებით [14, 19].

მე—8 და მე—9 ცხრილების მონაცემების საფუძველზე PredictorXL პროგრამული პაკეტის მეშვეობით, სხვადასხვა აქტივაციის ფუნქციის, ნეირონების არაფარული და ფარული შრეების სხვადასხვა რაოდენობის მიხედვით ექსპერიმენტით დადგინდა პროგნოზული მაჩვენებლები. კვლევამ აჩვენა, რომ პროგნოზირების ყველაზე მაღალი სიზუსტით განხორციელება შესაძლებელია ნეირონების ფარული შრეების — 1 და აქტივაციის ლოგისტიკურ-სიგმოიდური ფუნქციით. შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში ელექტროენერგიისა და შეშის წარმოების პროგნოზირების ხელოვნური ნეირონული ქსელების მოდელი მიიღებს 6 სურათზე მოცემულ სახეს. ელექტროენერგიისა და შეშის წარმოების პროგნოზული პარამეტრები ასახულია ცხრილში №10.

სურათი №6. საშუალოვადიან პერიოდში ელექტროენერგიისა და შეშის წარმოების მაჩვენებლების პროგნოზირების მოდელი.

ცხრილი №10. ელექტროენერგიისა და შეშის წარმოების პროგნოზული პარამეტრები.

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2016	2017	2018	2019	2020
ელექტროენერგია	მლნ.კვტ.სთ	11,226	11,578	11,948	12,266	12,675
შეშა	3	437,871	425,101	412,706	400,699	389,048

ცხრილი №11. ენერგორესურსების წარმოების პროგნოზული პარამეტრები.

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2016	2017	2018	2019	2020
ელექტროენერგია	მლნ.კვტ.სთ	11,226	11,578	11,948	12,266	12,675
შეშა	მ³	437,871	425,101	412,706	400,699	389,048
ნავთობი	ტონა	49,920	49,738	49,708	49,690	49,686
ბუნებრივი აირი	1000 მ³	10,332	9,854	9,236	8,766	8,524
ნახშირი	ტონა	119,102	117,775	165,811	236,499	297,803

ცხრილი №11 -ში მოცემული პროგნოზული პარ-

ამეტრების დაზუსტების მიზნით დეტალურად იქნა შესწავლილი ქვეყანაში ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა. აღნიშნულის საფუძველზე დაზუსტდა 2020 წლამდე მათი ექსპლუატაციაში გაშვების გრაფიკი [1], განისაზღვრა ელექტროენერგიის გამომუშავების შესაძლებლობები, ცალკე გაანალიზდა ამჟამად მოქმედი თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენრგიის გამომუშავების გაზრდის პერსპექტივები. თვალსაჩინოების მიზნით კვლევის შედეგები შეტანილია ცხრილ №12-ში.

ცხრილი №12. საქართველოში 2016-2020 წლებში გენერაციის ახალი ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის შედეგად დამატებითი ელექტროენერგიის გამომუშავების მაჩვენებლები.

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	წარმოება	2016	2017	2018	2019	2020
ელექტროენერგია	მლნ. კვტ.სთ	ზედა, თეორიულად შესაძლებელი	1,365.5	2,370.5	2,872.0	3,212.1	3,376.3
		ქვედა, რეალურად შესაძლებელი	1,092.72	1,896.4	2,298.36	2,574.2	2,701.2

ზემოთ მოყვანილი კვლევის შედეგების კომპლექსურად შეფასების, ახალი საწარმოო სიმძლავრეების დადგენილ ვადებში ექსპლუატაციაში შეყვანის, ელექტროენერგიის წარმოებაში თბოსადგურების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების, მოსახლეობის გაზიფიკაციის შემდგომი გაფართოების ეფექტის გათვალისწინებით, რეგულირებადი ტრენდით ექსპონენციალური გამოთანაბრების მეთოდის [19] გათვალისწინებით, დადგინდა ენერგორესურსების წარმოების ზედა და ქვედა ზღვრები. შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი მიიღებს ცხრილ №13-ში მოცემულ სახეს.

ცხრილი №13. საშუალოვადიან პერიოდში საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	ზღვარი	2016	2017	2018	2019	2020
ელექტროენერგია	მლნ. კვტ.სთ	ზედა	12,592	13,949	14,820	15,478	16,051
		საბაზისო	12,319	13,474	14,246	14,840	15,376
		ქვედა	11,226	11,578	11,948	12,266	12,675
შეშა	მ³	ზედა	459,765	446,356	433,341	420,734	408,500
		საბაზისო	437,871	425,101	412,706	400,699	389,048
		ქვედა	415,977	403,846	392,071	380,664	369,596
ნავთობი	ტონა	ზედა	52,416	52,225	52,193	52,175	52,170
		საბაზისო	49,920	49,738	49,708	49,690	49,686
		ქვედა	47,424	47,251	47,223	47,206	47,202
ბუნებრივი აირი	1000 მ³	ზედა	10,849	10,347	9,698	9,204	8,950
		საბაზისო	10,332	9,854	9,236	8,766	8,524
		ქვედა	9,815	9,361	8,774	8,328	8,098
ნახშირი	ტონა	ზედა	125,057	123,664	174,102	248,324	312,693
		საბაზისო	119,102	117,775	165,811	236,499	297,803
		ქვედა	113,147	111,886	157,520	224,674	282,913

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან და მსოფლიოს სამეცნიერო ანალიტიკური ცენტრების მიერ დამუშავებული პროგნოზირების სცენარებიდან [14] გამომდინარე მსოფლიოში ენერგეტიკის განვითარების მომავალ 15 წელიწადში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

1. ნავთობის მოხმარება გაიზრდება 10-15%-ით. ამასთან შესაძლებელია, როგორც ზრდა, ისე შემცირება;
2. ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზრდება 2-2,5 ჯერ და მიაღწევს 5-6 მლრდ.ტ.ნ.ე;
3. ნახშირის მოხმარება შეიძლება გაიზარდოს 15%-ით და მიაღწიოს 4 მლნ ტ.ნ.ე. მატება განპირობებული იქნება განვითარებად ქვეყნებში მოთხოვნის გაზრდით, ამასთან შესაძლებელია მისი შემცირება ეკოლოგიური შეზღუდვების გამკაცრებით;
4. ბიომასის და განახლებადი ენერგორესურსების მოხმარება თითოეულ ამ სახის რესურსზე გაიზრდება 3-4 -ჯერ და მიაღწევს 2,5-3,0 მლრდ.ტ.ნ.ე;
5. ატომური ენერგიის განვითარების პერსპექტივები პირველ რიგში დამოკიდებული იქნება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ამჟამად ყველაზე რეალისტურად მიჩნეულია ატომური ენერგიის ზრდა 1,5-2,5-ჯერ;
6. სწრაფი ტემპით გაიზრდება მოთხოვნა ელექტროენერგიაზე, განახლებად ენერგორესურსების ბაზაზე ელექტროენერგიის წარმოების წილი მიაღწევს 50%-ს.
7. როგორც შედეგი, მსოფლიოს ენერგეტიკის სტრუქტურა გახდება უფრო დივერსიფიცირებული. ენერგიის საერთო მოხმარების მოცულობა მიაღწევს 19-28 მლრდ.ტ.ნ.ე;
8. კორელაციური ანალიზით დადგენილია საქართველოში ენერგორესურსების წარმოებაზე მოქმედი ფაქტორები პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელების გამოყენებით, განსაზღვრულია საშუალოვადიან პერიოდში ამ ფაქტორების პროგნოზული სიდიდეები;
9. პროგნოზირების მაღალი სიზუსტით განხორციელების მიზნით რეგრესული ანალიზისა და

ხელოვნური ნეირონული ქსელების მეშვეობით შესრულებულა საქართველოში ელექტროენერგიის, შეშის, ნახშირის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზირება, ექსპონენციალური გამოთანაბრების მეთოდით დაზუსტებულია წარმოების პარამეტრები, შესაბამისად, განსაზღვრულია პროგნოზული მაჩვენებლები;

10. პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომით შემუშავებულია საქართველოში საშუალოვადიან პერიოდში ენერგორესურსების წარმოების პროგნოზირების ერთიანი მეთოდიკა, რომელიც ატარებს უნივერსალურ ხასიათს და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ დარგში პროდუქციის წარმოების პროგნოზირებაში. აღნიშნული მეთოდიკა აპრობირებულია საქართველოს მაგალითზე და, შესაბამისად, განსაზღვრულია საშუალოვადიან პერიოდში ენერგორესურსების წარმოების პროგნოზული პარამეტრები;

11. საქართველოში ენერგეტიკული რესურსების წარმოების პროგნოზული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში სწრაფი ტემპით გაიზრდება ელექტროენერგიის წარმოება განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ხარჯზე. ზრდის ტენდენციებით ხასიათდება ნახშირის წარმოება. მოსახლეობის გაზიფიკაციის ზრდის კვალდაკვალ შემცირდება შეშის მოხმარება. პრაქტიკულად არ გაიზრდება ბუნებრივი გაზის და ნავთობის წარმოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო http://www.energy.gov.ge/
2. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი. ენერგობალანსი 2006-2015. http://esco.ge/index.php?article_id=8&clang=0
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/
4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, წლიური ანგარიშები. http://gnerc.org/ge/public-information/reports/tsliuri-angarishi
5. დ.ჯაფარიძე,ი.ბიჭიაშვილი, ნ. გიორგიშვილი. „საქართველოში საშუალოვადიან პერიოდში ენერგორესურსების წარმოების ოპტიმალური დაგეგმვა“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებული. თბილისი, №3. 2016 წ.
6. А. Захаров, М. Овакимян. «Тенденции развития мировой энергетики». Журнал «Экономика ТЕК». №1(32),2015.
7. В. Кондратьев. « Тенденции развития мировой энергетики» (Ч.1). Электронный журнал «Перспективы». 2013.
8. В. Кондратьев. « Тенденции развития мировой энергетики» (Ч.2). Электронный журнал «Перспективы».№3(7) 2016.
9. «Тренды и сценарии развития мировой энергетики в первои половинеXXIвека. «Институт энергетической стратегии». 2011г.
10. Р. И. Хансевяров «Современные тенденции развития мировой энергетики». Журнал «Экономические науки». №12. 2011г.
11. «Прогноз мировой энергетики» (Ч.1) «МЭА» 2015г.
12. К. Рюль «Прогноз развития мировой энергетики до 2030 года» Электронный журнал «Экономический портал» 2013г.
13. А. Никитина «Прогноз развития мировой энергетики ВП 2016» (Ч.1).Национапьный отраслевой журнал «Нефтогазовая вертикаль»ю2016г.
14. Н. И. Андриянов, С.В. Генералова, С.П.Юякевичюс «Анализ прогнозов развития мировой энергетики». Журнал «Инноватика и експертиза». 2(11) 2013г.
15. US Energy Information Administration / International Energy Statistics http://www.eia.gov/cfapps/ipdbproject/iedindex3.cfm?tid=3&pid=26&aid=1&cid=GG,&syid=1980&eyid=2012&unit=BCF
16. Artificial Neural Networks: An Introduction to ANN Theory and Practice edited by P.J. Braspenning, F. Thuijsman, A.J.M.M. Weijters .
17. Энергетическая стратегия России на период до 2035 года
18. International Energy Outlook 2013. DOE/EIA-0484(2013) http://www.eia.gov/forecasts/ieo/pdf/0484(2013).pdf
19. Jarkko Isotalo „Basics of Statistics“ 2008□. □□. 79.
20. W. Penny and L. Harrison. **Multivariate autoregressive models**. In K. Friston, J. Ashburner, S. Kiebel, T. Nichols, and W. Penny, editors, *Statistical Parametric Mapping: The analysis of functional brain images*. Elsevier, London, 2006.
21. Mohamad Hassoun, Fundamentals of Artificial Neural Networks (MIT Press) 1995.
22. International Energy Agency.

მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის ინსტრუმენტულ-ტექნოლოგიური ასპექტები

დალი სეხნიაშვილი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ზაზა სიჭინავა,
სტუ-ს დოქტორანტი

Instrumental and Technological Aspects of the Support of Managerial Decision Making

Dali Sekhniashvili,
Associate Professor of GTU
Zaza Sichinava,
PhD student of GTU

Resume

Modern companies are actively processed the innovative mechanisms, complementary-adaptive decision support tools, new methods, instruments and technologies for strategic management,. Decision Making support system for decision makers is the tool to enhance the effectiveness of activities. In this article we focus on the classification of information systems within the company's management levels depending on the functional orientation.

We embrace the idea that decision making supporting systems, systems of collective work and managers supporting information systems are significantly correlated with the chosen style of decision making.

The authors emphasize the fact that due the existence of the different management models and styles, decision making support information system requires the algorithms of the management style and decision making, further research of managing cultural and national peculiarities of various countries, as well as the analysis of the psychological characteristics of managers.

Keywords: Decision making support system, Managers supporting information systems, Classification of information systems

თანამედროვე კონკურენციის პირობებში კომპანიებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება გაზარდონ მართვის ეფექტიანობა. მათ მიერ გამოყენებადი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემებისადმი წაყენებული მზარდი მოთხოვნების შესაბამისად, აქტიურად მუშავდება სტარტეგიული მართვის ინოვაციური მექანიზმების და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი კომპლემენტარულ-ადაპტური საშუალებები, იხვეწება მეთოდები, ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები.

უკანასკნელ პერიოდში გადაწყვეტილების მიმღები პირები დიდ ყურადღებას უთმობენ მონაცემების უფრო სასარგებლო ინფორმაციად და მათ ცოდნად გადაქცევის პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ხელთ არსებული მონაცემებიდან სასარგებლო ინფორმაციის ამოღების მეთოდები, ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები საკმაოდ დიდი ხანია არსებობს, ბოლო პერიოდში ნათლად გამოიკვეთა[1, გვ. 86-100; 2; 3. გვ. 52-59] ანალიტიკური ინსტრუმენტების უფრო აქტიურად გამოყენების ტენდენცია.

დღეს ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია კომპანიის მართვის ინფორმაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფაა. ამასთან დაკავშირებით, ფართოდ გავრცელდა ინფორმაციული სისტემები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ კომპანიის ეფექტიანად ფუნქციონირების საქმეში. კომპანიის ინფორმაციული სისტემა მოიცავს პროგრამულ და შესაბამის აპარატულ საშუალებებს ინფორმაციის შეგროვების, ფილტრაციის, დამუშავების, შექმნისა და გადაცემისათვის, რომელთა მიზანია მართვის პროცესის მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ამასთან, თანამედროვე ინფორმაციულ სისტემებს ჯერ არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღების პროცესის სრული ავტომატიზაცია და მოითხოვს აღნიშნულ პროცესში მენეჯერის აქტიურ ჩართვას.

ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა არის ავტომატიზირებული სისტემების კომპლექსი, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესის მხარდაჭერისათვის. ვიწრო გაგებით კი, გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა არის ინტერაქტიური ავტომატიზირებული კომპიუტერული სისტემები, რომელიც მიმართულია კონკრეტული მმართველობითი ამოცანის გადაჭრისაკენ მოცემული მოდელის ფარგლებში მონაცემების დამუშავების, ანალიზის და გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის მათი გადაცემის გზით.[4] გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემის მთავარი დანიშნულებაა, როგორც ბ. მაკნერლინი და რ. სპრეგი თვლიან, მონაცემების ანალიზის სიჩქარისა და სიზუსტის ამაღლება, როდესაც იმავდროულად მცირდება ხარჯები და მაღლდება დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავების ეფექტიანობა.

ამასთან, გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემები, ტექნოლოგიების არასაკმარისად განვითარების გამო, დიდი ხნის განმავლობაში შემოიფარგლებოდნენ გადაწყვეტილების მიმღები პირის ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოებით. თანამედროვე პირობებში კი, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონე უკვე იძლევა საშუალებას, რომ მათზე, როგორც გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ ინტელექტუალურ სისტემებზე ვისაუბროთ. გადაწყვეტილების მიღების

მხარდამჭერი სისტემები დიდ მნიშვნელობას იძენს კომპლექსური, სუსტად სტრუქტურირებული, ცუდად ფორმალიზებული პრობლემების გადაწყვეტაში. ამასთან, ის გარემოებაც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა, შესაძლებლობების გაფართოების გამო, გამოიყენება არა მარტო მენეჯერების, არამედ სხვა თანამშრომლების მიერ. თანამშრომლები ხშირად გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სისტემას განიხილავენ რაოდენობრივი იმიტაციური მოდელირების ინსტრუმენტის და აუცილებელი ინფორმაციის ბაზის რანგში. გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა არის, უწინარეს ყოვლისა, საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ინსტრუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა კლასიფიკაცია, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ინფორმაციული სისტემების კლასიფიკაცია მოვახდინოთკომპანიის მართვის დონეების ფარგლებში ფუნქციურ ორიენტაციაზე დამოკიდებულების მიხედვით. გამოვყოფთ სამ ძირითად სისტემას: მმართველობითი ინფორმაციული სისტემა (MIS), გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა (DSS) და ხელმძღვანელის მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემა (ESS). მმართველობითი ინფორმაციული სისტემის მთავარი ფუნქციური დანიშნულებაა კომპანიის შიდა ოპერაციებისა და დოკუმენტების მართვა. სისტემა ორიენტირებულია შიდა და გარე წყაროებიდან მიღებული მონაცემების ინფორმაციად გარდაქმნაზე და შესაბამისი ინფორმაციის ყველაზე შესატვისი ფორმით მენეჯერებისთვის მიწოდებაზე. მმართველობითი ინფორმაციული სისტემის ფარგლებში ცალკე უნდა გამოვყოთ ტრანზაქციების დამუშავების სისტემები (COT | TPS), რომლებიც მართვის დაბალ დონეზე გამოიყენება და უზრუნველყოფენ ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობის მონაცემების მოძიებას, დამუშავებასა და შენახვას. სწორედ ისინი არიან კომპანიის სხვა საინფორმაციო სისტემებისთვის ინფორმაციის წყარო.

გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემები უზრუნველყოფენ მენეჯერების მხარდაჭერას განუსაზღვრელობის, რისკის, ინფორმაციული გადატვირთვის პირობებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე, ყოველდღიური ამოცანების შესრულების პროცესში აუცილებელი მონაცემებითა და მოდელებით ოპერირების გზით. სისტემის ფარგლებში გამოიყენება კოპლექსური ანალიზისა და მოდელირების საშუალებები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებისას გამოყენების შესახებ, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობს რამდენიმე აქტიორი, რომლებიც განსაზღვრული ამოცანის გადაჭრისას ხელმძღვანელობენ სინერგიის პრინციპებით. ამასთან, მოცემული პროცესის შედეგია კოლექტიური გადაწყვეტილება, რომელსაც ეთანხმება და მხარს უჭერს უმრავლესობა. აღსანიშნავია, რომ ჯგუფურ დინამიკასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების მიუხედავად, გადაწყვეტილების კოლექტიურად მიღება გადაწყვეტილების მიღების მეტად ეფექტური მეთოდია. გადაწყვეტილების კოლექტიურად მიღების ჩარჩოებში, როგორც წესი, გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სპეციალიზებული სისტემები - კოლექტიური მუშაობის მხარდამჭერი სისტემები (GDS). ეს უკანასკნელი არის ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობას და გაცვლას გადაწყვეტილების მიღების კოლექტიურ პროცესში მონაწილე აქტიორებს შორის. მსგავსი სისტემები, როგორც წესი, მიმართულია კოლექტიური საქმიანობის ფასილიტაციაზე, მათ შორის ახალი იდეების გენერაციისათვის კოლექტიური მუშაობის სხვადასხვა მეთოდიკების გამოყენების (გონებრივი იერიში, სიტუაციური ანალიზი, ფორსაიტი და სხვ.) გზით.

ზემოთ განხილული ყველა სისტემა მეტად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რამდენადაც მმართველობითი ინფორმაციული სისტემა პასუხს აგებს ინფორმაციის და იმ დოკუმენტების თაობაზე, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემის მუშაობისათვის და ხელმძღვანელების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემისათვის. ტრანზაქციული ინფორმაციული სისტემის მიერ მოგროვილი მონაცემები გარდაიქმნება მართვის ინფორმაციული სისტემის ანგარიშებად, ანალიზდება გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემის მიერ გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის წარსადგენად, მმართველობითი პრობლემის გადაჭრის ვარიანტებად.

მმართველობითი ინფორმაციული სისტემა (MIS) არის ფართო პროფილის ინფორმაციული სისტემა, რამდენადაც აქვს მართვის ყველა დონის რიგი ფუნქციონალური თავისებურებები, მაგალითად: უზრუნველყოფს შიგა და გარე წყაროებიდან ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას და შენახვას. კომპანიის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ინფორმაციული ტექნოლოგიები მართვის ნებისმიერ დონეზე შეიძლება გამოიყენებოდეს. ამასთან, მართვის დონიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოყენებულ იქნას განსხვავებული ინფორმაციული სისტემები, რამდენადაც, მართვის სხვადასხვა დონე საკუთარ საქმიანობაში იყენებს სპეციალიზებულ ინფორმაციას, რაც კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისთვისაა აუცილებელი. აქვე აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ინფორმაციულმა სისტემებმა უნდა უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული აქტიორების ქმედებების ეფექტური კოორდინაცია, მათ შორის მართვის სხვადასხვა დონეზე მოქმედი აქტიორების ქმედებების. გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებაც უწევს მართვის სხვადასხვა დონის მენეჯერებს, განსხვავდება ინფორმაციული უზრუნველყოფის დონით. (ნახ.1)

ნახ. 1. ინფორმაციული სისტემების განაწილება მართვის დონეების მიხედვით (შედგენილია ავტორების მიერ)

სტრატეგიულ დონეზე ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე მოთხოვნა ძირითადად არის დამუშავებულ, სტრუქტურირებულ ინფორმაციასა და ანალიტიკურ მასალაზე, რომელიც წარდგენილია ეფექტურ ფორმატში, ასევე, გლობალურ და ლოკალურ კონტექსტში კომპანიის მაჩვენებლების შესწავლაზე. ამასთან, ინფორმაცია, როგორც წესი, სპეციალიზებულია პრობლემის, სიტუაციისა და კონტექსტის გათვალისწინებით. ამ დონეზე არის აუცილებლობა ისეთი ინფორმაციული სისტემების არსებობისა, რომლებიც იძლევიან განსაზღვრულ, კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რისკის სფეროების მიხედვით ძირითად ინფორმაციას და მაჩვენებლებს. მოცემულ დონეზე მხარდაჭერას უზრუნველყოფენ ხელმძღვანელების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემები.

მართვის ტაქტიკური დონე ინფორმაციულად მნიშვნელოვანწილად არის მართვის ოპერაციულ დონეზე დამოკიდებული (შესაბამის მონაცემებს აწვდიან ტრანზაქციების დამუშავების სისტემები). ამასთან, გამოიკვეთა გარე წყაროებიდან მონაცემების დამუშავების აუცილებლობის ტენდენციაც. მოცემულ დონეზე გამოიყენება მმართველობითი ინფორმაციული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ინფორმაციის საფუძველზე ანგარიშების შედგენას და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ანალიზს, ავლენს ტრენდებს და პროგნოზირებს შესაძლებლობებს.

ოპერაციული დონე მოითხოვს დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებას. მოცემული დონის ფარგლებში მისაღები გადაწყვეტილებების უმრავლესობა შესაძლებელია ავტომატიზაციის გზით, რამდენადაც აღნიშნულ დონეზე ოპერაციების სირთულე დაბალია და ადვილად ექვემდებარება ალგორითმიზაციას. მოცემულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირი ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს იღებს ტრანზაქციების დამუშავების სისტემიდან, თუმცა, ამ დონეზე შესაძლებელია აქტიურად იყოს ამოქმედებული მმართველობითი ინფორმაციული სისტემა.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერა, ასევე მართვის სხვადასხვა დონეზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები უნდა განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების მიმღები პირის კოგნიტური თავისებურებების გათვალისწინებით. ასე მაგალითად, დ. აიზენბერგის [5, გვ. 82-90], ჯ. როკართის [6, გვ. 3-13] მოსაზრებების თანახმად, ტოპ-მენეჯერების მიერ გადაწყვეტილებების მიღება განსხვავდება იმ მოდელებისაგან, რომლებიც ჩადებულია მართვის შესაბამის დონეზე ორიენტირებულ გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სისტემებში. აქ აღნიშნულია, რომ უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელები ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებენ არა გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სისტემის/DSS-ს მიერ წინასწარ განსაზღვრული ალტერნატივებიდან არჩევის საფუძველზე, არამედ, როგორც წესი, ისინი ხელმძღვანელობენ საკუთარი ინტუიციით და გამოცდილებით. მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის საჭიროა ისეთი სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ ხარისხიანი, ზუსტი და სანდო ინფორმაციის წარდგენა ოპტიმალურ ფორმატში, ოპერატიული და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

გადაწყვეტილების მიღების სისტემები, კოლექტიური მუშაობის მხარდამჭერი სისტემები და ხელმძღვანელების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემები მნიშვნელოვანწილად კორელაციაში არიან გადაწყვეტილების მიღების არჩეულ სტილთან, რასაც ადასტურებენ მკვლევარები მ. მარტინსონი და რ. დევისონი (ნახ. 2).



ნახ. 2. გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების გამოყენების სქემა გადაწყვეტილების მიღების სტილიდან გამომდინარე (ადაპტირებულია მ. მარტინსონის და დ. დევისონის ნაშრომის საფუძველზე)

გადაწყვეტილების მიღების ანალიტიკური სტილის ფარგლებში უფრო ეფექტური იქნება გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების (DSS) გამოყენება, რომლებიც დეტალურ ანალიზს უზრუნველყოფენ და ასევე, ხელმძღვანელის მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემის (ESS) გამოყენება, რომლებიც წარმოადგენენ ზოგად სიტუაციას და ძირითად

მაჩვენებლებს. ამასთან, ხელმძღვანელის მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემის (ESS) ინფორმაციის აგრეგირებული ხასიათი და მისი წარდგენის თავისებურებები საშუალებას მისცემს გადაწყვეტილების მიმღებ პირს, რომელიც უპირატესობას გადაწყვეტილების მიღების დირექტიულ სტილს ანიჭებს უპირატესობას, მნიშვნელოვანი ინფორმაციული და კოგნიტური დატვირთვის გარეშე, ოპერატიულად მიიღოს გადაწყვეტილება. ქცევითი ბიჰევიორული სტილის ფარგლებში შესაფერისი იქნება კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების სისტემების გამოყენება, რამდენადაც სისტემა საშუალებას იძლევა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტურად იქნას აგებული კოლექტიური საქმიანობა, ჯგუფებში მუშაობა, მოზიდულ იქნენ მეტი აქტიორები და განხილულ იქნას მეტი იდეა და მიდგომა. თავის მხრივ, გადაწყვეტილების მიმღები პირი, რომელიც არის მართვის კონცეპტუალური სტილის მიმდევარი, ორიენტირებულია სცენარების ფართო არჩევანზე, ალტერნატივებზე, ასევე სხვა აქტორების მოსაზრებებზე. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მისაღები და შესაფერისი იქნება გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების (DSS) და კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების სისტემების გამოყენება.

ამასთან, თანამედროვე პირობებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში არსებული გამოგონებები საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების ეფექტიანობა მონაცემების მოძიების, შეგროვების, დამუშავებისა და წარდგენის საქმეში. კერძოდ კი, გამოიყენება ინფორმაციის ძიების, მონაცემების ინტელექტუალური ანალიზის, მონაცემთა ბაზებიდან ცოდნის ამოღების, იმიტაციური მოდელირების ტექნოლოგია და ხელოვნური ინტელექტის მეთოდები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფად განვითარებისა და გლობალიზაციის კვალობაზე, ბოლო წლებში გამოჩნდა მმართველობითი გადაწყვეტილების მხარდამჭერი ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი რაოდენობა. თუმცა, მოცემული მომენტისათვის არსებული ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებიდან არცერთი არ არის სრულიად უნივერსალური.

მართვის განსხვავეული მოდელებისა და სტილის არსებობა გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემისგან მოითხოვს მართვის სტილის და გადაწყვეტილების მიღების ალგორითმების, სხვადასხვა ქვეყანაში მართვის კულტურული და ეროვნული თავისებურებების დამატებით კვლევას, ასევე, მენეჯერების ფსიქოლოგიური თავისებურებების ანალიზს (მიღწევისაკენ, ჯგუფური მუშაობისკენ სწრაფვას, პროექტში ჩართულობას, პასუხისმგებლობის და ძალაუფლების გრძნობას) [7, გვ. 284-300], ხოლო კომპანიებისგან მოითხოვს შესაბამისი ტექნოლოგიური გადაწყვეტილების არჩევისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას. ამასთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინსტრუმენტების საფუძველზე მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მართვის კონკრეტული სტილისა და მოდელისადმი მისი ადაპტაციის უნარზე, ასევე, მენეჯერის მმართველობით უნარებსა და კომპეტენციაზე. კერძოდ, ა. როუ და ჯ. ბოულგარიდასი აღნიშნავდნენ, რომ მენეჯერების მიერ გადაწყვეტილების მიღების სტილის ინდივიდუალური თავისებურებებისა და კონკრეტული შაბლონების შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ქცევის წინასწარ განსაზღვრა სხვადასხვა სიტუაციაში. ამასთან, მოცემული ინფორმაცია იძლევა საშუალებას გაგებულ იქნას მენეჯერის მიერ განსაზღვრული ინფორმაციული სისტემის არჩევის მიზეზი და გამოყენების თავისებურებები.

ამჟამად არსებობს რიგი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ინფორმაციის ანალიზის, ინტერპრეტირებისა და წარდგენის საშუალებას იძლევა კომპანიის მართვის პროცესში მათი შემდგომი გამოყენებისათვის. ამასთან, ვარაუდობენ, რომ შენარჩუნდება სტაბილური მოთხოვნა კომპანიების მართვის ინფორმაციულ სისტემებზე და გაიზრდება ღრუბლოვან ტექნოლოგიებსა და ვიწროდსპეციალიზებულ პროგრამულ პროდუქტებზე მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ ქართული კომპანიები მნიშვნელოვანწილად არიან დამოკიდებული უცხოურ ინფორმაციულ სისტემებზე, მათ შორის სახელმწიფოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში (ინფორმაციული ტექნოლოგიები, მედიცინა, ტრანსპორტი, ბიოტექნოლოგიები და სხვ.) სტრატეგიული სფეროს კომპანიების დიდი ნაწილი იყენებს უცხოურ ტექნოლოგიურ პლატფორმაზე შექმნილ ინფორმაციულ სისტემებს, რაც მომატებული რისკის ზონას ქმნის საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზირებული სისტემები არის საკმაოდ ეფექტური საშუალება ინფორმაციული გადატვირთვის დაძლევის საქმეში, თუმცა, მსგავს სისტემებს ჯერ-ჯერობით შეზღუდული შესაძლებლობები აქვს და ყოველთვის არ იძლევიან საშუალებას, რომ ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას ეფექტური ხერხით და წესით. ამასთან, ინფორმაციის დამუშავების ინფორმაციული სისტემები საოცარი სისწრაფით განიცდიან სრულყოფას. ვფიქრობთ, რომ ასეთი სისტემების განვითარების კვალობაზე, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი სულ უფრო მარტივი და ეფექტური გახდება. ასევე, ვფიქრობთ, რომ სემანტიკური და კოგნიტური ანალიზის სფეროში შემდგომი კვლევები განსაზღვრავენ მართვისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ავტომატიზებული სისტემების განვითარების ვექტორს.

ამასთან, გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც კომპანიები, განვითარების არჩეული მოდელისაგან დამოუკიდებლად, ინტეგრირდებიან მსოფლიო ეკონომიკაში, საჭიროა შესაბამისი ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა და ინოვაციური ინსტრუმენტულ-ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები,

რომლებსაც შეეძლებათ მონაცემების ეფექტური შეგროვება, მათი ინფორმაციად, ხოლო ინფორმაციის ცოდნად გადაქცევა და, რომლითაც კომპანია იხელმძღვანელებს უფრო კომპლექსური გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ბიზნეს-ანალიტიკის ტრადიციულ სისტემებზე დამყარებული საშუალებების ეფექტიანობა უკვე არასაკმარისია ინფორმაციის სრულყოფილი ანალიზისა და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის.[8] ამასთან დაკავშირებით, კომპანიების სულ უფრო მეტი ხელმძღვანელი ცდილობს იპოვოს ინფორმაციის უფრო ეფექტიანი ანალიზისა და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ოპტიმალური წესი, რომელიც მისცემდა მათ საშუალებას აემაღლებინათ კომპანიის მართვის ეფექტიანობა, მინიმუმამდე დაეყვანათ მმართველობითი შეცდომების რაოდენობა და შეემცირებინათ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხანგრძლივობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ittner C.D., Larcker D.F. Moving from Strategic Measurement to Strategic Data Analysis, Chapman C.S. (ed.). Controlling Strategy. Oxford University Press. 2006;
2. Druzdzel M.J., Flynn R.R. Decision Support Systems, Bates M. J, Maack M. N. (eds.). Encyclopedia of Library and Information Science. NY: Taylor & Francis, Inc., 2010;
3. Ibrahem M.K., Taha S. Decision support system for network routing optimization problem, Journal of Kufa for Mathematics and Compute. 2012;
4. Kou G., Shi Y., Wang S. Multiple criteria decision making and decision support systems, Decision Support Systems. 2011. Vol.51. P. 247-249
5. Gachet A. Building model driven decision support systems with dicodess. Zürich, Singen: vdf Hochsch. Verl. AG an der ETH, 2004;
6. Isenberg D.J. How senior manager think, Harvard Business Review. 1984;
7. Rockart J. F. The changing role of the information systems executive: a critical success factors perspective, Sloan Management Review. 1982;
8. Martinsons M.G., Davison R. M. Strategic decision making and support systems: Comparing American, Japanese and Chinese management , Decision Support Systems. 2007.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხისათვის

ნაირა ვირსალაძე,
აწსუ-ს პროფესორი

რეზიუმე

საგარეო ვაჭრობა, როგორც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძალზედ აქტიური და სწრაფად მზარდი სეგმენტი ყოველთვის იყო და დღემდე რჩება განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე მეცნიერმკვლევარებისმხრიდან. ეროვნული სტატისტიკა საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების დასახასიათებლად იყენებს საერთაშორისო სტანდარტებსა და მეთოდოლოგიაზე დაყრდნობილ მაჩვენებელთა სისტემას.

კვლევის შედეგებმა დაგვანახა რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობა ხასიათდება უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსით, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უკვე კანონზომიერ მოვლენად იქცა. 2009 წლიდან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტითიმპორტის დაფარვის კოეფიციენტი მართალია ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც თავისი შინაარსით დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, ამ მაჩვენებლების ციფრობრივი დონე ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია (0,28). ამ მაჩვენებლის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოდან გაცილებით მეტი ვალუტა გაედინება, ვიდრე შემოედინება, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

საგარეო ვაჭრობის გააქტიურების მიზნით ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის გაუმჯობესებაზე, რაც უზრუნველყოფს იმპორტისექსპორტით ჩანაცვლებას, ხელსშეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მათი საარსებო პირობების გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: საგარეოვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტ-იმპორტის ქვოტა.

Actual Question of External Trade Statistics

Associated professor
Naira Virsaladze

Summary

External trade, as the most active and rapidly increasing segment of external economic relations always was and still remains as the most interest field for state authorities as well as scientific workers. In external trade national statistics there is applied showings system based on international standards and methodology for characterizing current events.

The result of the research showed that Georgia is characterized with negative external trade balance. Since 2009 in external trade turnover import coefficient covered by export is characterized with growth tendency which can be considered as the positive event, though numerical level of showings is still quite low (0.28). According to showings much more currency is flew out of Georgia than it flows on and it's negatively affected on economics of the country.

In order to enhance external trade the government shall take care of improvement of industrial activity in the country which will ensure replacement of import by export, will promote employment of population and improvement of their living conditions.

К актуальному вопросу статистики внешней торговли

Наира Вирсаладзе
Доктор экономики,
ассоцированный профессор

Резюме

Внешняя торговля, как весьма активный и быстрорастущий сегмент внешнеэкономических отношений, всегда была и по сей день остаётся сферой особого интереса, как со стороны государственных органов, так и ученых исследователей. Национальная статистика для характеристики явлений, протекающих во внешней экономике, использует международные стандарты и систему показателей со ссылкой на методологию.

Результаты исследования показали, что Грузия характеризуется отрицательным внешнеторговым балансом. С 2009 года коэффициент покрытия экспорта импортом во внешнеторговом обороте характеризуется тенденцией роста, что по своему содержанию должно считаться положительным явлением. Хотя цифровой уровень данного показателя всё еще довольно низкий (0.28). Согласно этому показателю из Грузии вытекает заметно больше валюты, чем поступает, что отрицательно сказывается на экономике страны.

С целью активизации внешней торговли власть должна позаботиться об улучшении предпринимательской деятельности в стране, что обеспечит замещение импорта экспортом, будет способствовать занятости населения и улучшению жизненныхусловий .

ძირითადი ტექსტი:

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა გლობალური ეკონომიკური ორგანიზმია, ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობაა,რომლებიც მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება და ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის ობიექტურ კანონებს. საგარეოეკონომიკურ საქმიანობას გააჩნია რთული და ისტორიულად განვითარებადი ხასიათი, რაც განპირობებულია იმ ფორმების მრავალსახეობით, რომლითაც ის ხორციელდება.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ტრადიციულ და უფრო განვითარებულ ფორმას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა. მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია პრაქტიკულად ვაჭრობით დაიწყო. ის არა მხოლოდ მარტივი, ისტორიულად პირველი, არამედ ყველაზე დინამიურად განვითარებადი ფორმაა. საგარეო ვაჭრობის როლი იმდენად დიდია, რომ მას ხშირად აიგივებენ მთლიან საგარეოეკონომიკურ საქმიანობასთან. ჯ. საკსის განმარტებით, „მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე. ჯერ არც ერთ ქვეყანას არ შეუქმნია ჯანსაღი ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკური სისტემისაგან დამოუკიდებლად“.

საქართველო 1999 წლის 6 ოქტომბერიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრ . (კავკასიის სახელმწიფოთაგან საქართველო პირველი და ყოფილი კავშირის ქვეყნებიდან მეოთხე გახდა ვმო-ის სრულუფლებიანი 136 —ე წევრი, სადაც მან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი მიიღო).საგარეო ვაჭრობისადმი მზარდი ინტერესი განაპირობა საქართველოს ინტეგრაციამ მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და მრავალ ქვეყანასთან გაფორმებულმა ორმხრივმა შეთანხმებებმა.მსოფლიო ეკონომიკის აქტიური გლობალიზაციის პროცესებმა ეროვნული ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მოთხოვნად ინტეგრაციული პროცესების ადეკვატური და ოპერატიული გაშუქების საკითხი დააყენა, რადგანსაგარეო ვაჭრობის შესახებ დროული და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების არსებობა აუცილებელი პირობაა წარმოების, მოხმარების, დასაქმების, შემოსავლებისა და ზოგადად კეთილდღეობის მრავალმხრივი ანალიზისათვის, როგორც ქვეყნის, ისე გლობალურ დონეზე.

მიმდინარე ეტაპზე საქართველო სულ უფრო აქტიურად ერთვება მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა ეკონომიკური ინტეგრაცია შესაძლებლობას აძლევს, შეზღუდული რესურსების პირობებში ეროვნული ეკონომიკა ოპტიმალურად განავითაროს და ამავე დროს, მეტად იყოს დაზღვეული მსოფლიო ბაზრის გლობალური კონიუნქტურული რყევებით გამოწვეული ზარალისაგან.

ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე თავად ეროვნული სტატისტიკაც საჭიროებს აქტიურ ჩართულობას მსოფლიო სტატისტიკურ სისტემაში და მოითხოვს ოფიციალური სტატისტიკის მეტად განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ ჰარმონიზაციას. .

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი ინსტრუმენტია. სტატისტიკა ეროვნული მეურნეობის მდგომარეობისა და განვითარების საერთო სურათს ქმნის და რეგიონებში ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტური პროცესების მიმდინარეობებს აშუქებს, რისთვისაც კვლევის სპეციალურ მეთოდებს იყენებს.საერთაშორისო ურთიერთობების, კერძოდ კი საგარეო ვაჭრობის სფეროში კვლევითი პროცესები მსოფლიო მეურნეობის ინტენსიური ინტეგრაციის შედეგად უფრო გლობალურ ხასიათს იძენს, რისთვისაც მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ოპერირებას მოითხოვს, ამიტომ ინფორმაციის ძირითად წყაროს სტატისტიკა წარმოადგენს. ამისათვის გამოიყენება არსებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ამა თუ იმ მოვლენისა და პროცესის სტატისტიკური გამოკვლევის შედეგად მიიღება.

საქართველოს აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, პერმანენტულად აყენებს ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საკითხს. ამასთან ერთად, დღის წესრიგშია ობიექტური სტატისტიკური ინფორმაციის გონივრულად შემჭიდროვებულ ვადებში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. .

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება დაიწყო 1995 წლიდან. ამ პერიოდიდან მოგვეპოვება საბაჟო სამსახურების მიერ დეკლარირებული სტატისტიკური მონაცემები ექსპორტისა და იმპორტის შესახებ. ამჟამად, საგარეო ვჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიის, ,,საქონლით საერთასორისო ვაჭრობის სტატისტიკა, 2010 წ.'' შესაბამისად. საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვისთვის გამოიყენება ,,საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ნომენკლატურა (სეს სნ)ᲬᲨ 2012, რომელიც აგებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიული სისტემის ბაზაზე.

საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი, რაც ბუნებრივია დამოკიდებულია ამ სფეროში სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფაზედავიწყოთზოგადი მაჩვენებლებით. საანალიზოდ ავიღეთ 2000-2015 წლები. საანალიზო პერიოდში უკვე მკვეთრად გაუმჯობესდა როგორც საბაჟო აღრიცხვა, ისე მონაცემების ტექნიკური დამუშავება (იხ.№1 ცხრილი).

№1 ცხრილიდან ნათლად ჩანს 2000-2015 წლებისსაქართველოსსაგარეოვაჭრობისამსახველიმაჩვენებლებისდინამიკა. საანალიზოპერიოდშიექსპორტ-

ისმოცულობამ2007 წელს პირველად გადააჭარბა მილიარდ ამერიკულ დოლლარს3. 8 -ჯერ გაიზარდა და 1 232 მლნ.აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის მკვეთრი ვარდნა აღინიშნა მხოლოდ 2009 წელს, რაც აიხსნება საქართველოში აგვისტოს ომის შემდგომი-ინერციითდამსოფლიოეკონომიკურიკრიზისისგავ-ლენითჩვენიქვეყნისეკონომიკაზე. 2010-2013 წლებ-შიიგიკვლავაღმავალიტენდენციითხასიათდებაოდა, ხოლო 2014-2015 წლებშიმისიმოცულობაკვლავშემ-ცირდა.

ცხრილი№1

საქართველოსსაგარეოვაჭრობისზოგადიმაჩვენ-ებლები (2000-2015წლებში, მლნ.აშშ.დოლარი)

წლები	ექსპორტი	იმპორტი	სალდო	სავაჭრო ბრუნვა	ექსპორტის წილი ბრუნვაში (%)	იმპორტის წილი ბრუნვაში (%)	ექსპორტი-თიმპორტისდა-ფარვისკოე-ფიციენ-ტი(%)
2000	323.9	709.5	-385.6	1033.4	31.3	68.7	45.7
2001	317.2	751.8	-434.6	1069.0	29.7	70.3	42.2
2002	345.7	794.6	-448.9	1140.3	30.3	69.7	43.5
2003	461.3	1139.0	-677.7	1600.3	28.8	71.2	40.5
2004	646.8	1844.4	-1197.6	2491.2	26.0	74.0	35.1
2005	865.5	2487.6	-1622.1	3353.1	25.8	79.7	34.8
2006	936.5	3674.7	-2738.2	4611.2	20.3	80.9	25.5
2007	1232.1	5212,1	-3980.0	6444.2	19.1	80.8	23.6
2008	1495.1	6301.5	-4806.3	7796.7	19.2	80.9	23.7
2009	1133.5	4500.2	-3366.7	5633.7	20.1	79.9	25.2
2010	1677.5	5257.1	-3579.7	6934.6	24.2	75.8	31.9
2011	2189.0	7038.0	-4868.6	9246.9	23.7	76.3	31.0
2012	2376.0	8037.0	-5661.0	10413.0	22,8	77.2	29.6
2013	2910.0	8012.0	-5102.0	10921.0	26.6	73.4	36.3
2014	2861.0	8596.0	-5735.0	11457.0	24.5	75.5	33.2
2015	2 205,0	7 730.0	-5 525	9 935	22.2	77.8	28.5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საანგარიშოპერიოდშიექსპორტისმსგავსად,ა სევემზარდიტენდენციადაფიქსირდაიმპორტშიც. 2015წელს, 2000 წელთანშედარებითიმპორტისმოცუ-ლობა10. 8-ჯერგაიზარდა და7, 7მლრდ. აშშდოლა-რიშეადგინა. საქართველო-რუსეთის 2008 წლის-აგვისტოსომისა და 2009 წლისმსოფლიოეკონომი-კურიკრიზისისგავლენაუფრომეტადაისახაიმპორტზე, რისშედეგადმისმამოცულობამ 2008 წლისნიშნულსმხ-ოლოდ 2011 წელსგადააჭარბა.2015 წელს2014 წელ-თანშედარებითიმპორტისმაჩვენებელი 866 მლნ. აშშდოლარითშემცირდა. საგარეოსავაჭრობრუნვა 2000-2015წლებშიგაიზარდა9 935 მლნ. აშშდოლარა-მდე, აბსოლუტურმამატებმშეადგინა

8902მლნ. აშშდოლარი, (ანუგაიზარდა9, 6—ჯერ.) .რაცშეეხებასაგარეოვაჭრობისსალდოს, საანალიზო-პერიოდში, იგიმუდმივადუარყოფითია.

საგარეოსავაჭრობრუნვაშიექსპორტითიმპორ-ტისდაფარვისკოეფიციენტი2009 წლიდანზრდის-ტენდენციითხასიათდება, რაცთავისიშინაარსით-დადებითმოვლენადშეიძლებაჩაითვალოს.თუმცა, ამმაჩვენებლებისციფრობრივი დონე ჯერკიდევ-საკმაოდდაბალია(0,28). როდესაცესმაჩვენებელი 1-ზე მეტია, გვაქვსკარგისავაჭროპირობები, მაში-ნამონაგებიმთლიანადფარავსსავაჭროსაქონლი-სიმპორტზექვეყნისხარჯებს და არეზერვებსუცხ-ოურივალუტისნაწილს.ჩვენთანკიპირიქითაა, გაც-ილებითმეტიუცხოურივალუტაგაედინებაქვეყნიდან, ვიდრეშემოედინება.

ცხრილი№2 საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდე-საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე (2000-2015წლებში)

წელი	საგარეოსავაჭრობრუნვა (მლნ. აშშ	მოსახლეობა (მლნ. კაცი)	ერთსულმოსახლეზესაგარეოვაჭრობისაქონელბრუნვისსიდიდე (აშშდოლარი	ერთსულმოსახლეზეექსპორტისსიდიდე (აშშდოლარი)	ერთსულმოსახლეზეიმპორტისსიდიდე (აშშდოლარი)
2000	1033.4	4.4	234.9	73.6	161.3
2001	1069.0	4.4	242.9	72.1	170.8
2002	1140.3	4.4	260.8	79.1	181.8
2003	1600.3	4.3	368.5	106.2	262.3
2004	2491.2	4.3	577.3	149.9	427.4
2005	3353.1	4.3	775.9	200.3	575.6
2006	4611.2	4.4	1 047.7	212.8	834.9
2007	6444.2	4.4	1 466.4	280.4	1,186.0
2008	7796.7	4.4	1 779.2	341.2	1,438.0
2009	5633.7	4.4	1 284.6	258.5	1,026.2
2010	6934.6	4.4	1 576.0	381.2	1,194.8
2011	9246.9	4.5	2 069.0	489.8	1,579.2
2012	10413.0	4.5	2 314	528	1786
2013	10921.0	4.5	2 427	646	1780
2014	11457.0	4.5	2 546	636	1910
2015	9 935	3.7	2 685	596	2089

წყარო: ცხრილიშედგენილიაავტორისმიერსტატის-ტიკისეროვნულისამსახურისმონაცემებზედაყრდნო-ბით

საგარეოვაჭრობისდასახასიათებლადმნიშვნელო-ვანიაექსპორტ-იმპორტის და საგარეოვაჭრო-ბისსაქონელბრუნვისსიდიდეერთსულმოსახლეზე. სუკანასკნელისაანალიზოპერიდში 234.9 აშშდო-ლარიდანგაიზარდა 2685აშშდოლარამდე. ექს-პორტისმოცულობამერთსულმოსახლეზეშეადგინა - 596, ხოლოიმპორტისმოცულობამ - 2089აშშ-დოლლარი. ექსპორტითიმპორტისგადაფარვისხ-არისხიერთსულმოსახლეზეშეადგენსმხოლოდ28..5%, რაცასევემნიშვნელოვნადდაბალია(იხ.ცხრილი№2).

ქვეყნისსაგარეოვაჭრობისდასახასიათებლადასევე გამოთვლიანექსპორტ-იმპორტისქვოტას. იგიახასი-ათებსექსპორტია და იმპორტის წილს მშპ-ში. 2000 წელსექსპორტისქვოტაშეადგენდამხოლოდ 10, 6 %, 2015წლისათვისიგი15,8 % მდეგაიზარდა,რაცკვლავ დაბალია.2015 წლისათვისიმპორტისქვოტამ55. .3% შეადგინა, ე. ი. ქვეყანაში წარმოებული მშპ-ის ღი-რებულების ნახევარზე მეტი იხარჯება იმპორტირე-

ბულ საქონელზე, რაც ასევე არასახარბიელო მაჩვენებელია(იხ. ცხრილი №3).

ცხრილი №3
ექსპორტის, იმპორტის და სავაჭრობრუნვისქვეყანასაქართველოში 2000-2015წლებშო (%)

წლები	მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	ექსპორტი		იმპორტი		საგარეოსავაჭრობრუნვა (მლნ. აშშ-დოლარი	
		მ ლ ნ . აშშდოლარი	ცქვეყა (%)	მ ლ ნ . აშშდოლარი	ცქვეყა (%)	მ ლ ნ . აშშდოლარი	ცქვეყა (%)
2000	3 059.1	323.9	10.6	709.5	23.2	1033.4	33.7
2001	3 221.0	317.2	9.8	751.8	23.3	1069.0	33.1
2002	3 397.8	345.7	10.2	794.6	23.4	1140.3	33.6
2003	3 990.8	461.3	11.6	1 139.0	28.5	1600.3	40.1
2004	5 124.7	646.8	12.6	1 844.4	36.0	2491.2	48.6
2005	6 411.0	865.5	13.5	2 487.6	38.8	3353.1	52..3
2006	7 761.7	936.5	12.1	3 674.7	47.3	4611.2	59.4
2007	10 171.9	1232.1	12.1	5 212.1	51.2	6444.2	63.6
2008	12 800.5	1495.1	11.7	6 301.5	49.2	7796.7	60.9
2009	10 767.1	1133.5	10.5	4 500.2	41.8	5633.7	52.3
2010	11 636.5	1677.5	14.4	5 257.1	45.2	6934.6	59.6
2011	14 438.5	2189.0	15.2	7 038.0	49.1	9246.9	64.3
2012	15 846.8	2376.0	15.0	8 037.0	50.7	10413.0	65.7
2013	16 139.9	2910.0	18.0	8 012.0	49.6	10921.0	67.6
2014	16 507.8	2861.0	17.3	8 593.0	52.1	11457.0	69.4
2015	13959.9	2205.0	15.8	7730.0	55.3	9935.0	71..2

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ-სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ამრიგად, საგარეოვაჭრობა, როგორცსაგარეოეკონომიკურიურთიერთობებისძალზედაქტიური-და სწრაფადმზარდისეგმენტიყოველთვისიყო და დღემდე რჩება განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე მეცნიერ მკვლევარების მხრიდან. ეროვნული სტატისტიკა საგარეო ვაჭრობაშიმიმდინარემოვლენებისდასახასიათებლადიყენებსსაერთაშორისოსტანდარტებსა და მეთოდოლოგიაზედაყრდნობილმაჩვენებელთასისტემას.

კვლევისშედეგებმადაგვანახარომსაქართველოსაგარეოვაჭრობახასიათდებაუარყოფითისაგარეოსავაჭრობალანსით, რაცჩვენიქვეყნისთვისუკვეკანონზომიერმოვლენადიქცა. 2009 წლიდანსაგარეოსავაჭრობრუნვაშიექსპორტითიმპორტისდაფარვისკოეფიციენტიმართალიაზრდისტენდენციითხასიათდება, რაცთავისიშინაარსითდადებითმოვლენადუნდაჩაითვალოს, თუმცა, ამ მაჩვენებლებისციფრობრივი დონე ჯერკიდევსაკმაოდდაბალია (0,28). ამმაჩვენებლისშინაარსიდანგამომდინარესაქართველოდანგაცილებითმეტივალუტაგაედინება, ვიდრეშემოედინება, რაცუარყოფითადაისახებაქვეყნისეკონომიკაზე.

საგარეო ვაჭრობის გააქტიურების მიზნით ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის გაუმჯობესებაზე, რაც უზრუნველყოფსიმპორტისექსპორტითჩანაცვლებას,ხელს შეუწყობსმოსახლეობისდასაქმებას და მათისაარსებოპირობებისგაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

.

1. ბეშკენაძე ზ. საერთაშორისოეკონომიკა,ნაწ. ჯირველი, აწსუ, 2016
2. ვირსალაძე ნ. ბაკურაძე ა., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ნაწ. მეორე, 2008.
3. მარშავა ქ. საერთაშორისოეკონომიკურურთიერთობათასტატისტიკა, 2010.
4. მესხიაი. საერთაშორისო ვაჭრობა, თბ. 2012.

გლობალური და კონცეპტუალური ცვლილებები ტურიზმის უსაფრთხოების სფეროში

მანანა ვასაძე, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
ნინო ლეთანძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში — „ გლობალური და კონცეპტუალური ცვლილებები ტურიზმის უსაფრთხოების სფეროში“ განხილულია ის პრობლემები, რომლებიც დგას ტურიზმის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით თანამედროვე ეტაპზე.

უსაფრთხოება ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ტურიზმისა და მოგზაურობის განუყოფელ ნაწილად. ამ დარგის კვლევა ძალზე მნიშვნელოვანია მომავალი სპეციალისტებისთვის, რათა დაგროვილი ცოდნა და კვლევის შედეგები გათვალისწინებული იქნას ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში. უდავო ფაქტია, რომ ბოლო ათწეულში ტურიზმის უსაფრთხოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები, ტერორისტულ აქტები, ლოკალური ომები, აგრეთვე, ბუნებრივი კატაკლიზმები, ეპიდემიებისა და პანდემიების ზრდის დინამიკა მიანიშნებს იმაზე, რომ საფრთხის ნიშნული საკმაოდ მაღალია.

ტურიზმისა და მოგზაურობის სფერო თავს ვერ აარიდებს იმ ნეგატიურ ზეგავლენას, რაც თან სდევს ზემოაღნიშნულ მოვლენებს. უფრო მეტიც, ეს მოვლენები აშკარად მიუთითებენ იმ დაუცველობის სინდრომზე, რომელიც ტურიზმს თან სდევს როგორც გლობალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე. შესაბამისად, ეს ფაქტი მიუთითებს კვლევის აუცილებლობაზე ტურიზმის უსაფრთხოების სფეროში, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს „ტურიზმის უსაფრთხოების” განმარტების ახალი, თანამედროვე მიდგომა.

ტურიზმის უსაფრთხოების კვლევას აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც იძლევა მართვის ინსტრუმენტების დახვეწის და ღონისძიებების სწორად დაგეგმვის საშუალებას, რათა გათვალისწინებული იქნას საფრთხეები და შემცირდეს რისკები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის უსაფრთხოება, გლობალური ცვლილებები, დეფინიცია, მიწოდება, დესტინაცია, ეპიდემია, პანდემია, ეკოლოგიური უსაფრთხოება, შემეცნებითი და სისტემური მიდგომა, ინფორმაციული უზრუნველყოფა

Global and Conceptual Changes in Tourism Safety and Security Issues

Manana Vasadze,
Associated Professor

Nino Letandze,
Doctoral student

Abstract

Tourism Safety and Security issues gained huge importance in the last two decades. Changes in this period in the World were enormous: terrorist acts, local wars, natural disasters, epidemics and pandemics have significantly decreased safety in Tourism. Tourism industry could not avoid negative impacts and consequences of these events. Some of the events showed the vulnerability of tourism on both global and regional levels. Tourism security issues became of utmost importance, studying problems of safety in tourism became vital. Answering lots of questions, including key elements like the Notion ‘Tourism Security’ allows achieve very practical objectives and give management tools and working plans to reduce the risks.

Keywords: Tourism Safety and Security, Safety problems, negative impact, terrorist acts, local wars, natural disasters, vulnerability

უსაფრთხოება ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ტურიზმისა და მოგზაურობის განუყოფელ ნაწილად. ამ დარგის კვლევა ძალზე მნიშვნელოვანია მომავალი სპეციალისტებისთვის, რათა დაგროვილი ცოდნა და კვლევის შედეგები გათვალისწინებული იქნას ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში. უდავო ფაქტია, რომ ბოლო ათწეულში ტურიზმის უსაფრთხოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები, ტერორისტულ აქტები, ლოკალურ ომები, აგრეთვე, ბუნებრივი კატაკლიზმები, ეპიდემიებისა და პანდემიების ზრდის დინამიკა მიანიშნებს იმაზე, რომ საფრთხის ნიშნული

საკმაოდ მაღალია.

ტურიზმისა და მოგზაურობის სფერო თავს ვერ აარიდებს იმ ნეგატიურ ზეგავლენას, რაც თან სდევს ზემოაღნიშნულ მოვლენებს. უფრო მეტიც, ეს მოვლენები აშკარად მიუთითებენ იმ დაუცველობის სინდრომზე, რომელიც ტურიზმს თან სდევს როგორც გლობალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე. შესაბამისად, ეს ფაქტი მიუთითებს კვლევის აუცილებლობაზე ტურიზმის უსაფრთხოების სფეროში, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს „ტურიზმის უსაფრთხოების"განმარტების ახალი, თანამედროვე მიდგომა.

ტურიზმის უსაფრთხოების კვლევას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც იძლევა მართვის ინსტრუმენტების დახვეწის და ღონისძიებების სწორად დაგეგმვის საშუალებას, რათა გათვალისწინებული იქნას საფრთხეები და შემცირდეს რისკები.

უხსოვარი დროიდან მოგზაურობის უსაფრთხოების საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგალითად, საბერძნეთში ოლიმპიური თამაშების მსვლელობის დროს წყდებოდა საომარი მოქმედება. დღევანდელი მსოფლიოსთვის ეს ძალზე საინტერესო და მისაბაძი მაგალითია! შუა საუკუნეებში ომები შეიცავდა დიდ რისკს მოგზაურობისთვის.

უსაფრთხოების საკითხები ტურიზმისა და მოგზაურობის სფეროში დღის წესრიგში დადგა 1950-იან წლებში მასობრივი ტურიზმის განვითარებასთან ერთად. ქვევით მოყვანილია იმ მიზეზების ჩამონათვალი, რომლებმაც განსაზღვრეს მასობრივი ტურიზმის განვითარების პროცესი:

1. მოგზაურობა და ტურიზმი აღარ არის ერთი ვიწრო სოციალური ფენის აქტივობა. ტურიზმმა მოიცვა საშუალო ფენა, რაც გამოწვეულია პირადი შემოსავლების ზრდითა და თავისუფალი დროის არსებობით, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში.

2. ტურიზმი ვითარდება მსოფლიოს სულ უფრი მეტ ქვეყნებში და მოიცავს არა მარტო განვითარებულ, არამედ, განვითარებად ქვეყნებსაც (მაგალითად, გამყვანი ტურიზმი). ამ ქვეყნებისთვის ტურიზმი არის სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის ნაწილი.

3. ტრანსპორტის (ავიაცია, საავტომობილო ტრანსპორტი) სწრაფმა გამვითარებამ ხელი შეუწყო ქვეყნების გეოგრაფიულ დაახლოვებას.

ტურიზმი - მსოფლიო ეკონომიკის უმსხვილესი დარგია, ხოლო უსაფრთხოებას ტურიზმში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. გარდა ამისა, უდავოა, რომ ტურიზმი მშვიდობის ინდუსტრიაა, თუმცა, შეიმჩნევა გარკვეული შეუსაბამობა: მიუხედავად იმისა,რომ ტურიზმის მნიშვნელობა იზრდება, ტურიზმის გავლენა პოლიტიკაზე ნაკლებია, ვიდრე პირიქით, პოლიტიკის გავლენა ტურიზმზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებული პოლიტიკური ვითარება ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს კონკრეტული დესტინაციის არჩევის თვალსაზრისით.

მე-20 საუკუნის პოლიტიკურმა რყევებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ტურიზმის უსაფრთხოებაზე, შესაბამისად, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები აისახა „ტურიზმის უსაფრთხოების" დეფინიციაზეც.

ჩამოყალიბდა ახალი მიდგომები ტურიზმის უსაფრთხოების ცნების მიმართ გლობალური ტურიზმის ეპოქაში. არსებობს ორი მიდგომა, ანუ - ორი ტიპის მკვლევართა ჯგუფი:

1) შემეცნებითი/ შემეცნებაზე დაფუძნებული / მკვლევართა ჯგუფი,

2) სისტემური/სისტემაზე დაფუძნებული/ მკვლევართა ჯგუფი, ორივე მიდგომა უსაფრთხოებას ტურიზმში განიხილავს, როგორც მიწოდებას (Supply).

მაგალითად, შემეცნებითი მკვლევართა ჯგუფი (მიხალკო) ტურიზმის უსაფრთხოებას განიხილავს როგორც სტუმარმასპინძლობის აუცილებელ პირობას, ხოლო სისტემური მკვლევართა ჯგუფი (პეიჯი, ქონელი) იზიარებენ აზრს ცვლილებების შესახებ გლობალურ უსაფრთხოებაში.

2001 წლის(9/11) ტერორისტული აქტების შემდეგ მკვლევართა მთელი არმია ჩაერთო ტურიზმის უსაფრთხოების საკითხების კვლევაში. გარდა თეორიული საკითხებისა მკვლევარები დაინტერესდნენ ისეთი საკითხებით, როგორიცაა, ტურისტული დესტინაციების მართვა, მარკეტინგული საქმიანობა კრიზისულ სიტუაციებში.

მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ (ჭთჰ) შეადგინა ტურიზმის უსაფრთხოების პრაქტიკული ღონისძიებების სახელმძღვანელო კონკრეტული დესტინაციებისთვის.

ამჟამად „ტურიზმის უსაფრთხოება" კომპლექსური კომპონენტებისგან შემდგარი მრავალპროფილიანი ცნებაა, რომელიც მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

1. პოლიტიკური უსაფრთხოება
2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება
3. ჯანდაცვა და სანიტარული უსაფრთხოება
4. პერსონალური მონაცემების დაცვა
5. ტურისტთა სამართლებრივი დაცვა
6. მომხმარებელთა უფლების დაცვა
7. ეკოლოგიური უსაფრთხოება
8. უსაფრთხოება კატასტროფების დროს
9. ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა
10. მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

უსაფრთხოების ცნებამ საგრძნობი ცვლილება დანიცადა. ის გახდა საკმაოდ აქტიული კომპონენტი ტურიზმის სფეროსთვის. დღეს ის მოწოდებულია დაიცვას არა მხოლოდ ტურისტები და მათი ნივთები, არამედ მთელი ინდუსტრიის მიღწევები და პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რატომ არის ტურიზმის უსაფრთხოება ასეთი მნიშვნელოვანი გლობალური ტურიზმის ეპოქაში?რა ფაქტორები ახდენს გავლენას ტურიზმის უსაფრთხოებაზე? რაში გამოიხატება ტურიზმის უსაფრთხოების ძირითადი ფაქტორი, შეიცავს თუ არა ამ ფაქტორს „ტურიზმის უსაფრთხოების" დეფინიცია? ექცევა თუ არა უსაფრთხოების საკითხებს ყურადღება ტურისტების

მიერ დესტინაციის არჩევის დროს? და სხვ.

წარმოგიდგენთ ტურიზმის უსაფრთხოების კონ-ცეპტუალურ დახასიათებას ისტორიულ რაკურსში:

წარმოგიდგენთ ტურიზმის უსაფრთხოების კონ-ცეპტუალურ დახასიათებას ისტორიულ რაკურსში:

პერიოდი	დახასიათება	შენიშვნა
მასობრივი ტურიზმი 1950-1970 წწ.	ტურიზმის უსა-ართხოება როგორც ტუ-რიზმის უმნიშვნელოვანესი პრობლემა ტურიზმის უსა-ფრთხოებისადმი მარტივი მიდგომა	• ტურიზმის უსა-ფრთხოება ერთი ან ორგანზო-მილებიანი ცნებაა • ყურადღების ცენ-ტრშია მხოლოდ ის საკითხები, რომელიც ეხება საზოგადოე-ბრივი ჯანდაცვისა და გზების უსაფრთხოებას • უსაფრთხოების ფარგლებში განიხილება მხ-ოლოდ ისეთი საკითხები, რო-გორიცაა ჯანმრთელობის და ჰიგიენის პრობლემები, მაგალი-თად, 1) სასმელი წყალი, 2) აუ-ცილებელი ვაქცინაცია 3) ტუ-ალეტების სისუფთავე • უსაფრთხოების პრობლემები ლოკალიზებულია დროსა და სივრცეში • უსაფრთხოების პრობლემების გამო შელახულია ქალაქის /რაიონის, მაგრამ არა მთელი ქვეყნის იმიჯი/ • მოგზაურობასთან დაკავშირებული რისკები არ განიხილება საერთაშორისო დონეზე (გარდა საერთაშორისო საავიაციო ტრანსპორტისა) • პრობლემების გადაწყვეტა ძირითადად ხდება ეროვნულ რეგიონალურ დონეზე
მასობრივი ტურიზმი 1970-19900 წწ.	ტურიზმის უსა-ფრთხოების კონცეპტუ-ალური განვითარების პე-რიოდი	• ჩნდება დამატები-თი რისკ-ფაქტორები, მოგზაუ-რობასა და ტურიზმში (თვითმ-ფრინავის გატაცების ფაქტები ტერორისტული ქმედებები, როგორც სოციალური ბრძოლის ინსტრუმენტი) • უსაფრთხოების ზომების შემოღების აუცილე-ბლობა რეგიონულ დონეზე მსოფლიოს გარკვეულ რე-გიონებში (ახლო აღმოსავლეთი, ბას-კეთი და ა.შ.) • საერთაშორისო თანამშრომლობის დაწყება უსა-ფრთხოების საკითხებთან დაკავ-შირებით • ტექნიკური უსა-ფრთხოების გაუმჯობესება (მაგ. საჰაერო ტრანსპორტზე) • ჭთჭ ყურადღებას ამახვილებს ტურისტების უსა-ფრთხოებაზე (ჰააგის დეკლარა-ცია, 1989) • კომპაქტური (არა ზოგადი) გადაწყვეტილებები იქნა მიღებული (მაგ. ისრაელის ავიახაზები)
მასობრივი ტურიზმი 1990-2010 წწ.	ტურიზმის უსა-ფრთხოებისადმი კომ-პლექსური მიდგომა	• ტურიზმის უსა-ფრთხოების საკითხების მნიშ-ვნელოვანი გაფართოება; გლობალული კომუნიკაციის (ინტერნეტ)პროცესში რეგიონ-ალური ეკონომიკის, საზოგადოებ-ისა და კულტურის ინტეგრაცია; მობილობა (ტურიზმი), ვაჭ-რობა და მომსახურება. დიდი ყურადღება ექცევა პირადი მონაცემების უსაფრთხოებას, გარემოს დაცვას, ბუნებრივ კატასტროფებს, პანდემია და ა.შ.) • იზრდება დაზა-რალებულ ტურისტთა რიცხვი • უსაფრთხოების პრობლემები ინვევს რეგიონ-ალურ სტაგნაციასა და ტურისტ-თა ნაკადების შემცირებას • აღინიშნება კონ-ცეპტუალური ცვლილებები ტუ-რიზმისა და მოგზაურობის უსა-ფრთხოების სფეროში

საქართველოში ტურიზმის უსაფრთხოების კვლე-ვის წარმართვის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩ-ნია ქვემოთმოყვანილი საკითხების წინ წამოწევა და გაანალიზება:

- ტრანსპორტის უსაფრთხოება
- საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვა
- ტურისტული ობიექტების/ დესტინაციების ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება
- სისუფთავის/სანიტარული ნორმების დაცვა ტურისტულ, კვების ობიექტებში/ დესტინაციებში
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა
- ინფორმაციული უზრუნველყოფა
- ეკოლოგიური უსაფრთხოება

დღეს ტურიზმისა და მასპინძლობის მკვლევარ-ების წენაშე დგას საკითხი მომავალი სტუდენტები-სთვის ტურიზმის უსაფრთხოების, როგორც საგნის სწავლების შესახებ.

ერთ-ერთი ასეთი საგანია- რისკ მენეჯმენტი, რომელიც ყოველთვის ვერ პასუხობს ტურიზმის უსაფრთხოების წინაშე დასმულ ამოცანებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების საკითხ-ებს ტურიზმში განიხილავენ სხვა საგნებიც, როგორ-იცაა: მარკეტინგი, საზოგადოებრივი ურთოერთობე-ბი, ტურიზმის მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტი, რესტორნის მენეჯმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Istvan Kovari, Kristina Zimanyi ‘Safety and Security in the Age of Global Tourism’, Applied Studies in Agribusiness and Commerce, Agro inform Publishing House, Budapest
2. Зорин И.В. Квартальнов В.А. Энциклопедия туризма, Финансы и статистика, Москва
3. Биржаков М.Б. Специальные виды туризма, Санкт-Петербург, 2011
4. Биржаков М.Б. Экономическая безопасность туризма, Санкт-Петербург, 2010

სექცია 4. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი, პოლიტიკური და ისტორიულ-ფილოსოფიური ასპექტები

Section 4. Legal, Political, Historical and Philosophical Aspects of the National Economy Development

ჯემალ გახოკიძე,
პოლიტიკისა და სამართლის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სოფო მიდელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

SINO-BRITISH JOINT LIAISON GROUP

Jemal Gakhokidze
Professor

Sophie Midelashvili
Associate Professor

Summary

This paper discusses significance of work of the China-British Joint Liaison Group in the case of Hong Kong's reunification with China. As a result of 15 year work, compromise and negotiations, the bilateral relations of Joint Liaison Group, the United Kingdom and the People's Republic of China were able to not only to deepen their cooperation, but also to open a way to Sino-British relations for further development. Moreover, it can be said that the direct involvement of Joint Liaison Group and their effort has led to the victory of interests for all three parties — China, Hong Kong and UK.

* * * * * *

ჰონკონგი უძველესი დროიდან ჩინეთის ტერიტორიის ნაწილი იყო. ოპიუმის ომის (1840 წელი) შემდგომ ჰონკონგი ოკუპირებულ იქნა დიდი ბრიტანეთის მიერ. 1984 წლის 19 დეკემბერს ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მიერ ხემოწერილ იქნა ერთობლივი დეკლარაცია ჰონკონგის შესახებ და დადასტურდა, რომ 1997 წლის 1 ივლისიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება აღადგენდა სუვერენიტეტს ჰონკონგზე. ამგვარად, ჩინელი ხალხის დიდი ხნის მისწრაფება განდგომილი რეგიონის დაბრუნების თაობაზე რეალობად იქცა. ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ჰონკონგისთვის კეთილდღეობისა და სტაბილურობის შენარჩუნების პირობით, ასევე, მისი ისტორიისა და რეალობის გათვალისწინებით მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსების შესახებ, თანახმად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 31 მუხლისა, პრინციპით „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა". ფრიად საყურადღებოა, რომ 1984 წლიდან 1997 წლის 1 ივლისამდე, თითქმის 13 წლის განმავლობაში, შუამავლის ფუნქციით მოქმედებდა ერთობლივ მოკავშირეთა ჯგუფი, რომელმაც დაკისრებულ მისიას ბრწყინვალედ გაართვა თავი, რაზეც დამდგარი შედეგი მეტყველებს.

დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის სახელმწიფოებმა ერთობლივ დეკლარაციაში განსაზღვრეს, რომ მისი რატიფიკაციისთანავე უნდა დაარსებულიყო და დაეწყო მუშაობა მეკავშირეთა ერთობლივ ჯგუფს ორივე მხარესთვის ურთიერთხელსაყრელ და ურთიერთმისაღებ გარემოში მოლაპარაკების პროცესის წარმატებულად წარმართვის მიზნით.

მისი შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილება ჩამოყალიბდა აღნიშნული დეკლარაციის მე-2 დანართში.

მისი მუშაობის ვადად განისაზღვრა პერიოდი 1985 წლის 30 ივნისიდან 2000 წლის პირველ იანვრამდე.

მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის ძირითადი ბაზა განთავსდა ჰონკონგში, ხოლო მხარეთა შეთანხმებით შეხვედრები იმართებოდა ასევე პეკინსა და ლონდონში.

თითოეულ მხარეს, რომელიც 5-5 წევრით იყო წარმოდგენილი, ელჩის ტიტულით ხელმძღვანელობდა უფროსი წარმომადგენელი. ჯგუფს დახმარებას უწევდა 20 თანამშრომელი. მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის წევრები სარგებლობდნენ დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტით ჰონკონგში, ჩინეთსა და დიდ ბრიტანეთში.

ერთობლივ მეკავშირათა ჯგუფის მიზანი იყო 1984 წლის ერთობლივი დეკლარაციის ეფექტურად განხორციელება კონსულტაციებისა და ინფორმაციის გაცვლის ფორმატში.

ჯგუფის ფუნქციებში შედიოდა კონსულტაციების

ჩატარება ერთობლივი დეკლარაციის განხორციელების თაობაზე, იმ საკითხების განხილვა, რომელიც ეხებოდა ხელისუფლების გადაცემას 1997 წელს და ინფორმაციის გაცვლა და კონსულტაციების ჩატარება მხარეთა შორის შეთანხმებულ საკითხებზე. რაც შეეხება შეუთანხმებელ საკითხებს, გადაწყდა, რომ მათ განიხილავდა ორივე ხელისუფლება კონსულტაციების გზით.

მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის ამოცანა იყო საკითხების 1997 წლის პირველ ივლისამდე ორ ეტაპად გადაწყვეტა.

პირველ ეტაპზე განსახილველი საკითხები ეხებოდა:

ა) ორივე ხელისუფლების მიერ განსახორციელებელ ქმედებას, რომელიც უზრუნველყოფდა ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის, როგორც ცალკე საბაჟო ტერიტორიის, ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებას და მის მონაწილეობას ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურ შეთანხმებაში, მრავალ¬¬პროფილიან შეთანხმებასა და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში;

ბ) ორივე ხელისუფლების მიერ გასატარებელ ქმედებებს, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო უფლებებისა და ვალდებულებების შემდგომ გამოყენებას ჰონკონგთან დაკავშირებით;

მეორე ეტაპზე განსახილველი საკითხები მოიცავდა:

ა) პროცედურებს, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 1997 წელს ხელისუფლების გადაცემასთან დაკავშირებით;

ბ) ქმედებებს ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დასახმარებლად, რათა შეენარჩუნებინათ და განევითარებინათ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, გაეფორმებინათ ხელშეკრულებები ამ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოსთან, რეგიონთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მეკავშირეთა ერთობლივ ჯგუფს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ენიჭებოდა უფლება, ჩემოეყალიბებინა სპეციალისტთა ქვეჯგუფი, რომელიც განიხილავდა ისეთ განსაკუთრებულ და სპეციფიკურ საკითხებს, რომლებშიც საჭირო იყო ექსპერტის ჩარევა. შეხვედრებზე შეიძლებოდა ექსპერტების დასწრებაც. თითოეული მხარე მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის ან ქვეჯგუფების განსაკუთრებულ შეხვედრებზე განსახილველი საკითხებისა და ადგილის შესაბამისად განსაზღვრავდა დელეგაციის შემადგენლობას.

აღსანიშნავია, რომ მეკავშირეთა ჯგუფში არ ყოფილა გათვალისწინებული ჰონკონგის წარმომადგენლობა, მათ ინტერესებს საკუთარ ინტერესებთან ერთად იცავდა დიდი ბრიტანეთის მეკავშირეთა ჯგუფი.

მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის საქმიანობა ძირითადად კონფიდენციალური იყო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეები სხვა რამეზე არ იყვნენ შეთანხმებულნი.

მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფი წარმოადგენდა მხარეთა დამაკავშირებელ ორგანოს. ის მონაწილეობას არ იღებდა ჰონკონგის მართვაში და არც მისი ადმინისტრაციის ზედამხედველის ფუნქცია ევალებოდა.

15 წლის განმავლობაში სულ ჩატარდა 47 შეხვედრა. აქედან 18 ჰონკონგში, 15 ლონდონში, ხოლო 14 პეკინში.

1999 წლის 8 დეკემბერს ჩატარდა მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის ბოლო, 47-ე შეხვედრა, რომლითაც ჯგუფის ისტორიული მისია წარმატებულად დასრულდა. ჩინურ-ბრიტანული ერთობლივი დეკლარაციის პრაქტიკაში განხორციელება რთული აღმოჩნდა, რადგან მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის წინაშე მდგარი ამოცანები იყო უპრეცედენტო როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ სარისკო, იმპულსური გადაწყვეტილებების მაგივრად მუშაობისას მხარეების იღებდნენ რაციონალურ, გაწონასწორებულ, ფრთხილ და, რაც მთავარია, საიმედო გადაწყვეტილებებს. მათი მუშაობისას არ დაფიქსირებულა უტაქტო და უხეში ქმედებები. ეს მარტო ერთი მხარისთვის სარგებლის ძიების კუთხით გამართული კი არა, სირთულეების ერთობლივი ძალებით დაძლევასა და საერთო მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული მოლაპარაკებები იყო.

მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის 15-წლიანი მუშაობის, კომპრომისებისა და მოლაპარაკებების, ორმხრივი ურთიერთობების შედეგად დიდმა ბრიტანეთმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ შეძლეს არა მხოლოდ გაეღრმავებინათ თანამშრომლობა, არამედ გზა გაეხსნათ ჩინურ-ბრიტანული ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის უშუალო მონაწილეობამ და მათმა ძალისხმევამ განაპირობა სამივე მხარის ჩინეთის, ჰონკონგისა და დიდი ბრიტანეთის ინტერესების გამარჯვება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯემალ გახოკიძე, სოფო მიდელაშვილი. ,,ჰონკონგი, ჩინეთი 1997“, გამომც. ,,მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი.

2. Sino-British Joint Declaration (Joint Declaration of the Government of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland and the Government of the People's Republic of China on the Question of Hong Kong).

სარედაქციო მოთხოვნები:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს ბიზნესსა და ინჟინერიის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

- ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები;
- ბიზნეს-პროცესების მართვის ტექნოლოგიები;
- საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანობის ეკონომიკური შეფასებები;
- ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები;
- ბიზნეს-ინჟინერინგი: ენერგეტიკაში, ინფორმატიკაში, ქიმიასა და მეტალურგიაში, ფარმაციაში, მშენებლობაში, ტრანსპორტში, არქიტექტურასა და დიზაინში, სამთო გეოლოგიაში, ნანოტექნოლოგიებსა და ჰიდროტექნიკაში;
- ინოვაციები და ინვესტიციები;
- საინჟინრო საქმიანობის სამართლებრივ-საექსპერტო და სოციალური ასპექტები;
- სამართალი და პოლიტიკა;
- ევროპული და ევროატალნტიკური ინტეგრაცია.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.
ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

- სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 15 გვერდისა და სტატიას თან უნდა დაერთოს:
- რეზიუმე ქართულ და უცხოურ ენაზე — ტექსტის დასაწყისში (რეზიუმე უნდა შეიცავდეს არანაკლებ 100-150 სიტყვას), გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა — ტექსტის ბოლოს.
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx,
- ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman.
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.
- სტატიის თავში მოათავსეთ შემდეგი ინფორმაცია: ავტორის (თანაავტორის) სახელი, გვარი, აკადემიური წოდება, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი.
- ნახაზები, გრაფიკები, სქემები და ა.შ. – ფორმატში TIFF 300 dpi; 600 dpi,
- ფორმულები უნდა აიკრიფოს Microsoftequation 2.0 (2.1.).